

780
/988/2

old show

ISSN 0134-9848

1988/3

85060-036060

សេចក្តី

សេចក្តី
សេចក្តី

W250
(3-4)





პიტერ ბრაიბელი. მხედა გლეხი ქალის თავი.

საუნჯე

1988/3

მარტი

ნომერი



საქართველოს
წიგნწერის კავშირი



შინაარსი

პროზა და პოეზია

ჩინგიზ აითმათოვი, საქონდაძრე რომანი, დახაწყისი, თარგმნა აკაკი ბრეგვაძემ	8
ალექსანდრე ვუშკინი, ვაჟია სახლი კოლომნაში, თარგმნა ლია უიფიანმა	128
გაბრიელ გარსია მარკესი, მოთხრობები, ესპანურიდან თარგმნა თეა გვახალიამ	138
გიორგი აკოლინერი, ლექსები, ფრანგულიდან თარგმნა ნანა თარგამაძემ	154
კენრიკ იბსენი, კენისარი და ბალილევილი, დახასრული, თარგმნა ხაჩანა ბრეგვაძემ	161
კინალა ბაბირაძე, ლექსები, თარგმნა ვახტანგ ხარჩილაძემ	198
ქარბ და ნერვალი, ლექსები, ფრანგულიდან თარგმნა შალვა გოგობიამ	197
ჯეიმზ ჯოისი, ულისმი, რომანი, ინგლისურიდან თარგმნა წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა	199
ფედერიკო გარსია ლორკა, ლექსები, ესპანურიდან თარგმნა გივი ნიუარაძემ	247

წერილები

მუხრან მაზაპარიანი, კამდენიმე სიტყვა, გაგრძელება	248
იოსებ ენვალი, ბულგაკოვის ენები, ანუ უცხო ენები მ. ბულგაკოვის „ოსტატსა და მარბარიტაში“	290
თამარ აფციაური, მწერალი, რომელიც ზღვაში ხეობს რბავდა	304
გუსტავ ბლუკი, ბრეიგელის ფერწერული ნამუშევრები, გერმანულიდან თარგმნა ადა დადიანმა	308

მხატვრული მარგანიისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეჯია



მთავარი რედაქტორი:

მუსრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეჯია:

ულზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაჭრაძე

ბაჩანა ბრუგვაძე

ბურაბ გოგიაშვილი

ნანა ღარინა (პ. შვ. მდივანი).

მაგალი თოღუა

ნოდარ ქაკაბაძე

ზურაბ კიქნაძე

ვასუშტი კობახიშვილი

რომან მიშინოვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ნოდია

დალი ჭანჭიკიძე

რუსუდან ქეკელიძე

იორაბ ქვეციანიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელიძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივნივაძე

რეზო ჭეიშვილი

გარეკანზე: პიტერ ბრიგადა, ნიდერლანდური ანდანები.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნორედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომცემი ნანა ბარათია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, ლავროვის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31 ქაბუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.

განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 26. 04 88 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 22. 06. 88 წ., კაღალდი. ზომა 70x108/16
საღრ. თ. 26,66 სასტ. თ. 28, საღებავი-გატ. 28,7, ტირ. 10 000, შვავ № 1118.

ფასი 1 მან. 60 ბაპ.

საქ. კა. ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის

ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14



ქართული
საქონლო

თარგმნი აკაკი ბრეჯაძე

ცნობილი თანამედროვე ყირგიზი მწერლის ჩინგო ათვათო-
ვის რომანში „საქონდაქრე“ მძაფრადაა დასმული სადღესო სა-
კორპორატო საკითხები. რომანი კაცობრიობის დღევანდელი თუ
ხვალინდელი საფრთხის გასასაჩიროებლად შემოკრულ ზარია და
ამდენად სულისშემძვრელი.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანის სათაურიც მრავლისმეტყველოა
და საკმაო ფიქრებს აღუძრავს მკითხველს („საქონდაქრე“, სულ-
ხან-საბაა განმარტებით, გახლავთ „ხორც საქაფივი, ვინა თავის
მოსაყვეთელი“).

პირველი ნაწილი

I

გზისკენ მიქცეულ მთის ფერდობებზე დღისით ჩამოთბა. ამ,
ბავშვის სუნთქვასავით მსუბუქი, ხანმოკლე დათბობის კვალ-
დაკვალ ამინდი მალე შეუმჩნევლად შეიცვალა — მყინვარებიდან ნიაგმა წამო-
უჭროლა და ხეობებში უკვე მოიპარებოდა ყოველისმომცველი ქუფრი ადრეუ-
ლი ბინდი, რომელსაც თან მოჰყვებოდა მომაგალი თოვლიანი ღამის ცივი სი-
რუხე.

ირგვლივ ზღვა თოვლი იდო. ისიქ-ქოლისპირა ქედის გაყოლებაზე მთები
ნახუქარს ჩაეჩუმქრა. ქარბუქს ამ-მიდამოზე ორიოდე დღის წინ გადაეჭროლა
თავნება სტიქიის ახირებით უცებ აბრიალებული ხანძარივით. საზარელი ამბავი
დატრიალდა მაშინ აქ — ქარბუქის წყვდიადში განიმქრა მთები, განიმქრა ცა,
განიმქრა მთელი ადრინდელი ხილული სამყარო. შემდეგ ყველაფერი მიუყრდა,
გამოიღარა კიდევაც. ვეება ნამქერებით შებოჭვილ მთებს თოვლ-ბუქის ჩაცხ-
რომის კვალად გამახვევებელი და ამქვეყნად ყოველისგან გამომთიშველი სუ-
სხიანი სიწყნარე დაეუფლა.

ოღონდაც სულ უფრო ჯიუტად იზრდებოდა. სულ უფრო მატულობდა გუ-
გუნი დიდტონაგიანი შვეულმფრენისა, რომელიც იმ საღამოს პირზე უზუნჩა-
ტის კანიონში, ქართა საუფლოში, დაბოლქვილი ღრუბლებით მობურული ალა-
მონგიუს ყინულოვანი უღელტეხილისაკენ მიიწევდა. უფრო და უფრო ძლიე-
რდებოდა, უფრო და უფრო ახლოვდებოდა ეს გუგუნი, ყოველ წუთს მძაფრ-
დებოდა, ბოლოს აზვავდა — ერთიანად დაეუფლა სივრცეს და ყოველისდამთ-
რგუნავი გრიალი მოედო ქედებს, მწვერვალებს, ცად აზიდულ ყინულებს, სა-

1888/1

ქართული საბჭოთაო ენის ინსტიტუტი

დაც ოდენ ბგერა და სინათლე თუ აღწევდა. მრავალგზისი ნახმევით კლდეებსა და ვიწრო ხეობებში აზღვავებული გრუხუნე ქვემოთ ისე დაუფრებლად და მრისხანედ მოიწვედა, გეგონებოდათ. კიდეც ცოტაც და, როგორც მაშინ, — მიწისძვრის ეამს, საშინელება დატრიალდებაო.

ასეც მოხდა რომელიღაც უკიდურეს წამს — შვეულმფრენის ნახმევით ქარების მიერ გაშიშვლებულ, კლდოვან ციცაბო ფერდობზე ბგერების შესვლით შეტოკებული მცირე ნაშვავი დაიძრა და მაშინვე შელოცვილი სისხლივით შეჩერდა. მაგრამ ამ უმდგრადი გრუნტის შეტოკებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ერთობ მძიმე ქვა ციცაბო კლდეს მოსწყვეტოდა და ქვევით დაშვებულიყო, სულ უფრო ასწრაფებულიყო. დატრიალებულიყო, გზადაგზა მტვრისა და ღორღის კორიანტელი დაეყენებინა, ხოლო ზედ ფერდობის ძირას ქვემეხის ყუმბარებივით გაეგლიჯა ტირიფისა და კოწახურის ბუჩქები. გაერღვია ნამქერები და გორვა-გორვით ჩაელწია ნახევრად გაყინული თბილი ნაკადულის მახლობლად. კლდის შვერილის ქვეშ, შამბნარით დაფარულ ნაპრაალში მგლების მიერ მოწყობილ ბუნაგამდე.

ძუ მგელი აკბარა ზემოდან ჩამოგორებულ ქვებსა და ჩამოცვენილ თოვლს განზე გაუხტა, ნაპრაალის სიბნელეში დაიხია და ზამბარასავით შეიკუმშა, ქეჩოაშლილი საზარლად აბრიალებდა ანთებულ თვალებს, წინ იყურებოდა, მზად იყო ყოველ წამს შესჭიდებოდა მომხვდურს. ამოდ შიშობდა მგელი აკბარა. საშიში გაშლილი ტრამალია, სადაც დადევნებულ შვეულმფრენს ვერსად დაემალები, სადაც იგი დაეინებით მოგდევს ფეხდაფეხ, გეწევა, გაყრუებს ხრახნების ბრიალით, ავტომატის ცეცხლით გცელავს და მთელ ქვეყანაზე ვერაფერი გიხსნის, არ არსებობს ხვრელი, სადაც ყოჩალი მგელი თავს შერგავ — მიწა ხომ არ გაირღვევა, რომ დევნილი შეგიფაროს.

მთები სხვაა — აქ ყოველთვის შეიძლება მოკურცხლო, სადმე მიიყუეო, სადმე დაიცადო საფრთხის გადავლამდე. აქ შვეულმფრენი საშიში არაა, მთებში თვითონ ეშინია შვეულმფრენს. მაგრამ შიში განუკითხავია, მით უმეტეს ნაცნობი, უკვე განცდილი. შვეულმფრენის მოახლოებაზე ძუ მგელი ხმამაღლა აწყმუვლდა, მთლად მოიკუნტა, თავი ბეჭებშია შერგო, და მაინც უმტყუნეს ნერვებმა, მაინც ვერ დაიურვა თავი, გააფთრებით დაიყმუვლა, უილაჯო, ბრმა შიშით შეპყრობილი გასასვლელისკენ გაშმაგებით გახობდა, კბილებს ბოროტად გააგებით აღრჭიალებდა, მზად იყო საბრძოლველად, თითქოს იმედოვნებდა, უკუეპტია ხეობის თავზე მოგრუხუნე რკინის ურჩხული, რომლის გამოჩენაზეც ქვებმაც კი დაიწყეს ცვენა მაღლიდან, როგორც მიწისძვრის დროს იცის ხოლმე.

აკბარას პანიკურ მოთქმაზე ბუნაგში თავი შემოჰყო მისმა ხვადმა ტაშჩაინარმა. მას შემდეგ, რაც ძუ მგელს სხეული დაუმძიმდა, ტაშჩაინარი მეტწილად შამბნარში მოფარებულ ადგილას ცხოვრობდა. ტაშჩაინარი, ანუ ქვისმკვნიტელი, როგორც იმ არემარის მეცხვარეებმა ყოვლისშემფრთხილებელი ყბების გამო შეარქვეს, აკბარასთან მიხობდა და დასამშვიდებლად აბუხბუხდა, მიუწევა, თითქოსდა თავისი სხეულით თავდასხმისაგან იფარავდა. აკბარა ეკვროდა, სულ უფრო ეწებებოდა და წკმუტუნებდა, საცოდავად ევედრებოდა უსამართლო ცას, ვიდაცას თუ თავის წყეულ ბედს, და კიდეც დიდხანს კანკალებდა ერთიანად. მაშინაც ვერ დაიოკა თავი, როცა შვეულმფრენი ალა-მონგიუს ძალუმ მყინვარს იქით გაქრა და მისი ხმა ღრუბლების მიღმა მიწყდა.

კოსმოსური სიწყნარის ზვავევით ერთბაშად ჩამოწოლილ ამ მთის სიჩუმეში

ძუ მგელს უცებ ცხადლივ მოესმა თავის არსებაში, უფრო სწორად მუცელში ატეხილი ცხოველი ბაგუნი. როცა აჯბარა ჯერ კიდევ თავისი მონადირეული ცხოვრების პირველ ხანებში ერთხელ დიდ დედა კურდღელს დაახტა და მოგუდა, ასევე მოეჩვენა მაშინ კურდღელში, მის მუცელში რალაც უხილავ, თგალისგან დაფარულ არსებათა ამგვარივე ბიძგები. ამ უცნაურმა ამბავმა გუფერა და დაინტერესა ცნობისმოყვარე ახალგაზრდა მგელი. გაოცებული და დასცვივებული, ეჭვით დასცქეროდა მოგუდულ მსხვერპლს. ეს იმდენად უცნაური, გაუგებარი რამ იყო, თამაშიც კი სცადა უხილავ არსებებთან, ზუსტად ისევე, როგორც კატა ეთამაშება ცოცხალმკვდარ თავებს. ახლა კი თავად იგრძნო იმგვარივე ცოცხალი ტვირთი — თავის არსებობას ამცნობდნენ ისინი, რომელნიც კვირა-ნახევარში ან ორ კვირაში ქვეყანას უნდა მოვლენოდნენ, თუ რიგზე იქნებოდა ყველაფერი. ჯერჯერობით კი დედის საშოს შენივთებულნი, დედის არსების ერთსულნი და ერთხორციანი იყვნენ; ამიტომ განიცადეს ჩანასახოვანი, მჭრქალი, საშოსმიერი ქვეცნობიერების წყალობით იგივე ძრწოლა, იგივე სასოწარკვეთილება, რაც დედამ განიცადა. ეს იყო გარესამყაროსთან, მომლოდინე მტრულ სინამდვილესთან მათი პირველი არაპირდაპირი ურთიერთობა. სწორედ ამიტომ შეინძრნენ მუცელში და ასე გამოეხმაურნენ დედის ტანჯვას. პაწია არსებებსაც დაეუფლა შიში, ხოლო ეს შიში მათ დედის სისხლმა აგრძნობინა.

აჯბარამ მიაყურადა, მის გაცოცხლებულ საშოში თუ რა ხდებოდა მისდა უნებურად. და აღელდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, სიმამაცით აღენთო, გადაწყვიტა, უთუოდ დაეცვა, საფრთხისგან დაეფარა თავისი სისხლი და ხორცი, დაუფიქრებლად შეეხებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო. მასში გაიღვიძა შთამომავლობის შენარჩუნების დიდმა თანდაყოლილმა ინსტინქტმა და იმავ წამს იგრძნო, როგორ მოაზღვავდა სინაზე, მოთხოვნილება — მოჰფერებოდა, გაეთბო მომავალი ლეკვები, ძუძუ ეწოვებინა მათთვის ისე, თითქოსდა ისინი გვერდით ჰყოლოდა. ეს იყო ბედნიერების წინასწარი შეგრძნება. აჯბარამ თვალები მილულა, დაიკრუსუნა ნეტარებისგან, იმის მოლოდინისაგან, რომ რძე მოაწვებოდა მუცელზე ორ მწკრივად ჩარიგებულ, დაწითლებულ-დაბერილ მსხვილ დვრილებში, და მიბნედილად ნელა, ნელა გაჭიმა სხეული, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა ბუნაგი, და საბოლოოდ დამშვიდებული ისევ მიიწია თავისი სისვფაფრისანი ტაშჩაინარისკენ. ძალმოსილი იყო ტაშჩაინარი, თბილი, ხშირბეწვიანი, მოქნილი ტყავი ჰქონდა. ამანაც კი, ამ პირქუშმა ტაშჩაინარმაც შეამჩნია, რას განიცდიდა იგი, დედა-მგელი, ალლოთი მიხვდა, რა ხდებოდა აჯბარას საშოში, და ალბათ თვითონაც აუჩუყდა გული — ყური აფშიკა, მოუხეშავი, მძიმე თავი ასწია, ღრმად ჩამსხდარი შავი თვალების ცივ გუგათა დაბინდულ მზერაში რალაც ჩრდილი, რალაც გაურკვეველი სასიამოვნო წინათგრობა გაუყრთა, თავშეკავებულად დაიბუხბუხა, ბუხბუხს ფთხინვახავილი გამოუჩინა და ამით გამოხატა კეთილი განწყობა, მზადყოფნა — უსიტყვოდ დამორჩილებოდა ლურჯთვალა ძუ მგელს. დაეცვა იგი, და თავისი ფართო, თბილი, ტენიანი ენით გულიანად, ალერსიანად დაუწყო ლოკვა თავზე, განსაკუთრებით ლურჯ თვალებსა და ცხვირზე. აჯბარას უყვარდა ტაშჩაინარის ენა მაშინაც, როცა მოუთმენლობისგან აკანკალებული ტაშჩაინარი ეკეკლუცებოდა, ელაციცებოდა და ამბოხებული სისხლისგან გახურებული ენა გველივით მოქნილი, სწრაფი და ცხოველმოქმედი უხდებოდა, ხოლო თვითონ თავს თავდაპირველად ისე იჭერდა, ვითომ ყოველივე ამას აინუნში არ აგდე-

ბდა, უყვარდა მაშინაც, როცა მსუყე საჭმლის შემდეგ სიმშვიდისა და ნეტარების წუთებში მისი მგლის ენა რბილი და ტენიანი იყო.

ამ ორ მძვინვარე მგელთაგან აკბარა გახლდათ თავი, გონება, უფლები ჰქონდა ნადირობის დაწყებისა, ხოლო ტაშჩაინარი სანდა ძალა, მისი ნების სიმედო, დაუცხრომელი, განუხრელი აღმასრულებელი იყო. ეს ურთიერთდაპირისპირებულება არასდროს ირღვეოდა. მხოლოდ ერთხელ მოხდა უცხრომელი მგელის ამბავი, როცა აკბარას მგელი განთიადამდე დაიკარგა და დაბრუნებულს სხვა ძუს სხვანაირი სუნი მოჰყვა — საზიზღარი სუნი უსირცხვილო მძუნაობისა, რომელიც ერთმანეთს უსევს და ათობით ვერსზე უხმობს ხვადებს. ამ ამბავმა უსაზომოდ გააბოროტა, გაახელა აკბარა. ტაშჩაინარი არ გაიკარა, ანაზღეულად ღრმად ჩაასო შუანი მხარში და დასჯის ნიშნად აიძულა მრავალი დღე ზედიზედ კოჭლობით ევლო მის უკან, ახლოს არ უშვებდა. რამდენს ყმუოდა ბრიყვი ტაშჩაინარი, მაგრამ აკბარა არ ეხმიანებოდა, არ ჩერდებოდა, თითქოს ტაშჩაინარი მისი მგელი არც იყო, თითქოს იგი მისთვის არც არსებობდა, ხოლო თუ ტაშჩაინარი გაბედავდა და მიუახლოვდებოდა, რათა დაეურვებინა, მოჰფერებოდა, აკბარა მართლა გაეჭიბრებოდა ღონეში. ტყუილა კი არ იყო იგი ამ უცხო მხრიდან მოსული სისვი წყვილის თავი, ხოლო ტაშჩაინარი — ფეხები.

აკბარა ახლა, როცა ცოტათი დამშვიდდა და ტაშჩაინარის ფართო ფერდქვეშ გათბა, მადლიერი იყო თავისი მგლისა, რომ შიშნაქამს თანაუგრძნო და ამით საკუთარი თავისადმი რწმენა დაუბრუნა. ამიტომაც არ ეწინააღმდეგებოდა ტაშჩაინარის გულიან ალერსს და პასუხად ერთი-ორჯერ ტუჩები გაულოკა, იოკებდა ძრწოლას, რომელიც ჯერ კიდევ ახსენებდა თავს ანაზღეული კანკალით. აყურადებდა რა გაუგებრად და მოუსვენრად იქცეოდნენ ჯერ კიდევ ამქვეყნად მოუვლენელი ლეკვები და გულისყურს იკრებდა, შეეგუა ყველაფერს: ბუნაგსაც, მთებში ჩამომდგარ დიდ ზამთარსაც, თანდათან მოახლოებულ ყინვიან ღამეებსაც.

ასე იღეოდა ძუ მგლისთვის თავზარდამცემი საშინელი დღე. დედური ბუნების დაუოკებელ ინსტინქტს აყოლილი თავის თავზე კი არა, უფრო იმათზე წუხდა, რომლებიც მალე ამ ბუნაგს უნდა მოვლენოდნენ, რომელთათვისაც მან და მისმა მგელმა ეს ბუდე მოძებნეს და მოაწყვეს აქ, შამბნარით, გრიგალის მიერ დალეწილი ხეებისა და ჩამოქცეული ქვების ნაყარით დაფარულ კლდის შევერილის ქვემოთ, ღრმა ნაპრაღში, რათა შთამომავლობის დასაბადებელი ადგილი ჰქონოდათ, რათა თავიანთი თავშესაფარი ჰქონოდათ დედამიწაზე.

მით უფრო უნდა ჰქონოდათ, რომ ორივენი ამ მიდამოებში სხვა მხრიდან იყვნენ მოსულნი. გამოცდილი თვალი ადგილობრივ თანამომხმეთაგან გარეგნულადაც კი განასხვავებდა. ჯერ ერთი — როგორც ტრამალის მგლებს, ღია ფერისა ჰქონდათ კისრის ბეწვის გადანაკეცები, რომლებიც მხრებზე ღაბაბიდან ქეჩომდე მჭიდროდ შემოვლებოდათ დიდებული მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი მოსასხამივით. აკვალეები, ანუ იგივე სისვფაფრიანები, ისიქ-ქოლისპირა ზეგანის ჩვეულებრივ მგლებზე მალეებიც იყვნენ, ხოლო თუ ვინმე აკბარას ახლოს ნახავდა, გააოცებდა მისი კრიალა ლურჯი თვალები. ასეთი თვალები უიშვიათესი იყო და შესაძლოა, მარტოოდენ აკბარას ჰქონდა. ძუ მგელს აქაური მეცხვარეები აკდალის, ანუ თეთრქეჩოიანს ეძახდნენ, მაგრამ მალე ენის სახეცვალეების კანონთა მიხედვით აკდალი აკბარი გახდა, შემდეგ კი აკბარა. ანუ ღიადი, და არავინ უწყოდა, რომ ამ საქმეში განგების ბელი ერიო.

ერთი წლის წინათ აქ სისვფაფრიანთა სახსენებელიც არ იყო, როცა გამო-
ჩნდნენ, არავის შეერთებთან, განცალკევებით ცხოვრობდნენ, თაყვანაპირ-
ველად უმეტეს წილად ნეიტრალურ ზონებში დაეხეტებოდნენ, რათა აქაური
ადგილ-მამულების მფლობელ მგლებთან შეტაკებას არიდებოდნენ, რათა იმით
გაქონდათ, რითაც შეეძლოთ, სანადიროდ მინდვრებში, ხალხსა და მგლებს
დაბლობ ადგილებშიც კი დარბოდნენ, მაგრამ ადგილობრივ მგლებს
დღებიან — ლურჯთვალა აკბარა მეტისმეტად დამოუკიდებელი ბუნებისა იყო,
რის გამოც უცხოებს ვერ ეთვისებოდა და ვერავის უფროსობას ვერ ეგუებოდა.

დრო ყველაფრის განმსჯელია. შემდგომში გადამთიელმა სახეფაფრიანებმა
წელში გამართვა შეძლეს, მრავალი სასტიკი ბრძოლის შემდეგ ისიქ-ქოლისპირა
ზეგანზე მიწები იგდეს ხელთ და ახლა უკვე ისინი, გადამთიელნი, გახდნენ ად-
გილ-მამულების მფლობელნი, ხოლო ადგილობრივი მგლები მათ საზღვრებში
შეჭრას ვეღარ ბედავდნენ. შეიძლება ითქვას, ისიქ-ქულზე ახალმოვლენილი სი-
სვფაფრიანი მგლების ცხოვრებას საკეთილო პირი უჩანდა, მაგრამ ამას წინ
თავისი ისტორია უძლოდა და ნადირებს რომ წარსულის გახსენება შესძლე-
ბოდათ, დიდი მხვედრილობისა და ხალასი აღქმის უნარით დაჯილდოებული
აკბარა იძულებული იქნებოდა, ხელახლა განეცადა ყოველივე, რაც შესაძლოა,
ახსენდებოდა კიდევ დროდადრო, ცრემლს აღვრევინებდა და გულისშემძვრე-
ლად აკვნესებდა.

იმ დაკარგულ სამყაროში, შორეული გუინყუმის სავანაში, დიდი მონადი-
რული ცხოვრება დულდა და გადმოდულდა მუინყუმის უსასრულო სივრცეებზე
საიგების უსასრულო ჯოგების უსასრულო დევნაში. როცა საქსაულებით დაფა-
რული სავანის ტრამალები უხსოვარი დროიდან მობინადრე, თვით დროსავეთ
უძველესი ანტილოპა-საიგები წყვილჩლიქოსანთა წარმომადგენელნი, ჯოგის
ცხვირკეხიანი ცხოველები, რომელთა მილ-ნესტოები ფილტვებში ისე ძალმო-
სილად უშვებენ ჰაერს, როგორც ვეშაპები ულვაშებშია აფრქვევენ წყალს —
ოკეანის ნაკადებს, და შეუძლიათ შეუჩერებლად ირბინონ მზის ამოსვლიდან
ჩასვლამდე: დიახ, როცა ისინი ოდინდელი და განუყრელი მგლებით ოტებულ-
ნი ამოძრავდებოდნენ, როცა ერთი დამფრთხალი, დაზაფრული ჯოგი მეზობელ
ჯოგს წარიტაცებდა, წარიტაცებდა ასევე მეორეს, მესამეს და ამ საყოველთაო
რბოლაში ერთვებოდნენ გზად შემხვედრი დიდ-პატარა ჯოგები, როცა საიგები
დედამიწას დატეხილ წარღვნასავეთ მიქროდნენ მუინყუმში — ბორცვებზე,
დაბლობებსა და ქვიშებზე, მაშინ მიწა უკან მიფრინავდა, მათ ჩლიქებქვეშ ისე
გუგუნებდა, როგორც გუგუნებს ზაფხულის ყამს სეტყვა-მერებსში, ჰაერი ივსე-
ბოდა მოძრაობის გრიგალისებური სუნთქვით, კაჟის მტვრითა და ჩლიქებქვე-
მოდან გამოტყორცნილი ნაპერწკლებით, ჯოგის ოფლის სუნით, გიჟური სამკვ-
დრო-სასიცოცხლო შეჯიბრის სუნით; მაშინ მგლები კვალდაკვალ და გვერდი-
დან მისდევდნენ საიგებს, ცდილობდნენ იქით გაერეკათ, სადაც მათ საქსაულე-
ბში ჩასაფრებული გამოჩეკილი სულთამხუთავენი ელოდნენ. მგლები, რომლე-
ბიც საფარიდან ჯიდაოში ეთგერებოდნენ ელვისუსწრაფესად მომჭროლავ საი-
გას, მასთან ერთად გაგორდებოდნენ მიწაზე, ასწრებდნენ მისთვის ყელი გამო-
ეღადრათ, სისხლი გამოეშვათ და ისევ განეგრძოთ დევნა, მაგრამ საიგები ზმი-
რად რალაცნაირად ბვდებოდნენ, სად ელოდებოდნენ ჩასაფრებული მგლები და
ახერხებდნენ განზე ჩაევლოთ იმ ადგილებისათვის, ალყის შემორტყმა კი ხე-
ლახლა იწყებოდა კიდევ უფრო მეტი სიშმაგით, მეტი სისწრაფით და ყველანი,
ოტებულნიცა და მდევარნიც — უღმობელი ყოფიერების ერთი რგოლი —

ისევ ერთგებოდნენ რბოლაში, როგორც სიკვდილისწინა აგონიაში (უკან დასახევი გზა მათ აღარ ჰქონდათ), რათა ეცოცხლათ, რათა სიკვდილს გადარჩენოდნენ და ალბათ თვით ღმერთს შეეძლო შეეჩერებინა ერთნიცა და მეორენიც, ოტებულნიცა და მღევარნიც. ვინაიდან საქმე ეხებოდა სიკვდილის მწუვრვალ არსებათა სიკვდილ-სიკვდილს, ვინაიდან იმ მგლებს, რომელნიც ასეთ გაშმაგებულ რბოლას ვერ უძლებდნენ, იმათ, რომელნიც არსებობდნენ, რბოლაში — რბოლა-რბოლაში — შეჭიბრებისთვის არ იყვნენ დაბადებულნი, იმ მგლებს მუხლი ეკვეთებოდათ და სულის ამოსაბლომად ეცემოდნენ ქარიშხალივით მიმქროლავ მღევართა მიერ ავარდნილ მტვრის კორიანტელში, ხოლო თუ მაინც ცოცხალნი რჩებოდნენ, სხვა მხარეებში მიიხვეწებოდნენ, სადაც თავს ესხმოდნენ უწყინარ ცხვრის ფარებს, ცხვრებს, რომლებიც სულაც არ ცდილობდნენ სიკვდილის შესანარჩუნებლად გაქცეულიყვნენ. სამაგიეროდ იქ სხვა საფრთხე არსებობდა, ყველა შესაძლო საფრთხეს შორის უსაშინლესი საფრთხე — იქ, ფარებში, ადამიანები, ცხვრის ღმერთები და იმავე ცხვრის მონები იყვნენ, რომლებიც თვითონ ცხოვრობენ, მაგრამ საშუალებას არ აძლევენ სხვებს სიკვდილს გადაურჩნენ, განსაკუთრებით იმათ არ აძლევენ საშუალებას, ვინც მათზე კი არაა დამოკიდებული, თავისუფლება ზეგარდმო აქვს მინიჭებული...

ადამიანები, ადამიანები — ადამიანღმერთები! ადამიანებიც ნადირობდნენ საიგებზე მუინყუმის სავანაში. წინათ ცხენებით მოდიოდნენ, ტყავი ემოსათ, ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი, შემდეგ მოგრიალე თოფები გაიჩინეს და ცხენებს ყოყინით დააგელვებდნენ, საიგები კი გუნდ-გუნდად გარბოდნენ აქეთ-იქით და აბა, ერთი მოგეძებნა საქსაულების მისადევრებში! მაგრამ სხვა დროც დადგა. ახლა ადამიანღმერთებმა მანქანებით დაიწყეს საიგების ალყაში მოქცევა, ზუსტად მგლებივით არაქათს აცლიდნენ და შემდეგ ზეზეურად ცხრილავდნენ, მუსრს ავლებდნენ. ბოლო ხანებში კი ადამიანღმერთები შვეულმფრენებით მოფრინავდნენ. ჯერ ჰაერიდან ზვერავდნენ ტრამალში საიგების ჯოგის ადგილსამყოფელს, შემდეგ მონიშნულ კოორდინატებში მათ ალყაში აქცევდნენ, ხოლო ხმელეთის სნაიპერები დაბლობებში საათში ასი და მეტი კილომეტრით მიქროდნენ, რათა საიგებს დამალვა ვერ მოესწროთ, მალლიდანაც შვეულმფრენები ეხმარებოდნენ, სამიზნეს ადგილსამყოფელს და მოძრაობის მიმართულებას უჩვენებდნენ. გაჩნდნენ მანქანები, შვეულმფრენები, სწრაფმსროლი შაშხანები და ცხოვრება თავდაყირა დადგა მუინყუმის სავანაში...

ლურჯთვალა აკბარა ჯერ კიდევ უწლოვანი იყო, ხოლო მისი მომავალი მეუღლე — ტაშიაინარი მასზე ოდნავ მეტი ხნისა, როცა დრო დაუდგათ, ნადირის გამორეკვას შეჩვეოდნენ. თავდაპირველად მხარს ვერ უსწორებდნენ მღევრებს, ეგ იყო, წაქცეულ ანტილოპებს გლეჯდნენ, სულთმობრძავეებს ბოლოს უღებდნენ, შემდგომ კი ღონესა და ამტანობაში ბევრ ქარცეცხლში გამოვლილ მგელს სჯობნიდნენ, განსაკუთრებით სიბერეშეპარულთ. და რომ ყველაფერი ბუნების წესისამებრ წარმართულიყო, მალე ხროვისთვის უნდა ეწინააღმდეგებოდათ, მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა...

წელი წელს გააჩნდა. იმ წლის გაზაფხულზე კი საიგები განსაკუთრებულად მომრავლდნენ — ბევრმა ფურ-საიგამ ტყუპი შობა, რადგანაც შარშანდელ შემოდგომაზე გადამხმარი ბალახეული ორჯერ ამწვანდა თბილ ამინდში რამდენიმე ბარაქიანი წვიმის შემდეგ. საკვები ბლომად იყო და შობადობაც ამარ განაპირობა. დოლის დროისთვის საიგები ჯერ კიდევ ადრეულ გაზაფხულზე

მიდიოდნენ მუიწყუმის შუაგულში უთოვლო დიდ ქვიშებში, სადაც მგლები ადვილად ვერ შეაღწევდნენ. თანაც ბარქანებზე საიგების დევნა წყლის ნაყვად იყო. ქვიშებში ანტილოპას ვერაფრით ვერ დაეწეოდი, სამაგიეროდ მგლების ხროვები ერთიორად იჯერებდნენ გულს შემოდგომასა და ზამთარში როცა ცხოველთა სეზონური მომთაბარეობის ყამს ნახევარუდაბნოებსა და სტეპებსა და მთებში ურიცხვი საიგა მოდიოდა. აი, მაშინ მგლებს თვით ღმერთი უნდა ენათესა, თავიანთი წილის მონადირებას. ზაფხულში კი, განსაკუთრებით დიდ სიცხეში, მგლები ამჯობინებდნენ საიგებისთვის თათი არ ეხლოთ, რაკი სხვა, უფრო ხელმისაწვდომი საზრდო იყო სამყოფი — მთელ ტრამალზე ურიცხვი ზაზუნა ირეოდა. ის, რაც ზაზუნებს ზამთრის ძილქუშის დროს დააკლდათ, ზაფხულში უნდა აენაზღაურებინათ, უნდა მოესწროთ ყველაფერი, რასაც სხვა ცხოველები სიცოცხლის ერთ წელიწადში ასწრებდნენ. ამიტომ ირგვლივ მთელი მათი მოდგმა ფუსფუსებდა და საშიშროებას არაფრად აგდებდა. ვითომ რატომ არ იყო ეს რეწვა — ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს. სამაგიეროდ ზამთარში ზაზუნებს ვერ იპოვიდით, არსად ჩანდნენ. ზაფხულის თვეებში კიდევ სხვა მცირე ფრინველ-ნადირი, განსაკუთრებით კაკაბი იყო მგლების დამატებითი საკბილო. ნადავლის მთავარი მოპოვება — დიდი ნადირობა საიგებზე — კი შემოდგომაზე ჩაღდებოდა და ზამთრის დამლევამდე გრძელდებოდა. კვლავ და კვლავ თავისი დრო ჰქონდა ყველაფერს. სწორედ ეს ედო საფუძველად სავანაში ცხოვრების ბრუნვის მიზანშეწონილობას, დამკვიდრებულს ბუნების მიერ. მხოლოდ სტიქიურ უბედურებას და ადამიანს თუ შეეძლო მუიწყუმში ამ დასაბამიდან მომდინარე კანონზომიერების დარღვევა.

II

რაბირაბოზე სავანაში აგრილდა და ახლავ იგრძნეს შვება ცოცხალმა არსებებმა — სუნთქვა აღარ უჭირდათ: დადგა ყველაზე სასიხარულო ყამი. ესეა ჩასახული დღისა და მიწურული ცხელი, შეხუთული ღამის გაყრისა, დღისა, რომელსაც თან მოჰყვებოდა მლაშობი ტრამალის თეთრად გამავარვარებელი უწყალო პაპანაქება. მუიწყუმის თავზე სრულიად მრგვალი ყვითელი ბურთით ვადმოდგა მთვარე და მიწა მყარი მოლურჯო შუქით გაანათა. ამ მიწას არც დასასრული უჩანდა, არც დასაწყისი. ყველგან ბნელი, ძლივს გასარჩევი შორეთი ერწყმოდა ვარსკვლავებიან ცას. ხოლო სიწყნარე იყო ცოცხალი, ვინაიდან ყველაფერი, რაც სავანაში ბინადრობდა, ყველაფერი, გველის გარდა, იმ ყამს სიგრილით ტკობას ესწრაფვოდა, სიცოცხლეს ესწრაფვოდა. იალღუნის ბუჩქებში ადრე გაღვიძებული ჩიტები წრიბინებდნენ და ფრთხილებდნენ, საქმიანად მიმოდიოდნენ ზღარბები, ჭრიჭინობელებმა, მთელი ღამე რომ ხმა არ გაუჩერებიათ, უფრო ცხოვლად ატეხეს ჭრიჭინი, სოროებიდან უკვე თავს ჰყოფდნენ და აქეთ-იქით იტყუებოდნენ გაღვიძებული ზაზუნები, ჯერ კიდევ არ შედგომოდნენ თავიანთი საკვების — საქსაულის ჩამოცვენილი თესლის შეგროვებას. დიდი ბრტყელთავა კიოტა მთელი ოჯახითურთ დაფრინავდა ერთი ადვილიდან მეორეზე, მისი ხუთი ბრტყელთავა ბახალა დაიზარდა, შეიბუმბლა, ხუთივენი უკვე ფრთებს სცდიდნენ, ისე ფრინავდნენ, როგორც მოუხერხდებოდათ, წამდაუწყემ მზრუნველობით გადასძახოდნენ და თვალს არ აშორებდნენ ერთმანეთს. მათ მოძახილს ეუბნებოდნენ შეცისკრებული სავანის ათასნაირი ფრინველ-ნადირნი.

და იდგა ზაფხული, ლურჯთვალა აკბარას და ტაშჩაინარის ერთად ცხოვრების პირველი ზაფხული, აკბარამ და ტაშჩაინარმა უკვე თავი გამოჩინეს, როგორც საიგების მუხლჩაუხრელმა მარეკებმა და მუინყუმის მგელთა შორის უძლიერესი წყვილის სახელი დაიგდეს. მათდა საბედნიეროდ ეხილნენ ერთმანეთს, რომ ამქვეყნად შეიძლება ნადირიც იყოს ბედნიერი — ორივეს, აკბარასაც და ტაშჩაინარსაც, ბუნებამ ისეთი თვისებები დაანათლა, რომელთაც განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ტრამალის მტაცებლებისთვის ნახევრად უდაბნო სავანაში. ეს გახლავთ მყისიერი რეაქცია, ნადირობისას შორსმჭვრეტელობა, თავისებური „სტრატეგიული“ მოსაზრებულობა და, რასაკვირველია, უჩვეულო ფიზიკური ძალა — სირბილში სისწრაფე და დაუოკებლობა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ მგლებს დიდი მონადირული მომავალი ელოდა და მათი ცხოვრება აღსავსე იქნებოდა ყოველდღიური საზრდოს ძიების სიძნელეებითა და თავიანთი ხვედრის სილამაზით. ჯერჯერობით კი არავინ უშლიდათ ხელს, განუყოფლად ეგამგებლათ მუინყუმის ტრამალებში, ვინაიდან აქ ადამიანი იშვიათად თუ შემოაღწევდა და მას პირისპირ არც არასდროს არ შეჩვენებიათ, ადამიანს ისინი შეეჩვენებიათ მოგვიანებით, მგლების კიდევ ერთი განსაკუთრებული შეღავათი (თუ არ ვიტყვით პრივილეგიას) ქვეყნის შექმნის დღიდან ის გახლდათ, რომ, როგორც ცხოველთა მთელ სამყაროს, მათაც შეეძლოთ ყოველდღე ისე ეცხოვრათ, ხვალინდელ დღეზე არ ეკანკალათ და არ ეზრუნათ. ყველაფერში გონიერმა ბუნებამ ცხოველები ყოფიერების ამ წყვეული ტვირთისგან გაათავისუფლა — თუმცა სწორედ ამ წყალობაში იმალებოდა ის ტრაგედია, რაც მუინყუმის ბინადართ უდარაჯებდა. ოღონდ ვერც ერთი მათგანი ამას ვერ იგუშანებდა, ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა, თუ მუინყუმის ვითომდა უკიდევანო სავანა, რარიგ ფართო და რარიგ დიდიც უნდა ყოფილიყო იგი, გახლდათ მხოლოდ ერთი ბეწო კუნძული აზიის სუბკონტინენტზე, გეოგრაფიულ რუკაზე ცერის ფრჩხილის ოდენა ყვითლად და წაბლისფრად შეღებილი ადგილი, ხოლო ამ ადგილს წლითიწლობით სულ უფრო მძლავრად უტევდნენ ყამირი მიწები, განუყრელად რომ იხვნებოდნენ, უტევდა არტეზიული ჭაბურღილების კვალდაკვალ ტრამალში საკვების ახალი სივრცეების საძიებლად მოხეტიალე ურიცხვი ფარა და ნახირი, უტევდა არხები და გზები, რომლებიც სასაზღვრო ზონებში გაჰყავდათ, რადგან ზედ სავანასთან იყო ერთ-ერთი უდიდესი გაზსადენი : უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების სიღრმეში, მათ შორის მუინყუმშიც სულ უფრო დაჟინებით, დიდი დროით იჭრებოდნენ ტექნიკურად სულ უფრო უკეთ შეიარაღებული, თვლებსა და ძრავებზე ამხედრებულნი, რადიოკავშირით აღჭურვილი, წყლით მომარაგებული ადამიანები, მაგრამ იჭრებოდნენ არა მეცნიერები, რომელთა საგმირო აღმოჩენებით უნდა იამაყოს შთამომავლობამ „არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი საქმის, თითქმის ყოველი ადამიანისთვის, თითოეულისთვის ხელმისაწვდომი და შესაძლებელი საქმის მკეთებელნი. უნიკალური მუინყუმის სავანის ბინადართ მით უფრო არ შეეძლოთ სცოდნოდათ, რომ დედამიწაზე კაცობრიობის ყველაზე ჩვეულებრივ რამეებში იმალება სიკეთისა და ბოროტების წყარო და ყველაფერი დამოკიდებულია თვით ადამიანებზე — რას მოახმარენ ისინი კაცობრიობისთვის ამ ყველაზე ჩვეულებრივ რამეებს: სიკეთეს თუ ბოროტებას, შექმნას თუ განადგურებას, არც იმ სირთულეთა ბაიბურში იყვნენ მუინყუმის სავანის ოთხფეხა და სხვა არსებები, გულს რომ უწყალებდნენ თვით ადამიანებს, რომლებიც მას შემდეგ, რაც მოახროვნე

არსებები გახდნენ, ცდილობდნენ თავიანთი თავი შეეცნოთ, თუმცა ვერა და ვერ ამოხსნეს ძველისძველი გამოცანა: ბოროტება რატომ ამარცხებს თქმის ყოველთვის სიკეთეს...

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ადამიანთა მთელი ეს ამბები სარაფით/არ შეიძლებოდა მუიხუმის ცხოველებს შეხებოდა, ვინაიდან მათ მუიხუმის ტინქტებსა და გამოცდილებას არ ესადაგებოდა.

საერთოდ, აქამდე მკვეთრად არაფერს დაურღვევია დადგენილი ცხოვრების ნირი ცხელ ნახევრად უდაბნო დაბლობებსა და ბორცვებზე გაშლილი ამ დიდი აზიური ტრამალისა, სადაც მოდებული იყო იალღუნის მხოლოდ აქ გავრცელებული სახეობები, ერთგვარი ნახევრად ბალახი, ნახევრად ხე, ქვასავით მაგარი ქვიშის საქსაული, აგრეთვე ნავროტის ხეშეში ბალახი, ყველაზე მეტად კი ლერწმისებრი ჩინური ვაციწვერა — ეს ნახევრად უდაბნოს მშვენიერ ტყის მსგავსად ციმციმებს, რომელშიც ირგვლივ ყველაფერს დაინახავს და თვითონაც გამოჩნდება, როგორც თავი — თხელ წყალში, ვინც უნდა ასწიოს თავი, გინდ ძაღლის სიმალლისა იყოს.

სწორედ ამ მხარეებში იჩარხებოდა ბედი მგლების ახალი წყვილისა — აკბარასი და ტაშჩაინარისა, ხოლო იმ დროისათვის — რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოველთა ცხოვრებაში — მათ უკვე ჰყავდათ თავიანთი სიყრმის შვილები, სამი ლეკვი, რომლებიც აკბარამ იმ სამახსოვრო გაზაფხულზე დაყარა მუიხუმში, იმ სამახსოვრო ბუნაგში, იალღუნის ნახევრად გამხმარი კორომის მახლობლად ძირგამორეცხილი ბებერი საქსაულის ქვეშ რომ შეარჩიეს. კომპრომიზი მოსახერხებელი იყო ლეკვების საწვრთნელად გაყვანა. ლეკვებს უკვე გამაგრებული ჰქონდათ ყურები, თითოეული მათგანს თავის ზნეს იძენდა (თუმცა ერთმანეთთან თამაშის დროს ყურები ისევ ლეკვურად ელურსებოდათ), ფეხებშიც საკმაოდ ძალან გრძობდნენ და მშობლებს დაუკითხავად სულ უფრო ხშირად მისდევდნენ კვალდაკვალ დიდსა და მცირე ლაშქრობებში.

მცირე ხნის წინათ ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობისას, როცა მთელი დღე-ღამე იყვნენ მოცილებულნი ბუნაგს, მგლებს კინაღამ მოულოდნელი უბედურება დაატყდათ თავს.

იმ სისხამ დილით აკბარამ ლეკვები მუიხუმის სავანის შორეულ განაპირა ადგილას წაიყვანა, სადაც ტრამალის სივრცეებზე, განსაკუთრებით მივა-რდნილ ხეებებსა და ღრანტეებში, იზრდებოდა ღეროიანი ბალახი, რომლისთანაგულისწამლები, მომაჯადოებელი სუნი არაფერს არ ჰქონდა. თუ ამ მაღალ ბალახეულში დიდხანს იტრიალებდი და ყვავილის მტვერს შეისუნთქავდი, თავდაპირველად ისეთი შეგრძნება გაგიჩნდებოდა, თითქოს უჩვეულო სიმსუბუქით მოძრაობდი, მიწას მოწყვეტილი სიამით დასრიალებდი, შემდეგ კი ფეხები გიდუნდებოდა და ძილი გეძალებოდა. აკბარას ეს ადგილები პატარაობიდან ახსოვდა და აქ წელიწადში ერთხელ, ბანგ-ბალახის ყვავილობის დროს მოდიოდა. გზადაგზა ტრამალის წვრილ-წვრილ ცხოველებზე ნადირობდა ხოლმე, უყვარდა დიდ ბალახში ოდნავ გაბრუება, ბალახის სუნში კოტრიალი, სირბილში სიმსუბუქის შეგრძნება და შემდეგ დაძინება.

ამჯერად აკბარა და ტაშჩაინარი უკვე მარტო არ ყოფილან, უკან მოსდევდათ უშნოდ ფეხბაყლანწული სამი ლეკვი. ლეკვებს რაც შეიძლება მეტი რამ უნდა გაეგოთ ლაშქრობებისას, პატარაობიდანვე შეჩვეოდნენ თავიანთ მომა-

ვალ სამფლობელოებს. სურნელოვანი მდელოები, რომელთა გასაცნობად მოპყავდა ძუ მგელს ლეკვები, ამ სამფლობელოთა განაპირას მდებარეობდა. შემდეგ იშლებოდა სხვა, თვალუწვდენელი სამყარო, მგლების მტრული სამყარო, სადაც შეიძლებოდა ადამიანები შეხვედროდათ, საიდანაც დროდადრო ორთქლმავლების შემოდგომის ქარების ზუზუნის მაგვარი ხანიერი კეჭილე ადგილდა აკბარა ახლა აქეთ სავანის ამ მხარეს მოუძღვებოდა თავის ტაშჩაყინს და ლეკვებს.

აკბარას უკან ტაშჩაყინარი მოძუნძულებდა, ლეკვებს ძალა მოსჭარბებოდათ და ანცად დაქროდნენ, სულ ცდილობდნენ წინ გამხტარიყვნენ, მაგრამ ძუ მგელი თვითნებობის უფლებას არ აძლევდა — მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რომ ბილიკზე მის წინ ფეხის დადგმა არავის გაეებდა.

თავდაპირველად საქსაულითა და ავშანიით დაფარული ქვიშნარი ადგილები ხვდებოდათ. მზე სულ უფრო მაღლა მიიწევდა და ეს, როგორც ყოველთვის, ნათელი, ცხელი ამინდის დადგომას მოასწავებდა, მგლების ოჯახი სალამო ხანს უკვე სავანის განაკიდეს მივიდა. მივიდა სწორედ დროზე — დღე-ღამის გაყრამდე. წლეულს ბალახი ისე მაღალი გაზრდილიყო, მოწიფულ მგლებს თითქმის ქეჩომდე სწვდებოდა. მთელი დღე ცხელ მზეზე გამთბარი, ბუსუსე-ბიან ლეროებზე გამოსხმული უთვალადო ყვავილები მძაფრ სუნს გამოსცემდნენ, განსაკუთრებით, ერთიანად გაბარდნილ ადგილებში, მგლებმა ხანიერი გზის შემდეგ ღრანტეში შეისვენეს. მოუსვენარმა ლეკვებმა კი დასვენების მაგიერ სირბილი დაიწყეს. ყველაფერს ყნოსავდნენ, აკვირდებოდნენ, რაც მათ ყურადღებას იზიდავდა. აქ მგლები, შესაძლოა, მთელი ღამე დარჩენილიყვნენ, მით უმეტეს მაძღარნი და დარწყულებულნი იყვნენ — გზად რამდენიმე ზაზუნა და კურდღელი მოინადირეს, უამრავი ბუდე დაანგრეს, ხოლო წყურვილი ხევის ძირას წყაროზე მოიკლეს, მაგრამ ერთმა განსაკუთრებულმა ამბავმა აიძულა სასწრაფოდ გასცლოდნენ ამ ადგილებს, შინ გაბრუნებულიყვნენ, სავანის სიღრმეში ბუნაგისკენ წასულიყვნენ. მთელი ღამე მოდიოდნენ.

აი, რა მოხდა იმ სალამო ხანს: როცა ბანგ-ბალახის სუნით გაბრუნებული აკბარა და ტაშჩაყინარი ბუჩქების ძირას გაიშხლართნენ, მახლობლად ადამიანის ხმა გაისმა. ადამიანი ჯერ ღრანტეს მაღლა მოთამაშე ლეკვებმა დაინახეს. ლეკვებს ფიქრადაც არ მოსვლიათ და არც შეეძლოთ ევარაუდათ, რომ მოულოდნელად გამოჩენილი არსება ადამიანი იყო. თითქმის შიშველი მავანი სუბიექტი (მას მხოლოდ ამოსაკვრელი ემოსა და შიშველ ფეხებზე კედი ეცვა, თავზე ოდესღაც თეთრი, მაგრამ ახლა უკვე გვარიანად გაზინთული პანამა ერურა) იმავე ბალახში უცნაურად დარბოდა. ხშირ ბალახნარს ირჩევდა და გამუდმებით წინ და უკან გარბი-გამორბოდა გიყვივით, თითქოს ეს სიამოვნებას ჰკვრიდა. ლეკვები პირველად გაიტრუნენ — საგონებელში ჩავარდნენ, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ კიდევაც, რადგან ასეთი რამ არასდროს ენახათ. შემდეგ გული მოიციეს, ცნობისმოყვარეობაც ველარ დაიოკეს და თამაში მოუხდათ ამ მოსამართი სათამაშოსავით მორბენალ უცნაურ, არნახულ ტიტველ ორფეხა მხეცთან. ახირებულმა კაცმაც შეამჩნია ლეკვები და, რაც ყველაზე საკვირველია, იმის მაგივრად, რომ გაფაციცებულიყო, ეფიქრა, აქ უცებ რატომ გაჩნდნენ მგლები, ლეკვებთან მივიდა და აღერსიანად გაუწოდა ხელები.

— ერთი ამათ შეხედე, ვინ არიან ესენი? — ამბობდა აქოშინებული და სახეზე ოფლს იწმენდდა. — მგლის ლეკვები არიან, თუ თავბრუ დამეხვა და მეჩვენება? აჰ, არა, სამია, მერედა, რა ლამაზები, რა ღიღები არიან უკვე! აჰ, ჩე-

მო მხეცუნებო! საიდან მოხვედით და საით გაგიწევიათ? რას აკეთებთ აქ? მე ეს-
მაკმა გადმომაგდო, თქვენ კი რამ მოგიყვანათ ამ ტრამალებში, ამ წყეულ ბა-
ლახში? აბა, მოდით ჩემთან, მოდით, ნუ გეშინიათ! ჰაიტ, თქვე ჩერჩეტო
მხეცუნებო!

უგუნური ლეკვები მართლა დაჰყენენ კაცის ალერსს. პატარა, აქედანვე — ტი-
ცინებდნენ, ანცად გაეკვრნენ მიწას და კაცთან მიხობდნენ, სუბტაქსირებით
გასჭიბრებოდნენ მას, მაგრამ ამ დროს ღრანტედან აკბარა ამოვარდა, უმაღ-
იგრძნო საფრთხე, ყრუდ დაიღმუვლა და ტრამალის მიწურვილი მზის სხივე-
ბით ვარდისფრად განათებულ შიშველი კაცისკენ გაიჭრა. ცქაფ და, შუანებით
ყელს გამოლადრავდა, ან მუცელს გამოფატრავდა. გააფთრებით გამოვარდნილი
მგლის დანახვაზე კაცი მთლად გამოლენჩდა, ჩაცუცქდა და შიშით თავზე ხე-
ლები იტაცა. სწორედ ამან გადაარჩინა. აკბარამ სირბილში რატომღაც განხ-
რახვა შეიცვალა და გადაახტა კაცს — შიშველსა და უმწეოს — რომელიც
შეიძლება ხელად მიესიკვდილებინა. გადახტომისას დაინახა მისი სახის ნაკვ-
თები, შემზარავი შიშით გაქვავებული თვალები, იგრძნო მისი სხეულის სუნი.
გადახტა. მოტრილდა და ახლა იმ მხრიდან გადმოევილო, შემდეგ ლეკვებს მიე-
ჭრა და დაიფრინა, მწარედ კბენდა კულზე, ღრანტისკენ მიერეკებოდა. ღრანტის
პირზე ტაშჩაინარს შეეჩეხა, რომელსაც კაცის დანახვაზე ქერო საშინლად აძა-
გვროდა. აკბარამ უკბინა ხვადსაც, ისიც მოაბრუნა, შემდეგ ყველანი ჩგროდ
ჩაცვივდნენ ხევში და თვალის დაბამხამებაში გაქრნენ...

ამ დროსლა მოეგო გონს ის შიშველი, ახირებული კაცი და მოკურცხლა...
დადხანს გარბოდა ტრამალში უკან მოუხედავად და სულმოუთქმელად...

ეს იყო აკბარას და მისი ოჯახის პირველი უცაბედი შეხვედრა ადამიანთან...
მაგრამ ვის შეიძლება სცოდნოდა, რას მოასწავებდა ეს შეხვედრა...

დღე იწურებოდა და ჩამავალი მზის, მთელი დღის მანძილზე გახურებული
მიწის უღმობელი ალხი უნელდებოდა. მზე და ტრამალი მარადიული სიდიდე-
ებია: მზის მიხედვით იზომება, რაოდენ დიდია ტრამალი, მზით განათებული
სივრცე. ხოლო ტრამალის თავზე გადმოხურული ცა იზომება იმით, რა სიმაღ-
ლეზე იჭრება ძერა. იმ საღამო ხანს მუინყუმის სავანის თავზე ბოლოთეთრა
ძერების მთელი გუნდი ბოინობდა. ისინი უმიზნოდ და თავდავიწყებით ლივლი-
ვებდნენ, ფრენდნენ, მხოლოდ იმისათვის, რომ სურდათ ეფრინათ ყოველთვის
გრილ ფოშფოშგადაფენილ უღრუბლო სიმაღლეზე. ერთი მეორის კვალდაკვალ
ერთი მიმართულებით წრეზე ტრიალებდნენ, თითქოსდა, ამით სიმბოლურად
გამოხატავდნენ ამ მიწისა და ამ ცის მარადიულობას და სიმყარეს. ძერები არა-
ვითარ ხმას არ გამოსცემდნენ. მდუმარედ დასცქეროდნენ იმას, თუ რა ხდე-
ბოდა იმ წამს ძირს, მათ ფრთებქვეშით. ეს არისტოკრატიული მტაცებლები
ყოვლისმწვდომი მხედველობის წყალობით, სწორედ მხედველობის წყალობით
(სმენა მათთვის მეორეხარისხოვანი გრძნობაა) გახლდათ სავანის ციური მცხო-
ვრებნი, რომლებიც ცოდვილ მიწაზე მხოლოდ საზრდოსთვის და ღამის გასა-
თევად ეშვებოდნენ.

ალბათ იმ წუთს, იმ თვალებშეუწვდომი სიმაღლიდან ძერები როგორც ხელის-
გულზე, ისე ხედავდნენ ხვადსა და ძუ მგელს, პატარა ბორცვზე მიმოფანტულ
იალღუნის ბუჩქებსა და ჩინური ვაციწვერას ოქროსფერ ბარდნარში მიმოფან-
ტულ სამ ლეკვს. მგლის ოჯახის ყველა წევრს ენა გადმოეგდო და ბორცვზე ის-
ვენებდნენ. აინუნში სულაც არ იყვნენ, რომ ციური ფრინველნი უთვალთვა-
ლებდნენ. ტაშჩაინარი ნახევრად ჩამოწოლილიყო თავის საყვარელ პოზაში —

წინ თათები გადაეჭვარდნებინა, ხოლო თავი წამოეწია, მას ძალუმი ქეჩო ჰქონდა, ძვალმსხვილი იყო და ტანშიმე, რითაც ყველაგან გამოიჩინა. ტან-ჩაინარის გვერდით ძუ მგელი აქბარა დაუხეცულყო, მსხვილი ძუ კედი აეწია და რაღაცით ქანდაკებას ჰკავდა, იგი მყარად დაურდნობოდა მუწას სწო-რი, დაძარღვული თათებით, თეთრად მჩინარი მკერდი და მუწას მსხვილი, რომელზედაც ორ რიგად ჰქონდა ჩამწკრივებული ახლა უკვე მომჩვარული დვრილები, ხაზს უსვამდნენ მისი ბარკლების ძარღვიანობასა და ძალას, ლეკვები კი იქვე ტრიალებდნენ, მათი დაუდგრომელობა, აბეზარობა და სიანცე მშობ-ლებს არ აღიზიანებდა, ზეადიცა და ძუც არაფერს უშლიდნენ: ილაღონ-ინა-ვარდონო.

ძურები კი ისევე ბოინობდნენ და ისევე ვულგრილად დასცქეროდნენ, რა ხდებოდა ქვემოთ მუჩნყუმში მიმწუხრზე, მგლებისა და ლეკვების მახლობლად, ოღონდ განზე, იალღუნის წარაფში საიგები ძოვდნენ, ისინი ბევრნი იყვნენ, იალღუნებში გაბნეული დიდი ჯოგი თითქმის მგლების გვერდით, მაგრამ კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ჯოგის მოშორებით ძოვდა, იერებს ტრამალის ანტი-ლოპები არ აინტერესებდათ, თორემ ათობით კილომეტრზე გადაჭიმული სავა-ნის მაცქერალნი დარწმუნდებოდნენ, რომ აქ აუარებელი, ასობით და ათასო-ბით საიგა ბინადრობდა, რადგან ისინი მათთვის ბარაქიან ამ ნახევრად უდაბნო არეალში ოდითგან აურაცხელნი იყვნენ, საიგები საღამო ხანის სიცხის განე-ლებას უცდიდნენ და ღამლამობით მიდიოდნენ ხოლმე დასარწყულეზლად სა-ვანაში ფრიად იშვიათი და ტენის შორეული წყაროებისკენ, ცალკეულმა ჯგუ-ფებმა კი ახლაც გასწიეს იმ მხარეს და უფრო და უფრო აჩქარებდნენ ფენს, რადგან დიდი მანძილი უნდა გაეცლოთ.

ერთი ჯოგი ისე ახლო მიიწევდა მგლების ბორცვის გვერდით, ვაცოწვერას სინათლეგალანდულ ბალახში ცხადად ჩანდა საიგების სწრაფად მიმქროლავი ფერდები და ზურგები, ხარსაიგების პატარარქებიანი ოდნავ დაბრილი თავები, საიგები ყოველთვის თავდახრილნი მოძრაობენ, რითაც თავს არიდებენ ჰაერის ზედმეტ წინააღმდეგობას, ავი ყოველ წუთს მზად იყვნენ გასაქცევად, ასე მოა-წყო საიგების ცხოვრება ბუნებამ ევოლუციის ქამს, სირბილი მათი მთავარი უპირატესობაა, ყოველ საფრთხეს გაქცევით აღწევენ თავს, მაშინაც კი, როცა არაფერი აშინებთ, ჩვეულებისამებრ დაოთხილი მირბიან, თან დინჯად, დაუცხ-რომლად და მტკიცედ, მგლების გარდა გზას არავის უთმობენ, რადგან მრავალ-რიცხოვანი არიან, საიგების ძალა კი მრავალრიცხოვნებაა.

ახლა საიგები ბუჩქებში დამალული აქბარას ოჯახის გვერდით მიიწევდნენ და კვალდაკვალ ჯოგის სუნითა და ჩლიქებქვემოდა ავარდნილ მტვრით აღვსე-ბულ ქარს აყენებდნენ, ბორცვზე მყოფი ლეკვები აღელდნენ, ინსტინქტურად აწრიალდნენ, სამივე დაძაბულად ყნოსავდა ჰაერს, ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, მაგრამ გასაქცევად იწევდნენ იმ მხარეს, საიდანაც აღწევდა ჯოგის ეს ამაღელვებელი სუნი, ძალიან უნდოდათ, შევარდნილიყვნენ ვაცოწვერას ბარდნარში, რომელშიც უამრავი საიგა წამისწამად ბუნდოვნად ილანდებოდა, მგლებს — მშობლებს — აქბარას და ტამჩაინარს კი ყურისც არ გაუბარტყუ-ნებიათ, თუმცა ზუსტად ორი ნახტომით შეეძლოთ იქვე მიმავალი ჯოგის გვე-რდით გაჩენილიყვნენ და გააფთრებით, თავაწყვეტით დასდევნებოდნენ, საი-გებისთვის ძალ-ღონე გამოეცლიათ იმ ერთიან სრბოლაში, სიკვდილის ზღვარ-ზე გაჩაღებულ იმ სრბოლა-შეჭიბრში, როცა გგონია, რომ მიწა და ცა თავდა-ყირა დგება, სადღაც მკვეთრ მოსახვევში ხერხი ეხმარათ და ერთი-ორი ან-

ტილობა ძირს დაენარცხებინათ. ამას რა უნდოდა, მაგრამ შესაძლოა არ გამართლებოდათ, ვერ დასწეოდნენ მახვერპლს, ასეც ხდებოდა. როგორც უნდა ყოფილიყო აკბარას და ტაშჩაინარს არც უფიქრიათ საიგების გამოდევნება, ანუ განძრეულან, თუმცა შეიძლება ითქვას, ნადავლი თითქოს თვითონ უვარდებოდათ ხელთ. საამისო მიზეზი ჰქონდათ — იმ დღეს მადღრები იყვნენ მარცხნივ და მარჯვნივ გონარ სივსეში კუჭგამოტენილნი რომ გააფთრებით გამოსდევნიდნენ ხელთებულ საიგებს, სიკვდილი არ ასცდებოდათ. მთავარი კი მაინც სხვა რამ გახლდათ: ლეკვებს ჯერ არ დასდგომოდათ ამგვარი ნადირობის ეამი, სრბოლაში სუნთქვა შეეკვრებოდათ და მიზანს ვერ მიაღწევდნენ, სული დაუკუტდებოდათ, შემართების სურვილს დაკარგავდნენ, სითამამე გაუქრებოდათ. ზამთარში, ნადირის დიდი გამორეკვის სეზონში კი — აი, როცა ძალას შეიმატებდნენ, ხოლო იმ დროისათვის უკვე თითქმის ერთი წლისანი იქნებოდნენ, — შეეილებოდათ თავი გამოეცადათ, შეეძლებოდათ დარწმუნებულიყვნენ თავიანთ გამძლეობაში, შეეილებოდათ საქმეს ზიარებოდნენ. მანამდე არ ღირდა ფუთფუთი. ო, ის კი მართლა დიდებული ეამი იქნებოდა!

აკბარა ოდნავ განზე გაუხტა მონადირული აღტყინებითა და მოუთმენლობით აღსავსე ლეკვებს, რომლებმაც თავი შეაწყინეს, სხვა ადგილას დაყუცდა და კვლავინდებურად თვალჩააციებით გააყოლა მზერა დასარწყულელად მიმავალ ანტილოპებს, ვერცხლისფერ ვაციწვერებში ისე რომ მისრიალებდნენ გვერდიგვერდ, როგორც ტოფობის დროს თევზები მდინარის სათავისკენ — სულ ერთ მხარეს და სულ ერთმანეთის ალი-კვალნი. ოღონდ აკბარას მზერაში გამოსჭვიოდა თავისებური აზრი: დაე, ახლა გაგვეცალონ საიგები, დადგება დრო და სავანის არც ერთი სულიერი აქედან ფეხს არსად გაადგამსო. ხოლო ლეკვები ახლა მამას უწუხებენ გულს, პირქუში ტაშჩაინარის გამოფხიზლებას ცდილობდნენ.

აკბარამ უცვებ წარმოიდგინა ზამთრის პირი, დიდი ნახევარუდაბნო, ერთ მშვენიერ დღეს. განთიადისას ერთიანად გადათეთრებული ახალმოსული თოვლით, თოვლით, რომელიც მიწაზე მთელი ან ნახევარი დღე რჩება და მგლებს დიდი ნადირობის დაწყებას ანიშნებს. იმ დღიდან საიგებზე ნადირობა მგლების მთავარ საქმედ იქცევა. დიახ, დადგება ის დღე! აკბარამ ისე ცხადად წარმოიდგინა ძირს გაშლილი ბური, შეჭირხლული, თეთრი, ნაღვლიანი ვაციწვერები, თოვლის სოსურმით მოხრილი იალღუნის მცირე ბუჩქები და სავანაზე გადმომდგარი მონისლული მზე, უნებლიეთ შეტოკდა, თითქოს უცაბედად სუსხიანი ჰაერი ჩაესუნთქა, თითქოს თათების ყვავილთა თანავარსკვლავედივით შეკრული, მკვრივი ბალიშები წაძგიბულ თოვლზე დაადგა და სრულიად გარკვევით წაიკითხა თავისი ძალუმი ნაკვალევიცა და უკვე წამოზრდილი, მოლონიერებულ ლეკვებისაც, რომელთაც უკვე განსაზღვრული ჰქონდათ თავიანთი მიდრეკილებანი და რომელთა ეს მიდრეკილებანი შეიძლებოდა მათივე ნაფუხურების მიხედვით გამოეცნო, წაიკითხა იქვე დაჩნეული დიდი ანაბეჭდები ტაშჩაინარისაც — ბუდიდან ოდნავ გამოყოფილი ნისკარტებივით ბრჭყალებიანი ძალუმი ყვავილელები. ტაშჩაინარის თათები ყველაზე ღრმად და ყველაზე ძლიერ ჩახნექენ თოვლს, ვინაიდან იგი ბრგვა, ცოტა არ იყოს, მძიმე ლაბაბი აქვს; იგი ძალაა, ანტილოპების ყელში ელვის უსწრაფეს გაელვებულ დანაა და ყოველი განგმირული საიგა სავანის თეთრ თოვლს ალისფერი სისხლის ნაკადით შეღებავს, როგორც ფრინველი ცხელი წითელი ფრთების აქნევით, რათა იცოცხლოს მეორე სისხლმა, დაფარულმა მგლების რუხ ტყავში. ვინაიდან მათი სისხლი

სხვა სისხლის ხარჯზე ცხოვრობს — ასე დააწესა ყოველივე საწყისის საწყისმა. სხვა წესი არ იქნება და აქ არაეინაა მსაჯული, რაკი აქ არც უღანაშაულონი არიან, არც დამნაშავენი. დამნაშავეა მხოლოდ ის, ვინც ერთი სისხლი მეორისთვის შექმნა (მარტოოდენ ადამიანს ხვდა წილად სხვა ხვედრი: აქური მოიპოვოს შრომით და ხორცი გამოზარდოს შრომით — თავისი თავისთვის შექმნას ბუნება).

უჩინესული

ხოლო მუიწყუმის პირველ თოვლზე დაჩნეული ის ანამეცლები მგლები უვავილელები, დიდები და მათზე ოდნავ პატარები, ძირს გაშლილ ნისლში გვერდიგვერდ გაიბაწრებიან და ქარს მოფარებულ ღარტაფში ბუჩქებს შორის შეჩერდებიან — მგლები აქ შეიცდიან, მიიხედ-მოიხედავენ, და დატოვებენ იმათ, ვინც საფარში უნდა დარჩეს...

მაგრამ აი, ახლოვდება ნანატრი ჟამი — აკბარა ეპარება საიგებს, რამდენზეც შეიძლება გახიხდება, თოვლზე გართხმული, გაყინულ ბალახს გაკრული, სუნთქვაშეგუბებული ისე ახლოს მიადგება მობალახე საიგებს, მათ თვალებს დაინახავს, ჯერ კიდევ უშფოთველთ, შემდეგ უეცრად დაეცემა ჩრდილივით, და დადგება მგლის ცის გახსნის ჟამი. აკბარამ ისე ცხოვლად წარმოიდგინა ის პირველი ნადირის გამორეკვა — პატარებისთვის ჩატარებული გაკვეთილი — უნებურად დაიწკმუტუნა და ძლივს შეიკავა თავი, რომ ადგილს არ მომწყდარიყო.

აჰ, რა დევნა გაჩაღდება პირველი თოვლით გადათეთრებულ სავანაში! საიგების ჯოგები თავპირისმტვრევით მოკურცბლავენ, თითქოსდა ხანძარს გაუბიანო, და თეთრ თოვლს მყის დააჩნდება მიწის შავი ნაჭრევი. ხოლო იგი, აკბარა, საიგებს კვალდაკვალ დაედევნება. აი, ყველაზე წინ მიფრინავს, მას თითქმის ფეხდაფეხ მოსდევენ ლეკვები, ჭაბუკი მგლები, სამივე სიყრმის შვილი, მისი შთამომავლობა, ქვეყნად განგების ნებით მოვლენილი ნადირობისთვის. მათ უკან კი მოქრის ტაშჩაინარი, მძლეთამძლე მამა, დაუცხრომელი მორბენალი, მხოლოდ ერთი მიზნისთვის რომ იღვწის — საიგები ისე მოქანცოს, საფარისკენ გაირეკოს და ამით ნადირობის გაკვეთილი ჩაუტაროს თავის ნაშიერებს. დიახ, ეს იქნება დაუოკებელი სრბოლა! და მომავლისკენ თვალმიპყრობილ აკბარას იმ წამს თვით ნადავლზე უფრო ის ეწადა, რაც შეიძლება მალე გაჩაღებულიყო ნადირობა და ფრთამალი ფრთოსნებივით გაფრენილიყვნენ ტრამალში ნადირს დადევნებულნი. ეგ გახლდათ მისი მგლური ცხოვრების აზრი...

ასეთი იყო ძუ მგლის ოცნებები, მისივე ბუნების მიერ შთაგონებული, ვინ იცის, შესაძლოა ზეგარდმო მოვლენილი, ოცნებები, რომლებიც მოგვიანებით მწარედ მოაგონდება, გულში ტკივილს აგრძნობინებს, ხშირად და უსაშველოდ დაესიზმრება... და მისი ყმუილი სასყიდელი იქნება იმ ოცნებებისა. ყველა ოცნების გზა ხომ ასეთია — ჯერ გონებაში ისახებიან, შემდეგ კი უმეტეს წილად იმიტომ იმსხვრევიან, რომ ზოგი ყვავილისავეით და ხესავით უფესვოდ წამოზრდა გაბედეს... ასეთია ყველა ოცნების გზა და ესაა მათი ტრაგიკული აუცილებლობა კეთილისა და ბოროტის შეცნობისას...

III

ჩამოდგა ზამთარი მუიწყუმში. ერთხელ უკვე ჩამოთოვა, ნახევარუღაბნოსთვის საკმაოდ ბარაქიანი თოვლი დადო. თოვლმა მცირე ხნით გადაათეთრა მთელი სავანა, რომელმაც იმ დილით თავისი თავი გაქვავებულ თეთრ თვა-

ლუწვდენელ ოკვანედ იხილა, სადაც სანავარდო ასპარეზი გასჩენოდათ ქარსა და ბურბურას და სადაც ბოლოს ისეთმა სიწყნარემ დაისადგურა, როგორც კოსმოსში, როგორც უსასრულოებაში იცის. ვინაიდან ქვიშებმა და რწყულებმა მოასწრეს, ხოლო დატენიანებული თაყირები¹ დაბილდნენ და სიხეშეშე გაუქრათ... ჩამოთოვამდე კი სავანას ყიყინით გადაუქროლეს ბატემა² და სიხეშეშე ისე მალლა და ხშიერად გადაუფრინეს მუინყუმის ტრამალებს³ ჩრდილოეთის ზღვებისა და მდინარეების საზაფხულო ადგილებიდან ჰიმალაის მხარეს. სამზრეთისკენ, ინდისა და ბრაჰმაპუტრას ძველისძველი წყლებისკენ მიმავლებმა, სავანის ბინადრებს რომ ფრთები ჰქონოდათ, ყველანი უკან გაჰყვებოდნენ მაგრამ თითოეულ ქმნილებას თავისი სამოთხე აქვს წინასწარ განწყობული... ტრამალის ძერებმაც კი, რომელნიც იმავე სიმაღლეზე ბოინობდნენ, იმათაც კი განზე გაიწიეს...

867

18

ზამთრისთვის აკბარას ლეკვებმა შესამჩნევად აიყარეს ტანი, ერთმანეთს აღარ ჰგავდნენ, როგორც პატარაობისას, სამივე მოუხეშავ, ასაკოვან მგლად იქცა, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ზნე ჰქონდა. ცხადია, ძუ მგელი მათ სახელებს ვერ დაარქმევდა: რაკი ღმერთმა ასე იწება, ვინ შეეწინააღმდეგებოდა. სამაგიეროდ, ადამიანისგან განსხვავებით სუნით და სხვა-საჩინო ნიშნებით აღვილად შეეძლოთ ნაშიერები ერთმანეთისგან გამოერჩია და მოეხმო. მაგალითად შეეძლოთ ნაშიერები ერთმანეთისგან გამოერჩია და მოეხმო. მაგალითად, თად, ლეკვთაგან ყველაზე ტანსრულს ტაშჩაინარივით ფართო შუბლი ჰქონდა, ამიტომაც დიდთავად აღიქვამდა; საშუალოს, რომელიც დიდთავასავით ტანსრული იყო, ამავე დროს გრძელი ფეხების პატრონი, რის გამოც მომავალში მგელმარეკი დადგებოდა. ფეხმარდად მიიჩნეოდა. მესამე კი, ზუსტად დედასავით ლურჯი თვალები და საზარდულზე მასავით თეთრი ნიშანი რომ ჰქონდა, ეს დედის ანცი რჩეული აკბარას უტყვ ცნობიერებაში თვალისჩინს ნიშნავდა. აი, ვინ იქნებოდა ხვადების განხეთქილებისა და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებების საბაბი. როგორც კი სიყვარულის ეამი დაუდგებოდა...

ხოლო ღამით მოსული პირველი თოვლი სისხამ დილას მოულოდნელი ზეიმი იყო ყველასათვის. უცნობი საგნის სუნმა და შესახედაობამ, საგნისა, რომელმაც ბუნაგის ირგვლივ მთელ მიდამოს სახე უცვალა, თავდაპირველად შეაკრთო ლეკვები, შემდეგ მათ თოვლი მოეწონათ და დაბზრიალდნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ სირბილში, ფართხალებდნენ თოვლში, ფრუტუნებდნენ, სიამოვნებისგან წკმუტუნებდნენ. ასე დგებოდა აკბარას სიყრმის შვილებისთვის ის ზამთარი, რომლის დამლევს უნდა განშორებოდნენ დედა მგელს, მამა მგელს და ერთმანეთს, განშორებოდნენ. რათა ყოველ მათგანს ახალი ცხოვრება დაეწყო.

სალამოს ისევ ჩამოთოვა და დილას, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე, ტრამალში უკვე სინათლე იდგა, ჰაერი გამჭვირვალე იყო, როგორც დღისით. ყველგან სიმშვიდეს და სიწყნარეს დაესადგურებინა და მძაფრმა შიმშილმა ზამთარის ჩვეულებისამებრ კუჭი აუწვა ყველას. მგლების ხროვა მიდამოს აყურადებდა — დრო იყო საშოვარზე წასვლისა, საზრდოს მოპოვებისა. აკბარა საიგებზე სანადიროდ თანამზრახველთ ელოდა სხვა ხროვებიდან. ჯერჯერობით კი არავინ ეხმიანებოდა. ყველა აყურადებდა და ელოდა იმ ნიშნებს. აი, დიდთავას სული კბილით უჭირავს, დაძაბული წამოყუნცულა, ჯერ კიდევ არ იცის, რა

1. თაყირები -- მცენარეულ საფარს მოკლებული აწორი. თიხოვანი სივრცე.

საქ. ასპ. კ. (არქივი)

სიძნელე ახლავს ნადირობას, ფეხმარდიც მზადაა. თვალისჩინი ლურჯ თვალე-
ბში შესცქერის დედას, მის მზერაში ერთგულება და გამბედაობა გამოსჭვი-
ვის. იქვე ოჯახის მამა — ტაშჩაინარი მიდი-მოდის. ყველა ელოდა, რას ბრძა-
ნებდა აკბარა. მაგრამ მათ კიდევ ჰყავდათ უმაღლესი მეფე-მეფე-მეფე-მეფე-მიმწი-
ლი, მეფე ხორცის დაამინებისა.

აკბარა წამოდგა და გაძუნძულდა. რადგან ლოდინის დრო აღარ იყო.
ყველანი მას მიჰყვნენ.

ყველაფერი დაახლოებით ისე იწყებოდა, როგორც ძუ მგელს ეზმანებოდა.
როცა ლეკვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. და აი, დადგა დრო ჯგუფურად
ნადირობისა ტრამალში. გავა კიდევ მცირე ხანი და მარტოხელა მგლები აცივე-
ბასთან ერთად მგელთა არტელში გაერთიანდებიან და ზამთრის მიწურულამდე
ერთად ინადირებენ.

აკბარას და ტაშჩაინარს კი თავიანთი პირმშონი უკვე გამოსაცდელად, საი-
გებზე სანადიროდ მიჰყავდათ. ეს იყო მათი ნაშიერების პირველი დიდი ნადი-
რობა.

მგლები ტრამალში ისე მიიწევდნენ, სადაც როგორ მოუხერხდებოდათ, ხან
ნაბიჯით მიდიოდნენ, ხან ძუნძულით და იმ ფეხდაუჯარებ თოვლზე ნადირის
კვალის ყვავილებს აღბეჭდავდნენ, როგორც ნიშნებს ძალისას და მტკიცე ნე-
ბისყოფისას, ალავ მოხრილნი მილაწლაწებდნენ ბუჩქებში, ალავ ჩრდილები-
ვით სხლტებოდნენ. ახლა ყველაფერი მხოლოდ მათზე და მათ იღბალზე იყო
დამოკიდებული...

აკბარა გზად ერთ ბექზე აიჭრა, რათა ირგვლივ მიმოეხედა, გაირინდა. ლუ-
რჯი თვალეები შორეთს ჩააბეჭდა და ქარმოყოლილ ათასგვარ სუნს ყნოსვით
გარჩევა დაუწყო. იღვიძებდა დიადი სავანა, თვალის მისაწვდენზე, ნისლში საი-
გების ჯოგები — ერთწლიანი მოზარდეულის დიდი ჯგუფები ილანდებოდა. ასე-
თი მოზარდეული ამ დროს ანალ ჯოგებს ქმნის. წლევიანდელი წელი საიგების-
თვის დიდი ნამატის წელი იყო, მაშასადამე, ხელსაყრელი წელი მგლებისთ-
ვისაც.

ძუ მგელი ვაციწვერათი დაფარულ ბექზე ცოტათი მეტ ხანს შეყოვნდა:
ახლა ნადი გზა უნდა აერჩია — ქარის მიხედვით გაერკვია, რომელ მხარეს
სწორედ ამ დროს საიდანაც — გვერდითა მხრიდან და ზემოდან უცნაუ-
რი გრიალი მოისმა და ტრამალს გუგუნნი მოედო, მაგრამ იგი არაფრით არ
კვავდა მეხის დას, სრულიად უცხო იყო, სულ უფრო ძლიერდებოდა და ძლი-
ერდებოდა. ტაშჩაინარმა თავი ვერ შეიკავა და თვითონაც აიჭრა ძუ მგელთან.

უცებ ორივემ შიშის უკან დაიხია — ცაზე რაღაც ხდებოდა, ცაზე რაღაც არ-
ნახული, საზარლად მიუხერხებელი ფრინველი გამოჩნდა: იგი ოდნავ გვერდულად
ფრინველი მოჰყვებოდა, შემდგომ სავანის თავზე, მოშორებით კიდევ ერთი მისთანა
ნელა მიწყდა. ფრინველები შვეულმფრენები გახლდათ.

ამრიგად, მუინყუმის ცა ორს- შვეულმფრენმა ისევე უკვალოდ გადასერა,
როგორც თევზები ცურავენ წყალში, მაგრამ ამით არც მალა, არც დაბლა
არაფერი შეცვლილა, თუ არ ვიგულისხმებთ იმას, რომ ეს საჭაერო დაზვერვა
იყო, რომ ეთერში იმ წუთებში გადაიტყუებოდა მფრინავების რადიოცნობა, თუ
რა ნახეს და სად, რომელ კვადრატებში, როგორია ყველგანმავლებისა და მისა-
ბმელიანი სატვირთო მანქანების მისასვლელი გზები მუინყუმში.

მგლებს კი აბა რა გაეგებოდათ, წუთიერი ძრწოლის შემდეგ უმაღლესად გადავიწყდათ შვეულმფრენები და ისევ გაძუნძულდნენ ტრამალში საიგებეს მიჯნებისკენ, ბაიბურში არ იყვნენ, რაკი საამისო უნარი არ გააჩნდათ, რომ სავანას ყველა ბინადარი უკვე შეათვალთვალეს, უკვე მონიშნეს რუკაზე დახომრილ კვადრატებში და მასობრივად გაელეტდნენ, რომ მათი განადგურება უკვე დაწყებული, კოორდინირებული იყო და მათკენ უკვე მოქროდა ურიცხვო მარცხი და თვალზე ამხედრებული სიკვდილი...

აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ ტრამალის მგლებს, რომ მათი ოდინდელი საზრდო — საიგები — ხორცის ჩაბარების გეგმის შესავსებად სჭირდებოდათ, რომ „განმსაზღვრელი წლის“ ბოლო კვარტალში ოლქში ფრიად ნევროზული მდგომარეობა შეიქმნა — „ხუთწლედის გეგმას ვერაფერს უშვებოდნენ“ და საოლქო სამმართველოს ვილაც გერგილიანმა მუშაკმა უცებ წინადადება წამოაყენა მუინყუმის ხორცის რესურსები „აემოქმედებინათ“. იდეის არსი ასეთი გახლდათ: მნიშვნელოვანი არა მარტო ხორცის წარმოება, არამედ ხორცის ფაქტიური ჩაბარება, ესაა ერთადერთი გზა, რომ სირცხვილი არ ჭამონ ხალხისა და მომთხოვნი ზემდგომი ორგანოების წინაშე. საიდანა უნდა სცოდნოდათ მათ, ტრამალის მგლებს, რომ ცენტრებიდან რეკავდნენ ოლქში. ვითარება მოითხოვდა, თუნდაც მიწაში ჩამივრალიყვნენ, მაგრამ ხორცის ჩაბარების გეგმა შეესრულებინათ; კმარა განჯლობა: ხუთწლედის დამამთავრებელი წელია, რას ვეტყვით ხალხს, სადაა გეგმა, სადაა ხორცი, სადაა ვალდებულების შესრულება?

„გეგმა უსათუოდ შესრულდება უახლოეს დეკადაში, — უპასუხებდა საოლქო სამმართველო. — ადგილებზე არის დამატებითი რეზერვები, მივეძალეებით, მოვიტხოვთ...“

ტრამალის მგლები კი იმ ეამს არაფრის ბაიბურში აო იყვნენ. შიმოსასვლელი გზებით გულმოდგინედ ებარებოდნენ სანუკვარ მიზანს ისევ თუ მგელ აკბარას წინამძღოლობით, უხმაუროდ ადგამდნენ თათებს რბილ თოვლზე, მიუახლოვდნენ უკანასკნელ საზღვარს, საიდანაც შეტევა უნდა დაწყებულიყო, და ვაციწვერების მაღალ კინტებს შორის მიიძალნენ — მათსავით თვითონაც მოწაბლისფრო კოლბოხებს ჰგავდნენ. აკბარას მგლები აქედან, როგორც ხელისგულზე, ისე ხედავდნენ ყველაფერს, იალღუნის ფართო ველზე ბალახობდა, ხარბად ძოვდა ახალდათოვლილ ვაციწვერას და ჭერჭერობით საფრთხეს ვერგრძნობდა ტრამალის ანტილოპების რიცხვმრავალი ჯოგი — ქვეყნის გაჩენიდან სულ ერთფერი, თეთრფერდებიანი, წაბლისფერქედნიანი ანტილოპები. აკბარა ჭერჭერობით იცდიდა, აუცილებლად უნდა დაეცადა, რათა ნახტომის წინ ძალა მოეკრიბათ, ყველა ერთბაშად გაჭრილიყო საფარიდან და შეუჩერებლივ გამონთებოდნენ მსხვერპლს, შემდეგ კი დევნისას გაირკვეოდა, რა ექნათ. ახალგაზრდა მგლები მოუთმენლობისგან მშფოთვარედ ატოკებდნენ კუდს, ყურებს ცქვეტდნენ, სისხლი აუღუღდა თავშეკავებულ ტაშჩაინარსაც, რომელიც მზად იყო შუანები ჩაერქო მიწვეული მსხვერპლისთვის, მაგრამ აკბარა თვალეში დაგზნებულ ცეცხლს მალავდა, ჭერ ნახტომის ნიშანს არ იძლეოდა, უფრო ნაღდ წუთს ელოდა — მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წარმატების მიღწევა: საიგები ისევ ელვისუსწრაფესად სწყდებოდნენ ხოლმე ადგილს, ამას ვერც ერთი ნადირი ვერ ახერხებდა. ამიტომ იმ წუთის შერჩევა იყო საჭირო.

უცებ თითქოს ცაზე მეხი გავარდაო, ისევ გამოჩნდნენ შვეულმფრენები. ამჯერად ძალიან სწრაფად მოფრინავდნენ და ერთბაშად დაბლა-დაბლა სახი-

ფათოდ წამოვიდნენ აფორიაქებული საიგებისკენ. საიგები შემზარავ თავდასხმას დაოთხილნი გაერიდნენ. ეს მოხდა უცბად, საოცრად სწრაფად — დამფრთხალი, გაგიჟებული ასეულობით ანტილოპა, რომლებმაც ელქაჯები და ორიენტაცია დაკარგეს, შიშის ზარმა მოიცვა, ვინაიდან ამ უწყინარ ცხოველებს ძალა არ შესწევდათ მფრინავ ტექნიკას წინ აღდგომოდნენ. შვეულმფრენებს კი ზუსტად ეს უნდოდათ — ოტებული ჯოგი მიწას გააკრეს, წინ გასწორეს, შემდეგ მეზობლად მყოფ სხვა ასევე მრავალრიცხოვან ჯოგს შეაჯახეს და აი, ასე, სულ ახალ და ახალ შემხვედრ ჯოგებს ატებდნენ თავს. მუიწყუმში დატრიალებულ ამ მეორედ მოსვლას, თავგზას ურევდნენ შიშის ზარით მსრბოლავ ტრამალის უამრავ ანტილოპას, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა სავანის წყვილჩლიქოსან ბინადართა უბედურებას, რომლის მსგავსიც მათ არასდროს არაფერი განუცდიათ. და არა მარტო წყვილჩლიქოსნები, მგლებიც, მათი განუყრელი თანამგზავრები და მარადიული მტრებიც ასეთივე დღეში აღმოჩნდნენ.

შვეულმფრენების ეს შემზარავი თავდასხმა აკბარას და მისი ხროვის თვალწინ მოხდა. მგლები ჯერ გაირინდნენ, შიშისგან ვაციწვერას ფესურებს შეენივთნენ, მაგრამ შემდეგ თავი ველარ შეიკავეს და ამ წყეული ადგილიდან მოძურწეს. მგლები უნდა გამჭრალიყვნენ, გაეკურცხლათ, სადმე უზიფათო ადგილას გადახვეწილიყვნენ, მაგრამ სწორედ რომ ვერ გადაიხვეწებოდნენ მათ შორს გაქცევა ვერ მოასწრეს, უცებ მიწა ისე შეირყა და აგუგუნდა, როგორც გრიგალის დროს იცის — შვეულმფრენების მიერ ტრამალში საჭირო მიმართულებით ოტებული ურიცხვი საიგა საშინელი სისწარფით მიილტვოდა მგლების კვალდაკვალ. მგლებმა ვერც განზე გადახვევა მოასწრეს, ვერ მიმალვა, ღრუბელივით წამოგრაგნილი, ყოვლის შემმუსვრელი, უკნიდან წამოწეული ვეება ცოცხალი ნაკადის გზაზე აღმოჩნდნენ და, წამით რომ შეჩერებულყვნენ, უეჭველად გადათქერავდნენ, გადაქელავდნენ საიგების ჩლიქები, ისე სწრაფად მოქროდა ცხოველთა ეს შეუპოვარი, ერთიანად თავგზააბნეული სტიქიონი და თუ ცოცხალნი გადარჩნენ, გადარჩნენ იმიტომ, რომ ნაბიჯს არ მოუკლეს, პირიქით, შიშისგან სულ უფრო მოუჩქარეს და ახლა თვითონ აღმოჩნდნენ ტყვეობაში, ამ დიდი ოტების გულში, დაუჭერებელი და წარმოუდგენელი ოტებისა — თუ ჩავუკვირდებით, — მგლები ხომ თავს შეელიდნენ თავიანთ მსხვერპლთან ერთად, რომლის დასაგლეჯად და დასანაკუწებლად ეს წუთია მზად იყვნენ. ახლა კი თავად გაურბოდნენ საერთო საფრთხეს საიგების მზარდამზარ, ახლა ისინი თანასწორნი იყვნენ უღმობელი ბედის წინაშე. ამას — მგლები და საიგები რომ ერთად გარბოდნენ — სავანა ტრამალის დიდი ხანძრების დროსაც არ მოსწრებია.

აკბარამ რამდენჯერმე სცადა ოტებულთა ნაკადიდან გამომხტარიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო — შესაძლოა გვერდიგვერდ მომქროლავ ასეულობით ანტილოპას გადაეთქერა. ამ გააფთრებულ სასიკვდილო დაოთხილ რბოლაში აკბარას მგლები ჯერ კიდევ ჯგუფურად მიიწევდნენ და აკბარას საშუალება ჰქონდა, მათთვის თვალი მოეკრა — აი, ისინი, მისი პირველი ნაშიერნი, შიშისგან თვალგადმოკარკლულნი, ანტილოპებს შორის არიან, განწირულნი სისწრაფეს უმატებენ, აი, დიდთავა, აი, ფეხმარდი, მათ ძლივს ეწევა, სულ უფრო სუსტდება თვალისჩინი. შვილებთან ერთად თვითონ მისი ტაშჩაინარიც, მუიწყუმის რისხვა ტაშჩაინარიც თავზარდაცემული მირბის. განა ამაზე ოცნებობდა ლურჯთვალა ძუ მგელი? დიდი ნადირობის ნაცვლად საიგების ჯოგში მორბიან, ძალა არ შესწევთ რამე იღონონ, საიგები ისე მოაქროლებენ, როგორც მდინარე

ნაფოტს... პირველად თვალსჩინი დაიღუპა. ჯოგმა გადათქერა, მხოლოდ წკმუ-
ტუნი გაისმა და ისიც წამში ჩაახშო ათასობით ჩლიქის თქარუნმა...

ხოლო მარეკი შვეულმფრენები საიგებს ორი მხრიდან მოჰყვებოდნენ. რა-
ციით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, კოორდინაციას ადგენდნენ, თქმულთ
თვალს ადევნებდნენ, რომ აქეთ-იქით არ გაფანტულიყვნენ, კიდევ უფრო დასწრ-
ვებოდათ სავანაში ჯოგების დევნა, და სულ უფრო მეტად უნერგებდნენ
საიგებს, აიძულებდნენ უფრო სწრაფად ერბინათ, ვიდრე გარბოდნენ. მუხარა-
დებში ხრიწინებდა მარეკების აგზნებული ხმა: „მეოცე, მისმინე, მეოცე. აბა,
მისცხე. კიდევ მისცხე!“ ისინი, მფრინავები, შესანიშნავად ხედავდნენ, ტრამა-
ლში, თეთრ ახალნათოვარზე როგორ მოისწრაფოდა არნახული საშინელების
შავი უწყვეტი მდინარე. და პასუხად ყურსაცვამებში მხედ ისმოდა: „არის
მივცხო! ჰა-ჰა-ჰა, ერთი შეხედე, მათ შორის მგლებიც მირბიან! სანახაობა თუ
გინდა, ეგაა. თავს ველარ დაიხსნით, რუნებო! წირვა გამოგივათ, ძვირფასებო!
აქ „აბა დამაცადე!“ არ გეგონოთ!“

ასე მოერეკებოდნენ მფრინავები ანტილოპებს მოსაქანცად, როგორც ნა-
ვარაუდები ჰქონდათ, და ეს ვარაუდი ზუსტი იყო.

ხოლო როცა ანტილოპები დიდ ველს მიაწყდნენ, იქ დახვდათ ისინი, რო-
მელთათვისაც დილიდან იღვწოდნენ შვეულმფრენები, იქ ელოდათ მონადი-
რენი, უფრო სწორად დამხვრეტნი. თავახდელ ყველგანმავალ „უაზებზე“ ამ-
ხედრებულმა დამხვრეტებმა საიგები წინ გარეკეს და ავტომატებით გზადაგზა
ხვრეტდნენ მიბრჯნით, დაუმიზნებლად ესროდნენ, ცელავდნენ, როგორც ბა-
ლახს ბოსტანში. „უაზებს“ უკან მიჰყვა მისაბმელიანი სატვირთო მანქანები! —
ხალხი ძარებში ერთიმეორის მიყოლებით ისროდა ნადავლს, მუქთ მოსავალს
იწევდა. ზორბა ჭაბუკებმა ხელად აითვისეს ახალი საქმე, მსწრაფლ უღებდნენ
ბოლოს სულთმობრძავ საიგებს, დასდევდნენ დაჭრილებს, სულს აფრთხობი-
ნებდნენ, მაგრამ მათი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ გასისხლიანებულ ცხო-
ველისთვის ფეხებში ხელი ჩაევლოთ და ერთი აქნევით შეეგდოთ ძარაზე! სა-
ვანამ რომ სავანად დარჩენა გაბედა, ამისთვის ღმერთებს სისხლიან ხარკს უხ-
დიდა — ძარებზე საიგების გორები დგებოდა.

ხოლო ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა. დამხვრეტნი მანქანებით შეიჭრნენ
მორეკილი ქანცაწყვეტილი საიგების შუაგულში და მარჯვნივ და მარცხნივ
ცელავდნენ მათ, სულ უფრო მატებდნენ შიშისზარსა და სასოწარკვეთილებას.
ირგვლივ ისეთმა აპოკალიფსურმა შიშმა დაისადგურა, სროლისგან დაყრუებულ
ძუ მგელ აკბარას ეგონა, რომ მთელი ქვეყნიერება დაყრუვდა და დამუნჯდა,
რომ ყველგან ქაოსი გამეფდა და თვით თავზემთ უხმოდ მოგიზგიზე მზესაც
მასთან ერთად გააფთრებით მოსდევდნენ, რომ მზეც აწყდებოდა აქეთ-იქით და
თავის შველას ცდილობდა, რომ უცებ შვეულმფრენებიც დამუნჯდნენ და
გრუხუნ-გრუხუნის გარეშე უხმოდ დასტრიალებდნენ უფსკრულში გადაშვე-
ბულ ტრამალს ვეებერთელა მდუმარე ძერებივით... ხოლო დამხვრეტ-მეავტო-
მატენი უხმოდ ისროდნენ „უაზების“ ძარებზე ჩაჩოქილნი, უხმოდ მიჭროდნენ
მანქანები, დროდადრო რომ მალა ხტებოდნენ, უხმაუროდ ილტვოდნენ და-
გიჟებული საიგები და უხმოდ ეცემოდნენ ტყვიებით დასეტყვილნი, სისხლდა-
ნთხეულნი... ამ აპოკალიფსურ მდუმარებაში ძუ მგელ აკბარას გამოეცხადა ადა-
მიანის სახე. გამოეცხადა ისე ახლოს, ისე საშინლად და ისე მკაფიოდ, შეძრ-
წუნდა და კინალამ მანქანის თვლებში მოჰყვა. „უაზი“ ხომ მის მხარდამხარ,
კვერდით მოჭროდა. ხოლო ის კაცი წინ იჯდა მანქანაში, წელამდე გადმოკი-

დებულები და დროდადრო ხტოდა. მინის თვალსაფარი ეკეთა, მოლურჯო-ჭარ-
ხლისფერი, ქარდაკრული სახე ჰქონდა, შავ პირთან მიკროფონი ეჭირა და რა-
ღაცას გაბღოდა მთელ ტრამალს, მაგრამ მისი სიტყვები არ იხმოდა. ალბათ
კაცი დევნას მეთაურობდა. იმ წუთს ძუ მგელს რომ ხმაურისა და ხმების გა-
გონება შეძლებოდა, ადამიანის ლაპარაკის მიხედვით რომ შეძლებოდა, გაი-
გონებდა, რასაც კაცი რაციით გაჰყვიროდა: „კიდევებიდან უნდა წავიქცეთ! დასცხეთ
კაცს ეშინოდა, რომ მოკლულ საიგებს მათ კვალზე მსრბოლნი გადაქელავდნენ.

მიკროფონიანმა კაცმა უცებ შეამჩნია, რომ იქვე, მანქანის გვერდით თავის
გადასარჩენად ოტებულ ანტილოპებს შორის მგელი მირბოდა, რომელსაც კი-
დევ რამდენიმე მგელი მისდევდა. კაცი მოიკრუნჩხა, ჩახრინწული ხმით ღვარძ-
ლიანად რაღაც დაიბღავლა, მიკროფონში მიაგდო და შაშხანას დასწვდა. შაშხა-
ნას თან იმარჯვებდა, თან ტენიდა. აკბარა აბა, რას გააწყობდა, ვერ ხვდებოდა,
რომ მინის თვალსაფარიანი კაცი შაშხანას უმიზნებდა. რომც მიმხვდარიყო, სულ
ერთია, ვერაფერს იღონებდა — ალყით შებოჭილს არც გასხლტომა შეეძლო.
არც შეჩერება, ხოლო კაცი უმიზნებდა და უმიზნებდა. უცებ რაღაცამ მწვა-
ვედ გაჰკრა ფეხებში. აკბარა გადაყირავდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა, რათა
საიგებს არ გაეთელათ და მომდევნო წამში დაინახა, რა მალლა შეხტა ჰაერში
ტყვიანაკრავი მისი დიდთავა, ყველაზე დიდი მის პირმშოთა შორის, როგორ
ენტხეოდა სისხლი, როგორ ეცემოდა ძირს ნელ-ნელა, ნელ-ნელა ტრიალდებო-
და გვერდზე, იჭიმებოდა, თათებს უბაგუნებდა მიწას. შეიძლება ტკივილისგან
ყმუილი აღმოხდა, შეიძლება უკანაქნელი ღმუილი, მაგრამ აკბარას არაფერი
ესმოდა. ხოლო მინის თვალსაფარიანმა კაცმა თავზემთ გამარჯვებულივით შეა-
რბია შაშხანა და მომდევნო წამს აკბარა უკვე დიდთავას უსულო სხეულს გადაა-
ხტა. ეს იყო და მის ცნობიერებაში ისევ შემოიჭრა რეალური სამყაროს ბგე-
რები — ხმები, ხმაური, სროლის შეუწყვეტელი გრიალი, ავტომანქანების ყურ-
თასმენის წამლები პიპინი, ადამიანების ყვირილი, კივილი, სულთმობრძავ ანტი-
ლოპების ხრილი, შვეულმფრენების გუგუნი თავზემთ... ბევრ საიგას მუბლი
ეკვეთებოდა, ეცემოდა და ვეღარ დგებოდა, ჩლიქებს სცემდა მიწას, მაგრამ
ძალა არ შესწევდა მოძრაობისა, სული ეხუთებოდა, გული უსკდებოდა. მათ
იქვე უღებდნენ ბოლოს მოკლულთა ამკრეფნი, დანას ღონივრად უქნევდნენ
და ყელს უღადრავდნენ, გაშმაგებით მოფართხალე, ცოცხალ-მკვდარ საიგებს
ფეხებში სტაცებდნენ ხელს და სატვირთო მანქანების ძარაზე ისროდნენ. სა-
შინელება იყო ამ ერთიანად ტანსაცმელგასისხლიანებულ ადამიანთა ცქერა...

ზესკნელიდან თუ ვინმეს ფხიზელი თვალი იცქირებოდა, უთუოდ დაინა-
ხავდა, როგორ ხორციელდებოდა ხოცვა-ჟლეტა და რა დაემართა მუიწყუმის
სავანას, მაგრამ, მგონი, ისიც ვერ მიხვდებოდა, რა მოჰყვებოდა ამას და კიდევ
რას იზრახავდნენ ადამიანები...

მუიწყუმში დევნა მხოლოდ საღამო ხანს დამთავრდა, როცა ყველას —
დევნილებსაც და მდევრებსაც — ძალა გამოეცალათ და ტრამალში ჩამობინ-
დება დაიწყო. როგორც ვარაუდობდნენ, შვეულმფრენები ბაზაში საწვავს აიღე-
ბდნენ, ხვალ დილით უკან დაბრუნდებოდნენ და დევნა განახლდებოდა. ასეთი-
ვე ვარაუდით, აქ კიდევ სამი-ოთხი დღის ამგვარი სამუშაო იქნებოდა, თუ ირ-
წმუნებდნენ, რომ მუიწყუმის ტრამალების დასავლეთ, ყველაზე ქვიშნარ ნა-
წილში წინასწარი საშვეულმფრენო-საჰაერო გამოკვლევის თანახმად საიგების

კიდევ ბევრი ჯოგი ბინადრობდა, რომელნიც ჯერ არავის დაეფრთხო და რომელთაც ოფიციალურად მხარის გამოუვლენელი რეზერვები ერქვა. ხოლო რეალური გამოუვლენელი რეზერვები არსებობდა, ამიტომ და ამგვარად ხსენებული რეზერვები მხარის ინტერესების გულისთვის აუცილებლად სასწრაფოდ უნდა გამოეყენებინათ გეგმის შესასრულებლად. ასეთი გახლდათ უარესი მხარის რეზერვები, რომლებიც დასაბუთება მუიხუმის „ლაშქრობისა“. მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველგვარი, ოფიციალური დასკვნების მიღმა ნიადაგ დგანან ესა თუ ის სასიცოცხლო გარემოებანი, რომელნიც განსაზღვრავენ ისტორიის მსვლელობას. გარემოებანი კი საბოლოო ანგარიშით ადამიანები არიან თავიანთი ზრახვებითა და ვნებებით, ზადითა და სათნოებით. წინასწარგანუჭკვრეტელი მშფოთვარებითა და წინააღმდეგობებით. ამ თვალსაზრისით არც მუიხუმის ტრაგედია ყოფილა გამონაკლისი. ტრაგედიის ლამეს სავანაში იმყოფებოდნენ ბოროტმოქმედების ნებით თუ ძალაუხნებურად აღმსრულებელნი.

ხოლო ძუ მგელი აკბარა და მისი ტაშჩაინარი (მთელი ხროვადან ესენი გადარჩნენ) ტრამალზე სიბნელეში მიძუნძულებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს გასცლოდნენ დევნის ადგილებს. ძლივს მილასლასებდნენ — მთელი ბალანი მუცელქვეშით და ლაჯებში, თითქმის გავამდე ტალახით და ჭყაპით დასველებოდათ. დაჭრილი, დაჩეჩქვლი ფეხები ისე უხურდათ, თითქოს ცეცხლზე გაევლოთ, მიწაზე ყოველი ნეხება ტკივილს ჰგვრიდათ. ერთი სული ჰქონდათ, შეჩვეულ ბუნაგში დაბრუნებულიყვნენ, მიკუნჭულიყვნენ და ყველაფერი დაევიწყებინათ, რაც მათ უბედურ თავს დაატყდა.

მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ. ბუნაგის მისასვლელთან მოულოდნელად ადამიანებს შეეჩხნენ. მშობლიური ხევის ნაპირას მანქანის თვლებზე დაბალიაღუნის ბარდნარში შეჭრილი ვეება სატვირთო მანქანა იდგა. მანქანის გვერდით სიბნელეში ადამიანთა ლაპარაკი ისმოდა. მგლები მცირე ხნით შეჩერდნენ და მდუმარედ გაუხვიეს გაშლილი ტრამალისკენ, რატომღაც სწორედ ამ წუთას თვალისმომჭრელად აინთნენ ფარები და სიბნელე გაკვეთეს. თუმცა ისინი საწინააღმდეგო მხარეს ანათებდნენ, მგლებმა უმაღ კოჭლობით, ხტუნვა-ხტუნვით მოკურცხლეს, უგზო-უკვლოდ გაიქცნენ. აკბარა უფრო მეტად წინა თათებით კოჭლობდა... დაბეგვალი ფეხები რომ გაეციებინა, ისეთ ადგილებს ირჩევდა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო დილანდელი თოვლი. თოვლზე ნალვლიანად და გულისდამამძიმებლად მიიწევდა მისი ნაკვალევის დაჭმუჭვნილი ყვავილები. ლეკვები დაიღუპნენ. უკან დარჩა სამუდამოდ დაკარგული ბუნაგი. ახლა იქ ადამიანები იყვნენ...

ისინი ექვსნი იყვნენ, ექვსნი მძლოლ კეპასთან ერთად, ექვსი შემთხვევითი შეხვედრილი ადამიანი, დახოცილ ცხოველთა ამკრეფნი, რომლებმაც ლამე სავანაში გაათენეს, რათა დილაადრიან შედგომოდნენ საქმეს, როგორც აღმოჩნდა, ფრიად ხელსაყრელ საქმეს — ერთ ცალ ცხოველში ათ შაურს ლებულობდნენ. მართალია, უკვე სამი ძარა აავსეს, მაგრამ დღე-ღამის გაყრამდე მაინც ვერ შეძლეს ყველა დახოცილი და გაჭყლეტილი საიგის აკრეფა. დილით უნდა მოეძებნათ დანარჩენები და შეეყარათ მანქანებზე, რათა გაეგზავნათ და გადაეტვირთათ მისაბმელიან ტრანსპორტზე, რომელსაც ბრეზენტგადაფარებული ნადავლი მუიხუმის ზონიდან გადააქონდა.

იმ საღამოს პორიზონტზე ძალიან ადრე ამოგორდა მთვარე, მთლად რომ მომრგვალებულიყო და ყოველი მხრიდან ჩანდა მქრქალ. ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ

თოვლშერჩენილ ტრამალში. მთვარის შუქი ხან ანათებდა, ხან ჩრდილში აქცევდა სავანის ხეებს, ღრანტეებს, ბორცვებს, მაგრამ ამ უკაცური ადგილებისთვის ესოდენ უჩვეულო ვეება სატვირთო მანქანის სილუეტის კიდევ დიდხანს ჰგვრიდა შიშს მგლებს: როცა უკან მოიხედავდნენ, ყოველთვის კედს ამოიძუებდნენ და უფრო სწრაფად მირბოდნენ, თუმცა მაინც ჩერდებოდნენ და კვლავ დაძაბულად იცქირებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ გაეგნათ: ჩხჩხ მდებოდა — რას აკეთებდნენ ადამიანები მათ ძველ ბუნავთან, რატომ გაჩერდნენ იქ და კიდევ დიდხანს იქნებოდა თუ არა იმ ადგილას ეს ვეებერთელა თავზარდამცემი მანქანა. სიტყვამ მოიტანა და მანქანა იყო „მაზი“ — სამხედრო დანიშნულების ბრეზენტით გადაბურული ყველგანმავალი, რომელსაც ისეთი მკვრივი თვლები ჰქონდა, იფიქრებდით, ამათ კიდევ ასი წელი ვერაფერი გაცვეთსო. მანქანის ძარაზე სახვალიოდ გასაგზავნი ათობით დახოცილი საიგის გვერდით კაცი იწვა. კაცს ხელები შეკრული ჰქონდა, გეგონებოდათ, ტყვედ ჩაუგდიათო. იგი გრძნობდა, როგორ ცივდებოდა და მაგრდებოდა დახოცილი საიგები. ისე მათი ტყავი მაინც ათობდა, თორემ კარგი დღე არ დაადგებოდა. მალლა ბრეზენტის კარვის ღიობში მთვარე მოჩანდა. კაცი ისე უცქეროდა დიდ მთვარეს, როგორც სიცარიელეს, ფერმკრთალ სახეზე ტანჯვა ეხატა.

ახლა ხელებშეკრულის ხვედრი იმ ადამიანებზე იყო დამოკიდებული, რომლებთან ერთადაც მოვიდა აქ და რომელთა აზრით, ისიც ფულის შოვნის სურვილმა ჩამოიყვანა ამ მიდამოებში...

ძნელი დასადგენია, რაა ადამიანის ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა ათასგვარი ურთიერთობის, ათასგვარი ხასიათის უსასრულო კომბინაციები იმდენად რთულია, არავითარ თანამედროვე კომპიუტერულ სისტემას არ შესწევს ძალა ყველაზე ჩვეულებრივ ძეხორციელთა ბუნების ზოგადი მრუდის ინტეგრირებისა. და ეს ექვსნი, უფრო სწორად ხუთნი, ვინაიდან ყველგანმავლის მძლოლი კება თავისთვის იყო, — უნდა ითქვას, ამ კაცთაგან მას ერთადერს ჰყავდა ოჯახი, თუმცა არსებითად მათი სულიერი ნათესავი გახლდათ, მათგან არ განსხვავდებოდა, — ერთი სიტყვით, ეს ექვსი შეიძლება იმის მაგალითად გამომდგარიყო, რომ არსებობს საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა შეიძლება კომპიუტერული ინტეგრირების გარეშეც იოლას გავიდეთ, აგრეთვე იმის მაგალითადაც, რომ გზანი უფლისანი შეუცნობელია, როცა ლაპარაკია ადამიანთა თუნდაც სრულიად უმნიშვნელო კოლექტივზე. მაშასადამე, უფალს ნებავდა, ყველანი ერთმანეთის ალი-კვალნი ყოფილიყვნენ, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა მუინყუმში შევიდნენ.

უპირველეს ყოვლისა, ესენი გახლდათ უსახლკარონი, მაწანწალები, რასაკვირველია, კებას გარდა: სამ მათგანს ცოლი გაექცა, ყველანი მეტნაკლებად უიღბლონი იყვნენ, მაშასადამე, მეტწილად ქვეცნობიერებაზე გაბოროტებულნი. შეიძლება გამონაკლისად მიგვეჩნია მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, რომელსაც უცნაური, ძველი აღქმის სახელი — აბდია — ერქვა. ასეთი სახელი მოხსენებულია ბიბლიაში — მეფეთა მესამე წიგნში. იგი დიაკვნის შვილი იყო, სადაც ფსკოვის მახლობლად ცხოვრობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ სასულიერო სემინარიაში შევიდა, როგორც საეკლესიო მსახურის იმედისმომცემი შთამომავალი, მაგრამ ორი წლის შემდეგ ერესისთვის გამოაგდეს. ახლა კი ყველგანმავალ „მაზში“ ხელებშეკრული იწვა და თვით ობერის განჩინებით მისაგებელს ელოდა, რადგან ამბოხების მოწყობა სცადა.

ყველანი, აბდიას გამოკლებით, თავგამოდებული, ანუ, როგორც თვითონ

წოდებდნენ თავს, პროფესიული ლოთები იყვნენ, ისევ საექვოა, მათსავით
 ლითი ყოფილიყო კება. რაც უნდა იყოს, მანქანის მართვის უფლებას უნდა
 გაფრთხილებოდა, თორემ ცოლი თვალებს ამოკაწრავდა. მიუხედავად ამისა,
 მუინყუმში იმ ლამეს მაინც სხვებზე არანაკლებ გამოიბრუეა და აბღიას
 მხრივაც ექვის თვალით შეხედეს — ეს მაწანწალა ვინ გვიგდია, მანქანა
 სო, მაგრამ არა, აბღია გაჩიუტდა, არ დალია, რითაც ობერის
 დიდი სიძულვილი მოიძვო.

— ობერი — ამ კაცმა ხელქვეით ამკრეფებს უბრძანა მისთვის მოკლედ
 ასე ეწოდებინათ. ალბათ მხედველობაში ჰქონდა, რომ სიტყვა ობერი უფროსს
 ნიშნავდა, ის კი ჩამოქვეითებამდე მართლაც უფროსი ლეიტენანტი იყო საჯა-
 რიზო ბატალიონისა. როცა ობერი ჩამოაქვეითეს, კეთილმოსურნენი შეწუ-
 ხდნენ — სამსახურებრივ გულმოდგინებას შეეწირათ. ასე ფიქრობდა თვითო-
 ნაც, უფროსობის უსამართლობით ერთობ განაწყენებული, ხოლო არმიიდან
 გამოძევების ნამდვილ მიზეზზე კრინტს არ სძრავდა, ღუმელს ამჯობინებდა.
 ანდა რად სჭირდებოდა ლაპარაკი, როცა საქმე ჩავლილი იყო. სინამდვილეში
 ობერის გვარი კანდალოვი გახლდათ, თავდაპირველად კი, შესაძლოა, ხანდა-
 ლოვიც, მაგრამ ეს ამბავი არავის აღელვებდა — ნაღდი ობერია ამ სიტყვის
 სრული მნიშვნელობით.

ხუნტაში მეორე კაცი მიშაში აღმოჩნდა. ხუნტა რაზმს საერთო დასტურით
 შეერქვა და ერთადერთი, ვინც ობერს სასხვათაშორისოდ შეესიტყვა სახელ-
 წოდების გამო, საოლქო დრამატული თეატრის ყოფილი მსახიობი ჰამლეტ-გა-
 ლკინი იყო. „ჩანდაბას ხუნტა, არ მიყვარს, ბიჭებო, ეს ხუნტები. ჩვენ ხომ სა-
 ფარიზე მივდივართ, ჰოდა, საფარი დავირქვათ“, — თქვა მან, მაგრამ მხარი
 არავინ დაუჭირა, შესაძლოა, ნაკლებგასაგებმა „საფარიმ“ მყარი „ხუნტის“ ფო-
 ნზე წააგო. ამრიგად, ხუნტაში მეორე კაცი აღმოჩნდა ვინმე მიშაში, ხოლო თუ
 სრულად ვიტყვით მის სახელს — მიშკა-შაბაშნიკი, ღვთის გარეგანი, რომელ-
 საც შეეძლო თვით ობერიც კი მოუსავლეთში გაეგზავნა. მიშაშს ჩვევად ჰქო-
 ნდა ყველაფერზე „ამის დედა“ დაეყოლებინა. ეს მისთვის იგივე იყო, რაც
 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, აბღიას შეკვრისა და მანქანის ძარაზე დაგდების იდეა
 სწორედ მან შესთავაზა ხუნტას და ხუნტამაც დაუყოვნებლივ აღასრულა.

ხუნტაში ყველაზე უბრალო ადგილი ეჭირა მსახიობ ჰამლეტ-გალკინს. გა-
 ლოთებულმა ჰამლეტ-გალკინმა ნაადრევად დატოვა სცენა და შემთხვევიდან
 შემთხვევამდე ნაშრონი ფულით გაჰქონდა თავი. ახლა აგერ ზუსტად სარფიანი
 საქმე გამოუჩნდა — ფეხებში ხელი სტაცე და მანქანის ძარაზე შეაგდე რაღაც
 ანტილოპა თუ საიგა, რა განსხვავებაა, ჰოდა, მიიღე იმდენი, რამდენსაც მთელი
 თვე ვერ გამოიმუშავებ, ამას დაუმატე ობერის პრემიაც (თუმცა საიჯარო ანა-
 რიცხების ანგარიშზე) — ერთი ყუთი არაყი მთელ ძმაბიჭობაზე.

ხუნტაში ყველაზე ხათრიანი და უწყინარი გახლდათ ადგილობრივი ყმაწ-
 ვილკაცი, მუინყუმის. მახლობლად მცხოვრები უზიუკბაი, ანუ უბრალოდ აბო-
 რიგენი, აბორიგენ-უზიუკბაის ერთი ფასდაუდებელი თვისება ჰქონდა: მისნალი
 თავმოყვარეობა არ გააჩნდა, რაც უნდა გეთქვა, ყველაფერზე დაგეთანხმებოდა
 და ბოთლი არაყის გულისთვის თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე გასწევდა. აბო-
 რიგენ-უზიუკბაის მოკლე ბიოგრაფია ასეთი იყო: ადრე ტრაქტორისტად მუ-
 შაობდა, შემდეგ გადაბმულ სმას მიჰყო ხელი, ტრაქტორი ღამით გზაზე მია-
 ტოვა, ხოლო ტრაქტორს გამვლელი მანქანა დაეჯახა და კაცი დაიღუპა. უზიუკ-

ბაიმ ორიოდ წელი იყურებდა ცხენში. მასობაში ცოლი ბავშვებითურთ გა-
შორდა. თვითონ კი ქალაქში აღმოჩნდა. როგორც აღურიცხველი სამუშაო და-
ლა. სასურსათო მაღაზიაში მოღვაწეობდა მტკიაროვად. სვამდა სადარბაზო შე-
სასვლელებში. სადარბაზო შესასვლელშივე აღმოჩინა თვიღონ ობერმა და
გამოჰყვა კიდევაც უკანმოუხედავად. თუმცა რისთვის მარტო მარტო მონდა მოე-
ხედა... ობერ-კანდალოვისთვის უარის თქმა კი არ შეიძლებოდა — მას მართ-
ლაც ჰქონდა სოციალურად ორიენტირებული ალლო...

ასე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს ობერ-კანდალოვის მეთაურობით და ასე
მოჰყვნენ დევნის ტალღას მუიხუშის სავანაში...

და თუ ბედზე, თუ მოვლენათა განმსაზღვრელ სხვადასხვა ცხოვრებისეულ
გარემოებაზე ვილაპარაკებთ, ღმერთია მოწამე, ობერ-კანდალოვს არავითარ სა-
ზრუნავს არ გაუჩენდა უიღბლო სემინარიელი აბდია, რომ ამას, აბდიას, თავის
დროზე დაესრულებინა სწავლა და შესაბამისი ხარისხი მიეღო ხელთ დასხმით.
სიტყვამ მოიტანა და მისმა ყოფილმა სემინარიელმა მეგობრებმა, ოდესღაც
ისეთივე ქარაფშუტებმა, როგორც ყველა მოსწავლეა, რაკი ერთხელ ცხოვ-
რების გზა აირჩიეს, აბდიაზე, აწ განსვენებული დიაკვნის შვილზე, გაცილე-
ბით უფრო მტკიცენი და, რაც ყველაზე მთავარია, ჰკვიანები აღმოჩნდნენ და
სასულიერო განათლების გასრულების შემდეგ წარმატებით მიიწვევდნენ საეკ-
ლესიო კარიერის საფეხურებზე. მათ შორის რომ აბდიაც ყოფილიყო — თავ-
დაპირველად იგი ღვთისმეტყველ მამათა საყვარელ და ფრიად ნიჭიერ ყმაწ-
ვილად ითვლებოდა, — მაშინ საეჭვოა, ობერ-კანდალოვს გადაჰყროდა, თუნდაც
იმიტომ, რომ ობერ-კანდალოვს მღვდლები გულწრფელად მიაჩნდა დროის
გაუგებრობად და ეკლესიის ზღურბლზე თავის სიცოცხლეში არ გადაუბიჯებია
ცნობისმოყვარეობის გამოც კი.

თუკი რომ... მერედა, ვის ეცოდინებოდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა.
კარგია, წინასწარ იცოდე... მაგრამ ვინ ვის სთხოვს ანკეტის შევსებას, როცა
კაცი კაცს ერთი გზობისთვის ეძახის — ერთად წავიდეთ ცოტა ფულის საშოვ-
ნელადო. ეს ხომ იგივეა, კარტოფილის სათხრელად წაჰყვე კოლექტივს. ოღონდ
მათ ბოლქვების ნაცვლად დახოცილი ცხოველები უნდა აეკრიფათ... ობერ-
კანდალოვს რომ სცოდნოდა, ვაგზალში შეხვედრილი მოხეტიალე აბდია დარ-
ტყმული და შერევილი იყო, მუიხუშის ქვიშებში იძულებული არ გახდებოდა
თავი ემტვრია, როგორ მოქცეოდა, სად გადაეკარგა, რანაირად მოეშორებინა
უმტკივნეულოდ ეს ველური აბდია, რომელმაც კინალამ ჩაუშალა ყველაფერი,
რასაც ასე გულმოდგინედ აჭახრაკებდა, რაც წარსულის აღდგენის იმედს უსა-
ხავდა. ვინ იფიქრებდა, რომ აგრე უცნაურად, დაუჩერებლად, თანაც სულე-
ლურად შეიკვანძებოდა ყოველივე. ამ ფიქრებით გულდამძიმებულ ობერ-კან-
დალოვს ძალიან უნდოდა დაღევა, როგორც იტყვიან, გულის გადაყვავილება.
ეგ საქმე კი კარგად ემარჯვებოდა — ჯერ ნახევარი ჭიქა არაფი გადაჰყრა სულ-
მოუთქმელად, შემდეგ კიდევ ნახევარი ჭიქა და კიდევ ნახევარი, რათა ისე გაბ-
რუებულიყო, ისე არეოდა თავგზა, რომ ცა ქუდად მოსჩვენებოდა და დედამიწა
ქალამანად, ერთიანად დაეკარგა გონება... ჯოჯობეთი დაეტრიალებინა, მაგრამ
ამისიც ეშინოდა, რადგან იცოდა, რა შავ დღეში ჩავარდებოდა...

მაინც საიდან გამოუტყვრა ეს აბდია! და ისევ, თუ ბედზე, თუ სხვა მო-
ვლენათა წინასწარ განმსაზღვრელი მიზეზების სხვადასხვა ცხოვრებისეულ გა-
რემოებაზე ვილაპარაკებთ, მაშინ ეს ყველაფერი ამ ამბებამდე დიდი ხნით აღ-
რე და აქედან შორს დაიწყო...

სასულიერო სემინარიიდან ერეტიკოს-ახალმოაზროვნის ტვიფრით გამოგდებული აბდია იმხანად საოლქო კომკავშირული გაზეთის შტატგარეშე განამშრომლად მუშაობდა. ეს ცოტა ხნის წინანდელი სემინარიელი, რომელიც გვირიანად წერდა მკითხველთა საყვარელ თემებზე, გაზეთის რედაქციის ურადლებას იქცევდა. ეკლესიის მიერ შეჩვენებული აბდია ხელს აძლევდა მას, რომელიც საჩინო ანტირელიგიური პროპაგანდისათვის, სემინარიელობაზე ნელმოცარულ ყმაწვილს კი თავის მხრივ ახალგაზრდულ პრესაში მისთვის მახლობელ ზნეობრივ თემებზე წერილების ბეჭვდა აინტერესებდა. ამასთანავე გაზეთში გამოქვეყნებული მისი, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ფიქრები მკითხველებს იზიდავდა, და არა მარტო ახალგაზრდებს, განსაკუთრებით საოლქო პრესის წამლეკავი გულის გამაწვრილებელ-დიდაქტიკური მოწოდებებისა და სოციალური ჯადოსიტყვების ფონზე. ჯერჯერობით რედაქციისა და აბდიას ზიარი ინტერესები თითქოსდა ხორციელდებოდა, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცოდა, უფრო სწორად, ერთი სულიერის გარდა არავინ უწყოდა, რა ზრახვები ედო გულში ამ ახალგაზრდა, ადრეულა განმაახლებელს. აბდია კალისტრატოვი იმედოვნებდა მომავალში, როცა უკვე უურნალისტის სახელს განიმტკიცებდა, ეპოვა რაღაც მისაღები ფორმა, რაღაც სასაზღვრო იდეოლოგიური ზოლი, რომელიც საშუალებას მისცემდა არქაული სარწმუნოების დოგმატური პოსტულატების საპირისპიროდ, მისი რწმენით, ესოდენ აქტუალური და ასოდენ უაღრესად მნიშვნელოვანი ახალი აზრები გამოეთქვა ღმერთისა და ადამიანის რაობაზე თანამედროვე ეპოქაში. სასაცილო ის გახლდათ, რომ აბდიას წინაშე იდგა ორი სრულიად მიუვალი და შეურყეველი ციხესიმაგრე, რომელთა ძლიერებას საფუძვლად ედო მათივე ურყეობა და ტოტალური ურთიერთშეუთავსებლობა. ეს იყო ერთის მხრივ — დროის მედეგი, ათასწლოვანი, უცვლელი კონცეფციები აღდგომისა, გულმოდგინედ რომ იცავენ სარწმუნოების სიწმინდეს ნებისმიერი, თუნდაც კეთილის მზრახველი ახალი აზრებისაგან და მეორეს მხრივ — რელიგიის სრულიად უარყოფელი მეცნიერული ათეიზმის მძლეთამძლე ლოგიკა. ეს უბედური აბდია კი, როგორც დოლაბებს შორის, ისე იყო მათ შორის მოქცეული. მაგრამ გულში თავისი ცეცხლი ენთო. „კაცობრიობის ისტორიული განვითარების მიხედვით დროში ღმერთის კატეგორიის განვითარების“ იდეებით შეპყრობილი ერეტიკოსი აბდია კალისტრატოვი იმედოვნებდა, რომ ბედი ადრე თუ გვიან შესაძლებლობა მისცემდა ხალხისთვის გაემხილა თავისი დასკვნების არსი, ვინაიდან, როგორც თავად ფიქრობდა, ყველაფერი ისე ეწყობოდა, ხალხი თვითონაც მოინდომებდა შეეცნო თავისი დამოკიდებულებანი ღმერთთან პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, როცა ადამიანის ძალმოსილება უაღრესად კრიტიკულ ფაზებს მიაღწევდა. აბდიას დასკვნები ჯერჯერობით დაუწმენდავი, საკამათო გახლდათ, მაგრამ ოფიციალურმა ღვთისმეტყველებამ ასეთი თავისუფლება არ აპატია და ეპარქიის წარმომადგენლებმა სასულიერო სემინარიიდან გააძევეს, როცა უარი თქვა ახალი აზრების ერესი მოენანიებინა.

აბდია კალისტრატოვს თეთრი, მაღალი შუბლი ჰქონდა. როგორც მისი თაობის ბევრ ყმაწვილკაცს, თმა მხრებამდე სწვდებოდა, ხშირი წაბლისფერი პატარა წვერი მაინცდამაინც არ უხდებოდა, მაგრამ კეთილ გამომეტყველებას კი აძლევდა. ნაცრისფერი გადმოკარკლული თვალები ადგზნებულად უკვესავდა, მათში უკრთოდა სულის და აზრის მისთვის ნიშანდობლივი დაუდევრობა და ეს დაუდევრობა დიდ სიხარულსაც ანიჭებდა, რაკი მისი მეშვეობით მოვ-

ლენებს შეიცნობდა, და ამასთანავე უამრავ მძიმე განსაცდელსაც აგემებდა გარშემო მყოფ ადამიანთაგან, რომელთათვისაც სიკეთე სურდა...

აბდია მეტწილად კუბოკრულ პერანგს, სვიტერს და ჯინსს იცვამდა, სიცვი-ვეში კი — თხელ პალტოს და მამისეულ ძველ ბეწვის ქუდს იხურავდა. ასე ჩაცმული გამოჩნდა იგი მუინყუმის სავანაში...

მანქანის ძარაზე რომ ხელებშეკრული ეგდო, ეს ათასგვარ მწერს ზედაპირს ჰგვრიდა, მაგრამ ყველაზე მძაფრად სიმარტოვეს შეიგრძნობდა. გაახსენდა რომელიღაც აღმოსავლელი პოეტის ნახევრად დავიწყებული გამონათქვამი: „მარტო ხარ ათასკაციან ბრბოშიც, თავთან პირისპირ მყოფიც მარტო ხარ“, და მით უცრო გულმდუღარედ, გაწამებით ფიქრობდა იმ არსებაზე, იმაზე, ვინც ერთი ხანია მისთვის ამქვეყნად ყველაზე ახლობელი გახდა, მისი ფიქრების მუდმივ თანამგზავრად იქცა, როგორც ჰიპოსტასი მისივე არსისა — და ახლა არ შეეძლო იგი განერიდებინა, არ შეეძლო მისთვის თავისი გრძნობები და განცდები არ გაეზიარებინა, ხოლო თუ მართლა არსებობს ტელეპათია, როგორც განსაკუთრებულად დაძაბულ ვითარებაში მყოფი ახლობელი ადამიანების ზემგრძნობიერი ურთიერთობა, იმ არსებას იმ ღამეს სულის უცნაური ტანჯვა უნდა განეცადა და უბედურების წინასწარგრძნობა გასჩენოდა...

აბდია ამ წუთში ბოლოს და ბოლოს მიხვდა იმავე აღმოსავლელი პოეტის პარადოქსული სიტყვების სამართლიანობას, რომელსაც წინათ დასცინოდა და არ სჯეროდა, რომ შეიძლება ამტკიცო: „ნუვინ იქნება შეყვარებული, ვისაც ნამდვილი სიყვარული ძალუძს...“ რა სისულელეა! და ჩუმად ტიროდა ახლა იმ არსებაზე მოფიქრალი, ესმოდა, რომ თუ იგი არ იქნებოდა ქვეყნად, არ ეყვარებოდა იგი ასე იღუმალად, ასე უსაზღვროდ, როგორც საკუთარი სიცოცხლე სიკვდილის წინ, არ გაუჩნდებოდა ეს დაუყუჩებელი ტკივილი, ეს ნალველი, ეს დაუძლეველი, გიჟური და მტანჯველი სურვილი — დაუყოვნებლივ, ახლავე დაეხსნა თავი, განთავისუფლებულიყო და გაქცეულიყო მასთან ამ ღამით, გადაევიდა სავანა, გაქცეულიყო რკინიგზის ტრანსკონტინენტურ ზოლზე მიკარგულ სადგურ ჟალპაკსაზში, რათა მაშინდელივით თუნდაც ნახევარი საათით გაჩენილიყო მის კართან, დიდ უდაბნოთა საზღვარზე მდებარე საავადმყოფოს მახლობელ იმ პატარა სახლში, რომელშიც ის ასული ცხოვრობდა... მაგრამ რაკი დახსნის ძალა არ შესწევდა, სწყევლიდა თავის, შესაძლოა ზედმეტ ერთგულებას მისდამი — ამ აზიურ მხარეში ხომ სწორედ მისი გულისთვის დაბრუნდა, მეორეჯერ ჩამოვიდა, აღმოჩნდა აქ, მუინყუმში, სადაც იწვა კიდევაც გათოკილი, შეურაცხყოფილი და დამცირებული. მაგრამ აბდიას ქალის მიმართ მით უფრო უმძაფრდებოდა გრძნობები, რაც უფრო განუხორციელებელი იყო სურვილი მისი ნახვისა, მით უფრო სტანჯავდა სიმარტოვის შეგრძნება; ეს გრძნობები კი ამასთანავე ამცნობდა ღმერთთან შენივთების მადლსაც, ვინაიდან ახლა გაუცხადდა, რომ სიყვარულის სახით მოვლენილი ღმერთი ადამიანს ცხოვრების უმაღლეს ბედნიერებას ანიჭებს და ღმერთის გულუხვობას აქ დასასრული არ უჩანს, როგორც არ უჩანს დასასრული დროის მდინარებას, ხოლო სიყვარულის დანიშნულება განუმეორებელია ყოველ შემთხვევაში და ყოველ ადამიანში...

— დიდება უზენაესს! — წაიჩურჩულა მთვარის მაცქერალმა აბდიამ და გაიფიქრა: „ნეტავ იმ ასულმა იცოდეს, რაოდენ დიდია ღვთის წყალობა, როცა უფალი გულში სიყვარულს ნერგავს...“

ამ დროს მანქანასთან ნაბიჯების ხმა გაისმა და ვილაც ქშენითა და ბოყინით აძერა ძარაზე. ეს მიშაში იყო. მიშაშის კვალდაკვალ გამოჩნდა კეპას/თავი-ვიც. ეტყობა, მათ უკვე მოესწროთ ჩაცეცხვლა, რადგან აბდიას არყის/უნდა ეტაქა ცხვირში.

— შენ რაო, ამის დედა, წევხარ? აბა, აღეჭი, მღვდელს დაქრამხმანს/ობერი ხალიჩაზე გიხმობს, ხელახლა უნდა აღზარდოს. — ბურღი/შაში, ბუნაგში მყოფი დათვივით და საიგების ლეშებზე მოიწევდა.

კეპამ თავის მხრივ ხითხითით დაურთო:

— ხალიჩა არ იქნება. მუინყუმის მიწაზე საკუთარ უკანალზე დაბრძანდება.

— ხალიჩა მომინდომა ახლა ამან, — ბოყინით ჩაუბოხისხმავა მიშაშმა. — ასეთი საქმისთვის, ამის დედა, ციმბირში უნდა უქრა თავი! გაბითურება მოგვინდომა, ლამის ბერად აღკვეცა დაგვიპირა, ფეხი არ ჩაგვივა!

IV

აბდია კალისტრატოვმა ინგა ფიოდოროვნას ადრე რამდენიმე წერილი გაუგზავნა სადგურ ქალბაკ-საზში. ინგაც უგზავნიდა საპასუხო წერილებს ქალაქის ფოსტაში მოკითხვამდე, ვინაიდან იმხანად აბდიას მუდმივი მისამართი არ ჰქონდა. დედა ბავშვობაშივე გარდაეცვალა და მამამისი დაქვრივებულ დიაკონი კალისტრატოვი მთელ თავის სიკეთეს და დიდ ნაკითხობას (იგი საღვთისმეტყველო წიგნებსაც კითბულობდა და საეროსაც) ვაჟისა და აბდიაზე სამი წლით უფროსი ქალიშვილის აღზრდას ახმარდა. აბდიას და ვარვარა ლენინგრადში წავიდა სასწავლებლად, პედაგოგიურ ინსტიტუტში სურდა შესვლა. იქ არ მიიღეს, როგორც კულტის მსახურის შვილი, ვინაიდან ინსტიტუტი საშუალებას მისცემდა სკოლაში ესწავლებინა. ამიტომ კონკურსით ჩაირიცხა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ჩარჩა კიდევაც ლენინგრადში, გათხოვდა იქ, ოჯახი შექმნა და ახლა მხაზველად მუშაობდა რომელიღაც საპროექტო ინსტიტუტში. ხოლო აბდიას გზა სასულიერო სფეროში ედო. თვითონ სურდა ეს, მამას კი მასზე უფრო მეტად უნდოდა, განსაკუთრებით იმ ამბის შემდეგ, რაც ვარვარას პედაგოგიურ ინსტიტუტში გადახდა. როცა აბდიამ სემინარიაში სწავლა დაიწყო, დიაკონი კალისტრატოვი ბედნიერებას გრძნობდა, თავი ამაყად ეჭირა — უხაროდა, რომ ოცნება აუსრულდა, რომ უქმად არ ჩაუვლია მის გარჯას და შეგონებებს, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება. მაგრამ მალე გარდაიცვალა და, შესაძლოა, ეს ბედის წყალობაც იყო, ვინაიდან ვერ გადაიტანდა ერეტიკულ მეტამორფოზას, რაც განიცადა მისმა შვილმა აბდიამ, რომელიც ახალმა აზრებმა გაიტაცეს სამყაროსავით მარადიული ღვთისმეტყველების, ანუ ღვთიური ძალის უსასრულობისა და უცვლელობის ერთხელ და სამუდამოდ დამამკვიდრებელი მოძღვრების სარბიელზე.

ხოლო როცა აბდია კალისტრატოვმა საოლქო ახალგაზრდულ გაზეთში დაიწყო თანამშრომლობა, პატარა ოთახი, სადაც დიაკონმა კალისტრატოვმა მრავალი წელი ოჯახთან ერთად იცხოვრა, ეკლესიის სხვა ახალდანიშნული მსახურისთვის დაიჭირვეს, ყოფილ სემინარიელს აბდია კალისტრატოვს კი, როგორც კაცს, რომელსაც აღარაფერი აკავშირებდა ეკლესიასთან, წინადადება მისცეს, დაცალეო.

ამასთან დაკავშირებით აბდიამ დას ვარვარას უხმო, რათა იმას თავისი შე-

ხედულებისამებრ გადაერჩია და ლენინგრაღში წაეღო მშობლების ნაქონი, მისთვის საჭირო ნივთები, ძირითადად ძველებური ხატები და სურათები, როგორც სამახსოვრონი და სამემკვიდრონი. თვითონ მამისეული წიგნები დაიტოვა. ეს იყო და-ამის უკანასკნელი შეხვედრა — ყოველ მათგანს თავისი ხვედრი ჰქონდა. ამის პეტად ერთმანეთი აღარ უნახავთ. მათი ურთიერთობის საფუძვლით ნორმალური გახლდათ. მაგრამ ცხოვრების გზები — სხვადასხვა. იქიდან მოკიდებული აბდია კერძო ბინებში ცხოვრობდა. თავდაპირველად ცალკე ოთახებში. შემდეგ კუთხეებში, ვინაიდან ცალკე ოთახების ქირის გადახდა გაუჭირდა. ამიტომაც წერილებს ფოსტაში, მოკითხვამდე უგზავნიდნენ.

საოლქო კომკავშირული განეთი სწორედ ამ დროს აპირებდა აბდიას გაგზავნას შუა აზიაში. ამის უშუალო საბაბი გახდა მისი იდეა — შეესწავლა და აღწერა ქვეყნის ევროპული რაიონების ახალგაზრდობაში ნარკოტიკული საშუალების შეღწევის გზები და საშუალებანი. ეს ნარკოტიკული საშუალება იყო ანაშა, მცენარე, რომელიც შუა აზიაში, ჩუს და მუინყუმის ტრამალებში ხარობს. ანაშა ღვიძლი და არის ცნობილი მარიუხანისა, განსაკუთრებული სახეობა ველური კანაფისა. ამ კანაფის ფოთლები უფრო ყვავილები და ყვავილის მტვერი ძლიერმოქმედ გამაბრუებელ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც მოწევის დროს ევფორიას — ნეტარების ილუზიას იწვევს, ხოლო დიდი დოზა — დათრგუნვის ფაზას, რასაც შემდეგ აგრესიულობა — ირგვლივ მყოფთათვის საშიში სიგიჟე მოჰყვება.

აბდია კალისტრატოვმა მგზავრობა დაწვრილებით აღწერა თავის საგზაო ნარკვევებში. აღწერა, ტრამალში მოულოდნელად როგორ გადაეყარა მგლების ოჯახს. როგორც თვითმხილველმა, როგორც გამაბრუებელი საწამლავის გავრცელებით შეწუხებულმა მოქალაქემ. ტკივილითა და მშფოთვარებით გადმოსცა ყველაფერი, რაც განიცადა. მაგრამ ნარკვევების გამოქვეყნებას საშველი არ დაადგა: რედაქციაში ისინი ჯერ ტაშისკვრით მიიღეს, მაგრამ დაბეჭდვა მაინც შეუძვნდა, შემდეგ კი საერთოდ შეჩერდა.

აბდია კალისტრატოვი თავის წარუმატებლობებსა და განცდებზე წერდა სწორედ ინგა ფიოდოროვნას, რომელიც ბედის ნაბოძვარად, ყველაზე ახლობელ ადამიანად მიაჩნდა — ინგა მდინარესავით აცოცხლებდა და მკვდრეთით აღადგენდა ყოველდღიური ცხოვრებისათვის აბდია მალე მიხვდა, რომ ინგასთან მიმოწერა მისთვის ცხოვრების მთავარი მოვლენა იყო, და, შესაძლოა, თვით მისი არსებობის გამამართლებელი ხვედრიც.

აბდიამ ინგა ფიოდოროვნას წერილი გაუგზავნა და შემდეგ ამ ამბით ცხოვრობდა. მეხსიერებაში ხელახლა აღიდგენდა დაწვრილს და თითქოს შენიშვნებს უკეთებდა. ეს იყო დიდ მანძილზე ურთიერთობის უცნაური ფორმა — მისი ტანჯული სულის უწყვეტი გამოსხივება დროსა და სივრცეში.

„... შემდეგ მრავალი დღე ვფიქრობდი, ხომ არ შეგაცბუნეს ჩემი წერილის დასაწყისმა სიტყვებმა: „სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისასულისათა!“ ეს სიტყვები იმიტომ მოვიყვანე, რომ საეკლესიო ტრადიციებზე აღვიზარდებისინი ყოველთვის კამერტონის მაგივრობას მიწევს სერიოზული საუბრის დაწყების წინ, სულში ლოცვის განწყობას მიქმნის და ამ წესს არ ვარღვევ, თუმცა ზედმეტადაც კი გახსენებთ, რომ წარმოშობით სასულიერო წოდებას ვეკუთვნი და სემინარიელი ვიყავი. თქვენდამი დამოკიდებულება ნებას არ მაძლევს, გვერდი ავუარო ნებისმიერ გარემოებას, რომელიც კი მე შეშებება.

იმაზეც ვფიქრობდი, რომ თქვენობით გწერთ, თუმცა განშორების ყამს

ერთმანეთს შენობით მივმართავდით. მაპატიეთ, მაგრამ რაღაც დამემართა, თუმცა დიდი ხანი არაა, რაც თქვენგან შორს ვიმყოფები. ისე ყველა ახირებული ცდილობს თავი უაზროდ იმართლოს. ეს სიტყვამ მოიტანა. თქვენ მაინც ნება მომეცით აგრე შორს თქვენობით მოვმართოთ. ასე გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს. და თუ ბედად გვიწერია შეხვედრა, რაც ჩემს გულში ჩამსხვტუნსკენებაა და ამიტომაც განსაკუთრებულად იღუმალი (ამ ოცნებებს მხოლოდ სიტყვლოლიავეები, ვზრდი და მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია; წარმომიდგენია, რა ბედნიერებაა შენი შეიღების სიყვარული, თუ ისინი ოცნებებივით გიყვარს), ეს ოცნებები კი დაიბადა, როგორც სულის სწრაფვა ღვთაებრივი სრულყოფისაკენ. მარად მიმზიდველი, უსასრულო სრულყოფისაკენ. ჰოდა, მათი წყალობით ჩემდა შეუცნობლად ვუპირისპირდები არარსობის საშიშროებას. შესაილოა იმიტომ, რომ სიყვარული სიკვდილის ანტითეზაა; ამიტომაცაა იგი შობის საიდუმლოს შემდეგ სიცოცხლის მნიშვნელოვანი მომენტი. ყოველივე ამას ვიმეორებ, როგორც შელოცვას, რათა შეხვედრა გვეწეროს, და აღვითქვამთ, შეხვედრისას არ შეგაწუხოთ — აღვითქვამთ, შენობით მოვმართოთ... ჭერჭერობით კი ბევრი რამა მაქვს სათქმელი...

ინგა ფიოდოროვნა, ვიმედოვნებ, გახსოვთ, რომ შევთანხმდით, როგორც კი გაზეთში გამოქვეყნდებოდა მასალები, რომელთა გულისთვის თქვენს მხარეში ჩამოვედი, მათ დაუყოვნებლივ გამოგიგზავნიდით ავიაფოსტით. სამწუხაროდ, დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემი ნარკვევები ჭაბუკებზე, ანაშას მადევრებზე და ყველაფერზე, რაც ჩვენი დღეების ამ სამწუხარო მოვლენასთანაა დაკავშირებული, უახლოეს ხანაში დაიბეჭდება. ვამბობ, ჩვენი დღეების-მეთქი, ვინაიდან ანაშა ამ მიწებზე უხსოვარი დროიდან იზრდებოდა, როგორც სარველა ბალახი, თხუთმეტი წლის წინათ კი — ეს თვითონ იცით და მე თქვენ — სპეციალისტს აბა, რაღას გიყვებით, მაგრამ მაპატიეთ, სულ ერთია მოგიყვებით. ინგა ფიოდოროვნა, და მოგიყვებით სწორედ თქვენ, რადგან მხოლოდ ეგ აძლევს ახლა რაღაც აზრს მთელ ამ საქმეს, — ჰოდა, თხუთმეტი წლის წინათ, როგორც აქაური მცხოვრებნი ამტკიცებენ, არავის უფიქრია ამ ბოროტების, ანუ, როგორც ანაშისტები უწოდებენ, ბალახ-ბულახის მოგროვება არც მოსაწევად და არც სხვა რამ საჭიროებისათვის. ეს ბოროტება სულ ახლახან აღმოცენდა, დასავლეთის საკმაო გავლენით. და აი, ახლა მთავაზობენ დავჯერდუ იმას, რომ რაღაც მოხსენებითი ბარათი მივწერო რომელიღაც ინსტანციებს — ეს პირდაპირ გაუგებარია, ვხვდები, რა ძალის თავიცაა აქ დამარხული, მაგრამ მხოლოდ გულისწყრომა და სიცილი შეიძლება გამოიწვიოს ტყუილუბრალო შიშმა, რომ ერთობ სენსაციური მასალები ნარკომანიაზე ახალგაზრდებს შორის (სიზუსტისათვის უნდა დავსძინო, ნაკლებშეგნებულ ახალგაზრდების ერთ ნაწილში) პრესტიჟს შეგვირყევს. ეს ხომ სწორედ სარაქლემას პოლიტიკაა... აბა, რისთვის გვჭირდება ის, ეს პრესტიჟი, თუკი ასე ძვირი დაგვიჯდება!

ინგა ფიოდოროვნა, წარმომიდგენია, ამ სტრიქონების კითხვისას რა შემწყნარებლურად იღიმებოდით, უფრო სწორად, იღიმებოდით ჩემს გულუბრყვილო აღშფოთებაზე, შეიძლება, პირიქითაც, იღუშებოდით, მოლუწვა კი, სიტყვამ მოიტანა და, ძალიან გიხდებათ. როცა იღუშებით, სახე ისე გეწმინდებათ და შეფრფვიანი გიხდებათ, როგორც ახალგაზრდა მონაზვნებს, რომლებიც მართლა არიან შეურვებულნი ღვთაების არსის წვდომით: ამ ქრისტეს სასძლოთა ქეშმარიტი სილამაზე ხომ მათი ზეშთაგონებულებაა. ეს რომ ხმამაღლა.

თანაც სხვების თანდასწრებით მეთქვა, პირფერობის წადილს დაემსგავსებოდა. მაგრამ უკვე ვთქვი, რომ თქვენდამი ჩემს დამოკიდებულებას არ უნდა არაფერია ისეთი, რაც უნდა დამეკნინებინა ან გამეზვიადებინა. და თუ თქვენი შეფიქრებულ სახე მეხსიერებაში აღორძინების ხანის ფერწერის ღვთისმშობელს აღმიდგენს, ეს უკიდურეს შემთხვევაში ხელს შეწყობს დასწრებაში ჩემს არასაკმარის გამოცდილებას მიაწერეთ. რაც უნდა იყოს, ვიძედოვნებ, ჩემი გულწრფელობა გჭერათ... აკი ყველაფერი აქედან დაიწყოს — პირველივე სიტყვიდან მერწმუნეთ და ცხოვრების ახალი კაბადონი გადამიშალოთ...

დღეს გაზეთის რედაქციაში მივედი ჩემი მასალის გამო და კვლავ იგივე სურათი დამხვდა — არაფერი შეცვლილა, არც არავითარი ძვრაა, არც არავითარი იმედის ნაპერწკალი. არავის შეუძლია გასაგებად ამიხსნას, ტრამალის ნარკვევებმა, რომლებსაც რედაქცია თავდაპირველად დიდის ზარ-ზეიმით შეეგება, ახლა რატომღაც გაუქრო ენთუზიაზმი მის მუშაკებს. მერედა რამდენმა გულწრფელად აღიარა დასმული პრობლემების აქტუალობა. გაზეთის მთავარი რედაქტორი ახლა ყოველნაირად ცდილობს თავი გამარიდოს, მასთან დარეკვა შეუძლებელია, მდივანი სულ იმიზეზებს, არ სცალიათ — ხან სხდომა აქვს, ხან — გაზეთის ნომერს გეგმავს, ხან, როგორც მდივანი ხაზგასმულად ამბობს, ზემდგომ ინსტანციებშია გამოძახებული.

და კვლავ მარტოსული მიუუხვეები ნაცნობ ქუჩებს შემთხვევით ჩამოსული უცხო კაცივით, თითქოს აქ არ ვიყო დაბადებული და გაზრდილი, ისეთ სიცარიელესა და სიმარტოვეს ვგრძნობ სულში. ზოგი ნაცნობი გამარჯობას არ მეუბნება — მათთვის ვარ ეკლესიიდან განკვეთილი, სემინარიიდან გაძევებული ერეტიკოსი და ა. შ. და ა. შ. მხოლოდ ერთი რამ მითბობს გულს, ნიადავ მახლავს ერთი სანუკვარი საზრუნავი — წერილი. მივაბიჯებ და ვფიქრობ, რას მივწერ ინგას, ვფიქრობ, რომ მორიგ წერილში მოვუყვები ყველაფერს, რაც ჩემი ვარაუდით დააინტერესებს, ყველაფერს, რასაც შეუძლია საბაბი მომცეს ფიქრები გაეუზიარო. არასდროს გამოვიღია გულში, საყვარელ ქალზე ფიქრი და მისთვის წერილების მიწერა ჩემი ცხოვრების აზრი გახდება-მეთქი. ერთი სული მაქვს, თუნდაც უმცირესი შესაძლებლობა გამიჩნდეს, გავემგზავრო იქ, სადაც შეეხვდით ერთმანეთს. ნეტავ ჩქარა გამიჩნდეს! მივაბიჯებ და ამაზე ვფიქრობ. ალბათ სხვებსაც ჰქონიათ ასეთი დღეები, როცა გარკვეული ხნის სიყვარული ცხოვრების მთავარ აზრად მიაჩნდათ და ბედნიერი იყვნენ, მე კი მათგან განსხვავებით სიყვარული სიკვდილამდე არ გამიჩნდებოდა და ჩემი ცხოვრების აზრი მხოლოდ ის იქნება...

აგერ, უკვე ფოთლებიც ცვივა ბულვარზე, ხოლო ის, რაზეც ვწერდი, აკი ზაფხულის დამდეგს მოხდა. რედაქცია იმ დღეებში მხარს უჭერდა ჩემს იდეას, მაჩქარებდა. აბა, რა ვიცოდი, რომ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, კუდს ამოიძუებდა. არ მიფიქრია, ესოდენ მოუბრუნებელი იქნებოდა უცნაური პრინციპი — მასობრივ პრესაში ვბეჭდოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენთვის უპრიანია, პრესტიჟულია.

იმ დღეებში კი უცნობ და ჩემთვის პროვინციული რუსისთვის, მიმზიდველ სამხრეთ მხარეებში მომავალი ხანგრძლივი მგზავრობის მეტი არაფერი მაბსოვდა. ვაპირებდი, წავსულიყავი. როგორც ანაშას ერთ-ერთი მადევიარი და არა

გარეშე მეთვალყურე, შევერთებოდი ანაშისტების საიდუმლო კომპანიას. რა თქმა უნდა, ასაკით მათზე უფროსი ვიყავი, მაგრამ შესახედავად არც ისე დიდი, რომ ამის გამო ისინი დამეექვევებინა. რედაქციის აზრით ჯინსსა და გასტროლ კედებს სავსებით შეიძლებოდა უბრალო ბიჭად ვექციე, თანაც წვეროსაც თუ მოვიპარსავდი. მოვიპარსე კიდევაც. არავითარი უბის წიგნაკები არ მქონდა. მუხსიერება მეიმედებოდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმ წიგნაკების გამოძიება, რატომ მაინცდამაინც ეს ბიჭები აღმოჩნდნენ იქ, რა უბიძგებდათ გამორჩენისა და სპეკულაციის გარდა. აუცილებლად შიგნიდან უნდა შემესწავლა ამ მოვლენის პიროვნული, სოციალური, ოჯახური გარემოებანი, არც ფსიქოლოგიური გარემოებანი უნდა დამევიწყებინა.

სწორედ საამისოდ მოვემზადე. ეს მოხდა მაისში. ზუსტად მაისში იწყებს ყვავილობას კანაფი-ანაშა, ზუსტად მაისის დღეებში იწყებენ მისი ყვავილის შეგროვებას ისინი, ვინც საგანგებოდ მიემგზავრება ამ ბანგისთვის მუინყუმისა და ჩუსპირა ტრამალებში. ყოველივე ეს ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ჩვენი პატარა ქალაქის ერთ-ერთი სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ვიქტორ ნიკიფორის-მეგოროდეცკიმ მიამბო, როცა მარტონი ვრჩებოდით და ათასგვარ რამეზე ვსაუბრობდით, ხუმრობით მამა აბდიას მეძახდა. იგი შედარებით ახალგაზრდა იყო. ჩემი დის ვარვარას მეგობარი გახლდათ. ხოლო მისი დიდი დისშვილი პაშა, პახომი, რომელსაც თურმე თვითონ დაარქვა ეს სახელი, აი, ეს პაშა, როგორც შემდგომ გამოირკვა, ანაშისტების წრეში მოხვდა. არც მშობლებმა, არც ვიქტორ ნიკიფორის ძემ ამის შესახებ ადრე არაფერი იცოდნენ.

ერთხელ პაშა თურმე მშობლებს დაეთხოვა და რიანში წავიდა ბაბუასთან, რომელთანაც ხშირად დადიოდა. მისი გამგზავრებიდან ხუთი დღის შემდეგ ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა ყაზახეთის რომელიღაც შორეული სადგურიდან სატრანსპორტო პროკურატურის გამომძიებლის ჩასლიბეკოვის დეპეშა მიიღო. დეპეშა ამცნობდა, პაშა დაპატიმრებულია რკინიგზით ნარკოტიკების დანაშაულებრივი გადატანის გამო.

ვიქტორ ნიკიფოროვიჩი მაშინვე მიხვდა, გამომძიებელმა ჩასლიბეკოვმა რატომ მაინცდამაინც სწორედ მას გამოუგზავნა დეპეშა და არა მშობლებს. პაშას ეშინოდა მამისა, უხეში და სასტიკი კაცისა. ვიქტორ ნიკიფოროვიჩი უმალ გაფრინდა ალმა-ათაში, ხოლო იქიდან ორი დღის შემდეგ მატარებლით ჩააღწია ტრამალის სადგურში. პაშა სასოწარკვეთილი დახვდა. ბიქს სასწრაფო გასამართლება და განსაკუთრებული ბრძანებულებით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სამი წლით პატიმრობის განაჩენი ემუქრებოდა. გასამართლება კი არ ასცდებოდა — დანაშაულის სამხილი ხელთ ჰქონდათ. ვიქტორ ნიკიფოროვიჩი შესაძლებლობისამებრ ცდილობდა, დისშვილისთვის გაეგებინებინა, რომ სხვა გზა სამწუხაროდ არ იყო და კანონის ძალით დაისჯებოდა. ურჩევდა, როგორ დაეჭირა თავი, რა ელაპარაკა სასამართლოზე, ალუთქვა, ყველაფერს ავუხსნი შენს მშობლებს და კოლონიაშიც გინახულებო. ეს ყველაფერი ჩასლიბეკოვის თანდასწრებით ხდებოდა. უცებ ჩასლიბეკოვმა თქვა:

— ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, თუ თავს იღებთ, რომ თქვენი დისშვილი ამიერიდან მსგავს დანაშაულს აღარ ჩაიდენს, ჩემი პასუხისმგებლობით გავათავისუფლებ. რატომღაც მომეჩვენა, რომ შეძლებთ ეს ყმაწვილი ჭეშმარიტების გზაზე მოაქციოთ. თუ კიდევ დაიჭირეს ანაშის წაღებისათვის, როგორც რეციდივისტს, ისე გაასამართლებენ. ჰოდა, თვითონ გადაწყვეტეთ ეს ეგ საქმე.

რა თქმა უნდა, ვიქტორ ნიკიფოროვიჩს ისე გაუხარდა უმალ დაუდგა თა-

ვდებად პაშას, აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა გამომძიებლისათვის. ბოლო ჯასლიბეკოვმა უთხრა:

— თქვენ კი, ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, გთხოვთ იქ, თქვენთან ადგილზე დაგვეხმაროთ. სცადეთ და პრესაში სერიოზული საუბარი წამოიწყეთ ამ თემაზე. თქვენ ხომ მასწავლებელი ხართ. ჩვენ ვებრძვით თვით დანაშაულებებს. როცა ისინი მომხდარია ან ხდება, ბოლო ვინ და რა მიერ ეკება ამისთანებს, შეიძლება ითქვას. ბიჭბუჭებს შორის, უკაცურ ადგილებში, არათუ დეკლასირებულ ელემენტთა, ზოგჯერ გამოუსწორებელ რეციდივისტთა წრეში, არ ვიცით. ჩვენ კი ამ მოზარდებს ვსჯით, იძულებულნი ვართ, ვალდებული ვართ, დავსაჯოთ. ძალიან კარგი პქენით, რომ უმალ გამოგვეხმაურეთ. დაუყოვნებლივ ჩამოხვედით, რითაც დიდად დაგვეხმარეთ, სამაგიეროდ ბევრი ნათესავი — მერედა რაოდენ ბევრი — საერთოდ არ ჩამოდის და თხუთმეტი წლის კაცი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ხვდება. ბოლო იქ რა ხდება? რა გზას დაადგებიან, რას ისწავლიან? უვარგისნი, დამახინჯებულნი გამოვლენ იქიდან. თვითონ მოგვხსენებთ, ციხე დალხინების გამო არ არსებობს. ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, გული მტკივა ყველაფერ ამას რომ ვუყურებ. დამიჯერებთ? მხოლოდ შარშანდელ სეზონში რკინიგზის ჩვენეულ მონაკვეთზე ას მოზარდზე მეტი დავსაჯეთ, ახლა რამდენი ვერ შევამჩნიეთ, რამდენი ვერ დავიჭირეთ. მოდიან და მოდიან ყოველი მხრიდან — არხანგელსკიდან დაწყებული კამჩატკით გათავებული. მოისწრაფვიან როგორც თევზები ქვირითის დასაყრელად. რამდენი შეიძლება დავსაჯოთ? ყველას ხომ ვერ დასჯი. ანაშისტებმა რეწვის მთელი სისტემა შექმნეს. მათ შორის არიან მეგზურები — აქაურებიცა და სხვა მხრისანიც, — რომლებსაც ისინი იმ ადგილებში მოჰყავთ, სადაც ანაშა ხარობს. ჩვენ მეგზურებსაც ვსჯით. მერედა იცით, ანაშისტები რას უშვრებიან მატარებლებს? ტრამალში აჩერებენ. ოღონდ სამგზავროებს ვერ ეკარებიან, რადგან უმალ ჩააგლებენ ხელს. მათ ვილაც ამარაგებს სპეციალური შემადგენლობის ფხვნილით. თუ ღამით ამ ფხვნილს შპალებზე, რელსებზე დაყრიან, ფარების სხივებზე იქმნება ილუზია. თითქოს რკინიგზას ცეცხლი უკიდია: შპალები იწვის, რელსები იწვის და მემანქანე, რა თქმა უნდა, მატარებელს აჩერებს — ტრამალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ჩამორბის ლიანდაგზე, მაგრამ არა, არაფერი იწვის, ყოველივე რიგზეა. ანაშისტები კი ამასობაში ვაგონებში ადიან თავიანთი ჩანთებითა და ჩემოდნებითურთ. ახლანდელი მატარებლები გრძელია — ერთ კილომეტრზეა გაჭიმული, აბა ერთი სცადე, თვალყური მიადევნო! ანაშისტები ადიან ვაგონებში და მატარებელს საკვანძო სადგურამდე მიჰყვებიან, სადაც ბილეთებს ყიდულობენ. სადგურში კიდევ უამრავი ხალხი ირევა! წადი და არკვიე, ვინ ვინ არის. თუმცა ბოლო ხანებში მილიციამ საგანგებოდ გაწვრთნილი ძალები გაიჩინა, რომლებიც სუნით აგნებენ ანაშას. თქვენს დისშვილსაც ძალების დახმარებით ჩააგლეს ხელი...

და კიდევ ბევრი რამ გაიგო ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა იმ ადგილებში. სწორედ მან გამოიზიარა ეგ ამბები, მაგრამ მე ასეთი საუბრისთვის შინაგანად მანამდეც ვიყავი მზად. დიდი ხანია მაწვალებდა აზრი — მეპოვა ჩემი თანატოლების გონებისა და გულისკენ სავალი გაუკვალავი ბილიკები. იქნებ, ცოტა არ იყოს, თვითდაჯერებულად ვფიქრობდი, ეს ჩემი მოწოდებაა-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, ამის გაკეთება გულწრფელად მინდოდა, რაც, მგონი, გარკვეულწილად ჩემი წარმოსობით აიხსნება. ზოგიერთ წერილში უკვე ვილაპარაკე, თუმცა ერთობ ზოგადად, რა დამლუპველია ახალგაზრდობისთვის ლოთობა. და-

ახლოებით ამასვე ვწერდი ნარკომანიაზეც და დასავლეთის სამწუხარო გამოცდილებას ვიმოწმებდი, მაგრამ არსებითად სხვის სიტყვებს, სხვის მოსაზრებებს ვეყრდნობოდი. ხოლო თვალსაჩინო და გულში ჩამწვდომი მასალისათვის, სადაც ჩემი საკუთარი ფიქრები და განცდები იქნებოდა გადმოცემული ახლგაზრდობაში, განსაკუთრებით მოზარდებში ნარკომანიის შემთხვევებთან დაკავშირებით, შემთხვევებისა, რომელთაც სამწუხარო შედეგი მოსდევდა, ანუ ექსპერტების თვითრღვევიდან დაწყებული, გათავებული საღისტურ მკვლელობებამდე — შემთხვევებისა, რომლებიც ყველასათვის იყო ცნობილი და იმავე დროს ბევრი ცრუმორწმუნე არიდებდა თავს, როგორც ჭირს — აი, ასეთი მასალისათვის მაკლდა პრობლემის ღრმა ცოდნა და რეალიები. ზუსტად ამ დროს კი ვიქტორ ნიკიტოროვიჩი გოროდეცკიმ, ვინც საკუთარ თავზე იწვინა ეს ყოველივე, გადაწყვიტა ჩემთვის თავისი ფიქრები და სულიერი ტკივილი გაეზიარებინა. ანაშის მადევარი ძველი მეგობარ-ამხანაგებისაგან პაშას ჩამოსაშორებლად მისი მთელი ოაჯხი — დედა, მამა, ბავშვები — იძულებული გახდა საცხოვრებელი უფრო ნაკლები ფართობის ბინაზე გარდაეცვალა და სხვა ქალაქში გადასულიყო. ყოველივე ამას ვიქტორ ნიკიტოროვიჩი მწუხარებით და გულსტკივილით მომიყვა.

ამ ამბავმა მიბიძგა მტკიცედ მომეკიდა ხელი ჩაფიქრებული საქმისათვის.

ჩამოვედი მოსკოვში, საიდანაც ყაზანის ვაგზლიდან კანაფის ტრამალებში უნდა გამგზავრებულიყავი. საქმე ისაა, რომ ზუსტად აქ, ყაზანის ვაგზალში იქმნებოდა მადევართა ჯგუფი — ასე უწოდებდნენ ანაშისტები თავს. მადევრები, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ჩრდილოეთისა და ბალტიისპირეთის სულ სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოდოდნენ. ყველაზე უფრო მოფუთფუთე წერტილები კი არხანგელსკი და კლაიპედა იყო. ალბათ იმიტომ, რომ ანაშა იქ შეიძლებოდა შორეულ ნაოსნობაში მიმავალი მეზღვაურებისთვის მიეყიდათ. მადევრების კვალის მისაგნებად ყაზანის ვაგზალში უნდა მომეძებნა მეზარგული, მეტსახელად უთო, რომლის სამკერდე ნიშანზე ნომერი ოთხმოცდაშვიდი იქნებოდა აღნიშნული და პაშას მიერ ნახსენები ერთ-ერთი მეგობრისგან მოკითხვა გადამეცა. უთოს საბილეთო საღაროებში ნაცნობები ჰყავდა და მადევრების გამგზავრებას უდავოდ გარკვეული სასყიდლის საფასურად უზრუნველყოფდა, მაგრამ კერძოდ ვინ წარმართავდა საქმეს, ვერ გავიგე. ეტყობა, რგოლს ვიღაც მეთაურობდა საიდუმლოდ. აი, ეს უთო აგვარებდა მადევრების ჯგუფის ორგანიზებულ გამგზავრებას, ესე იგი, ყველასთვის ერთ მატარებელზე უნდა ეშოვა ბილეთი, მაგრამ სასურველი იყო სხვადასხვა ვაგონში, როცა უფრო დავუახლოვდი მადევრებს, გავიგე, რომ ანაშას ყველა მომპოვებელს პირველ მცნებად ჰქონდა — ჩავარდნის შემთხვევაში არამც და არამც არ გაეცათ ერთმანეთი, ამიტომაც ხალხში ნაკლებად უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა.

აგერ სამი ვაგზლის ნაცნობი მოედანი, სადაც რამდენჯერ ვყოფილვარ ჩამოსვლისას თუ მოსკოვიდან წასვლისას. საზარელი ჯგლეთა იყო ხოლმე, განსაკუთრებით მეტროში და ვაგზლებზე ვერ გაძვრებოდი, ვერ გააღწევდი ხალხის დუნდგოში, ვის და საიდან არ შეატრიალებდა ნაფოტივით სამი ვაგზლის ცოცხალი მორევი. მიუხედავად ამისა, მიყვარდა მოსკოვში ჩამოსვლა, როცა უკვე ცენტრის ახლოს შედარებით ფართო სივრცეზე გავაღწევდი, ქუჩებში ხეტი-

ლი, ბუკინისტურ მალაჩიებში ყიალი, აფიშებთან და რეკლამებთან დგომა და, თუ მოვახერხებდი, ხელახლა შევლა ტრეტიაკოვის გალერეაში ან პუშკინის მუზეუმში.

ამგერად იაროსლავლის ვაგზალზე ელექტრომატარებელიდან ჩამოკვდი და ხალხის ნაკადს ყაზანის ვაგზლისაკენ მივყევი. უცებ შევამჩნეე უფროსობა — რა კარგად ვცხოვრობდი და რა კარგად ვგრძნობდი. როცა ჩემთვის ვიყავი, მცირე გულისწადილი მქონდა, არაფერი მაწუხებდა, არავითარი საზრუნავი არ მიზღუდავდა განსაკუთრებით დროს და ხელს არ მიშლიდა მოსკოვის ქუჩებში მეტეტიალა-მეთქი. ახლა კი ქიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთო ვეება ყაზანის ვაგზალში სასწრაფოდ უნდა მომეძებნა ის მეკავშირე მეზარგული. ნეტსახელად უთო, სამკერდე ნიშანზე ნომერი ოთხმოცდაშვიდი რომ ეწერა, ღმერთო, რამდენია ეს მეზარგული. უფრო სწორად, მეუროკე ყაზანის ვაგზალში. თუ უთო ოთხმოცდაშვიდე იყო, მეზარგულნი საერთოდ ალბათ ასზე ნაკლებნი არ იქნებოდნენ. მართლაც, ამ ორომტრიალში უთოს პოვნა არც ისე ადგილი აღმოჩნდა. ნახევარი საათი მაინც დამეკარგა იმაზე, რომ მეუროკეთა ყველა შესაძლო გაჩერების ადგილი შემომეველო. ბოლოს უთო ტაშკენტში მიმავალ მატარებელთან ვნახე ბაქანზე: ვილაკის ბარგს ალაგებდა — ჩემოდნები და კოლოფები სასწრაფოდ გადაქონდა ურიკიდან ვაგონში, გზადაგზა ცოცხლად ეხუმრებოდა გამცილებლებს და იმეორებდა ვაგზალში გავრცელებულ ერთ მოსწრებულ გამოხატვას: „თუ ფული გაქვს, კაცი გქვია“. შორიახლო დავიცადე, ვიდრე განთავისუფლდებოდა, მგზავრები ვაგონებში შეილალეობდნენ, ხოლო გამცილებლები მატარებლის გასწვრივ კუბეების ფანჯრებთან შეგგუფდებოდნენ. ბოლოს უთოც გამოვიდა ტაშკურიდან, ქოშინებდა, ფეხის ქირას ჭიბეში იჩრიდა. მოწითალო ბრვე ჭაბუკი, თვალეზმოუსვენარ ეშმაკ ხვად კატას ჰგავდა, კინალამ წინდაუხედაობა გამოვიჩინე — ლამის თქვენიობით მივმართე, ლამის ბოდრიში მოვუბადე, შეგაწუხებთ-მეთქი.

— გამარჯობა, უთო, როგორაა საქმეები? — ვუთხარი, რაც შემეძლო მოუყრიდებლად.

— საქმე ისეა, როგორც პოლონეთში, ვისაც ფორანი აქვს, პანი ისაა, — მიპასუხა ცოცხლად, თითქოს ასი წლის ნაცნობები ვიყავით.

— მაშ, პანიც ყოფილხარ! — ვუთხარი და ურიკაზე ვანიშნე.

— აბა, რა გეგონა! ჩვენ, ძმაო, ვიცით, ვისა აქვს ფული თავსაყრელად, შენ კი რაო, ჩავიჩა? რაიმეს გადატანა ხომ არ გინდა? აქა ვარ!

— გადატანა თვითონაც შემიძლია, — ვიხუმრე მე. — საქმე მაქვს შენთან.

— აბა, თქვი, რა საქმე გაქვს.

— აქ არა, იქით გავიდეთ.

— აგრე იყოს, ჩავიჩა, გავიდეთ.

გრძელ ბაქანს გავუყევი ვაგზლის შენობისკენ. ტაშკენტის მატარებელი დაიძრა, ფანჯრების მწკრივით, მინების იქით მდგომ ადამიანთა სახეების მწკრივით ჩაიარა, ხოლო მეზობელ ლიანდაგზე საიდანღაც გამოსული სხვა მატარებელი ჩამოდგა. მატარებლები რამდენიმე რიგად იდგნენ, ხალხი ფუსფუსებდა, ჩქარობდა, რადიო წამდაუწუმ აცხადებდა მიმავალი და მომავალი მატარებლების ნომრებს.

როცა ვაგზლის შენობას მივუახლოვდი, უთომ ურიკა კუთხეში გადაიყვანა, სადაც ხალხი არ იყო. მივიბეღ-მოვიხედე და ვუთხარი, ლომვეშაპმა მო-

გკითხა-მეთქი. ლომვეშაპი პაშას მეგობარი ეგორი იყო. მადევრები რატომ ეძახდნენ ასე, არ ვიცი.

— თვითონ ლომვეშაპი სადაა? — იკითხა უთომ.

— იბრიდება, — მივუგე მე. — კუჭის წყლულმა გააწამა.

— აშკარად ვატყობდი, — სინანულით, მაგრამ, ცოტა არ უკუჩვენებდა მოგებით მიირტყა შუბლზე ხელი უთომ. — ვეუბნებოდი, ჩვეულებრივად ვეუბნებოდი, ნუ სულელობ, თავს ნუ იღუპავ-მეთქი. ის ხომ ექსტრას ხმარობდა, ჰოდა, მეტისმეტი მოუვიდა და წყლულიც დაირტყა.

სახეზე თანაგრძნობა გამომეხატა, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, არ ვიცოდი, რა ექსტრა იყო ეს — არაფერი თუ სხვა რამ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მივხვდი, არ დამეხუსტებინა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ექსტრაში იგულისხმებოდა სათამაშო პლასტილინის მაგვარი პლასტილინისგან — კანაფის ყვავილის მტვრის მასისგან — გამოყოფილი უაღრესად ძვირფასი ნედლეული (სიტყვამ მოიტანა და პლასტილინის ამბავი ვიცოდი, ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა მიაშბო), ოპიუმის მსგავსი განსაკუთრებული საბოლოო ნარკოტიკული ნივთიერება. ექსტრა ქიმიურ ლაბორატორიაში შეიიღება საინექციო ფხვნილად ჰეროინუმად გარდაიქმნას. ჰეროინუმი ლომვეშაპისთანებისა და სხვა მადევრებისთვის ხელმიუწვდომელი იყო, მაგრამ თუ დიდი სურვილი გაუჩნდებოდათ, შეეძლოთ ექსტრა ეხმარათ — ენის ქვეშ ამოედოთ, დაედებათ, არაფერი დაეყოლებინათ, პურთან ერთად ჩაეყლაბათ. ექსტრას ხმარებას ისინი ტვინში ლეწვას ეძახდნენ. მაგრამ მაინც ყველაზე ხელმისაწვდომი და უბრალო საშუალება იყო ანაშის მოწევა — ვის როგორ ერჩია — სუფთა სახით, თუ თუთუნში შერეული. ეს ალბათ ტვინში ლეწვაზე ნაკლები არაა, თუმცა კვამლის მოქმედება სწრაფად ნელდება, ვიდრე სხვა საშუალებებისა.

ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი სხვა რამ „ხალხინ-გოლისკენ“ მგზავრობისას გავიგე. „ხალხინ-გოლს“ ეძახდნენ ადგილებს, სადაც ანაშა ხარობდა. ამ „ხალხინ-გოლის“ გამო კინალამ ისევ ხათაბალაში გავეხვიე.

— ჩავიჩა, შენც „ხალხინ-გოლისკენ“ მიდიხარ? — თითქოსდა სასხვათაშორისოდ მკითხა უთომ.

პირველად ენა დამება, ვერ გავიგე, რა იყო „ხალხინ-გოლი“, შემდეგ კი მოვისაზრე:

— თითქოს, საერთოდ კი მივდივარ, აბა, სხვა რა საქმე მაქვს.

— მაშინ, აი, რა. ბილეთები ნუ გეფიქრება, ჩავიჩა, ყველაფერი იქნება. რაც შეეხება დანარჩენს, ამას უკვე, როცა ბალახს ჩამოიტანთ, თვითონ დოგი გაარკვევს. ეგ ჩემი საქმე არაა.

ვინ იყო დოგი, ვინც ბილეთებით გვამარაგებდა, რა უნდა გაერკვია შემდეგ, არ ვიცოდი და ვერც გავიგე, ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდა. სამაგიეროდ, უთოსთან ლაპარაკისას შევიტყვე, რომ „ხალხინ-გოლში“ დღესვე ვერ წავიდოდით, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ყველა მადევარი არ იყო ჩამოსული. მურმანსკელი ორი მადევარი ღამის მატარებელს უნდა ჩამოჰყოლოდა. კიდევ ერთი, არ ვიცი, საიდან მოდიოდა, მხოლოდ დილით ჩამოვიდოდა. ეს სულაც არ მაწუხებდა, რადგან მოსკოვში ზედმეტი დღით დარჩენაც რაღაცას ნიშნავდა.

ხვალ დათქმულ დროს ყაზანის ვაგზალში უნდა მოვსულიყავი, თუმცა მოსვლა რად მინდოდა, სულ ერთია, ღამის გათევა აქ მომიწევდა. გამომშვიდობებისას უთომ დაანტერესდა, ზურგჩანთა და პოლიეთილენის პაკეტები თუ

მქონდა ბალახის, ანუ ანაშას ჩასადებად. ზურგჩანთა და პაკეტები ჩემოდანში მაქვს-მეთქი, ვუთხარი. მაშინ უთომ მირჩია, მალაზიებში შინა ან პლასტმასის პერმეტული კოლოფი მეშოვა. რათა მასში ყვავილის მტვრის მასა, ეგრეთ წოდებული პლასტილინი მომეგროვებინა.

— თუ მარჯვედ მოიქცევი, ცოტა პლასტილინს ^{უჩინუნული} მოგროვებ პლასტილინის მოგროვება უბრალო რამ არ გეგონოს, — ამიხსნა მან. — თვითონ იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი რამ მსმენია. აქ არის ერთი ლიონა, ორ სეზონში „უიგული“ გაირტყა. დასეირნობს ახლა მოსკოვში, მანქანიდან აწიტებს... სა-მუშაო კი სულ ათი დღისა თუ იქნება...

დავშორდით ერთმანეთს. ჩემოდანი შემნახველ საკანში შევაგდე და მოსკოვში გასასვლელად წავედი.

მაისი ილეოდა. მე მგონი, მოსკოვისთვის ზაფხულის დამდეგამდე დარჩენილ დღეებზე უკეთესი დრო არ არსებობს. თუმცა უზომოდ ლამაზია შემოდგომაც, ადრეული შემოდგომაც, როცა გამვლელთა თვალეებშიც კი ისარკება პაერის გამჭვირვალობა, ფოთლების ოქროსფერი. მაგრამ მე უფრო სწორედ მოსკოვური ზაფხულისპირი მომწონს — დღისითაც საამოა ქუჩებში ყოფნა და თეთრი ღამეების დროსაც, როცა დილამდე მეფობს რიბირაბოს სხივნათელი ქალაქშიც და ქალაქს გადმოხურულ ვარსკვლავებითმოჭედილ ცარგვალზეც.

ვაგზლიდან სუფთა პაერზე გამოსვლას დავეშურე, მაგრამ გამახსენდა, რომ ცენტრში მეტროთი უფრო უკეთ მივაღწევდი. ამიტომ ისევ ზღვა ხალხის მდინარებაში ჩავერთე. სალამოს პიკის საათამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და სიბნელისა და სინათლის მოგუგუნე შენაცვლება-შენაცვლებაში თავისუფლად მივატანე ცენტრს. სვერდლოვის მოედანზე ჩემს საყვარელ სკვერში შევიბედე. მრგვალი სკვერი ამწვანებული და აქრელებული იყო. როგორც მადლიანი კუნძული ირგვლივ გამეფებულ უწყვეტ მოძრაობასა და გარს შემომდგარ შენობებს შორის. თითქმის შეუცნობლად მივიწევდი გამვლელთა ნაკადში ჯერ მანეთისკენ — ვფიქრობდი, იქ შეიძლება რაიმე გამოფენა იყოს-მეთქი, მაგრამ მანეთი დაკეტილი დამხვდა. შემდეგ ძველ უნივერსიტეტს, პაშკოვის სახლს ჩავუთარე. ვოლხოვკისკენ გავემართე და იქიდან პუშკინის მუზეუმისკენ გავსწიე. არ ვიცი, რატომ — სულში საოცარი სიმშვიდე და სიკეთე მედგა. შეიძლება იმიტომ, რომ ცენტრში პიკის საათის წინ ასეთ სიმშვიდეს მოსკოვის ქუჩები ბადებს, ან შეიძლება აგურისფერი სილუეტი კრემლისა, რომელიც ქალაქის ამ ნაწილს მყარი მთაგრეხილივით დაუფლებია. „რა იბილეს ამ კედლებმა და კიდევ რას იბილავენ?“ — ვფიქრობდი და ქუჩაში თავისთავად შობილ ამ ფიქრებში დამავიწყდა, რომ ახლახან წვერი მოვიპარსე, ამის გამო კი წამდაუწყუმ ვეხებოდი შიშველ ნიკაპს, რამდენიმე ხნით დამავიწყდა ისიც, რომ ვცდილობდი ყაზანის ვაგზალში ჩაბუდებული ბოროტების მღვრიე გულში შემეღწია.

არა, ბედი მაინც არის, იგი განსაზღვრავს კეთილ და ცუდ მოვლენებს. და ბედის გაღიმებაც იმას ჰქვია, რაც მე შემემთხვა და რაზეც პუშკინის მუზეუმისკენ მიმავალს სულაც არ მიფიქრია. მე ხომ იმ იმედით მივდიოდი, ექსპოზიციის შეიძლება რაიმე სიახლე იყოს-მეთქი, თუმცა არც ეს იყო აუცილებელი. მოვივლიდი დარბაზებს და ძველ შთაბეჭდილებებს განვიახლებდი. მაგრამ ზედ შესასვლელთან, პატარა ბალის წინ ჩემკენ მომავალმა ქალ-ვაჟმა გამაჩერა.

— ბიჭო, ბილეთი არ გინდა? — მკითხა ვილაც ტიპმა, რომელსაც ხასხასა მწვანე ფერის ყელსახვევი ეკეთა და ახალი წითელი ფეხსაცმელი ეცვა. ფეხსა-

ცმელი აშკარად უჭერდა. ბიჭს და მის თანამგზავრ გოგოს სახეზე მოუთმენლობა და ნაღველი ეხატათ.

— როგორ, ბილეთები არ არის? — დავინტერესდი, რადგან ჩადგი არსად ჩანდა.

— ო, არა, ეს კონცერტის ბილეთია, ოღონდ ორივე აიღე.

— რომელი კონცერტისა? — ვკითხე მე.

— აბა, რა ვიცი, რომელიღაც საეკლესიო გუნდია.

— მუზეუმში? — გამიკვირდა მე.

— იღებ თუ არა? ორ ბილეთს სამ მანეთად გაძლევ, აიღო.

ორივე ბილეთი ავიღე და მუზეუმისკენ გავეშურე. არ მსმენია, პუშკინის მუზეუმში კონცერტი გაემართათ. მაგრამ როგორც ადმინისტრატორთან გავარკვიე, ეს რამდენიმე ხანია მუზეუმში მუშაობდა კლასიკური მუსიკის, უმთავრესად რჩეული კამერული მუსიკის ლექტორიუმის მაგვარი რაღაც და ცნობილი მუსიკოსები უკრავდნენ. ამჯერად კი — ეს უკვე საოცრება იყო! — დარბაზში, რომელსაც იტალიური ეზო ერქვა, ძველი ბულგარული საეკლესიო საგალობლების კონცერტი იმართებოდა. აი, რა არ მომელანდებოდა სიზმრად! ნუთუ სლავური ლიტურგიის მამის იოანე კუკუზელის საგალობლები შესრულდებოდა? სამწუხაროდ, ადმინისტრატორმა ქალმა დაწვრილებით არაფერი იცოდა. მხოლოდ ეს მითხრა. წარჩინებულ სტუმრებს ელოდებიან, მგონი, თვით ბულგარეთის ელჩი მოვაო. რა ჩემი საქმე იყო, ვინ მოვიდოდა, მაგრამ ავლელი და გამიხარდა, რადგან მამაჩემისგან ბევრი რამ მსმენოდა ბულგარული საგალობლების შესახებ. ჩემი საბიფათო მგზავრობის წინ კი უკეთეს საჩუქარს რას მივიღებდი. კონცერტი ნახევარ საათში დაიწყებოდა. მე მუზეუმში ხეტიალი არ დამიწყია, გარეთ გამოვედი, რათა სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა და დაკმშვიდებულიყავი.

აჰ, მოსკოვი, მოსკოვი, მდინარე მოსკოვისპირა ამ შვიდ ბორცვთაგან ერთ-ერთზე წამომართული მოსკოვი მაისის დღის მიწურულს! ყველაფერი საამოა და აზრიანი ქალაქში, როცა სულში ჩრდილის ნასახი არაა და ცხოვრების ხანმოკლე ჰარმონია მეფობს. თავისუფლად, ღრმად ვსუნთქავდი, ცაზე ნათელი იდგა, მიწაზე — სითბო, მე მუზეუმის წინ ბალის თუჯის ღობის გასწვრივ ბოლთას ვცემდი.

დამენანა, რატომ არავის ველი-მეთქი. შეიძლება იმის გამო, რომ ორი ბილეთი მქონდა. და რა გასაგები და ბუნებრივი იქნებოდა, ვინმე ასული წუთი წუთზე ყოფილიყო მოსასვლელი, მეკი დამენახა ქუჩის გადაღმა, დამენახა, როგორ ემზადებოდა გზის გადმოსატრელად, როგორ ეშინოდა, არ დაგვიანებოდა, ხოლო მე, ადელვებულს მის გამო, ასე მშვენიერი, სიფრთხილეს მოკლებული ჩერჩეტი გოგოს გამო, გამწარებით მენიშნებინა. არავითარ შემთხვევაში ქუჩა არ გადმოერბინა; აგერ რამდენი მანქანა დაქროდა, რამდენი ხალხი იყო ყველგან, და მხოლოდ მას მოჰქონდა ბედნიერება, ჩემთვის განკუთვნილი ბედნიერება; ასული გამიღიმებდა — გამომეტყველებაზე ხომ ნაფიქრს მიმიხვდებოდა. და მაშინ დავასწრებდი, მე თვითონ გავიქცეოდი მის შესახვედრად, ქუჩის გადაღმა, ჩემი თავი არ მაწუხებდა, მარჯვე ბიჭი ვარ, გადავირბენდი ქუჩას, თვალეში ჩავხედავდი და ხელზე ხელს მოვკიდებდი. ასეთი სცენა ყოვლად უმიზეზოდ წარმოვიდგინე, მაგრამ უცებ მართლა შემომაწვა სიყვარულის ნაღველი და მერამდენედ გავი-

ფიქრე. აქამდე არ შემხვედრია ის, ვინც ბედმა წინასწარ განმისაზღვრა ჩემი სატრფო ყოფილიყო-მეთქი. მაგრამ არსებობს კი იგი. ასეთი წინასწარ განსაზღვრული ასული, მე ხომ არ მოვიგონე და უბრალოდ ამბავს ხომ არ ვართულებ? ამაზე ბევრს ვფიქრობდი და ყოველთვის მწუხარდვარ. მგონი, თვითონ ვარ ყველაფერში დამნაშავე — ან მეტიმეტყველები, ან და ჩემისთანა კაცი ქალიშვილებს არ აინტერესებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანატოლები ამ აზრით გაცილებით იბღლიანები და ფხიანები აღმოჩნდნენ. თავის გასამართლებლად შეიძლება ის გამოდგეს, რომ სასულიერო სემინარია ხელს მიშლიდა ახალგაზრდულ ცხოვრებაში ჩავრთულიყავი. მაგრამ სემინარიიდან წამოსვლის შემდეგაც ვერაფერი მოვიხატე ამ სარბიელზე. რატომ? აი, ახლა მართლა რომ გამოჩნდებოდეს იგი, ვისაც უმაღლესი შევიყვარებდი. უპირველეს ყოვლისა, ამას ვეტყობდი: წავიდეთ, მოეუსმინოთ სატაძრო საგალობლებს და ვპოვებთ ჩვენს თავს. მაგრამ შემდეგ ეჭვები დამესია: საგალობლები რომ მოსაწყენად და ერთფეროვნად, არცთუ გასაგებად ერქვენოს, რაც მთავარია, ერთია სარიტუალო გალობა ტაძარში, და მეორე — საერო შენობაში, ქრელ ხალხში. ისე ხომ არ გამოვა, ეთქვათ და, ბახის ქორალებს ფიზკულტურის სტადიონზე ასრულებდნენ ანდა კიდევ ხალისიან მარშებს შეჩვეული საავიაციო მედესანტეების ყაზარმაში?

პუშკინის მუზეუმთან სარკესავით გაკრიალებული მანქანები ჩერდებოდა, უცხოეთის ტურისტების ავტობუსიც კი ჩამოდგა. მაშასადამე, კონცერტის დაწყების დრო იყო. იტალიური ეზოს შესასვლელთან ხალხი შეჩვეულყოფილად ყველანი, კაცებიცა და ქალებიც ერთმანეთს ჰგავდნენ რაღაცით. ასეა, როცა ადამიანები ერთად ელიან რაიმე ქმედებას, ამბავს, ვილაც კითხულობდა. ზედმეტ ბილეთი ხომ არა გაქვთო. მე ერთი ბილეთი სტუდენტს მივეცი. იგი აღბათ ახლომდებელი იყო ან სხვა სათვალე ეკეთა. მივეცი და თვითონ შევწუხდი. სტუდენტმა ხალხში ხურდის გადათვლა დაიწყო, თან ხელიდან უცვივდებოდა. ეთხოვე, თავი დაენებებინა ფულის თვლისთვის, ვუთხარი, ბილეთები ნაჩუქარია და ამიტომ შენ გაძლევ ასევე საჩუქრად-მეთქი. მაგრამ სტუდენტმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა და, როცა უკვე დარბაზში შევდიოდი, ის ხურდა ქურთუკის ჭიბეში ჩამიყარა. ფული, რასაკვირველია, მჭირდებოდა. როგორც იტყვიან, საკუთარ, მაგრამ ხმელა პურზე ვიყავი და მაინც... შემაცბუნა იმანაც, რომ დედაქალაქის საზოგადოება შესაფერისად იყო გამოწყობილი, მე კი ძველი გაცვეთილი ჭინსი, გადაღედილი ქურთუკი და ვეება ფეხსაცმელი მეცვა: წვერიც გაპარსული მქონდა, რასაც ძლივს შევეჩვიე, თითქოს რაღაც მაკლდა — მე ხომ შორეულ გზას უნდა გავდგომოდი რომელიღაც უცნობი კანაფიანი ტრამალისკენ და, ვინ იცის, ანაშას რანაირ მომპოვებლებთან ერთად. მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელო წვრილმანები გახლდათ.

მაღალ, ორსართულიან იტალიურ ეზოში, როგორც მომეჩვენა, ექსპონატები თავ-თავიანთ ადგილებზე იყო, მხოლოდ შუა დარბაზში დაედგათ მჭიდრო რიგებად სკამები, რომლებზეც ჩვენ დავსხედით კიდევაც. აქ არც სცენა ჩაფილიყო, ნაპირზე პატარა კათედრა იდგა. ორი წუთის შემდეგ ყველა ადგილი შეივსო, ვილაცები შესასვლელთანაც კი იჭუჭკებოდნენ. დამსწრეთა შორის, ეტყობა, ბევრი ერთმანეთს იცნობდა, ყველა ცხოვლად ესაუბრებოდა ერთმანეთს, მხოლოდ მე ერთი ვლუმბდი, ჩემთვის ვიყავი.

მაგრამ აი, საიდანღაც, გვერდითა კარიდან ორი ქალი გამოვიდა. ერთმა

მათგანმა, პუშკინის მუზეუმის თანამშრომელმა მსმენელებს გააცნო მეორე ქალი — როგორც თვითონ თქვა, ბულგარელი კოლეგა, სოფიის ალექსანდრე მუველის ტაძართან არსებული მუზეუმის მუშაი. დარბაზში ხმაური მიწვდა, ბულგარელი ახალგაზრდა ქალი იყო, თმა სადად დაევარცხნა, კარგი ფეხსაცმელი ეცვა, ლამაზი ფეხები ჰქონდა, რაც რატომღაც თვალში მეცა. მან, მუშაობის დროს, დამოიხედა დიდი მუქი სათვალის ზემოდან, მოგვესალმა და რივიანი რუსული პატარა მოხსენება წაგვიკითხა. გვიამბო, საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ქველი ხელნაწერების, ხატწერისა და ნაბეჭდი წიგნის ფასდაუდებელ ექსპონატებთან ერთად ჩვენს მუზეუმში, კრიბტაში — ტაძრის ნახევრად სარდაფულ დარბაზებში, სალამოს კონცერტებზე, — ეს ღიმილით გვაუწყა, — ხალხს ვაცნობთ ხოლმე შუა საუკუნეების საეკლესიო საგალობლების ნიმუშებსაც, რომელთაც მომღერლები ასრულებენ. ამ მიზნით პუშკინის მუზეუმის მოწვევით ჩამოვედით სწორედ კაპელა „კრიბტასთან“ ერთად.

— ეთხოვოთ! — შესთავაზა ბულგარელმა მსმენელებს, რომლებმაც ტაში დაუკრეს.

შემოვიდნენ მომღერლები. კაცმა რომ თქვას, ისინი აქვე, იმ კარს უკან აღმოჩნდნენ. საიდანაც ჩვენ შემოვედით. სულ ათი კაცი იყო, ამასთან ყველა ახალგაზრდა, შეიძლება ითქვას, ჩემი კბილა. ყველას ერთნაირი საკონცერტო კოსტიუმი ემოსა, თეთრი პერანგის გულისპირზე გახამებული ყელსახვევი-პეპელა ეკეთა, ყველას შავი ფეხსაცმელი ეცვა. დარბაზში არც საკრავები იყო, არც მიკროფონები, არც საესტრადა ხმის გამაძლიერებლები, არც ფიცარნაგი სცენისთვის და, რა თქმა უნდა, არც არავითარი შუქის მანიპულატორები, მხოლოდ ოდნავ მოუკლეს სინათლეს.

და თუმცა მჭეროდა, რომ აქ ისეთი მსმენელები მოვიდოდნენ, რომელთაც იცოდნენ, რას წარმოადგენდა კაპელა, რატომღაც მაინც შემეშინდა მომღერლების გამო. რამდენი ხალხი შეიკრიბა ახლა, ჩვენი ახალგაზრდობაც ელექტრონულ ზრიალს იყო შეჩვეული და ესენი ბრძოლის ველზე უიარალოდ გამოსული ჯარისკაცებივით ჩანდნენ.

მომღერლები ნახევარწრედ განლაგდნენ, მჭიდროდ მიაყრდნეს მხარი მხარს. სახეზე სიმშვიდე და გულისყური ეხატათ, თითქოს სულაც არ აფიქრებდათ თავიანთი თავი. და კიდევ ერთი უცნაურობა შევამჩნიე მათ — ყველანი რატომღაც თითქოს ერთმანეთს ჰგაეძნენ. ალბათ იმიტომ, რომ ახლა საერთო საზრუნავი, საერთო შემართება, საერთო სულიერი აღტყინება დაუფლებოდათ. ასეთ წამებში ხომ ყველაფერი და, შესაძლოა, თითოეულის ყოველდღიური ცხოვრების სხვა დროს ძალიან მნიშვნელოვანი რამეც კი პირწმინდად ითიშება ცნობიერებიდან — ზუსტად ისე, როგორც ბრძოლის დაწყების წინ ყველა მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორ გაიმარჯვოს.

ბულგარელმა ქალმა, რომელიც ისევ ისე სერიოზულად იცქირებოდა მუქი სათვალის ზემოდან, კონცერტის დაწყების წინ მოკლე ისტორიული ცნობა მოგვაწოდა, რომ ბულგარული ეკლესია თავისებურია, ბიზანტიური ფესვები ასაზრდოებს, მაგრამ თავისი თავისებურებანი, თავისი ლიტურგია აქვს. ილაპარაკა აგრეთვე რამდენიმე დეტალზე, რომლებიც ბულგარული სიმღერის ეროვნულ ტრადიციებს ეხებოდა, და კონცერტის დაწყება გამოაცხადა.

მომღერლები მზად იყვნენ: მათ კიდევ მცირე ხანს იყუჩეს, სუნთქვას აწესრიგებდნენ, კიდევ უფრო მჭიდროდ მიეყრდნენ ერთმანეთს მხრებით. ჩამოდგა სამარისებური სიჩუმე, დარბაზი თითქოს დაცარიელდა, ისე აინტერესებდა

ყველას, რას შეძლებდა ეს ათი კაცი, როგორ შეებედეს ამ საქმეს და რისი იმედი ჰქონდათ. და აი, მარჯვენა მხარეს ნაპირიდან მესამე მომღერლის — ეტყობა, ჩგუფის თავკაცის — თავის დაქნევასზე გალობა დაიწყეს და ხმები აფრინდნენ...

იმ სიჩუმეში თითქოს ნელა დაიძრა ფერსოებმოვლენის ხმები, მხოლოდ ვარეღეთაებრივი საპაერო ეტლი, უხილავ ტალღებზე გაქროლდა დარბაზის მიღმა, უკან დატოვა ხმების სიხარულით აღსავსე, მოზეიმე კვალი, რომელიც დიდხანს არ ცხრებოდა და მიწყვი ახლდებოდა სულის დაუშრეტელი სანახებიდან.

თავიდანვე გაზდა ნათელი, რომ კაბელამ ისეთ ელერადობას, ხმების ისეთ მიმოხვრასა და შეთანხმებულობას მიაღწია, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია მიაღწიოს ათმა სხვადასხვა ადამიანმა, რა ვოკალური მონაცემებსა და ოსტატობასაც უნდა ფლობდნენ ისინი. ხოლო თუ ეს გალობა ნებისმიერი განსაკუთრებით თანამედროვე მუსიკალური საკრავების თანხლებით შესრულდებოდა, ათ ბურჯზე დაყრდნობილი ასეთი უნიკალური შენობა უეჭველად დაინგრეოდა. იშვიათ ბედისწერას შეეძლო მოეხდინა სასწაული, რომ სწორედ ისინი, ის ღვთივ გამორჩეული ათი მომღერალი დაახლოებით ერთსა და იმავე დროს დაიბადა, გადარჩა და ერთმანეთი აღმოაჩინა, განიმსჭვალა მოვალეობის შეიღვრული გრძნობით წინაპრების წინაშე, წინაპრებისა, რომლებმაც ოდესღაც ტანჯვით მოიპოვეს იგი, უფალი, მოგონილი, მიუწვდომელი და სულისაგან განუყოფელი, — აკი მარტოოდან ამ გზით შეიძლებოდა შობილიყო ასეთი გასაოცარი ჭეშმარიტი საგალობელი, ამიტომაც იყო ცხოველმყოფელი მომღერალთა ხელოვნება, ცხოველმყოფელი მხოლოდ ამოფრქვეულ ბგერებსა და გრძნობებში ჩაქსოვილი ვნებით, გატაცებით, ძალმოსილებით, როცა დასწავლილი საღვთო ტექსტები საბაბია, მხოლოდ ფორმალური მიმართვაა უფლისადმი, ხოლო პირველ ადგილზე აქ ადამიანის სულია, საკუთარი სიდიადის მწვერვალებისკენ მსწრაფი.

მსმენელები მოჯადოებულნი, მოხიბლულნი იყვნენ, ფიქრებს მისცემოდნენ. თითოეულ მათგანს შემთხვევა მიეცა ცალკე, მარტოდ მყოფი შენივთებოდა იმას, რაც საუკუნეობით იქმნებოდა გონების ტრაგიკულ ცდომილებათა და გაცისკროვნებათა შედეგად (გონებისა, თავის თავს შარად სხვაგან რომ ეძიებს), თანაც ყველასთან ერთად, კოლექტიურად აღეჭვა სიტყვა, რომელიც ათმაგად ცხოველმყოფელს ხდის გალობას მასთან უამრავი სულის თანაზიარობის გამო, წარმოსახვა იმავე დროს თითოეულ მათგანს იტაცებდა იმ ბუნდოვან, მაგრამ ყოველთვის უზომოდ სანატრელ სამყაროში, საკუთარი მოგონებებით, ოცნებებით, სევდით, სინდისის ქენჯნით, ადამიანის მიერ ცხოვრების გზაზე ნაწვენევი დანაკლისითა და სიხარულით შექმნილ სამყაროში.

მე ვერ ვხვდებოდი და, სიმართლე რომ ითქვას, მაინცდამაინც არც მსურდა მივმხვდარიყავი, რა მემართებოდა ამ დროს, ჩემი აზრები და გრძნობები რამ მიაჯაქვა ეგზომ დაუძლეველი ძალით ამ ათ მომღერალს, შესახედავად ჩემისთანა ადამიანებს, მაგრამ მათი ნაგალობევი ჰიმნები თითქოსდა აღმოიფრქვეოდნენ ჩემგან, ჩემი საკუთარი სურვილებიდან, დაუნჯებელი ტკივილებიდან, ჩემთა წუხილთა და აღტაცებათაგან, რომელნიც აქომამდე გამოსავალს ვერ პოულობდნენ ჩემი არსებიდან. და მე მათგან განთავისუფლებული, იმავე დროს ახალი შუქით აღვსილი და გონებაგანათებული მომღერალთა ხელოვნების წყალობით ვწვდებოდი საეკლესიო საგალობლების თავდაპირველ არსს — ამ ძალას ცხოვრებისას, ძარილს მალლა ხელებაპყრობილი ადამიანისას, რომელიც

ლაპარაკობდა მარადიულ წყურვილზე — განემტკიცებინა თავი თვისი, შეემსუბუქებინა ხვედრი თვისი, ეპოვა საყრდენი წერტილი სამყაროს თვალუწვდენელ სივრცეებში, ტრაგიკულად ჰქონოდა იმედი, რომ უფლის გარდა კიდევ არსებობენ რაღაც ზეციური ძალები და ისინი გულისხმადების განხორციელებაში დაეხმარებოდნენ, უდიდესი ცდომილებაა! ო, რა დაუოკებლად იმწინაფვის ადამიანი ზეცას მისწვდეს მისი ხმა! და ამის გამო რამდენი ენერჯიზმის ხმამღერია აზრი ჩააქსოვა რწმუნებას, მონანიებას, სადიდებელს, ამის გამო რაოდენ აიძულებდა თავს, ყოფილიყო თვინიერი, მორჩილი, უდრტვინველი, მიუხედავად თავისი მეამბოხე სისხლისა, მიუხედავად თავისი სტიქიისა, სტიქიისა, რომელსაც მარად სწყურია ამბოხებანი, სიახლენი, უარყოფანი. ო, რა გაჭირვებით და წვალებით ახერხებდა ამას. რიგვედა, ფსალმუნები, შელოცვები, ჰიმნები, შამანობა! და კიდევ რამდენი ლოცვა-ვედრება წარმოითქვა უსასრულო საუკუნეებში; ისინი რომ ნივთიერად საგრძნობნი ყოფილიყვნენ, მთელ დედამიწას წალეკავდნენ ნაპირებიდან გადმოსული მწარე-მლაშე ოკეანეების დარად. რა ვაი-ვაგლაბით იშვებოდა ადამიანში ადამიანურობა...

ესენი კი, ეს ათნი, ღვთის მიერ შეკავშირებულნი, გალობდნენ, რომ ჩვეყურსულიყავით საკუთარ თავში, ქვეცნობიერების მბრუნავ მორევში, ჩვენში გაგვეცოცხლებინა წარსული, სული და მწუხარება გარდასული თაობებისა, რათა შემდეგ ავმაღლებულიყავით, აღფრენილიყავით ჩვენივე თავის, ქვეყნიერების მალა და საკუთარი ხვედრის სილამაზე და აზრი გვეპოვა — რაკი ერთხელ მოგვენიჭა სიცოცხლე, მისი სასწაულებრივი წესწყობილება შეგვეყვარებინა. ეს ათი ისე თავდავიწყებით, ისე ღვთის საკადრისად გალობდა — ალბათ თვითონაც არ იცოდნენ — სულში აღვიძებდნენ უზენაეს ალტყინებას, რაც ადამიანს იშვიათად ეუფლება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოძალებულ ზრუნვასა და ფაციფუცში. და ამის გამო მსმენელნი შეუცნობლად იღვსებოდნენ სათნოებით, სახეზე მღელვარება ეხატათ, ზოგიერთს თვალში ცრემლი უბრწყინავდა.

რარიგ მიხაროდა, რარიგ ვემაღლიერებოდი შემთხვევას, რამაც აქ მომიყვანა, რათა ჩემთვის ეს ზეიმი ერგუნებინა მაშინ, როცა ჩემმა ცხოვრებამ თითქოსდა გადაინაცვლა დროისა და სივრცის გარე სარბიელზე, სადაც სასწაულებრივად ეთავსებოდა ერთმანეთს მთელი ჩემი ცოდნა და განცდები წარსულის მოგონებებშიც, აწმყოს შეცნობის უამსაც და მომავალზე ოცნებებშიც. ამ ფიქრებში გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ არავინ მიყვარდა, და სევდამ სიყვარულზე, რომელიც ჩემს სისხლში სახლობდა და თავის დროს ელოდა, მკერდში გაჩენილი შემადონებელი ტკივილით მამცნო თავი. ვინ არის ის ასული, სად არის, როდის და როგორ მოხდება ყოველივე? რამდენჯერმე უნებურად გავხედე კარს — შესაძლოა, მოვიდა, იქ დგას, უსმენს გალობას და ელოდება, როდის დავინახავ-მეთქი. როგორ დამენანა, რომ იმ დროს და იმ დარბაზში არ იყო, როგორ დამენანა, რომ მაშინ შეუძლებელი იყო მისთვის გამეზიარებინა ის, რაც მალეღვებდა და ჩემს წარმოსახვას ასაზრდოებდა. და კიდევ ამას ვფიქრობდი — ნეტავ ბედმა ამ ამბის გამო რაღაც სასაცილოს არ გადამყაროს, ისეთი რამ არ დამმართოს, რისი ვახსენებაც შემდეგ თვითონ შემრცხვებამეთქი.

რატომღაც დედა მომაგონდა... მაშინ სულ პატარა ვიყავი. ზამთრის ნათელი დილაა, ბულვარზე თოვლის კანტიკუნტი ფანტელები ცვივა, თვალეზმოლიმარი დედა სახეში მიცქერის, გადაღედილი პალტოს ღილებს მიკრავს და

რაცაცას მეუბნება, მე კი გავრბივარ, დედა მხიარულად მეწევა, ქალაქს ზარების ხმა ეფინება. ხმა ბორცვზე წამომდგარი ეკლესიიდან მოედინება. იქ ამ დროს წირავს მამაჩემი, პროვინციელი დიაკონი, კაცი, რომელიც თავგამოდებული მორწმუნეა და იმავე დროს, როგორც ახლა ვხვდები, მშვენივრად ესმის მთელი პირობითობა იმისა, რაც ადამიანმა შექმნა ლეონტი და ლეთის გულისათვის... ხოლო მე, მამისადმი თანაგრძნობის მიუხედავად, სულ სხვა გზას დავადექი, არა იმას, რაც თვითონ ეწადა, და გულს მიმძიმებდა შეგნება, რომ მამა იმ ქვეყანას მშვიდად წავიდა, მე კი აქეთ-იქით ვაწყდები, უარვყოფ წარსულს, თუმცა ამასთანავე აღტაცებას მგვრის იმ ოდესღაც ყოვლად ძლიერი იდეის გარდასული სიდიადე, ძალმოსილი გამომსახველობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვრცელდებოდა და ცდილობდა, ყველა მატერიაზე და კუნძულზე მოექცია უსჯულოთა სულელები, რათა სამარადეამოდ, სამარადისოდ და მკვიდრებულყო სამყაროში, თაობებში, შეხედულებებში, დაეოკებინა და მორჩილების სიღრმეებში ჩაენთქა ადამიანთა მარად მშფოთვარე ეჭვების მარადი გამოწვევა, როგორც მეხამრიდს ჩააქვს მიწაში მეხი. მადლობა მათ — რწმენასა და ეჭვს, ყოფიერების ძალებს, ცხოვრების ორმხრივ მამოძრავებელთ.

მე მაშინ დავიბადე, როცა ეჭვების ძალებმა გაიმარჯვეს და თან თავის მხრივ ახალ ეჭვებს ბადებდნენ. მე პროდუქტი ვარ ამ პროცესისა, კაცი, ერთმა მხარემ რომ შემაჩვენა და არ მიძილო მეორე მხარემ მთელი ჩემი სირთულეების გამო. რას იზამ. ისტორია ჩემისთანების ხარჯზე გადის ფონს, სულს ითქვამს... ასე ვფიქრობდი, როცა ძველბულგარულ საგალობლებს ვუსმენდი.

ხოლო ის საგალობლები სრულდებოდა ერთიმეორის მიყოლებით, სრულდებოდა იმ დარბაზში, როგორც გარდასულ დროთა გამოძახილი. საგალობლებში — „მსხვერპლსამწუხრო“, „ყრმათა მოწყვედა“ და „ანგელოსი ლაღებს“ — გამოხატულ ბიბლიურ ვნებებს რწმენისათვის სხვა წამებულთა მკაცრი მგზნებარე საგალობლები ენაცვლებოდა და თუმცა ეს ყველაფერი მეტწილად ვიცოდი, მაინც აუწერლად მატყვევებდა თვით სწახაობა — ეს ათი მომღერალი თუ როგორ ხდიდა ჯადოსნურს ცნობილ ამბავს, გარდასახავდნენ დიდ ხელოვნებად, რომლის ძალმოსილება ხალხის სულის ისტორიულ ტევადობაზეა დამოკიდებული — ვინც მეტი იტანჯა, მეტიც შეიცნო...

ყურს ვუგდებდი სოფიელ მომღერლებს, გაბრუებულთ, აფოფინებულთ საკუთარი სიმღერით, ვუსქეროდი მათი სახის მეტყველებას და უცებ აღმოვაჩინე, რომ ერთი მათგანი, მარცხნიდან მეორე — ერთადერთი ქერა ყმაწვილი დანარჩენ ოდნავ შავგვრემან და შავთმიან ბულგარელებს შორის ძალიან მგავდა მე. საოცრება იყო აგრერიგად შენი მსგავსის ხილვა. ყმაწვილს ნაცრისფერი თვალები, ვიწრო მხრები — ალბათ ბავშვობაში მასაც კნაჭას ეძახდნენ — გრძელი ქერა თმა, ასევე გრძელი ძარღვიანი გამხდარი ხელები ჰქონდა. იგი შესაძლოა სიმორცხვეს ასევე სძლევდა სიმღერით, როგორც მე ხანდახან იძულებული ვხდებოდი შებოჭილობა საუბრის ჩემთვის მახლობელ თეოლოგიურ თემებზე გადატანით დამეძლია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სულელურად გამოიყურება ასეთი სერიოზული საუბარი ახალგაცნობილ ქალთან. ნაცრისფერთვალა მომღერალი გარეგნულადაც მგავდა — ლოყები ჩაცვივნოდა, ცხვირი ოდნავ კეხიანი ჰქონდა, შუბლს ორი ნაოჭი უსერავდა სიგრძივ; ყველაზე ყურადსაღები კი ის იყო, რომ წვერი ზუსტად ჩემნაირად მოეშვა. უნებურად წინანდელი წვერისკენ გავიწოდე ხელი და ისევ გამახსენდა, რომ ძველ გზას უნდა გავდგომოდი ანაშას მომპოვებლებთან ერთად, და გავოცდი ამის ვაფი-

ქრებაზე: სად, რისთვის მივდივარ? რა კონტრასტია — ღვთაებრივი ჰიმნები და ვაგზლის უთოების ბნელი გატაცებანი უკეთური ბალახის უკეთური კვამლით. მაგრამ ადამიანის ნამდვილი ცნობიერება ხომ მისი სიკეთითა და ბოლოებით ყველა დროში ტაძრების კედლების მიღმა მიედინებოდა, ჩვენი თანაპედროვეობაც გამონაკლისი როდია...

აი, ასეთი მსგავსება აღმოვაჩინე იმ კონცერტზე. შემდეგ უკვე თვალს ვაშორებდი ჩემს ორეულს, ვაკვირდებოდი, როგორ მღეროდა, როგორ ეჭიმებოდა სახე, როგორ აღებდა პირს, როცა ყველაზე მაღალ ნოტებს იღებდა. თანავუგრძნობდი, თავი მის ადგილას წარმოვიდგინე. მეგონა, ჩემი განსახიერებაა-მეთქი. ამგვარად, თითქოსდა გალობაში ვმონაწილეობდი. ყველაფერი ნიშნდებოდა, შევენივეთე გუნდს და უჩვეულო, გულის ამაჩვილებელ ძმობას, სიდიადეს, ერთობას შევიგრძნობდი, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ შევხვდით ერთმანეთს — დავაყვაცებულნი, ძალ-ღონით სავსენი, და ჩვენი მოზეიმე ხმები მიელტვის ზეცას, ფეხქვეშ მიწაც მტკიცეა და მყარი, და ასე ვიმღერებთ, სანამ გვემღერება, ვიმღერებთ დაუსრულებლად...

ასე გალობდნენ ისინი, ასე ვგალობდი მეც მათთან ერთად. ასეთ სასწაულებრივ ბურანში ვგრძნობ თავს ჩვეულებრივ, როცა ძველ ქართულ სიმღერებს ვუსმენ. ძნელია აგიხსნათ რატომ, მაგრამ საკმარისია თუნდაც სამი ქართველი ამღერდეს, თუნდაც ყველაზე ჩვეულებრივნი, და იღვრება სული, და სუნთქავს ხელოვნება, უბრალო და იშვიათი თანაზომიერების გამოისობით, სულის ზემოქმედების გამოისობით. ალბათ ეს ბუნების მიერ ნაბოძები მათი განსაკუთრებული ნიჭია, კულტურის ტიპია, შეიძლება პირდაპირ უფლის მიერ გარდმოვლენილი. მე არ მესმის რაზე მღერიან ისინი, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მე მათთან ერთად ვმღერი.

გფიქრობდი ამაზე, ვუსმენდი მომღერლებს და უცებ გონება გამინათდა, ჩავწვდი დედაარსს ერთხელ წაკითხული ქართული მოთხრობისას „ექვსი და მეშვიდე“. პატარა მოთხრობა იყო, მისთანებით სავსეა პერიოდული პრესა და ვერ ვიტყვი, რაიმეთი გამოარჩეოდა-მეთქი. მოთხრობა უფრო ფაბულური იყო, ვიდრე ფსიქოლოგიური, უფრო რომანტიკული. მაგრამ ამ ამბის ფინალი დიდი ხნით დამამახსოვრდა, ფინალი რატომღაც ხიწვივით ჩამრჩა არსებაში.

შინაარსი მოთხრობისა, უფრო სწორად ბალადისა — „ექვსი და მეშვიდე“ (მისი ნაკლებცნობილი ავტორის რთული გვარი არ მახსოვს) ასევე ფრიად გაცვეთილია. ვიზგიზეებს რევოლუცია, მიმდინარეობს სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, რევოლუცია მტერთან უკანასკნელ შეტაკებებში იმტკიცებს თავს, საქართველოშიც, მაშასადამე, ტიპიური ისტორიული დასასრული დგება — საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებს, სულ უფრო წმენდს შეიარაღებულ კონტრრევოლუციონერთა უკანასკნელი ნაშთებისგან ყველაზე მივარდნილ მთის სოფლებსაც კი. მოქმედებს ასეთ შემთხვევებში ძირითადი კანონი — თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ. მაგრამ სისასტიკე საპასუხო სისასტიკეს შობს — ესეც ძველი კანონია. განსაკუთრებით მძვინვარე წინააღმდეგობას იჩენს მამაცი გურამ ჯოხაძის, აბლომახლო მთების ჩინებული მცოდნის, ადრინდელი მწყემსი-მხედრის ახლა კი კლასობრივ ბრძოლაში გახლართული, დაურიდალი, მოუხელებელი თავდამსხმელის რაზმი. მაგრამ მისი დღეებიც დათვლილია, უკანასკნელ ხანებში ზედიზედ მარცხდება. რაზმში ჩეკისტია შეგზავნილი. ჩეკისტი არაფრად აგდება, რომ შეიძლება გამომვლავნდეს რა სულიერიცაა, საქმე უკუღმა დაუტრიალდეს, მაგრამ გურამ ჯოხაძის ნდობას იხვეჭს — მისი ერთ-ერთი

თანამებრძოლი ხდება. საქმეს ისე აგვარებს, დიდი ბრძოლის შემდეგ შეთხელე-
ბულ რაზმთან ერთად უკან დახეულ ჯოხაძეს მდინარის გადასასვლელზე ჩასა-
ფრებული მტერი ხვდება. როცა ჯოხაძე და მისი რაზმი მდინარესთან/ცხენებს
გააფთრებით მიაგელვებენ და შიგ შეაგდებენ, ჩეკისტს თითქოს მოსართავი უწ-
ყდება და ბარდებთან ცხენიდან ვარდება. ხოლო ჯოხაძის ცხენისა და დიდი
ჯგუფი გაფიცებული ცხენებით მიიწევს მთის განიერი მდინარის ჩქვრებში,
და როცა მდინარის შუაგულს მიაღწევენ, საიდანაც ისინი ყოველი მხრიდან
ჩანან, ორი წინასწარ დადგმული და შენიღბული დაზვის ტყვიამფრქვევი მდი-
ნარის ორივე ნაპირიდან ცელავს მათ, ჯვარედინ ხანჯლურ ცეცხლში აქცევს. სა-
ზარელი ვაი-უშველბეული იმართება, ილუპებიან ადამიანები, იბრჩობიან მთის
მდინარეში. მაგრამ გურამ ჯოხაძე — მას ბედი არ იმეტებს! — ცეცხლიდან გა-
მოდწევას ახერხებს, უკან ტრიალდება და თავისი ღონიერი ცხენის შემწეობით
ნაპირ-ნაპირ მიქრის შამბნარში. უკან კი მიჰყვება ცოცხლად გადარჩენილი რა-
მდენიმე ერთგული მხედარი, მათ შორის ჩეკისტიც, რომელიც დაუყოვნებლივ
შეუერთდა მათ, როგორც კი მიხვდა, რომ ოპერაცია მთლიანად ვერ განხორ-
ციელდა და მეთაური გადარჩა.

ეს ტყვიამფრქვევებით დახვრეტა მდინარეზე გურამ ჯოხაძის რაზმის სა-
ბოლოო განადგურებას, ფაქტიურად სრულ მოსპობას მოასწავებდა.

როცა გურამ ჯოხაძე ბოლოს და ბოლოს მდევრებს თავს აღწევს და მო-
ქანცულ ცხენს აჩერებს, ირკვევა, რომ რაზმიდან სულ შვიდი კაცი გადარჩა
გურამ ჯოხაძის ჩათვლით, და მეშვიდე იყო ჩეკისტი, სახელად სანდრო. ცხა-
დია, ამიტომაც ერქვა მოთხრობას „ექვსი და მეშვიდე“.

სანდროს ნაბრძანები ჰქონდა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, ბანდის მეთაური
გურამ ჯოხაძე მოესპო. გურამ ჯოხაძის მოსპობაში დიდ თანხას იძლეოდნენ,
მაგრამ ახლა მთავარი თანხა არ გახლდათ, მთავარი ის იყო, როგორ აღესრუ-
ლებინა ბრძანება, ვინაიდან უკვე ნათელი გახდა, რომ ჯოხაძე აღარ ჩაებმებო-
და ბრძოლაში, სადაც მისი მოკვლა შესაძლებელი იქნებოდა. ახლა ხომ ხაფა-
ნგში მომწყვდეული მხეცივით არსებითად მარტო დარჩენილი და მხოლოდ
თავისი თავის, თავისი ფხიანობის მოიმედე ჯოხაძე ას თვალს და ას ყურს
გამოისხამდა. ცხადია, სიცოცხლეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დათმო-
ბდა...

და აი, ამ ამბის დასასრული. მან ყველაზე უფრო შემძრა...

მდინარეზე საშინელი ყლევების შემდეგ გურამ ჯოხაძე, რომელმაც, ხეო-
ბების თითოეული გასასვლელ-გამოსასვლელი იცის, იმავე დღეს, საღამო ხანს
ერთ მიუვალ ადგილზე — თურქეთის საზღვრის მახლობლად მთაზე შეფენილ
ტყეში ჩერდება. და ცხენებისთვის უნაგირის მოხდისთანავე დაღლილობისგან
მიწაზე ეცემა ყველა — ექვსი და მეშვიდე. ხუთი იმავე წუთს იძინებს მკვდა-
რით, ხოლო ორს რული არ ეკიდება. რული არ ეკიდება ჩეკისტ სანდროს,
სატანჯველი გასჩენია, ფიქრობს — რა ჰქნას, უკეთ როგორ აისრულოს საწა-
დელი, როგორ მიაგოს მისაგებელი გურამ ჯოხაძეს. არც მამაც გურამ ჯოხაძეს
ეკიდება რული დამლუპველი კატასტროფის შემდეგ — განიცდის რაზმის განა-
დგურებას, სტანჯავს ხვალისდელი დღე. და მხოლოდ ღმერთმა უწყის, კიდევ
რაზე ფიქრობს რევოლუციის მიერ გათიშული ეს ორი შეურიგებელი მტერი.

მათი სასთუმლის მარჯვნივ სავსე მთვარე იდგა, ტყე ღამისებრ გულდამა-
მძიმებლად და დაყურსულად ირხეოდა. ქვემოთ მდინარე დაუყურებლად მიდ-

გაფუნებდა ქვებზე და მთები ირგვლივ ქვის მღუმარებაში გარინდულიყვნენ. უცებ გურამ ჯოხაძე ზეზე წამოხტა, თითქოსდა რალაციით შეშფოთებულად.

— არ გძინავს, სანდრო? — გაკვირვებით ჰკითხა მეშვიდეს.

— არა, შენ რალას წამოხტი? — იქით ჰკითხა სანდრომ.

— ისე. არ მეძინება, ამ ადგილზე რატომღაც გული არ მიჩქრებს. მთებზე ნამეტანი ანათებს. წავალ, გამოქვაბულში დავწვები, — ჯოხაძემ თავისი ნაბადი, იარაღი და უნაგირი წამოკრიფა და წასვლისას დასძინა: — დანარჩენზე ხვალ მოვილაპარაკებთ. დიდი ხანიც აღარ დაგვრჩია სალაპარაკოდ.

იგი წავიდა და გამოქვაბულის პირას მოიწყო დასაწოლი — აქ მწყემსობისას ბევრჯერ შეუფარებია თავი ცუდ ამინდში. ახლაც შეაფარა ან იმისთვის, რომ უზომო უბედურება გამოეგლოვა, ან წინათგრძნობამ უკარნახა, ისე მოეკალათებინა, ვერსაიდან მიდგომოდნენ, ხოლო თვითონ, პირიქით, ყველა დაენახა, ვინც კი გამოქვაბულს მოუახლოვდებოდა. სანდრო შეშფოთდა: როგორ გავიგო მეტაურის ეს თითქოსდა საზრიანი საქციელი? რაიმეს ხომ არ ხვდებოა?

ასე გაიღია მათთვის ეს ღამე, დილით კი გურამ ჯოხაძემ ბრძანა, ცხენები შეკაზმეთო, და არავინ უწყობდა, რას ფიქრობდა, რას იზრახავდა, როცა ცხენები უკვე შეკაზმული იყო, როცა უკვე ყველა მღუმარედ იდგა მის წინ და ცხენები აღვირით ეჭირათ, გურამ ჯოხაძემ ამოიოხრა და თქვა:

— არა, არ ვარგა მშობლიური მიწიდან ასე წასვლა. დღეს გამოვემშვიდობებით მიწას, რომელმაც გვზარდა, შემდეგ აქეთ-იქით წავალთ-წამოვალთ, ჯერჯერობით კი აქა ვართ და ისე მოვიქცეთ, როგორც საკუთარ სახლში.

მან ორი მხედარი ღვინის და საჭმლის მოსატანად ჩაგზავნა უახლოეს სოფელში, სადაც ერთგული ხალხი ჰყავდა, ორიც, სანდრო და მეორე ჭაბუკი — აქ დატოვა საკოცონო ფიჩხის მოსაგროვებლად და ცხენების სადარაჯოდ. ხოლო თვითონ სხვა ორთან ერთად სანადიროდ წავიდა — უნდოდა, თუ ღმერთი კეთილი თვალით გადმოხედავდა, გამოსამშვიდობებელი ვახშმისთვის რომელიმე გარეული ფრინველი მოეკლა, იქნებ შველიც.

რა ექნა ჩეკისტ სანდროს — ჯოხაძეს უნდა დამორჩილებოდა და დალოდებოდა შესაფერ დროს, როცა ბრძანების აღსრულებას შეძლებდა. ჯერჯერობით კი საქმეს საამისო პირი არ უჩანდა.

სადამოს ექვსი და მეშვიდე კვლავ შეიყარნენ: ტყის განაპირას, გამოქვაბულთან ცეცხლი გააჩაღეს, სოფლიდან ამოტანილ ხამ ტილოზე დააწყვეს გურამ ჯოხაძის ერთგული ხალხის მიერ ამოგზავნილი პური, ღვინო, მარილი, საჭმელი. კოცონი აგიზგიზდა. შვიდი ცეცხლს მიუახლოვდა.

— ყველა ცხენი შეკაზმულია და ყველა ჩვენგანი მზადაა ცხენს მოახტეს? — იკითხა გურამ ჯოხაძემ.

პასუხად ყველამ მღუმარედ დაუქნია თავი.

— მისმინე, სანდრო, — შენიშნა გურამ ჯოხაძემ, — კარგი შეშა მოგიქუჩებია, რიგიანად ეკიდება ცეცხლი, მაგრამ ასე შორს რად დაგიწყვია?

— ნუ წუხხარ, გურამ, ამ საქმეს მე მოვუვლი. ცეცხლზე მე ვაგებ პასუხს. შენ კი შენი თქვი.

და გურამ ჯოხაძემ თქვა:

— მეგობრებო, საქმე წავაგეთ. როცა მხარეები იბრძვიან, რომელიღაც იმარჯვებს, რომელიღაც მარცხდება. ამიტომაც იბრძვიან ისინი. ჩვენ სისხლს ვღვრიდით, ჩვენს სისხლსაც ღვრიდნენ. ამ მხრიდანაც და იმ მხრიდანაც ბევრ-

მა სანუკვარი სიცოცხლე გასწირა. რაც მოხდა, მოხდა. პატიებას ვთხოვ დალუპულ მეგობრებს და დალუპულ მტრებს. როცა მტერი ბრძოლაში იღუპება, იგი მტერი აღარაა. ახლა ბრძოლის განგრძობა რომ შემძლოს, მარცხ ვთხოვდი პატიებას დალუპულებს. მაგრამ ბედმა ზურგი გვაქცია, ამიტომ ხალხის უმრავლესობამაც გვიგანა. მიწასაც კი, სადაც დავიბადეთ და გავიქრდეთ სურს აქ დავრჩეთ. აქ ჩვენი ადგილი აღარაა და არც არავინ შეგნებდა. მისი კომ გამემარჯვა, ჩემს მტრებს არ შევიწყალებდი, ამას გულზე ხელდადებული ვამბობ. ახლა ისლა დაგვრჩენია, უცხო შორეულ მხარეებში გავალწიოთ. აი, ამ დიდი მთის გადაღმა თურქეთია, ყურის ძირშია. ოღნავ განზე, იმ ქედის იქით, მთვარე რომ ამოდის — ირანი, ამოიჩიეთ, ვის საით გინდათ წასვლა. მე თვითონ თურქეთში, სტამბოლში მივდივარ. იქ მტვირთავად ვიქნები გემებზე. ახლა ყოველმა ჩვენგანმა უნდა გადაწყვიტოს, სად მოიდრიკოს ქედი. ჩვენ შვიდნი დავრჩით. და რამდენიმე ხნის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით გავსწევთ შვიდ უცხო მხარეს. ამქვეყნად მიმოფანტულთ ყველას მოგვიწევს საკუთარი მწარე ფიალის გამოცლა. ამიერიდან ველარ შევხვდებით. ეს უკანასკნელი დღეა, როცა ჩვენ, ცოცხლად გადარჩენილი შვიდი კაცი, ერთად ვართ, ერთმანეთს ვხედავთ, ერთმანეთს ვუსმენთ. მაშ, გამოვემშვიდობოთ ურთიერთს და გამოვემშვიდობოთ მიწას ჩვენსას, გამოვემშვიდობოთ ქართულ პურსა და მარხლს, გამოვემშვიდობოთ ღვინოს ჩვენსას. ასეთ ღვინოს ვერსად დააკარებ პირს, გამოვემშვიდობებოთ და ჩვენ ჩვენი გზით წავალთ. თან არაფერი მიგვაქვს, ნაფხვენიც კი ქართული მიწისა. შეუძლებელია სამშობლო წაიღო. შეიძლება მხოლოდ სევდა წაიღო, სამშობლოს თან წაღება რომ შეიძლებოდეს ტომარასავით, მაშინ იგი ფეხის ფრჩხილადაც არ ეღირებოდა. მაშ, დავლიოთ უკანასკნელად და უკანასკნელად ვიმღეროთ ჩვენი სიმღერები...

ღვინო ტიკისა იყო, გლეხური, გაჯერებული მიწიერით და ზეციერით. ტვინს მწველად შეუღიტიანა და დარდ-ვარამის გადმოშლის საღერღელს პირი მოუხსნა. სულში ხელახლა შეეჭიდა ერთმანეთს მხიარულება და ნალველი. და თავისთავად წარმოდინდა სიმღერა, ისე როგორც მთის ფერდობზე ქვებში უცებ წყარო გამოატანს და ყველაფერი აყვავდება და გამრავლდება. რასაც კი მისი წყალი გზადაგზა შეეხება, და წყნარად ვააბეს მამა-პაპათა სიმღერა, და წყნარად ძლიერდებოდა სიმღერა იგი, ძალუმად რაკრაკებდა ფერდობიდან ჩამომდინარე წყაროსავით. შვიდივე ჩინებულად მღეროდა, ვინაიდან არ არსებობს ქართველი, რომელიც არ მღეროდეს, მღეროდნენ ხმაშეწყობილად, ყველა თავისებურად და თავისი შეძლებებისამებრ, და სიმღერა დაიგზნო, როგორც კოცონი, რომლის გარშემოც ისინი იდგნენ.

ასე იწყებოდა გამოსამშვიდობებელი საგალობელი შვიდისა, უფრო სწორად, ექვსისა და მეშვიდესი, რომელსაც წუთით არ ავიწყდებოდა თავისი საქმე. არც ერთ მათგანს, უპირველეს ყოვლისა, გურამ ჯოხაძეს დაუსჯელად ფეხი არ უნდა გაედგა საზღვარგარეთ, მას, ჩეკისტს, არ შეეძლო ამას შერიგებოდა — ასე მიუთითებდა ბრძანება და ეს ბრძანება უნდა აღესრულებინა.

ხოლო სიმღერა სიმღერას ენაცვლებოდა, ისმებოდა ღვინო, რომელსაც რაც უფრო მეტს სვამ, მით უფრო მეტი ხალისით ისმება, მით უფრო ეკიდება ცეცხლი სულს, ისევ და ისევ რომ სწყურდება ღვინო და სიმღერა.

წრეზე მდგომნი ხელებს ხანდახან ერთმანეთს გადახვევდნენ, ხანდახან წამისწამად ისევ ჩამოყრიდნენ ძირს, ხანაც ცისკენ აღაპყრობდნენ, როცა სურდათ მათი ხმა მისწვდენოდა ღვთაებრივ ძალას, იდუმალსა და აურიდებელს, მაგრამ

ყოველსმხილველსა და ყოველსმცოდნეს. როგორ, თუ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის, საით მიერეკება მათ თავიანთი მიწიდან? და ცხოვრება რატომაა აგრე მოწყობილი, რომ ადამიანები ერთმანეთს ეომებიან. ებრძვიან, იღვრება სისხლი, იღვრება ცრემლი და ყოველ მათგანს თავი მართალი ჰგონია. სხვა კი — მტყუანი. სადღაა ჭეშმარიტება, და ვისა ემსჯელება მისი წარმოთქმისა? სადაა ის წინასწარმეტყველი, ვინც მათ სამართლებს? ხალხის მებხიერებაში შემონახული ეს ძირძველი სიმღერები ხომ არ უბნობდა ამას, ხომ არ გადმოსცემდა ჰანგში გაცხადებულ ტანჯვას, რომელიც მამა-პაპებმა ძველისძველად იგემეს, კეთილისა და ბოროტის დასაბამიერ ჭირნახადობად გაიხზრეს, მისივე სილამაზითა და მარადიულობით იგრძნეს. ამიტომაც იმ შვიდის ბაგეებში ერთი სიმღერა მეორეს შობდა და მომღერალნი არ იშლებოდნენ; მეშვიდე, სანდრო კი დროგამოშვებით ტოვებდა წრეს, რათა შეშა მოეტანა და კოცონისთვის შეეკეთებინა. მართლად, ტყუილად (ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი აქვს ცხოვრებაში). ტყუილად კი არ დაახვავა ტყეში უამრავი ფიჩხი, სამაგიეროდ ახლა თვითონ განაგებდა ცეცხლს. მღეროდა კიდევაც სხვებივით, მთელი არსებით — სიმღერები ხომ ყველას თანაბრად ეკუთვნის. არ არსებობს სიმღერები, მხოლოდ მეფეთა სამღერალი და სხვათათვის აკრძალული. ისევე როგორც არ არსებობს მარტოოდენ მდაბიოთა შესაშვენი სიმღერები. იმღერე და იმხიარულე, ინალვლე და იტირე, იცეკვე, ვიდრე ცოცხალი ხარ...

გიყვარდა და თრთოლვით ელოდი პაემანზე, გადაგიყვარა და რარიგ იტანჯებოდი, რარიგ გეწადა, სული ამოგხდომოდა, რადგან გული არ გაგიზიარა, გინდოდა სიკვდილის წინ გემღერა და ეს სიმღერა მას მოესმინა. რარიგ გეფერებოდა დედა ბავშვობაში, სად აღესრულა მამა, როგორ ბრუნავდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლაში შენი მეგობრები, რომელ ღმერთებს უშლიდი გულს უბიწო და სპეტაკი ალტყინების ქაშს. და გიფიქრია, რა არის ადამიანის დაბადება, გიფიქრია, რომ სიკვდილი მუდამ შენს გვერდითაა, ვიდრე სულს არ განუტევებ, ხოლო სიკვდილის შემდეგ სიკვდილი ქრება, სიცოცხლე კი სიკვდილზე მალლა დვას. სიცოცხლეზე დიდი სასწაული სამყაროში არ არსებობს — ამიტომაც ერიდე კვლას. მაგრამ თუ მტერი მოგიბტა, დაიცავი მიწა შენი; და მშობელი მიწასავით გაუფრთხილდი სატრფოს პატიოსნებას. თუ გამოგიცდია, რაა განშორება და რომ იგი ზურგზე მთის წამოკიდებასავით გაუსაძლიესია, რომ უსატრფოდ არაფერი გგვრის სიხარულს: არც ყვავილი, არც სინათლე, არც ხვალისდელი დღე — და, კიდევ, ვინ იცის, რას უბნობენ სიმღერები — განა ყველაფერს გადმოსცემ...

და განშორების ქაშს გულდამძიმებულად და აღმაფრენით მომღერალი შეიღი ქართველივით ერთმანეთისთვის უფრო გულისგული და ახლობელი ადამიანები იმ ღამეს ქვეყნად არ არსებობდნენ. მათ კიდევ უფრო აღუღაბებდა სიმღერის სტიქია. წინაპრებმა მაინც რა ბევრი რამ განიცადეს და უკვდავი პარმონით აღსავსე რამდენი გულითადი სიტყვა მოიგონეს შთამომავლობის სასიკეთოდ, როგორც შეიძლება ფრინველი ფრენით გამოარჩიო, ასევე ქართველი ქართველს სიმღერით გამოარჩევს ათ ვერსზე და იტყვის, ვინაა, საიდანაა, რა სჭირს, რა უტრიალებს სულში — მხიარულ ქორწილში იყო თუ დარდ-ვარამი კლავს...

მთვარემ უკვე საკმაოდ აიმაღლა მთებზემთ. მთვარე მკრთალ შუქს ჰფენდა მთელ დედამიწას — ქარის აქროლვაზე ტყე შემპარავად არხევდა ხეთა

შავ კენწეროებს, დახშული ხმით ხმაურობდა მდინარე, ბზინავდა, ვერცხლის-ფრად ციაგებდა სველ რიყის ქვებზე. ღამეული ფრინველები დახმებოდა უხ-მაუროდ გადაქროდნენ კოცონთან მომღერალი ადამიანების თაყვანს და შეკაზ-მული ცხენებიც, მოთმინებით რომ ელოდნენ თავიანთ პატრონებს, ფხიზელ ყურებს ცქვეტდნენ. თვალბში ცეცხლის ათინათები უცხეკვდნენ იმ ცხე-ნებს გზა ედოთ უცხოეთისკენ და წასვლის ეამიც ახლოვდებოდა.

მაგრამ სიმღერები, ეტყობა, არ დასრულდებოდა. გურამ ჯოხაძეს თითქოს ყველა სიმღერის ჩამოთავება სურდა: „აბა, იმღერეთ, მეგობრებო. სვით ღვი-ნო, ამიერიდან ველარასოდეს ჩავდგებით წრეში და სმენას ველარასოდეს დაგ-ვიტკობს ქართული ჰანგები“... ხან ცალ-ცალკე მღეროდნენ, ხან ერთად, ხან საკუთარ სიმღერაზე ცეკვავდნენ გულდაგულ და გააფთრებით, როგორც სიკვ-დილის წინ ცეკვავენ, და ისევ დგებოდა წრეზე შვიდი, უფრო სწორად ექვსი და მეშვიდე. ხოლო სანდრო წამდაუწუმ ტოვებდა წრეს — შეშას აყრიდა კო-ცონს — და კოცონსაც მცხუნვარება ემატებოდა.

გადაწყვიტეს, ბოლო სიმღერა ეთქვათ. შემდეგ — კიდევ ერთი. კიდევ ერ-თი გამოსამშვიდობებლად. ვერა და ვერ წყნარდებოდნენ, ისევ შექუჩდნენ წრეზე, ჩაქვიდეს თავი და ქვესკნელიდან მომდინარე გუგუნავით ფიქრიანად, ძალუმად ზღვავდებოდა ჰანგი. ხოლო სანდრო ისევ წაეიდა შეშის მოსატანად, თუმცა კოცონს ბრიალი გაუდიოდა. ყოველივე ზედმიწევნით ჰქონდა აწონილ-დაწონილი — შეშის ნაყარიდან თვითონ ნათლად ხედავდა ექვსივეს, წრეზე მდგომთ, ხოლო ისინი, თვალისმომჭრელ კოცონთან მომღერალნი, ცუდად ხე-დავდნენ მას... მძიმე მაუზერი გამზადებული — ჩახმახშეყენებული ჰქონდა. დაღვა ანგარიშსწორების გარდაუვალი ეამი, მისაგებელის მიგების ეამი. ასწია მრავალმუხტიანი მსწრაფმსროლი მაუზერი, ხელზე დაიყრდნო და სიბნელეში მეხვიით დაქუხებული პირველი გასროლით ძირს დასცა მეთაური გურამ ჯო-ხაძე, და ბაგეთაგან აფრენილი სიმღერის სიტყვები ჯერ კიდევ არ გაციებუ-ლიყო, რომ უმაღ ზედიზედ მიაწვინა დანარჩენები, რომელთაც ვერც კი მო-ასწრეს იმის გაგება, რა მოხდა. და ამრიგად და კიდევ ერთხელ მოკვდინების ბიწიერ ჩარხის ტრიალში, კიდევ ერთხელ დაღვრილი სისხლისთვის სისხლი დაიღვარა.

დიახ, ადამიანთა ურთიერთობების კანონები მათემატიკურ გამოთვლებს არ დაგიღვეს და ამ აზრით დედამიწა სისხლიანი დრამების კარუსელივით ბრუ-ნავს... ნუთუ ამ კარუსელმა ქვეყნიერების დასასრულამდე უნდა იბრუნოს, ვი-დრე დედამიწა მნათობის ირგვლივ ტრიალებს?

ტყვიები მიზანს არ ასცდენია. მხოლოდ ერთი რაზმელი უცებ გამშაგებით წამოიწია ხელებზე, მაგრამ სანდრო მიეჭრა, ეფთაში ესროლა და ისევ დააწვი-ნა... დაბმულ ცხენებს ელდა ეცათ, განზე გახტნენ და ისევ გაირინდნენ.

ისევ ენთო კოცონი, ხმაურობდა მდინარე, თავ-თავიანთ ადგილებზე იდგ-ნენ ტყე და მთები, მთვარეც თავის ადგილას იდგა უღრტვინველ ცარგვალზე, მხოლოდ სიმღერა შეწყდა, ასე დიდხანს რომ ეღერდა იმ საღამოს...

სანდროს სახე გათეთრებული ჩანდა ღამეში. ჰაერი არ ჰყოფნიდა, დასწვ-და ტიკს და შიგ ჩარჩენილ ღვინოს მიეძალა, რათა გულგვამში დაგზნებული ცეცხლი გაენელებინა... ისე სვამდა, ღვინო ეღვრებოდა, სული უგუბდებოდა... შემდეგ დაცბრა, მშვიდად დაუარა კოცონის გარშემო სხვადასხვანაირად მიმო-ყრილ მოკლულთ, იარაღი ახსნა, მათივე უნაგირების კოტაზე ჩამოჰკიდა, ცხე-ნებს ლაგამ-ავშარა წაადრო და ყველა გაუშვა. შვიდივე გაუშვა; მათ შორის

თავისი ქურანაც. და გასცქეროდა, ცხენები, რომლებმაც თავისუფლება იგრძნეს, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ჩაჰყვნენ მდინარეს, მთისძირა სოფელს, ადამიანებს მიაშურეს... ცხენები ხომ მუდამ იქით მიდიან, სადაც ადამიანები ცხოვრობენ... მაგრამ აი, ნალების ჭახატუხიც მიჩუმდა და ქვემოთ დაწლიკებით მიმავალი ცხენების ლანდები მთვარის შუქდაფრქვეულ მსკანსკენ შეაშფოშში გაუჩინარდნენ....

ყველაფერი მოთავებულ იყო. სანდრომ კიდევ ერთხელ მღუმარედ ჩამოუარა იქვე განგმირულ ექვსს, მათ ოდნავ მოშორდა და მაუზერის ლულა საფეთქელზე მიიღო, მთებში კიდევ ერთხელ დაირხა გასროლის მეყსეული ნახმევი. ახლა უკვე მეშვიდემ შეწვვიტა თავისი სიმღერა...

ასე გასრულდა ის ქართული ბალადა.

ეს გამახსენდა უცებ, როცა მუზეუმში ბულგარელ მომღერლებს ვუსმენდი, რომლებიც ძველ ბულგარულ საეკლესიო საგალობლებს ასრულებდნენ. ეს საგალობლები შექმნეს ადამიანებმა, საუკუნეთა სიბნელიდან რომ შეფრთხინვით და გაშმაგებითაც კი შეჭლალადებენ უზენაესს, მათივე შექმნილს, მათ მიერვე სულიერ რეალობად გარდაქმნილ არარეალობას, ადამიანებმა, რომელთაც სწამთ, რომ ამქვეყნად ისე მარტონი არიან, მხოლოდ სიმღერებსა და ლოცვებში მიაგნებენ უფალს.

მთელი ის ამბავი რალაც წამებში გამახსენდა და განვიცადე. აზროვნების სიჩქარეს სინათლის სიჩქარე ვერაფრით ვერ შეედრება. აზრი, რომელიც წარსულში გადადის და შეუძლია უკუმიმართულებით დროსა სივრცეში იმოძრაოს, ყველაფერზე სწრაფია...

ახლა დავიჯერე, რომ მართლაც ასე უნდა მომხდარიყო იმ წლებში. ავტორი მოთხრობას „ექვსი და მეშვიდე“ ამგვარად ამთავრებდა: სანდრო, ანუ მეშვიდე, სიკვდილის შემდეგ რალაც ორდენით დააჯილდოვესო.

მაგრამ სამოქალაქო ომების ტრაგედიები ერების ტრაგედიებად რომ არ შეტრიალებულიყო, ცხოვრება ძირფესვიანად რომ არ შეეცვალა ზოგის წინააღმდეგობას ახალფეხადგმული ისტორიისადმი და ზოგის სულსწრაფობას ამავე ისტორიის დასაჩქარებლად გამართულ ბრძოლაში, საიდან გაჩნდებოდა რევოლუციის ნახნაეში ეს საშინელი ორნატები და განა ქართული ბალადა ასე დასრულდებოდა? საზღაური საზღაურით ფასდება... მას, მეშვიდეს, ხომ შეეძლო გაეხარა, თავი არ მოეკლა, მაგრამ მოიკლა ძნელად ასახსნელ მიზეზთა გამო. ყველას შეუძლია ეს მიზეზები თავისებურად ახსნას. მე კი იმ ჟამს, როცა ბულგარული საგალობლების ნავს მიეყვებოდი და ამალღებულ სულის თეთრი იალქანი მიმაცურებდა, სულისა, რომელიც მარადის სერავს ყოფიერების შორს-გაშლილ ოკეანეს, ვიფიქრე ქართული ამბის ამგვარი დასასრულის მიზეზი სიმღერებია, რომლებშიც შვიდივეს რწმენაა-მეთქი დაუნჯებულნი...

როცა შენთვის რამეს აღმოაჩენ, შენს არსებაში ყველაფერი შეხმატკბილებულია, სული გინათდება. ვუცქერდი, სანუკვარი ჰიმნების მგალობელ სოფიელთა თვალეში რაოდენი უბიწოება, ერთგულება და აღმაფრენა სხივცისკარობდა, დაბაბულობისაგან სახეზე რარიგ გადასდიოდათ ხვითქი და, მშურდა, რომ მათთან არ ვიყავი, არ ვიყავი ის, ჩემი ორეული.

აი, იმ სულში შემოჭრილი ნათელის კვალად უცებ გავიფიქრე: რამ შვა ადამიანში ეს ყველაფერი: მუსიკა, სიმღერები, ლოცვები, რა საჭიროება იყო მათი და არის? ალბათ შვა იმან, რომ ადამიანი ქვეცნობიერად გრძნობს, რაოდან ტრაგიკულია მისი ყოფნა ცხოვრების ორომტრიალში, როცა ყველაფერი

მოდის და ყველაფერი მიდის, ისევ მოდის და ისევ მიდის და ადამიანი იმედოვნებს, ასეთნაირად გამოხატოს, გამოსახოს, უკვდავყოს თავი, აქ, როცა ყველაფერი დასრულდება, როცა მილიარდი წლის შემდეგ ქვეყნიერების მომავალი აღსასრული დადგება და ჩვენი პლანეტა მოკვდება, ჩაქრება, სხვა გალაქტიკებიდან მოსულმა მსოფლიო შეგნებამ უდიდეს სიჩუმესა და სიჩვეულებაში უსათუოდ უნდა გაიგონოს ჩვენი მუსიკა და სიმღერა. აი, გაჩენის დღიდან ჩვენს არსებაში რაა ჩაკირული ამოუძირკვევად — ვიცოცხლოთ სიცოცხლის შემდეგაც! რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ადამიანისთვის შეიმეცნოს, რაოდენ აუცილებელია სჯეროდეს, რომ სიცოცხლის ასეთი განსახიერება ძირითადად შესაძლებელია. ალბათ ადამიანები მოიფიქრებენ, რომ მათ შემდგომად დატოვონ რაღაც მარადიული ავტომატური მოწყობილობა, რაღაც ვოკალურ-მუსიკალური მარადიული ძრავა — ეს იქნება კაცობრიობის ყველა დროის კულტურის ყოველივე საუკეთესოს ანთოლოგია. და, როცა მომღერლების გალობით ვტკბებოდით, მჯეროდა, რომ ისინი, ვინც ამ სიტყვებსა და მუსიკას გაიგონებს, მიხვდებიან, იგრძნობენ, რა წინააღმდეგობებით აღსავსენი, რა გენიოსები და ტანჯულები იყვნენ დედამიწაზე ადამიანები, ეს ერთადერთი გონიერი არსებანი.

სიცოცხლე, სიკვდილი, სიყვარული, თანაგრძნობა და შთაგონება — ყველაფერი მუსიკაში გამოისახება, ვინაიდან მასში, მუსიკაში მივალწიეთ თავისუფლებას, რომლისთვისაც მთელი ისტორიის მანძილზე ვიბრძოდით დაწყებული ადამიანის ცნობიერების პირველი გაელვებიდან, მაგრამ რომლის მიღწევა მხოლოდ მუსიკაში მოვახერხეთ. და მხოლოდ მუსიკა სძლევს ყველა დროის დოგმებს და ყოველთვის მომავლისკენ ისწრაფვის... ამიტომაც ძალუძს თქვას ის, რის თქმაც ჩვენ ვერ შევძელით...

დავცქეროდი საათს და შიშნეულად ველოდი, რომ ჩემს საყვარელ პუშკინის მუზეუმში კონცერტი დამთავრდებოდა, რომ შემდეგ უნდა წავსულიყავი ყაზანის ვაგზალში, სულ სხვა სამყაროში და სულ სხვა ცხოვრებაში ჩავბმულიყავი, იმ ცხოვრებაში, რომელიც უხსოვარი დროიდან ფუთფუთებს ამოყებისა და ორომტრიალის მორევში, სადაც არ ეღერს და არაფერს ნიშნავს ღვთაებრივი სიმღერები... მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ვყოფილიყავი იქ...

v

შუადღე გავიდა, მატარებელი ვოლგისპირა მხარეებში მიქროდა და კუპირებულ ვაგონებში უკვე დამკვიდრდა, რამდენადაც ეს შეიძლებოდა. მრავალდღიანი მგზავრობისთვის ნავარაუდები მყარი საგზაო ცხოვრება, საერთო ვაგონში კი, რომლითაც აბდია კალისტრატოვი მიდიოდა, შეიძლება ითქვას, კომუნალური ცხოვრება სუფევდა. მატარებელში ტრელი ხალხი იყო. ყველას თავისი მიზეზი ჰქონდა მგზავრობისა და ეს ყოველივე ბუნებრივი გახლდათ — ადამიანებს სჭირდებოდათ, ადამიანები მიემგზავრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ანაშას მადევრები, აბდია კალისტრატოვის თანამგზავრები, აბდია ხვდებოდა, რომ ამ მატარებელს სულ ცოტა ათი კაცი მოჰყვებოდა. მაგრამ თვითონ ჯერჯერობით მხოლოდ ორს იცნობდა, იმათ, რომლებსაც მკვირცხლმა მეზარგულმა უთომ ვაგზალში მიაკედლა. ესენი იყვნენ მურმანსკელი ავარები — ერთი ცოტა უფროსი, ოცი წლის პეტრუხა და მეორე ჯერ მთლად ბავშვი. თექვსმეტი წლის ლიონია, მაგრამ იგი, ლიონიაც სარეწზე უკვე მეორედ მიდიოდა. ამიტომ თავი ქარცეცხლში გამოვლილ კაცად მიაჩნდა და ყოყოჩობდა კიდევაც. მურმანს-

კელები პირველად თავშეკავებულად იქცეოდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ აბდია მათი კაცი იყო, რომ მადევრობას საიმედო ხალხის რეკომენდაციით იწვებდა. საქმეებზე ქარაგმულად ლაპარაკობდნენ, ძირითადად ტამბურში პაპიროსის წევრისას, ხალხი ახლა ვაგონში პაპიროსის მწევლებს ვერ იტანდა. მით უმეტეს ამდენი მგზავრი გროვდებოდა და ჰაერი ისედაც შეხუთული იქნა, რომ მწევლები ამიტომ გამოდიოდნენ ტამბურში სალაყოდ და მოსაწევად. პირველად პეტრუხამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ აბდია პაპიროსს მათი ყაიდის ბიჭებივით არ ეწეოდა.

— შენა, აბდია, არასოდეს მოგიწევია? ქალივით გეშინია ნაფაზის დარტყმა.

აბდია იძულებული გახდა ეცრუა:

— ოდესღაც ვეწეოდი და მივატოვე...

— გეტყობა კიდევაც, მე კი პატარაობიდანვე ვეწევი. ჩვენი ლიონკაც მაგარი მწეველია, ბებერივით აფუილებს, თუ შემთხვევა მიეცა, არც სმას აქლებს ხელს. თუმცა ახლა ჩვენთვის დაღევა არ შეიძლება, სამაგიეროდ შემდეგ ვთუთქავთ.

— ეს ხომ ჭერ პატარაა?

— ვინაა პატარა, ლიონკა? პატარაა და კენჭია. აი შენ, მგონი, პირველად მიდიხარ დიდ საქმეზე. ეს გასეირნება არ გეგონოს. ამათ კი ყველა ხვრელი იცის.

— ბალახსაც ეტანება თუ მარტო მადევარია? — დაინტერესდა აბდია.

— ლიონკა? მაშ როგორ, ეწევა. ახლა ყველა ეწევა, მაგრამ მოწევა ჰკვია-ნურად უნდა, — დაიწყო მსჯელობა პეტრუხამ. — ზოგი იმდენს ჩაყლაპავს, გონება უბნელდება, ამისთანები საქმეში არ გამოდგებიან. გულაფშუტები არიან. ყველაფერს ამტუტებენ. მერედა, როგორი ბალახია, სიხარულს განიჭებს, სულს სამოთხეში ამყოფებს.

— სიხარულს რით განიჭებს?

— იმით, რომ აგერ, ვთქვათ, პატარა ნაკადული მოედინება. იმოდენაა, გადააბიჯებ, გადააფურთხებ, შენთვის კი მდინარეა, ოკეანეა, სიამეა! ესეც შენი სიხარული. სიხარული ხომ ისეთი რამაა, საიდან უნდა გაჩითო? აი, მაგალითად. პურს იყიდი, ტანსაცმელს იყიდი, ფეხსაცმელსაც იყიდი, არაყსაც ფულით სვამენ. ბალახი კი, თუმცა ბევრი მაყუთი სჭირდება, განსაკუთრებულ სიამეს გგვრის: თითქოს სიხარული ხარ და ირგვლივ ყველაფერი ისეა, როგორც პირდაპირ კინოში. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ კინოს ასობით და ათასობით კაცი მიშტერებია, აქ კი მხოლოდ შენა ხარ, აქ სხვას არავის ესაქმება, ხოლო ვინც ცხვირს შემოყოფს, იმას შეიძლება სიფათში ცეცხლო — ეგ შენ არ გეკითხება, როგორც გინდა, ისე ვცხოვრობ, სხვის ბოსტანში ნუ გადადიხარ-თქო. აი, როგორაა საქმე, — პეტრუხამ მცირე ხნით იყუჩა, გამჭრიახ თვალებს ჰკუთავდა, აბდიას, ცოტა არ იყოს, თავხედურად გადაუკრა სიტყვა: — ჰა, აბდია, ბალახი ხომ არ გაგესინჯა, სიამოვნებისთვის წაიკაიფებ, შემოძლია საკუთარი მარაგიდან გიწილადო...

— არა, მირჩვენია საკუთარი გავსინჯო, — იუარა აბდიამ. — აი, როცა ჩემს წილს დავდებ, მაშინ სხვა ამბავია.

— ესეც მართალია, — დაეთანხმა პეტრუხა. — შენი შენია. — ერთხანს გაყუჩდა და გადაწყვიტა, ისევ განეგრძო: — ჩვენს საქმეში, აბდია, მთავარია სიფრთხილე. იმიტომ, რომ ირგვლივ ყველა ჩვენი მტერია: ყოველი ბებია, ყო-

ველი მედლებიანი ვეტერანი, ყოველი პენსიონერი. სხვებზე აღარას ვამბობ. ყველას ერთი სული აქვს, მსჯავრი დაგვდოს და შორს კატორღაში მოგვაყუჩოს, რომ თვალით არ დაგვინახოს. ამიტომაც ამგვარი წესი გვაქვს, ისე უნდა მოიქცე, თითქოს არაფერს წარმოადგენ, ერთი გოიმი ვინმე ხარ, სანამ მაყუთი ბლომად არ მოგიტეხავს. შემდეგ კი აი, როგორ ვიცით! ზრცა მბუშა! ფული მიჭყავის, ყველას დედა ვატირე ერთიანად... ისე, თუ რაიმე მოხდა, აბღია, ჩაკვდი, ჩაძაღლდი და შენიანები არ გასცე. ეგ კანონია. ხოლო თუ ვერ გაუძელი, ასე და ამგვარად — წირვა გამოგივა, შეუძლიათ ძალივით გაგასალონ. ზონაშიც რომ იყო, სულ ერთია, მოგწვდებიან. ეს ხუმრობა-თამაში არ გეგონოს.

თანდათან გამოირკვა, რომ პეტრუხა სადღაც სხვადასხვა მშენებლობაზე მუშაობდა, ხოლო ზაფხულის დადგომისთანავე, მუინყუმის მხარეებში მიემგზავრებოდა, იცოდა, სად იყო ანაშით მდიდარი ადგილები. ამბობდა, ბალანარი განსაკუთრებით ხევეებში იმდენია, მთელ მსოფლიოს ეყოფაო. შინ მხოლოდ ღრმად მოხუცი ლოთი დედა ჰყავდა. ძმები აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ, იმიერპოლარეთში გაზსადენზე მუშაობდნენ. როგორც პეტრუხა ამბობდა, ხან სიცივეში, ხან ქინქლებში შოულობდნენ ფულს ეს გალლეტილები. თვითონ კი ერთს გაისეირნებდა თვალეზაბრეცილ აზიაში და შემდეგ მთელი წელი ჭერს აფურთხებდა, ოღონდაც ნერწყვი ყოფნოდა. ლიონკას უფრო უარესად ჰქონდა საქმე. დედა ვინ ჰყავდა, არ იცოდა. თავიდანვე ჩვილ ბავშვთა სახლში განამწესეს. როცა სამი წლის გახდა, ვილაც მურმანსკელი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, რომელიც უმთავრესად კუბაში დადიოდა, თავშესაფარში ცოლთან ერთად გამოცხადდა და ბიჭი ყოველგვარი წესის დაცვით იშვილა. თვითონ საკუთარი შვილები არ ჰყავდა. ხუთი წლის შემდეგ კი ყველაფერი უკულმა დატრიალდა. კაპიტნის ცოლი კავალერთან ერთად სადღაც ლენინგრადში გაშპა, კაპიტანმა სმა დაიწყო, სამუშაოდ ნავსადგურში გადმოვიდა. ლიონკა სკოლაში გაჭირვებით სწავლობდა, ხან მამობილის დეიდასთან ცხოვრობდა, ხან მის ბუღალტერ ძმასთან. ბუღალტრის ცოლი კი ცერბერი იყო. ჰოდა, ყველაფერი ერთიმეორეს წაეწყო, ბიჭიც ხელიდან წავიდა, გამხეცდა, კაპიტანი სულ მიატოვა და ერთ მარტოხელა ომის ინვალიდს მიეკედლა. ეს ყოფილი წყალქვეშე-ლი კეთილი კაცი იყო, მაგრამ ლიონკაზე გავლენას ვერ ახდენდა. ბიჭი ისე ცხოვრობდა, როგორც მოეპრიანებოდა, სადმე გაგრილებას მოინდომებდა და მიგრიალებდა, დაბრუნებას მოისურვებდა და ბრუნდებოდა. ეს მეორე სეზონი უკვე ანაშის ჩამოსატანად დადიოდა. ეტყობა, თვითონაც ძლიერ შეუყვარდა უკეთური საწამლავი მაშინ, როცა მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო და მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა...

აბღია კალისტრატოვა ძალიან შეიკავა თავი და ყველა აღმაშფოთებელ წვრილმანს არ გამოპასუხებია, ვინაიდან ამოცანად ჰქონდა დასახული — ჩასწვდომოდა იმ მოვლენათა ბუნებას, რომლებიც სულ ახალ და ახალ ჭაბუკებს ხვევდნენ თავის ბადეში. და რაც უფრო მეტს უკვირდებოდა ამ სამწუხარო ამბებს, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ეს ყველაფერი ჰგავდა რაღაც წყალქვეშა დინებას, როცა ცხოვრების ზღვის ზედაპირზე მოჩვენებითი სიწყნარეა, რომ ბიწიერების მშობელი ქერძო და პირადი მიზეზების გვერდით საზოგადოებრივი მიზეზებიც არსებობდნენ და შესაძლებლობას ქმნიდნენ ახალგაზრდობის ამდაგვარი ავადყოფობა გაჩენილიყო. მიზეზთა შემჩნევა ერთი შეხედვით ძნელი გახლდათ — ისინი მოგაგონებდათ მთელ სხეულში ავადყოფობის გამავრცელებელ ერთმანეთთან შეკავშირებულ სისხლძარღვებს.

არავითარი აზრი არ ჰქონდა და თუ ჰქონდა, ძალიან მცირეც, ამ მიზეზების გამოკიდებას ერთი კაცის ბარბაზე. აქ აუცილებელი იყო სულ ცოტა მძვინვარეობა სოციალური ტრაქტატის დაწერა. ყველაფერს კი პრესაში და ტელევიზიაში დისკუსიის გამართვა სჯობდა. აი, რა მოინდომა აბდიაშვილმა. პირდაპირ გადამთიელს ჰგავდა. ის კი მართლა გადამთიელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მისი მუშაობის რიულ შეზღუდულობას და ყოველდღიური ცხოვრების უცოდინრობას. შემდეგ დარწმუნდება: არავის აინტერესებს ასეთ რამეებზე გულახდილი ლაპარაკი, რასაც ყოველთვის ხსნიან ვითომცდა ჩვენი საზოგადოების პრესტიჟის გულშემატკივრობით. თუმცა, არსებითად, უპირველეს ყოვლისა მთავარი ისაა, არ სურთ ზედმეტი საფრთხე შეუქმნან საკუთარ მდგომარეობას, დამოკიდებულს სხვა პირთა აზრსა და გუნება-განწყობილებაზე ეტყობა, საზოგადოების რომელიღაც ნაწილის უკეთურებაზე განგაშის ასატეხად, სხვა ყველაფერს რომ თავი დაჰვანებოთ, საჭირო იყო არ შეგშინებოდა, ჩემს თავს არ ვავენოო. აბდიაშვილის ტრაქტატს თავისდა საბედნიეროდ და საუბედუროდ ამგვარი ფარული შიშით არ აწუხებდა. მაგრამ ეს ცხოვრებისეული აღმოჩენები ჯერ წინ ელოდა. ახლა მხოლოდ ფეხს დგამდა ამ გზაზე, მხოლოდ შეეხო სინამდვილის ამ მხარეს და სწყუროდა იგი გზააბნეულ ადამიანთა სიბრაღის გამო შეეცნო საკუთარი გამოცდილებით, უნდოდა თუნდაც რამდენიმეს მიშველებოდა არა ჰქუის სწავლებით, საყვედუროთა და გაკიცხვით, არამედ საქმეში თავისი მონაწილეობით და თავისი მაგალითით დაემტკიცებინა, დამლუბველი მდგომარეობისგან დახსნა მხოლოდ საკუთარი თავის განახლებით რომ შეიძლებოდა და ამ თვალსაზრისით ყოველ მათგანს რეკოლუცია უნდა მოეხდინა თუნდაც თავისი სულის ფარგლებში. მაგრამ ისევ და ისევ არ ფიქრობდა, რა ძვირად დაუჭლებოდა ასეთი გულდაჯერებული იდეები.

ახალგაზრდა იყო. განა მართო ახალგაზრდა... გენახათ, როგორ სწავლობდა სემინარიაში ქრისტეს ისტორიას — მისი ტანჯვა ისე განიცადა, გულამომჭდა-რი ტიროდა, როცა წაიკითხა გეთსიმანიის ბაღში ქრისტე იუდამ გასცაო! სამყაროს უდიდეს უბედურებად მიიჩნია იმ ცხელ დღეს, იმ თხემის ადგილზე ქრისტეს ჯვარზე გაკვრა. მაგრამ მაშინ ნაკლებგამოცდილ ბიჭს არ უფიქრობ: იქნებ ამქვეყნად არსებობს კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც სამყარო ყველაზე მეტად თავის შეილება სწორედ უწმინდესი იდეებისა და გულისწავლილისათვის სჯისო? შეიძლება ღირდა ეფიქრა: იქნება ესაა ამგვარი იდეების არსებობის ფორმა და გამარჯვების საშუალებაო? იქნებ მართლა ასეა! იქნებ სწორედ ეგაა ასეთი გამარჯვების საზღაური. მაშინ?

თუმცა აბდია ჯერ კიდევ ადრე ესაუბრა ამ საკითხზე ვიქტორ გოროდეცკის, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ტოლები იყვნენ, მამის სახელით მიმართავდა. ხოლო ეს საუბარი მანამდე გაიმართა, ვიდრე აბდია სასულიერო სემინარიიდან წამოსვლას გადაწყვეტდა.

— აბა, რა უნდა გითხრა? იცი, ყრმაო მამაო, ნუ მიწყენ, აბდია. თუ ხანდახან ყრმაო მამაოს გეძახი, მაგრამ სიტყვების უკეთესი შეთანხმება არ იქნება, — ეუბნებოდა გოროდეცკი აბდიას, როცა თავის სახლში მასთან ერთად ჩაის სვამდა. — შენ სემინარიიდან წამოხვალ, ალბათ ეკლესიიდან მოგკვეთენ, დარწმუნებული ვარ, მოძღვარნი არ მოითმენენ, რომ ისინი ხმალში გამოიწვიონ და ისე დატოვონ... მით უმეტეს, მოდიხარ ეკლესიისთვის, ასე ვთქვათ, იშვიათი და ძალიან უსიამოვნო მიზეზით — არა იმიტომ, რომ რაიმე უსამართლობა იწვევს, გაწყენინებს, შეგავიწროვებს. არც იმიტომ, რომ რომელიმე საეკლესიო პირს

წაეჩნებე, არა, ყრმაო მამაო, ეკლესიას შენს წინაშე ბრალი არაფერში მიუძღვის... მასთან კავშირს, ასე ვთქვათ, წმინდა იდეური მოსაზრებების გამო წყვეტ-

— დიან, ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, ასეა. აშკარა მიზეზები არ არსებობს, წყენაო — ეს მეტიმეტი გამართივება იქნებოდა საკითხისა. საქმე სულაც არ მეხება მე, უბრალოდ ტრადიციული რელიგიები სადღესასწაულებს, არ შეიძლება სერიოზულად ილაპარაკო რელიგიაზე, რომელიც ნაწარმოებელი იყო გაღვიძებული დაბალი ფენების გვაროვნული შეგნებისთვის. თვითონ მოგესვენებათ, თუ ისტორია შეძლებს რწმენის მსოფლიო ჰორიზონტზე ახალი ცენტრალური ფიგურა წამოსწიოს — ფიგურა თანამედროვე ღმერთისა, რომელსაც სამყაროს ახლანდელ მოთხოვნილებათა შესაბამისი ახალი ღვთაებრივი იდეები ექნება, მაშინ კიდევ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სარწმუნოება რაღაცად ეღირება. აი, ჩემი წამოსვლის მიზეზი.

— მესმის, მესმის! — ლმობიერად გაუღიმა გოროდეცკიმ აბდიას. ჩაი მოხვრიპა და განაგრძო, — ეს ყველაფერი თავზარდამცემად უღერს. მაგრამ ვიდრე შენს თეორიას შევეხებოდე, უნდა გითხრა, რომ ვზივარ ახლა, ვსვამ ჩაის და ნამდვილად მიხარია, რაკი მე და შენ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ. ასეთი გაუგონარი ერესისათვის კათოლიკურ ევროპაში სადმე, ესპანეთში ან იტალიაში, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რისი თქმაც გაბედე, ხოლო მე წინდაუხედავად მოვისმინე, ორივეს, ყრმაო მამაო ჩემო, ჯერ ხელ-ფეხსა და თავს მოგვეკვეთდნენ, შემდეგ კოცონზე დაგვეწვავდნენ, შემდეგ ჩვენს ნაშთს დაფქვავდნენ და ნაფქვავს ქარს გაატანდნენ. ო, რა სასტიკად და სიამოვნებით გაგვისწორდებოდა ინკვიზიცია! თუ წმიდათაწმიდა ინკვიზიციამ ერთი უბედური მხოლოდ იმისთვის დაწვა, რომ დააბეზღეს — უმანკო ჩასახვის ხსენებაზე იღუმალად ჩაიღიმაო, მაშინ უნდა ვიფიქროთ...

— ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, უკაცრავად, მაგრამ უნდა შემოგესიტყვო. — ჩაიციანა აბდიამ. იგი ნერვიულად იკრავდა სემინარიელის შავი სერთუკის ღილებს. — მესმის, გვარიანად გაგამხიარულე, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს, და ახლა რომ ინკვიზიცია არსებობდეს და ხვალ კოცონზე დაწვა შემუქრებოდეს ჩემი ერესის გამო, არც ერთ სიტყვას არ გადავთქვამდი.

— მჯერა, — თავი დაუქნია გოროდეცკიმ. — ეს იდეა შემთხვევით არ დამზადებია. გამიჩნდა მას შემდეგ, რაც შევისწავლე ქრისტიანობის ისტორია და თანამედროვეობას დავაკვირდი. და მე დავიწყებ ღმერთის ახალი, თანამედროვე ფორმის ძიებას, თუნდაც ვერასოდეს ვპოვო იგი...

— კარგია, რომ ისტორია ახსენე, — შეაწყვეტინა გოროდეცკიმ. — ახლა მე მომიხმინე. შენი ახალი ღმერთის იდეა აბსტრაქტული თეორიაა, თუმცა, ჩვენი ინტელექტუალების ენით რომ ვთქვათ, რაღაცით ფრიად აქტუალურია, ეს შენი მოსაზრებები, როგორც ძველად ამბობდნენ, გონების ნაყოფია. შენ აპროგრამებ ღმერთს, ხოლო ღმერთი არ შეიძლება სინამდვილისაგან განყენებულად გამოიგონო, რა მიმზიდველი და დამაჯერებელიც უნდა ჩანდეს ეს საქმე. მესმის, ქრისტე რომ ჯვარზე არ გაეკრათ, ღმერთი არ იქნებოდა. ეს უნიკალური, მთელ ქვეყანაზე სამართლიანობის დამკვიდრების იდეით შეპყრობილი პიროვნება ჯერ მხეცურად მოკლეს ადამიანებმა, შემდეგ კი განადიდეს, ხოტბა შეასხეს, დაიტირეს, ბოლოს ხანგრძლივი ტანჯვით მოიპოვეს. აჰ, კი ერთმანეთს ერწყმის თაყვანისცემა და თვითბრალდება, მონანიება და იმედი, სასჯელი და შეწყალება — და კაცთმოყვარეობა, სხვა ამბავია, რომ შემდეგ

ყველაფერი დამახინჯდა და გარკვეული ძალების გარკვეული ინტერესებისათვის გამოიყენეს, მაგრამ რას იზამ, ასეთია ყველა მსოფლიო საეკლესიო იდეის ბედი. პოდა, დაუფიქრდი, რა უფრო ძალმოსილია და მიმზიდველი, რა უფრო მახლობელია — მარტვილი ღმერთი, რომელმაც თავი გასწირა, ჯვარს ეცვა იდეის გულისთვის, თუ სრულქმნილი უმაღლესი არსება, თქვენს წინაშე მდებარე უმაღლესი არსება. ეს აბსტრაქტული იდეალი.

— მე ვფიქრობდი ამაზე, ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, მართალი ხართ, მაგრამ არ შემიძლია, უარყვო ის აზრი, რომ დადგა დრო, ახალი თვალთ შევხედოთ წარსულს, რარიგ ექვემდებარებოდნენ უნდა იყოს იგი, ღმერთის ცნებას, რომლის ახსნა დიდი ხანია აღარ შეესაბამება სამყაროს რაობის ახლანდელ ცოდნას. ეს ხომ აშკარაა. ნუ ვიკამათებთ. ფრიად შესაძლებელია, რომ ვეყრდნობი აბსტრაქციას, ვეძებ იმას, რაც არ უნდა ვეძებო, რა გაეწყობა! დაე, ჩემი აზრები არ ეთავსებოდეს კანონიკურ ღვთისმეტყველებას. ვერაფერს მოვუხერხებ ჩემს თავს. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ვინმე გადაამარწმუნებდა.

გოროდეცკიმ ისე გაშალა ხელები, ნათქვამს მიგიხვდიო, აგრძნობინა:

— მესმის შენი, მამაო აბდია, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად უნდა გაგაფრთხილო — ეკლესიის მსახურთა თვალსაზრისით ღმერთმადიებლობა ყველაზე საშინელი დანაშაულია ეკლესიის წინაშე. იგივეა, რაც მთელი სამყაროს თავდაყირა დაყენება განიზრახო.

— ვიცი, — მშვიდად მიუგო აბდიამ.

— მაგრამ უფრო მეტად არ უყვართ ღმერთმადიებლობა ერისკაცებს, გიფიქრია ამაზე?

— ეს პარადოქსია, — გაუკვირდა აბდიას.

— ნახავ, აღდგომა და ხვალო...

— როგორ? აჭ მათი პოზიციები ერთმანეთს თანხვდება?

— არათუ თანხვდება, ღმერთმადიებლობა არავის სჭირდება...

— უცნაურია, მაშ, ყველაზე საჭირო რამ არავის სჭირდება...

— ვფიქრობ, შავ დღეში ჩავარდები, მამაო აბდია. მე შენს ადგილზე ყოფნას არ ვისურვებდი, მაგრამ არც წინ გადაგელობები, — უთხრა დასასრულს გოროდეცკიმ.

მართალი იყო გოროდეცკი. ყველაფერი მართალი თქვა, რამდენიმე ხნის შემდეგ აბდია კალისტრატოვს საშუალება მიეცა მისი სიმართლე ერწმუნა.

ეს პატარა ამბავი სემინარიიდან აბდიას გამოძევებამდე მოხდა. იმ დღეს ქალაქში ჩამოვიდა და სემინარიის რექტორატი ვაგზალში დიდის პატივით შეხვდა მნიშვნელოვან პიროვნებას — საბატრიარქოს სასწავლებლების კოორდინატორს — მამა დიმიტრის. მას სემინარიაში ასევე მამა კოორდინატორს ეძახდნენ. კეთილსახიერი და კეთილგონიერი მამა კოორდინატორი ამჯერად საგანგებო შემთხვევის გამო ჩამობრძანდა. ერთი ყველაზე საუკეთესო სემინარიელი აბდია კალისტრატოვი ერესის გზას დაადგა — თანამედროვე ღმერთის საეჭვო იდეა წამოაყენა და აშკარად მოინდომა საღვთო წერილის ხელახლა გაჩხრეკვარასაკვირველია, მამა კოორდინატორი ჩამოვიდა, როგორც მოძღვარი და მშვიდობისმყოფელი, სურდა გზას აცდენილი ყმაწვილი თავისი ავტორიტეტით ეკლესიის წიაღში დაებრუნებინა და უსიამოვნებას გარეთ არ გაეყონა. ამ თვალსაზრისით ეკლესია არაფრით არ განსხვავდებოდა საერო ინსტიტუტებისგან, რომელთათვის ყველაზე მთავარი ისაა, სახელი არ შეეღაზოთ. აბდია კალისტრატოვის ადგილზე რომ მეტი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე სხვა

უმანვილი ყოფილიყო, კოორდინატორის მამობრივ განზრახვას გულთან მიიტანდა. მაგრამ აბდიამ სრულიად გულწრფელად ვერ გაუგო ეკლესიის გამოჩენილ მსახურს. რითაც მას ძალიან გაურთულა საქმე.

აბდია მამა კოორდინატორთან სასაუბროდ შუადღით იხმეს და მასთან სამ საათამდე დარჩა. თავდაპირველად მამა კოორდინატორმა შექნა მისთვის ვილოცოთ ეკლესიის საკურთხეველთან. ეკლესია მთავარ კოორდინატორთან ერთ-ერთ დარბაზში იყო გამართული.

— შვილო ჩემო, უთუოდ ხვდები, რომ მინდა სერიოზულად გესაუბრო, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. კეთილინებე და საკურთხეველთან მიმაცილე, — სთხოვა მამა კოორდინატორმა აბდიას, თან გადმოკარკლულ, მოწითალო თვალებს არ აშორებდა. — ვგრძნობ, რომ ჯერ ერთად უნდა ვილოცოთ.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მღვდელმთავარო. — უთხრა აბდიამ. — მე მზად ვარ. პირადად ჩემთვის ლოცვა უზენაესზე განუწყვეტელი ფიქრის კონტრაპუნქტია. მე მგონი, თანამედროვე ღმერთზე ნიადაგ ვფიქრობ.

— აგრე ნუ ვიჩქარებთ. შვილო ჩემო, — თავშეკავებულად შეესიტყვა მას კოორდინატორი და სავარძლიდან წამოდგა. მან მოუყრუა კიდევაც თანამედროვე ღმერთზე, კონტრაპუნქტზე ნათქვამ თამამ ფრაზას. დიდად გამოცდილმა ეკლესიის მსახურმა არ ისურვა თავიდანვე გაემწეავებინა საუბარი. — ვილოცოთ. უნდა გითხრა, — განაგრძო მამა კოორდინატორმა. — რაც უფრო მეტ ხანს ვცხოვრობ ამქვეყნად, მით უფრო ვრწმუნდები, რაოდენ სათნოა უფალი! რაოდენ კეთილმოწყალედ გვეპყრობა და ბედნიერი ვარ, რომ ძალმიძს ეს თავდავიწყებულ ლოცვაში ვიგრძნო. უსასრულოა უზენაესის საყვარული ჩვენდამი. შესაძლოა, ჩვენი ლოცვები მისთვის მხოლოდ და მხოლოდ დაუფიქრებელი ტიტინია, მაგრამ ჩვენი და ღმერთის ურღვევ ერთიანობას გამოხატავს.

— მართალი ხართ, მღვდელმთავარო. — უთხრა კარებში მდგომმა აბდიამ. შემდეგ, რაკი აგრე გამოუცდელი იყო და მოთმინება არ ჰყოფნიდა, ვერ გაუშლო საუბარში ზრდილობისათვის საჭირო პაუზას და უმაღ გულანდილად თქვა თავისი სათქმელი:

— შემოგბედავთ და მოგახსენებთ, რომ ღმერთი, ჩვენი გავებით, მარადისმყოფია, მაგრამ რაკი დედამიწაზე აზროვნება ვითარდება, ახალ-ახალი ცოდნით ივსება, იზადება დასკვნა: ღმერთისაც ხომ უნდა ჰქონდეს განვითარების თვისება? თქვენ როგორღა ფიქრობთ, მღვდელმთავარო?

— აქ კი მამა კოორდინატორმა პასუხს თავი ვერ აარიდა.

— ნამეტანი ფიცხი კი ხარ, შვილო ჩემო, — უთხრა აბდიას. მღვდელმთავარი დროდადრო ყრუდ ახველებდა და სქელი ქსოვილის შესამოსელს ისწორებდა. — ღმერთზე ასე მსჯელობა ახალგაზრდობითაც კი არ შეგშვენის. ჩვენ არ ხელგვეწიფება მარადისმყოფი შემოქმედის შეცნობა. იგი ჩვენს გარეშე არსებობს. მატერიალიზმიც კი აღიარებს, რომ სამყარო ჩვენ ცნობიერების გარეშე არსებობს. ღმერთი კი მით უმეტეს.

— უკაცრავად, მღვდელმთავარო, მაგრამ უმჯობესია ყვილაფერს თავისი საბელი ვუწოდოთ. ჩვენი ცნობიერების გარეშე ღმერთი არ არსებობს.

— დარწმუნებული ხარ?

— დიახ, ამიტომაც ვამბობ.

— რა გეწყობა, ნუ ავხსნით იმას, რაც ისედაც ნათელია. ვთქვათ, ვაწყობთ პატარა სასწავლო დისკუსიას. მას ჩვენ ლოცვის შემდეგ მივუბრუნდებით, ჯერჯერობით კი, იყავ მოწყალე. და ტამარში გამყევო.

უკვე მარტო ის ფაქტი, რომ მამა კოორდინატორმა აბდიას პატივი დასდო ერთად ელოცათ აკადემიურ ეკლესიაში, საგანთა ლოგიკის მიხედვით კეთილმოსურნეობის ნიშნად უნდა მიგვეჩნია და სემინარიელსაც, რომელსაც გარიცხვა ემუქრებოდა, თითქოს უნდა ესარგებლა ამ მისთვის ხელსაყრელი ვითარებით.

უკრუნეული

ისინი დერეფანში მიაბიჯებდნენ — წინ მამა კოორდინატორმა მხარს უჭერდით, ნახევარი ნაბიჯით უკან აბდია კალისტრატოვი. აბდია უცქეროდა მღვდლის წარმოსადგე ტანს, მტკიცე სიარულს, იატაკზე მოფოფიალე შავ, ხალვათ ანაფორას, კოორდინატორს რომ განსაკუთრებულ სიდიადეს სძენდა, და ამ კაცში იგრძნო საუკუნეების მანძილზე დაუნჯებული ის ძალა, რომელიც დარაჯად უდგას რწმენის კანონებს და ადამიანის ყოველ საქმეში უპირველეს ყოვლისა საკუთარ ინტერესებს იცავს. სწორედ მას, ამ ოდითგან მოპირისპირე ძალას უნდა შეჯახებოდა აბდია ცხოვრებაში ჭეშმარიტების ძიების გზაზე. მაგრამ ახლა ორივე მიდიოდა უფალთან, რომლისაც ორივეს სწამდა თავთავისებურად და რომლის სახელით ვალდებულნი იყვნენ სხვების გულში ჩაენერგათ ყველა სთვის საერთო აზრები, თუ რა იყო სამყარო და რა ადგილი ეჭირა ადამიანს იქ. ერთიცა და მეორეც უფალზე ამყარებდა იმედს, ვინაიდან იგი ყოვლისმცოდნე და ყოვლად მოწყალე იყო. ამრიგად, ისინი მიდიოდნენ...

აკადემიურ ეკლესიაში იმ დროს არავინ იყო. ამიტომ არცთუ პატარა ჩანდა. სხვა მხრივ ჩვეულებრივი ეკლესია გახლდათ, ოღონდ დაბინდული საკურთხეველის სიღრმეში სანთლის მქრქალ შუქზე ერთობ თეთრად კრთოდა ქრისტეს ჩამუქებული თმით მოარშიებული, დაყინებით, მღურვით მომზირალი სახე. მას მიაპყრო მზერა და ფიქრები ორივე მუხლმოყრილმა კაცმა — მწყემსმა და ახალგაზრდა მოწაფემ, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა თავისუფლად მსჯელობის უნარი. აქ იმ იმედით მოვიდნენ, პირადად ესაუბრათ უფალთან, ვინაიდან უფალს შეეძლო დღე-ღამის ნებისმიერ დროს სინქრონული დიალოგი გაემართა მასთან ლაპარაკის ურიცხვ მსურველთან, პრაქტიკულად მთელ კაცობრიობასთან დედამიწის ნებისმიერ წერტილში. აი, ამიტომ გახლდათ იგი ყველგან მყოფი.

ამჯერადაც ასევე იყო ყველაფერი: ლოცვისას ორივეს სურდა გამოეთქვა თავიანთი შეშფოთებაც, მწუხარებაც, გაემართლებინა ღვთის რწმენაზე დაფუძნებული თავიანთი მოქმედებანიც და შეეცადნენ თავიანთი თავი დაეკავშირებინათ წარმოსახვითი სამყაროსთვის, რომელშიც ესოდენ მიკროსკოპული ადგილი ეჭირათ ესოდენ მიკროსკოპული დროით. ორივე მათგანი პირჯვარს იწერდა და შემოქმედს მადლს მოახსენებდა, რომ ბედად ეწერათ ამქვეყნად მოვლენა, ორივე მათგანი შესთხოვდა, როცა უკანასკნელი დღე მოალწევდა, ნება მიეცა ისე მომკვდარიყო, ბაგეზე მისი სახელი შერჩენოდა...

შემდეგ ორივე ისევ დაუბრუნდა თავიანთ საქმეებს იმ კაბინეტში და გულახდილი საუბარი გააბეს.

— ასე რომ, შვილო ჩემო, ჭკუის სწავლებას არ დაგიწყებ, — თქვა მამა კოორდინატორმა და უფრო მოხერხებულად მოიკალათა ტყავის სავარძელში აბდია კალისტრატოვის წინ. აბდია სკამზე იჯდა, ხელები მორჩილად დაეწყო გამხდარ მუხლებზე, რომლებიც მკაფიოდ გამოჰკვეთოდა სემინარიელის ნაცრისფერ სამოსში.

აბდია მკაცრ საუბარს ელოდა და ასეთმა დასაწყისმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა — მღვდელმთავრის თვალეში ვერც მრისხანება ამოიკითხა, ვერც

უკეთური ზრახვები, პირიქით, მამა კოორდინატორი ფრიად მშვიდად გამოი-
ყურებოდა.

— გისმენთ, მღვდელმთავარო, — მორჩილად მიუგო სემინარიელმა მამა
კოორდინატორს.

— ასე რომ, ვიპეორებ, დატუქსევას და ჭკუის დარიგებებს. ზე-
მოქმედების ასეთი პრიმიტიული ხერხები საშენო არაა მხოლოდ, არამედ
რომელთაც შენ წარმოთქვამ — არა იმდენად ქარაფშუტობის, რამდენადაც სი-
ფიცხის გამო — არ შეიძლება გული არ ატყინოს კაცს. ამასთანავე აღბათ შე-
აჩნინე, რომ გელაპარაკები როგორც ტოლი ტოლს. უფრო მეტიც, შენ საკ-
მაოდ გონიერი ხარ და... ეკლესიის ინტერესების გამო გულახდილად გეტყვი:
შენი გონება კი არ უნდა უპირისპირდებოდეს მის მოძღვრებას, პირიქით, გა-
ნუყოფლად და უცილობლად უნდა ემსახურებოდეს უფლის აღთქმებს. არც
ვმალავ ამას. თუმცა შემეძლო შენთვის ყურებიც ამეწია მამაშვილურად, ვინაი-
დან კარგად ვიცნობდი განსვენებულ მამაშენს. ჩვენ კეთილად ვუგებდით ერთ-
მანეთს. მამაშენი ჭეშმარიტად ქრისტიანული სათნოებით აღსავსე კაცი იყო,
ამასთანავე ფრიად განათლებული. მაგრამ აი, ბედმა შენთან შემახვედრა, აბდია,
განსვენებული დიაკვნის ინოკენტი კალისტრატოვის, კანცელარიული ენით რომ
ვთქვათ, მრავალი წელი ეკლესიის მსახურის შვილთან. მერედა რა გამოდის?
არ ვფარავ, თავდაპირველად ბევრი კარგი რამ შესმოდა შენზე. მაგრამ ახლა აჲ,
თავად ხვდები, შემაშფოთებელმა გარემოებებმა მომიყვანეს. ჩანს, სარწმუნ-
ოების რევიზიას შესდგომიხარ, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ მოწაფე ხარ.
თუ შენს სტატუსს გავითვალისწინებთ. შენი სრულიად შემთხვევითი გამონათ-
ქვამებიდანაც კი იმის ვაგება მოვასწარი, რომ უფრო ასაკის გამო დასდგომი-
ხარ ცდომილების გზას. მსურდა ასე მეფიქრა. საქმე ისაა, სიყმაწვილეს ათას-
გვარი მიზნის წყალობით განსაკუთრებული თავდაჯერებულობა მოსდგამს,
რასაც სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად ავლენს თავისი ტემპერამენტისა
და აღზრდის კვალად. ოდესმე გსმენია, ხანში შესულ, ცხოვრებაში მრავალჭირ-
ნახულ კაცს სიცოცხლის დასასრულს ღმერთისადმი რწმენა დაეკარგოს ან თავ-
ვისებურად განემარტოს საღვთო ცნებები? არა, ასეთი რამ თუ ხდება კიდევ,
უეჭველად ხდება ძალიან იშვიათად. ღვთაებრივის არსი სულ უფრო ღრმად
შეიცნობა სწორედ ასაკის მატებასთან ერთად. სიტყვამ მოიტანა და აკი ახალ-
გაზრდა იყო ყველა ევროპელი ფილოსოფოსი, კერძოდ, ეგრეთ წოდებული
ფრანგი ენციკლოპედისტები, რომლებმაც რევოლუციის წინა მშფოთვარე ეპო-
ქაში რელიგიას ათეისტურად შეუთიეს და ეს შეტევა ავერ უკვე თითქმის სა-
მასი წელი გრძელდება? ასე არაა?

— დიახ, მღვდელმთავარო, ახალგაზრდები იყვნენ, — დაუდასტურა აბ-
დია.

— აი, ხომ ხედავ? განა ეს არ ნიშნავს, რომ სიყმაწვილისთვის ნიშანდო-
ბლივი ამგვარი ექსტრემიზმი — ახლა ეგ მოდური სიტყვაა — უწინარეს ყოვე-
ლისა, მისი ასაკობრივი თავისებურებაა?

— დიახ, მაგრამ ამ ახალგაზრდებს, რომლებიც, თქვენი აზრით, მღვდელ-
მთავარო, ექსტრემისტები აღმოჩნდნენ, სამართლიანად ვთქვათ, ამასთანავე
ხომ ჰქონდათ საკმაოდ საფუძვლიანი შეხედულებანი.

— უთუოდ, უთუოდ, — საჩქაროდ დაეთანხმა მამა კოორდინატორი. —
მაგრამ ეგ განსაკუთრებული საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ისინი მღვდელ-
მსახურები არ იყვნენ, როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ რელიგიასთან,

მათი პირადი საქმე იყო, ამიტომაც სხვა რამ მოეთხოვებათ, შენ კი, შვილო ჩემო, მომავალი მწყემსი ხარ.

— მით უმეტეს, — შეაწყვეტინა აბდიამ. — იდეის მიხედვით ხომ ადამიანებმა მთლიანად უნდა ირწმუნონ ჩემი და ჩემი ცოდნისა.

— ნუ ჩქარობ, — მოიღუშა მამა კოორდინატორი. — თუ მარტო ჩემი ნათქვამი შენსავე კეთილდღეობისათვის შეიგნო, სხვანაირად ვერც შეიძლება. ჩემი ჯერ ერთი, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც რწმენის წვდომის გზაზე წინააღმდეგობის უინი დაუფლება. ეკლესია შენისთანა დაექვებუღებს ბევრს იცნობს თავის არსებობის მანძილზე. მერე რა? ყოველ დიად საქმეს თავისი ღურდო ახლავს. ასეთი წარმავალი ვითარებანი და შემთხვევითობანი იყო და იქნება კიდევაც. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სრულიად გარდაუვალია მათი ბოლო: სუბიექტი ან მტკიცე უარს ამბობს თავის ექვებზე და კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით და თავგამოდებით უცილობლად აღიარებს ჭეშმარიტ რწმენას, რას გამოც ზემდგომი მამები შეცოდებას უტყევენ, ანდა თუ სიჯიუტეს და წინააღმდეგობას გამოიჩენს, იმ ერეტიკოსს ეკლესიის წიალიდან განაძევენ და შეაჩვენებენ. შენთვის ნათელია, რომ მესამე გზა არ არსებობს, რომ მესამე გზა გამორიცხებულია? შენს ახალ აზრებს არ აღიარებენ. გასაგებია შენთვის?

— დიახ, მღვდელმთავარო, მაგრამ ვფიქრობ, მესამე გზა უფრო თვით ეკლესიისთვისაა აუცილებელი, ვიდრე ჩემთვის.

— კარგი ერთი, — დამცინავად გააქნია თავი მამა კოორდინატორმა. — გაგონილა ასეთი რამის მოჩმახვა! — წამოიძახა და აბდიას ნიშნის მოგებით შესთავაზა: — მაშ, მოიღე მოწყალება და გვიბრძანე, ეს რა მესამე გზა განუმზადე წმინდა ეკლესიას. რაღაც რევოლუცია ხომ არა? ისტორია ხომ ჯერ არ იცნობს ამგვარ რამეს...

— ესაა მარადიული დახავსებულობის დაძლევა, დოგმატიზმისგან განთავისუფლება, ადამიანის სულს თავისუფლება — შეიმეცნოს ღმერთი, როგორც საკუთარი ყოფიერების უმაღლესი არსი...

— სდექ, სდექ! — პროტესტი განაცხადა მამა კოორდინატორმა. — სასაცილოა ეგ შენი თვითშემოქმედება, ძვირფასო!

— მღვდელმთავარო, თუ თქვენ გამორიცხავთ აზრის თვითმყოფადობას, როგორც ასეთს, მაშინ, სამწუხაროდ, ჩვენი საუბარი წყლის ნაყვასა..

— დიახაც წყლის ნაყვას! — გაცხარდა მამა კოორდინატორი და წამოდგა. — გონს მოდი, ყმაწვილო, — იტყუა მან. — უკუაგდე ამპარტავნობა! დამლუპველ გზას ადგახარ! უბედურო, გგონია, რომ ღმერთი მხოლოდ ნაყოფია წარმოსახვისა და ამიტომ ადამიანი თითქმის ღმერთია ღმერთსა ზედა, მაშინ როცა თვით ცნობიერება ზეციერმა ძალამ შექმნა. ნებაზე მიუშვებ ახალ აზრებს და არარად აქცევ ათასწლოვან აღთქმებს და აკრძალვებს, რომლებიც ასე ძვირად, ნათელხილვებისა და ტანჯვის ფასად დაუჭდათ ადამიანებს, რათა ღვთაებრივი საფუძვლები თაობებში გამოეტარებინათ. აი, სად უმიზნებ, დოგმატიზმისგან განსათავისუფლებლად რომ იღვწი, მაშინ როცა დოგმატები ღვთის მადლით მოგვეცა. ეკლესიას შეუძლია ახალი აზრების გარეშე იდგეს, რომელიც იდგა. უდოგმატებოდ კი სარწმუნოება წარმოუდგენელია. ხოლო თუ საქმე ამაზე მიდგა, დაიმახსოვრე: დოგმატიზმი ყველა მდგომარეობისა და ყველა ხელისუფლების უპირველესი საყრდენია. დაიმახსოვრე: როცა შენ ახალი აზრებით ღმერთს ვითომდა აუმჯობესებ, სინამდვილეში უგულუბელყოფ

და მზად ხარ შენით შეცვალო იგი მაგრამ კიდევ კარგი, რომ არც შენზე და არც შენისთანებზეა დამოკიდებული, როგორ მოგვექცეს ღმერთი — ხოლო შენი ღვთისგმობა მხოლოდ შენ ვსპობს. ღმერთი კი უცვლელია და მარადის ჰგოეს! ამინ.

აბდია კალისტრატოვი ტუჩებგათეთრებული იდგა მარჯვენა ხელით დინატორის წინ: ტანჯავდა მისი დაუოკებელი აღშფოთება, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა: — მომიტევეთ, მღვდელმთავარო, არ ღირს ზეციურ ძალებს მივაწეროთ ის, რაც თვით ჩვენგან მომდინარეობს. რატომ შეგვექმნიდა ღმერთი ესოდენ არასრულყოფილებს, უკეთუ შეეძლებოდა თავი აერიდებინა იმისათვის, რომ ჩვენ, მის ქმნილებებს, ერთდროულად არ გვექონოდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა — ძალა სიკეთისა და ძალა სიბოროტისა. რისთვის შეგვექმნიდა ესოდენ ეჭვიანებს, ბიწიერებს, მზაკვრებს, მზაკვრებს თვით მის მიმართ. თქვენ იღვწით, რომ დაადგინოთ სარწმუნოების აბსოლუტი, საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ ჩავწვდეთ სამყაროსა და ჩვენი სულის არსს, მაგრამ ეს ხომ ულოგიკობაა — ნუთუ ქრისტიანობის არსებობის ორი ათასი წლის მანძილზე არ ააღგვიძდა ერთი სიტყვა მაინც დაგვემატებინა იმისთვის, რაც ითქვა ლამის ბიბლიამდელ დროში? თქვენ იბრძვიტ ჭეშმარიტების მონოპოლიისთვის, მაგრამ ეს ხომ მაინც თავის მოტყუებაა. ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს ისეთი მოძღვრება, თვით ღვთით მოცემული, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლომდე შეეცნოს ჭეშმარიტება. და თუ არსებობს, მაშასადამე, ეს მოძღვრება მკვდარი ყოფილა.

აბდია კალისტრატოვი გაჩუმდა და ჩამომდგარ სიჩუმეში ქალაქის ეკლესიის ზარის რეკვა გაისმა. ისეთი მახლობელი და ნაცნობი იყო ეს ზარის ხმა — სიმბოლური კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის — აბდიასაც მოუხდა ამ ბგერებივით გაფრენილიყო, განლტოლვილიყო, გამჭრალიყო უსასრულობაში...

— ყმაწვილო, მეტისმეტად სცდები ზღვარს, — ცივი, უცხო კილოთი წარმოსთქვა მამა კოორდინატორმა. — შენთან თეოლოგიის საკითხებზე კამათი არ უნდა წამომეწყოს, ვინაიდან შენი ცოდნა ფრიალ უმწიფარია და საეჭვოც კი; ადამიანთა მოდგმის მტრის — ეშმას წაქეზებით ხომ არ ლაპარაკობ? ისე, გამომშვიდობებისას ერთ რამეს გეტყვი: ამგვარი აზრებით თავს წააგებ, ვინაიდან ერისკაცებიც ვერ ითმენენ იმათ, ვინც ეჭვის თვალით უცქერის ფუძემდებლურ მოძღვრებას; აკი ნებისმიერი იდეოლოგია იჩემებს, რომ თავადაა საბოლოო ჭეშმარიტების მატარებელი. შენც უსათუოდ შეეჯახები ამ საკითხს. ხოლო საერთო ცხოვრება გაცილებით სასტიკია, ვიდრე შეიძლება მოგვეჩვენოს, და ძვირად დაგიჯდება შენი სიტუტუცე, გაიხსენებ ჩვენს საუბარს. მაგრამ კმარა, ეშხადე სემინარიიდან წასასვლელად, განიკვეთები ეკლესიიდან — ღმერთის სახლიდან!

— ჩემი ეკლესია მუდამ ჩემთან იქნება, — უკან არ იხევდა აბდია კალისტრატოვი. — ჩემი ეკლესია თვითონ ვარ. მე არ ვცნობ ტაძრებს და მიო უმეტეს არ ვცნობ მღვდელმსახურებს, განსაკუთრებით ისეთებს, როგორნიც დღეს არიან.

— რა გაეწყობა, ბიჭიკო, ღმერთმა ჰქნას, ყველაფერი კარგად დამთავრდეს, მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ სოფელი მორჩილებას გასწავლის, ვინაიდან იქ უსათუოდ თავად უნდა მოიპოვო ლუკმა-პური, ეს წესი კი აქამდე მბრძანებლობდა მილიონობით შენისთანაზე...

მამა კოორდინატორის გაფრთხილებანი შემდეგ მართლაც არა ერთხელ

და ორჯერ გახსენებია აბდია კალისტრატოვს, მაგრამ ყოველთვის მოსჩვენებია, რომ მთავარი რამ თავისი ხვედრისა, რაღაც უმაღლესი აზრი ჯერ კიდევ წინაა, როგორც ხილული პორიზონტის მოხაზულობა, რომ ყველა მოულოდნელი გართულება, ცხოვრებისეული გაჭირვება ამ მთავარის, უმაღლესი აზრისკენ სავალ გზაზე მხოლოდ დროებითია და დადგება დღე, როცა შევუძლია ადამიანი მას, აბდიას მაგალითად დაისახავს. მერედა, განა ეს არაა ჩემი არსებობის მიზანიო? — ასკვნიდა კალისტრატოვი.

იმ დღეებში, როცა აბდია ანაშის მადევრებთან ერთად კანაფის ტრამალებისკენ მიდიოდა და მატარებლის ფანჯრიდან დილიდან საღამომდე გასცქეროდა, უდაბურ სავრცეებს, თავის თავს ეუბნებოდა: „აი, ახლა თავისუფალი ხარ, არაფერი გბოჭავს რედაქციის დავალების გარდა, როგორც გინდა, ისე მოიქცევი. მერედა, რა იხილე წამების გზაზე? აჰა, იგი, ცხოვრება, თავისი სახით, მის პირისპირ დგახარ. ადამიანები როგორც ასი წლის წინათ, ისე მიდი-მოდებიან მატარებლით და შენ ერთი მგზავრთაგანი ხარ, მადევრებიც ჩვეულებრივი მგზავრები არიან, მაგრამ პოტენციურად თავზეხელაღებული ხალხია — ისინი ხომ ერთადერთი საშინელი ბიწიერების მეშვეობით პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. ის მწარე კვამლი თითქოს არაფერია, ტკბილი ბანგია, მაგრამ ადამიანში ადამიანს სპობს. მერედა, როგორ დაიცავ მათ, როცა თვითონ სწირავენ თავს? იცი, რა ასაზრდოებს ყველაფერ ამას? რა მიზეზები განაპირობებს? დუმხარ — არ იცი, რანაირად შეისწავლო, როგორ ახსნა, რა იღონო? განა სემინარიის კედლებიდან თავად არ მოიწევდი ცხოვრების უფსკრულისკენ, რათა ეს ცხოვრება თუნდაც რაღაცით გაგეუკეთესებინა? სემინარიელმა ამხანაგებმა იდეალისტად მოგნათლეს. ალბათ საამისო საფუძველი ჰქონდათ. ახლა კი უკვე ფიქრობ, სჭირდები თუ არა იმ მადევრებს, აუცილებელია თუ არა მათთვის, რომ საქმეები და საქციელი გაუქექო. მერედა, რა შეგიძლია გაუკეთო? გადაარწმუნო, აიძულო სხვანაირად იცხოვრონ? ჰოდა, ვიდრე შენ ეწამები, ფიქრობ, რა და როგორ მოეწყოს, ისინი მიდიან, მტკიცე მიზანი დაუსახავთ, სწყურიათ საქმე კარგად წაუვიდეთ და ეს მიაჩნათ ბედნიერებად. მაინც რანაირად გადაარწმუნებ, რანაირად მოაქციევ ჭეშმარიტების გზაზე? თუ საქმეში არ ჩაერიე, არ დაეხმარე, ადრე თუ გვიან სასჯელს დაადებენ, კოლონიებში გაუშვებენ, მაგრამ ამას უბედურებად მიიჩნევენ და არა დანაშაულად. უნდა შეგეძლოს ბოროტებას აარიდო, განწმინდო მონანიებით, აიძულო თვითონ თქვან უარი დანაშაულებრივ რეწვაზე და ნამდვილ ბედნიერებად სხვა რამ მიიჩნიონ. რა დიდებული იქნებოდა ეს! მაგრამ რა უნდა მიიჩნიონ ბედნიერებად? ჩვენი რეკლამირებული ფასეულობები? მაგრამ ისინი ხომ საკმაოდ გაუფასურებული და გავულგარებულია. ღმერთი, რომელიც მათთვის პატარაობიდანვე ზღაპარი, ბაბუკა-ბებუკას სასაცილო რაღაცაა და მეტი არაფერი? საბოლოო ანგარიშით რას გააწყობს სიტყვა, როცა არსებობს შესაძლებლობა ხელად დაეპატრონონ დიდძალ თანხას? ახლა ყველას გაზეპირებული აქვს მოარული აფორიზმი — მადლობას საქმეს ვერ ჩააკერებ, სამაგიეროდ ფული ფულია! მადევრების მიერ ნაშოვნი ეს ფული კი ალბათ არა მარტო ჩვენი, ადვილი შესაძლებელიცაა, სხვებისაც იყოს — აი, რამდენი მადევარი მოდის სანავსადგურო ქალაქებიდან — მურმანსკიდან, ოდესიდან, ბალტიისპირეთიდან, ამბობენ, შორეული აღმოსავლეთიდანაც არიანო. სად მიდის ანაშა და პლასტილინისა და ექსტრას ნაწარმი? მაგრამ განა საქმე ისაა, სად მიდის? რატომ ხდება ეს, რატომაა შესაძლებელი ასეთი რამ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს საზოგადოებაში.

რომელმაც მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა, ჩვენს სოციალურ სისტემას ბიწიერება ვერ გაეკარებაო. ო, ნეტავ მოვახერხებდნენ ისეთ წერილ-დავწერდნენ, მრავალთ უმრავლესი ადამიანი გამოეხმაუროს, როგორც ლეიპსაქმეს, როგორც საკუთარ სახლში გაჩენილ ხანძარს, როგორც საკუთარი შვილების უბედურებას, როცა სიტყვას ბევრი არცთუ მძიმე და მძიმე ადამიანი დაუჭერს მხარს, იგი მხოლოდ მაშინ შეძლებს მოერივნა და დაამარცხოს ბიწიერება! ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ასე მოხდეს, რომ სიტყვა ამოდ არ ითქვას, თუ მართლა „პირველითგან იყო სიტყვა“, მან ისევ გამოავლინოს პირვანდელი ძალა... ნეტავ ასე ვიცხოვროთ, ნეტავ ასე ვიფიქროთ...

მაგრამ, ღმერთო, ისევ შენ მოგმართავ: რა არის სიტყვა ტაციინა ფულთან შედარებით? რა არის ქადაგება საიდუმლო ბიწიერებასთან შედარებით? როგორ უნდა დასძლიო სიტყვით ბოროტება? მომეცი ძალა, ნუ მიმატოვებ ჩემს გზაზე, მე მარტო ვარ, ჭერჯერობით მარტო, ისინი კი, ადვილი გამორჩენის წყურვილით შეშლილნი, ურიცხვნი...

მატარებელმა მოსკოვ-ალმაათამ უკან მოიბრუნა სარატოვის მიწები. უკვე მეორე დღე-ღამეა ყაზახეთის მხარეებში მიიწევდა აბდია კალისტრატოვი პირველად იყო კონტინენტის თურანის მხარეში და აოცებდა მხარის სიდიდეს და მასშტაბებს, რუსეთის მიერ ოდესღაც მოპოვებული გეოგრაფიული სივრცეები, თვალწინ იშლებოდა მართლაც უნაპირო შორეთი: თუ ციმბირთან ერთად ვიგულისხმებთ, გონებაში წარმოიდგინა აბდიამ, ეს ხომ ხმელეთის თითქმის ნახევარია... მერედა, რა იშვიათად ჩანს დასახლებული ადგილები... ქალაქები, სოფლები და აულები, სადგურები, რკინიგზის ასაქცევეები, სახელდახელო ბაქები და სახლები რკინიგზას ეკვროდნენ, როგორც ფუნჯით კანტიკუნტი წანასმები ტრამალის თვალუწვდენელ ტილოზე, რომელიც მხოლოდ დაგრუნტულია, საღებავით არაა დაფარული და უღიმღამო ერთფეროვნება დაჰკრავს... ამ მხარეში კიდითკიდე გადაჭიმულიყო ტრამალები. ახლა აქ ყვავილობის ისეთი ხანა იდგა, როცა დიდი და მცირე ბალახი თავის აპოთეოზს აღწევს, მიწას სულ რამდენიმე დღით ეცვლება სახე, რათა შემდეგ ისევ გააუფერულოს უღმობელმა მზემ და კვლავ მთელი წელი ელოდოს გაზაფხულს...

ვაგონების ოდნავ გაღებულ ფანჯრებში ზღვად შემოდინოდა ტრამალის მოყვავილე ბალახის სურნელი. სურნელი განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა, როცა მატარებელი რომელიღაც უცნობ, ყოველი მხრიდან მოშიშვლებულ მცირე სადგურზე ყოვნდებოდა. ამ დროს გინდოდა დახუთული ვაგონიდან გამოჭრილიყავი და ლაღად გერბინა ბალახში ბალახი უღამაზო ჩანდა, მაგრამ აბზინდა ისეთ სუნს გამოსცემდა, რომელსაც ერთდროულად ნიადაგიას ნაყურისა და სიმშრალის ნასუნთქი დაჰყვებოდა. უცნაურია, ფიქრობდა აბდია, ნუთუ ის წყეული კანაფი-ანაშაც ასე თავისუფლად იზრდება და ასე მომაჯადოებელ სუნს აფრქვევს? თითქოს უფრო მძაფრი და ცხარე სუნი უნდა ჰქონდეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რასაც გულახდილობის წუთებში მადევრები ჰყვებიან. რაც მთავარია, მადევრების თქმით, ანაშა გრძელღეროიანია, თითქმის წელამდე სწვდება ადამიანს. განა ყველგან ხარობს. გარკვეულ ადგილებში იზრდება და, მადლობა ღმერთს, ყველგან არ შეგხვდება. მისი გულისთვის უნდა იარო, იგი უნდა ეძებო. ანაშას მოპოვება რომ უფრო იოლად შეიძლებოდა,

ადვილი წარმოსადგენია, რა ამბები დატრიალდებოდა. ჰოდა, აი, მიდიან მადევრები შორეული სანავსადგურო ქალაქებიდან, ქვეყნის ერთი განაკიდედან მეორეში, ჯადოთი შეკრულებივით მიდიან გამაბრუებელი ანაშას საძებნელად. ჯერ კიდევ შორია, ჯერ კიდევ უნდა იარონ და კაცმა არ იცის, რით დამთავრდება ყველაფერი, რა მოჰყვება ამ საქმეს.

აბდია კალისტრატოვს ხანდახან ავიწყდებოდა თავისი საჩუქრული მკვლევრობის მიზანი, წარმოსახვაში ხატავდა, ვინ და როდის სახლობდა ამ მხარეებში, იხსენებდა ამასთან დაკავშირებით წაკითხულ წიგნებს, ფილმებს, რომლებიც მოწაფეობისას ენახა, და უხაროდა, რომ ჯერ კიდევ ხვდებოდა გარდასული ცხოვრების ნიშნები და ნაკვალევი: წაბლისფერი აქლემების ჯოგები, ტრამალში მიტოვებული ქალაქებივით მიმოფანტული სასაფლაოები — მაზარები, რამდენიმე ალაჩოყისგან შემდგარი პატარა აულები, ხანდახან თვალმისაწვდენზე გამკრთალი იურტა — ეული კარავი და გულს უწურავდნენ სამყაროში მიკარგული ამ ძველი საცხოვრისის ბინადრები. დროდადრო ჩაიქროლებდნენ მხედრები — ეულად, ხან გუნდად, ზოგს ჯერ კიდევ ეხურა წაწვეტიებული ქული, როგორსაც ძველად იხურავდნენ. და ძველებურად აკაზმულ ცხენზე იჯდა. და ფიქრობდა აბდია: რანაირად ცხოვრობენ აქ ადამიანები და დარდისა და უწყლობისგან რად არ იზოცებიან ამ უზარმაზარ სივრცეზე? ღამღამობითაც რანაირად სძლებენ? რას გრძნობს აქ ადამიანი ღამეული კოსმოსის პირისპირ? ალბათ რარიგ აშინებს და ზარავს სამყაროს უსაზღვროებაში თავისი სრული სიმართლის შეგრძნება; ალბათ ამიტომაც სიხარულს ჰგვრის ჩავლილი მატარებლები და სულაც არ უშლის ნერვებს, როგორც დიდი ქალაქების მცხოვრებთ. იქნებ პირიქითაცაა: ტრამალის ღამეების დიდებულება სულში დიად ლექსებს ბადებს. პოეზია ხომ ადამიანის სულის თვითგანმტკიცებაა მსოფლიო სივრცეში...

მაგრამ ამგვარი ფიქრები მცირე ხნით ეუფლებოდა აბდიას. კვლავ აგონდებოდა, რომ ანაშას მადევრებთან ერთად მგზავრობდა, რომ საქმე ჰქონდა კანონის თვალსაზრისით დამნაშავე პირებთან და იძულებული გახდებოდა საგაზეთოდ ჩაფიქრებული სოციალურ-ზნეობრივი რეპორტაჟის გამო გარკვეულ დრომდე შერიგებოდა ამ ცხოვრებას, ანაშისტების გულში ჩაბუდებულ ბოროტებას. ასეთ წუთებში გულის კოვზთან უნებურ სიცივეს გრძნობდა, კუჭში — უსიამოვნო შეგრძნებას, ყრუოლის მომგვრელი ბუნდოვანი მღელვარება ეუფლებოდა, თითქოს თვითონ იყო ერთ-ერთი მადევარი ამ დანაშაულებრივ საქმეებში გარეული კაცი. და ხვდებოდა იმათ შინაგან მდგომარეობას, ვისაც გულზე საიდუმლო ტვირთი აწევს, ხვდებოდა, რომ რა დიდიც უნდა იყოს დედამიწა, რა სიხარულის მომგვრელიც უნდა იყოს ახალი შთაბეჭდილებანი, სულ ერთია, არაფერს ნიშნავს, არაფერს მისცემს არც გონებასა და არც გულს, თუკი ცნობიერებაში არის თუნდაც პაწაწინა მტკივნეული წერტილი, რომელიც თანდათან განსაზღვრავს ადამიანის გუნებასაც და მის დამოკიდებულებასაც გარშემო მყოფთა მიმართ. როცა აკვირდებოდა მასთან ერთად კანაფის ტრამალებში მიმავალ მადევრებს და ცდილობდა, გულახდილად აელაპარაკებინა ისინი, ფიქრობდა, ყოველ მადევარ-თანამგზავრს, მოუხედავად გარეგნული თვითდაჯერებულობისა, ალბათ ტანჯავს თავისი საქმიანობა, განუშორებელი შიში აუცილებელი მისაგებელის წინაშე, და ეცოდებოდა ყველანი. ამ ტანჯვის, შიშის გარდა ხომ სხვა რამით ვერ ახსნიდა მათ ყოყოჩობას, თავხედურ ეარგონს, ბანქოს თამაშს, არყის სმას. გაბედულებას — გამარჯვება ან სიკვ-

დიდი — ვინაიდან სხვაგვარი ცხოვრება ვერ წარმოედგინათ, ამ ადამიანთა სულის დახსნა ბიწიერებისგან, განთავისუფლება ნიადაგ თანმდევი შიშისგან, რომელიც პაერში მიმოფრქვეული შხამივით სწამლავდათ — აი, რა ეწადა აბდია კალისტრატოვს, შემწედ უხმობდა მთელ თავის ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მართალია, მდიდარს არა, მაგრამ არცფრანკულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ცდილობდა ამ დიადი ზრახვის მსაღმრთლებლის მისადგომები მოეძებნა და ხვდებოდა, რომ სემინარიიდან წამოსული, ოფიციალურ ეკლესიას განშორებული, სულიერად მაინც რჩებოდა მოქადაგედ, და თუ ადამიანებს ქრისტიანობისა და სიკეთის სიტყვას ისე მიუტანდა, როგორც თვითონ ესმოდა — ეს იქნებოდა ყველაზე დიდი რამ, რის აღსრულებასაც შეძლებდა ცხოვრების გზაზე. ამ საქმის განსახორციელებლად აუცილებელი არ იყო ეკლესიის მსახური ყოფილიყო, საჭირო გახლდათ ერთგულება იმისა, რასაც ეთაყვანებოდნენ. სინამდვილეში კი აბდიას, კეთილი სურვილებით აღვსილ ყმაწვილს, ჯერჯერობით სრულად ვერ წარმოედგინა, რას ბედავდა გონებისა და გულის კარნახით. აკი ერთია გულდაჯერებით ოცნება, ოცნებებში ბიწიერების დათრგუნვა და მეორე — სიკეთის ქმნა რეალურ ადამიანთა შორის, რომელთაც სულაც არ სწადიათ სათნოების გზაზე აყენებდეთ ვილაც აბდია, მათნაირივე მადევარ-მომპოვებელი. ვინც ცხრა მთას იქით მათსავე მიეხეტება მუქთი მანეთისთვის. რაში ეკითხება, თუ აბდია კალისტრატოვი კეთილშობილურ სურვილს შეუბუყრია, უნდა მათი ბედი სინათლისკენ სიტყვის მეშვეობით შემოაბრუნოს, ვინაიდან ურყევად სწამს, რომ ღმერთი ცოცხლობს სიტყვაში და სიტყვამ რომ ღვთაებრივი ძალით იმოქმედოს, ნაღდი და სპეტაკი ქრისტიანებიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს სჯეროდა აბდიას, როგორც მსოფლიო კანონი, მაგრამ ჯერჯერობით ერთი რამ არ იცოდა: ბოროტება სიკეთეს მაშინაც კი უპირისპირდება, როცა სიკეთეს ბოროტების გზაზე შემდგართა დახმარება სურს... ამას აბდია შემდგომ გაიგებდა...

VI

მეოთხე დღის განთიადზე გამოჩენილი თოვლიანი მთების კუზიანმა განტოტებებმა მადევრებს აუწყა, რომ მატარებელი ჩუს და მუინყუმის ტრამალებს უახლოვდებოდა. სწორედ იქით მიემგზავრებოდნენ ისინი. თოვლიანი მთები მხოლოდ საერთო ორიენტირი გახლდათ ამ სივრცეებზე და, როცა მატარებელი ტრამალებში უფრო შორს შეიჭრებოდა, მხედველობის არედან გაქრებოდნენ. მაგრამ აი, მიწის განაკიდეს გამოჩნდა მზე და ყველაფერს მშვიდი შუქი მოჰფინა, ვინ იცის, უკვე მერამდენეჯერ. ესოდენ სხვადასხვა ბედის ადამიანებით სავსე მატარებელმა მთები გვერდზე მოიტოვა, ტრამალში ვაგონების გრძელ მწკრივად გაბრწყინდა და ბურთით მოცული დაბლობისკენ გადაუხვია — იქით, საიდანაც მთები არ ჩანდა...

მადევარ-მომპოვებლები სადგურ ქალბაკ-საზში უნდა ჩამოსულიყვნენ. აქედან კი თვითონ უნდა განეგრძოთ გზა საკუთარი პასუხისმგებლობით, რისკით — თითოეულს ცალ-ცალკე უნდა ევლო, მაგრამ ერთიანი ჩანაფიქრის, ერთიანი ბრძანების შესაბამისად. და აბდია კალისტრატოვს ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, ვინ იყო იგი, მთავარი ამ საქმეში, რომელიც მათ ფხიზლად ადევნებდა თვალს, რომელზეც ზერექვერედ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

სადგურ ქალპაკ-საზამდე სამი საათის სავალი რჩებოდა. მადევრები ჩასასვლელად მზადებას შეუდგნენ. პეტრუხამ დილიდანვე მგზავრების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან წუხანდელი სმის შემდეგ დიდხანს იბანდა ხელპირს საპირფარეშოში. იგი თვით მთავარს უნდა ხლებოდა საბოლოო მითითებების მისაღებად. გუშინ საღამოს ძმაკაცებთან ერთად შამპანურით დღეწყურე-მგზავრამ შამპანური მათთვის ბავშვური გართობა იყო, ლიმონათივით სტამბდენი-დამამდეგ არაყი შეუნაცვლეს. კინწი მოსწყდათ კიდევაც. მცირეწლოვანი ლიონკა მოიდვენთა და აბდიამ ძლივს დააყენა ფეხზე. როცა შეახსენეს, მალე ქალპაკ-საზი იქნებაო, მხოლოდ ამან აიძულა, თავისთვის ძალა დაეტანებინა და საწოლზე დამჯდარიყო. დაჯდა და გაბურძგვნილი თავი სუსტ გაჩხინკულ ჭუჭყიან კისერზე ჩამოეკიდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ღლაპი დანაშაულებრივი გზით საკმაო ფულს შოულობდა და რომ მისი ცხოვრება უკვე დაღუპული იყო.

მატარებელი თანაბრად და სწრაფად მიდიოდა ტრამალების სწორ სივრცეებზე. აქ, სადღაც, რომელიღაც ვაგონში, იმყოფებოდა თვით მთავარი, მასთან გაუჩქარა გამოლენჩებულმა პეტრუხამ, რომელმაც, საბოლოოდ რომ გამოფხიზლებულიყო, ერთი ჭიქა სქელი და კუპრივით შავი ჩაი სულმოუთქმელად დალია. ეტყობა, თვით მთავარი სასმელს მაინცდამაინც არ ეტანებოდა. აბდია კალისტრატოვმა მთელ გზაზე ვერა და ვერ მოახერხა შორიდან მაინც დაენახა, თუმცა ყველანი ერთი მატარებლით მგზავრობდნენ. ვინ იყო, როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად? აბა, ასობით მგზავრში რას გამოიცნობდი. მაგრამ, ვინც უნდა ყოფილიყო, ფხიზლობდა კი უღრანში განაბული ლელქაშის ნადირივით, მთელ გზაზე თავი არაფრით გამოუმეღავნებია. პეტრუხა მალე დაბრუნდა ნაცემი ძალღივით, პირქუში, გაბოროტებული, ძალიან დასერიოზებული. რასაკვირველია, მთავარმა ზუსტად ჩამოსვლის წინა ღამეს გამართული ღრეობისათვის დედ-მამის სული ამოუტრიალა. არც გაემტყუნებოდა — ქალპაკ-საზში ჩასვლისთანავე ანაშას მომპოვებლები საქმეს უნდა შესდგომოდნენ, რეგენი პეტრუხა კი ისე გამოტყვრა, მთელი კვირა თავის ტკივილი გააწამებდა. პეტრუხამ უკმაყოფილოდ შეხედა აბდიას, თითქოს კალისტრატოვმა რაღაც დაუშავა, და წაიბურტყუნა:

— წავიდეთ, უნდა გელაპარაკო.

გავიდნენ ტამბურში, გააბოლეს. ვაგონის თვლებს რაკუნ-გრიალი გაჰქონდა.

— აი, რა, აბდია, მაშასადამე, დაიხსომე, — დაიწყო პეტრუხამ.

— პო, გისმენ, — შეიჭმუხნა აბდია.

— შენ კი ცხვირს ძალიან ნუ იბზეკ, — გაავდა პეტრუხა. — ნეტა ვინ მიგდიხარ თუ იცი?

— რას ამბობ, პიოტრ, — სცადა აბდიამ მისი დაშოშმინება. — ტყუილუბრალოდ რად უნდა გაბრაზდე? რა ვქნა, არ ვსვამ, შენ კი სვამ, ლანძღვა რა შუაშია? ისა სჯობს მითხრა, ამის შემდეგ რა ვაკეთოთ.

— რასაც მთავარი იტყვის.

— სწორედ ამას გეკითხები. რა თქვა მთავარმა?

— შენი საქმე არაა, — გააწყვეტინა პეტრუხამ. — შენ ახალი ხარ. ამიტომ ჩემთან და ლიონკასთან ერთად წამოხვალ. ერთი სიტყვით, სამნი ვიქნებით. სხვა ბიჭები თავ-თავიანთთვის მიდიან, ზოგი ცალკე, ზოგი ძმაკაცთან ერთად.

— გასაგებია. ოღონდ სად უნდა წავიდეთ?

— ეგ შენ არ გეკითხება. მე წამომყვები. შევალთ ქალპაკ-საზში და თვი-

თონ გავუდგებით გზას. მეურნეობა „მუინყუმამდე“ იქით მიმავალი მანქანებით ჩავალწევთ. შემდეგ უკაცური ადგილები იწყება და უკვე ფეხით ვივლით.

— ოჰო?

— აბა, რა გეგონა, „ყიფულით“ ჩამიყვანენო? არა, ბიძისა, აქ, თუ ვინმე შეამჩნიეს, შეიძლება ხელიც ჩააღონ, მაგრამ ვინც მანქანის მართვით ჩავა, იმისი საქმე მთლად წასულია.

— კარგი ერთი! თვითონ ის კი, თვითონ მთავარი სად იქნება, ვისთან ერთად მოდის?

— შენი რა საქმეა? — აღშფოთდა პეტრუხა. — რას კითხულობ წამდაუწუმ მის ამბავს? მოდის, არ მოდის. იქნებ სულაც არ მოდის: რაო, ანგარიშები უნდა ჩაგაბაროს, თუ როგორაა საქმე?

— როგორ და ფერისნაირად. რაკი ჩვენი უფროსია ყოველი შემთხვევისათვის უნდა ვიცოდეთ, სად იქნება.

— აი, სწორედ ეს არ უნდა იცოდეს! — ქედმაღლურად განუცხადა პეტრუხამ აბდიას. — ჩვენი საქმე არაა, სად იქნება და როგორ იქნება. თუ დასჭირდი, მიწაში გაპოვის. — პეტრუხამ მრავალმნიშვნელოვნად იყუჩა, თითქოს ამოწმებდა, რა შთაბეჭდილება მოვახდინებო. შემდეგ აბდიას ჭიჭურ მიაშტერა ამღვრეული, ჯერ კიდევ სასმელგამოუნელებელი თვალები. — შენ კი, აბდიავ, მთავარმა შემოგითვალა: თუ ისე იმუშავე, როგორც საჭიროა, ჩვენი მუდმივი მადეგარი იქნები, ხოლო თუ ბოზი ხარ, გირჩევნია, მოუსვა აქედანო. აი, ჩავალთ სადგურში და ჩუმად წადი, საითაც გენებოს, ხელს არ გახლებთ, მაგრამ საქმეში რომ გახვალ, მორჩა, თავს ვეღარ დაგვალწევ. იბოზებ და დედა გეტირებო, გაიგე?

— რა თქმა უნდა. გავიგე, რაა აქ გაუგებარი. პატარა ხომ არა ვარ, — მიუგო აბდიამ.

— მაშ, დაიმახსოვრე: მე მისი ნათქვამი გითხარი, შენ მოისმინე, მერე არ დამიწყო, არ ვიცოდი და ვერ გავიგეო, ბოდიში და მაპატიეო.

— გეყოფა, პიოტრ, — გააწყვეტინა აბდიამ. — უაზროდ ნუ იმეორებ ერთსა და იმავეს. თავში არც მე მიყრია ბზე. ვიცი, რა საქმეზე მივდივარ, ისიც ვიცი, რა მინდა. შენ კი გიჯობს, ჩემი რჩევა ყურად იღო. დღეიდან მოკეტე და ლიონკას არ დააღევიანო. ბრძყვია. შენც რისთვის სვამ? აი, გავსწევთ იმ მხარეებში და გამოთავყვანებულებმა, თანაც ამ სიცხეში, რა უნდა ვიშოვოთ?

— გეთანხმები, — მოუჭრა პეტრუხამ და შვებით გაიღიმა, სველი ტუჩები დამანჭა. — რაც მართალია, მართალია. დამიჯერე, აბდია, წვეთს არ გავიკარებ და არც ლიონკას მივცემ ნებას. მორჩა, გათავდა!

ერთხანს ხმა არ გაუღიათ იმით კმაყოფილებს, რომ საუბარი ურთიერთ სასარგებლოდ დამთავრდა. მატარებელმა რწევა-რწევით გაუჩქარა საკვანძო სადგურ ქალპაკ-საზისკენ, სადაც საწვეები და შემანქანებები შეიცვლებოდნენ. ჩამომსვლელი მგზავრები უკვე ბარგს ალაგებდნენ, ლიონკამაც შემფოთებით შემოიხედა ტამბურში, თავისტივილისგან სახე შექმუხვნიდა.


— რას შვრებით აქ? — დაინტერესდა იგი. — არ მოვეშხადოთ? ერთ საათში ჩავალთ.

— არხეინად იყავი, — მიუგო პეტრუხამ. — რა გვაქვს მოსამზადებელი. მე შენ გეტყვი, გოგოები გველოდებიან. ზურგჩანთას მოვიკიდებთ და პაიდა.

— ლიონია, — დაუძახა ბიჭს აბდიამ. — მოდი აქ. თავი გტკივა? — ლიონკამ დამნაშავესავით გააქნია თავი. — აი, მე და პიოტრმა გადავწყვიტეთ, რომ

დღის ამას იქით წვეთს არ გაიკარებ. თანახმა ხარ? — ლიონკამ მღუმარედ დაუქნია თავი. — აბა, წადი, ჩვენ ახლავე მოვალთ. მოვასწრებთ, ნუ წახვარ.

პეტრუხამ საათს დახედა და თქვა:

— დრო ყელამდე გვაქვს. საათზე მეტი, — როცა ლიონკა წავიდა, აბდიას უთხრა: — მართალი თქვი ლიონკაზე. ეს ჩათლახი თვითონ იჭაჩებდა მისსაღებლად, დალევს და ფეხზე ველარ დგება, მაგრამ ახლა მორჩა. საქმე მჭიმუნა.  ეს საქმე, გზაზე ცოტა წავიგლახავეთ. თან არ გეგონოს, ფული ლიონკას დავახარჯვინე. შეიძლება თვითონ რაღაც იმასქნას... მე კი ჩემი ფულით ვსვამ.

— განა ესაა მოაგარი. — გულმტკივნეულად შეეპასუხა აბდია. — საცოდავია ეგ ბიჭი.

— მართალს ამბობ, — მიხვედრილი კაცივით ამოიოხრა პეტრუხამ. ეტყობა, გულწრფელმა საუბარმა რომელიღაც აზრი მოაგონა, რომელიც კარგა ხანია არ ასვენებდა. — მისმინე, აბდია, აქამდე, ესე იგი, ჩვენამდე, რას აკეთებდი ან სად მუშაობდი? სპეკულანტი ხომ არა ხარ? თავს ნუ მოიკატუნებ. ამიერიდან ან ერთ მაგიდასთან უნდა ვიქვიფოთ რესტორანში ანდა კამერიდან განავლიანი ვედრო ვატრიოთ. ჩამოყაჭე ყველაფერი.

აბდიას არაფერი დაუმაღავს:

— არავითარი სპეკულანტი მე არა ვარ, არც არავითარი თავის მოკატუნება მჭირდება. აქამდე სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი.

პეტრუხა ასეთ რამეს ალბათ სულაც არ ელოდა.

— მოიცა, მოიცა! სემინარიაშიო, მაშ, მღვდლობას სწავლობდი?

— ჰო, ასე გამოდის...

— ოჰო! — თვალები გადმოკარკლა პეტრუხამ, ტუჩები მოპრუწა და გივივით დაუსტვინა. — მერედა, რისთვის წამოხვედი იქიდან, თუ გამოგაგდეს?

— წამოვედი კიდევაც და გამომაგდეს კიდევაც. ერთი სიტყვით, წამოვედი.

— მაინც რა მოხდა? ღმერთი ვერ გაიყავით, თუ რა? — ეშმაკურად განავრძო პეტრუხამ. — მოდი და ნუ გაგეცინება!

— ეტყობა, ვერ გავიყავით.

— ერთი მითხარი, რაკი ყველაფერი იცი... ღმერთი არის თუ არა?

— ამისი თქმა ძნელია. ზოგისთვის არის, ზოგისთვის არა. ყველაფერი თვით ადამიანზეა დამოკიდებული. რამდენ ხანსაც იცოცხლებს ხალხი ამქვეყნად, იმდენ ხანს იფიქრებს, ღმერთი არის თუ არაო.

— კი მაგრამ, სადაა იგი. აბდია, თუ ვთქვათ, არის?

— ჩვენს ფიქრებში და ჩვენს სიტყვებშია...

პეტრუხა გაყუჩდა. ნათქვამს უკვირდებოდა. უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ არაკუნდა ვაგონების თვლები — მათი ხმაური ვიღაც გამვლელი მგზავრების მიერ ტამბურის ღიად დატოვებული კარიდან შემოდიოდა. პეტრუხამ კარი დახურა. თვლების ჩამცხრალ რაკარუკს მიაყურა და ბოლოს თქვა:

— გამოდის, რომ მე ღმერთი არა მყავს. შენ კი გყავს თუ არა, აბდია?

— არ ვიცი, პიოტრ. მინდა ვიფიქრო, რომ მყავს, მინდა მყავდეს...

— მაშასადამე, გჭირდება?

— ჰო, ჩემთვის აუცილებელია...

— მოდი და ელაპარაკე ამას, — დაიღრინა პეტრუხამ, ეტყობა, რაღაც ეწყინა. — მაშ რა ჩემ ფეხებად მოგვეყვები ჩვენ, თუკი ღმერთი გჭირდება?

აბდიამ გადაწყვიტა, ჭერჭერობით საუბრის გადრმავეების დრო არ დამდგარა და აქ არც საამისო ადგილიაო.

— ფულიც ხომ საჭიროა, — უთხრა შემრიგებლურად.

— ე, როგორ აჭიკჭიკდი. ან ღმერთი ან ქარის მოტანილი ფული, თვითონ მაინც ფულს გამოედევნე, არა!

— ჰო, ჭერ ასეა, — იძულებული გახდა აბდია, ელიარებიანა.

ამ საუბარმა აბდიას ფიქრის საბაბი მისცა. ჭერ ერთი, ნათლად გამოარქვია, რომ ის, ვინც ანაშას მადევრების მგზავრობას მთელი გზა უხილავად უწევდა კონტროლს, უაღრესად უნდო, ანგარიშიანი, ალბათ სასტიკიც იყო და, თუ დაეჭვდებოდა, ოპერაციის რომელიმე რგოლში არასასიკეთო რამ ხდებოდა, ყველაფერს გააკეთებდა, რათა შური ეძია ან თავისი თავი და თანამდგომნი საფრთხეში არ ჩაეგდო. ეს მოსალოდნელი იყო. ამიტომაც არსებობდა ნარკოტიკებით ვაჭრობა. მეორე, რაც პეტრუხასთან და სხვებთან ლაპარაკიდან დაასკვნა აბდიამ, ის იყო, რომ აზრი ჰქონდა მადევრებზე სიტყვით ზემოქმედებას, რომ მოქადაგეს ნდობით აღსავსე საუბრები უნდა გაემართა, სიტყვით უნდა ჩაეგონებინა სიკეთე და არაფრად ჩაეგდო მოსალოდნელი საფრთხე (აქი თავგანწირულ მისიონერებსაც ოდესღაც აფრიკის ველურ ტომებთან მიჰქონდათ ქრისტიან სიტყვა და ამით საფრთხეში იგდებდნენ სიცოცხლეს), ვინაიდან სიცოცხლის ფასად სულთა ხსნა შეიძლება საბოლოო შედეგი, ბედი, აზრი ყოფილიყო მისი ცხოვრებისეული გზისა და ასე ცხოვნდებოდა თვითონ.

სადგურ ჟალპაკ-საზში დაახლოებით თერთმეტ საათზე ჩავიდნენ. ჟალპაკ-საზი საკვანძო გადასაჯდომი სადგური იყო, საიდანაც ორი ტოტი განთიადისას აღანდული შორეული თოვლიანი მთებისკენ გადიოდა. ამიტომ აქ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი უამრავი მგზავრი იყრიდა თავს, რაც მადევრებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა: სადგურის ფაციფუცში შეიძლება მათი არსებობა ვერავის შეემჩნია, ყველაფერი ისე მოგვარდა, უკეთესი არ იქნებოდა. აბდიას გაუკვირდა, რა მოურიდებლად და საქმიანად შეაღწიეს მადევრებმა ვაგზლის სასადილოში სადილობის დროს. აბდიას ჩათვლით აქ სულ თორმეტი კაცი აღმოჩნდა (ასე მოეჩვენა აბდიას), ვისაც გზა უნდა განეგრძო ტრამალში ანაშას მოსაპოვებლად. მადევრები განცალკევებით უსხდნენ მაგიდებს — თითო-თითოდ, ორ-ორნი, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთი დაენახათ, თუმცა აშკარა ურთიერთობას თავს არიდებდნენ, არც გარეგნულად გამოირჩეოდნენ მგზავრთა შორის — ლიონკასთანა პატარები და პეტრუხასთანა მოზარდები აქ ქვეყნის ირეოდნენ. ყველა საიდანღაც მოდიოდა თუ სადღაც მიდიოდა ზაფხულის შუა სეზონში — ეს იყო ნიშანდობლივი ნარევი აზიური და ევროპული სახეებისა... მართალია, სასადილოში წამდაუწუმ შემოდოდნენ მილიციის მუშაკები, რათა თვალ-ყური ედევნებინათ წესრიგისათვის, სადგურშიც ყოველ ნაბიჯზე ტრიალებდა მილიციელი, მაგრამ მადევრები ამას აინუნში არ აგდებდნენ. მათ სწრაფად ისადილეს და ადგილი დაუთმეს სხვებს, რომელნიც თავის რიგს ელოდნენ, რომ საჭმელი ეჭამათ. შემდეგ რაღაც უხილავ ნიშანზე შეუმჩნევლად მიდგნენ-მოდგნენ თავ-თავიანთი ბარგითურთ — ზურგჩანთით თუ პატარა პორტფელითურთ, რომლებშიც პური, კონსერვები და სხვა საჭირო რამ ეწყობო. ასე წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ადგილებზე, გაუჩინარდნენ მუინყუმისპირა ტრამალების უნაპირო სივრცეებში.

პეტრუხა, აბდია და ლიონკა ერთად წავიდნენ, როგორც ჰქონდა ჩაფიქრებული და დადგენილი მთავარს, რომლის დანახვა აბდიამ ვერა და ვერ მოახერხა,



მაგრამ ეჭვი არ იყო, უხილავად ხელმძღვანელობდა მთელ ოპერაციას. პეტრუხა, ლიონკა და აბდია ყველაზე შორეულ მხარეს, თითქმის მუიწყუმისკენ მიდიოდნენ, ჩამოვლილ საბარგო მანქანას მიჰყვებოდნენ საბჭოთა შეტრუნობა „უჩქუდუქის“ განყოფილებამდე. მგზავრობის ქირა ოცდახუთი მანეთი პეტრუხამ მთავარის მიერ მიცემული ფულიდან გადაიხადა. მათ ყოველმხრივ სათვის მოიგონეს, თითქოს კერძოდ მომუშავე ხელოსნები ბყინების მძღვანელად — ამ მხარეებში ყველაზე საჭირო კაცად — უნდა გაესაღებინა თავი. სიტყვამ მოიტანა და მისი ხურობა ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა: მამამ ბავშობიდანვე შეასწავლა ეგ საქმე და მართლაც გვარიანი ხურო დადგა. პეტრუხამ აბდიას ზურგჩანთაში, ესეც ყოველი შემთხვევისათვის უბრალო ხელსაწყობი — რანდა, ნაჯახი, სატეხი — ჩაუწყო, რომლებიც წინდახედულად წამოეღო შინიდან. თვითონ პეტრუხა და ლიონკა კი თითქოს მებათქაშეები და მღებავები, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ, ახლა არდადეგები ჰქონდათ და საშოვარზე წამოვიდნენ შორეულ „უჩქუდუქში“, მუიწყუმისპირეთის ტრამალში უნდოდათ სახლების მშენებლობაზე ფული ეშოვათ. ამგვარი ვერსია სავსებით ჰგავდა სიმართლეს.

პაპანაქება იდგა, მაგრამ გადახდილ სატვირთო მანქანის ძარაზე არა უშავდა რა — არც ისე აცხუნებდა და ტრამალის გრილი ნიავიც უბერავდა. გზა კი, როგორც ყველა თემშარა, არაფრად ვარგოდა, მთლად გაფუჭებული იყო. როცა შოფერი მანქანას ოღროჩოღროებთან დაამუხრუჭებდა, თვლებქვემოდან მტვრის ისეთი ბული იჭრებოდა, ხელებს თუ დაინიავებდი და ღროღაღრო ამოახველებდი, თორემ სხვას ვერაფერს გააწყობდი. ერთადერთი რამ, რის გამოც შეიძლებოდა ამ მძიმე გზას შერიგებოდი, ირგვლივ გაშლილი სივრცეები იყო. უნებურად გულში გაივლებდი: ფრთები რომ მომცა, დედამიწას გადავუფრენდიო... ახლა თითქოსდა თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ დედამიწა პლანეტაა, — ფიქრობდა კაბინასთან მდგომი აბდია. — მერედა რარიგ ევიწროვება პლანეტა ადამიანს, რარიგ ეშინია, ვერ დავეტევი ზედ. საზრდოს ვერ ვიშოვი, ვერ შევეგუები ჩემივე მსგავსთო. მიზეზი ის ხომ არ არის, რომ წინასწარი შეგონების, შიშის, სიძულვილის შედეგად პლანეტა სტადიონის ზომამდე დაჰყავს, სადაც ყველა მაყურებელი მძევალია, ვინაიდან ორივე გუნდმა მოგების გულისთვის თან მოიტანა ბირთვული ბომბები, ხოლო გულშემატკივრები ყოველივეს მიუხედავად ღრიალებენ: გოლი, გოლი, გოლი! აი, სწორედ ესაა პლანეტა. მაგრამ თითოეული ადამიანის წინაშე ხომ კიდევ მარადიული ამოცანა დგას — ადამიანად დარჩეს დღეს, ხვალ, ყოველთვის. ამით იქმნება ისტორია. საით მივდივართ ახლა, რა უაღრესად მნიშვნელოვანი საჭიროებისათვის ეძებენ ადამიანები საწამლავს თავისთვის და სხვებისთვის, რა უბიძგებს მათ ამ საქმისკენ და რას პოულობენ საკუთარი თავის უარყოფის საშინელ გარემოში!

უჩქუდუქში, ამ მართლაც გადაკარგულ და ღვთისგან დავიწყებულ ყაზახურ სოფელში, მადევრებმა უმაღლ იშოვეს საქმე — მორიგდნენ, ერთი მეცხვარის დაუმთავრებელ სახლში რამდენიმე დღე კედლები ელესათ, აგრეთვე სადურგლო სამუშაოები შეესრულებინათ. თვითონ მეცხვარეს საძოვარზე ფარა ჰყავდა წაყვანილი, ოჯახიც თან ახლდა, სახლი კი მეზობლად მცხოვრები ერთი

ნათესავეისათვის ჩაებარებინა: იქნებ შარშანდელივით გამოჩნდნენ კერძოდ მომუშავენი და დამიმთავრონო. მართლაც, დაბარებულებით მოვიდნენ პეტრუხა, აბდია და ლიონკა — ეს სამი ყოჩალი მადეგარი.

სამივე ამ სახლში ცხოვრობდა, რაკი გადახურული იყო და სიცხეებიც იდგა. კერია ეზოში გამართეს და რალაცებს ხარშავდნენ, კვდიანდნენ ითქვას, თავდაუზოგავად მუშაობდნენ. თვითონ პეტრუხა უთენია დგებოდა, მაშინვე აღვიძებდა თავისი არტელის წევრებს — აბდიას და ლიონკას, შემდეგ ყველანი საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, დაბნელებამდე წელს იწყებდნენ, ვახშობდნენ ცეცხლის შუქზე და პეტრუხა მხოლოდ ამ დროს აძლევდა თავს უფლებას ცოტათი სული მოეთქვა და ფიქრებს მისცემოდა.

— აი, შენ, აბდია, გიყურებ და ძალიან კმაყოფილიც ვარ — მუშაობ, როგორც წესი და რიგია. პატრონი, რა თქმა უნდა, ფულს მოგვცემს, მაგრამ ასეთი ფული, თუ გინდა იცოდე, ჩვენ ფხვებზე გვკიდია! ეს რა ფულია! აქ ისე, სხვის თვალის ასახვევად ვმუშაობთ. აი, როცა აქედან დავიძვრებით და კარგ ადგილზე ამოვყოფთ თავს, რათა ორივე ხელით დავგლიჯოთ ის ყვავილი, სხვა ამბავი იქნება. ერთი დღე იხეტიალე ტრამალში, სამაგიეროდ მთელი წელიწადი მინისტრით იცხოვრე. ლიონკა, შენ ხომ იცი! ვგრე არაა?

— ცოტა ვიცი, — მიუგო ლიონკამ, რომელიც სულ უფრო ნაკლებად იღებდა ხმას.

— ოღონდ იცოდეთ, ბიჭებო, — მკაცრად აფრთხილებდა მათ პეტრუხა. — სიტყვა არავისთან დაგცდეთ, არც აქაურ მეზობელთან, არც სხვა ვინმესთან. კეთილი ხალხია, მაგრამ მაინც მოკვდით და სიტყვა არ დაგცდეთ, განსაკუთრებით თუ ვინმე გამოტყვრა და გამოკითხვა დაიწყო. შენ, აბდია, თქვი, არაფერი ვიცი და არც მეკითხება, აგერ ის, მაშასადამე, მე, ჩვენი ბრიგადირია და იმას ელაპარაკე-თქო, მე კი პატარა კაცი ვარ, არაფერი გამეგება-თქო. გასაგებია?

აბა, რა უნდა გეპასუხა ამაზე — გასაგებია და მაშასადამე, იყოს გასაგები... ეგ არაფერი, აბდიას უფრო ის აწუხებდა, რომ ხმას ვერ ამოიღებდა, ვერ შეეცდებოდა, როგორმე გავლენა მოეხდინა ბიჭებზე, რომლებიც მოლიბულ გზას დასდგომოდნენ და სწყუროდათ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ის დანაშაულებრივი ფული მოეხვეჭათ. არადა სული სთხოვდა, სწორედ ხმა ამოეღო. სამწუხაროდ ამის უფლებას თავს ვერ მისცემდა. ვთქვათ და მოეხერხებინა აზრისა და სიტყვის ძალით შეერყია მადევრების რწმენა, აეძულებინა თავიანთ ზნედაცემულობაზე დაფიქრებულიყვნენ. ვთქვათ, ამ ორს შეესმინა გონების ხმა და გადაეწყვიტათ ხელი აეღოთ ასეთ ცხოვრებაზე, ვთქვათ, მაგრამ ვერ გაბედებდნენ და ვერ შეძლებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რალაც მკაცრი ურთიერთთავდებობით უმტკიცესად იყვნენ გადაჯაჭვულნი სხვებთან, რომელთაც დაუწერელი უფლება ჰქონდათ, ისინი ლალატისათვის დაესაჯათ. მერედა, როგორ მოესპო ეს ბიწიერი ჯადოწრე? აბდიას მხოლოდ ერთი რამ ანუგეშებდა: როცა საკუთარი გამოცდილებით გაიგებდა, როგორ მოქმედებდნენ მადეგარი ანაშისტები, ყოველივეს დიდ საგაზეთო წერილში აღწერდა, ხალხს თვალებს აუხელდა და ამით შეძლებდა კეთილშობილურ საქმეს გამოსდგომოდა, ეს იქნებოდა, როგორც თავად იმედოვნებდა, ახალგაზრდობის ფეხწაცდენილი ნაწილის სულის გადასარჩენად გამართული ზნეობრივი ბრძოლის დასაწყისი. მხოლოდ ამის შეგნება ეხმარებოდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ თვი-

თონაც უნებურად გაერია მადევრების საქმეებში და პეტრუხას ჯგუფის წევრი გახდა.

უჩუქდუქში უოფნის მესამე დღეს ერთი პატარა ამბავი მოხდა, რომელიც საკმაოდ აბღიას დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, პეტრუხა კი ძალიან შეშფოთდა. თვითონ პეტრუხა იმ დროს ცოტა ხნით იყო წასული, მოხუც მეზობელს მანამ ინვალიდს მოტოციკლში ჩაუჯდა და საბჭოთა მეურნეობის დასახელებით დასახელებული ყვა. იქ კონსერვები, სიგარეტი და შაქარი უნდა ეყიდა მარაგად, რადგან მეორე დღეს უთენია აპირებდნენ ტრამალში გასვლას, თითქოსდა სხვა ადგილას მიდიოდნენ საქმის ასაღებად.

ლიონკა სახლის შიგნიდან შელესვას ამთავრებდა, აბღიას ჩრდილში მოეკალათებინა და ფარდულის კარს კრავდა. უცებ ქუჩიდან მოტოციკლის თრახთრახი მოისმა. აბღიამ მიმოიხედა, თვალეზზე ხელი მოიჩრდილა. სახლის გვერდით დიდი მოტოციკლი გუგუნით გაჩერდა და მძლოლი მსუბუქად გადმოხტა ძირს. აბღიას გასაკვირად მოტოციკლისტი სრულიად ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. ნეტა როგორ მართავს ამ მძიმე მანქანას, თანაც ასეთ გზებზე? — გაიფიქრო გულში აბღიამ. ქალმა თასმანამოკიდებული მრგვალი მუზარადი მოიხადა, ქარსაცავი სათვალე მოიხსნა. თავი გააქნია და მხრებზე სქელი ქერა თმა გადმოიშალა.

— ოფლად გავიღვარე! — გაიღიმა ქალმა და თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა. — მერედა, რანაირად გავიმტვერე, ღმერთო ჩემო! — მხიარულად წამოიძახა. თან მტვერს იფერთხავდა. — გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ, — დარცხვენით მიუგო აბღიამ. მას პეტრუხას სულელური დარიგება გაახსენდა და გაიფიქრა: „ვინ არის? რატომ ჩამოვიდა?“

— მასპინძელი შინაა? — იკითხა ისევ ისევ ალერსიანად მოლიმარმა მოტოციკლისტმა.

— რომელი მასპინძელი? — ვერ მიხვდა აბღია. — სახლის პატრონი?

— რაღა თქმა უნდა.

— ახლა აქ არ არის, სადღაც საძოვარზეა.

— თქვენ რა არ გინახავთ?

— არა, არ მინახავს. არა, ვნახე, თვალი მოვკარი, ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა, მაგრამ მე არ დავლაპარაკებოვარ.

— უცნაურია, როგორ არ დავლაპარაკებოვართ, თქვენ ხომ, მგონი, აქ მუშაობთ, სახლს უშენებთ, არა?

— უკაცრავად, მაგრამ მართლა ვერ მოვასწარი დავლაპარაკება. მგონი, ჩქარობდა. მას ჩემი უფროსი ელაპარაკა. პიოტრი ჰქვია. ახლა აქ არაა, მალე უნდა მოვიდეს.

— ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, უკაცრავად, რომ მოგაცდინეთ. ორმანის ნახვა მინდოდა, მეცხვარეა და იცის, რაც მაინტერესებს. ამიტომაც შემოვეუარე, ვიფიქრე, შინ მივეუსწრებ-მეთქი. კარგი, ბოდიში, მგონი, ხელი შეგიშალეთ.

— არა, რას ბრძანებთ.

ქალმა ისევ დაიხურა თასმანამოკიდებული მუზარადი, ძრავა აამუშავა, წასვლისას თვალსაფარიდან გამოხედა აბღიას და თავი ოდნავ დაუქნია. აბღიამაც პასუხად თავისდაუნებურად დაუქნია ხელი. შემდეგ მისი ფიქრები დიდხანს უტრიალებდა ამ თითქოსდა უმნიშვნელო, შემთხვევით ეპიზოდს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სულში ეჭვმა გაჰკრა: ეს მოულოდნელი სტუმრობა ანაშაზე წა-

სვლის წინააღმდეგ ცუდს რომ არაფერს მოასწავებს, ქალმა რაიმე რომ არ იყნოსათ. არა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. როცა ქალმა მოტოციკლი გააქროლა და უკან მტვრის კორიანტელი დატოვა, აბდიამ იგი თვალნათლივ, ზედმიწევნით ზუსტად წარმოისახა გონებაში. თითქოს გულში ჩაიდო, მთელი სიცოცხლის მანიილზე დაემახსოვრებინა. და ახლა გაკვირვებით ყურადღებით აღნიშნა, რომ კარგი მოყვანილობისა იყო. ტანმომცრო, სწორი, მაღალი, მაგრამ ყველაფერი ქალური და თანაზომიერი ჰქონდა. როგორც სურდა თვით აბდიას. „არა, არ ვხუმრობ. — ისე ამბობდა. თითქოს ვინმეს ეკამათებოდა. — ქალი სწორედ ასეთი უნდა იყოს! სწორედ ასეთი უნდა იყოს ქალი“. აბდიას დაამახსოვრდა ქალის მაღლმოდენილი სახის უჩვეულოდ ნაზი ნაკვთები. მუქი თაფლისფერი, ლამის შავი, მოსხივცისკარე თვალები. მას მხრებზე თავისუფლად ჩამოშლილი, სახეზე შემოვლებული თმა მთლად ქერა ჰქონდა და მუქი თვალებისა და ქერა თმის ეს შეხამება განსაკუთრებულ სიტუაციას მატებდა. აბდიას ყველაფერი მოსწონდა ქალისა: პატარა, ოღნავ შესამჩნევი ნაჭრილობევიც ლოყაზე (იქნება ბავშვობისას დაეცა?), ისიც, რომ ასე კარგად ეცვა — ჯინსი, ქურთუკი, ყელჩაკეცილი გაცვეთილი ჩექმები, ისიც, რომ ასე გულდაჯერებულად დაჰყავდა მოტოციკლი: თვითონ აბდიამ ხომ მარტო ველოსიპედის ტარება იცოდა... მერედა. როგორ დაირცხვინა, როცა ქალმა ჰკითხა. მასპინძელი სადააო, თვითონ კი — ვნახე, არა, არ მინახავს, არა, ვნახეო... პირდაპირ ღლაპივით უბასუხა, ნეტავ ასე რამ დააბნია? აბდია კალისტრატოვს იზიდავდა, ძალიან იზიდავდა ქალზე ფიქრი, თუმცა თითქოსდა მოსაგონარიც არაფერი ჰქონდა — მოვიდა, უეცრად წავიდა, მორჩა და გათავდა. მაინც ვინ არის, საიდან გამოჩნდა, ყველაფერზე ეტყობა. საიდანღაც ჩამოვიდა. მაგრამ რა მიზნით, მერედა რა უნდა ჰქნას ასეთმა ქალმა ასეთ უდაბურ ადგილებში?

პეტრუხამ რომ გაიგო, ვილაც უცნაურმა ქალმა მოტოციკლით შემოიარაო, ერთობ აფორიაქდა და დიდხანს და თავმომაბეზრებლად კითხულობდა. რას ლაპარაკობდა, რა აინტერესებდა, აბდია, შენ რას პასუხობდიო. აბდიაც იძულებული გახდა რამდენჯერმე სიტყვასიტყვით ეამბნა ქალთან საუბარი.

— რაღაც სხვა ამბავია, რაღაც სხვა ამბავია, — ექვიანად აქნევდა თავს პეტრუხა. — ცუდია, რომ აქ არ ვიყავი, მაშინვე ვიყნოსავდი, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. იცი, აბდია, ჭკვიანი და წიგნიერი ხარ, მაგრამ მე შენზე უკეთ მოვაგვარებდი ყველაფერს, გამოვეკითხავდი. რაზე მოვიდა, გამოვირკვევდი, ვინ იყო და რა უნდოდა, შენ კი, ძვირფასო, დაიბენი, ვატყობ. დაიბენი, თუმცა გაგაფრთხილე, ასეთ დროს როგორ მოქცეულიყავი.

— ნეტა რას განიცდი? — აბდია ცდილობდა პეტრუხასთვის გული გაეკეთებინა. — ასეთი შესაშინებელი ნეტა რა მოხდა?

— რაღა, შეიძლება კვალში მეძებრები ჩაგვიდგნენ. იქნებ დასაზვერად და ამბების გასაგებადაა მოგზავნილი?

— მოეშვი საუბრის ჩმახვას!

— საინტერესოა, რას იტყვი, როცა ციხეში მოგაყუჩებენ ანდა მთავარი პასუხს მოგთხოვს, მან კი მეძებრებზე მკაცრად იცის პასუხის მოთხოვნა. ტყავს გაგაძრობს ან შეიძლება გაგასალოს. იცი მაინც, რა არის გასაღება?

— დამშვიდდი, პიოტრ. რაც გელის, არ აგცდება. ამაზე ადრე უნდა გეფიქრა. აი, ლიონკა ჯერ პატარაა, მერედა. ვინ გააბრიყვა? ან კიდევ შენ, რამდენი წლისა ხარ — იცის ხარ თუ არა, პოდა, რეგვიწივით ნაბიჯის გადადგმას

ვერ ბედავ, ზედმეტ სიტყვას ვერ იტყვი, მთავარი არ განვიარისხოო, ჯობდა, ჩაკვირებოდდი, შემდეგ რა იქნება, ესაა დასაფიქრებელი.

აბდიას ცდას წარმატება არ მოჰყოლია, პეტრუხა მაშინვე გაბრაზდა.
— ამეებს მოეშვი, აბდია, ლიონკასაც თავი დაანებე. შენ როგორ მღვდლობას სწავლობდი, ეგ დაივიწყე. შენი ლამაზი სიტყვები ფეხის ზურჩინებულად არა ღირს, მთავართან კი ჩვენ ფულს ვაკეთებთ. გასაგებია? ლიონკა მისთვის რაში სჭირდება, სამაგიეროდ ყელამდე ფული აქვს. როცა მინდა, მაშინ ვსვამ, როცა მინდა, მაშინ ვჭამ! შენი იგავ-არაკები კი კუჭს ვერ ამოავსებს. იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ძმაცაცებთან ერთად ხოშიანად ატარო დრო, მაგიდები იზნიქებოდეს, გოგოები ესტრადაზე ისე მღეროდნენ, ჯიგარში გზვდებოდეს. აი, ჩემი ძმები, ძალიან გამრჩენი, ძალიან მშრომელნი არიან, მაგრამ ერთი განახა, როგორ შოულობენ ამ მანეთს! ვირივით მუშაობენ. მე კი შემოძლია ეგ მანეთიანი უკან გამოვისვა. ფული მარტო რეგვენს არ უყვარს. ხომ მართალია, ლიონკა?

— მართალია, — ლიონკა თანხმობის ნიშნად ნეტარი ღიმილით უქნევდა თავს, გული არაფერზე ეთანადრებოდა.

ეს უფრო ყურის გახედნა იყო უფრო საფუძვლიანი საუბრის გასამართად. აბდია გრძნობდა, რომ ახლა გადამლაშება არ ღირდა, თორემ არავინ დაუჭერებდა. მადევარ-ანაშისტია და უპირველეს ყოვლისა ფულის შოვნა სწყურიაო.

მეორე დღეს რიბირაბოზე აღგნენ. შორეთში ცა პირს იტებდა, ახლომახლო მიმოფანტულ კარ-მიდამოებს ჯერ კიდევ ეძინათ, ძაღლებიც კი არ ყეფდნენ, როცა სამი მადევარი უხმაუროდ გაუდგა გზას, ბოსტან-ბოსტან მიიწვედნენ გაშლილი ტრამალისკენ. პეტრუხას თქმით, არც ისე შორს იყვნენ წასასვლელნი. მან იცოდა, საით უნდა ევლოთ. აბდიას აღუთქვა, როგორც კი კანაფ-ანაშას დაეინახავ, მაშინვე გაჩვენებო.

მალე აჩვენა კიდევაც. საკმაოდ მკვრივი, ღეროიანი, სწორი მცენარე, რომელსაც ღეროს გარშემო ყვავილელების ფოჩი ჰქონდა შემოვლებული, სწორედ ის ანაშა აღმოჩნდა, რის გულისთვისაც ისინი ევროპიდან აზიაში ჩამოვიდნენ. „ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა ანაშას მაცქერალი აბდია. — გარეგნულად რა ჩვეულებრივი, თითქმის შამბივით მცენარეა და რაოდენი სიტკბოება აქვს, რომ ზოგნი ამ ბანგისთვის სულს ლევენ! აქ კი შენს ფერხთაა!“ დიახ, ეს ანაშა იყო. მზე უკვე ამოვიდა და დააცხუნა, მადევრები კი უკაცურ ტრამალში იდგნენ, სადაც ვერც ერთ ხეს ვერ დაინახავდით, მწკლარტე ველური კანაფის ყვავილის ფურცლებს თითებით სრესდნენ და განურინებელ სუნს ისუნთქავდნენ. მერედა, რა უცნაურ ხილვებს არ უბადებდა ანაშა მის მწველებს მრავალი საუკუნის მანძილზე! აბდია ცდილობდა, წარმოედგინა ადრინდელი აღმოსავლური ბაზრები (მათ შესახებ წიგნებში წაეკითხა) ინდოეთში, ავღანეთში ან თურქეთში, სადმე სტამბოლში ანდა ჯაიპურში ბველ ციხესიმაგრეთა კედლებთან, ოდესღაც ცნობილი სასახლეების კარიბჭეებთან, სადაც ანაშას დაუფარავად ყიდდნენ, ყიდულობდნენ, იქვე ეწეოდნენ, სადაც თითოეული თავისებურად, თავისი ფანტაზიის კვალობაზე ხედავდა მოჩვენებებს — ვის პარამხანების სიტკბოება ეხმანებოდა, ვინ შაჰის მოოქროვილ სპილოებზე დადგმული დიდებული ჩარდახების ქვეშ იჯდა და მოზეიმე ქუჩებში — ჭრელი ხალხის დუნდგოსა და ბუკის გრიალში მისეირნობდა, ვის ჩამკვდარი ცნობიერების წიაღში შობილი სიმარტოვის უკუნეთი ეჩვენებოდა, უკუნეთი, რომელიც

ბაღებს დაუკებელ მძვინვარებას, სურვილს — მთელი სამყარო მოისპოს, დაიფერფლოს დაუყოვნებლივ, ახლავე, დაუხანებლად!.. ეს ხომ არ ჩუო ოდესღაც აყვავებული აღმოსავლეთის საბედისწერო დაღუბვის ერთ-ერთი ნაწილი? ნუთუ გონების ამამღვრეველი ეს ტკბილი ბანგია ველური კანაფი, რომელიც უბრალოდ და ჩვეულებრივად იზრდება ამ მშრალ ტრამალეებში?

— აი, იგი, მშობლიური! — სიხარულით ამბობდა პეტრუხა, რომელიც აწვევდა ტრამალს. — გახედე, აგერ კიდევ, აგერ კიდევ, ეს სულ ისაა, ანაშაა! მაგრამ მოგროვებას აქ არ დავიწყებთ, ეგ რაა! ეს სხვათა შორის გაჩვენეთ. მე ისეთ ადგილებში წაგიყვანთ, ჭკუას დაკარგავთ...

მადევრებმა გზა განაგრძეს და ერთ საათში კანაფის ისეთი რშირ შამბნარს წააწყდნენ, მარტო მის სუნზე შეზარხოშებულებივით გაბალისდნენ. აქ კანაფი თავსაყრელად იყო და საქმეს შეუდგნენ: კრეფდნენ ანაშის ფოთლებსა და ყვავილებს და გასაშრობად ზენდნენ. პეტრუხა ამტკიცებდა, გაშრობა ორ საათზე მეტ ხანს არ უნდა გრძელდებოდესო. გაჩაღდა მუშაობა... და ყველაფერი ისე მიდიოდა, უკეთესი არ იქნებოდა, მაგრამ უცებ საიდანღაც შვეულმფრენის გუგუნე მოისმა. შვეულმფრენი დაბლა, ზედ ტრამალის თავზე მოიწევდა, თითქოს მადევრებისკენ მოფრინავდა.

— შვეულმფრენი, შვეულმფრენი! — ბავშვივით ხმამაღლა და მხიარულად აბღავლდა ლიონკა და ასკინკილას მოჰყვა.

მაგრამ პეტრუხა არ დაბნეულა.

— დაწეჭი, სულელო! — დაუყვირა და დედა შეუკურთხა.

სამივე პირქვე დაწვა, ბალახში მიიმაღნენ. შვეულმფრენმა ოდნავ განზე ჩაიარა და საექვოა, მფრინავებს მადევრები შეემჩნიათ, მაგრამ პეტრუხა ვერა და ვერ დაწყნარდა და დიდხანს ტუქსავდა ლიონკას, ეგონა, შვეულმფრენი საგანგებოდ მათ დასაზვერად მოფრინდა.

— აბა, რა, — ბჭობდა იგი. — ზემოდან ყველაფერი ჩანს, თითოეული თავი ჩანს. ჩვენ კი, სულელებს, ასი ვერსიდან გვხედავენ. მფრინავი რამწამს დაგვინახავს, მაშინვე რაცით აცნობებს, სადაც საჭიროა, და თუ მილიცია მანქანებით დაგვესხა თავს, ვერსად წაუხვალ, ხელები უნდა ასწიო. გათავებულია შენი საქმე.

მაგრამ მალე პეტრუხასაც დაავიწყდა შვეულმფრენის ამბავი, საჭირო იყო მუშაობა. სწორედ იმ დღეს დატრიალდა წარმოუდგენელი ამბავი: აბდია მგლების ოჯახს გადააწყდა. ეს კი ასე მოხდა.

მადევრებმა შეისვენეს, წაიხემსეს და პეტრუხამ თქვა:

— მისმინე, აბდია. შენ უკვე თითქმის შეგვეთვისე, ჩვენი იმბიჭი ვახდი. პოდა, აი, რას გეტყვი. მაშასადამე, ახალბედებისათვის, შენისთანებისთვის ასეთი კანონი გვაქვს. მაშასადამე, თუ პირველად ხარ საქმეზე, მთავარს გამოსაღები, ანუ საჩუქარი უნდა მიართვა, როგორც გინდა, ისე გაიგე.

საქმის ასეთი შემობრუნებით გაკვირვებულმა აბდიამ ხელები გაასავსავა.

— რა საჩუქარი?

— მოიცა, რას დაფეთდი? შენ რა, გგონია, მაღაზიაში უნდა ირბინო საჩუქრის საყიდლად? იქამდე რას მიირბენ. აი, მე, მაშასადამე, რაზე გეუბნები. პლასტილინი უნდა მოაგროვო, თუნდაც ასანთის კოლოფის ოდენი. აგერ ბალახში გაირბენ-გამოირბენ, გეტყვი, როგორ კეთდება ეს. ხოლო იმ პლასტილინს, მაშასადამე, შეხვედრისას მიართმევ მეგობრობის ნიშნად. შენ ხომ ჭკვიანი

კაცი ხარ, ყველაფერი გესმის: მთავარი უფროსია, შენ — ქვეშევრდომი, რა ნდობა ექნება შენი...

აბდია დაფიქრდა: ამას ხომ ჩემთვის თავისი აზრი აქვს — პლასტილინის ანაშის მტვრის მასის, ყველაზე ფასეული პროდუქტის მეშვეობით ბოლოს და ბოლოს მთავართან შეხვედრის საშუალება მექნებაო. მერედა, როგორც სწავლიან, ბოდა მასთან შეხვედრა! უცებ შეძლებდა იმ კაცთან ლაპარაკს, ვისაც ყველა მადევარი ემორჩილებოდა. „ძალაუფლება, ძალაუფლება. სადაც ორი კაცია, იქ უკვე ძალაუფლებაა!“ — მწარედ ჩაიციხა აბდია კალისტრატოვმა.

— კარგი, — უთხრა აბდიამ პეტრუხას. — მაშასადამე, პლასტილინს მოვაგროვებ და მთავარს მივცემ. მაგრამ როდის მივცემ, სადგურში ხომ არა?

— ზუსტად არ ვიცი, — გამოტყდა პეტრუხა. — შეიძლება ხვალ მისცე.

— როგორ ხვალ?

— როგორ და ისე. შინ დაბრუნების დროა. კმარა. ხვალ კი ოცდაერთი რიცხვია. ხვალ დილის ოთხ საათამდე ადგილზე უნდა დავერჭოთ. ჰოდა, დავიდრებით.

— რომელ ადგილზე?

— იმ ადგილზე, — საქმეში ჩახედულობით იბღინებოდა პეტრუხა. — შევიკრიბებით და გაიგებ. სამასოცდამეათე კილომეტრზე.

აბდიას შეტი აღარაფერი უკითხავს. ისედაც მიხვდა, რომ სამასოცდამეათე კილომეტრი ჩუს განშტოებაზე რკინიგზის რომელიღაც მონაკვეთი იყო. ახლა თავიდათავი სხვა რამ გახლდათ — მთავარს ალბათ იქ შეხვდებოდა და ალბათ ხვალ. ჰოდა, არ სჯობდა დრო არ დაეკარგა და ამ პლასტილინის შეგროვება დაეწყო?

საქმე მარტივი აღმოჩნდა, მაგრამ მეტისმეტად ილაჯის გამწყვეტი და ბარბაროსული. უნდა გაშიშვლებულიყავი და შამბნარში გერბინა, რათა კანაფის ყვავილების მტვერი სხეულზე მიგკვროდა. აბდიაც ამას აკეთებდა. ჰოდა, იმ დღეს კარგა გვარიანად ირბინა, ამდენი თავის სიცოცხლეში არ ურბენია! კანაფის მტვერი ძლივს შესამჩნევი, თითქმის მიკროსკოპული, თითქმის უფერული გახლდათ და სხეულს კი ეკვროდა, მაგრამ ამ ლამის უხილავი ფენის ჩამოწმენდა არცთუ იოლი იყო — რაც უნდა გელონა, ხელთ ერთი ბეწო შეგრჩებოდა. აბდიას თაკარა მზეზე წინ და უკან მხოლოდ იმის შეგნება არბენინებდა, რომ ეს აუცილებლად სჭირდებოდა, რათა მთავარს შეხვედროდა, რათა მასალები დაეგროვებინა, მადევრების ქცევის ფარული მამოძრავებელი ძალები გამოეაშკარავებინა და სიტყვის, გაზეთის მეშვეობით მთელი ქვეყნიერებისთვის გულისტკივილით შეელაღებინა.

აბდია ტრამალში ანაშის უფრო ხშირ ბარდნარს ეძებდა და სირბილ-სირბილში გვარიანად დაშორდა ძმაკაცებს. ამ დროს ცხადლივ თუ წარმოსახვაში სიმსუბუქის, ჰაერში ლივლივის საკვირველი შეგრძნება დაეუფლა. ვერც მიხვდა, როგორ მოხდა ეს. ცაზე უშურველად ანათებდა მზე. მეორე დღეს სითბოს, ფრენდნენ და ერთმანეთს სტვენით ეხმიანებოდნენ რომელიღაც ფრთოსნები. გამორჩევით გალობდნენ ტოროლები, წამისწამად კრთებოდნენ პეპლები თუ სხვა მწერები და ისინიც ათასგვარ ბგერას გამოსცემდნენ — ერთი სიტყვით, ეს იყო მიწიერი სამოთხე, სწორედ სამოთხე, და იმ სამოთხეში გამოიშვლებული აბდია კალისტრატოვი (მას მხოლოდ პანამა ეხურა, სათვალე ეკეთა, ამოსაკვრელი და კედები ეცვა), მტვრისგან შემთვრალი თეთრკანიანი, გამხდა-რი ჩრდილოელი. ტრამალში მოსამართი სათამაშოსავეით წინ და უკან დარბო-

და, უფრო მაღალ და ხშირ ბალახს ირჩევდა. მის გარშემო აყვავებული კანაფის აშლილი მტვრის კორიანტელი იდგა და ჰაერში ატაცებული ამ საწამლაფის დიდი ხნის სუნთქვით აბდიას წარმოსახვაში, ბუნებრივია, სხვადასხვა მოჩვენება იბადებოდა. განსაკუთრებით ერთი რამ ახარებდა: გუშინ ნანაი ქალს მოტოციკლზე უკან ეჯდა და მიქროდა. სულაც არ აცბუნებდა, რა მოტოციკლის საჭეს თვითონ კი არ მართავდა, როგორც, ნამდვილად მშვენიერებოდა, მგზავრი იყო ქალისა და იჯდა იქ, სადაც ჩვეულებისამებრ ქალები სხედან ხოლმე. მაშ, რა ექნა, თუკი მოტოციკლის ტარება არ შეეძლო და ტექნიკის საერთოდაც არა გაეგებოდა რა. ისე ძალიან მოსწონდა ამ ქალთან ერთად ერთი მოტოციკლით რბოლა. ქალს თმა ჩაფხუტიდან ეშლებოდა, ქარში უფრიალებდა და აბდიას სახეზე ეხებოდა ქარის ხელებივით, ტუჩებზე, თვალებზე ეკვროდა, კისერში უღიტინებდა და ეს მშვენიერება იყო. ქალი ხანდახან უკან იხედებოდა, აბდიას ანცად უღიმოდა, თვალები უბრწყინავდა — როგორ უნდოდა აბდიას, ასე გაგრძელებულიყო მარადიულად... დაუსრულებლად...

აბდია მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მახლობლად მგლის სამი ლეკვი დაინახა! საიდან გამოტყვრნენ? თვალებს არ უჯერებდა. ლეკვები კუდს აჭიკინებდნენ, უნდოდით მოახლოებოდნენ, მასთან ეთამაშათ, შიშობდნენ, მაგრამ არ გარბოდნენ. ყმაწვილებივით მაღალი კანჭები ნახევრად აფშეკილი, სუსტი ყურები, წაწვეტებული დრუნჩები და ცქაფი, სადაც ილოდ მიმნდობი თვალები ჰქონდათ. ყოველივე ამაზე აბდიას რატომღაც ისე მოერია გრძნობა, ყველაფერი დაავიწყდა, ალერსიანად დაუწყო მათ მოხმობა, გართობა, მიტყუება, თავად კი სახე ერთიანად უბრწყინავდა ადამიანური კეთილგანწყობით. სწორედ ამ დროს თვალი ჰკიდა თეთრი ელვის კაშკაშს, მისკენ გამოქანებული ძუ მგლის თეთრ დაკრეჭილ კბილებს... ეს ისე მოულოდნელად, ისე სწრაფად, მაგრამ თანაც ისე ნელა და შემზარავად მოხდა, ვერც კი იგრძნო, მუხლები როგორ მოეხარა თავისთავად, თავზე ხელები როგორ იტაცა და ჩაიკუნტა. არ იცოდა, რომ სწორედ ამან შეუნარჩუნა სიცოცხლე. ძუ მგელი კი მისგან უკვე სამ ნაბიჯზე იყო და მძვინვარე ნახტომით უცებ თავზე გადაეგლო, სახეში ნადირის სუნი შეაფრქვია. ამ წუთს კაცისა და მგლის თვალები ერთმანეთს შეეფეთა. აბდიამ დაინახა ძუ მგლის ლურჯი ცეცხლოვანი მზერა, მისი უჩვეულოდ ლურჯი და სასტიკი თვალები, და ტანში სიცივემ დაუარა. ძუ მგელი კი ამასობაში კიდევ ერთხელ ქარის სისწრაფით გადმოეგლო თავზე, ეცა ლეკვებს და შეუჩერებლივ გაირეკა წინ, კბილებიც მოიშველია, უცბად შეაბრუნა ღრანტედან თავამოყოფილი საშინელი მხეცი — ქეჩობურძგვნილი ვეება მგელი და სუყველა თვალის დახამხამებაში გაქრა, თითქოს ქარიშხალმა წარიტაცაო....

ხოლო აბდია დიდხანს გარბოდა ტრამალში ზარდაცემული ყვირილით, გონება ებინდებოდა, სხეული უმძიმდებოდა, აბლანდულ ფეხებქვეშ მიწა ერყეოდა, ეწადა დაცემულიყო, დაგდებულიყო, დაეძინა. გულის რევა დაეწყო და იგრძნო, რომ სიკვდილმა მოაკითხა. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ იმდენი ნებისყოფა შერჩა, საზიზღარ ნარწყევს გაცლოდა და ისევ გარბოდა, ვიდრე თავიდან არ მოუვლიდა პირლებინება, ცხრად არ მოკაკვავდა, ჯოჯოხეთურ ტკივილებს და ჩხვლეტას არ დაუწყებდა მუცელში. ამ დროს მტვრის საწამლაფს ანთხევდა, კრუნჩხვებისგან ეწამებოდა, კვნესოდა და ლულულუდებდა: „ო, ღმერთო, შემიწყვიტე ეს პირლებინება, მაკმარე! არასდროს, აღარასდროს მოვაგ-

როვებ ანაშას! მეყოფა, არ მინდა, არ მინდა ცენოსავდე და ვგრძნობდე ამ სუნს. ღმერთო, შემიწყალე...“

როცა ბოლოს პირღებინება შეუწყდა და თავისი ტანსაცმლის მოძებნა დააპირა, მასთან პეტრუხამ და ლიონკამ მოირბინეს. მგლებთან შეხვედრამ მაშინ-ღამ იმოქმედა მადევრებზე. განსაკუთრებით ლიონკას დაეცა ფეხქვეშაში.

— კარგი ერთი, სული ნუ გძვრება! აგრე რა გაკანკალებს მგლებს მგლებს მგლებს. — როცა ხალხი ოქროს საძიებლად მიდიოდა, იცი, რა ხდებოდა, მაგრამ უკან არ იხევდნენ... შენ კი მგლების შეგეშინდა. ისინი ხომ უკვე ცხრა მთას იქით გადაიქარგნენ...

— მაშინ ოქროსთვის მიდიოდნენ. — თქვა ლიონკამ ცოტა ხნის დუმლის შემდეგ.

— რა განსხვავებაა? — შეუღრინა პეტრუხამ.

ამ ვითარებით ისარგებლა სწორედ აბდიამ.

— განსხვავება არის, პიოტრ, — უთხრა პეტრუხას. — თანაც ძალიან დიდი, ოქროსაც ბევრი ბოროტება მოჰყვება. მაგრამ მას დაუფარავად მოიპოვებენ. ანაშა კი ყველას წამლავს. ჩემს თავზე გამოვცადე. კინაღამ სული გავაფრთხე. მთელი ტრამალი ნარწყევით მოვსვარე...

— კარგი რა, ცოტათი მოიწამლე მიუჩვევლობის გამო, ეგაა და ეგ. მერე-და, ვინაა დამნაშავე, — უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი პეტრუხამ. — აქ ძალით ხომ არ მოუთრევიხარ ვინმეს? სულ ღმერთსა და იმაზე ლაპარაკობ, რაა კარგი და ცუდი, რას გვიფუჭებ საქმეს? სულ რას გვიმღვრევ წყალს? ისე, ფული სადაც ჩნდება, შენც იქა ხარ, კინაღამ მგლებს ჩაუვარდი ხახაში!

— მე წყლის ამღვრევა კი არა, დაწმენდა მინდა. — აბდიამ გადაწყვიტა, რომ იძულებული გახდებოდა, სათქმელი უფრო აშკარად ეთქვა, ვიდრე ვარაუდობდა. — აი, შენ, პიოტრ, თითქოს ჭკვიანი ყმაწვილი ხარ, მაგრამ შეუძლებელია, არ გესმოდეს, რა დანაშაულს სჩადიხარ...

— ჩავდივარ! შენ კი რას აკეთებ?!

— მე უნდა გიხსნათ!

— გვიხსნა! — ავად იყვირა პეტრუხამ. — შენ როგორ უნდა გვიხსნა? აბა, ერთი ჩამოყაჭე!

— ჯერ ღმერთისა და ხალხის წინაშე მოვინანიებთ...

აბდიას გასაკვირად მდევრებს არ გაუცინიათ. მხოლოდ პეტრუხამ გადააფრთხა, თითქოს პირში რალაც სისაძაგლე ჩაუვარდა.

— მოვინანიებთ! მოიგონა ამანაც, — წაიბუზღუნა პეტრუხამ. — შენ მოინანიე, ჩვენ კი ფულს გავაკეთებთ. ჩვენ ფული გვჭირდება, გაიგე, — მარტივია და ნათელი. შენ კი მოინანიე! და თუ ხუმრობ, აბდია, ცოტა ფრთხილად იხუმრე. მთავარი გაიგებს, თავგზას რომ გვიბნევ, და შენს ადგილსამყოფლამდე ვერ ჩააღწევ, დაიმახსოვრე! როგორც მეგობარს, ისე გეუბნები. ტვინს ნუ გვირევ — ჩვენ უპირველეს ყოვლისა ფული გვინდა! ლიონკა, უთხარი, რა გჭირდება — ღმერთი თუ ფული?

— ფული! — მიუგო ლიონკამ.

აბდიამ ერთხანს იყუჩა, გადაწყვიტა დაეცადა, საუბარი სხვა დროისთვის გადაედო.

— აბა, გვეყოფა, ვილაპარაკეთ და კმარა, მოვემზადოთ, — შემრიგებლურად ბრძანა პეტრუხამ, — შენი პლასტილინი კი, აბდია, მაშასადამე, ფაფუ, არა?

— სამწუხაროდ, ფაფუ. ძუ მგელი რომ მეცა, თვითონ არ ვიცი, სად რა დავტოვე. ტანსაცმელიც სადღაცაა, წავალ მოვძებნი...

— ტანსაცმელი მოიძებნება, სად დაიკარგება, პლასტილრის მაგროვებას კი ველარ მოასწრებ. წასვლის დროა. კარგი, მთავარს მოვეუწყებოთ, რაც მოხდა, გაგიგებს. არ გაგიგებს და შემდეგ მოაგროვებ...

ისინი შუალამემდეგ მიაბიჯებდნენ რკინიგზის მხარეს, უწყინდელად გატენილი ზურგჩანთები მიჰქონდათ. სიარული არც ისე უჭირდათ — რა მძიმე უნდა ყოფილიყო გამომშრალი ბალახი, — მაგრამ ანაშას მძაფრი სუნი, რომელსაც პოლიეთილენის პარკებიც კი ვერ აკავებდა, თავბრუს ახვევდათ, ძილს ჰგვრიდათ. შუალამეს მადევრები სადღაც ტრამალში დაეყარნენ დასაძინებლად, რათა უთენია გაეგრძელებინათ გზა. ლიონკა აბდიასა და პეტრუხას შუა ჩაეკვება — იმ ამბის შემდეგ მგლების ეშინოდა. რა გასაკვირია, ჯერ-ბოფში იყო დაწვნი და ყველაფერი პირიქით მოხდა: სიარულის დროს რომ ზეზეურად ეძინებოდათ, მაგრამ როცა დაწვნი, აბდიას დიდხანს არ მოჰკიდებია რული. ლიონკას თხოვნამ, შუაში ჩამაწვინეთო, ძალიან აუჩუყა გული, ვინ იფიქრებდა, რომ ამისთანა ყმაწვილს მგლების ეშინოდა. მაგრამ რა ძალა უნდა ჰქონოდა ბიწიერებას, პატარაობიდან დამახინჯებულ წარმოდგენებს ცხოვრებაზე, როცა ლიონკამაც კი ამას წინათ პეტრუხას თვალის დაუხამხამებლად უპასუხა, ფული ჩემთვის ღმერთზე უფრო მნიშვნელოვანიაო. ღმერთი, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა პირობითად, როგორც უბიწო ცხოვრების სიმბოლო. აი, რაზე ფიქრობდა აბდია...

ტრამალის ღამეებს თავისი სილამაზე აქვთ ზაფხულში. დგას მიწისა და ცის სიდიადით შობილი უსაზღვრო სიჩუმე, უთავბოლო ბალახის სუნთქვით ნასაზრდოები სითბო, ჩანს ყველაზე ამაღელვებელი სახილველი — მოციმციმე მთვარე და ურიცხვი ვარსკვლავი; თვალსა და ვარსკვლავს შუა სივრცეში მტვრის ნასახი არ ჭაჭანებს, ისეთი სისპეტაკე სუფევს, რომ აქეთ, ამ იდუმალ სამყაროს სიღრმეში ილტვის უპირველეს ყოვლისა ადამიანის ფიქრები იმ იშვიათ წუთებში, როცა იგი ცხოვრებისეულ საქმეებს ეთიშება. ოღონდ დასანანია, რომ ეს ეამი დიდხანს არ გრძელდება...

ხოლო აბდია იმაზე ფიქრობდა, რომ ჯერჯერობით ყველაფერი ისე აეწყო, როგორც თვითონ უნდოდა: მადევრებთან ერთად კანაფის ტრამალემდე ჩააღწია, თავისი თვალით ნახა და, როგორც იტყვიან, საკუთარ ზურგზე გამოსცადა ყოველივე. ახლა მოსაგვარებელი რჩებოდა ურთულესი რამ — მატარებელში მოკალათება და გამგზავრება. მადევრებისთვის ყველაზე სახიფათო იყო ანაშას გადატანა. მათ მილიცია უმთავრესად აზიის სადგურებში იჭერდა, რუსეთის ნაწილში საქმე უფრო ადვილდებოდა. ხოლო თუ მოსკოვამდე და უფრო შორს, თავიანთ ადგილებამდე ჩააღწევდნენ, ეს უკვე სრული გამარჯვება იქნებოდა. იზეიმებდა პატარა ადამიანების მიერ პატარა წარმატებით აღსრულებული დიდი ცხოვრებისეული ბოროტება...

ამას აბდია ფიქრობდაც კი ვერ ურიგდებოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ არც იმის ძალაც შესწევდა, რაიმე ელონა, რათა არათუ აღეკვეთა, ვთქვათ, ეს დანაშაული, არამედ გარდაექმნა მადევრების აზროვნება, გადაერწმუნებინა ისინი, განზრახვა შეეცვლევინებინა. აბდიაზე გაცილებით ძლიერი იყო ის, ვინც მას უპირისპირდებოდა და სადღაც აქ, ამ ტრამალეებში იმყოფებოდა, ვინც უბილაყად მბრძანებლობდა ყველა მადევარზე, მათ შორის თვით აბდიასაც უწევდა კონტროლს, ის, ვისაც მადევრები მთავარს უწოდებდნენ. სწორედ იგი, მთავარი

გახლდათ გამგებელი. უფრო მეტიც — მიკროდიქტატორი ანაშასთვის გამარჯობით ლაშქრობისა, ხოლო აბდია, რომელიც ისე იყო მათთან, როგორც ყანა-ლებს მიყვებულნი მოხეტიალე ბერი, მეტი რომ არა ვთქვათ, სასაცილო ჩანდა... მაგრამ ბერი, ღვთიური იდეალისტი და ფანატიკოსი, ^{ყველა გი-} თარებაში ბერად უნდა დარჩენილიყო... მას სწორედ ეს ხვედრი ელოდა.

აბდია იმაზეც ფიქრობდა, რა უცნაური ამბავი გადახდა დღეს. უცნაური ამბავი იყო, რომელიც სასაცილო, უწყინარი ცხოველი ეგონათ და მასთან ცელქობა მოუხდებოდა, და ეს ლურჯთვალა გამბეინვარებული ძუ მგელი რა გააყვებოდა იყო! შემდეგ ყველაფერი რა კარგად დამთავრდა. მაინც რა აზრი იმალებოდა იმაში. რომ თავზე ორჯერ გადაახტა? კაცმა რომ თქვას, ძუსა და ხვადს სრულიად ადვილად შეეძლოთ ერთ წამში დაეგლიჯათ შიშველი, — პანამა და ამოსაკვრელი რა მოსატანია, — უმწეო ქალაქელი იდიოტი, ისე შიშველი, ისე უმწეო, ანეკდოტად თუ გაეგონება კაცს. და აი, დაუჯერებელია — ბედმა მგლების სახით შეიწყალა: ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ სჭირდება ამ ცხოველებს? მერედა, რა მშვენიერი, რა მარდი იყო უჩვეულოდ ლურჯთვალა, მძვინვარე და თავის ნაშიერთათვის შეძრწუნებული ძუ მგელი. დიახ, იგი თავისებურად მართალი გახლდათ და მადლობის ღირსიც, რომ თავზე არ დაახტა, უბედურება არ დაატრიალა. მაგრამ აბდიასაც ხომ არაფერში მიუძღოდა ბრალი. ფიქრობდა ამას აბდია და წყნარად გაეცინა. წარმოიდგინა, რა კისკისი აუტყდებოდა, იმ მოტოციკლისტ ქალს მაშინ რომ დაენახა. ალბათ მასხრად აიგდებდა, როგორც ცირკის კლოუნს. უცებ აბდია შიშმა შეიპყრო: ვაითუ მოტოციკლი უეცრად სადღაც უკაცურ შუა ტრამალში ჩაუქრეს, მარტოდმარტოს მგლები დაესხნენ თავს?! და ცრუმორწმუნედ დაუწყო ლურჯთვალა ძუ მგელს შელოცვა: „მისმინე, მშვენიერო დედა მგელო! შენ აქ ცხოვრობ და იცხოვრე, როგორც გენებოს, როგორც ბუნებამ გიბრძანა. მხოლოდ ამას გვედრები, უცებ მოტოციკლი რომ ჩაუქრეს, თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ღმერთი გწამს, თუ შენი ლეკვები გწამს, ნუ გაეკარები! ნუ ავნებ! თუ მისი, მძლავრ მანქანაზე ამხედრებული აგრერიგად მშვენიერი ქალის მზერით დატკობა მოგესურვება, გვერდით გაედევნე, გზის პირას გაედევნე, მალულად გაედევნე, ფრთები გამოისხი და ფრენით მიჰყევი. იქნებ, თუ ბუდისტებს დავუჯერებთ, ლურჯთვალა ძუ მგელო, მასში შენი და შეიცნო, ადამიანის სახით მოვლენილი? ხომ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს — მერე რა, რომ მგელი ხარ, ის კი ადამიანი, თქვენ ხომ ორივენი მშვენიერნი ხართ, თითოეული თავისებურად? არ დაგიმალავ, მთელი არსებით შევიყვარებდი; დიახ, ბრიყვი ვარ, რა თქმა უნდა, ბრიყვი მამ, რა ვარ! მხოლოდ იმედგადაწურულ ბრიყვებს შეუძლიათ ასე ოცნება. იმ ქალმა რომ რალაცნაირად გაიგოს, რაზე ვფიქრობ, დიახაც ბევრს იცინებდა, დიახაც ბევრს იკისკისებდა! მაგრამ თუ ეს სინარულს მოჰგვრის, იცინოს...“

ჯერ კიდევ ასე თუ ისე ბნელოდა — ტრამალზე რიბირაბო დგებოდა — როცა პეტრუხამ გაღვიძება დაუწყო აბდიას და ლიონკას. უკვე უნდა ამდგარიყვნენ და სამასოცდამეათე კილომეტრისკენ წასულიყვნენ. რაც ადრე გაუღებოდნენ გზას, მით უკეთესი იქნებოდა, ვინაიდან დანიშნულ დროზე მარტო ისინი კი არა, კიდევ მადევრების ორი-სამი ჯგუფი უნდა მოსულიყო იმ ადგილზე და გამომშრალი ანაშა მოეტანათ. შემდეგ რომელიმე გამვლელ საბარგო მატარებლებს გააჩერებდნენ, შეასხდებოდნენ და სადგურ ჯალბაკ-საზამდე ჩააღწევდნენ, იქ კი სხვა მატარებელზე აძვრებოდნენ ერთი სიტყვით, ახლა მა-

დევერებისთვის გზის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი იწყებოდა. მთელი ოპერაციისთვის თითქოსდა მთავარს უნდა ეხელმძღვანელა. ის უნდა შეხვედროდა მადევერებს, თუ თვითონ უნდა მოეძებნათ იგი. პეტრუხამ განაგებდა ვერ თქვა. ან არ იცოდა. ან თქმა არ უნდოდა.

და ისევ მოიკიდეს ზურგჩანთები და მიჰყვნენ პეტრუხას ^{ქრქუნი} ~~საქართველოში~~ ^{საქართველოში} პეტრუხას ტოპოგრაფიული ალბომი, მახსოვრობა. პეტრუხა წინასწარ ამბობდა, სად როგორი ხრამი იყო, რომელ ჩრდილიანში მოწანწყარებდა წყარო, სად ხევი დახვდებოდათ და დაენანა აბდიას, რომ ასეთი ნიჭი, ასეთი მეხსიერება იკარგებოდა! პეტრუხას ერთი-ორჯერ გაევიღო აქ და რა კარგად იცოდა ყველაფერი!

გლეხის ოჯახიდან ვარო, ამბობდა პეტრუხა. ჰყვებოდა იმასაც, რომ გავრცელებული ხმების მიხედვით აქედან ორას კილომეტრზე იწყებოდა უდაბნო მუინყუმი, სადაც უთვალავი საიგა, ტრამალის ანტილოპა ბინადრობდა და ერთი შეხედვით წესიერი ხალხი სამსახურის ჩინებული „გაზიკებით“ ლამის ორენბურგიდან მოდიოდა სანადიროდ. ჩამოდიოდნენ და როგორ ჩამოდიოდნენ — დასაყოლებელი აგერ ცოცხალი დარბოდა, სასმელები ოხრად ჰქონდათ, სულ და გულს, რა გინდოდა, ჰოდა, მეფური ნადირობა იმართებოდა! მაგრამ ნადირობას საფრთხეც საკმაო ახლდა. ზოგჯერ მანქანა ფუჭდებოდა და ტრამალში გზააბნეული მონადირენი წყურვილისგან იღუპებოდნენ, ზამთარში კი ხანდახან ტრამალის ქარბუქი უსწრებდათ. შემდეგ მათ ძვლებსღა პოულობდნენ. ერთი მონადირე ჰკუთხებ შერყეულა და შემდეგ შვეულმფრენით ეძებდნენ თურმე. შვეულმფრენი უკან მისდევდა, უნდოდათ გადაერჩინათ, ის კიდევ შვეულმფრენს გაუბოდა, ემალებოდა. დიდხანს დასდევდნენ და, როცა დაიჭირეს, ლაპარაკის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა. ცოლი კი თურმე სხვას გაჰკიდებოდა, ო, ეს უნამუსო! — ამბობდა პეტრუხა. — ყველანი ასეთები არიან! აი, მე არც ვფიქრობ ქალის შერთვას. ქალაქში მყავს ერთი ხოშიანი ქალი, მივუგდებ „შმოტკების“ ფულს და მორჩა, სიტყვას იძლევა — არავითარი ბავშვები არ იქნებაო. ყველაზე მთავარი კი ისაა, მოტოციკლი უკვე ვიყიდე, ჩეხოსლოვაკიური სპორტული მოტოციკლი, ფარდულში მიდგას. ახლა კი, მაშასადამე, „ფიგულს“ დავირტყამ. „ფიგული“ პრობლემა არაა, ერთი „ვოლგა“ გასახერხებინა, ის ახალი, „მერსედესის“ მაგვარი. აი, ისეთი ჩამაგდებინა ხელში, საკასეტეც რომ აქვს, ჩართავ და ისე გიმღერებს, ჭიგარში მოგხვდება. ბლათია საჭირო, ყველგან ზედმეტ-ზედმეტი გინდა. მერე ადექი და შენი „ვოლგით“ გაქროლდი ვორკუტაში. დამინახონ ძამიკოებმა. ჰე-ჰე, მათი ცოლები შურით დასკდებიან. საბარგულში ნაირ-ნაირი სასმელი მექნება, უფრო მეტად უცხოური, თან ჩვენებური არაყიც — უკეთესს ვერ ნახავ, რა თქმა უნდა. აბა, როგორ არ შეგშურდეს, ვითომ ივანუშკა-დურაჩოკი იყავი და ახლა... ამიტომაც დავდივარ მადევერად და თქვენც, ძვირფასო ძმაკაცნო, საბეირო საქმეზე დამყავხართ. იცხოვრე, ვიდრე ყისმათი გაქვს, არ გაქვს და თათი წოვე, სანამ მუცელი არ გაგებერება.

აბდია უსმენდა ამ ერთი შეხედვით უმაქნის, უბრალო ლაყბობას, რითაც პეტრუხა თავსაც ირთობდა და თანამგზავრებსაც ართობდა და ფიქრობდა თავისაზე, იმაზე, რომ ადამიანი იხლიჩება გამდიდრების ცდუნებას, ტოტალურ მიმბაძველობასა და პატივმოყვარეობას შორის, რომ ეს არის მასობრივი შეგნების სამი ვეშაპი. ყველგან და ყოველ დროში დგას ობივატელის ურყევი სამყარო, დიდ და პატარა ბოროტებათა თავშესაფარი, თვალსაზრისის ამოება და

სილატაკე, რომ ძნელია იპოვო ისეთი ძალა დედამიწაზე, რელიგიის ჩათვლით, რომელსაც შეეძლეოდა ობივატელის სამყაროს ყოვლადღიერი იდეოლოგია დაეძლია. სულის რამდენი თავგანწირული აღმაფრენა შელევნია ამ ურყევ ვოქვით, ამორფულ ციხე-სიმაგრეს... ისიც, რომ ახლა იგი ანაშის მომპოვებლებს შეხვედრის ადგილას მიდიოდა, მოწმობდა იმავს — სული უმწველი, უმძინ დაუცხრომელია... ასეთია, ეტყობა, მისი ხვედრი. აბღია მთელს მსოფლიოს ამზადებდა თავს მთავართან შესახვედრად. იგი მზად უნდა ყოფილიყო საბრძოლველად...

სამასოცდამეათე კილომეტრზე ორი საათით ადრე მივიდნენ — სამ საათზე უკვე ადგილზე იყვნენ. რკინიგზის გაყოლებაზე გამავალ ხევს რომ უახლოვდებოდნენ, პეტრუხამ თანამგზავრები გააფრთხილა: ზურგჩანთები იქ დამალეთ, სადაც მე გეტყვით, თავს ნუ გამოყოფთ, მიმავალი მატარებლების წინ ნუ გამოჩნდებით, ყოველ წუთს ელოდეთ ჩემს მითითებებსო.

მაინც გვარიანად დაიღალნენ — მაშ, რა იქნებოდა, ერთ ღღეში ამდენს რომ გაივლიდნენ! ესია მოვნათ ხევში რბილ მდელოზე გაშლართვა, სადაც ერთმანეთში არეული იყო საღბი და ვაციწვერა. საამოდ ჩაესმოდა ყურს, თუ როგორ ისახებოდა შორს მატარებლის გუგუნე, როგორ ძლიერდებოდა იგი, როგორ გუგუნებდა და ძაგძაგებდა რელსები მოვარდნილი კილომეტრიანი მძიმეწონიანი შემადგენლობების გადავლისას, რა მრისხანედ მოქროდნენ მატარებლები, თვლებს მოაგრიანებდნენ, რკინისა და მაზუთის სუნი მოჰქონდათ და რა ღიღხანს არ წყდებოდა შორს მოძრაობის ხმაური, რომელიც თანდათან ინთქმებოდა გარემომცველი სიწყნარის ოკეანეში... მიქროდნენ სამგზავრო მატარებლებიც, ერთნი — ერთ მხარეს, მეორენი — მეორე მხარეს. აბღიას გული შეუთრთოლდასავით — მას ბავშვობიდანვე უყვარდა იმის ცქერა, თუ საით მიქროდნენ სამგზავრო მატარებლები, ვინ კრთებოდა ფანჯრებში, ვისი სახეები, აპ, ბედნიერებო, თან წამიყვანეთო, — ამბობდა ხოლმე, მაგრამ ახლა ამ წამიერ სიხარულსაც ვერ იგემებდა, რადგან იძულებული გახდა ბუჩქს უკან მიმალულიყო და თავი არ აეწია. ყველაზე უარესი ის გახლდათ, რომ თვითონ მონაწილე უნდა გამხდარიყო ან თუნდაც თვითმხილველი ამ უბანზე ერთ-ერთი საბარგო მატარებლის ბანდიტური გაჩერებისა. არა, მატარებლის გაძარცვას არავინ აპირებდა, მაგრამ მადევრებს საშუალება ეძლეოდათ ვაგონებში შემხტარიყვნენ, შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად წარიმართებოდა. შემდეგ მატარებელში მიმალულნი გზას განაგრძობდნენ...

მატარებლები მიდიოდნენ და მიდიოდნენ. შემდეგ ჩამოდგა ხანგრძლივი პაუზა და სრული სიჩუმე. აბღიას ლამის ძილმა წაართვა თავი, მაგრამ ამ დროს გაისმა სტვენა. პეტრუხამ მიაყურადა, თვითონაც დასტვინა და პასუხად ისევ გაისმა სტვენა.

— აბა, აქ მშვიდად მელოდეთ, — თქვა პეტრუხამ. — მე კი წავალ, მეძახიან, უჩემოდ ფეხი არსად გაადგათ, გაიგე, აბღია, გაიგე, ლიონკა, მატარებლის გაჩერება არც ისე ადვილია. გოგრა უნდა გაანძრიო.

თქვა ეს პეტრუხამ და გაუჩინარდა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. უცნაურად გამოიყურებოდა. რაღაც უჩინარი ცვლილება ეტყობოდა. გაიძვერულად იცქირებოდა, აბღიას თვალებში არ უყურებდა. აბღია ასეთ შემთხვევებში ეჭვებს და უსარგებლო ფიქრებს თავს არიდებდა — ვინ იცის, რა მოგეჩვენება, იქნებ კაცს, ვოქვით, უცებ მუცელი ასტკივდაო... ამიტომ მშვიდად იკითხა:

— რაო, პიოტრ, როგორაა საქმეები?
 — ჯერ არა უშავს, ნორმალურადაა. მალე საქმეს შევუდგებით.
 — მატარებელს გავაჩერებთ?
 — მაშ. ყველაზე ნაღდი მატარებლით წასვლაა. ყველაფერს კი სჯობს შე-
 მადგენლობა სადგურში შეღამებულზე ჩავიდეს და სათნობარს კლიანდაგზე
 დადგეს.

— თურმე რა ყოფილა!
 ისინი გაჩუმდნენ. პეტრუხამ სიგარეტს მოუკიდა, მოქაჩა და სხვათა შო-
 რის თქვა:

— აქ ერთ ჩვენს მეგობარს ფეხი გადაუბრუნდა. გრიშანი ჰქვია. ახლა ვნა-
 ხე, არ გაუმართლა გრიშანს, ამ ფეხის გადამკიდე რას მოაგროვებ, კაცი ჯო-
 ხით დადის. ცუდ გუნებაზეა, რასაკვირველია. ჰოდა, იქნებ ცოტა-ცოტა ვუწი-
 ლალოთ ყველამ, რამდენიც ვიქნებით ჩვენ აქ, ერთი ათი კაცი მოვქუჩდებით
 და ვუწილალოთ. ყველანი ცოტ-ცოტას მივცემთ ანაშას და ვიხსნით კაცს.

— კი, ბატონო, — მიუგო აბდიამ. — ლიონკას აგერ სძინავს, მაგრამ, მე
 მგონი, არც ეს იწუწურაქებს.

— ო, ლიონკა ჩვენი ბიჭია! შენ კი, აბდია, იქნებ გრიშანთან წასულიყავი
 და გესაუბრა. წიგნიერი კაცი ხარ, გუნებას გამოუკეთებდი დაკოჭლებულს...

— მთავარი სადღაა, იქ ხომ არ იქნება? — დაუფიქრებლად ჰკითხა აბ-
 დიამ.

— რა გააჭირე საქმე ამ მთავარის წარამარა ძახილით, — გაბრაზდა პეტ-
 რუხა, — რა ვიცი სადღა? მე შენ გრიშანზე გელაპარაკები, შენ კი მთავარი ავი-
 ჩემებია. თუ საჭირო იქნა, მოგვძებნის, თუ არა, ჩვენ არაფერი გვეკითხება. ნე-
 ტა რას წუხხარ გაუთავებლად?

— კარგი, გეყოფა. უნებლიეთ გკითხე, დამშვიდდი, ისე, გრიშანი მაინც
 სადღაა? რომელ მხარეს?

— აი, იქით, წადი ეგერ, იქაა, ჩრდილში, ბუჩქის ძირას ზის. წადი, წადი!
 აბდიაც იმ მხარეს წავიდა და გრიშანი დაინახა. გრიშანი ბალახში დადგ-
 მულ გასაშლელ პატარა სკამზე იჯდა, ხელში ჯოხი ეჭირა. შუბლს პატარა კეპი
 უფარავდა. მოძრავი კაცი ჩანდა. აბდია ჯერ მისულიც არ იყო, რომ უკან
 მოიხედა და მუშტში ჩაახველა. მოშორებით კიდევ ორი იჯდა. სულ სამნი იყვ-
 ნენ და აბდია მიხვდა: მთავარი სწორედ ეგ იყო... ნაბიჯი შეანელა, იგრძნო,
 როგორ დაუარა ტანში სიცივემ და გულმა ბაგაბუგი დაუწყო...

მეორე ნაწილი

I

— გაუმარჯოს დაზარალებულს. — თქვა აბდიამ რაც შეიძლება ჩვეულებ-
 რივად, ცდილობდა ამით აჩქარებული გულის ძგერა გაენელებინა.

გრიშანი მეთევზის გასაშლელ პატარა სკამზე იჯდა და ჯოხს ათამაშებდა.
 აბდიას მისალმებაზე ცალი თვალი მოჭუტა.

— კი ბატონო, გაუმარჯოს, მაგრამ ვინ მესალმება?

— ვინც ჯერ შენი ჯანმრთელობა უნდა მოიკითხოს.

— ა, თურმე რა ყოფილა! დიდად მადლობელი ვარ, ერთობ მადლობელი
 ვარ, თუმცა მხოლოდ ჯერჯერობით კითხულობ. უკაცურ ტრამალში ასეთი ყუ-

რადღებდა ორმაგად ძვირფასია. დიახაც! ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ, ასე არაა?

„ეს კი ენამჭევრი ყოფილა და თუ ნაკითხიცაა, უბედურებაა, არ არის არ მოველოდი, მართლა არ მოველოდი. კოკობზიკობს, მჭევრმეტყველად მიაქვს თავი, — გაიფიქრა აბდიაშ, — რას ნიშნავს ეს? თამაშობს მთავრად მჭევრმეტყველად გულში ისიც მოინიშნა, რომ გრიშანს ყურადსაღები გარეგნულად მასწავლებლობდა. ყოველივე საშუალო ჰქონდა: ზომიერად წაბლისფერთმიანი იყო, ოღნავ მალალი და გამხდარი, ტანსაცმელი თვალში მოსახვედრი არ ჰქონია, როგორც ჩვეულებისამებრ მისი ასაკის ადამიანებს აქვთ — ეცვა ჯინსი, „ელვაშესაკრავიანი“ ნახმარი პერანგი და ეხურა უბრალო კეპი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეეძლო ჯიბეში ჩაეხურთა. გრიშანს ფეხი რომ არ ჰქონოდა დაშავებული და მსხვილი ნუერიანი ჯოხი არ სჭეროდა, სხვათაგან ძნელად გადამარჩევდი, ხელად გაუჩინარდებოდა ხალხში. ოღონდ მისი თვალები დაგამამსოვრდებოდა, თუ მეტხანს დააკვირდებოდი. ცქაფი თაფლისფერი თვალების გამომეტყველება ნიადაგ ეცვლებოდა, შესაძლოა, თვითონაც ვერ ამჩნევდა, რა ხშირად ჭუტავდა მათ. ცერად იყურებოდა, ახამხამებდა წარბებს, რითაც მოგაგონებდა კუთხეში მომწყვდეულ მტაცებელ ნადირს, რომელსაც უნდა გეცეს, გიკბინოს, მაგრამ ვერ ბედავს და მაინც ფაფხურობს, მუქარით იბლუნძება. ასეთი შთაბეჭდილების შექმნას შეიძლება ხელს უწყობდა გამოხრული ზედასაკბეჩი კბილი, რომელიც ლაპარაკისას უჩანდა. „ხომ შეეძლო ოქროს გვირგვინი გადაეკრა, მაგრამ რატომღაც არ იკრავს, — გაიფიქრა აბდიაშ, — ალბათ არ უნდა ზედმეტი ნიშანი ჰქონდეს“.

— ფეხზე რა დაგემართა? გადაგიბრუნდა? მაშასადამე, ყურადღება მოგიდუნდა, არა? — დაინტერესდა აბდია ზრდილობის გამო.

გრიშანმა გაურკვეველად გააქნია თავი.

— ჰო, შეიძლება ითქვას, ცოტათი დავიშავე. ყურადღება მომიდუნდა. მართალი ხარ შენ, აბდია, მგონი, ასე გქვია, ხომ?

— ჰო, აბდია მქვია.

— იშვიათი სახელია, ბიბლიური, — ხმამალლა ფიქრობდა გრიშანი, თან განგებ წელავდა, აგემოვნებდა სიტყვებს. — აბდია, — ნაღდად სამრევლო ჩამოსხმაა, — დაასკვნა დაფიქრებით. — ჰო, ოღესღაც ხალხი ღვთით ცხოვრობდა. აი, საიდან გაჩნდა რუსეთში პრეჩისტენსკები, ბოგოლეპოვები, ბლაგოვესტოვები. შენ ალბათ გვარიც შესაფერისი გექნება, არა?

— კალისტრატოვი ვარ.

— ხომ ხედავ, ემთხვევა... მე უფრო უბრალო სახელი, პროლეტარული სახელი მქვია — გრიშანი. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაშ, ასე, მართალი ხარ შენ, აბდია კალისტრატოვი, ყურადღება მომიდუნდა. აქედან ცოტა არ იყოს, საშიში დასკვნა გებადება! ადამიანი თუ წმინდაწყლის ბრიყვი არაა, უსათუოდ ძირს უნდა იყუროს. უტვინო თავი ფეხებს აძლევდა ძალასო. როგორც ხედავ, ხეიბარი გაეხდი. ბანალური ამბავია, კაცმა რომ ითქვას.

— და რა მოჰყვა ამას? — ჰკითხა აბდიაშ, მას მხედველობაში ჰქონდა პეტრუხას ნართაული ნათქვამი.

— რათ, ვერ გავიგე, — ყურები ცქვიტა გრიშანმა.

— რადა, ამ ბანალურმა ამბავმა შენი საქმის წარმატებაზე იმოქმედა, ხომ?

— ასე არ უნდა გავიგოთ შენი ნათქვამი? — აუხსნა აბდიაშ.

— ო, ეს სხვა ლაპარაკია! — გრიშანი უმაღლ შეიცვალა, თავი დაანება ფუტ

მსახიობობას. — თუ საქმეზე ლაპარაკობ, მართალი ხარ, მაგრამ, ახლა მთავარი ეგ არაა. ეგ არ მაწუხებს, თორემ რა თქმა უნდა, ამას შენც ხვდები, რატომ დაგიწყებდი ახლა ლაპარაკს, რად მინდა ეს წყალწყალა ქლაყუნა. ერთი სიტყვით, მე აქ განმკარგულბელი ვარ, ანდა, ვთქვათ, არმიის შემდეგ და ჩემთვის ყველაზე მთავარია ფრონტის ხაზი ისე გავარღვიო, ცოცხალი მდებარეობა შევინარჩუნო.

— რით შემოიძლია გამოგადგე ასეთ შემთხვევაში? და საერთოდ უპრიანი მოსაუბრება, — შესთავაზა აბდიამ. — მეც ხომ სწორედ ამ ცოცხალ ძალაზე მაქვს სათქმელი...

— ჰო, რაკი ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, კი არ უნდა მოვისაუბროთ, მოვილაპარაკოთ, — დააზუსტა გრიშანმა. — მე სწორედ ეს მქონდა მიზნად. აი, მაგალითად, ასე ვთქვათ, ჩვენ შორის იბადება კითხვა, — ეშმაკურად გადაუკრა გრიშანმა. მან ცოტა ხანი იყუჩა, შემდეგ იმ ორ მადევარს, რომლებიც განზე ისხდნენ და საუბარში არ ერეოდნენ, უბრძანა: — რას უზიხართ აქ უსაქმოდ. გასწით, მოემზადეთ!

მადევრებიც მდუმარედ წავიდნენ იმის შესასრულებლად, რაზეც, ეტყობა, წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი. ბრძანების გაცემის შემდეგ გრიშანმა საათს დახედა.

— ერთ საათში დავიწყებთ ჩახდომის ოპერაციას. ნახავ, როგორ კეთდება ეს, — აღუთქვა აბდიას. — აქ სიმკაცრეა. ისეთი დისციპლინა გვაქვს, როგორც დესანტში. ჩვენ კი სწორედ დესანტი ვართ, სამშობლოსათვის თავდადებული დესანტი. ღირსეული დესანტი. შენც ისე უნდა იმოქმედო, როგორც გიბრძანებენ, ყოველგვარი „შემოძლია“-„არ შემოძლიას“ გარეშე. თუ ყველანი საჭიროებისამებრ ვიმუშავებთ, სალამოს იმ ჩვენს უალბაკ-საზში ჩავალწევთ.

გრიშანი მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა. შემდეგ ღვარძლიანად შეხედა აბდიას და ჩაიციხა, რის დროსაც გამოხრული კბილი გამოუჩნდა:

— ახლა კი მთავარზე ვილაპარაკოთ. იმაზე, თუ რამ მოგიყვანა ჩვენთან. ნუ აჩქარდები, ნუ ასწრაფდები. ჰო, ეგრეთ წოდებულ დამნაშავეთა სამყაროში, სადაც უცნაურად აღმოჩნდი (რაზეც შემდგომ კიდევ გვექნება ლაპარაკი), შენი ექსპოზიცია ასეთია: მადევარი ხარ, ჩვენთანა ხარ შეკრული და ძალიან ბევრი რამ იცი. თითქოს ბრიყვს-არა ჰგავხარ, მაგრამ ხომ თვითონ ამოყავი თავი ხაფანგში. ჰოდა, ახლა წყნარად იყავი, ჩემი დიდი ნდობა არანაკლებ დიდ ფასად დაიმსახურე.

— რას გულისხმობ?

— ვფიქრობ, თვითონ მიხვდები...

— მიხვედრა ერთია, პირდაპირ თქმა — მეორე.

ორივე გაჩუმდა, ელოდნენ, როდის ჩაიხრიგინებდა მატარებელი, — თითოეული თავისებურად ემზადებოდა ახლა უკვე გარდაუვალი ორთაბრძოლისათვის. აბდიამ იმ წუთს გაიფიქრა, რა უცნაურად ეწყობა ადამიანთა ურთიერთობანი: აქაც კი, გაშლილ ტრამალში, სადაც თითქოს ყველა თანასწორია, სადაც ყველას ერთნაირი შანსი მოეძვეება, ყველას ერთნაირად ემუქრება მარცხი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ხოლო თუ ბედმა გაუღიმათ, ერთნაირი წარმატება ხვდებათ წილად, ადამიანებმა საკუთარ სისხლივით თან მიაყუთლეს უძლევი კანონები, რომელთა თანახმად კერძოდ გრიშანს რალაც დაუწერელი უფლება აქვს გამგებლობისა, ვინაიდან აქ ისაა ყველაფრის ბატონ-პატრონი.

— მაშ, შენ ბრძანებ, პირდაპირ ვილაპარაკოთო, — დაარღვია სიჩუმე გრიშანმა. — კეთილი, — გაურკვეველად ჩააგრძელა და უცებ, თითქოს გაბნეულად, ცბიერად დაუმატა: — მისმინე, მგლები მართლა დაგესხნენ თუ არა?

— ჰო, მაგარი ამბავი იყო. — დაუდასტურა აბდიამ.

— ხომ არ გეჩვენება, აზრია კალისტრატოვ, რომ ბედმა სწორედ ჩემთვისაა ტომ შეგინარჩუნა, ახლა მე რამდენიმე კითხვაზე მიბასუხო? — გაუღიმა გრიშანმა და გამოხრული კბილი გამოიჩინა.

— ვთქვათ, ასეა.

— მაშ, მორჩი ლაყაფს. უნდა ამიხსნა აქ, ახლავე, ადგილიდან ფეხმოუცვლელად: რას მიმტუტებ ბიჭებს?

— ერთი შესწორება, — შეაწყვეტინა აბდიამ.

— რა შესწორება? რა შესწორება შეგაქვს კანონპროექტში?

— ვცდილობ, ისინი ჭეშმარიტ გზაზე დავაყენო, ხოლო, მაშასადამე, „ამტუტება“ ამას არაფრით არ ესადაგება.

— ამეებს მოეშვი, ამხანაგო კალისტრატოვ, ყველას თავისებურად ესმის ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი. ამ ოინებს თავი დაანებე. აქ კამათში ვარჯიშის ადგილი არაა. მინდა ვიცოდე, რის გაგება გსურს, რა გნებავს გამოადნო შენი თავისთვის, წმინდაო მამაო?

— შენ გულისხმობ რაღაც პირად სარგებლობას, არა?

— უსათუოდ, მაშ, სხვა რა უნდა ვიგულისხმო? — ფართოდ გაშალა ხელები გრიშანმა და კმაყოფილებით დამცინავად გაიღიმა.

— თუ ამას გულისხმობ, არაფრის, სრულიად არაფრის გამოდნობა არ მნებავს. — მოუჭრა აბდიამ.

— ჩინებულია! — თითქმის სიხარულით შეტყვირა გრიშანმა. — უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ! ყოველივე ერთმანეთს ემთხვევა. მაშ, გამოდის, რომ იმ შეშლილი იდიოტების ბრწყინვალე ჩილაგის წარმომადგენელი ხარ, რომლებიც...

— შესდექ! ვიცი, რის თქმაც გინდა.

— მაშ, მუინყუმში წამოხვედი, როგორც ანაშის მომპოვებელი, შემოგვიძვერი, გაგვიშინაკაცდი, და ეს გააკეთე არა იმიტომ, რომ დიდი ფული ქრისტესავეთ შეგიყვარდა, არა იმიტომ, რომ არსად წაგესვლებოდა, როცა სემინარიიდან გამოგაგდეს და ყოველი გზა მოჭრილი გქონდა? იმ მღვდლების ადგილზე მე შენ ხელად ჭიტლაყის კვრით გამოგაბუნძულებდი — შენ ხომ ასეთი, როგორცა ხარ, მათაც არ სჭირდება მღვდლები ხომ ძველებურად მიერეკებიან, შენ კი ყველაფერს გულით, სერიოზულად ეკიდები...

— ჰო, სერიოზულად შენც სერიოზულად მომეკიდე. — განუცხადა აბდიამ.

— რატომაც არა! გგონია, შენი არ მესმის, მე კი კარგად გხედავ, რაც ხარ, დარტყმული ხარ, საკუთარი იდიოტიზმის ფანატიკოსი. ამიტომაც წამოხვედი აქეთ, თორემ აბა სხვა რა ძალა გადმოგაგდებდა? ჩამობრძანდი, მაშასადამე, კეთილშობილური მიზნით, ჩამობრძანდი, როგორც მესია, რომ თვალუბანგით მოვაჭრეებს და სპეკულანტებს, ჩამოხვედი, რათა გაავრცელო ძველისძველი მხსნელი იდეები, რომელთა გაცვეთილი ჭეშმარიტებანი შარდის სუნით იგრძნობა ცხრა მთას იქითაც. ჩამოხვედი, რათა მოგვაშლევინო სიბოროტი, რომ მოვიწინაოთ, გარდავიქმნათ, რომ ტოტალური შეგნების შენ მიერ

გალმერთებული სტანდარტები მივიღოთ. აქი დასავლეთიცი ამტკიცებს, თქვენში ყველა ერთ თარგზე აზროვნებსო, — გრიშანი უცებ ფეხდაშავებული კაციისთვის შეუფერებელი სიმარდით წამოდგა ტილოს სკამიდან და აბდიასკენ გააბიჯა, გაცეცხლებული სახე ლამის სახეზე მიადო. — შენ კი მაცხოვარე მისარო, გიფიქრია, რა ძალა გიპირისპირდება?

— მიფიქრია, ამიტომაც ვარ აქ. და გაფრთხილებ: შენს მიმართ მივიღწიო თქვენსავე სასარგებლოდ, რაც უნდა დამიჯდეს, ნუ გიკვირს.

— ჩვენსავე სასარგებლოდ! — დაიმანჭა გრიშანი. — არხეინად იყავი, არ მიკვირს, რად უნდა გამაკვირვოს იმან, რისთვისაც ჭკუაზე შეირყა ჯერ კიდევ ის, ვინც ჯვარზე აცვეს, ადამიანთა მოდგმის მაცხოვარი... ჯვარზე ხელები გაუჭიმეს, მიაღურსმნეს, თავი ჩაჰკიდა, ტანჯული სიფათი მიიღო და აჰა, — დატკბით, იტირეთ და წუთისოფლის დასასრულამდე თაყვანი მეცითო. მავანმა და მავანმა ჭკუის კოლოფმა, იცი, გვარიანად მოიგონა საუკუნო საქმე — ჩვენივე თავისგან გვიხსნან ჩვენ! მერე რა, ვინ და რა იქნა დახსნილი ამ წუთისოფელში? მიპასუხე! რაც გოღვოთამდე იყო, ახლაც ისევეა ყოველივე. სულ იგივეა ადამიანი, ადამიანში მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. ჩვენ კი სულ ველოდებით, რომ ვიღაც მოვა და გვიხსნის ცოდვილებს. აი, შენდა, კალისტრატოვილა აკლდი ამ საქმეს. ჰოდა, გამოგვეცხადე კიდევაც. გამოგვეცხადე და უმაღლატრიალდი, — გრიშანს სახე დამცინავად დაემანჭა. — კეთილი იყო თქვენი მობრძანება, ახალო ქრისტევ!

— ჩემზე შეგიძლია, რაც გინდა ის ილაპარაკო, მაგრამ ქრისტეს სახელს ცუდად ნუ ახსენებ! — სიტყვა გააწყვეტინა აბდიამ. — შენ, გალმფოთებს, გაკვირვებს ჩემი აქ გამოჩენა, მაგრამ ეს ვასაკვირი არაა — ჩვენ ხომ უსათუოდ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. დაფიქრდი! ნუთუ ვერ ხვდები? შენ მე თუ არა, სხვა უნდა შეგტაკებოდა უცილობლად. მე კი ეს შეხვედრა გამოვთვალე...

— ალბათ მეც გამომთვალე, არა?

— შენც. ჩვენი შეხვედრა გარდაუვალი იყო. ჰოდა, გამოვცხადდი და დაეტრიალდი, როგორც შენ ამბობ.

— სავსებით ლოგიკურია, დასწყევლოს ეშმაკმა, ჩვენ ხომ ერთმანეთს გვერდს ვერ ავუვლით. აქ ალბათ თავისი არამზადული კანონზომიერებაა. მაგრამ ნუ გიხარია, მაცხოვარო კალისტრატოვ, შენს თეორიას პრაქტიკულად არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ისე, კმარა ფილოსოფოსობა, თუმცა საკმაოდ საინტერესო სუბიექტი ხარ. კმარა, შენი ამბავი გარკვეულია! აი, რას გირჩევ კეთილი გულით, რაკი საქმე ასე შებრუნდა: წადი შენი გზით, კალისტრატოვ, უპირველეს ყოვლისა იხსენი თავი შენი, ახლა ხელს არავინ გახლებს, ხოლო ის, რაც ტრამალში მოაგროვე, თუ გინდა დაარიგე, დასწვი, ქარს გაატანე, შენი ნებაა. ოღონდ იცოდე, ამიერიდან ჩვენი გზები აღარასოდეს შეიყაროს! — თქვა გრიშანმა და ჯოხი მრავალმნიშვნელოვნად დაუკაკუნა ქვას.

— მე კი არ შემიძლია შენი რჩევა ყურად ვიღო. ჩემი მხრიდან ეგ არ მოხდება.

— შენ მართლა ნაღდი იდიოტი ხარ! რა გიშლის ხელს?

— ღმერთისა და ჩემი თავის წინაშე პასუხს ვაგებ თითოეული თქვენგანის გამო... შენ ამას ალბათ ვერ გაიგებ...

— არა, არა! რატომ გგონია? — შეჰყვირა გრიშანმა, რომელიც ისე განრისხდა, ფერი დაკარგა და ხმას აუწია. — სხვათა შორის თეატრალების ოჯახში გავიზარდე და, მერწმუნე, შენი თამაში შევაფასე და გავიგე. მაგრამ ნამეტანი

ხომ არ გაგიტაცა ამ თამაშმა? ნებისმიერი, თუნდაც გენიალური თამაშის შემდეგ ხომ ფარდა ეშვება. ფარდა, ამხანაგო კალისტრატოვ, ახლაც დაეშვება ერთადერთი მაყურებლის თვალწინ. დაშოშმინდი და ნუ მაიძულებს ზედმეტი ცოდვა დავიდო. გასწი, ვიდრე გვიან არაა.

— შენ ცოდვაზე ლაპარაკობ. მესმის, რასაც გულისხმობ, მაგრამ შენ უნდა მოქმედებას საკუთარი თვალით ვხედავდე და თავს ვარიდებდე, უნდა ჩემს იგივე მძიმე შეცოდებაა. ჩემთვის სულაც არაა სულ ერთი, რა მოუვა, ვთქვათ, მცირეწლოვან ლიონკას, პეტრუხას და შენ გარშემო შემოკრებულ სხვა ბიჭებს. მათ შორის შენც.

— გაგიყდები კაცი! — შეაწყვეტინა გრიშანმა. — რატომ აძლევ თავს ჩვენს ცხოვრებაში ჩარევის უფლებას? ბოლოს და ბოლოს ყველა უფლებამოსილია თავისი ბედი თვითონ განაგოს. შენც პირველად გხედავ ჩემი ცხოვრების გზაზე. მერედა ვინ ხარ, რომ ჩემზე და სხვებზე ზრუნავ, თითქოსდა ზეგარდმო გაქვს მონიჭებული რაღაც უფლებამოსილებანი. გასწი აქედან! და ბედს ნუ სცდი. თუ დარტყმული ხარ, ღმერთი შეგეწიოს, ჩვენ კი როგორმე იოლას გავალთ უშენოდ. გაიგე?!

— სამაგიეროდ მე ვერ გავალ იოლას. შენ უფლებამოსილებას ითხოვ? ჩემთვის მანდატი არავის მოუცია. სიმართლე და მოვალეობის შეგნება — აი, ჩემი უფლებამოსილებანი. შენ უფლება გაქვს მათ ანგარიში გაუწიო ან არ გაუწიო, მე კი მათ განუხრელად ვასრულებ. შენ ახლა განაცხადე, ყველა უფლებამოსილია თავისი ბედი თვითონვე განაგოსო. შესანიშნავად ღღერს, მაგრამ იზოლირებული ბედი არ არსებობს, არ არის ერთი ბედის მეორისგან განმაცალკევებელი მიჯნა, გარდა დაბადებისა და სიკვდილისა. ხოლო დაბადებასა და სიკვდილს შორის ყველანი ერთმანეთში ვართ გადაბლართულნი, მორგვის ძაფივით. შენ ხომ, გრიშან, და მათ, ვინც შენს ხელქვეით აღმოჩნდა, ამ ტრამალებიდან ახლა გამორჩენის მიზნით ანაშასთან ერთად უბედურება და განსაცდელი მიგაქვთ სხვა ადამიანებთან. წარმავალი ცთუნების შედეგად თქვენს წრეში, სასოწარკვეთილებისა და ზნედაცემულობის წრეში, ადამიანებს ითრევთ.

— შენ კი რომელი ჩვენი მოსამართლე ხარ? განა შენ უნდა განსაჯო, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვიქცეთ?

— სულაც არა ვარ მოსამართლე. ერთი თქვენგანი ვარ, მაგრამ მხოლოდ...

— რა „მაგრამ მხოლოდ“?

— მაგრამ მხოლოდ მე მესმის, რომ მძლავრ არის ღმერთი, როგორც სინდისის და კეთილმოწყალების უზენაესი საზომი.

— ისევ ღმერთი! მერედა, ამით რა გინდა კიდევ გვითხრა?

— ის, რომ ღვთის სიკეთე ჩვენს ნება-სურვილში ვლინდება. ღმერთი ჩვენშია, ჩვენი შეგნების მეშვეობით მოქმედებს ჩვენზე.

— რა საჭიროა საქმის აგრე გართულება? მერედა, რა გამომდინარეობს აქედან? რას მოგვეცემს ეს?

— როგორ თუ რას! ადამიანი ხომ თავის თავს გონების ძალის წყალობით ისევე განაგებს, როგორც ღმერთი. აბა, რა არის ბიწიერების გულწრფელი შეგნება? ჩემი აზრით, ესაა ბოროტების დაგმობა ჩვენს არსში ღმერთის დონეზე. ადამიანი თვითონ განსაზღვრავს ახალ შეხედულებას საკუთარი არსის შესახებ.

— რით განსხვავდება შენი შეხედულება მასების შეგნებისაგან? ჩვენ კი ამ

შეგნებას ვაფუძვლებით, რომ ბრბოს ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ, ჩვენ თქვენი საფერნი არა ვართ, ჩვენ ჩვენთვის ვართ.

— შეცდომაა, თავისუფლება მხოლოდ მაშინაა თავისუფლება, როცა კანონის არ ეშინია, თორემ ფიქცია იქნება. შენს თავისუფლებას სულ შიშისა და კანონისმიერი დასჯის მუდმივი ზაფრანა თრგუნავს... გიგლომისეა

— მერე რა? შენ რა გენალვლება — ეს ხომ ჩვენი არჩევანია და არა შენი?

— დიახ, შენია, მაგრამ იგი მარტო შენ არ გეხება, გაიგე, არსებობს გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა, აქვე, პირდაპირ ტრამალში ნათელი ცის ქვეშ მოინანიეთ, თავს ერთხელ და სამუდამოდ მიეცით სიტყვა, რომ ამ საქმეს ზურგს აქცევთ, უარს იტყვით გამორჩენაზე, რასაც შავი ბაზარი გაირდებათ, უარს იტყვით მანკზე, ეთეთ გზა შერიგებისა საკუთარ თავთან, აგრეთვე იმასთან, ვისაც უფალი ჰქვია და ერთიანი გონებით გვაერთიანებს...

— მერე რა იქნება?

— მერე თქვენ ისევ შეიძენთ ადამიანურ არსს.

— ლამაზად ეღერს, დალახვროს ეშმაკმა! მერედა, რა უბრალოდ! — გრიშანი მოიღუწა, იგი ნუფრებიან ჯოხს ათამაშებდა, შეიცადა, ვიდრე ფერდობს მოფარებული კიდევ ერთი სატვირთო მატარებელი ჩაიჭროლებდა, როცა ხმაური მიწყდა, გულახდილობის საღერღელაშლილ აბდიას ჩამომდგარ სიჩუმეში შეკაცრად, დამცინავად მიაბეჭტა თვალები და უთხრა: — აი, რა, ფრიად პატივცემული აბდია, მე მოთმინებით მოვისმინე შენი მსჯელობა, როგორც იტყვიან, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, და დიდად უნდა გაგიცრუო იმედი: ცდები, თუ თვითკმაყოფილებით ფიქრობ, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ელაპარაკო ღმერთს შენს ფიქრებში, რომ მე კონტაქტი არ გამაჩნია მასთან, რომ მარტოოდენ შენა გაქვს ასეთი პრივილეგია, შენ — სამართლიანად მოაზროვნეს, მე კი — არა, აი, ახლა კინალამ სული შევიგუებდა გაკვირვებისაგან, სმენა მოგჭრა იმან, რომ ღმერთთან კონტაქტი შეიძლება ჰქონდეს ჩემისთანასაც, ხომ?

— სულაც არა, უბრალოდ სიტყვა „კონტაქტი“ აქ, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა, პირიქით, მიხარია, რომ ეს შენგან შესმის, იქნებ შენში რალაც შეიცვალა?

— არამც და არამც! რა გულუბრყვილობაა, და იცოდე, კალისტრატოვ, — ოღონდ ენა მუცელში არ ჩაგივარდეს, — ღმერთთან მე ჩემი მისასვლელი გზა მაქვს, მასთან სხვანაირად შევდივარ, უკანა შესასვლელიდან, შენი ღმერთი არც ისე მომთხოვნი და მიუწვდომელია, როგორც გეჩვენება...

— და რა შედეგს აღწევ, როცა ღმერთთან უკანა შესასვლელიდან შედიხარ?

— არანაკლებ შედეგს, ვიდრე შენ, მე ადამიანებს ვეხმარები იგემონ ბედნიერება, კააფში შეიცნონ ღმერთი, ვაძლევ იმას, რისი მიცემაც თქვენ არ შეგიძლიათ არც ქადაგებით, არც ლოცვებით... მე ჩემს ხალხს ღმერთთან უფრო ოპერატიულად ვაახლოებ, ვიდრე სხვა გააკეთებს ამას, ვინც უნდა იყოს.

— აახლოებ ფულით ნაყიდ ღმერთთან? საწამლაგის დახმარებით? ბანგის მეშვეობით? და ამას ღმერთის შეცნობის ბედნიერებას უწოდებ?

— აბა რა? ალბათ ფიქრობ, ეს ღვთის გამობა, მკრებელობააო! რა თქმა უნდა! მე ვბღალავ შენს სმენას, შენი კონკურენტი ვარ, გესმის! გზა გადაგიჭერი, დიახ, დასწყევლოს ეშმაკმა, დიახ, ფული, დიახ, ნარკოტიკები! მაშ, თუ გინდა იცოდე, ყველაფერი ფულია, რა გგონია, ფულს განსაკუთრებული ღმე-

რთი ჰყავს? რაო, ეკლესიებსა და სხვა დაწესებულებებში ფული არ გჭირდებათ?

— ეს სულ სხვა ამბავია!

— მოკეტე! ნუ ვაახურე! ამქვეყნად ყველაფერს ყიდიან, ყველაფერს ყიდილობენ, შენს ღმერთსაც მათ შორის. მაგრამ მე მაინც ხალხს ვაძლევ იკაიფოს და განიცადოს ის, რასაც თქვენ სიტყვებით, თანაც მხოლოდ იმ ქვეყანას ჰპირდებით. მხოლოდ კაიფი განიჭებს ნეტარებას, სიმშვიდეს, თავისუფლებას სივრცესა და ღრმში. ვთქვათ, ეს ნეტარება წუთიერია, ვთქვათ, მოჩვენებითია, ვთქვათ, მხოლოდ ჰალუცინაციებში არსებობს, მაგრამ ბედნიერებაა და მოიბოვებ მხოლოდ ტრანსის ღრმს. ხოლო თქვენ, წმინდანებს, ამ თავის მოტყუების შესაძლებლობაც კი არა გაქვთ.

— ერთი რამ მართალი თქვი — ეს ყველაფერი თავის მოტყუებაა.

— აბა როგორ გინდოდა? ხუთიოდე კაპიკად გეპოვა სიმართლე? ასე არ ხდება, წმინდაო შამაო! რაკი სხვა ბედნიერება არ არსებობს, კაიფი მისი მწარე შემცვლელია.

— მერედა, ვინ ვთხოვს შეცვალო ის, რაც არ არსებობს! ეგ ხომ ბოროტი განზრახვაა. აი, რა არის ეს!

— ცოტა ფრთხილად, ცოტა ფრთხილად, კალისტრატოვ! მე ხომ, თუ ჩახედები, თქვენი დამხმარე ვარ!

— როგორ?

— როგორ და, ფერისნაირად — აქ საუცნაურო არაფერია! ადამიანს შექმნის დღიდან უამრავი რამ აღუთქვეს, რამდენ საოცრებას არ დაჰპირდნენ დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ: ეს სამოთხე გექნებაო, ეს დემოკრატიაო, ეს თანასწორობაო, ეს ძმობაო, ხოლო ბედნიერება კოლექტივში ყოფნაო, გინდა — იცხოვრე კომუნებში, სიბეჯითისთვის კი ყოველივესთან ერთად ედემში გაცხოვრებო. სინამდვილეში რა აღმოჩნდა? მხოლოდ სიტყვების რახარუხი. მე, სამაგიეროდ, თუ გინდა იცოდე, გულს ვაყოლებინებ წყურვილდამცხრალთ, საქმეაწეწილთ. მე მეხამრიდი ვარ, ადამიანები უკანა შესასვლელით მიმყავს აუხდენელ ღმერთთან.

— ო, შენ უფრო საშიში ყოფილხარ, ვიდრე მეგონა! იმის წარმოდგენაც კი შეგზარავს კაცს, რა მსოფლიო შფოთის დატრიალება შეგეძლო! შენში ალბათ პატარა ნაპოლეონი ჩაკვდა.

— აუწიე! რატომ დიდი არა? თავისუფლება მომცენ და ვიცი, როგორ გავშალო ფრთები! უცებ რომ დასავლეთში აღმოვჩნდეთ, განა მართო ასეთ საქმეებს დაეტრიალებდი. მაშინ კამათს ველარ გამიბედავდი და სიკეთეს და ბოროტებას ჩემი თვალით გაზომავდი...

— არ მეეჭვება.. მაგრამ საშინელსაც ვერაფერს ვხედავ შენს სიტყვებში. ახალს არაფერს ამბობ. შენ, გრიშან, იმის ხარჯზე მუქთახორობ, რომ ადამიანებმა რწმენა დაკარგეს, ამის კულტივირება კი ერთობ ხელსაყრელია. ყველაფერი ცუდია, ყველაფერი სიცრუეა, ხოლო რაკი ასეა, — კაიფში ჰპოვე ნუგეში. აბა ერთი სცადე და, როცა ადრინდელს ყოველივეს გმობ, ადამიანებს სამყაროზე ახალი შეხედულება შეუქმენი! რწმენა კაიფი არ გეგონოს, რწმენა მრავალი თაობის ტანჯვის პროდუქტია, რწმენისთვის ათასწლობით და ყოველდღიურად უნდა გაისარჯო. შენ კი სამარცხვინო რეწვით გსურს შეცვალო დღის და ღამის მონაცვლეობა, მარადიული წესრიგი. დაბოლოს ქება-დიდებათ იწყებ და იძულებული ხდები ლანძღვა-გინებით დაამთავრო — შენ მიერ

ხოტბაშესხმული კაიფის შემდეგ ხომ სიგიჟის ხანა და სულის საბოლოო დეგრადაცია იწყება. ბოლომდე რატომ არ ამბობ სათქმელს? გამოდის, რომ შენი კაიფი პროვოკაციაა: მოჩვენებით ღმერთთან რომ მიდიხარ, იქვე ხარ/ეშმაკის ხელებში ექცევი. რა ვუყოთ ამას?

— არაფერიც. ამქვეყნად ყველაფერს თავისი მიეგება! ისევე, როგორც სიცოცხლეს სიკვდილი მიეგება... ეს ახრად არ მოგსვლია? რატომ გაყურდი? შენ, ღვთისმოსავო, ჩემი კონცეფცია, რასაკვირველია, არ გეჭაშნიკება!

— ანტიქრისტეს კონცეფცია? არამც და არამც!

— ჰა-ჰა! რა არის ეს შენი ქრისტიანობა ანტიქრისტეს გარეშე? მისი წინააღმდეგობის გარეშე? ვის სჭირდება? რის მაქნისია? ჰოდა, გამოდის, რომ მე თქვენთვის აუცილებელი ვარ! თორემ ისე ვის უნდა ებრძოლო, როგორ უნდა აჩვენო შენი იდეების მეომრული სულისკვეთება?

— ო, დიდი გამოქეჩილი ვინმე ხარ! — უნებლიეთ გაელიმა აბდიას. — მზად ხარ წინაუქმობით დაიძვრინო თავი, მაგრამ თუ ენამტყვევრობ, ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ. ანტიპოდები ვართ, ერთმანეთს ვერ ვეთავსებით — ამიტომ მაძევებ აქედან, შენ ჩემი გეშინია. მაგრამ მაინც ვიყინებ: მოინანინე, მადევრები შენი ობობას ქსელიდან გაანთავისუფლე. მე დახმარებას ვთავაზობ.

გრიშანი მოულოდნელად გაჩუმდა. შუბლი შეიკრა, მღუმარედ მოჰყვა ბოლთის ცემას, სიარულში ჯოხს იბიჯებდა. შემდეგ შეჩერდა.

— ამხანაგო კალისტრატოვ, თუ გგონია, რომ შენი მეშინია, ძალიან ცდები. დარჩი, არ გაძევებ. ახლა ჩვენ საბარგო მატარებელზე ასვლას დავიწყებთ. ასე ვთქვათ, ტრანსპორტს ორგანიზებულად დავესხმებით თავს.

— უკეთესია თქვა, ყაჩაღურადო, — შეუსწორა აბდიამ.

— როგორც გერჩიოს, ყაჩაღური თავდასხმა გინდა თქვა და იყოს ყაჩაღური, მაგრამ გაძარცვის მიზნით კი არ ვესხმებით თავს, არამედ იმისთვის, რომ არალეგარულად ვიმგზავროთ. ხოლო ესენი სხვადასხვა რამაა. შენი სახელმწიფო ხომ თავისუფალ მიმოსვლას გვიკრძალავს...

— სახელმწიფოს თავი დაანებე. აბა თქვი, რა გინდა შემომთავაზო?

— განსაკუთრებული არაფერი. ყაჩაღური, როგორც შენ ინებე დაზუსტება, ჩასხდომის დროს, — გრიშანმა რკინიგზისკენ გააქნია თავი, — ყველანი ერთად ვიქნებით, ერთმანეთის თვალწინ. ჰოდა, სცადე, გადაარწმუნო ისინი, მცირეწლოვანი ლიონკები და შეუპოვარი პეტრუხები, იხსენი სული მათი, მაცხოვარო! არაფერით, ერთი სიტყვითაც არ შეგიშლი ხელს. იფულისხმება, რომ აქ არ ვარ. და თუ ამ ხალხის გაყოლიებას, შენი ღმერთისკენ მოქცევას მოახერხებ, მაშინვე გაგეცლები, როგორც დამარცხებისას ეცლებიან ბრძოლის ველს. გამიგე? თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ! — მოუჭრა აბდიამ.

— მაშ, იმოქმედე! ხოლო რაც ჩვენ აქ ვილაპარაკეთ, არავის ეცოდინება. ვიტყვით, რალაც-რალაცებზე ვისაუბრეთ-თქო.

— გმადლობ! მაგრამ მე დასამალი არაფერი მაქვს, — მიუგო აბდიამ. გრიშანმა მხრები აიჩეჩა.

— აბა შენ იცი, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, „შენ იტყვი“.

მაისის ერთ-ერთი ბოლო საღამოს შვიდი საათი იყო, მაგრამ მზე წინანდებურად თვალისმომკრელად და მცხუნვარედ ანათებდა ტრამალის თავზე. საეჭვოდ გაშეშებული ვერცხლისფერი ღრუბლები, მთელ დღეს რომ დაბმუ-

ლებივით იდგნენ და თავდაპირველად უფერულად გამოიყურებოდნენ, საღამოს დაიგრაგნენ, ყოპრალ ზოლად ჩამოაწვნენ ჰორიზონტს და აბდიას გულში აუხსნელი მღელვარების გრძნობა ჩაუბუღეს. ეტყობა, ჰეჰა-ქუხილი ახლოვდებოდა.

მატარებლები კი სულ მოდიოდნენ და მოდიოდნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით. მათი მძიმე თვლების დასვლა და დაგვირგობა და ზანზარებდა. „რამდენი მიწა, რამდენი სივრცე და სინათლეა, ადამიანს კი მაინც რაღაც აკლია, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლება. — რობდა აბდია, ტრამალების უკიდვგანო სივრცეებს რომ თვალს ავლებდა. — ხალხის გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია და მასთანაც უფნა უმძიმს. აი, ახლაც, როგორ მოვიქცე? რა გავაკეთო, რომ გრიშანის ბადეში მოხვედრილი ყველა მადევარი ისე მოიქცეს, როგორც გონება უკარნახებს. და არა ისე, როგორც აიძულებენ თანამზრახველნი იმიტომ, რომ ეშინიათ, ან იმიტომ, რომ თანადასელობის გრძნობა აქვთ, უპირველეს ყოვლისა კი იმიტომ, რომ ძალა არ შესწევთ ამ ნარკოშანიის იეზუიტის გავლენას მოერიონ. არა, იეზუიტი ცოტაა! საშინელი, უსაზარლესი გაიძვერაა. რა ექნა, რა ვიღონო?“

და დადგა ეამი. მადევრები, ვიდრე მატარებელს გააჩერებდნენ, ბალახებსა და ბუჩქებს მოფარებულნი ორ-სამ კაციან ჯგუფებად განლაგდნენ რკინიგზის გაყოლებაზე. პირობითი ნიშანი სტვენა იყო და, როცა შორით, შორეულ მოსახვევში მხოხავი გველივით გამოჩნდა საბარგო მატარებელი, სტვენის გაგონებისთანავე ყველა მოემზადა შესახტომად. ანაშინი ზურგჩანთები და ჩემოდნები ხელთ ჰქონდათ. აბდია პეტრუხასა და ლიონკასთან ერთად რკინიგზის შეკეთებისას მორჩენილი ღორღის ნაყართან გაწევა. მათ შორიახლო იყვნენ გრიშანი და ორი სხვა მადევარი: ერთს, წითურთავიანს, კოლია ერქვა, მეორეს — ცხვირკეხიანს — მახაჩი. ალბათ მახაჩყალიდან იყო და ამიტომ, სხვების შესახებ აბდიამ არაფერი იცოდა, მაგრამ, ცხადია, კიდევ ორმა-სამმა მადევარმა მოხერხებული თავშესაფარი იპოვა და ისინიც გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადებოდნენ. ის ორნი კი, რომლებიც გრიშანმა იმისთვის გაგზავნა, რომ რკინიგზაზე ექიმისათ — ხიდზე ხანძრის ილუზია შეექმნათ და ამით მემანქანე აეძულებინათ მატარებელი გაეჩერებინა, — შორს იმყოფებოდნენ, იქ, სადაც რკინიგზის მაჩვენებელზე „330 კმ“ ეწერა და ლიანდაგი პატარა ხიდზე გადადიოდა. ხიდი გაზაფხულის წყალდიდობისას ჩარეცხილ ღრმბევზე იყო გადებული. სწორედ ამ მოფარებულ ადგილას ჰემიკოსობდა ის ორი, რომელთაც მადევრები დივერსებს ეძახდნენ.

მატარებელი სწრაფად ახლოვდებოდა და აბდია გრძნობდა, რომ ყველა ძალიან ნერვიულობდა: როგორ და რას მოახერხებენ? შეძლებენ თუ არა სწრაფად ახტნენ ვაგონებზე, თანაც როგორი აღმოჩნდება მატარებელი, მთლიანად რომ ცისტერნებისაგან იყოს შედგენილი, სადღა მოიკალათებენ? თუ საშხედრო ეშელონი გამოდგა და დაცვა ეყოლა, მაშინ მოგჭამა ჭირი ყველაფერმა.

ლიონკამ მღელვარებისგან აკანკალებული ხელებით მოუკიდა სიგარეტს. პეტრუხამ მაშინვე მრისხანედ დაუცაცხანა:

— აბა, გადააგდე! შოგალავ, შე დამპალო.

მაგრამ გალურჯებულ-გაფითრებული ლიონკა ისევ ჩქარ-ჩქარა ქაჩავდა სიგარეტს. პეტრუხა მხეცივით ეცა, ღონივრად მოქნეული ხელი თავზე დაქარა და ქუდი გადაუგდო. არც ლიონკა დარჩა ვალში — დარტყმას დარტყმით

უპასუხა, ხერხი იხმარა და პეტრუხას წიხლი ჰკრა. პეტრუხა მთლად გაშმაგდა და გააფთრებული ცემა-ტყეპა გაიძარტა.

აბდია იძულებული გახდა წამომდგარიყო:

— შეწყვიტეთ ჩხუბი, ახლავე შეწყვიტეთ. პეტრუხა, ღიონკას თქვი დაანებე. როგორ არ გრცხვენია!

პეტრუხა კი ახლა აბდიას ეცა გაფთრებით:

— შენ რაღას ეჩრები საქმეში, რეგვენო მღვდელი! რა ჩილიკასავით წამოდექი, შენ ხომ ერთ ვერსზე ჩანხარ! — პეტრუხამ ამ სიტყვებით აბდიას მთელი ძალით მოქაჩა შარვლის ტოტზე და ორივენი — ჩხუბით გაფიცებულნი, აქოშინებულნი — ერთმანეთის ლანძღვით ჩაგორდნენ თავიანთ ადგილებზე.

მატარებელი კი უკვე ახლოს იყო. მადევრების მღელვარება უნებურად აბდიასაც გადაედო. ლაპარაკი არ უნდა, უჩვეულოდ დაძაბული და საშიში წუთი იდგა.

აბდიას ბავშვობიდანვე უყვარდა მატარებლისათვის თვალის გადევნება. ის ხომ ომის შემდგომ ორთქლმავლებს მოესწრო, იმ რომანტიკულ მანქანებს, რომლებიც კვამლის მძლავრ სვეტებს და ორთქლის ბოლქვებს ისროდნენ და კივილით ავსებდნენ მიდამოს, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი თრთოლვით დაუწყებდა ლოდინს მატარებელს — მას ხომ უკანონოდ — და, უფრო მეტიც — ძალად უნდა შეედწია ვაგონში.

წყვილ ლოკომოტივზე გამოძმული მძიმე საბარგო მატარებელი კი სულ უფრო ახლოვდებოდა. მის მოახლოებაზე აბდიას ტანში ყრუანტელმა დაუარა, კანი დაეხორკლა. ძველი ორთქლმავლები ახლანდელ დიზელებს რას შეედრებოდნენ. დიზელებს ძალა შიგნით ჰქონდათ დამალული და ვაგონების თვალუწვდენელ მწკრივს ეწეოდნენ. ურცხვი თვალი კი სულ მიგორავდა და მიგორავდა, ვაგონებქვემოდან მძაფრი ქარი, გუგუნო და თვლების რაკარუკი მოჭროდა. აბდია უცქეროდა გამალებით და თვალდასანახად მოძრავ მატარებელს და არ სჯეროდა, რომ ამ მძიმე და ვეება შემადგენლობის გაჩერება შეიძლებოდა.

ზედიზედ მიჭროდნენ ვაგონები — ვაგონ-ბაქნები, ცისტერნები, ხე-ტყის საზიდები, სატვირთო და დახურული კონტეინერები. აგერ უკვე ნახევარმა მატარებელმა ჩაიჭროლა და აბდიამ გაიფიქრა, მადევრები ვერაფერს შეძლებენ, სულ ტყუილად ფაფხურობენ, წარმოუდგენელია ასეთი სისწრაფით მომავალი უზარმაზარი შემადგენლობის გაჩერებაო, მაგრამ უცებ მატარებლის სიჩქარემ იკლო. აბდია თვალებს არ უჯერებდა: მატარებელი თითქმის გაჩერდა. ამ დროს ყურთასმენის წამლები სტვენა გაისმა, სტვენას სტვენით უპასუხეს.

— წავიდეთ! — ბრძანა პეტრუხამ. — წინ!

მათ ზურგჩანთებს და ჩანთებს დაავლეს ხელი და სვლაშენელებული ვაგონებისკენ გაქანდნენ. ყველაფერი სწრაფად და ელვისებურად ეეთდებოდა, როგორც საფარიდან თავდასხმისას. უნდა ჩასჭიდებოდი ან ხელი წაგველო რამესთვის, მოგესწრო ნებისმიერ ვაგონზე, ნებისმიერ ბაქანზე აფოფხება, ოღონდ ასულიყავი და შემდეგ უკვე ვაგონების სახურავებზე შეგეძლო გადასვლა-გადმოსვლა, უფრო ხელსაყრელ ადგილას მოკალათება. აბდიას თვალში ყველაფერი ისე დატრიალდა, როგორც საშინელ სიზმარში: იგი აქეთ-იქით აწყდებოდა ვაგონების ლამის ცამდე აწვდილი დახშული კედლის წინ, ქვეცნობიერად უკ-

ვირდა, რა მალალი იყო ვაგონები და მაზუთის რა მძაფრს სუნს გამოსცემდნენ თვლები, რომლებიც შეიძლებოდა ყოველ წამს დაძრულაყვენენ, ყოველივეს მიუხედავად, შემდეგ ფაცხაფუცხით მიფოფხავდა ზემოთ, ვილაცას ეხმარებოდა, მასაც ვილაც ეხმარებოდა. მატარებელი ერთი-ორჯერ მუქარით შეჯახგურდა, აღრჭიალდა, აჭრიალდა — აგერ-აგერ თვლებქვეშ მოჰყვებოდნენ — მაგრამ ყველაფერი ისე მოგვარდა, უკეთესი არ იქნებოდა. ზოგჯერ მატარებელი ისევ შეინჯლრა, ისევ სწრაფად გაუტია, რათა დაკარგული დრო აენახლაურებინა, აბღიამ მიმოიხედა და დაინახა, რომ ცარიელ საბარგო ვაგონში იმყოფებოდა თავის განუყრელ თანამოღვაწეებთან — პეტრუხასა და ლიონკასთან ერთად. აქვე იყო გრიშანიც, მარტო ღმერთმა უწყის, როგორ მოახერხა მტკივანი ფეხით ვაგონზე ახტომა. მას თან ახლდა ის ორი მადევარი — მახაჩი და კოლია. ყველას ფერი დაჰკარგვოდა და ქშინავდნენ, მაგრამ სახეზე სიხარული და ემაყოფილება ეტყობოდათ. აბღიას არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე იღბლიანად დასრულდა და ყველაზე რთულმა წუთმა გაიარა. ახლა ანაშას მომპოვებლები ჟალპაკ-საზისკენ მიდიოდნენ, იქიდან კი გზა უკვე დიდი მიწისკენ, დიდი ქალაქებისკენ, ხალხმრავალი ადგილებისკენ მიემართებოდა...

ზუთი საათი უნდა ევლოთ. მადევრებს გაუმართლდათ: მათ მიერ დაპყრობილ ცარიელ ვაგონში ხის ყუთები აღმოჩნდა. ალბათ ვაგონის დაცლის შემდეგ აღარ დაიჭირვეს, ახლა კი მადევრებმა დასაჯდომად გამოიყენეს, გრიშანის ბრძანებით ყველა ისე განლაგდა, გარედან ვერ დაენახათ. ვაგონში სამო სინათლე იქნებოდა, რომ კარი თუნდაც ცალ მხარეს გაეღოთ, მით უმეტეს, მალალი სარკმლები ღია იყო ჰაერის გასაწიავებლად.

მატარებელი პირველად რომელიღაც ასაქცევზე გაჩერდა. მადევრებმა კარი მჭიდროდ დახურეს და გაუჩინდნენ. მატარებლის გასვლას დახუთულ ჰაერსა და სიცხეში ელოდნენ, მაგრამ შემადგენლობასთან არაფერი გამოჩენილა. პეტრუხამ ფრთხილად გაიხედა და გრიშანს მოახსენა — ყველაფერი რიგზეა, ირგვლივ არაფერი ჩანსო, როგორც კი შემხვედრმა სამგზავრო მატარებელმა ჩაიგრიალა, საბარგო ისევ დაიძრა. შემდეგ გაჩერებაზე მახაჩმა მთელი კანისტრა ცივი წყლის შოვნა მოახერხა და ვაგონში ცხოვრება განახლდა — გამოცოცხლდნენ, ორცხობილათი და კონსვერვებით წაიხემსეს და უკვე ოცნებას მიეცნენ, რა მადიანად მიიერთმევდნენ ცხელ საჭმელს ჟალპაკ-საზის სადგურის სასადილოში.

მატარებელი კი თავისი მარშრუტით მიიწევდა ჩუხ ტრამალებში მთების მხარეს...

მაისის იმ ხანაერ საღამოს ჯერ კიდევ სინათლე იდგა. ლაპარაკობდნენ მთისას, ბარისას, მაგრამ ყველაზე მეტად — საჭმელზე, ფულზე. პეტრუხამ თავისი მოხდენილი დიაცი გაიხსენა, რომელიც მურმანსკში ელოდებოდა. ამაზე მახაჩმა წმინდა კავკასიური ექსპრესიით უთხრა:

— მისმინე, პეტრუხა, ძვირფასო, მურმანსკის გარდა ვერსად ახერხებ ქალის შოვნას? რაო, მოსკოვში უკვე არ შეიძლება ცოტას გაიმასქნება? ჰა-ჰა-ჰა! მოსკოვში ქალები არ არიან?

— შენ ჯერ ცხვირი არ მოგიხოცავს, რა გაგეგება ამ საქმისა? — გაუბრაზდა პეტრუხა. — რამდენი წლისა ხარ?

— რამდენ-რამდენის! რამდენისაც ვარ, ყველა წელი ჩემია! ჩვენთან კავკასიაში ჩემისთანები კარგა ხანია ბავშვებს აკეთებენ! ჰა-ჰა-ჰა!

ამ საუბარმა ყველა გაამზიარულა. აბდიაც კი, რომელიც დროდადრო გრიშანს გადახედავდა, უნებლიეთ იღიმებოდა. გრიშანი განზე ჩადა და შიგადაშიგ შემწყნარებლურად ჩაიცინებდა ხოლმე. წინანდებურად თვის გასაშლელ სკამზე მოეკალათებინა და ხელში ისევ ის ნუჩრებიანი ჯიბი ეჭირა. სხვა მადევრებს მხოლოდ იმით თუ ჰგავდა, რომ მათსავით სიგარეტს ეწეოდა.

ასე მზიარულად მიდიოდნენ მადევრები, ეგუებოდნენ ცარიელ საბარგო ვაგონს. ლიონკამ ვაგონის კუთხეში მიიძინა, სხვებიც აპირებდნენ წაძინებას, თუმცა მზე ჯერ კიდევ არ ჩანავლებულიყო ცხრა მთას იქით და ირგვლივ ყველაფერს ანათებდა. მადევრები სიგარეტს აბოლებდნენ, უმნიშვნელო რაღაცაზე საუბრობდნენ. უცებ გაჩუმდნენ. შემდეგ ჩურჩული გააბეს, შიგადაშიგ გრიშანს გასცქეროდნენ.

— მისმინე, გრიშან, — მიმართა გრიშანს მახაჩმა. — ჩვენ აქ, იცი, საერთო კრებაზე გადავწყვიტეთ წავიკაიფოთ. ჰა, რას იტყვი? დრო გვაქვს, წავიკაიფოთ? მე, ძვირფასო თამადა, ისეთი მოსაწევი მაქვს. — იფ-იფ, მხოლოდ ბალდადელ ქურდს თუ მოუწევია.

გრიშანმა სწრაფად შეხედა აბდიას: როგორაა საქმეო? ცოტა ხანს იყუჩა, შეიცადა და მახაჩს მიუგო:

— მიდიო!

ყველა გამოცოცხლდა, მახაჩს შემოეხვივნენ. მან კი ქურთუკიდან ამოაძვრინა სწორედ ის მოსაწევი, რომლის მოწევა მხოლოდ ბალდადელ ქურდს შეეძლო. დიდი პაპიროსი გააბნია, პირველმა მოქაჩა და შემდეგ წრეზე ჩამოატარა. ყოველი მათგანი მოწიწებით ისუნთქავდა ანაშას კვამლს და პაპიროსს სხვას გადასცემდა. როცა პეტრუხას ჯერი დადგა, მან თვალები დახუჭა და ხარბად დაარტყა ნაფაზი, შემდეგ პაპიროსი აბდიას გაუწოდა.

— აბა, აბდია, შენც ჩაყლაპე ცოტა! ჰა, მოსწიე! ნუ ინაზები, ღმერთმანი, გოგო ხომ არა ხარ?

— არა, პიოტრ, არ მოვწევ და ნუც ეცდები მომაწევიო! — ცივი უარი უთხრა აბდიამ პეტრუხას.

პეტრუხამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო:

— რა ხუცესიც იყავი, ისევ ის დარჩი! დიდი ამბავი, ამ ხუცეს-ნახუცარს დამიხედეთ! გვინდა, კარგი ვაგივეთოთ, შენ კი სულში იფურთხები.

— მე შენ სულში არ ვაფურთხებ, პიოტრ, არა ხარ მართალი!

— შენ ლაპარაკში, აბა, ვინ ვაჯობებს! — ხელი ჩაიქნია პეტრუხამ, კიდევ ერთხელ მოქაჩა პაპიროსი და მახაჩს გადასცა. მან კი კავკასიური სიმარდით გრიშანს გაუწოდა.

— ახლა კი, ძვირფასო თამადა, შენი რიგია! შენი სადღეგრძელოა.

გრიშანმა მღუმარედ მოიცილა მისი ხელი.

— როგორც გენებოს, უფროს-ბატონო! — დანაწებით გააქნია თავი მახაჩმა და პაპიროსმა ისევ ჩამოუარა წრეს. ლიონკამ აჩქარებით მოქაჩა, შემდეგ წითურმა კოლიამ, შემდეგ პეტრუხამ და ისევ მახაჩმა. მალე მწევლებს გუნება-განწყობილების შეცვლა დაეტყოთ, თვალები ხან ებინდებოდათ, ხან უბრწყინდებოდათ, ტუჩებზე უმაზეზო, ბედნიერი ღიმილი ეფინებოდათ, მხოლოდ პეტრუხამ ვერ დაივიწყა წყენა, სულ აღმაცერად, უკმაყოფილოდ უცქეროდა აბდიას და ცხვირში ბურღლუნებდა, მღვდლები სულ ქვემპრომები არიანო.

გრიშანი კუთხეში თავის სკამზე იჯდა და მშვიდად სუბერმენის შემწყნარებლური, ირონიული, თავხედური ჩაცინებით ადევნებდა თვალს წეგის სენსს. ღია კართან მდგომ აბდიას დროდადრო სწრაფად, გამანადგურებლად გადახედავდა ხოლმე. მისი მზერა იმაზე მეტყველებდა, რომ კმაყოფილებას ჰგვრიდა, რაც აქ ხდებოდა, და უთუოდ ხვდებოდა, რად უღიჭდებოდა აბდიას ფერი ალალმართალ აბდიას.

აბდია მიხვდა, რომ როცა გრიშანმა მადევრებს გზაში კაიფის ნება მისცა, ამით საჩვენებელი სპექტაკლი მოუწყო: ხედავ, როგორი ამბავია? ხედავ, რა ძლიერი ვარ და რა უძლურია შენი მაღალი სწრაფვანი ბოროტებასთან ბრძოლაშიაო?

აბდიას თავი ისე ეჭირა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რას აკეთებდნენ მადევრები, მაგრამ გულში შფოთავდა. იტანჯებოდა რომ ძალა არ შესწევდა გრიშანს წინ აღსდგომოდა, არ შეეძლო ისეთი პრაქტიკული რამ მოემოქმედნა, რაც მადევრებს გრიშანის ზეგავლენას გამოგლეჯდა. სწორედ ამ დროს თავშეკავებულობამ უღალატა. ველარ მოერია სულ უფრო მოძალებულ სიბრაზეს. მოთმინების ძაფი კი ისევ პეტრუხამ გაუწყვიტა. მან შესთავაზა პაპიროსის ნარჩენი მოეწია, რომელიც ყოველ მოქაჩვაზე სულ უფრო ინერწყვებოდა, ვიდრე ბოლოს ავისმომასწავებელი ყვითელ-მწვანე ფერი არ დაედო.

— პა, აბდია, ცხვირ-პირს იქით ნუ იბრუნებ, ჩვენო ხუცო! მე ხომ წრფელი გულით გაძლევ, ამ ნარჩენშია მთელი სიამე, ტვინს გადაგიტრიალებს, — უჩხიკინებდა პეტრუხა.

— გული ნუ გამიწყალე! — სიტყვა გააწყვეტინა გაღიზიანებულმა აბდიამ.

— გული ნუ გამიწყალე კიდევ რაღაა! შენთვის სულს არ ვიშურებ, შენ კი იბღინძები, სიფათს მანჭავ!

— კარგი, მოიტა, მოიტა! — უთხრა აბდიამ გაჯავრებით, ხელი გაიწოდა პაპიროსის ჩანავლებული ნარჩენისაკენ, გამოართვა, მალლა ასწია, თითქოს პეტრუხას უჩვენებდა, და ვაგონის ღია კარში მოისროლა. ეს ისე სწრაფად მოხდა, ყველა, მათ შორის გრიშანსაც, მოულოდნელობისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა. ჩამომდგარ სიჩუმეში უფრო ხმამაღლა და უფრო მრისხანედ გაიხმა რელსებზე სწრაფად მიმქროლავი თვლების რაკარუეი. — ნახე? — გამომწვევად მიმართა აბდიამ პეტრუხას. — ყველამ დაინახეთ, რა ვქენი? — განრისხებით მოავლო თვალი ანაშის მომპოვებლებს. — ასე იქნება ყოველთვის!

პეტრუხა და მის კვალდაკვალ სხვებიც გაოცებულნი შებრუნდნენ გრიშანისკენ: თვლებით ეკითხებოდნენ: ეგ როგორ გავიგოთ, უფროსო, ეს რა მეტიჩარა გამოტყვრაო.

გრიშანი დემონსტრაციულად დუმდა და დამცინავად გადაჰქონდა მზერა აბდიადან მადევრებზე. პირველად მახაჩს გაუწყდა მოთმინების ძაფი.

— თამადა, რას დუმხარ? რაო, დამუნჯდი?

— არა, არ დავმუნჯებულვარ! — გამოაჯავრა გრიშანმა და აშკარა ღვარძლით მკაცრად დაუმატა: — ამ ტიპს სიტყვა მივეცი ხმა არ ამოვიღო. დანარჩენი თვითონ გაარკვიეთ! მეტს აღარაფერს გეტყვიო...

— მართალია? — გაოცებით ჰკითხა მახაჩმა აბდიას.

— მართალია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, — იყვირა აბდიამ. — პირობა დავდე ვამხილო ეს, — თავი გააქნია გრიშანისკენ — ეს ეშმაკი, რომელმაც დამლუპველი საცდურით მიგიტყუათ და არ გავჩუმდები,

რადგან სიმართლე ჩემს მხარეზეა! — აბდია თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა, რას აკეთებდა და რას ყვიროდა, სხვების ანაშიან ზურგჩანთებს შორის თავისი ამოარჩია. გრიშანის გარდა ყველა წამოხტა ადგილებიდან, ვერ გაეგოთ, რა მქონდა ჩაფიქრებული ამ მორიდებულ ხუცს. აბდია კალისტრატოვს.

— აი, ბიჭებო, უყურეთ! — აბდიამ ზურგჩანთა ^{ქვეშა} ~~ქვეშა~~ ^{შეიღებინა} — ან ჩანთით დაღუპვ. კიო, საწამლავი მოგვაქვს ადამიანებისთვის. მოგაქვთ თქვენ, არამი ფულით გაბრუებულთ. შენ, პიოტრ, შენ, მახაჩ, შენ, ლიონა, შენ, კოლია, გრიშანზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. თქვენ თვითონ იცით, ვინ არის იგი.

— მოიცა, მოიცა! აბდია! აბა, ძვირფასო, ერთი აქ მოიტა ეგ ზურგჩანთა!
— დაიძრა მისკენ პეტრუხა...

— მომშორდი! — უბიძგა აბდიამ. — არ მომეკარო! მე ვიცი, როგორ განაღდგურთ ეს ადამიანთა საწამლავი.

მადევრებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ აბდიამ ზურგჩანთის პირი მოხსნა და ვაგონის გარეთ ქარში დაუწყო ბერტყვა. საწამლავი — მერყედა, თურშე რამდენი შეეგროვებინა ანაფის ყვითელ-მწვანე ყვავილედეები და ფურცლები — რკინიგზის ვაკისთა გაყოლებაზე გაფრინდა. შემოდგომის ფოთლებივით ტრიალებდა და ლივლივებდა ქარს მიჰქონდა ფული — ასობით და ათასობით მანეთი! მადევრები წამით გაირინდნენ, მონუსხულებივით მისჩერებოდნენ აბდიას.

— ნახეთ! — იყვირა აბდიამ და ზურგჩანთაც მოისროლა გარეთ. — ახლა კი მომბაქეთ! ერთად მოვიინანიებთ და დმერთი შეგვიყვარება, მოგვიტევენს! მოდი, ლიონკა, პიოტრ! გადაყარეთ, ქარს გაატანეთ წყეული ანაშა!

— გაგიყდა! სადგურში მეძებრების ხელში ჩაგვყრის, დაიჭირეთ, დასცხეთ მღვდელს! — იბღავლა გონდაკარგულმა პეტრუხამ.

— მოიცათ, მოიცათ! მომისმინეთ! — ყვიროდა აბდია და ცდილობდა, რაღაც აეხსნა მათთვის, როცა დაინახა, როგორ გააფთრდნენ ანაშამოწეული მადევრები, მაგრამ უკვე გვიან იყო: მადევრები გაცოფებული ძაღლებივით დაესივნენ. პეტრუხა, მახაჩი, კოლია ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე უბაგუნებდნენ მუშტებს. მხოლოდ ლიონკა ცდილობდა ამაოდ მოჩხუბრების დაშორებას, გაშველებას.

— კარგით რა! — იძახდა და უმწეოდ დარბოდა მოჩხუბრების გარშემო, მაგრამ მათ შეჩერებას ვერ ახერხებდა. აბა, ერთბაშად სამთან რაა გახდებოდა, და გაჩაღდა ხელჩართული ხათქახუთქი.

— დასცხე! გამოათრიე! გადააგდე ვაგონიდან! — ბლაოდა გააფთრებული პეტრუხა.

— დააბრჩვე მღვდელი! ძირს გადაუშვი! — ავერს უკრავდა მახაჩი.

— არ გინდათ! ნუ მოკლავთ! არ გინდათ მოკვლა! — ღრიალებდა გაფთრებული, აცახცახებული ლიონკა.

— მომშორდი, არამზადავ, მოგკლავ! — ხელიდან დაუსხლტა ლიონკას გაშმაკებული კოლია.

აბდია შეძლებისდაგვარად იგერიებდა მუშტებს, ცდილობდა ღია კარს მოშორებოდა, აქეთ-იქით მოქანავე ვაგონის შუაგულში გაედწია: აბლა თვალნათლივ ირწმუნა ნარკომანების მძვინვარება, სისასტიკე, სადიზმი — წელან კი რა ნეტარებით იღიმებოდნენ ალტყინებით მოცულნი. აბდიას ესმოდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო კიდელი გაიმართა, რომ ძაღვები უაღრესად უთანაბ-

რო იყო, სამი მადევარი, სამი ზორბა მძვინვარე ჭაბუკი ებროდა და აბა, როგორ გაუმკლავდებოდა, მას ხომ მხოლოდ ლიონკა უჭერდა მხარს და ისიც სათვალავში არ ჩაიგდებოდა. გრიშანი მთელი ამ ხნის მანძილზე წინააღმდეგობას იწვევდა თავის ადგილას, როგორც მაყურებელი ცირკში ან თეატრში, მაგრამ ღვარძლს არ მალავდა.

— ოპო-პო! აი, ეს მესმის! — ქირქილებდა, მასხარაობდა გრიშანი. მანის მითსია ისინი ერთმანეთს, წინასწარ ივარაუდა, რომ შეეჯახებოდნენ, და ახლა გამარჯვების ნაყოფს იმკიდა — უცქეროდა, როგორ გლავდნენ კაცს მის თვალწინ.

აბდიას ესმოდა, რომ საქმეში მხოლოდ გრიშანის ჩარევას შეეძლო მისი ხედრი შეეცვალა. საკმარისი იყო, ეყვირა — „მიშველე, გრიშან!“ — და მადევრები მაშინვე დაშოშმინდებოდნენ. მაგრამ აბდიას არაფრით არ შეეძლო გრიშანი საშველად ეხმო. ერთი გზა რჩებოდა — ვაგონის სიღრმეში გაედწია, კუთხეში მიკუნჭულიყო, იქ კი დაე, ეცემათ, დაეღწათ, რაც უნდოდათ. ის ექნათ, ოღონდ გაქანებულ მატარებლიდან არ გადაეგდოთ — ეს ხომ უცველ სიკვდილს მოასწავებდა...

მაგრამ კუთხემდე მიღწევა არც ისე ადვილი იყო. მთელი ძალით მოქნიული მუშტების ხათქახუთქი, ჭიტლაყები პირდაღებულ კარისკენ უბიძგებდა, ხოლო იქ ზედმეტი წამით რომ შეყოვნებულიყო, მადევრები დაუფიქრებლად გადააგდებდნენ ვაგონიდან. და ისევ და ისევ დგებოდა ზეზე, ჭიუტად ცდილობდა შორეული კუთხისკენ გაედწია, იმედოვნებდა, ნარკომანებს არაქათი გამოეცლებათ, ან გონს მოვლენო. ამ გაშმაგებულ თავბრუს მტკრევაში პირველი ლიონკა დაეცა ძირს. მას კოლიამ ჩასცხო თავში, რომ ხელი არ შეეშალა მღვდელთან, წმინდანთან, და, მაშასადამე, მადევრების მტერთან — აბდიასთან ანგარიშის გასწორებაში. უნამუსოდ გაჰქონდა თბლაშათხლში მადევრების მუშტებს — აკი საქმე უნამუსოდ ნაშოვნ ფულს უხებოდა.

— დასცხე, დასცხე! გულბოყვში, გულბოყვში! — ბორგავდა პეტრუხა, აბდიას უკანიდან ეცა და ხელები დაუჭირა, მახახს წინ დაუყენა. იმანაც, ხარკით გაშმაგებულმა, გამძვინვარებულმა დაუზოგავად ჩაართვა მუცელში, აბდიას ცხრად მოიკაკვა, სისხლი ამოახველა და მიმქროლავი ვაგონის იატაკზე დაენარცხა. სამივემ კარისკენ წაათრია. მაგრამ აბდია ჯერ ისევ უწევდა მათ წინააღმდეგობას. ხელებით იატაკს ებლაუჭებოდა, ფრჩხილები სძვრებოდა, ცდილობდა თავი დაეხსნა. დასხლტომოდა მადევრებს, თვალბედითი გრიშანი კი ვითომც აქ არაფერი ხდებოდა. ვაგონის კუთხეში თავის სკამზე იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო და ნუერებიან ჯონს ათამაშებდა. სახეზე უშფოთველი, კმაყოფილი გამომეტყველება ეხატა. აბდიას კიდევ ჰქონდა შესაძლებლობა შეწყალება ეთხოვა, ეყვირა: „მიხსენი, გრიშან!“ გრიშანსაც იქნებ შეეწყნარებინა, დიდსულოვნება გამოეჩინა და სასიკვდილოდ არ გაეწირა, მაგრამ აბდიას კრინტი არ დაუძრავს და მისმა თავმა სისხლიანი კვალი გაავლო იატაკზე — მადევრებმა ვაგონის ღია კართან მიახოხიალეს. და აქ შეიბნენ კიდევ ერთხელ, უკანასკნელად. მადევრები შიშობდნენ. აბდია შეუჭერებლივ რომ გადავაგდოთ, თან არ გადაგვიყოლოთო. აბდიამ მოახერხა და კარში, უფრო სწორად, კარგარეთ დაეკოდა, სახელუროს რკინის კავს ჩაეჭიდა. ქარი გრიგალივით ებგერა და კარს მიაკრა. მაგრამ მარცხენა ფეხით რაღაც ლითონის შვერილი მოსინჯა და ზედ დაებჯინა. და ალბათ არასდროს ჰქონია იმდენი ძალა, ისეთი წუურვილი ცოცხლად გადარჩენისა. როგორც იმ წუთს, როცა ცდილობდა

და უბედურებისთვის გაეძლო. თავი რომ დაენებებინათ, შესაძლოა ზემოთ აფორთხებულყო, უკან, ვაგონში შეეცობებულყო, მაგრამ მადევრები ფეხს ისე ურტყამდნენ თავში, როგორც ფეხბურთის ბურთს, უშვერსდ აკინებდნენ, სისხლით მოთხვარეს, ის ეო ისე ჩაფრენოდა სახელურს, ქატი ვერ ააგლეჯდა. უკანასკნელი წუთები განსაკუთრებულად საზარელი უყურებდნენ, მახაჩი და კოლია მთლად გამბეცდნენ. გრიშანმა ელარ შეიკვებოდა და მიიჭრა: ახლა შეიძლებოდა აღარ ეთვალთმაქცა, შეიძლებოდა იმის ცქერით დამტკბარიყო, როგორ დაიღწებოდა და სულს გააფრთხობდა აბდია კალისტრათვი, და იდგა, ელოდა გარდაუვალ წუთს, როცა მადევრები აბდიას ბოლოს მოუღებდნენ. ერთი სიტყვით, გრიშანმა ჩინებულად იცოდა თავისი საქმე, აბდია კალისტრათვს სხვას აკვლევინებდა. ხვალ ეი, თუ ნევდარ აბდია კალისტრათვს იპოვიდნენ და არ დაიჭერებდნენ, რომ მატარებლიდან გადმოვარდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გადმოხტა, გრიშანი არაფერ შუაში იქნება — პირადად მას ხელი არ დაუკარებია. იტყვის: ბიჭები წაყინკლავდნენ, წაიჩხუბნენ, რასაც უბედურება მოჰყვა — ჩუბის ღროს ფეხი დაუცდაო.

უკანასკნელი რამ, რაც აბდიას დაამახსოვრდა, ის იყო, რომ მადევრები სახეში წიხლებით სცემდნენ, მათი ფეხსაცმელი სისხლით შეიღება და ქარს ყურებში აბრიალებული ცეცხლივით გაჰქონდა ბაბანი, ტყვიასავით დამძიმებული სხეული აბდიას სულ უფრო ეწეოდა ძირს, საშინელ, უღმობელ სიცარიელეში, მატარებელი კი მიჭროდა და ქარის შემოტევას იგერიებდა, მიჭროდა იმავე ტრამალში და ქვეყნად არავის ეღარდებოდა იგი, განწირული, დაღუპვის ბეწვზე ჩამოკიდებული აბდია კალისტრათვი. მზეც ამ უსაზღვროდ ხანიერი დღის დამლევს ტანჯვითა და ძრწოლით გადმოგარკლულ თვალებს უბრძავებდა, მასთან ერთად არარსობის შავ უფსკრულში ეშვებოდა. მადევრები აბდიას რამდენს ურტყამდნენ წიხლს, მაგრამ ხელებს არ უშვებდა სახელურს. მაშინ პეტრუხამ ხელი სტაცა ჯოხს, რომელიც გრიშანს თითქოსდა შემთხვევით ეჭრა სხვის დასაანახად, აბა, ააღე, გეთაყვი, და დააცხე, დააცხე ხელებზე, რომ სახელურს გაუშვასო, პეტრუხამაც აიღო და უკანასკნელად საბოლოოდ დაჰკრა..

აბდიაც ტკივილის ერთიან მორგვად დაქანდა ძირს, უკვე აღარ გრძნობდა, როგორ დაგორდა ფერდობზე, როგორ იღუწებოდა და კანი ეტყავებოდა, როგორ ჩაიჭროლა ეშელონის კუდმა იქ, სადაც დაეცა, როგორ მიეფარა თვალს მატარებელი და თან წაიყოლა მისი ყოფილი თანამგზავრები, როგორ მიწყდა თვლების რაკარუკი.

მალე მზე ჩაქრა, ჩამოდგა წყვდიადი და დასავლეთით ნაცრისფერ-შავ ცაზე საავდრო ღრუბლები ჩამოწვა..

იმ ბედკრული ადგილის გვერდით კი უკვე სხვა მატარებლები მიჭროდნენ, და ის, ვინც სიცოცხლის გასახანგრძლივებლად შეწყალება არ ითხოვა, დამხობილი იწვა რკინიგზისპირა ნარვალის ფსკერზე, ხოლო ყველაფერი, რაც ჰუმანიტების გამმაგებელი მიემბისას შეიცნო, ყველაფერი, რასაც ამტკიცებდა, ახლა განრიდებული იყო, დაღუპული იყო, და ღირდა განა თავი გაეწირა და უარი ეთქვა გადარჩენის შესაძლებლობასზე? საქმე ხომ არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარ სიცოცხლეს ებებოდა და სულ ორიოდ სიტყვის წარმოთქმალა აჭირდებოდა: „მიხსენი, გრიშანი!“ მაგრამ ეს სიტყვები არ წარმოუთქვამს.

ჰუმანიტად არა აქვს ხლვარი უფლოს პარადოქსებს.. ავი ერთხელ ის-

ტორიაში იყო შემთხვევა, როცა ერთმა ასევე ახირებულმა გალილეელმა თავი ისეთ დიდ ვინმედ წარმოიდგინა, ორიოდ ფრაზა არ დათმო და სიცოცხლეს შეეღია. ამის გამო, რასაკვირველია, მისი აღსასრული დადგა. ხოლო ადამიანები, თუმცა მას შემდეგ ათას ცხრას ორმოცდაათი წელი გავიდა, ვერა და ვერ მოდიან გონს, სულ მსჯელობენ, კამათობენ და წუხან — რატომღაც მოხდა მაშინ, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ დატრიალებულიყო? — ღმერთის ეხვეწებით, თითქოს ეს ამბავი ზუსტად გუშინ იყო — ეგზომ ცხოველია ელდა, და ყველა თაობა — ხოლო იქიდან მოკიდებული რამდენი ასეთი თაობა გაჩნდა, ვინ მოთვლის. — ხელახლა მოდის გონს და აცხადებს, ჩვენ რომ იმ დღეს, იმ წუთს თხემის ადგილზე ვყოფილიყავით, არაფრით არ დავსჯევინებდით გალილეელსო. აი, როგორ ფიქრობენ ახლა. მაშინ კი ვინ იფიქრებდა, რომ საქმე ასე შეტრიალდებოდა, რომ იმ დღის გარდა ყველაფერს საუკუნეების დავიწყების ბურუსი გადაეფარებოდა...

და მაშინაც, სიტყვამ მოიტანა და, იყო პარასკევი, და ისიც, ვისაც შეეძლო საკუთარი სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ასევე ვერ მიხვდა თავის გადასარჩენად, თავის სასარგებლოდ ორიოდ სიტყვა ეთქვა...

II

ცხელი იყო ის დღე იერუსალიმში და კიდევ უფრო ცხელ დღეს მოასწავებდა იგი. პროკურატორ პილატე პონტოელის ბრძანებით პეროდეს სასახლის კამაროვან აივანზე, მარმარილოს კოლონადის ქვეშ საკარცხული დაედგათ. აქ ორპირი ნიავი უბერავდა და საკარცხულში მჯდომ პილატე პონტოელს სანდლებიან ფეხებს უგრილებდა. დიდ ბაღში ოდნავ აშრიალებდნენ კენწეროებს მალალი ალვის ხეები, რომელთაც წელს ნაადრევად შეყვითლებოდათ ფოთლები.

აქედან, ქვიანი მალლობიდან, სასახლის კამაროვანი აივნიდან ქალაქის ხედი იშლებოდა. ქალაქის მოხაზულობა მერხვე ბურში მჭრქალდებოდა — პირი სულ უფრო ცხელდებოდა, — იერუსალიმის მიდამოებიც კი, რომლებიც ყოველთვის მკაფიოდ ჩანდა, ბუნდოვნად ილანდებოდა თეთრი უდაბნოს საზღვარზე.

იმ დილას ბორცვის მალლა, თითქოს ცაზე უხილავი ძაფით ჰკიდიაო, უხმაუროდ, ლივლივით ტრიალებდა ეული ფრინველი, ფრთები ფართოდ გაეშალა და დროის თანაბარ მონაკვეთში დიდ ბაღს თავზე უფრენდა: ან არწივი იყო, ან ძერა, ცხელ ცაში ასე დიდხანს და ერთფეროვნად ფრენას იმათ გარდა ვერც ერთი ფრინველი ვერ შეძლებდა. ჩესო ნაზარეველმა, რომელიც პროკურატორის წინ იდგა და ფეხს ინაცვლებდა, შემთხვევით ახედა ფრინველს. პროკურატორი ამაზე განრისხდა და შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი.

— სად აპყრობ თვალებს ჩუდების მეფე? ეს სიკვდილი დაატრიალებს თავს! — უთხრა იესოს ღვარძლიანად და მკაცრად.

— სიკვდილი ყველა ჩვენგანს დასტრიალებს, — წყნარად მიუგო იესომ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, და ხელისგული უნებურად მოისვა შემუბებულ, ჩაშავებულ მოჭუტულ თვალზე: როცა იგი სინედრიონში გასასამართლებლად მიჰყავდათ, ბაზართან თავს დაესხა მღვდლებისა და უხუცესთა მიერ წაქეზებული ბრბო. ზოგი სასტიკად სცემდა, ზოგი სახეში აფურთხებდა და იმ წუთს მიხვდა, რა რიგ საშინლად სძულდა მღვდელთმთავარ კაიაფას ხალხს, მიხვდა, რომ არავითარ შეწყალებას არ უნდა დალოდებოდა იერუსა-

ლიმის სამსაჯვროსაგან. მიუხედავად ამისა, ადამიანურად აკვირვებდა და აოცრებდა ბრბოს სისასტიკე და ორგულობა, თითქოს აქამდე ვერაფერს ხვდებოდა, რომ იგი მაწანწალა იყო. თითქოს აქამდე სუნთქვაშეკრულნი არ უსმენდნენ მის ქადაგებებს ტაძრებსა და მოედნებზე, თითქოს არ ხატობდნენ ქროცა ქალაქის კარიბჭეში რუხ ხრდალ ვირზე ამხედრებული შეწუხებული პატარა ჩოჩორი მიძყვებოდა, თითქოს ვირს ფეხებზე ყვავილებს არ უყრიდნენ და იმედლიანად არ გაიძახოდნენ: „ოსანა ძესა დაეითოსსა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

ახლა იგი პილატე პონტოელის წინ სამოსდაგლეჯილი იდგა და ელოდა, რა მოხდებოდა შემდგომ.

პროკურატორი ძალიან გუნებაწამხდარი იყო და, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, გაბრაზებული გახლდათ თავის თავზე — თავის ზოზინსა და აუხსნელ ყოყმანზე. ასეთი რამ ჯერ არ დამართნია, არც მაშინ, როცა რომის მოქმედ ქარებში იყო. არც, მით უმეტეს, პროკურატორობის დროს. განა მართლა სასაცილო არაა — იმის მაგივრად, რომ უმაღლ დაემტკიცებინა სინედრიონის განაჩენი, და თავი აერიდებინა ზედმეტი გარჯისთვის, დაკითხვას აჭიანურებდა და ამაზე დროსაც ხარჯავდა და ძალასაც. ხომ ასე ადვილი იყო თითქოსდა, გამოეძახებინა მისი გადაწყვეტილების მომლოდინე იერუსალიმის მღვდელთმთავარი თავისი კუდებითურთ და ეთქვა: აჰა, წაიყვანეთ თქვენი ბრალდებული და, რაც გადაუწყვიტეთ, ის უყავითო, მაგრამ პილატე პონტოელს რაღაც უშლიდა ხელს ამ აგრერიგად უბრალო საქმის მოგვარებაში. მერედა, ღირდა ეგ მასხარა ამდენ ვაი-ვაგლახად?

მაგრამ წარმოვიდგენია, რა ყოფილა ეს ახირებული ამბობენ, იუდეველთა მეფეაო, უფალს უყვარს და უფალმავე მოუვლინა იუდეველთა, როგორც ღვთიური სამართლიანი მეფობის პირდაპირი განმანხორციელებელი. ხოლო იუდეობა დროს არ იარსებებს კეისრისა და კეისართა, მათი ნაცვლებისა და მლიქვნელური სინაგოგების ხელისუფლება. ყველანი თანასწორნი და ბედნიერნი იქნებიან აწ და მარადისო. მერედა, ვინ გინდა, რომ უმაღლეს ხელისუფლებას არ ეპოტინებოდა, ასეთ ცბიერსა და ვერაგს კი აქამდე არავინ იცნობს — შემთხვევა რომ მიეცეს და თვითონ იგდოს ხელი ხელისუფლების საჭე, ალბათ ზუსტად დღევანდელი მმართველივით მოიქცევა. ვინაიდან ამქვეყნად ცხოვრების სხვა გზა არაა და არც იქნება, თვითონ ბოროტგანმზრახველმაც ჩინებულად იცის ამის შესახებ. მაგრამ თავისას აკეთებს! მიმნდობ ადამიანებს ახალ სამეფოს ჰპირდება და ამით ინადირებს შათ.

თუ მართალია, რომ ამბობენ, ყველა ადამიანი თავისი იქვეუბნობის კვალად განაჯის სხვასო, აქ სწორედ ასეთი შემთხვევა გვქონდა: პროკურატორი იესოს იმ აზრებს მიაწერდა, რომელთაც თვითონ ესათუთებოდა და გულის სიღრმეში საიდუმლოდ ინახავდა, თუმცა მათი განხორციელების იმედი არ ჰქონდა. ყველაზე მეტად სწორედ ეს აღიზიანებდა პილატე პონტოელს და მსჯავრდადებული ცნობისმოყვარეობასაც უღვიძებდა და იმავე დროს სიძულვილსაც უნერგავდა. პროკურატორი ფიქრობდა, რომ ჩასწვდა იესო ნაზარეტელის ზრახვას: ამ მომავლის მკვრეტელმა წმინდაწყლის მაწანწალამ ჩაიფიქრა ქვეყნისქვეყნად აეტება შფოთი, ხალხისთვის აღეთქვა ახალი სამეფო და მოესპო ის, რის დაუფლებასაც თვითონ აპირებდა მომავალში. არა, რანაირად! ვინ იფიქრებდა, რომ ეს საცოდავი იუდეველი გაბედავდა ეოცნება იმაზე, რაზეც რომის იმპერიის მცირე აზრის პროვინციების გამგებელ პილატე

პონტოელს არ შეეძლო ეოცნება, უფრო სწორად, თავს არ აძლევდა უფლებას ეოცნება. ასე არწმუნებდა, ასე განაწყობდა თავს, ასეთი დასკვნა გამრტყავდა ბევრისმნახველ პროკურატორს მაწანწალა იესოს საკმაოდ უჩვეულო და კითხვის დროს (უჩვეულო ის იყო, რომ თავის თავს ყოველთვის მის ადგილზე წარმოიდგენდა). და მრისხანებას ჰგვრიდა ამ არნახული უჭრებტყორის განზრახვა. პილატე პონტოელს სულ უფრო ეკიდებოდა ცეცხლი, სულ უფრო აწამებდა ეჭვები, უნდოდა დაუყოვნებლივ მოეწერა ხელი იერუსალიმის სინედრიონის უაუცესთა მიერ წინა დღით იესოსთვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენზეც და გაეჭიანურებინა კიდევაც ეს წუთი, დამტკბარიყო იმით, რომ ბოლომდე გამოევილინა, რით ემუჭრებოდა რომის ხელისუფლებას იესოს აზრები და მოქმედებანი...

პროკურატორს ეხამუშა, რომ ცაში ფრინველის ფრენის გამო გამოთქმულ მის შენიშვნას განწირულმა მაწანწალამ გულახდილად და უპატივცემლოდ უპასუხა. შეეძლო გაჩუმებულიყო ან პირფერულად ეთქვა რაიმე, მაგრამ როგორ გეკადრებათ, დარდის გასაქარვებელი მიზეზი იპოვა: სიკვდილი ყველას დაატრიალებს თავსო. „უყურე შენ, თავის თავს თვითონ დასჩხავის უბედურებას, თითქოს მართლაც არ ეშინია სიკვდილით დასჯის“, — ბრაზობდა პილატე პონტოელი.

— რა გაეწყობა, დავუბრუნდეთ ჩვენს საუბარს. იცი, უბედურო, რა გელის? — ჩახრინწული ხმით ჰკითხა იესოს პროკურატორმა, რომელიც უკვე მერამდენეჯერ ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლს ყავისფერი მბზინვარე სახიდან, მელოტიდან და ჩაკირული კისრიდან. ვიდრე იესო პასუხისთვის ემზადებოდა, პროკურატორი გაოფლილ თითებს ატკაცუნებდა, ყოველ თითს ცალცალკე იგრებდა — ჰქონდა მას ასეთი ცუდი ჩვევა. — მე შენ გეკითხები იცი, რა გელის?

— იესოს ფერი მისდიოდა მარტო იმის გაფიქრებაზე, თუ რა ელოდა. მან მიიმედ ამოიოხრა.

— დიახ, რომის ნაცვალო, ვიცი, დღეს სიკვდილით უნდა დამსაჯონ, — ძლივს ამოღერდა.

— „ვიცი“! — გაიმეორა პროკურატორმა ზიზღით და სიბრალულით აღსავსე დაცინვით. იგი წინ მდგომ ბედშავ წინასწარმეტყველს თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა.

იესო თავდაბრილი, მოჩანჩული, გრძელკისურა და გრძელთმიანი, კულულებბაბურდული, ტანსაცმელდახეული და ფეხშიშველი (სანდლები ალბათ ჩხუბში დაეკარგა) იდგა პროკურატორის წინ, ხოლო მის უკან, სასახლის აივნის მოაჯირში შორეულ ბორცვებზე შეფენილი სახლები ჩანდა. ქალაქი ელოდა პროკურატორის წინ დაკითხვაზე მდგომს. საზიზღარი ქალაქი ელოდა მსხვერპლს. დღეს ამ პაპანაქებაში ქალაქს სისხლიანი სანახაობა სჭირდებოდა, მის ღამესავით ბნელ ინსტინქტებს ელდა სწყუროდათ — და რომ ერთიცა და მეორეც გაცხადდებოდა, მაშინ ქუჩის ბრბოებს სული შეუგუბდებოდათ დრიალითა და გოდებით, როგორც ტურების ხროვა კივის და ღვარძლიანად ჩხავის, როცა ხედავს, გამძვინვარებული ლომი როგორ გლეჯს ზებრას ლიბის უდაბნოში. პილატე პონტოელს არაერთხელ უნახავს ასეთი სცენები მხეცთა შორისაც და აღამიანთა შორისაც. შინაგად შეძრწუნდა, როცა წამით წარმოიდგინა, როგორ აღსრულდებოდა ჯვარზე გაკვრა, და თანავგრძნობანარევი საყვედურით გაიმეორა:

— შენ თქვი, ვიცო! „ვიცი“ — ეს ის სიტყვა არაა. ამას სრულად მაშინ გაიგებ, როცა იქ იქნები...

— დიახ, რომის ნაცვალთ, ვიცი და მაძრწუნებს ამის გაფიქრებას კი.

— შენ კიდევ სიტყვას ნუ მაწყვეტინებ და იმქვეყნად წასვლას ნუ ჩქარობ. მოხსწრებ, — წაბურღლუნა პროკურატორმა, რომელიც იმ დროს დაშთავრება არ აცალა.

— მორჩილად გთხოვ, მომიტევო, მმართველო, თუ შემთხვევით სიტყვა შეგაწყვეტინე. უნებლიეთ მომიხდა, — მოუბოდიშა იესომ. — მე სულაც არ ვჩქარობ. მინდოდა კიდევ მეცხოვრა.

— და არ ფიქრობ უარყო შენი უკადრისი სიტყვები? — პირდაპირ ჰკითხა პროკურატორმა.

იესომ ხელები გაასავსავა, თვალეში ბავშვური უმწეობა ეხატა.

— უარსაყოფი არაფერი მაქვს, მმართველო, ეს სიტყვები წინასწარ შთამინერგა მამამან ჩემმან და ვალდებული ვიყავი ხალხისათვის ჩამეგონებინა. მე მისი ნება შევასრულე.

— შენ სულ შენსას იმეორებ, — ხმას აუწია გაღიზიანებულმა პილატე პონტოელმა. სახეზე (მას მსხვილი კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ღრმა ნაოჭები შემოვლებოდა უბეშად მონაკვეთული პირის გარშემო) ზიზღი და სიცივე აესახა. — მე ხომ ვიცი, რაცა ხარ, როგორც უნდა მოიკატუნო თავი. — ისე თქვა, იესოს შესიტყვება ვერ გაეხედა. — მართლაცდა, რას ნიშნავს ხალხისთვის მამისა შენის სიტყვების ჩაგონება? იმას, რომ გამოასულელო ბრბო, ხელში ჩაიგდო და უწესრიგობის ჩასადენად წააქეზო. იქნებ გინდა მეც ჩამაგონო მისი სიტყვები — მეც ხომ ადამიანი ვარ!

— შენ, რომის მმართველო, ჭერჯერობით ეს არ გჭირდება, ვინაიდან არ იტანჯები და არ გწყურია ცხოვრების სხვანაირად მოწყობა. შენთვის ძალაუფლება ღმერთი და სინდისია. ძალაუფლება კი სრულად გაქვს მონიჭებული და შენთვის იგი უხეშთაესია.

— სწორია, რომის ძალაუფლებაზე უხეშთაესი არაფერია. მგონი, ამის თქმა გინდა, ხომ?

— ასე ფიქრობ შენ, მმართველო.

— ასე ფიქრობდნენ ყოველთვის გონიერი ადამიანები, — შემწყნარებლურად შეუსწორა პროკურატორმა. — ამიტომაც ამბობენ, — ჰკუას ართვებდა იგი იესოს, — კეისარი ღმერთი არაა, მაგრამ ღმერთი კეისარია. თუ დარწმუნებული ხარ, რომ სხვანაირადაა, დამიმტკიცე. აბა! — პროკურატორი დამცინავად მიაშტერდა იესოს. — რომის იმპერატორ ტიბერიუსის სახელით, ვისი ნაცვალაც მე ვარ, შემიძლია ზოგი რამ შეგცვალო დროსა და სივრცეში. შენ ხომ ცდილობ ამას დაუპირისპირო რაღაც უმაღლესი ძალა, რაღაც სხვა ჰემმარტება, რაც თითქოსდა შენ მოგეძევება. ეს ძალიან საინტერესოა. უალრესად საინტერესო, თორემ აქ ზედმეტ ხანს არ გაგაჩერებდი. ქალაქში უკვე მოუთმენლად ელიან, როდის აღსრულდება სინედრიონის განაჩენი. აბა, მიპასუხე!

— რა გიპასუხო?

— დარწმუნებულად ხარ, რომ კეისარი ღმერთზე ნაკლებია?

— იგი მოკვდავია.

— გასაგებია, რომ მოკვდავია. მაგრამ ვიდრე ცოცხალია, ადამიანებისთვის არსებობს კეისარზე უფრო მაღალი ღმერთი?

— არსებობს, რომის მმართველო, თუ ცხოვრების სხვა საზომს, *ადამიანებისთვის*

— ვერ ვიტყვი, გამაცინე-მეთქი, — თქვა პილატე პონტოელმა, რომელმაც ვითომდა შეურაცხყოფილმა შუბლი შეჭმუნა, და ხეშეში წარბები ასწია. — მაგრამ ამაში ვერ დამარწმუნებ იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს სასაცილოც კი არაა. არ ვიცი, არ მესმის, ვის და რატომ სწამს შენი.

— ჩემი სწამით იმით, რომელთაც ჩემკენ უბიძგებთ ჩაგვრა, საუკუნეობრივი წყურვილი სამართლიანობისა, ჩემი მოძღვრების თესლი ტანჯვით გააძიებრებულ და ცრემლით მორწყულ ნიადაგს ეცემა, — აუხსნა იესომ.

— კმარა! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი პროკურატორმა. — წყლის ნაყვია.

ორივე გაჩუმდა, ორივე თავისაზე ფიქრობდა. იესოს გაფითრებულ შუბლზე ოფლი უხვად გამოჟონა, მაგრამ არც ხელისგულით იწმენდა, არც დაგლეჯილი ქლამიდის სახელოთი. საამისოდ არ ეცალა — შიშისგან ლამის გულს არტოდა და რფლი ღვარად დაედინა სახეზე, წვეთებად ეცემოდა მარმარილოს იატაკზე გამხდარი, დაძარღვული ფეხების წინ.

— და ამის შემდეგ ისურვებდი, მე, რომის პროკურატორს, შენთვის თავისუფლება მეჩუქებინა? — უეცრად ჩახრინწული ხმით განაგრძო პილატე პონტოელმა.

— დიახ, კეთილო მმართველო, გამიშვი.

— მერედა, რას გააკეთებ?

— ღმერთის სიტყვას მოვფენ ქვეყნისკენად.

— აქ ვინმე სულელი არ გეგონოს! — შეჰყვირა პროკურატორმა და მრისხანებისგან გონდაკარგული წამოიჭრა. — აი, ახლა საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ შენი ადგილი მხოლოდ ჯვარზეა, მხოლოდ სიკვდილს შეუძლია შენი დაშოშმინება.

— ცდები, დიდო მმართველო, სიკვდილი უძლურია სულის წინაშე, — მტკიცედ და მკაფიოდ მიუგო იესომ.

— რაო? რა თქვი? — გაოცდა პილატე პონტოელი, თავის თავში დაეჭვდა, ხომ არ მომეყურაო, იესოს მიუახლოვდა. მრისხანებისა და გაკვირვებისაგან შეშლილი სახე მუქყავისფრად დაეფოთლა.

— ის, რაც გაიგონე, მმართველო.

პილატე პონტოელმა ჰაერი ჩაიგუბა ფილტვებში, ცისკენ ანაზღად აღაპყრო ხელები და რალაციის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს დაჭედილი მხედრული წაღების ბრახაბრუხი გაისმა.

— რა გინდა? — მკაცრად ჰკითხა პროკურატორმა შეიარაღებულ ლეგიონერს, რომელსაც რალაც პერგამენტი მოჰქონდა.

— მიბრძანეს გადმომეცა, — უთხრა ლეგიონერმა მოკლედ და გაეცალა.

პერგამენტი პილატე პონტოელის ცოლის ბარათი აღმოჩნდა. ცოლი წერდა: „პროკურატორო, ჩემო მეუღლევ, გთხოვ, გამოუსწორებელი ვნება არ მიყენო ამ მოხეტიალეს, როგორც ამბობენ. ქრისტედ წოდებულს. ყველა ლაპა-

რაკობს, უწყინარი წმინდანია. საუცხოოდ მკურნალი ყოველგვარი სნეულები-
სათ. ხოლო ის, რომ თითქოს დევის შვილი, მესია და ლამის იუდეველთა მე-
ფეა, ალბათ მოუგონეს. ჩემი განსასჯელი არაა, ასეა თუ არა. მაგრამ თვითონ
იცოცხლე, რა შარბანი და შეშლილი ხალხია ეს იუდეველები, მკურნალი მართალი
რომ აღმოჩნდეს ყოველივე? ავი იალიან ბშირად სახიზრებულ ქრისტიანთა
შემდეგ მართლდება. და თუ ამჯერადაც გამართლდა, დაგწყველიან. ამბობენ,
თითქოს ხალხი იესო ქრისტეს მიემხრო, ამიტომ აქაური სინაგოგების მსახუ-
რნი და ქალაქის უხუცესნი შეშინდნენ და იესო შეიზიზღეს. მღვდლებმა შუ-
რის გამო ცილი დასწამეს და უმეცარი ბრბო აუშხედრეს. ის, ვინც ვუშინ
ქრისტეს სახელს ლოცულობდა, დღეს ქოლავდა. მე მგონია, თუ ამ სალოსის
სიკვდილით დასჯას დათანხმდები, ცუდი სახელი გავივარდება. ჩემო მეუღ-
ლევ ჩვენ ხომ მუდამ არ ვიქნებით იუდეაში. მინდა რომში საკადრისი დიდი
პატივით დაბრუნდე. ნუ იქმნ ამას, პონტოელი. წელან ქრისტე ბადრაგს რომ
მოჰყავდა, დავინახე. რა ლამაზია, პირდაპირ ახალგაზრდა ღმერთია. სიტყვამ
მოიტანა და წინაღუდს სიზმარი ვიხილე. შემდეგ გიამბობ ძალიან, საგულის-
ხმოდ სიზმარია. იცოდე, საწყევრად ნუ გაიხდი ნურც შენს თავს და ნურც
შთამომავლობას!

— ო, ღმერთებო, ღმერთებო! ნეტა რით განგარისხეთ? — დაიკვნესა პი-
ლატე პონტოელმა და მერამდენეჯერ იხანა, რომ ეს შერყეული, დამთხვეული
ცრუ წინასწარმეტყველი ზედმეტი სიტყვების უთქმელად და უყოყმანოდ მა-
შინვე არ გააყოლა ბადრაგს ქალათებთან, ქალაქგარეთა ბაღში, სადაც ბორც-
ვზე იერუსალიმის სამსჯავროს განაჩენით სიკვდილით უნდა დაესაჯათ. პოდა,
აი, ახლა ცოლიც ერეოდა საპროკურატორო საქმეებში. პროკურატორი ამას
იმით ხსნიდა, რომ ფარულად მოქმედებდნენ იესო ქრისტეს ზურგს უკან
მღვდომი ძალები, ანდა ყოველ შემთხვევაში ამ საქმეს ციური ძალები უწყე-
დნენ წინააღმდეგობას. მაგრამ ზეცის მკვიდრთ მიწიერი საქმეები ნაკლებ აი-
ნტერესებთ, ცოლი კი თავისი ქალური გონებით რას გაარკვევს პოლიტიკაში:
რად უნდა გაუღვივოს პროკურატორმა მტრობა მღვდელთმთავარ კაიაფასა და
რომის ერთგულ და თავდადებულ იერუსალიმელ დიდკაცობას კერისის მაგი-
ნებელი ამ საეჭვო კაცის, მაწანწალა იესოს გამო? საიდან მოიგონა ცოლმა,
რომ ეს კაცი ახალგაზრდა ღმერთივით ლამაზია? კი, ახალგაზრდაა, ახალგა-
ზრდაა და მეტი არაფერი. ხოლო სილამაზისა განსაკუთრებული არაფერი სცხია.
აი, ნაცემი ძალღივით დგას, მერვდა, ისეთი რა ნახა ცოლმა მასში? დაფიქრე-
ბულმა პროკურატორმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, გონებაში ბარათის შინა-
არსს უკვირდებოდა. შემდეგ ამოიოხრა და ისევ ჩაქდა საკარცხულში უცაბ
ერთი აზრი გაუკრთა თავში, რაც ადრეც არაერთხელ დაჰბადებია: თითქოსდა
რაოდენ არარანი არიან ადამიანები — ეუქში გადიან. შარდავენ, წყვილდე-
ბიან, იბადებიან, იხოცებიან, ისევ იბადებიან, ისევ იხოცებიან, რამდენი სიმ-
დაბლუ და ავკაცობა აქვთ ჩაბუდებული გულში და მთელ ამ მძულვარებასა
და სისაზიზღრეში უცებ საიდანღაც ჩნდებიან უზენაესი არსება, წინასწარმე-
ტყველები, სულის სწრაფვანი. აი, თუნდაც ეს — ისე ირწმუნა თავისი მოწო-
დება, თითქოს სიზმარში ცხოვრობს და არა ცხადში. მაგრამ ემარა, მოუწყვეს
გამოფხიზლება! დროა, დამთავრდეს ყოველივე!

— და მაინც აი, რა მინდა ვიცოდე. — მიმართა პროკურატორმა იესოს.
რომელიც ისევ ისე მდუმარედ ადგა თავის ადგილას. — ვთქვათ, წმინდანი ხარ
და არა ბოროტგამზრახველი, მიმნდობ ხალხში შფოთის მთესავრ, ვთქვათ.

როცა სამართლიანობის სამეფოზე ლაპარაკობ, კეისარს მსოფლიოს ბატონობის უფლებებში ეცილები, ვთქვათ, დაგიჯერე, პოდა მითხარი: რა გაიძულებს მოკვდე? გამომხრავებს? თუ განიზრახე ასეთი გზით გაუხდე მეფედ ისრაელ ხალხს, არ მოგიწონებ, მაგრამ გამიგებ. თლონდ თავიდანვე რატომღა ჭრი იმ ტოტს, რომელზეც ჯდომას აპირებ? როგორ გახდებოდა ისრაელი, რომელიც კეისარის ხელისუფლებას უარყოფ? იცი, რომ ახლამაშუშის ნიშნებსა ცოცხალი დაგტოვო, თუ მოსაკვდინებლად გაგგზავნო? აბა, რატომ დუმხარ? შიშმა დაგამუნჯა?

— დიახ, რომის ნაცვალო, მეშინია სასტიკი დასჯისა. კეისრობას კი სულაც არ ვაპირებ.

— მაშ, მოინანიე ქალაქის ყველა მოედანზე, დაგმე შენი თავი, აღიარე, რომ შენ ცრუ შორსმჭვრეტელი, ცრუ წინასწარმეტყველი ხარ, ბრბო რომ ჩამოგცილდეს, რომ არ აცდუნო იგი ამათ და დანაშაულებრივი მოლოდინით, ნუ ირწმუნები, თითქოს იუდეველთა მეფე ხარ. არავითარი სამართლიანობის სამეფო არ არსებობს. ყოველთვის სამართლიანია ის, რაც არის, არსებობს ქვეყნად იმპერატორი ტიბერიუსი და ისაა სამყაროს ურყევი ბურჯი, ხოლო სამართლიანობის სამეფო, რომელზეც ლაპარაკითაც შენ თავქარიანებს საღრტვანველად აგულიანებ, სისულელეა! დაფიქრდი! ნურც შენ იბნევ გზაკვალს და ნურც სხვაა უბნევ. ისე კი ვინა ხარ, რომ რომის იმპერატორი მოგერიდოს. — ვილაც უცნობი მოხეტიალე, საეჭვო წინასწარმეტყველი ბაზრის მოლაყბე, როგორებითაც სავსეა იუდეის მიწა. მაგრამ შენ შენი მოძღვრებით საცთური დათესე, რამაც ძალიან შეაფიქრიანა თქვენი მღვდელთმთავარი, ამიტომ ამხილე შენი სიცრუე. თვითონ კი სირიაში ან სხვა ქვეყნებში გასწი და შე, როგორც რომის პროკურატორი, ვეცდები დაგესმარო. დამეთანხმე, ვიდრე გვიან არაა, რად დუმხარ ისევ?

— რომის ნაცვალო, იმაზე ვფიქრობ, რომ ორივენი ისე განსხვავებულნი ვართ, საეჭვოა ერთმანეთს გავუგოთ. რად ვიტყვი სიცრუეს და რად უარყოფ უფლის მოძღვრებას იმისათვის, რომ შენთვის და კეისრისათვის ხელსაყრელი იყოს, ხოლო ჭეშმარიტებას ევნოს?

— ნუ ურევ, რაც რომისთვის ხელსაყრელია. ის ყველაფერზე მაღლა დგას.

— ყველაფერზე მაღლა ჭეშმარიტება დგას, ხოლო ჭეშმარიტება ერთია. ორი ჭეშმარიტება არ არსებობს.

— ისევ მზაკვრობ, მაწანწალავ?

— არც წინათ მიმზაკვრია, არც ახლა ვმზაკვრობ. ჩემი პასუხი კი ესაა: ჯერ ერთი, არ ეგების კაცმა უარყოს ის, რაც ჭეშმარიტების სახელით თქვა, ვინაიდან თავად ენება თქმა. მეორეც — არ ეგების იტვირთოს ცოდვა, რაც თავად არ ჩაუდენია, და მკერდზე ხელი იბრაგუნოს, რათა თავისი სახელის მომყინვებელი ჭორებისაგან განიწმინდოს. რაკი ჭორი სიცრუეა, იგი თვითონ ვაქრება

— მანამდე კი თავად მოკვდები, იუდეველთა მეფევ! ამრიგად, სიკვდილი გირჩევნია იმას, რა გზაც უნდა იყოს ხსნისა?

— შე მხოლოდ ხსნის ეს გზა დამრჩენია.

— რომელი ხსნისა? — ვერ გაიგო პროკურატორმა.

— მსოფლიოს ხსნისა.

— გეყოფა თავის მოსულელება! — მოთმინების ძაფი გაუწყდა პილატე პანტოელს. — მაშ, ნებაყოფლობით ილუპავ თავს?

— ასე გამოდის, რადგან სხვა გზა არა მაქვს.

პროკურატორმა შუბლის დრმა ნაოჭებზე ხელი გადაიხვე და დაღლილი ხმით თქვა:

— ო, ღმერთებო, ღმერთებო! როგორ ჩამოცხა, ამინდი ხომ არ იცვლება? — ჩაიბურღლუნა ცხვირში და საბოლოო გადაწყვეტის შემთხვევაში: „ნეტა რად მინდა ეს ყველაფერი? რისთვის ვცდილობ ვიხსნა ჩემი ცხენი? სხვაში სარგოს ვერაფერა ზედავს? მეც ახირებული ვარ!“ და თქვა: — მაშ, მე ხელე-ბი დამიბანია!

— ნება შენია, ნაცვალო! -- მიუგო იესომ და თავი დახარა.

ისინი კვლავ გაჩუმდნენ, ალბათ ორივემ იგრძნო, რომ სასახლის გაღვინის მიღმა, დიდებული ბაღების მიღმა, იქ, სადაც იერუსალიმის დაბლობ ადგილებსა და გორაკებზე ქალაქის ქუჩები პაპანაქებაში იხუთებოდა, ყრუ ავისმო-მასწავებელი სიჩუმე თითქოსდა გუბდებოდა და სადაცაა ზღუდეს გაარღვევ-და, ჯერჯერობით იქიდან მათ ყურთასმენამდე აღწევდა მხოლოდ დანშული ბგერები — გუგუნე ღიღი ბაზრებისა, სადაც დილიდანვე აირივნიერ ერთმანე-თში ადამიანები, საქონელი, გამწვევი და სასაპალნე პირუტყვი, მაგრამ ამ ორ სამყაროს შორის იყო ის, რაც ორივეს აცალკევებდა და ზედს ქვედასგან იც-ავდა: გაღვინის გადაღმა ლეგიონერები მიდი-მოდოდნენ, ხოლო წარაფში იდგნენ მოალყე მხედრები. ჩანდა, ცხენები კუდით როგორ იგერიებდნენ ბუ-ჩებს.

პროკურატორმა ერთგვარი შვება იგრძნო, როცა განაცხადა: ხელე-ბი და-მიბანიაო, რადგან ახლა შეეძლო თავისთვის ეთქვა: „ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ღმერთები არიან მოწამენი, არ ვაქებებდი, რომ თავის აზრზე მდგარიყო, საკუთარი ცხოვრების მოძღვრებისთვის მიეცა უპირატესობა, მაგრამ რაკი უარზეა, დაე, ასე იყოს, ჩვენთვის ეს უკეთესი-ცაა, თვითონვე მოაწერა ხელი თავის სასიკვდილო განაჩენს...“ ასე ფიქრობდა პილატე პონტოელი და ამით პასუხს უმზადებდა ცოლსაც. შემდეგ გეზად გა-ხედა იესო ნაზარეველს, რომელიც შფოთიერი ღიმილით მდუმარედ ელოდა თავის წინასწარ განსაზღვრულ ხვედრს, და კიდევ ეს გაიფიქრა: „რა უტრია-ლებს ახლა თავში ამ კაცს? ალბათ მწარედ ნანობს, ესმის, რაც დაუჭდება ეს ბრძნული მოძღვრება, რომლის უარყოფას ვერ ბედავს, საკუთარ ხათვანგში გა-ეება, აბა, სცადოს ახლა თავის დაძვრენა: ერთი ღმერთი ჰყავს ყველას — მთელ ქვეყნებზე, ადამიანთა მთელ მოდვმას, ყველა დროს, ერთი რწმენა, ერთი სამართლიანობის სამეფოა ყველასთვისო, საით უმიზნებს? რალა თქმა უნდა, ასეთ რამეს ყველა მოიგუნებებდა და იესომაც გადაწყვიტა, სწორედ ამით ეს-არგებლა! მაგრამ ცხოვრებაც არ, ასე ვვასწავლის, აი, ასე სჯის მეტისმეტ უმ-მაკობას, აი, ასე-შეტრიალდება საქმე, როცა გინდა ხელთ იგდო ტახტი, რომელიც არასოდეს არ გეკუთვნოდა, რა მოინდომა! განიზრახა, აემბოხებინა ბრბო, აეჯანყებინა კეისართა წინააღმდეგ, რათა შფოთის ეს სენი ხალხიდან ხალხს გადასცემოდა და მთელ ქვეყანას მოსდებოდა, განიზრახა, სამყაროს მთელი დასაბამიერი წესრიგი თავდაყირა დაეყენებინა, თავზეხელაღებულ კაცია! ვერაფერს იტყვი! არა, ამისთანა კაცი არაფრით არ შეიძლება კოცნა-ლი დატოვო, შესახედავად როგორია — ნაცვმი, თვინიერი, მერყდა, რას მა-ლავს გულში — დაბე, რა წამოიწყო, ასეთი გეგმა შეიძლება მხოლოდ უფო-ნიერეს კაცს მოსვლოდა თავში, ვინ იფიქრებდა, რომ ამგვარ რამეს იზო-ხავდა!“

პროკურატორი პილატე პონტოელი ამ აზრებით თავის თავს ეთანხმებოდა. ისიც ამშვიდებდა, რომ ახლა უსიამოვნო საუბარი არ მოუწევდა მღვდელთმთავარ კაიაფასთან. რომელიც სინედრიონის სახელით პირდაპირ ითხოვდა იესო ნაზარეტელისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დამტკიცებას.

უჩუქუნუღი

— ნურა გვეჭვება. ბრძენო მმართველო, შენ შენს თავს დაეჭვებოდე ყველაფერში მართალი იქნები. — თქვა იესომ, თითქოს პროკურატორის აზრები გამოიცნო.

პილატე პონტოელი აღშფოთდა.

— ჩემზე ნუ წუხხარ, — უკმეხად მიახალა იესოს. — რომის საქმე ჩემთვის ყველაზე მალლა დგას, შენ შენს თავზე იფიქრე, უბედურო!

— მომიტევე, დიდო მმართველო, შენ ეს სიტყვები ხმამალლა არ უნდა წარმომეთქვა.

— დიახაც, და კიდევ დაფიქრდი, რომ არ ინანო შემდეგ, როცა უკვე ყველაფერი გვიან იქნება. ცოტა ხნით გავალ და, თუ ჩემს დაბრუნებამდე დაწვევტილებას არ შეიცვლი, საბოლოო სიტყვას ვიტყვი. თავი იუდეველოვს მგფე, მსოფლიოს საყრდენ ნუ გგონია. ნუ ფიქრობ, რომ ქვეყნიერებას უშენოდ გაუჭირდება. პირიქით, ყველაფერი შენ საწინააღმდეგოდ ხდება და შენი დრო კარგა ხანია გავიდა. მხოლოდ საკუთარი მრწამსის უარყოფით შეგვძლო თავის გადარჩენა. გაიგე?

— გავიგე, მმართველო...

პილატე პონტოელი წამოღვა და განსასვენებელში წავიდა, გზად ფართო წამოსასხამს ისწორებდა. ძვალმსხვილი, დიდთავა, მელოტი, წარმოსადეგი, თავისა ღირსებასა და ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული. როცა კამაროვან აივანს მიუყვებოდა, ისევ ახედა ცაში მეფურად მოლიველვე ფრინველს. ვერ გაარკვია, არწივი ხყო თუ მისივე ჯიშის სხვა რომელიმე ფრთოსანი, მაგრამ ახლა უფრო სხვა რამ აღელვებდა: ფრინველს ვერ მისწვდებოდა. ფრინველი მას არ ემორჩილებოდა — ვერც შეაშინებდა ისევე, როგორც ვერ მოიხმობდა, და ვერც გააძევებდა. პროკურატორმა წარბები უცბად შეკყარა და მტრულად ახედა ცას: უყურე, ამას, ბოინობს და ბოინობს, ამქვეყნად არაფერი ენალვლებათ. და მაინც გულში გაივლო: ცაში იმპერატორივითაა: იმპერატორის სიდიდეს სიმბოლურად, ეტყობა, შემთხვევით არ გამოხატავს არწივი — მას ხომ ძალუმნისკარტიანი თავი, ხარბი თვალი, რკინასავით მტკიცე ფრთები აქვს. სწორედ ასეთი უნდა იყოს იმპერატორი! მალლა მეუფებდეს — ხედავდნენ და ვერ სწვდებოდნენ, იმ სიმაღლიდან მართავდეს ქვეყნიერებას — ვერავინ და ვერაფერი უტოლდებოდეს, ღმერთებიც კი თავისი ჰყავდეს, სხვებისგან განცალკევებულნი, ქვეშევრდომთა მიმართ გულგრილნი, მათი მოზიზღარნი, აი, რა ამყარებს ქმნის იალას. აი, რა ნერგავს ხელისუფლებისადმი შიშს, აი, რა ამყარებს წესრიგს სამყაროში. ეს ნაზარეტელი კი, რომელიც ჭიუტად იცავს თარებს მოძღვრებას და განიზრახა ყველა გაათანასწოროს — იმპერატორიდან დაწყებული მონების ჩათვლით, ვინაიდან ღმერთი ერთიანია და ყველა ადამიანი თანასწორია ღმერთის წინაშეო, ამტკიცებს: სამართლიანობის სამეფო ყველასათვის დადგებაო. გონება აუმღვრია ადამიანებს, ააფორიაქა მდაბიონი, განიზრახა თავის ყაიდაზე მოაწყოს ქვეყნიერება. მერედა, რას მიაღწია? იგივე ბრბო სცემდა და სახეში აფურთხებდა მას. ცრუ შორსმჭვრეტელს, ცრუ წინასწარმეტყველს, მატყუარას და ყალთაბანდს... და მაინც რა კაცია? თუმცა

უსასო დღეშია, თავი ისე უჭირავს, თითქოს თვითონ კი არა, ისინი მარცხ-
დებიან. ვინც მას სდებს მსჯავრს...

ასე ფიქრობდა პროკურატორი პილატე პონტოელი (რომის იმპერატორის
ნაცვალი, შეიძლება ითქვას, თავად ნახევრად იმპერატორი, ყოველ შემთხვე-
ვაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ამ ნაწილში), როცა მტრულად მსჯავრდა, რა-
თა იესო ნაზარეტელი რამდენიმე წუთით მარტო დარჩენილიყო და ეგრძნო
ის პირდაღებული უფსკრული, რომლის თავზეც ეკიდა. პროკურატორს უნ-
დოდა დაეტეხა იესოს სული, ეიფულებინა იგი დამამცირებლად ეზობა, უარი
ეთქვა ყველასთვის ერთიან ღმერთზე, საყოველთაო თანასწორობაზე, რომ შე-
მდეგ ბერხემალგადამსხვრეული ქვეწარმავალივით ისრაელიდან გაეგდო—დაე,
ეწანწალა და უკვალოდ გადაკარგულიყო: ამგვარ ყოფაში კი დიდხანს ვერ იბ-
ოგინებდა, სწორედ მასზე გულაყრილი საკუთარი მოწაფეები მოუღებდნენ
ბოლოს....

ასე ფიქრობდა, ასე ებრძოდა თავის ეჭვებს ბევრისმნახველი მმართველი
პილატე პონტოელი და ახალმოვლენილი ამბოხების ამოძიკვის უფრო უტ-
ყუარ, უფრო ხელსაყრელ, უფრო სანიმუშო გზას ეძებდა. კამაროვანი აივნი-
დან გამავალი ვარაუდობდა, თავის თავთან მარტო დარჩენილ მსჯავრდადებ-
ული იგრძნობს, რაც ემუქრება, და, როცა უკან დაებრუნდები, ფეხებში ჩამი-
ვარდებათ. ნეტავ სცოდნოდა პროკურატორა, რომ იმ ხანმოკლე წუთებში ეს
უცნაური კაცი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, ან, უფრო სწორად, სულ არ
ფიქრობდა აგრე, მოგონებებში ჩაიძირა, ვინაიდან მოგონებები ასევე ცოცხალ-
თა ხვედრია და ერთ-ერთი უკანასკნელი სიკეთე სიცოცხლესთან განშორების
ზღურბლზე.

როგორც კი პროკურატორი წაეიდა, გვერდითა წალოებიდან ნელ-ნელა გა-
მოვიდა ოთხი გუშაგი და კამაროვანი აივნის თავსა და ბოლოში დადგნენ, თი-
თქოს მსჯავრდადებულს აქედან გაქცევა შეეძლო. იესომ თავს ნება მისცა,
ახლოს მდგომი ერთი ლეგიონერისთვის მიემართა:

— შეიძლება დავჯდე, კეთილო გუშაგო?

— დაჯექი. — მიუგო გუშაგმა და ქვის იატაკს შუბი დაჰკრა.

იესო მარმარილოს კედელთან ქვის საფეხურზე ჩაჯდა. წელში მოხრილი
იყო, ფერმიხდილი, ტალღებად ჩამოშლილი გრძელი მუქი თმით მოარშიებუ-
ლი გრძელი სახე ჰქონდა. იესომ თვალები ხელისგულით დაიფარა და ფიქ-
რებს მიეცა. „ნეტავ წყალი დამალევინა, სადმე მდინარეში მახანავა“, — გა-
ივლო გულში და ცხოვლად წარმოიდგინა ნაპირებთან მიმდინარე წყალი —
წყალი მიჩქრიალებდა. ლოკავდა მიწას, მდინარისპირა ბალახს — და მოეყუ-
რა თქაფუნი, თითქოსდა ნიჩბებს უსვამდნენ და ნავი იმ ადგილს უახლოვდე-
ბოდა, სადაც თვითონ იჯდა, თითქოს ვიღაცას სურდა ნავში ჩავსვა და აქე-
დან წაეყვანა. დედა იყო ნავში. დედა აღელვებული, შიშით მოცული მოცუ-
რავდა მისკენ. „დედა! — წაიჩურჩულა იესომ. — დედა, ნეტავ იცოდნე, რო-
გორ მიმძიმს! ჯერ კიდევ წუხელ გეთსიმანიაში, ზეთისხილის მთაზე, სულს მი-
ხუთავდა, მაძრწუნებდა კუნაპეტი ღამესავით შემოწოლილი ნაღველი, ვწუხ-
დი, მოწაფეებთან ერთად ვფხიზლობდი და ვერა და ვერ ვმშვიდდებოდი, სა-
შინელი წინათგრძნობით შეპყრობილს არაქათი გამომეცალა და მაშინ მიე-
მართე მამაზეციერს ჩემსას: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარ-
მხედონ ჩემგან სასუმელი ესე, ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა
შენ“ და აი. სასუმელი ესე პირთამდე სავსეა, არ ამცდება, ახლოვდება გარ-

დუვალად. აღსრულდება ის, რასაც შენ, დედა, ალბათ წინასწარ ჰკრეტ და თუ ეს ასეა, მაშასადამე იცოდი, რა დამემართებოდა. და ო, ღმერთო, როგორღა ცხოვრობდი ამ წლების მანძილზე, ძვირფასო დედავ, მშობელო სიცოცხლის მომნიჭებელო, რა აზრით და რა იმედით მზრდიდი მე, უფლის ჩანაფიქრით მოვლენილს ამ დიადი და საშინელი დღისათვის, ყველა დღეებისა უბედურესი დღისთვის, ვინაიდან ადამიანისთვის არ არსებობს უფრო დიდი უბედურება, ვიდრე საკუთარი სიკვდილია, ხოლო დედისთვის, როცა მის თვალწინ იღუპება მისი საშოს ნაყოფი, მისი ნაშობი — ორმაგი უბედურებაა. მომიტევე, დედა, მე არ განმისაზღვრავს ბედი შენი, მამაზეციერმან ჩემმან განსაზღვრა. მაშ, უდრტვინველად აღვაპყროთ თვალნი მისკენ და აღსრულდეს ნება მისი!"

იესომ დედა მარიამი რომ გაიხსენა, მაშინვე ერთი ამბავი მოაგონდა, რაც ხუთი წლისას შეემთხვა. იმხანად მისი ოჯახი ეგვიპტეში იმყოფებოდა. სადაც მეფე ჰეროდეს გაექცა. ჰეროდეს სურდა, ახალშობილი ბავშვი — მომავალი იესო ქრისტე — მოეკვდინებინა, რადგან მოგვებმა უთხრეს, იგი იუდეის მეფე იქნებაო. იქ, სადაც იესოს ოჯახი ცხოვრობდა, დიდი წყალუხვი მდინარე ჩადინებოდა, ალბათ ნილოსი. მდინარე დიდი და განიერი იყო. მარიამი მდინარეზე ბავშვთან ერთად თეთრეულის ამოსარეცხად ჩადიოდა ხოლმე, როგორც ბევრი იქაური ქალი. იმ დღეს კი ერთმა მოხუცმა ნავი ნაპირს მოაყენა, დააბა, დედა-შვილთან მივიდა და აღერსიანად მიესალმა ორივეს. „მამილო! — შეეღმინა მოხუცს მარიამი. — იქნებ ნება მომცე და ჩემი ბიჭი ნავით გავასეირნო? თავს იკლავს, გასეირნება მიხდაო, ტირის ეს უჭკუო, ესა“. მოხუცმა მიუგო: „ჰო, მარიამ, ნავი სწორედ იმიტომ მოვიყვანე, პატარა იესო გაასეირნო“. მარიამს არ გაჰკვირვებია, რომ მოხუცმა მათი სახელი იცოდა. იფიქრა, ალბათ რომელიმე ახლომახლო მცხოვრებთაგანიაო. მაგრამ როცა გადაწყვიტა, მოხუცისთვის ეთქვა, ნიჩბებს შენ მიუჯექიო, მოხუცი უცებ გაქრა, თითქოს ჰაერში აორთქლდაო. მარიამი არც ამას შეუშფოთებია: ბიჭს ხომ ერთი სული ჰქონდა ნავით გასეირნა. ძალიან გახარებული იყო და ნავის გარშემო დარბობდა, აგზნებული დაბტოდა, დედას აჩქარებდა. დედამაც თეთრეულები იქვე ქვებზე დაყარა, შვილი აიყვანა, ნავზე დასვა, თვითონ ნავი ახსნა, მეჩეჩიდან უბიძგა, შეხტა ზედ, შემდეგ ბიჭი მუხლებზე დაისვა და ისინი დინებას დაუყვნენ. რარიგ ხიბლავდა სულს თითქმის ზედ ნაპირთან წყალზე წყნარად ცურვა — სანაპიროს მეჩეჩებზე ირხეოდნენ ლერწმები, კრთოდნენ ჭრულაჭრულა ყვავილები, ბუჩქებში ქვილ-ხვილით ფრთხილებდნენ, გალობდნენ, და სტვენდნენ ხასხასა ფერის ჩიტები, თბილ ჰაერში ზუზუნებდნენ, ირეოდნენ, კრიჭინებდნენ მწერები. რა საუცხოოდ გრძნობდნენ თავს! მარიამმა ხმადაბლა წამოიწყო სიმღერა და ბედნიერი იყო. ხოლო მის შვილიკოს ძალიან ხიბლავდა ნავით ცურვა, რაც კიდევ უფრო ახარებდა მარიამს. უცებ — ისინი არცთუ შორს იყვნენ თავიანთი ადგილიდან, და არცთუ შორს — ნაპირიდან — მეჩეჩზე გარჩენილი დიდი კორძიანი ხე გაცოცხლდა. ტალღები ააქაფა და დედა-შვილისკენ გამოცურა. ეს იყო ვეება ნიანგი. ნიანგმა გადმოკარკლული თვალები ხარბად მიაშტერა მათ. ბიჭი შეშინდა და იყვირა, მარიამი ვამეშდა, აღარ იცოდა, რა ეღონა. ნიანგმა ნავს კუდი გაჰკრა და კინალამ გადააბრუნა. მარიამმა ნიჩბები მიაგდო, მაგრად ჩაიხუტა შვილი და ლალადყო: „ღმერთო! ეს ისაა! შენი შვილი იესოა! შენგნით მოცემული! ნუ მიატოვებ, ღმერთო! იხსენი!“

ქალი ისე შეშინდა, ისღა შეძლო თვალები დაეხუჭა და შემუდარებოდა იმას, ვინც ყველაფერი იყო ქვეყნიერებაზე და მამაზეციერი მისი შვილისა. „ნუ მიგვატოვებ, ის შენ კიდევ დაგჭირდება!“ — შეჰყვირა ღმერთს მარიამმა. ნავი, რომელსაც აღარავინ მართავდა, ხოლო ქვემოდან ნიანგი უბრძვებდა, წინ გაცურდა. როცა მარიამმა ბოლოს და ბოლოს თვალის გახელოვნებდა, მკერდიდან სიხარულის კვიცილი აღმოხდა — ნავი ნაპირს მესდგომოდს, კიბოთქოს ვილაცას მიეყვანა, ნიანგი კი გაბრუნებულიყო და შორს მიცურავდა. მარიამი გონდაკარგული გადმოხტა ნავიდან, ნაპირ-ნაპირ გაიქცა, ელდისგან ტიროდა და ბედნიერებისგან იცინოდა. მირბოდა, გულში იკრავდა პატარას, კოცნიდა, ცრემლს აყრიდა, იმეორებდა: „იესო! იესო! ჩემო თვალისჩინო შვილიყო! მამამ გიცნო! მან გადაგვარჩინა! მან გადაგარჩინა შენ! მან შეგიყვარა, შენ მისი საყვარელი შვილი ხარ, იესო! შენ უბრძნესი გახდები, იესო! და შენ თვალს აუხელ ადამიანებს, იესო! და ისინი გამოგყვებიან, იესო, და შენ არასდროს განუდგები ხალხს, არასდროს, არასდროს!“ ასე გოდებდა და გული უღბენდა „კურთხეულს დედათა შორის“.

ასე გოდებდა და გული უღბენდა მარიამს, უხაროდა, ღვთისშვილი სასწაულით გადამირჩაო, და ვერ ხვდებოდა, რომ ეს სასწაული უფალმა ჩაიდინა, რათა ხალხს სცოდნოდა, ვინ იყო ის, პატარა იესო, შვილი ხურო იოსებისა, ვინც ყრმის გადასარჩენად ჰეროდეს ეგვიპტეში გამოექცა. ამაზე მეტყველებდა შემდეგი ამბავი: როგორც კი მარიამი შვილითურთ ნავიდან გადმოხტა, ნავი სადღაც გაქრა, წყალს ქვემოთ დაუყვა, ხოლო ქალები, რომლებიც მდინარეზე თეთრეულს რეცხდნენ და მარიამის ყვირილზე მოცვივდნენ, შემდეგ ამტკიცებდნენ, როცა მარიამი ატატებულ ბავშვს მოარბენინებდა, ბავშვის თავის გარშემო ოქროსფერი შარავანდი დავინახეთო. და ყველას უხაროდა ეს. გული აუჩუყდათ, ცრემლი მოურიათ, პატარა იესო დედას რომ ჩაეკონა, მაგრად მოხვია კისერზე ხელები, მისი სუნი შეისუნთქა და უთხრა: „დედა, როცა გავიზრდები, იმ ნიანგს კუდით დავიჭერ, რომ აღარასოდეს შეგვაშინოს!“ ყველა გააცინა ბავშვის სიტყვებმა, შემდეგ კი იხსენებდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო ნავის პატრონი. როგორც გამოირკვა, ამ არემარეში მოხუცს არავინ იცნობდა და მეტად არც არავის უნახავს. ხურო იოსები მრავალი დღე დაეძებდა იდუმალ მენავეს, რათა ბოდიში მოეხადა და ზარალი აენახლაურებინა, მაგრამ ვერა და ვერ მოაგნო...

აი, რა გადახდა თავს ყრმა იესოს ეგვიპტეში და რა გაახსენდა ახლა კამაროვან აივანზე, როცა დედას სთხოვდა, მომიტევე, რომ მწუხარება და ტანჯვა გარგუნეთ. „დედა, გემშვიდობები, — ეუბნებოდა მას. — ნუ მიწყენ, თუ ვერ მოვასწარი ან ვერ შევძელი დასჯის წუთებში მოგმართო. მეშინია სიკვდილისა, ფეხები მიცივდება, თუმცა დღეს აუტანლად ცხელა. მომიტევე, დედა, და ჩემი გაჭირვების უამს შენს ხვედრზე ნუ დაიჩივლებ. გამაგრდი, მე კი ადამიანები, რომლებიც ყველაზე მძიმე ტვირთად აწვანან შემოქმედს, ჭეშმარიტებისკენ რომ მივაქციო, მათ ეს ჭეშმარიტება საკუთარი სიკვდილით უნდა განვუმტკიცო. სხვა გზა არა მაქვს. ადამიანებთან მისასვლელი სხვა გზა არ არსებობს და მე მივდივარ მათთან. მომიტევე და მშვიდობით, დედავ! დასაწყისი კია, რომ იმ ნიანგს კუდში ვერ ვწვდი. ამბობენ, ნიანგები ძალიან დიდხანს ცოცხლობენ, ადამიანზე ორ-სამჯერ მეტ ხანსო. რომც დამეჭირა, არაფერს დავუშავებდი, ისე გავუშვებდი... იყოს თავისთვის... და კიდევ აი, რა გავიფიქრე, დედა, თუ ის მენავე მოხუცისსახიანი ანგელოზი იყო. შესაძლოა სხვა

სამყაროში შევხვდეთ... ვითომ გაიხსენებს იმ ამბავს? აი, მესმის ნაბიჯების ხმა, მოდის ჩემი უნებლიე ჯალათი — პილატე პონტოელი. მშვიდობით, დედა, წინასწარ გემშვიდობები“.

პილატე პონტოელი კამაროვან აივანზე ისეთივე მტკიცე ნაბიჯით დაბრუნდა, როგორც წავიდა აქედან. გუშაგები მისი მოსვლისთანავე გავედნენ და აივანზე მხოლოდ იესო და პილატე დარჩნენ პირისპირ. პრეტორიუმში მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით შეხედა მისი გამოჩენისთანავე ზეზე წამომდგარ იესოს და მიხვდა, რომ ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც თავად უნდოდა. — მსხვერპლი თვითონ განუბრელად უახლოვდებოდა უკანასკნელ ზღვარს. მაგრამ პილატე პონტოელმა ამჯერადაც გადაწყვიტა, ხელალებით არაფერი გაეკეთებინა. საქმე ისედაც საჭირო მიმართულებით მიიწევდა.

— რა გაეწყობა, როგორც ვატყობ, საუბარი დამთავრებულია, — თქვა პილატე პონტოელმა უცბად. — არ გადაიფიქრე?

— არა.

— ამაოდ! კიდევ იფიქრე!

— არა! — თავი გააქნია იესომ. — დაე, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც საჭიროა.

— ამაოდ! — გაიმეორა პილატე პონტოელმა არცთუ თავდაჯერებულად. მაგრამ სული შეუტოკდა — იესო ნაზარეტელის სიმტკიცემ შეაყოყმანა, თან არ უნდოდა იესოს თავის თავი უარყო და გადარჩენის გზა ეძებნა, შეწყალება ეთხოვა. იესო მიხვდა ყველაფერს.

— ნუ წუხხარ, — გაიღიმა მან თვინიერად. — მჯერა, გულწრფელად ლაპარაკობ. მესმის შენი. მეც ძალიან მინდა ვიცოცხლო. მხოლოდ არყოფნის ზღურბლზე ხვდება ადამიანი, რა ძვირფასია მისთვის სიცოცხლე. დედაჩემიც მეცოდება — ძალიან მიყვარს, ყოველთვის მიყვარდა, ბალობიდანვე, თუმცა არ ვამყლავნებდი. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, რომის ნაცვალს, დაიმახსოვრე: შენ, ვთქვათ, შეგეძლო ერთი სული გეხსნა, ამისთვისაც დიდი მადლობის ღირსი იქნებოდი. მე კი ვალდებული ვარ ვიხსნა ბევრი და ისინიც კი, რომლებიც ამქვეყნად ჩვენ შემდგომ გაჩნდებიან.

— იხსნა? როცა დედამიწაზე აღარ იქნები?

— დიახ, როცა ადამიანთა შორის აღარ ვიქნები.

— შენს თავს დააბრალე ყველაფერი. ამ საუბარს მეტად აღარ მივუბრუნდებით, — მტკიცედ განაცხადა პილატე პონტოელმა, რომელსაც აღარ სურდა თავი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. საკარცულთან შეყოვნდა და იესოს უთხრა: — ოღონდ ბოლო კითხვაზე მიპასუხე... — პილატე პონტოელი მცირე ხნით გაჩუმდა, გაბანჯვლული წარბები შეკუმუხნა. დაფიქრდა. — მითხარი, შეგიძლია, საუბარი გააგრძელო? — დაუმატა უცებ ნდობით. — თუ არ შეგიძლია, თავს ძალას ნუ დაატან, არ შეგაყოვნებ, მთაზე გელოდებიან.

— როგორც გნებავს, მმართველო, მე შენს ზელთა ვარ, — მიუგო თანამოსაუბრემ და პროკურატორს კამკამა ლურჯი თვალები შეავლო. იესოს თვალბში აზრის ისეთი ძალმოსილება და ძალისხმევა გამოსჭვიოდა, თითქოს მთაზე სულაც არ ელოდა ის გარდაუვალ სასჯელი, და პილატე გაოცდა. მან უცებ ასევე მოულოდნელად მოახსენა იესოს მადლობა:

— გმადლობ. მაშ, უკანასკნელ კითხვაზე მიპასუხე. ახლა უკვე ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო ვილაპარაკოთ, როგორც თავისუფალმა ადამიან-

ნებმა. მე შენზე არა ვარ დამოკიდებული, შენც ახლა, როგორც თვითონ ხვდები, სრული თავისუფლების ზღურბლზე ხარ. ასე რომ, ვიყო გულახდილი, — შესთავაზა პილატემ და თავის ადვილას დაჰდა. — მიიხარო, მართლა ეუბნებოდი მოწაფეებს, შენს მიმდევრებს. — როგორც იცი, მე შენი მოძღვრება არ მწამს, — ჰოდა, შენს მიმდევრებს მართლა ეუბნებოდი და არწმუნებოდი, რომ თუ ჯვარზე გაგაკრავენ, მესამე დღეს აღსდგები, როლო აღდგომის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს დედამიწაზე დაბრუნდები და სამხინელ სამსჯავროს მოუწყობ იმათაც, ვინც ახლა ცოცხალია, და იმათაც, ვინც აწი გაჩნდება, ყველა სულდგმულს, ყველა თაობას სამყაროს შექმნის დღიდან? რომ თითქოს ეს იქნება შენი მეორედ მოსვლა ქვეყნად? მართლა?

იესომ უცნაურად ჩაიციხა, გეგონებოდა, თავის თავს ეუბნება, თურმე რა ყოფილაო, მარმარილოზე შიშველი ფეხები შეინაცვლა. ერთხანს იყუჩა, თითქოს გულში წყვეტს, პროკურატორს უბასუხოს თუ არაო.

— ეს ყველაფერი იუდა ისკარიოტელმა მოჭორა? — ჰკითხა დამცინავად. — და ეგ ამბავი ძალიან გაწუხებს, რომის ნაცვალო?

— არ ვიცი, იუდა ვინაა, მაგრამ მე ასე მიიხარეს პატივცემულმა ადამიანებმა, უხუცესებმა. რაო, მაშ, ეს ფუჭი სიტყვებია?

— როგორც გინდა, ისე მიიჩნიე, მმართველო, — ცივად მიუგო იესომ. — არავინ გახვევს თავს იმას, რაც უცხოა შენი გონებისთვის.

— მე ხომ სერიოზულად გელაპარაკები, არ ვიცინი. — იესოს დარწმუნებას დაეშურა პროკურატორი. — მხოლოდ ვფიქრობ, რომ ამიერიდან მე და შენ ასე ველარ ვისაუბრებთ. როგორც კი აქედან გაგიყვანენ, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი გექნება. მაგრამ ისე მინდა გამოვარკვიო, სიკვდილის შემდეგ დაუბადებლად როგორ გამოცხადდები დედამიწაზე და როგორ მოუწყობ სამსჯავროს ყველა სულდგმულს? სად იქნება ეს სამსჯავრო, ცაში თუ სხვაგან სადმე? რამდენ ხანს უნდა ელოდონ შენზე მონდობილი ადამიანები ამ დღეს, რომ სამარადისო განსვენება ელირსოთ? ნება მომეცი, ჯერ მე ვთქვა, როგორ ვუყურებ ამ ამბავს: შენი ანგარიში უბრალოა. იმის იმედი გაქვს, რომ ყოველ ადამიანს იმქვეყნადაც კარგი ცხოვრება სურს. აჰ, ამ მოკვდავ ადამიანს ნიადაგ რაღაც სურს, ნიადაგ რაღაც სწყურია. იოლია მისი ცთუნება დაპირებებით და იგი იქაც, საიქიოშიც ძალღივით გამოგედევნება უკან. მაგრამ კარგი, ვთქვათ, ასე იყოს, როგორც შენ ჰადაგებ. წინასწარმეტყველო, მაგრამ შენი სიცოცხლე უკვე იწურება. მისი გახანგრძლივება მხოლოდ საუბრით შეგიძლია...

— შემეძლო სულაც არ გამეხანგრძლივებინა.

— მაგრამ მთაზე ისე ხომ არ წახვალ, რომ ჩემს კითხვას არ უბასუხო. მე მგონი, ასე წასვლა სიკვდილზე უარესია.

— განაგრძე.

— ჰო, ვთქვათ, შენი მოძღვრება სწორია. მაშ, მიიხარო როდის დადგება შენი მეორედ მოსვლის დღე? და თუ ადამიანს დიდხანს, წარმოუდგენლად დიდხანს მოუწყევს ლოდინი, რა თავში იხლის ამ შენს მოსვლას? ის, რაც სიცოცხლეში არ აუსრულდება, რა სახეიროა მისთვის? თანაც მართალი გითხრა, წარმოუდგენელია ასეთი დაუჯერებელი ამბის ლოდინი. თუ ბრმად უნდა გჯეროდეს და ისე უნდა ელოდო? მერედა, რას მისცემს ეს ადამიანს? რა სასარგებლოა მისთვის?

— შენი ეჭვები გასაგებია, რომის ნაცვალო. შენ უხეშად, მიწიერად აზ-

როვნებ, როგორც შენი მოძღვარნი, ბერძნები. ნუ იწყენ ჩემს შენიშვნას. ვიდრე შენ წინ ისე ვდგავარ მე, როგორც მიწიერი ადამიანი, უფლება გაქვს კამათისა. ამასთან ჩვენ ხომ სხვადასხვანი ვართ, როგორც წყალი და ცხელი. ჩვენი მსჯელობანიც განსხვავებულია, ჩვენ სხვადასხვა კუთხით ვადავებთ ყველაფერს. ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, რაც შენ გაწუხებს, მმართველნი მეორედ მოსვლის ლოდინი რომ უსასრულოდ დიდხანს მოელოდნენ, სწორია. აქ მართალი ხარ. როდის დადგება ის დღე, ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ვინაიდან იმის გონებაშია მოსაზღვრული, ვინც სამყარო შექმნა. რაც ჩვენთვის ათასწლობით გაგრძელდება, მისთვის შესაძლოა ერთი წამი იყოს. მაგრამ მთავარი სხვაა. შემოქმედმა უმაღლესი სიკეთე — გონება — მოგვანიჭა და ნება მოგვცა. ჩვენი შეხედულებისამებრ გვეცხოვრა. თუ როგორ გამოვიყენებთ ზეციურ ნაბოძვარს, ეს იქნება სწორედ ადამიანების ისტორიათა ისტორია. შენ ხომ არ უარყოფ, რომის ნაცვალს, რომ ადამიანის არსებობის აზრი თავისი სულის სრულყოფაა. — ამქვეყნად ამაზე უმაღლესი მიზანი არაა. გონივრული ყოფიერების სიღამაზე ისაა, განუწყვეტლივ სულ უფრო მაღლა მიიწევდე სულის ელვარე სრულყოფისაკენ აღმაველ უსასრულო საფეხურებზე. ადამიანისათვის ყველაზე მძიმეა ადამიანი იყოს ნიადაგ. ამიტომ თვით ადამიანებზე იქნება დამოკიდებული რამდენ ხანს მოუწყვთ იმ დღის ლოდინი, რომლისაც შენ არ გწამს, მმართველო.

— ოჰო! — პილატე პონტოელი აღელვებული წამოხტა და საკარცულის საზურგეს ჩაეჭიდა. — მოიცა, მოიცა, ჯერ არავის სმენია, რომ ასეთი რამ ადამიანებზე იყოს დამოკიდებული! მე შენი მოძღვრებისა არა მწამს და ამას ვერ ჩავწვდები. თუ ადამიანებს თავისი ნება-სურვილით შეეძლებოდათ ამგვარი მოვლენის შეყოვნება ან დაჩქარება, ღმერთებს ხომ არ დაემსგავსებოდნენ?

— შენ რალაციით მართალი ხარ, რომის მმართველო, მაგრამ მე ჯერ ჭორი ჭეშმარიტებისგან უნდა გამოვყო. ჭეშმარიტებაზე დარბეული ჭორი დიდი უბედურებაა. ჭორი იგივეა, რაც წყალში შლამი, რომელიც ღრმა წყალს თანდათანობით გუბედ აქცევს. ცხოვრებაში ყოველთვის ასეა — ხალხის საკეთილდღეოდ გაჩენილ, გონების გაბრწყინებითა და ტანჯვით მონაღვაწ ყოველ დიად აზრს კაციდან კაცზე გადასული ჭორი ნიადაგ ამახინჯებს, როგორც თავისი თავის, ასევე ჭეშმარიტების საზიანოდ. აი, რაზე ვლაპარაკობ, ნაცვალს, ვლაპარაკობ იმაზე, რომ მონაჩმახი, რომლისაც შენ გჯერა, ჭორია, ჭეშმარიტება კი სხვა რამაა!

— იქნებ გაგემელავნებინა ამ ჭეშმარიტების არსი!

— ვეცდები. თავს არ ავარიდებ საუბარს, თანაც ამ საკითხზე უკანასკნელად ვლაპარაკობ. მაშ, იცოდე, რომის მმართველო, ღმერთის ჩანაფიქრი ის კი არაა, რომ ერთხელ უეცრად დადგება დღე, როცა მკვდრებით აღმსდგარი ადამის ძე ციდან დაეშვება, რათა ხალხებს სამსჯავრო მოუწყოს, ყველაფერი პირიქით იქნება, თუმცა მიზანი იგივე დარჩება. მკვდრებით აღდგომის შემდეგ მე კი არ მოვალ, მე, ვისაც აქედან თხემის ადგილამდე გასასვლელი მანძილის ოდენი სიცოცხლეა დამრჩენია. არამედ თქვენ, ხალხი მოხვალთ ქრისტეში, უზენაეს სიწმინდეში დასავანებლად, თქვენ ჩემთან მოხვალთ, მოხვალთ ძნელად საცნობ მომავალ თაობებად. და ეს იქნება ჩემი მეორედ მოსვლა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანთა სახით დაეუბრუნდები ჩემს თავს ჩემივე ტანჯვის გამოვლის შემდეგ. ადამიანთა სახით დაეუბრუნდები ად-

ამიანებს. აი, როგორაა საქმე. მე ვიქნები თქვენი მყობადი, დროის მიხედვით ათასწლოებით უკან დარჩენილი, ისაა უზენაესის ჩანაფიქრი, ისაა, რომ ამ გზით აღამაღლოს ადამიანი თავისი მოწოდების ტახტზე, სიყვარულისა და მშვენიერებისადმი მოწოდების ტახტზე, აი, ჩემთა ქადაგებათა აზრი. ქეშ-მარტიტება, და არა მოარული ქორი, არა ათასგვარი მონაგონი, რაღაცეა მაღალ იდეებს აუხამსებენ. მაგრამ ეს იქნება ადამიანთა მთავარი მისწრაფება. გზას შორის უმძიმესი და უსასრულოდ ხანგრძლივი გზა, რაც შენ სამართლიანად გაშინებს, რომის ნაცვალთ. ეს გზა დაიწყება საბედისწერო დღიდან, ღვთის შვილის მოკვდინებიდან და თაობებს მარადიული სინანული არასდროს არ განშორდებათ, ყოველთვის და ხელახლა შეაძრწუნებთ ის საზღაური, რასაც მე გავიღებ დღეს ადამიანების შეცოდებათა გამოსასყიდად, მათი გონების განსანათლებლად და მათში ღვთიური საწყისის გასაღვიძებლად. ამქვეყნად იმიტომ გავჩნდი, ადამიანებს მარადიულ მაგალითად ვყავდე, ჩემი სახელის სასოება ჰქონდეთ და ჩემთან მოდიოდნენ ისე, რომ გამოიარონ ტანჯვა, თავის თავში განუწყვეტლივ ებრძოლონ ბოროტებას, ეზიზღებოდეთ ბიწიერება, ძალადობა და სისხლმწყურვალობა, რომელნიც ესოდენ დამღუბველად თრგუნავენ სულებს, ჭერ არ აღვსილთ უფლისადმი სიყვარულით. მაშასადამე, თავიანთი მსგავსებისადმი, ადამიანისადმი სიყვარულით!

— მოიცა, იესო ნაზარეველო, შენ ღმერთსა და ადამიანებს აიგივებ?

— გარკვეული აზრით — კი. უფრო მეტიც, ყველა ადამიანი, ერთად აღებული, ღმერთის მსგავსია დედამიწაზე. და ღმერთის იმ ჰიპოსტაზის სახელია ზვალის ღმერთი, უსასრულობის ღმერთი, რომელიც სამყაროს თავისი შექმნის დროიდან ებოძა. შენ, რომის მმართველო, ალბათ არაერთხელ შეგიმჩნევია, რომ შენი სურვილები ყოველთვის ზვალინდელი დღისკენაა მიმართული. შენ დღევანდელ ცხოვრებას, როგორცაა, ისეთს ურიგდები, მაგრამ უსათუოდ გინდა ზვალ სხვანაირი იყოს და თუნდაც დღეს კარგად გრძნობდე თავს, მაინც გასურს, ზვალ კიდევ უკეთესად იყო. იმიტომაც ვვაჭვს იმედეები, უქრობნი, როგორც ნათელი ღვთისა, ზვალის ღმერთი არის სწორედ უსასრულობის სული, მთლიანობაში კი იგი მოიცავს ადამიანის ქმედებისა და მისწრაფებების მთელ არსს, მთელ ერთობლიობას, ხოლო ამიტომ როგორი უნდა იყოს, ზვალის ღმერთი — მშვენიერი თუ ცუდი, გულკეთილი თუ დამსჯელი — თვით ადამიანებზეა დამოკიდებული. ასე ფიქრი შეიძლება და აუცილებელია. იგივე სურს მოაზროვნე არსებათაგან თვით შემოქმედ ღმერთს. ამიტომაც ზვალინდელ ცხოვრებაზე ამქვეყნად დაე იზრუნონ თვით ადამიანებმა: თითოეული მათგანი ხომ ზვალის ღმერთის რაღაც ნაწილაკია. ადამიანი თვითონაა მსაჯული და თვითონ შემოქმედი ყოველი ჩვენი დღისა...

— კი, მაგრამ, საშინელი სამსჯავროს საქმე როგორღა იქნება, რომლის აღსრულება ასე მრისხანედ გამოაცხადე საჯაროდ?

— საშინელი სამსჯავრო... შენ კი არ გიფიქრია, რომის მმართველო, რომ იგი დიდი ხანია უკვე სრულდება ჩვენს თავსა ზედა?

— ახლა იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება საშინელი სამსჯავროა?

— ქეშმარიტებასთან ახლოს ხარ, რომის მმართველო. იარო იმ გზით, აღმის შეჩვენების დღიდან რომ ტანჯვა-წამებით იწყება, იწვნით ბოროტმოქმედებანი. საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს რომ აყენებდნენ ადამიანები, რომელნიც ბოროტებისგან ბოროტებას შობდნენ, სიკრულისგან სიკრუეს, ეს აღ-

ბათ რაღაცას ნიშნავდა იმათთვის, ვინც იყო და იქნება ამქვეყნად ედემიდად ადამიანთა მამამთავარის გაიფეების შემდეგ ბოროტების ჩამოდენა უფრო უღელმთა დაალო ხანა, რა ომები, სისასტიკე, მკვლელობაში, დენა, უსამართლო ბანი, შეურაცხყოფა იგემეს ადამიანებმა! ხოლო ყველა მიწიერი სამხელი შეცოდება — ქვეყნიერებია შექმნის დღიდან სიკეთის წინააღმდეგობის წინააღმდეგ ჩადენილი — განა საშინელ სამსჯავროზე უფროსი მსჯავროსა სასჯელი არაა? რა არის ისტორიის დასაბამიერი დანიშნულება — ის, რომ გონიერი არსებანი სიყვარულისა და თანაგრძნობის ღვთაებრივ სიძალეებს მიუახლოვოს? მაგრამ რამდენ თავზარდამცემ განსაცდელს იცნობს ადამიანთა ისტორია, მომავალშიც დასასრული არ უჩანს ოკეანის ტალღებით მობობჭრე ბოროტმოქმედებებს. ამგვარ ჯოჯოხეთში ცხოვრება განა საშინელსა-მსჯავროზე უარესი არაა?

— და შენ, იესო ნაზარეველო, განზრახული ვაქვს ბოროტების ისტორია შეაჩერო?

— ისტორია? ისტორიის ვერავინ შეაჩერებს, მე-კი მიზნა ბოროტება აღმოვფხვრა ადამიანთა ქმედებასა და გონებაში — აი, ესაა ჩემი საწყურბარი.

— მაშინ ისტორიაც აღარ იქნება.

— რომელი ისტორია? ის, რომელზეც შენ ზრუნავ, რომის ნაცვალო? ამ ისტორიას, სამწყურბაროდ, მეხსიერებიდან ვერ ამოძირკვავ, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვაცილებით ახლოს აღმოვჩნდებოდით ღმერთთან, მე შენი მესმის, ნაცვალო, მაგრამ ნამდვილი ისტორია, ადამიანურობის აყვავების ისტორია, ჯერ კიდევ არ დაწყებულა დედამ-წაზე.

— მოიკა, იესო ნაზარეველო, მე ჯერჯერობით დამეხსენი, მაგრამ როგორ აპირებ ასეთ მიზანთან ადამიანებისა და ხალხების მიყვანას?


— როგორ და, სამართლიანობის სამეფოს გამოცხადებით, სამეფოსი, რომელსაც კეისართა ხელისუფლება არ ეყოლება.

— და ეს საკმარისია?

— დიახ, თუ ამას მოინდომებდა ყველა...

— საინტერესოა, რა გაეწყობა, მე შენ ყურადღებით მოვისმინე, იესო ნაზარეველო, შორს ჭვრეტ, მაგრამ მეტისმეტად თავდაჯერებული ხომ არა ხარ, მეტისმეტად ხომ არ ვეიმედება ხალხის რწმენა და ხომ არ ვაფიქრდება მოედნების მდებალი ბუნება? ამაში ძალიან მალე დარწმუნდები ქალაქის კედლის გადაღმა, მაგრამ ისტორიას ვერაფრით შემოაბრუნებ, ამ მდინარეს აღ-ლა ვერავინ წაიყვანს, მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს: რისთვის აჩენ ხანძარს, რომელშიც ყველაზე ადრე თვითონ დაიწვები? უკეისრობოდ ვერ იცხოვრებს ქვეყნიერება, ვერ იარსებებს ერთთა ძლიერება და მეორეთა მორჩილება, და ამოდ ცდილობ თავს მოგვახვიო სხვა, შენ მიერ მოგონილი წესრიგი, როგორც ახალი ისტორია, კეისრება თავიანთი ღმერთები ჰყავთ და თავყანა სცე-მენ არა შენს განუენებულ ხვალის ღმერთს, რომელსაც ყველა „ხვალის“ უსა-სრულობაში გარკვეული საზღვრები არ მოეიფევა და ჰაერით ყველას ეკუ-თენის თანაბრად: ხოლო რადგან ყველაფერი, რაც შეიძლება თანაბრად ეკუ-თენოდეს ყველას, არააობა, ნაკლებ ფასეული და ფუჭია, სწორედ ამიტომ კეისრებს უფლება აქვთ მინიჭებულ სახელითა თვისითა იბატონონ თითოე-ულზე და ყველაზე, მსოფლიოში მმართველ ყველა კეისარს შორის კი ღმერ-თებმა სახელგანთქმული ტიბერიუსი გამოარჩიეს — მისი სახელმწიფო, რო-მის იმპერია, ნახევარ მსოფლიოს მოიცავს ამიტომაც ტიბერიუსის ხელმძღვა-

ნელობით მე ვბატონობ იუდეაზე, რაც ჩემი ცხოვრების მიზნად მიმაჩნია და ჩემი სინდისი დამშვიდებულია, არ არსებობს უფრო მეტი პატივი, ვიდრე ეს სახურო უძლეველ რომს!

— შენ გამოჩაქლისი როდი ხარ, რომის ნაცვალს, ლაშის  რითივეულს სწყურია თუნდაც ერთ მისივე მსგავსზე იბატონოს. უბედურება სწორედ ეგაა. შენ იტყვი, ქვეყანა ასეთა მოწყობილიო. მანკის გამართლება, უფლებიერების კედლია. მაგრამ იშვიათად თუ უფიქრდება ვინმე იმას, რომ ეგ ადამიანთა მოდგმის წყველაა, რომ ბატონობის მოყვარულობის ბოროტება, რომლითაც დასნებოვებულია ყველა — დაწყებული ბაზრის მხვეტართა მამასახლისითა და გათავებული მრისხანე იმპერატორებით — ყველა ბოროტებაზე დიდი ბოროტებაა და მის გამო ადამიანთა მოდგმას ერთხელაც იქნება მთლიანად მიეგება მისაგებელი, ხალხები ბატონობისთვის, მიწისთვის ბრძოლაში დაიღუპებიან, ძირფესვიანად, პირწმინდად მოსპობენ ერთმანეთს.

პილატე პონტონელმა მოუთმენლად ასწია ხელი და თანამოსაუბრეს ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— სდექ, შე შენი მოწაფე არა ვარ, რომ მოწიწებით გისმინო! სდექ! სიტყვით ყველაფრის მოსპობა შეიძლება, მაგრამ რაც უნდა იწინასწარმეტყველო, იესო ნაზარეველო, შენი მოწადინება ამაოა. სამყარო, რომელსაც ხელისუფლებანი მართავენ, არ შეიძლება სხვანაირი იყოს. რაზეც იდგა, იმაზევე იდგება კიდევაც: ვინც ძლიერია, ძალაუფლებაც იმას უპყრია ხელთ და კვლავაც ძლიერნი იქნებიან მსოფლიოს მმართველნი. ხოლო ეს წესი ისევე უცვლელია, როგორც ვარსკვლავები ცაზე. ვარსკვლავებს ვერაფერს გადაადგილებს. ამაოდ შეგტკივა გული ადამიანთა მოდგმაზე, ამაოდ ესწრაფვი იგი სიცოცხლის ფასად გადაარჩინო. ადამიანებს ვერაფერს ასწავლის ვერც ტაძრებში წარმოქმნილი ქადაგებანი და ვერც ზეციური ხმები! ისინი ყოველთვის გაპყვებიან კეისრებს, როგორც ჯოგები მწყემსებს, ქედს მოუხრიან ძალასა და კეთილდღეობას და თაყვანს სცემენ იმას. ვინც ყველაზე უღმობელი და ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება, ადიდებენ მხედართმთავრებს და მათ ბრძოლებს, სადაც სისხლის ღვარები დადინდება ერთთა ბატონობისა და მეორეთა დამორჩილების, დამცირების გულისთვის. სწორედ ყოველივე ამაში გამოვლინდება სულის გმირობა, ხოტბაშესხმული და თაობიდან თაობაში გადაცემული, ყოველივე ამის პატივსაცემად მალლა ასწევენ დროშებს და დააქუხებენ საყვირებს, ძარღვებში სისხლი აღუღდება, დადებენ ფიცს: უცხოთ ერთი გოჭი მიწა არ დავუთმოთო, და ხალხის სახელით აუცილებელი განდება სამხედრო მოქმედებანი, სამშობლოს მტრების მიმართ სიძულვილის გაღვივება: დაე, საკუთარი მეფე გალადდეს, სხვისი გასრისე, დაამხე, დაიმონე მის ხალხთან ერთად, მიწა კი წაართვიო. დიახ, ეგაა ცხოვრების მთელი სიტკბოება, ყოფიერების მთელი აზრი უხსოვარი დღიდან, შენ კი, ნაზარეველო, გინდა ეს ყველაფერი დაგმო, დასწყევლო, ადიდებ უპოვართა და უძლურთა, გსურს სუყველგან სათნოება სუფევდეს და გავიწყდება, რომ ადამიანი მხეცია, არ შეუძლია გაძლოს უომრად, როგორც ჩვენს ხორცს არ შეუძლია გაძლოს უმარილოდ. დაფიქრდი, რა შეცდომები დაუშვი, თუნდაც ახლა, როცა ბადრაგი თბემის ადგილისაკენ წაგიყვანს. გამომშვიდობებდისას კი გეტყვი: ბოროტების ფესვად ბატონობის მოყვარულობა, ქვეყნებისა და ხალხების ძალით დამორჩილება მიგაჩნია, მაგრამ ამით მხოლოდ ამძიმებ შენს დანაშაულს, ვინაიდან ვინც ძალის წინააღმდეგია, ის ძლიერთა წინააღმდეგაცაა. როცა სამართლიანობის სამეფოს აცხა-

ღებ, ნამდვილად ჩვენს რომის იმპერიას გმობ მოიარებით, გინდა წინ აღუდგე რომის მზარდ ძლიერებას, მის მსოფლიო ბატონობას; ასეთი განზრახვისთვის კი სამგზის იმსახურებ სიკვდილით დასჯას!

— რაღა ხარ ასეთი გულუხვი, კეთილი მმართველო? ჩემი აზრით, რომის დასჯაც საკმარისია, მაგრამ მაინც განვაგრძოთ საუბარი, თუმცა ჩვენს უმჯობესებაში თბემის ადგილზე როგორ იხრუკებიან ჯალათები. გზნებწმინდობაონდ უკვე ჩემი უკანასკნელი, სიკვდილისწინა სურვილის შესაბამისად. ამრიგად, რომის ნაცვალო, დარწმუნებული ხარ, რომ ძალა სწორედ ისაა, რაც შენ ძალად მიგაჩნია, მაგრამ არსებობს სხვაგვარი ძალაც — სიკეთის ძალა, რომლის ჩაწვდომაც, მგონი, გაცილებით ძნელი და რთულია, და სათნოებას არანაკლები სიმამაცე სჭირდება. ვიდრე ომებს, მაშ. მისმინე, ნაცვალო, ისე მოხდა, რომ შენ უკანასკნელი კაცი ხარ, ვისაც თბემის ადგილზე ასვლის წინ ვესაუბრები. და მსურს გულისნადები გაგიმხილო, მაგრამ არ იფიქრო, შეწყალებას მოხვდესო...

— ეს პირდაპირ სასააცილო იქნებოდა.

— ამიტომაც გიცხადებ წინასწარ, რათა ამ მხრივ დამშვიდებული იყო, რომის ნაცვალო. ახლა მხოლოდ შენ ერთს გეცოდინება ეგ ამბავი. წუხელ სული მეწამებოდა, როგორც თავდაპირველად მეგონა. უმიზეზოდ, არა, განაპაერი იყო შეხუთული გეთსიმანიაში — ქალაქგარეთა ბორცვებზე ნიავი ქროდა, მაგრამ ვერ ვისვენებდი, წუხილი, შიში, ნალველი მიპყრობდა. სულისშემძვრელი ბგერები ამ გულიდან თითქოსდა ცისკენ ისწრაფვოდა. ჩემი მიმდევრები, ჩემი მოწაფეები ცდილობდნენ ჩემთან ერთად ეფხიზლათ, მაგრამ შვებას ვერ ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ წინასწარ განსაზღვრული უამრ დადგებოდა, რომ უცილობელი სიკვდილი ახლოვდებოდა და ძრწოლამ ამიტანა... ყოველი ადამიანის სიკვდილი ხომ ქვეყნიერების დასასრულია.

— რატომ? — ღვარძლიანად შეხედა პილატე პონტოელმა ბრალდებულს.

— რაღა ვუყოთ, ნაზარეველო, საიქიო ცხოვრების იდეას? შენ ხომ ამტკიცებდი, სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდებაო.

— ისევე ქორების კვალად სჯი, მმართველო! საიქიოში სული უხმოდა, როგორც ჩრდილი წყალში — ეს უჩინარი აზრის ანარეკლი დაცურავს იმქვეყნიურ სივრცეში, მაგრამ ხორცს იქ არ შეესვლება. ის ხომ სულ სხვა არეა; არე სულ სხვანაირი შეუცნობელი ყოფისა იქ დროც სხვანაირად მიმდინარეობს, მისი მსვლელობა დედამიწის განზომილებას არ ესადაგება, საქმე კი ეხება სიცოცხლეს, მიწიერ სიცოცხლეს, მაწამებდა იმის წინასწარგრძნობა, რომ სრულიად მიტოვებული ვიყავი სამყაროში, და იმ ღამით გეთსიმანიაში მოჩვენებასავით დავეხეტებოდი. ვერ ვისვენებდი, თითქოს გონიერ არსებათა შორის ერთადერთი დავრჩი მთელ ქვეყნიერებაზე, თითქოს დედამიწის თავზე დავფრინავდი და ვერც დღისით, ვერც ღამით ვერც ერთ ცოცხალ ადამიანს ვერ ვხედავდი — ყველაფერი მკვდარი იყო, ყველაფერი ერთიანად გადავლილი ხანძრების დანატოვარ შავ ფერფლს დაეფარა, დედამიწა ერთიანად ნანგრევებში იყო — არც ტყეები ჩანდა, არც ნახნავეები, არც ხომალდები ზღვებზე, შორიდან მხოლოდ ოდნავ გასაგონი განუწყვეტელი რეკვის ზმა აღწევდა, როგორც ქარს მოყოლილი მწუხარე კენესა, როგორც რკინის ღრქიალი ამოჭრილი მიწის გულიდან, როგორც სამგლოვიარო ზარების რეკვა, მე კი ეული ბუსუსივით დავფრინავდი ცაზე, შიშითა და ავი წინათგრძნობით გაწამებული, ვფიქრობდი — აჰა, ქვეყნიერების დასასრული-მეთქი, აუტანელი ნა-

ღველი მიტანჯავდა სულს: სადღა გაქრა ხალხი, ახლა თავი სადღა შევაფარო-
 მეთქი? და გულში დრტვინვას მოვყევი: აი, ღმერთო, ის საბედისწერო დასა-
 სრული, რასაც ყველა თაობა ელოდა, აი, აბოკალიფსი, აი გონიერ-რსება-
 და ისტორიის დასასრული — შერედა, რად მოხდა ასე, როგორ შეიძლებოდა
 ასე დაღუპულიყვნენ, შთამომავლობა გაენადგურებინათ ~~ქრისტიანულად~~
 გამქრალიყვნენ? მე შემადრწუნა საშინელმა ვარაუდმა: ~~ბუნებრივი~~ ~~შინაგებელი~~
 იმისთვის, რომ შენ ადამიანები გიყვარდა და მათ თავი შესწირე. ნუთუ ადა-
 მიანთა მძვინვარე სამყარომ თავისი თავი თავისივე მძვინვარებაში ჩაკლა, რო-
 გორც მორიელი კლავს თავისივე თავს საკუთარი შხამით? ნუთუ ამ საზარე-
 ლი დასასრულის მიზეზი გახდა ადამიანების ადამიანებთან შეუთავსებლობა,
 იმპერიათა საზღვრების შეუთავსებლობა, ბატონობისმოყვარულობათა შეუ-
 თავსებლობა, შეუთავსებლობა დიდი კეისრებისა, რომელთაც განუყოფელ
 ბატონობა მოჰყირქებიათ, ხალხებისა, რომლებიც კეისრებს მიჰყვებიან, ბრმად
 მორჩილებენ, ფარისევლურ ქება-დიდებას ასხამენ, კბილებამდე არიან შეია-
 რალებულნი და თავი მოსწონთ ურიცხვ ძმათაშორის ომში გამარჯვებებით?
 აი, რით დამთავრდა დედამიწაზე ადამიანთა ყოფნა, რომელთაც თავიანთ
 თავთან ერთად მოსპეს ღვთაებრივი ნაბოძვარი -- ცნობიერება. ო, ღმერთო,
 ვდრტვინავდი მე, რად მიანიჭე გონება და მეტყველება, შემოქმედებისთვის
 თავისუფალი ხელები იმათ, ვინც თავის თავში ჩაიკლა თავი და მიწა საერთო
 სირცხვილის სასაფლაოდ აქცია! ასე ვტიროდი და ვგოდებდი უტყვ სამყარო-
 ში მარტომყოფი, ვიწყევლიდი ხვედრს და ღმერთს ვეუბნებოდი: ის, რასაც
 შენ არ ჩაიდენდი, თვითონ ადამიანმა აღასრულა, ვით დამნაშავემ-მეთქი... და
 იცოდე, რომის მმართველო, ქვეყნიერების დასასრული დადგება არა ჩემ გა-
 მო, არა სტიქიურ უბედურებათა გამო, არამედ ადამიანთა მტრობის გამო, რო-
 მელთაც ასე აღიდებ შენ თვითმპყრობელური ბანგით მთერალი...

იესომ სული მოითქვა და განაგრძო:

— აი, ასეთი აზრები მეხვია წუხელ და დიდხანს ვფიქრობდი მათზე, არ
 მეძინა, ვფხიზლობდი, ვლოცულობდი, გული გავიმაგრე და განვიზრაზე ჩე-
 მი მოწაფეებისთვის გამენდო მამის მიერ ხეგარდმო შთაგონებული აზრები,
 მაგრამ ამ დროს გეთსიმანიაში დიდი ბრბო გამოჩნდა. ბრბოში იუდაც ერია.
 იუდა სწრაფად გადამეხვია, ცივი ტუჩებით მეამბორა. „გიხაროდენ, მოძ-
 ლუარ“. — მითხრა მე, მანამდე კი მოსულებს შეაგება: „რომელსა მე ამბორს-
 უყო, იგი არს, შეიპყართ იგი“. იმათაც შემიპყრეს. ახლა კი, როგორც ხედ-
 ავ, შენ წინაშე ვდგავარ, რომის ნაცვალთ. ვიცი, ახლა თხემის ადგილზე
 წამიყვანენ. მაგრამ ჩემდამი მოწყალება გამოიჩინე, მმართველო, კმაყოფი-
 ლი ვარ, რომ სიკვდილის წინ შევძელი შენთვის გამენდო ის, რაც გუშინ გეთ-
 სიმანიაში განვიცადე.

— შერედა, გჯერა, რომ რაჟი მოგისმინე, ყველაფერი ვირწმუნე?

— შენი საქმეა, ნაცვალთ, ირწმუნებ თუ არ ირწმუნებ. ჩვენ ხომ ორ გან-
 სხვავებულ სტიქიას ვგავართ. მიუხედავად ამისა, შენ მომისმინე. ხომ არ შე-
 გიძლია თავს უთხრა, არაფერი გამიგონიანო, არც შეგიძლია ამაზე ფიქრი აიკ-
 რძალო. მე კი თავს ჩემსას ვეტყვი, რომ საფლავში თან არ ჩავიტანე ის, რა-
 საც გეთსიმანიაში ჩავწვდი. ჩემი სინდისი ახლა დამშვიდებულია.

— მითხარი, ნაზარეველო, შემთხვევით ბაზრებში ხომ არ გიწინასწარმე-
 ტყველებია?

— არა, მმართველო, რად მეკითხები ამას?

— ვერ გამიგია, თამაშობ, თუ მართლა არა გაქვს შიშის გრძობა. მართლა არ გეშინია გაუგონარი წამებით დასჯისა. ნუთუ როცა აღესრულები, შენთვის ასე მნიშვნელოვანი იქნება, რის თქმა მოასწარი და რის ვერა ვინ მოგისმინა და ვინ არა? ვის რად სჭირდება ეს ყოველივე? ამოუება ხომ არაა ეს, იგივე ამოება ამოთა და ყოველივე ამო?

— ამას ნუ ამბობ, მმართველო, ეგ ამოება არაა! სიკვდილის წინ ხომ აზრები პირდაპირ ღმერთთან აღევლინება: ღმერთისთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს კაცი სიკვდილის წინ და ამის მიხედვით განიკითხავს ადამიანებს, თდესლაც მის მიერ შექმნილ ცოცხალ არსებათაგან უმაღლეს ქმნილებებს, ვინაიდან ყველაზე ბოლო აზრთაგან ბოლო აზრები ყოველთვის წმინდაა, უალრესად გულწრფელია და მათში მხოლოდ სიმართლეა, ცბიერებისა არა სცხიათ რა. არა, მმართველო, უკაცრავად, მაგრამ ამოდ ფიქრობ, რომ ვთამაშობ. მე მხოლოდ ყრმობისას მითამაშნია სათამაშოებით, შემდეგ აღარა. ხოლო მეშინია თუ არა ტანჯვისა, დასამალი აბა რა მაქვს, ამის შესახებ უკვე გითხარი. მეშინია, ძალიან მეშინია! და ჩემს ღმერთს, ყოვლად კეთილ მამას ვევედრები, ჩემთვის გამზადებული ხვედრი ღირსეულად გადამატანინოს, არ აღმომხდეს ცხოველური გოდება ან სხვა რამით თავი შევირცხვინო... მე მზად ვარ, რომის ნაცვალს, მეტად ნულარ დამაყოვნებ, არ ღირს, დროა წავიდე...

— დიახ, შენ ახლა თხემის ადგილზე წახვალ. ისე, რამდენი წლისა ხარ იესო ნაზარეველო?

— ოცდაცამეტისა, მმართველო.

— რა ახალგაზრდა ხარ! ოცი წლით ჩემზე ახალგაზრდა. — სინანულით შენიშნა პილატე პონტოელმა და თავი გააქნია. შემდეგ დაფიქრდა და თქვა: — რამდენადაც ვიცი, უცოლო ხარ, მაშასადამე, არც შეილება გყავს, ობლები არ დაგრჩება. ასეც ჩავიწერთ. — იგი გაჩუმდა. კიდევ რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, ერთხანს ხმა არ ამოუღია, კიდევ კარგი, რომ არ ამოუღია, თორემ თავს შეივრცხვენდა. ქალი თუ იციო, ამის კითხვა უნდოდა და შეცბა: ეს რა დედაკაცური ცნობისმოყვარეობაა, როგორ შეიძლება დარბაისელმა კაცმა ასეთი რამეები იკითხოსო.

ამ წუთში პილატე პონტოელმა იესო ნაზარეველს შეხედა. პილატემ იესოს თვალბზე შეატყო, რომ იგი მიუხვდა, რის კითხვა უნდოდა, ისიც შეატყო, რომ ასეთ კითხვაზე არაფრით არ უპასუხებდა. იესოს კამკამა ლურჯი თვალბე ჩაუმუქდა, გული დაიბნო. „შესახედავად რარც თვინიერია, მაგრამ რა ძალა აქვს!“ — გაუკვირდა პილატე პონტოელს და ფეხით მოიძია წამძვრალი სანდალი.

— კარგი, — კითხვა შეატრიალა პილატე პონტოელმა, თითქოს ამით უნდოდა ქალების თაობაზე თავმოუბმელი საუბრის გამოსწორება. — შენზე ამბობენ, გარემამის შეილიათ, მართალია?

იესომ ალაღად და გულკეთილად გაიღიმა და სწორი თეთრი კბილები გამოუჩნდა.

— შესაძლოა ასეც იყოს ერთგვარად.

— უფრო ზუსტად. მართალია თუ არა?

— მართალია, მართალი, კეთილო მმართველო, — დაუდასტურა იესომ, რომელიც გრძნობდა, რომ პილატე პონტოელს სიბრაზე ერეოდა, ვინაიდან პროკურატორს არც ეს კითხვა შეშვენოდა მაინცდამაინც. — ჩემმა ზეციურმა მამამ სულიწმიდია მეშვეობით გამაჩინა.

— კარგია, რომ შეტად აღარავის აუბნევ თავგზას. — კბილებში გამოსცრა დაღლილმა პროკურატორმა — შენი მშობელი დედა ვინაა?

— იგი გალილეაშია, მარიამი ჰქვია. ვგრძნობ, რომ დღეს მომსწრებს, მთელი დამე გზაში იყო ეს მე ვიცი.

— არა მგონია, შვილის აღსასოულმა გაახაროს, — პირველი შეხვედრა პილატე პონტოელმა, რომელიც აპირებდა ამ სალოს ნაზარეტელ-ული გაქიანუობული საუბარი ბოლოს და ბოლოს დაესრულებინა.

პროკურატორი ერთიანად გაიმართა მხრებში კამაროვანი აივნის თაღებქვეშ. მას თეთრი ქათქათა წამოსასხამი ემოსა, წარმოსადეგი იყო, დიდთავა მსხვილი სახე ჰქონდა, თვალებში სიმტკიცე ედგა.

— მაშ, დავაზუსტოთ წესრიგისთვის, — დაადგინა პილატე პონტოელმა და ჩამოთვლა დაიწყო. — მამა, — რა ჰქვია? — იოსები, დედა — მარიამი. წარმოშობით ნაზარეტელი ხარ. ოცდაცამეტი წლისა, უცოლო, შვილები არ დაგრჩენია, ხალხს აქებებდი ასამბოხებლად, იმუქრებოდი, იერუსალიმის დიდ ტაძარს დავანგრევე და სამ დღეში ახალს ავაშენებო, თავს ასაღებდი წინასწარმეტყველად, იუდეა მეფედ, აი, მოკლედ მთელი შენი ამბავი.

იესო ნაზარეტელმა პროკურატორს პირდაპირ და სერიოზულად შეხედა სახეში და ხმადაბლა უთხრა:

— ნუ ვილაპარაკებთ, ჩემს ისტორიაზე. შენ კი გეტყვი, რომ ისტორიაში დარჩები, პილატე პონტოელო, სამუდამოდ დარჩები.

— კიდევ რას იტყვი! — აგდებულად ჩაიქნია ხელი პილატე პონტოელმა. იესოს ნათქვამი მას მაინც ეამა, მაგრამ უცებ კილო შეიცვალა და დიდის ამბით წარმოთქვა: — ისტორიაში დარჩება სახელოვანი იმპერატორი ტიბერიუსი, დიდება მის სახელს, ჩვენ კი მისი ერთგული თანამოღვაწენი ვართ მხოლოდ და მხოლოდ.

— და მაინც ისტორიაში დარჩები შენ, პილატე პონტოელო, — ჭიუტად გაიმეორა მან, ვინც იერუსალიმის კედლების მიღმა თხემის ადგილისკენ მიუწართებოდა...

ის ფრინველი კი, ძერა თუ არწივი, რომელიც დილიდან პეროდეს სასახლის თავზე ტრიალებდა, თითქოს ვილაცას ელოდებო, ბოლოს იქაურობას გამოორდა და ხელა გაფრინდა იქით. საითაც წაიყვანეს მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ბადრაგით გარშემორტყმული, საშიში დამნაშავესავით ხელებშეკრული ის, ვისაც ასე დიდხანს ესაუბრებოდა თვით პროკურატორი სრულიად იუდეისა — პილატე პონტოელი.

კამაროვანი აივანზე მდგომი პროკურატორი კი გაკვირვებული და თავზარდაცემული ადევნებდა თვალს ფრინველს, რომელიც იმის კვალდაკვალ მიფრინავდა, ვინც თხემის ადგილისკენ მიჰყავდათ...

— რას უნდა მოასწავებდეს ეს? — წაიჩურჩულა პროკურატორმა გაოცებით და მღელვარებით...



პოემა

თარგმნა ლია ყიფიანაძე

I

რა ვქნა, მომბეზრდა იამბიკო ოთხტერფიანი,
ყველა ასე წერს — შით თავს იქცევს პატარა ბიჭიც,
აი, ამიტომ არ იქნება ახლაც გვიანი,
რომ შევიცვალო ლექსთაწყობა და ჩემი ნიჭი
წარმოვაჩინო ოქტავებში, თან გვარიანად
მიჭრის კალამიც — სამშაგ რითმებს ჩავუჯდე დინჯად,
ერთს მუზა მომგვრის, გამოჩნდება მერე ორთავეც
და ავამღერებ ახლებურად მეც ჩემს ოქტავებს.

II

ამიერ უნდა დავასრულო სტრიქონი ზმნებით.
გზა მივცე რითმებს მსუბუქი და ხალისიანი,
დაწყვილდებიან ტერფნი, როგორც ალალი ძმები.
მოგეხსენებათ, ზმნათა რითმა ჩვენდა ზიანად,
ვერ დავამკვიდრეთ, ასე წერდა ღვთიური მცნების
დიდი მოსაგრე შიხმატოვი და ვეზიარე
მეც ოთხტერფიან იამბიკოს, რატომ? ვერ ვიტყვი;
დღეს, მეგობრებო, ძველი დავგმე — ზმნებთან შევითქვი.

III

არ ვწუნობ სიტყვას, რთული იყოს გინდა მარტივი,
(ომგადახდილი ხეიბარი არავის უნდა,
ან ცხენს უჯიშოს ვით ეღირსოს მოვლა-პატივი?)
სულ სხვაა სიტყვა, კარგად მახსოვს ერთი რამ მუდამ,
თანდებულებით, კავშირებით, ანდა მათივე
მსგავსი წვრილმანით უნდა მქონდეს ავსილი გუდა.
ყოველი ასო, ზმნა ყოველი, გინა მარცვალი,
ჯარია ჩემი, მე კი მათი მთავარსარდალი.

IV



აბა, მდებრობით-შამრობითო მარცვალნო-მედგრად
 უსწორდით ერთურთს! — შთაგონების ცეცხლი
 ძალა მოვსინჯოთ და გვაკურთხოს მოწყალე ღმერთმა
 ოქტავისაგენ ნაბიჯით წინ! იარ სამ წყებად!
 ნუ შემოშინდით. მეც აქა ვარ, ვიდოდეთ ერთად!
 მტკიცედ გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ ლექსის დამწყები,
 მერე თანდათან გავოვაცებთ განგების ძალით
 და დააჩნდება პოეზიის ბილოვსაც კვალთ.

V

კარგია მართლაც, როცა ლექსი თანმიმდევრობით
 დაწესრიგდება, ვით ლაშქარი, დიდი ხანია
 დავიმორჩილე ყველა სიტყვა, მკაცრად ვეპყრობი
 და უგზო-უგელო წანწალისთვის აღარ სცალიათ.
 ყველა მარცვალმა აღიარა ჩემი მეფობა,
 ყოველი სტროფა პატივშია და მიხარია,
 რომ მონა-მორჩილ თქვენს მელექსეს გონება ფართე
 ისევე უჭრის, ვით ომის ღმერთს ბუნაპარტეა.

VI

კოტათი უნდა შევიკვეთო ეშანი შესულმა,
 თორემ იქნება შევიკურთხო — მე ხუთტერფიან
 პწკარში მეორე ტერფთან ვხმარობ ხოლმე ცეზურას;
 რომ არ გახელდეს სულმოლად ლექსი და თუმც ერთიან
 ვარ მინდობილი რბილ კანაპეს, მაინც მხეცურად
 მივარბენინებ დამზრალ ხნულზე ფიცბ და ფეთიან
 ცხენებს და ლექსიც, ჩემი სულის ურჩი ძმობილი,
 ხან კორტოხზეა ხან კი თხრილში პირჩამხობილი.

VII

რა ბედნავსობა მომეძალა, დავბეტილობ
 ნევის გრანიტზე დღენიადაგ, ხან კი მეჯლისზე
 იატაკს ვრანდავ; ანდა ვინით სავსე ფიალა
 მინდა ერთიან გამოვცალო, ოდეს სტეპისკენ
 მიმაფრენს ცხენი, რარიგ ვნატრობ, რომ დავიარო
 სოფლები, მაგრამ ამასაც კი ველარ ვეღირსე;
 ხომ გახსოვთ შარშან ატეხილი ქალაქში შფოთი:
 ორიგინალი მოსკოვიდან გვეწვია ჩორთით.

VIII

ჩორთი უძახეთ! დღეს პარნასის მჭლე თოხარიცაღ
 შეეტოქება ის ჯირითში — მოტყდა პეგასი,
 (რალა ცხენია, თუკი შუა გზაში წაიქცა).
 ჭალარა მუზაც ძლივს-ლა როკავს, უკვე პარნასზეც
 ყვავის ტონჭარი, გადადგება წელს თუ გაისად
 ფებუსიც, ძველი ოფიცერი, და ქვეყანაზე
 გაქრება კვალი კლასიკური სიმღლეების,
 უშთაგონებად განილევა ჩვენი დღეებიც!



IX

დაუნჯდი, მუზავ, ონავარო, კმარა ანცობა,
 ნულარ ატოკებ მაგ შენს ფეფებს, ციცქნას და კობტას
 და ახლა ცოტა ყურად იღე ჩემი განწყობაც.
 აბა, დავიწყოთ: ეს ამბავი რვა წლის წინ მოხდა,
 ცხოვრობდა ქვრივი დედაბერი, ჩვენიგან მახლობლად
 მისი პატარა სახლი იდგა დარაჯის ქოხთან.
 ვუშინდელივით კარგად მახსოვს ჩუქურთმიანი
 სამერცხულები, პარმალი და ეზო მზიანი.

X

ამაღ დღის უკან მოვიარე ის არე-მარე,
 ნაშთიც არ დამხვდა იქ წარსულის, მოულოდნელად
 სამსართულიან სახლს წავაწყდი და ვით სიზმარა
 თვალწინ დამიდგა ის ამბები, დრომ რომ მოთელა,
 დაცქრიალებდა ამ ეზოში ყოველ ცისმარე
 ქვრივი დედაბრის ქალიშვილი და უშფოთველად
 მისდევდა დღე დღეა, ბედნიერა იყო ოჯახი:
 მშრომელი დედა და ასულიც მისებრ ვოჩადი.

XI

დღემოკლე იყო ალბათ მათი უდარდელობა,
 სხვა რა ვიფიქრო, რა შეენთხვათ ან სად არიან?
 პირი, იღბალო, ანგვარ ბოლოს ვინ მოელოდა!
 აზრმა მომიცვა უკეთურმა: მსურდა ძალიან,
 რომ ხანძრის ალი უღმობელა შემოვლებოდა
 ახალ შენობას, მე რა ვიცი, რისი ბრალია,
 რომ კოშმარული სიზმარივით უკეთურ ფიქრებს —
 ჩემდა უნებურ საიდანლაც გონება იკრებს?!

XII

ბედნიერია ვინც ამ წუთებს არ ეპყება,
 შეებრძოლება გულისმომწყველელ ფიქრებს და ჩაეღავს
 გესლიან ასპიტს. ოდეს ჩვენდა უბედურებად
 ასისინდება მაცდური და აგვიბნევს გზა-კვალს,
 თუკი დავყევით: ამიტომაც წამალს უებარს
 ვსვამ დღენიდაც — ლეთის წყალი დავხვრიპე ახლაც.
 რომ მივივიწყო წელანდელი მოწყენილობა;
 რა ვქნა? ეჭიმმა ჩამომართვა ესე პირობა.



XIII

მოხუცი ქალი (მისი სახე რემბრანდტის ცნობილ
 პორტრეტს შავონებს) ატარებდა თეთრ თავსაბურავს.
 არ იწორებდა სათვალესაც, როგორც წყვილ დობილს.
 მაგრამ ააული ჰყავდა — ვიტყვი, იყო ზღაპრულად
 შემკული, მართლაც სამშვენიისი მიწიერ ყოფის —
 მტრედის სითეთრე და სინაზე ჯერაც არ თქმული,
 თვალ-წარბი შავი, ვით ლუსკუმი უკუნი ღამის,
 თან გამოვნება პეწიანი — უზადო ღამის.

XIV

არ იტყვით ახლა, რა ტყბილი ხმით დაუბვირებდა
 გიტარის სიმებს — „რა გაღონებს ღულუნა მტრედო“,
 ან კიდევ „გავალ ტრამალებში“, თუ უბერებლად
 გულს შემოტრჩენილ საგალობლებს (რომლებიც ერთობ
 ბევრია ჩვენში). გოდების ხმით რომ იმღერება
 ხამთრის გრძელ ღამეს, ან ოქტომბრის ნალვლიან დღეთა
 გახლავთ მეგზური, როგორც კვნესა სულით დაძრული
 — ასე იმღერის ოდითგანვე რუსი ქალწული.

XV

გადუჭარბებლად შინდა გითხრათ: მთელი რუსეთი
 სიმღერის ნაცვლად გაბმით ყმუის, პოეტი იყოს
 გვირგვინოსანი, გინდ მეეტლე — აძევს უკვეთ-
 დალი სუყველას: დასჭექავენ თავიდან თითქოს
 მრავალჯამიერს. მაგრამ ბოლოს მაინც ხუცესია
 ხმაზე იტყვიან „სულთა-თანას“ და მაინც მიპყრობს
 სევდით გამთბარი ჰარმონია რუსული მუზის,
 ყოველ ჩვენგანს რომ შექმნის დღიდან ძვალ-რბილში უჩის.

XVI

ჩვენმა პარაშამ (ასე ერქვა ამ მზეთუნახავს)
 იცოდა კერვა, უთოობა, რეცხვა თუ ბერტყვა.
 ერთი ოჯახი არ ჰყოფნიდა მას საზრუნავად,
 თავისუფალ დროს ხელთ ხარჯების დავთარი ეპყრა,
 ან შინაურებს აოცებდა დიდი უნარით,
 როს წიწ-ბურას მონარშავდა მართლაც უებრად.
 ყრუ და ჩურჩუტი მზარეული — მოხუცი თეკლე
 ამ რთულ საქმეში გახლდათ მისი კეთილი მეკვლე.



XVII

მოხუცი დედა ფანჯარასთან ჯდებოდა დღისით,
 და გრძელი ყელი ამოჰყავდა თბილი წინდების,
 ხოლო საღამოს ბანქოს შლიდა, ეს გახლდათ მისი
 თავშესაქცევი, პარაშა კი, უამს შებინდების,
 შემოურბენდა უცებ მთელ სახლს და მისხის-მისხით
 გამოიძევდა სად რა ხდება, ვის რა სჭირდება,
 ვინ გაიარა წელან ფეხით, ვინ კიდევ ეტლით,
 ყველაფერს ამჩნევს ცუგრუმელა — ჰკითხეთ და გეტყვიო.

XVIII

მუხის დარაბებს რაზა ედო მთელი ზამთარი,
 მაგრამ ზაფხულში ყველა კარი, ყველა ფანჯარა
 გვიანობამდე ღია იყო და ფერგამკრთალი
 მთვარე დამზერდა ჩვენს გოგონას თვალებანკარას,
 (დიანას გარე — დიახ, დიახ, თუ გსურთ მართალი,
 ვერც წარმოიდგენ რომანს) ჰოდა, ასე ამგვარად.
 უმზერდნენ ერთურთს დიდხანს, ქვრივს კი, მივარდნილს ძილად,
 არრა ესმოდა ამ ქვეყნისა — ფშვინავდა ტკბილად.

XIX

იღვა პარაშა ფანჯარასთან და ყურს უგდებდა
 ხვალი კატების გაბმულ ჩხავილს. ქუჩის ბოლოდან
 ღამის გუშაგი გაჰყვიროდა და დაუდევრად
 რეკდა საათი — ძილს უფრთხობდა დაღლილ კოლომნას,
 ირგვლივ სიჩუმე, რინდი ტკბილი ისადგურებდა.
 ხანდახან წამით თვალს მოჰკრავდა ჩვენი გოგონა
 ქალ-ვაჟის ლანდს და ხამი ტილოს საღამურ პერანგს
 უმანკო გულის აწყდებოდა ძალუმი ძვერა.

XX

ზამთარ თუ ზაფხულ, კვირაობით ტაძრად მიმავალ
 მოხუცს ნაბავდით; მას თან აბლდა ამ დროს ასულიც,
 იქ აღარ ვცხოვრობ უკვე, მაგრამ რა დაგიმალე
 გავიპარები ზოგჯერ სიზმრად და გალურსულტ
 ყურს ვუგდებ ხოლმე, თუ ვით იმღერს, თუ ვით იგალობს
 ეკლესიაში „უფლის კვართის“ ქორო რუსული,
 ვხედავ დედა-შვილს განათებულ საკურთხეველთან,
 ვგრძნობ მეუფებას ირგვლივ სულთა ჩვენთა მთნეველთა.

XXI

ტაძარში ხშირად გრაფინიაც დაბრძანდებოდა,
 (რამ დამავიწყა, ღმერთო ჩემო, მისი სახელი?)
 ამპარტავნულად ჩაივლიდა, როგორც დედოფალს
 შეეფერება და დედოფლის მან შესაფერი
 იცოდა ლოცვაც, (ქალს არ შეენის უიმედობა),
 მე კი მას ვუმზერ, აღარ მესმის სხვა არაფერი
 და ღარიბულად შემოსილი ჩვენი პარაშაც
 მის გვერდით, თითქოს გაილია და აღარა სჩანს,

XXII

გააპარებდა გრაფინია მეყსეულ მზერას
 პარაშასაკენ: თავდახრილი ჩუმად ლოცულობს
 საწყალი გოგო, დგას თავისთვის, არავის ზვერავეს;
 არ იფანტება მისი სული ნათლით მოცული,
 დღეს ჩვენში ასეთ მორჩილებას, შეხვდებით ძნელად.
 გრაფინია კი, მოკაზმული ახალმოდურად,
 დგას ჩალამული თავის თავში გოროზი, ცივი —
 მის გაუმთბარ სულს სიყვარულის აკლია სხივი.

XXIII

თვით იდეალი სიამაყის განსხეულდაო —
 იტყოდით მასზე, მაგრამ მიღმა ამ გულზვაობის
 იკითხებოდა სხვა ამბავიც; სევდა უღარდო,
 ამოუთქმელი სამღურავი, უსაძრაობა
 დაღლილი სულის — ეს მნუსხავდა მასში უდავოდ.
 თვითონ კი ალბათ ვერც ამჩნევდა ამგვარ სხვაობას
 და მიაწერა გრძელ ნუსხაში: ვითარცა ფერფლი
 დაშთა პოეტო — სიყვარულის მორიგი მსხვერპლი.

XXIV

იტანჯებოდა გრაფინია, თუმც ქვეყანაზე
 რაც მადლი იყო მას არგუნა თავად ფორტუნამ:
 ახალგაზრდობა, თუ სიმდიდრე, თუ სილამაზე;
 მოდაც უკმევდა მას ფიქვამს — იყო მორთული
 ვით სეფე-ქალი. სხვა რა გითხრათ მეტი ამაზე
 და მაინც, ჩემო მეგობრებო, ბედის მომდურავ
 ქალზე ნეტარი გახლდათ გმირა ჩვენი პოემის!
 ორიოდ კეთილ სიტყვას ჩვენგან ისიც მოელის.



XXV

გვირგვინად ედგა ლამაზ თავზე ნაწნავი მსხვილი,
 გამოპარვოდა გააკვნილ თავშალს გარეთ კულული,
 გედის კისერზე კრთოდა მძივი უბრალო ცვილის,
 უბრალო ეცვა სამოსელიც, მაგრამ ქურდული
 მისკენ ილტვოდა მაინც მზერა და ყოველ დილით,
 როდესაც ჭიშკარს ჩავლიდნენ გულდათუთქული
 გვარდიელები, ეს პარაშა ჩითის კაბითაც
 თითქმის უკლებლივ ყველა მათგანს ჰყავდა საფიქრად.

XXVI


მაგრამ პარაშას გულისსწორი ჰყავდა მათ შორის,
 თუ ერთი იყო მისთვის ყველა, ამას შევიტყობთ
 მოგიანებით, ჯერჯერობით ბედის სასწორი
 არ იძროდა და პარაშამაც თითქოს შეიტკბო
 მშვიდი ცხოვრება, მოყვარული დიდი განცხრომის
 მაინც არ გახლდათ, არ ჰკარგავდა წუთს უხეიროდ.
 არც მეჭლისებზე, არ პარიზზე არ ოცნებობდა
 და ვგონებ შინაც არ სტანჯავდა უგუნებობა.

XXVII

უბედურებამ იმათ კარზეც დააბრაბუნა:
 შინ რომ დაბრუნდა აბანოდან მოხუცი თევლე,
 ჩაწვა და შერე ველარც ადგა — რაღა თქმა უნდა,
 დაგრილა გზაში, ციებისგან აყრიდა ეკლებს.
 რას არ ასმევდნენ: ჩაის, ღვინოს, კიდევ... ტარხუნაც
 ველარ წაადგა — მიიცივალა და შობის მეკვლედ
 შერჩათ ცხედარი. რას იზამდნენ, იტირეს უხმოდ
 მთელი ის დღე და გაიტანეს საღამოს კუბოც.

XXVIII

ყველას ძალიან დაწყდა გული, მაგრამ მეტადრე
 კატა ვასიკოს მწუხარების მოიხსნა რიდე

ქვრივმა ბოლოს და ასე ბრძანა: — ვხედავ ერთადერთ
 აქ გამოსავალს — ორიოდ დღეს მოვითმენთ კიდევ.
 მაგრამ ღვთის ნებას ზომ ვერ ვანდობთ ტრაპეზს, ეცადეთ,
 მონახოთ სადმე მზარეული — მაშ ყური მიგლე,
 ჩემო პარაშა, ნუ გადადებ და ამალამვე
 ჩვენს მეზობლებში, აქვე ვინძლო შეიტყო რამე. 
 ერეკლესული
 ბიბლიოთეკა

XIX

კარგო, თქვა მან, მოიტოვა უცებ სახლი და
 ბნელს შეერია (გვარიანად ციოდა გარეთ,
 ყინვები იდგა საშობაო, მიწას მაღლიდან
 უღრუბლო ზეცით დაჰყურებდა კრიალა მთვარე,
 ბრწყინავდა თოვლი). ის-ის იყო, ჩვენმა დაღლილმა
 ქვრივმა ჩასთვლიმა, როს პარაშა მოადგა კარებს.
 მიუახლოვდა ფეხაკრეფით დედას და უთხრა: —
 — აი, მოგგვარეთ მზარეული, ნულარას სწუხართ.

XX

მართლაც კარებში ქალიშვილმა შემოაბიჯა.
 მორცხვად, თავდახრით სთქვა სალამი, არა უშავდა, —
 — იყო მაღალი, კობტა სჩანდა მოკლე კაბითაც.
 ლამაზ წინსაფარს სულ ერთთავად ზელებს უსვამდა,
 (ალბათ ღელავდა უცხო ხალხთან) „აბა რა ვითხრა,
 როგორ მოვრიგდეთ?“ ქვრივის სიტყვას არც დაუცადა
 ო, მომეცითო, ქალბატონო, რამდენიც გნებავთ,
 და ამ სიტყვებზე თითქოს იგრძნო რალაცა შვებაც.

XXI

ესიამოვნა ჩვენს დედაბერს მისი პასუხი,
 „რა გქვია შვილო?“ — „მავრა, დედი“, — „ჰოდა, მავრუშა,
 იცხოვრე ჩვენთან. ერთ რამეს გთხოვ — მაგრად დაუხვდი
 ოლონდაც კაცებს, მათ ოინებს ბოლო არ უჩანს...
 აწ გარდაცვლილი ჩვენი თეკლე — მას გადაუბდის
 ღმერთი სიკეთით — ისე როგორც შვილებს საყუთარს
 გულით გვივლიდა, შენც მოხედე აქაურობას,
 ოჯახის მოვლა არ გეგონოს, შვილო, ხუმრობა.“

XXII

ვადის ერთი დღე, კვლავ მეორე, არ ჩანს სადილი,
 ან დაეწვება მავრას ხორცი, ან ისე მწუთხე
 გამოსდის კერძი, გეგონება შაშხი ნამდვილი,
 ჭურჭლის ნამსხვრევით გამოჩურთა ოთხივე კუთხე.

ვერც ნემსს ვერ ხმარობს, თუმცა კი აქვს დიდი წადილი.
გათათხეს კიდევ, ტბილი სიტყვაც ათასჯერ უთხრეს,
მაგრამ ამაოდ. — პარაშაც კი ვერაფერს გახდა,
ენა ებმოდა გაოგნებულს, რჩებოდა სახტად.



XXXIII

როგორც ყოველთვის, იმ კვირასაც დედა და შვილი
ადრე წავიდნენ წირვაზე და სახლში მავრუშა
დატოვეს, რაკი შეაწუხა ტყვილმა კბილის,
ის კი არა და მგონი სიკვდილს ძლივს გადაურჩა,
დრო კი არ იცდის — ჯერ ზომ უნდა ჩამოფქვას ილი
და თუ ნამცხვარიც გამოაცხო, მაშინ რა უშავს,
მაგრამ წირვისას ჩვენს ქვრივს თითქოს რაღაც ეტაკა,
აღი გაივლო აზრი მისმა გულმა სპეტაკმა:

XXXIV

„მაინც და მაინც რაღა ახლა ამოიჩემა
ნამცხვრების ცხობა, შინ რომ არ ვარო— შეუჭდა შიში, —
„იქნებ სახლიდან გაგვიგულა განზრახ იმ ჩვენმა
მშვენიერმა და მერე ნახეთ ვაი და ვიში,
თუკი პირწმინდად გაგვფსქვნა, პოღა ღმერთმა გიშველით —
მაშინ ხომ ჩალაც გამოგვაველო ორთავეს პირში“.
გაოგნებული კიდევ ერთხანს იდგა უჩუმრად,
ბოლოს ვერ გასძლო და პარაშას გადუჩუჩულა:

XXXV

„პარაშა, შვილო, შინ მივდივარ, ვეღარ ვჩერდები,
რატომღაც შიშმა ამიტანა“, — ეს არეული
სიტყვები პაშამ ვერც ვაიგო — „შენ კი ეგების
დარჩე ბოლომდე“, — ესა სთქვა და ვით მოვარეულმა
სახლს მიაშურა ბანცალ-ბანცალ, გულის ფეთებით.
განვლო წინკარი, მოიარა სამზარეულო,
არა სჩანს მავრა, ააძინებლის შეალო კარი,
— ვაიო! — თქვა და გაიშხლართა ძირს ცოცხალმკვდარი.

XXXVI

რამ შეაშინა ჩვენი ქვრივი ასე სასტიკად?
რამ და, სარკის წინ მის ოთახში წვერს იპარსავდა
მავრა, დიახ, ის, წინ ლამით რომ კბილი ასტკივდა
და არ ფიქრობდა უტიფარი წასვლას არსადაც,
მაგრამ დედაბრის დანახვაზე, მყის სავარძლიდან
პერი, და მოხუცს გადაეველო, გაქრა თვალსა და

ხელს შუა სადღაც. გარბოდა, და მალავდა სახეს —
ის იყო და ის, მისი კვალიც ველარსად ნახეს.

XXXVII



ქართული
საქართველოს

წირვა დამთავრდა, შინ პარაშა დაბრუნდა დროს
„რაო, დედილო?“ — „ოპ, ნუ მკითხავ, მავრა წყეტული...“
— „შეეშთხვა რამე?“ — „დამაცადე მოვიდე გონზე,
რა და მითხარი — გაგიგია, რომ მზარეული
იჯდეს სარკის წინ გააპნელი...“ — „გაილება მოგცეთ
გამჩენმა, დედი, ვერაფერში ვერ გავრავილებარ;
სად არის მავრა?“ — „ოპ, შევშინდი, შვილო, ფარსაგად,
კაცი ყოფილა ეგ ოხერი, წვერს იპარსავდა“.

XXXVIII

ვითომ გაწითლდა ქალიშვილი? ვერ გეტყვით ზუსტად.
ვიცი რომ სადღაც გაქრა მავრა, გადაიძალა.
ვერ მოაწონებ უხეირთ საქონელს მუშტარს
და არც მზარეულს ერვო გროში, ალბათ იბბალმა
დაზოგა ქვრივი — იცოდვილა მავრუშამ მუქთად
და ამ ბნელ ზრიესაც აეხალა ტყებ ნილაბი.
ვინ შეიფარა მავრა? რა ვქნა, ვარ გულმაფიწყი,
აღარც მცალია, ლექსს ვამთავრებ, მოკლედ, არ ვიცი.

XXXIX

— ლექსს ვამთავრებო? — ასე ბრძანეთ, ხუმრობთ, ღმერთმანი,
სად მოგიყვანათ ოქტავებმა, დაკარგეთ ვეზი?
ჯარი შეჰყარეთ, დაუსართეთ ზმნები ერთმანეთს,
შეძახილებით მიდიოდით უკვალო გზებზე,
ნუთუ ვერ ნახეთ სხვა საგანი, რას მიეძალეთ
ფუქსავატ რითმებს? მოგვახსენეთ გეთაყვა ესეც,
ლექსში მორალი მცირე მაინც რომ უნდა იყოს?
— არ გახლავთ... მაგრამ მომიტმინეთ, ეიპოვე თითქოს...

XXXX

აი მორალიც: მუქთ მზარეულს გიჯობთ ათასჯერ —
თქვენივე ხელით მოამზადოთ თქვენი სადილი:
და კიდევ, თუკი კაცად გაჩნდით, მაშ დააფასეთ
ეს წყალობა და აღისრულეთ გულის წადილი
უფრო თამამად, ხომ იცით, რომ წვერის გაპარსვა
მაინც მოგიწევთ ან როდემდე ივლით მანდილით.
მე მეტი ველარ გამოვადნე ამ მიუთ-მოეთს,
თქვენ თუ სხვას ფიქრობთ, ერთი ცოდვა შეუხდეთ პოეტს.



ესპანურიდან

თარგმნა თეა გვასალიამ

სასწაულებით მოვაპრა უოჩალი ბლაკამანი

პირველად ერთ კვირა დღეს ვნახე სანტა მარია დელ დარიენის ნავსადგურში, წამლებითა და დამამშვიდებელი ბალახებით სავსე მაგიდაზე შემომჯდარი. მუშტარს რომ უხმობდა ძარღვებში სისხლის გამყინავი ყვირილით. ელარუნებასხმულს, ოქრომკედლით ნაქარგი ხავერდის აჭიმები და ათივე თითზე სხვადასხვა ფერისთვლიანი ბეჭდები ეკეთა. დავინახე თუ არა, მონოსაბიოს¹ ჯორი გამახსენდა. არა, იმ დღეს მყიდველებს კი არ უხმობდა, არამედ იხვეწებოდა, რაც შეიძლება შხამიანი გველი მოეყვანათ, რათა საკუთარ სხეულზე გამოეცადა თავისივე სასწაულმოქმედი წამალი — გველის, ტარანტულის, მრავალფეხას და სხვა შხამიან ქვეწარმავალთა ნაკბენის საწინააღმდეგო უებარი საშუალება. მისი გამბედაობით მოხიბლულმა ვიღაც უცნობმა, არავინ იცის საიდან, ბოთლში ჩამწყვდეული საზარელი შხამიანი ქვეწარმავალი მოარბენინა, სწორედ ის, მახვერბლს პირველად სუნთქვას რომ უწამლავს. მანაც ისეთი სიამოვნებით მოხსნა ბოთლს თავი, ვიფიქრეთ, შეკმას უპირებსო, მაგრამ ქვეწარმავალი, თავისუფლება იგრძნო თუ არა, ბოთლიდან ამოსხლტა და თვალის დახამხამებაში კბილები დაასო ყელზე. კაცმა ძლივს მოასწრო წამლისათვის ეტაცა ხელი. მიწაზე დაცემული სიმწრით იკლაკნებოდა, მაგრამ ოქროს კბილჩენით სიცილი არ შეუწყვეტია. ისე საშინლად როხროხებდა, ამერიკულ ჯავსნოსანზე, — კეთილი ნების ვიზიტით ოცი წლის წინ ნავსადგურში ღუზა რომ ჩაუშვა, — შხამის შეღწევის თავიდან ასაცილებლად კარანტინი გამოცხადდა. მისი სიკვდილის სანახავად ეკლესიაში საკვირაო მესაზე შეკრებილი ხალხი გამოეფინა. მომაკვდავი თანდათან სივდებოდა. უკვე ორჯერ მეტი გახდა, პირზე ღუფი მოსვლოდა, ფრუტუნებდა, მაგრამ თან ისე გულიანად ხარხარებდა, მთელ ტანზე ელარუნები უხტოდა. ამასობაში დაბერილმა წყლულებმა ჯერ წინდების ზონრები დააწყვიტა, მერე, ტანსაცმლის ნაკერები, დასივებულ თითებზე წამოცმულმა ბეჭდებმა თითქოს შეუწყვიტა სისხლის მოძრაობა, დამარილებული ირმის ტყავია ფერი დაედო და ცხენისებრი გავიდან რაღაც წვრილ-წვრილი ნაფლეთები რომ დასცვივდა, ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ენახა ამ საზარელი ქვეწარმავლის ნაკბენი, მიხვდა, მომაკვდავი ხრწნას იწყებდა და მალე ისე დაიშლებოდა, ნიჩბებით მოუწევდათ აფხეკა და ტომარაში ჩაყრა. თან ფიქრობდნენ, ნაკუწ-ნაკუწ დაშლილიც ალბათ სიცილს

¹ მონოსაბიო — კაცი, რომელიც განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებს კორიდის დროს

გააგრძელებსო. ამ საოცრების შემყურე მეზღვაურთა ბავშვები ფერადი სურათების გადასაღებად გემბანს მოაწყდნენ, მაგრამ წირვიდან გამოსულმა ქალებმა მომაკვდავს მოსასხამი გადააფარეს და ზედ იაზმანაპკურები ხელები დააწყეს. ზოგს არ უნდოდა ბავშვებს ადვენტიანური¹ აპარატით წაებოლწათ მომაკვდავი. ზოგს შიშს ჰგვიდა ამ ურჯულოს ყურება, სიცილით კრეჭდნენ სიკვდილი, დანარჩენებმა იფიქრეს, იქნებ ამ საცოდავის ზეფელის² მისხნაკვიხსნათ გახრწნისაგანო. ყველას მკვდარი ეგონა, როცა ტოტები ხელია ერთი მოსმით მიყარ-მოყარა, განცდილით ოდნავ დასუსტებული. მაინც სხვის დაუხმარებლად დაეყრდნო მაგიდას. ზედ კურდღელივით შენტა და წუთის შემდეგ უკვე თავისი წამლის, ბოთლში ჩასხმული ამ ღვთის წყალობის ქებაში იყო, სულ რაღაც ორი კუარტილით² რომ ღირდა. მას ხომ მოგება კი არა, კაცობრიობის კეთილდღეობა აიხტერესებდა მხოლოდ. აბა, ვინ თქვა, ერთიო? ოღონდ მას ნუ გადათელავო, ქალბატონებო და ბატონებო, ყველას გეყოფათ.

რალა თქმა უნდა, კინალამ გადათელეს და სწორადაც მოიქცნენ, რადგან ყველას არ შეხვდა ჯავშნოსნის ადმირალმაც კი, მისგან შთაგონებულმა — ეს წამალი ანარქისტების მოწამლული ტყვიისგან მიყენებული კრილობის განკურნების უებარი საშუალებააო. — იყიდა ერთი ბოთლი. მეზღვაურებმა, მომაკვდავის გადაღება რომ არ დასცალდათ, მაგიდაზე შემბტარს ფერადი სურათები გადაუღეს და სანამ ხელი არ აუკანკალდა, ავტოგრაფებს ართმევდნენ. ამასობაში დაბინდდა, ნავსადგურში მხოლოდ ყველაზე დაბნეულები დავრჩით. მან ბოთლების შენახვა გადაწყვიტა და ბრიყვული გამომეტყველების მკონე თანაშემწეს დაუწყო ძებნა. არჩევანი, რალა თქმა უნდა, ჩემზე შეაჩერა. ეს ბედისწერა იყო, მარტო ჩემი კი არა, მისიც. იმ დღიდან საუკუნეზე მეტია გასული და ორივეს ისე ცხადად გვახაოვს ყველაფერი, თითქოს გასულ კვირას მომხდარიყოს. ის იყო, მის ძოწისფერ სკივრში, უფრო სწავლულის კუბოს რომ წაავადდა, ბოთლების ჩალაგება დაეიწყეთ, რომ უცებ რაღაც სხვა თვალთ შემომხვდა, ეტყობა, ისეთი რამ დაინახა ჩემში, ადრე რომ არ შეუძინებია და წარბშეკრულმა მკითხა, ვინ ხარო, ვუბასუხე, დედ-მამით ობოლი ვარ, თუმცა მამა ჭერ ცოცხალი მყავს-მეთქი. ასე გულიანად, მომაკვდავი რომ გორავდა მიწაზე, მაშინაც არ უცინია, სული რომ მოითქვა, იმით დაინტერესდა, რას ვაკეთებდი ვუბასუხე, რომ მხოლოდ ვცოცხლობდი, რადგან ამქვეყნად სხვა არაფრისათვის ღირდა თავის შეწუხება. სიცილისაგან ცრემლები წამოსცვივდა და მკითხა, თუ არსებობს მეცნიერება, შესწავლა რომ გინდოდესო? მეც სავსებით სერიოზულად მივუგე, წინასწარმეტყველი მინდა გავხდე-მეთქი. სიცილი ერთბაშად მოსხიბა და თითქოს ხმაშალდა ფიქრობსო, თავისთვის ჩაილაპარაკა: ეს შეუძლებელი სულაც არ არის, მით უფრო, რომ პირველი პირობა — ბრიყვული გამომეტყველება უკვე თვალნათლივ ჩანსო. იმავე ღამეს მოელაპარაკა მამაჩემს და ერთ დასტა სამარჩიელო ფსონის ქაღალდად, ერთ რეალად და ორ კუარტილით მიყიდა.

აი, ასეთი იყო საზიზღარი ბლაკმანი, საზიზღარი იმეტომ, რომ კარგი მე თავად გახლავართ. ხუმრობა-ხუმრობაში ნებისმიერ ასტრონომს დაარწმუნებდა. თებერვალი სხვა არაფერია, თუ არა უხილავი სპილოების ჯოგო. მაგრამ, თუ ბედი უმუხთლებდა, გულრძო ხდებოდა ხოლმე.

¹ ადვენტიანტები — ქრიატიანული სექტანტები, რომლებიც ქადაგებენ „მეორედ მოსვლის“ მოახლოებას. ეს მიმართულება წარმოიშვა აშშ-ში XIX ს. 30-იან წლებში.

² კუარტილი — ფულის ერთეული (1/4 რეალი).

თავის დიდების ხანაში გარდაცვლილ მეფისნაცვალთ აბალხამებდა, როგორც ამბობენ, ისე ოსტატურად, რომ თურმე სიკვდილის შემდეგ უკეთ განაგებდნენ ქვეყანას, ვიდრე სიცოცხლეში და სანამ თვითონვე არ დაუბრუნებდა მათ მიცვალებულის გამომეტყველებას, დამარხვას ვერავინ ბედავდა. ავტორი ტეტი მაშინ შეერყა, დაუსრულებლად სათამაშო ჭადრაკი რომ მოეგონა, რასაკვირვებით კაპელნის კკუაზე შერყევა და ორი გახმაურებული თვეში ვაჭარაყუჭუჭა მოჰყვა. ამის შემდეგ სიზმრების უბადლო ამხსნელი დაბადების დღეებზე პიზნოზიორად იქცა, კბილის შთაგონებით ამომღები — ბაზრობის ექიმბაშად და იმ დროს, როცა ერთმანეთი გავიცანით, მეკობრეებიც დამცინავად უყურობდნენ. ჩვენ კი მივეყვებოდით დინებას სასწაულებით სავაჭრო მაგიდით, ვყიდდით: სანთლებს, კონტრაბანდისტებს უჩინრად რომ აქცევდა, საიდუმლო წვეთებს, რომელსაც მონათლული ცოლები ღვთის შიშის გასაღვიძებლად პოლანდიელ ქმრებს წვნიანში ჩუმად უსხამდნენ და საერთოდ ყველაფერს, რის შეძენასაც ისურვებთ, ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ მხოლოდ გირჩევთ, ბრძანებას როგორ გავბედაეთ. სად გაგონილა ბედნიერების ძალად თავს მოხვევა! მის ხუმრობაზე, იცოცხლე, ჩვენ ვიცინოდით, თუმცა რა გვაცინებდა, ლუკმაპურს ძლივს ვშოთლობდით და იმედად ჩემი წინასწარმეტყველად ქცევალა გვრჩებოდა. მე საგანგებოდ ამ საქმისთვის აღჭურვილ, გემის ბორტის ჯაჭვებით შეკრულ კუბოს მსგავს სკივრში მკეტავდა. თვითონ კი გრამატიკის სახელმძღვანელოს ქექავდა იმ სიტყვების საპოვნელად, ხალხს რომ მის ახალ აღმოჩენაში დაარწმუნებდა: და აი, იგი თქვენ წინაშეა, ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ, ვგონებ, არ გჯერათ. აბა, მოიკრიბეთ მხნეობა და ჰკითხეთ, როდის მოვა თქვენი აღსასრულის დღე. მაგრამ აღსასრულის დღეს ვინ ჩივის, კვირის დღეებიც ერთმანეთში იმეროდან. ბოლოს, ბლაკამანმა ჩემი წინასწარმეტყველად ქცევის ყოველგვარი იმედი დაკარგა, ჯოხით მაგრად მიმბეგვა და გადაწყვიტა მამაჩემთან დავებრუნებინე, ჩემს საფასურად მიცემული ფული კი უკან გამოერთმია, მაგრამ, შემთხვევის წყალობით, იძულებული გახდა ცოტა ხანს კიდევ ავეტანე. სწორედ იმ ხანებში ელექტრონულ საკერავ მანქანას აწყობდა, რომელიც სხეულის მტკივან ნაწილზე მანქანასთან შეერთებული კოტოშის დადებით ამოქმედდებოდა ხოლმე და რადგან მე მთელი ღამეები წყლულებს ვიშუშებდი, გამოგონების გამოსაცდელად ჩემზე უკეთესს ვის იშოვიდა? ასე რომ, ჩემი მიბრუნება დროებით გადაიდო და მასაც გუნება გამოუკეთდა — მანქანა მართო საუკეთესოდ როდი კერავდა, ტკივილის სიძლიერის კვალობაზე ჩიტებსაც კი ქარგავდა.

ის-ის იყო უბედურების საბოლოოდ განდევნა უნდა გვეზეიმა, რომ ხმა მოგვწვდა: ჯავშნოსანის აღმირალმა ფილადელფიაში შხამსაწინააღმდეგო წამლის ხელახლა გამოცდა მოისურვა და მთელი შტაბის თვალწინ ხილფაფის მსგავს მასად იქცაო. კარგა ხანია მისი სიცილი აღარ გამიგია. ჯერ ინდიელთა გამოქვაბულებს ვაფარებდით თავს და რაც მეტად ვიმალებოდით, ერთიმეორეზე უარესი ხმები აღწევდა ჩვენამდე: თურმე, ჯავშნოსანის მეზღვაურთა შვილები მთელ ქვეყანას მოსდებოდნენ, ვითომდა ყვითელი ციებ-ციხელების წინააღმდეგ საბრძოლველად და, თუკი სადმე შემთხვევით ქილებით მოვაჭრა მოხუცს გადააწყდებოდნენ, ულაპარაკოდ უსწრაფებდნენ სიცოცხლეს. მართო ადგილობრივ მოსახლეობას კი არ ერჩოდნენ, ჩინელებსაც ხოცავდნენ — გასართობად, ზანგებს — ჩვეულებისამებრ, ინდუსებს — იმიტომ, რომ გველებს წვრთნიდნენ და შემდეგ მათ ვვამებს ათასგვარი მცენარეებით, მწერებით და

მინერალებით ავსებდნენ, თავიანთ ქვეყანაში გაგონილი ჰქონდათ: კარიბის ხალხს, ოღონდ გრინგოებს ავნოს და, რაც კი ბუნებაში არსებობს, ყველაფრად გადაქცევა შეუძლიათ. ვერ გამეგო, რატომ გვღვენიდნენ გრინგოებთან ჩვენ ასე რად გვეშინოდა მათი და რატომ ვიმალებოდით გუაბირაში, სადაც უსასრულოდ ქროდა ქარი. მხოლოდ იქ გაბედა და გამომიტყდა, რომ შევეშხამსაწინააღმდეგო საშუალება სკიპიდარში არეული რევანდი იყო, ხოლო ცდის ჩასატარებლად ორ კუარტილით მოყვანილ გველს წინასწარ შხამი ჰქონდა გამოცლილი. ჩვენ ყოფილი კოლონიის ნანგრევებში დავბანაკდით. მთელ ამ გვარჯილიან უდაბნოში ერთადერთი საიმედო ხალხის — კონტრაბანდისტების მოლოდინში. თავდაპირველად შებოლილ სალამანდრებსა და წვრილ-წვრილ ქიშმიშს ვკამდით. მისი წინდების მოხარშვა რომ მოგვიწია, ჯერ კიდევ შეგვწვედა სიცილის ძალა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წყლის ობობების ჭამა დავიწყეთ, დავაფასეთ ხალხის სიახლოვის სიკეთე. მაშინ სიკვდილის საწინააღმდეგო არავითარი საშუალება არ ვიცოდი, ამიტომ ვიწეჭი და ვცდილობდი გამერკვია. სად უფრო ნაკლებად მტკიოდა. ის კი ამ დროს სიკვდილს დასცინოდა ვილაც ქალზე ბოდვით, რომელიც თურმე ისე ნაზი ყოფილა, ერთი ამოსუნთქვით კედელში გადიოდა. რომ მეგონა, ახლა კი ორივეს აღსასრული მოვიდა-მეთქი, სიცილით სავსე მომიახლოვდა აგონიაში ჩავარდნილა, მთელი ღამე მდარაჯობდა და ისე გამალებით ფიქრობდა, დღესაც ვერ გეტყვით, ქარი ზუზუნებდა ნანგრევებში თუ მისი ფიქრები. გამთენიისას, ძველებური ხმით და რიხით გამომიცხადა, ახლა კი ყველაფერს მივხვდიო, თურმე ნუ იტყვით, და, საქმის უკუღმა წასვლა ჩემი ბრალი ყოფილა და, რახან ასე იყო, კეთილი უნდა მენება და მევე გამომესწორებინა მდგომარეობა. თუკი ჩემი სიბრალული რამ შერჩენოდა, იმ დღიდან ისიც დაივიწყა. ეკლიან მავთულში გამხვია, წყლულებს გვარჯილიანი ქვებით მიხეხავდა, საკუთარ ოფლსა და სიბინძურეში მახრჩობდა ბოლოს, უფრო კარგად გაიხრწნასო. მზის გულზე კოჭებით დამკიდა და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ყვიროდა, ხორცის მოკვდინება საკმარისი როდია მდევართა დასაშოშმინებლადო. ბოლოს საერთოდ აიღო ჩემზე ხელი, მონანიეთა საკანში შემავდო, სადაც ერთ დროს კოლონიის მისიონერები ერეტიკოსებს უსწორდებოდნენ და იმის შთაბეჭდილება რომ შეექმნა, სამოთხის კართან ტანჯვით კვდებო, მუცელმოგვის მუხანათობით დაიწყო მტაცებელი ცხოველების, მწიფე ქარხლის ხრაშუნისა და წყაროს წანწყარის გამოჩაგრება. როცა ბოლოს და ბოლოს კონტრაბანდისტებმა გვიპოვეს და სურსათით მოგვამარაგეს, საკანში მაკითხავდა და ზუსტად იმდენს მაჭმევდა, შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავი. თუმცა ამ მოწყალებასაც მწარედ მაზღვევინებდა, ფრჩხილებს გაზით მაგლეჯდა, კბილებს კი ფილთაქვით მიმსხვრევდა. ერთადერთი იმასლა ენატრობდი, სიკვდილს ცოტა ხანს კიდევ ეცლია და ერთი ტანჯვა სხვა, თუნდაც უარესით შემცლოდა. თვითონ მიკვირდა, როგორ ვიტანდი საკუთარი ხრწნის სიმყრალეს, რასაც ისიც აძლიერებდა, რომ ჰაერის საბოლოოდ მოსაწამლად ნასუფრალს თავზე მაყრიდა, ხოლო დახოცილი ხვლიკებისა და ფრინველების ნარჩენებს საკნის კუთხეებში ჰყრიდა. არ ვიცი ამ მდგომარეობაში რამდენი დავყავი. ერთ დღეს მკვდარი კურდღლით ხელში საკანში შემოვიდა იმის სათქმელად, მირჩევნია აყროლდეს, ვიდრე შენ გაჭამო. სწორედ მაშინ, ბოლმით სავსემ, კურდღელს ყურებში წავავლე ხელი, წარმოვიდგინე, თითქოს ბლაკამანი იყო და კედელს მივახეთქე; უცებ, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, კურდღელი გაცოცხლდა და ხავილით ჩამივარდა ხელში. ასე დაიწყო ჩემი მეორე, დიდი

ცხოვრება. ამ დღიდან ხალხში დავდივარ და ორ პესოდ სიციხეს ვუქრობ ციხე-
 ცხელებით შეპყრობილთ, ორ-ნახევარ პესოდ თვალისჩინს ვუბრუნებ ბრძებს
 თვრამეტ პესოდ წყალს ვუშრობ წყალმანკიანება. ვკუონავ სახიჩართ: ოც პესოდ
 ხეობად დაბადებულებს, ოცდაორ პესოდ — უბედური შემთხვევის შედეგად,
 ოცდახუთ პესოდ კი — ომით, მიწისძვრით ან სხვა საერთო უბედურების შედეგად
 ვებულთ. ამასთან, ყველას სხვადასხვაგვარად ვმკურნალობ. გიყვებ ~~სხვადასხვა~~
 ნიის გათვალისწინებით, ბავშვებს — ნახევარ ფასად, სულელებისაგან მადლო-
 ბის მეტს არაფერს ვიღებ. აბა, გაბედოს ვინმემ, ქალბატონებო და ბატონებო
 და თქვენს, კაცთმოყვარე არააო. ახლა კი სენითრ მეოცე ფლოტის მაიორო,
 უბრალოთ თქვენს ბიჭებს, დაშალონ ბარიკადები და გზა მისცენ ავადმყოფ
 კაცობრიობას. კეთრთვანებო — მარცხნივ, ბნედიანებო — მარჯვნივ, დამბლა-
 დაცემულნო — სადაც თავისუფალი ადგილი ნახოთ, ნაკლებად მძიმე ავადმყო-
 ფებო — თქვენ ცოტა უკან დაიწიეთ, მოიცათ, ყველა ერთად ნუ მომაწყდებით
 თორემ სწეულებებო ამერევა და პასუხს აღარ ვაგებ, თუ ისეთი რამისგან გან-
 გკურნავთ, რასაც არასოდეს შეუწყუბებინართ, დაუყარით მუსიკა, სანამ ბრინ-
 ჯაო არ დარბილდება; გაუშვით შუშხუნები, სანამ ანგელოზები არ შეიტრუსე-
 ბიან; სვით არაყი, სანამ აზროვნება არ დაგებინდებათ; მოიყვანეთ ჯამბაზები,
 და ქალები, ყასბები და ფოტოგრაფები და ეს ყველაფერი ჩემს ხარჯზე იყოს.
 ქალბატონებო და ბატონებო, ბლაკამანის დიდების აღსასრულის აღსანიშნავად
 ყოველი შემთხვევისათვის, ასე, დებუტატის ოსტატობით ვაძინებ ხალხს, ვაითუ
 ხელი მომეცაროს და გამოჯანმრთელების ნაცვლად უარესად გახდნენ. ერთად-
 ერთი, რასაც არ ვაკეთებ, მკვდრების გაცოცხლებაა, რადგან თვალს გაახელენ
 თუ არა, გულის ჯავრს მყუდროების დამრღვევზე იყრიან, მერე კი ან თავს იკ-
 ლავენ ან კიდევ იმედგაცრუებულები თავისით იხოცებიან.

ჩემი ხელობის საიდუმლოების ამოსაცნობად თავდაპირველად მეცნიერთა
 მთელი დასი დამდევდა, ჯერ ჯოჯოხეთით დამემუქრნენ, შემდეგ მიჩიეს,
 ცოდვები მოინანიე და სიკვდილის შემდეგ წმინდანად შეგრააცხავენო. მე ვუ-
 პასუხე, სწორედ აქედან დავიწყე-მეთქი. საქმე ის გახლავთ, რომ სიკვდილის
 შემდეგ წმინდანად გადაქცევით არაფერს ვიგებ. მე მხოლოდ და მხოლოდ მსა-
 ხიობი ვარ და მსურს ვიცოცხლო ამ ექვსცილინდრიან ფურგონთან ერთად,
 სამხედრო კონსულს რომ ვუყიდე, შოფერთან, ერთ დროს ბარიტონი რომ
 იყო ახალი ორლენის მეკობრეთა ოპერაში, ჩემი გველის ტყავის პერანგებით,
 აღმოსავლური ნელსაცხებლებით, ტოპაზის კბილებით, სომბრეროთი და ორ-
 ფერი ფეხსაცმლით: მინდა მალვიძარას გარეშე ვიძინო, სილამაზის დედო-
 ფალთან ვიცეკვო, გავაოცო ისინი მჭევრმეტყველებით და გულიც აღარ დამწყ-
 დება, თუ ერთ ოთხშაბათ დღეს, მოულოდნელად გამიქრება მთელი ჩემი
 ზებუნებრივი ძალა. მეფური ცხოვრების გასაგრძელებლად ჩემი ბრიყვულ-
 აახეც მეყოფა და ქვეყნის დასალიერამდე გაჭიმული დუქნებიც, სადაც იგივე
 ტურისტები, ცოტა ხნის წინ ადმირალის ნარჩენებს რომ აგროვებდნენ, ახლა
 ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ ჩემს ავტოგრაფიან სურათებს, ჩემი სასიყვა-
 რულთ ლირიკის აღმანახებს, ჩემი პროფილის გამოსახულებიან მედალით-
 ნებს და დუიმობით ინაწილებენ ჩემს ტანსაცმელს.

სამწუხაროა, რომ საზიზღარ ბლაკამანს არ შეუძლია გაიმეოროს ეს ამბა-
 ვი და დაგარწმუნოთ ჩემი სიტყვების სიმართლეში. უკანასკნელად რომ ნახეს,
 ძველი ბრწყინვალეების ნასახიც არ შერჩენოდა, უდაბნოში ხეტიალს მისი სუ-
 ლისთვისაც მოელო ბოლო და სხეულისთვისაც, ერთ კვირა დღეს სასწაულით

გადარჩენილი ორი ელარუნით და განუშორებელი კუბო-სკივრით ისევ გამოჩნდა სანტა მარია დელ დარიენის ნავსადგურში. ოღონდ ამჯერად შხამსა-წინააღმდეგო წამლებს აღარ ჰყიდდა, მღელვარებისაგან ჩახრიწული ხმით მეზღვაურთა ბავშვებს ეხვეწებოდა: ხალხის თვალწინ დამხვრიტეთ, მკვდრეთით რომ აღვდგე და ჩემი ზებუნებრივი შესაძლებლობანი გეჩვენებთ, კაშიც, ქალბატონებო და ბატონებო, სრული უფლება გქონდათ ეჭვი შეგეტანათ ჩემი ამდენი თვალთმაქცობის შემდეგ, მაგრამ დღევანდელ ცდას, გეფიცებით დედაჩემის ძელებს, თითლიბაზობის არაფერი ურევია და თუ არ გჯერათ, კარგად დამაკვირდით, მაშინდელივით კი არ ვიციანი, ტირილს ძლივს ვიკავებო. მეტი დამაჯერებლობისათვის მკერდზე პერანგი შემოიხია და ცრემლდაბინდული თვალებითა და მჯილის ცემით მოსალოდნელ ტყვიას მკერდო მიუშვირა. მეზღვაურთა ბავშვებმა მაინც ვერ გაბედეს სროლა, ხალხის თვალში პრესტიჟის შელახვას მოერიდნენ. ამ დროს ვილაცამ, ჯერ კიდევ მისი ძველი ოინების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, კაცმა არ იცის საიდან, კონსერვის ქილით იმდენი შხამიანი ფესვი მოიტანა, მთელი კარბის ზღვის თევზების დასახოცად რომ იკმარებდა, და მანაც იმგვარი სიამოვნებით მოხსნა ქილას თავი, თითქოს შეჭმას უბირებდა და მართლაც შეჭამა, ქალბატონებო და ბატონებო! მერწმუნეთ, ეს სანახაობა არ ყოფილა, ამჯერად ღირსეულად მოიქცა, მომაკვდავის თეატრალური ხრიალი კი არ ამოუშვია, კურდღელივით ჩამოხტა მაგიდიდან დასაწოლად შესაფერისი ადგილი შეარჩია და უკვე ძირს გართხმულმა ისე შემომხედა, თითქოს დედამისი ვყოფილიყავი. ცრემლები გადაყლაპა, კიდევ ერთხელ მიმოიხედა და საკუთარ ხელებში დალია სული. ეს პირველი შემთხვევა იყო, ჩემმა ხელობამ რომ არ გასჭრა, მისსავე სკივრში ჩავასვენე, პარაკლისი გადაფუხადე, რაც ორმოცდაათი დუბლონი დამიჯდა, რადგან მღვდელს ოქროს ანაფორა ემოსა და სამი ეპისკოპოსიც ესწრებოდა. საიმპერატორო მავზოლეუმის აგება ვბრძანე ცალკე სამლოცველოთი და საფლავის ვეება ქვაზე ვოთური ასოებით გამოვაყვანიე: აქ განისვენებს ბლაკამანი, საზიზღრად წოდებული, ბავშვთა გამბრიყვებელი და მეცნიერების მსხვერპლი. თუმცა ამგვარი პატივი მივაგე, არც სამაგიეროს გადახდა დამვიწყნია: დაჯავშნილ საფლავში მკვდრეთით აღვადგინე და იქვე დავტოვე, ეს ამბავი იმაზე ბევრად ადრე მოხდა, ვიდრე სანტა მარია დელ დარიენის ნავსადგურს ზღვა შთანთქავდა, თუმცა საფლავის ბორცვი ხელუხლებელი დარჩა. ყოველთვის, როცა იც მიწევს გავლა, უამრავი ყვავილი მიმაქვს და გული სიბრაღულით მეკუმშება, შემდეგ ყურს ვადებ ფილას, სკივრის სიღრმიდან მისი ტირილი რომ გავიგონო, და თუ შემთხვევით მკვდარი დამხვდა, ისევ ვაცოცხლებ, ამ სასჯელის მთელი ეშხი ხომ ისაა, რომ ბლაკამანმა საფლავში მანამ იცოცხლოს, სანამ მე ვარ ცოცხალი, ესე იგი, სამუდამოდ.

გემ-აჩრდილის უპანასკნელი მოგზაურობა

ახლა ნახავთ ვინც ვარ მე, თქვა თავის ახლად დაბოთებული მამაკაცური ხმით. მაშინ კი, მრავალი წლის წინ პირველად რომ ნახა უზარმაზარი, მთელ საფელზე გრძელი და ეკლესიის გუმბათზე მაღალი, ჩაბნელებული, უკაცური საახლის მსგავსი ხომალდი, თუმცა სულ ბავშვი იყო, ქარის დამუხლი სიმღერების მოსასმენად სანაპიროზე დედის ნებართვით გამოსული, მაინც ცხადად დაამახსოვრდა ყველაფერი. ხომალდმა სოფელს ჩაუარა და სიბნელეში უხმაუროდ აიღო გეზი კოლონიური ქალაქისაკენ, რომლის მოძრავი შუქურა

ყოველ თხუთმეტ წამში მკრთალად ანათებდა მეგობრეთა თავდასხმის შიშით საიმედოდ გამაგრებულ ნავსადგურსა და ზანგთა კვარტალს, ხოლო როცა მისი უღიმღამო შუქი სახლებსა და მიყრუებულ ქუჩებს დაეცემოდა, სოფლის კვავებულ ვულკანიან მთვარის უდაბურ ზედაპირს ემგვანებოდა. სინათლის ბოლში მოხვედრისთანავე გემი უჩინარდება და მხოლოდ სიბნელეში მსგავსდება ხილული. ასე, დამალობანას თამაშით, მთვარეულივით ეძებდა ნავსადგურსა შესასვლელია მიმანიშნებელ ტივტივებს. მერე, თითქოს კომპასის ისარი მოეშალაო, გეზი პირდაპირ რიფებისკენ აიღო, წყალქვეშა კლდეს შეასკდა. დამახვრა და უხმაუროდ ჩაიძირა. წესით, რიფებზე გემის მსხვერველს მანქანების აფეთქება და ისეთი ხმაური უნდა გამოეწვია, პრეისტორიულ ტყეში, სოფლის ბოლოდან რომ იწყებდა და ქვეყნის დასალიერამდე გრძელდებოდა, ჩაძინებულ დრაკონებს ძარღვებში სისხლი უნდა გაჰყინვოდათ, მაგრამ რახან მსგავსი არაფერი მომხდარა, იფიქრა დამესიზმრაო. მერე დილით უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყველაფერი სიზმარში იხილა. უყურებდა მოლივლივე ყურეს. სანაპიროს ბორცვებზე გაფანტულ ზანგების ჭრელა-ჭრულა ბარაკებს, გუაიანელ კონტრაბანდისტთა, ერთი შეხედვით უცოდველი, სინამდვილეში კი ბრილიანტებით ჩიჩახვგამოტენილი თუთიყუშებით დატვირთულ შხუნებს და თანდათან რწმუნდებოდა, ალბათ ვარსკვლავების თვალში გართულს ჩამეძინა და უზარმაზარი გემი დამესიზმრაო. ამიტომ ეს ამბავი არც არავისთვის მოუყოლია და მალე დაივიწყა კიდევ, ვიდრე ზუსტად ერთი წლის შემდეგ, მარტის ერთ ღამეს, დელფინების საცქერად გამოსული ისევ იმ საიდუმლოებით მოსილ, ვეება, ჩაბნელებულ გემს არ გადააწყდა. ამჯერად უკვე მტკიცედ დარწმუნებული, რომ არ ეძინა, დედასთან გაიქცა და ყველაფერი უამბო, ის კი მთელი საში კვირა ებუზღუნებოდა: ტვინი გაქვს გაწყალებული ამდენი უაზრო ყიალისაგან, ეს იმიტომ, რომ საექვო ყოფაქცევის ხალხივით დღისით გძინავს და ღამე დაძრწინარო.

იმხანად დედამისს ქალაქში მოუხდა წასვლა სკამის საშოვნელად, მოხერხებულად რომ დამჯდარიყო და გარდაცვლილ ქმარზე ეფიქრა, თორემ ძველი სარწევლა სავარძელი, დაქირავეების შემდეგ თერთმეტი წელი რომ ემსახურა, დასაჯდომად აღარ ვარგოდა. ნავსადგურში ერთ მენავეს სთხოვა ბიჭი რიფებთან მიეყვანა. მინასავით გამჭვირვალე ზღვის წყალში ჩანდა როგორ ნებივრობდნენ ვეება სკაროსები ნორჩ წყალქვეშა მცენარეებზე, როგორ ყურყუმვლოობდნენ მოვარდისფრო ლიფსიტები და ზღვის ცხენები ფსკერზე გაჩენილ ქვებში, სადაც წყალი ჩვეულებრივ ზღვის წყალზე თბილი და ალერსიანი იყო, დამზრჩვალთა თმებიც კი ტივტივებდნენ წყალში, მაგრამ ღამეული ხომალდის კვალიც არსად ჩანდა. ბიჭი მაინც ჩიუტად გაიძახოდა თავისას, სანამ თავმოებურებული დედა არ შეჰპირდა: მომავალ მარტს ერთად წავიდეთ სანაპიროზეო, ის კი არ იცოდა, უკანასკნელი, სადაც წასვლა დასცალდებოდა, თურქების კვარტალი იყო, სადაც ფრენსის დრეიკის დროინდელი სავარძელი იყიდა. იმავე ღამეს ოხვრით დაჯდა დასასვენებლად: ეპ, ჩემო საბრალო ოლოფრენეს, რომ იცოდე, რა კარგია შენზე ფიქრი ამ ხვერდის შალითაზე და დედოფლის კატაფალკის შესაფერის ფარჩაზე, მაგრამ რაც უფრო მეტს შეჰკვნესდა გარდაცვლილ ქმარს, გრძნობდა როგორ უდუღდა სისხლი ძარღვებში და როგორ აწვებოდა გულს გამდნარი შოკოლადივით, თითქოს სავარძელში კი არ იჯდა. აცახცახებული და ოფლში გაღვრილი გარბოდა და ჰაერის ნაცვლად ფილტვები მიწით ევსებოდა. გამთენიისას, ბიჭი რომ სახლში მობრუნდა, ქალი უკვე

მკვდარი იყო, ჯერ კიდევ თბილი, ნახევრად გახრწნილიყო და კანი გველის დაკბენილს მიუგავდა. შემდეგ, ოთხი ქალი რომ მსგავსი სიველილით აღესრულა, სავარძელი შორს, ზღვაში გადაისროლეს, თურმე იმდენ ხანს ემსახურა ხალხს, რომ მოვალეობის გრძნობა სულ აღარ შერჩა. ბიჭი ნელ-ნელა შეეჩვია ობლობის სიმწარეს, თავს იმდენად მოწყალებით არ ირჩენდა, რამდენადც ნავებიდან აწაპნილი თევზებით. სოფელში ყველა უბედურების მომტანი ქვრივის შვილად იხსენიებდა. მას კი ხმა თანდათან დაუბოხდა და თავისი ხომალდი არც გახსენებია მარტის იმ საღამომდე, შემთხვევით რომ გაიხედა ზღვისაკენ და: ღმერთო დიდებულო! აქ არის, აქ, გამოდით, ნახეთ, — აყვირდა გაგიჟებული. შეყვირებას ძაღლების ყეფა და შეშინებული ქალების კივილიც დაერთო. სოფლის უხუცესებიც კი დაფრთხნენ, როგორც ერთ დროს მათი პაპები უილიამ დამპიერის გამოჩენისას და საწოლის ქვეშ შეძვრნენ. თუმცა ვინც გარეთ გამოვიდა, იმასაც არ შეუწუხებია თავი ხომალდის თვალღერებით, რომელიც ის-ის იყო გეზს კარგავდა და მუდმივი კატასტროფის ადგილს უახლოვდებოდა, ბიჭი მაგრად მიბეგვეს და სწორედ მაშინ იყო: ახლა გიჩვენებთ ვინც ვარ მეო, ბოლმით აღვიღმა რომ ჩაილაპარაკა, მაგრამ თავისი გეგმები არავისთვის გაუმხელია, მთელი წელიწადი მოთმინებით ელოდა მარტის დადგომას, რათა ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა. იმ ღამეს, გემი რომ უნდა გამოჩენილიყო, ნავი მოიპარა და მთელი საღამო ზანგთა კვარტალში, ნავსადგურის სიახლოვეს გაატარა. ისე იყო ჩაფლული თავის ფიქრებში, რომ არც ინდუსების დუქანთან შეჩერებულა სპილოს ეშვზე ამოკვეთილი მანდარინების სანახავად, არც პოლანდიელი ზანგების ორთოპედიულ ველოსიპედზე უცინია და არც კობრასტყავიანი მალაელების დანახვაზე დამფრთხალა, ქიმელების მიერ დატყვევებული მსოფლიოს რომ უვლიდნენ გარს და საიდუმლო დუქანში ბრაზილიური ფილეთი ვატრობდნენ. როცა ვარსკვლავიანი ღამე ჩამოწვა ტყიდან მოვარდნილი გარდენებისა და გახრწნილი სალამანდრების სუნით, ბიჭი ჩამქრალი სახათურით ხელში უკვე ნავში იჯდა და გზის მაჩვენებელ ტივტივებს ნავსადგურის შესასვლელისაკენ მიუყვებოდა, ნავსადგურის კონტურები თანდათან იკვეთებოდა და წყლის სუნთქვაც უფრო ნალვლიანად გაისმოდა. ნიჩბების მოსმაში გართული ვერც მიხვდა საიდან წამოეპარა ზვიგენის შიშისმომგვრელი სუნი, ან რატომ ჩამოხვდებოდა ისე, თითქოს ყველა ვარსკვლავი ერთად ჩაქრაო. გემმა კი, ღმერთო ჩემო, ქვეყნად ყველაზე დიდმა და ყველაზე ბნელმა, სამასი ათას ტონიანმა, ვეშაპისსუნიანმა ხომალდმა ჩქამგაუღებლად ჩაუარა გვერდით და თან წაიყოლა თავისი გარემომცველი სიჩუმე, საკუთარი ცარიელი ცა, საკუთარი უსიცოცხლო ჰაერი, გაჩერებული დრო და თავისი წილი ზღვა, სადაც დამხრჩვალი ცხოველების მთელი ჯარი ტივტივებდა. უცებ, შექურას სინათლის ზოლი იმ ადგილს დაეცა, სადაც გემი მიცურავდა და კარიბის ზღვა თვალისდახამხამებაში ძველებურად გამჭვირვალე გახდა, მარტის ღამეც ჩვეულებრივად ჩამოწვა და ბიჭიც მარტო დარჩა ტივტივებს შორის. ის-ის იყო გაოცებული თავის თავს შეეკითხა, ზეზეულად ხომ არ მძინავს და ხომალდს სიზმარში ხომ არ ვხვდავო, რომ შექმა სხვაგან გადაინაცვლა, ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ გზის მაჩვენებელი ყველა შექურა ჩააქრო და ხომალდიც ისევ გამოჩნდა, უკვე მიმართულებად კარგული ნავსადგურის არარსებული შესასვლელისაკენ მიიწევდა, სინამდვილეში კი რიფებისაკენ აედო გეზი და უცებ ბიჭი მიხვდა რომ მთელი ჯაღო და საიდუმლოება გზის მაჩვენებელ შექურაში იყო და თავისი საჩათური ანთო, პაწა-

წინტელა, წითელი შუქი, რომელიც მესაზღვრეებმა ვერც შეამჩნიეს, ლოც-
მანს კი, როგორც ჩანს, ამომავალ მზესავით დაეხმარა, რადგან მისი წყალობით
ხომალდმა კურსი შეცვალა და მკვდრეთით აღმდგარი და ბედნიერი ხაფ-
სადგურში შევიდა. და მაშინ მისი ყველა შუქი ერთდროულად აინთო. ორქ-
ლის მანქანები ერთხმად არახრახდნენ, მის წილ ცაზე ვარსკვლავებმა ~~ცხენდნენ~~
დამხრჩვალნი ცხოველები ფსკერზე დაეშვნენ. სამზარეულოდან ~~მანქანების~~
კახაჭუხი და დაფნის წვნიანი სუნი გამოვიდა, გემბანზე ორკესტრმა იგრიალა,
კაიუტების ბინდბუნდში კი შეყვარებულთა გულების ბაგაბუგი გაისმა, მაგ-
რამ ბიჭს გაოცებამ და მის თვალწინ მომხდარმა სასწაულმაც ვერ დაავიწყა
გულში ჩარჩენილი ბოღმა: ახლა ნახავთ, ვინც ვარ მე, დალახვროს ეშმაკმა,
ახლა მაინც ნახავთო, თქვა და იმის მაგივრად, გვერდით გაპყოლოდა, რათა
ხომალდს არ ჩაეძირა, წინ ჩაუდგა და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, გემი
ჩემს შუქურას მიჰყვებაო, გეზი კიდევ ერთხელ შეაცვლევინა, თითქოს ავშა-
რით მიჰყავსო, ჩაძინებული სოფლისკენ წაიყვანა. ნაპირზე ეკლესიის ჯვრები
და ლატაკი სახლები იკვეთებოდა. ყოველ თხუთმეტ წამში შუქურის სინათ-
ლის ზოლი გაუჩინარების მაგიერ ალუწინისფრად აელვარებდა გემს, მარცხენა
გვერდზე ჩაძინებული კაპიტნით, ტრიუმოში კორიდის ხარებით წყლით სავსე
ცისტერნებით და ირედენტოელი* ლოცმანით, რომელსაც ფრიალო კლდე
ნავსადგური ეგონა და საყვირი მისცა. მოვარდნილმა წყალმა ბიჭი თავიდან
ფეხებამდე გაწუწა და ნავიც კინაღამ ჩაძირა, მაგრამ უკვე სულ ახლოს იყო
ლოცოკინებით სავსე სანაპირო, მოკირწლული ქუჩები და ურწმუნოთა სახლები.
მალე ხომალდის შუქმა მთელი სოფელი გაანათა და ბიჭმაც ძლივს მოასწრო
გვერდზე გახტომა, რათა გზა მიეტყა სასწაულისათვის და შესლილივით აყვირ-
და: აი, ხომ ხედავთ, რქიანებო, ხომ ხედავთ! ამის თქმა იყო და გემმა კორპუ-
სით მიწა გააპო და ოთხმოცდაათი ათას ორმოცდაათი შამპანურის ბაკლის
მსხვრევის ხმამ იქაურობა გააყრუა და იქმნა სინათლე და სადღა იყო მარტის
განთიადი, ოთხშაბათის შუადღე ჩახჩახებდა. ხოლო ბიჭი იდგა და ტკებოდა
ურწმუნოთა გაოცებისგან დაღებულ პირების ცქერით, გემი კი, გემი ეკლე-
სიის წინ გაჩხერილიყო, მთელ სოფელზე ოთხმოცდაჩვიდმეტჯერ გრძელი.
გვერდზე ლითონის ასოებით ამოტვიფრული სახელწოდებით — halabsibling
ქიმიდან კი ჯერ ისევ წვეთავდა მკვდარი ზღვების მუქი და უსიცოცხლო წვე-
თები.

დაკარგული დროის ზღვა

თებერვლის ბოლოს ზღვა აღელდებოდა ხოლმე, მთელ ნავსა და სიმყრა-
ლეს გამოორიყავდა და მალე ყველაფერი აუტანელი სუნით იყლინებოდა. ამ
ხნიდან მომავალ დეკემბრამდე ცხოვრება მოსაწყენი და ერთფეროვანი ხდებო-
და და რვა საათის შემდეგ სოფელში მღვიძარ კაცს ვერ ნახავდი.

მაგრამ იმ წელიწადს, სენიორ ჰერბერტი რომ ჩამოვიდა, ზღვა თებერვალ-
შიც არ აღელვებულა, პირიქით, სულ უფრო მშვიდი და მანათობელი ხდებო-
და, მარტის პირველ დღეებში კი ვარდების სურნელი მოიტანა.

ტობიასმა ეს იგრძნო. მისი სისხლი რატომღაც ძლიერ იზიდავდა კიბორჩხა-
ლებს და ისიც მთელ დამეებს საწოლიდან მათ განდევნას უნდებოდა, მხოლოდ

* ირედენტო — ნაციონალისტური მოძრაობა იტალიაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

განთიადის ნიავის წამობერვისას თუ მილულავდა თვალებს. უძილოდ გატარებული ღამეების წყალობით ტობიასს ჰაერის ოდნავი ცვლილებაც არ ეტარებოდა და, ვარდების სურნელი რომ იგრძნო, კარის გაუღებლად მიხვდა სუნი ზღვიდან მოდიოდა.

დილით გვიან ადგა. კლოტილდე ეზოში ცეცხლს აჩაღებდა. ზღვიდან მაცოცხლებელი სიო უბერავდა. ყველა ვარსკვლავი თავის ადგილზე ჩანდა, მაგრამ ზღვის ნათების გამო მათი დათვლა თითქმის შეუძლებელი იყო. ყავა რომ დალია, ტობიასმა პირში წინა ღამის კვალი იგრძნო.

— წუხელ, — გაიხსენა მან, — რაღაც საოცრება მოხდა.

კლოტილდეს, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი გაუგია. ისე ღრმად ეძინა, სიზმარიც კი არ ახსოვდა.

— ვარდების სუნი მეცა, — თქვა ტობიასმა, — და დარწმუნებული ვარ, ზღვიდან მოდიოდა.

— არ ვიცი, როგორი სუნი აქვს ვარდს, — თქვა კლოტილდემ.

ასეც იყო. ქვასავით მაგარ, გვარჯილანარევი მიწაზე გაშენებულ სოფელში ათასში ერთხელ თუ მოიტანდა ვინმე შორიდან თაიგულს, ისიც მიცვალებულთან ერთად ზღვაში ჩასაშვებად.

— ეს ის სუნია, გუაქამაიელ დამხრჩვალს რომ ასდიოდა, — აუხსნა ტობიასმა.

კლოტილდემ გაიცინა:

— თუ კარგი სუნი იყო, დარწმუნებული ბრძანდებოდე, ეს ზღვა არ მოიტანდა!

მართლაც რომ დაწყევლილი ზღვა იყო. ბადეს სიბინძურის მეტი არაფერი ამოჰქონდა, დინამიტიც კი მხოლოდ ჩაძირული გემის ნაფოტებს ამოატივტივებდა ხოლმე. სამაგიეროდ, მოქცევის შემდეგ ქუჩები დაზოცილი თევზებით ივსებოდა.

სოფელში შემორჩენილი რამდენიმე ქალი ახლა კლოტილდესავით კერას დასტრიალებდა თავს. მოხუცი ხაკობის ცოლიც იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე ადგა, სახლი დახლაგა და უბედურების მომასწავებელი გამომეტყველებით საუზმის მზადებას შეუდგა.

— ჩემი უკანასკნელი სურვილია, — უთხრა ქმარს, — ცოცხლად დამმარხოთ.

ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, კაცს ეგონებოდა, სასიკვდილო სარეცელზე წევსო, თუმცა მაგიდის თავში იჯდა სამზარეულოში, რომლის ფართო ფანჯრებიდან მარტის დღის სინათლე მთელ სახლს ეფინებოდა. მის პირდაპირ მჯდომი მოხუცი ხაკობი უმამოდ იკირკნებოდა. კაცს იმდენი ხანი და ისე უყვარდა ცოლი, რომ უკვე ყველა მისი ტკივილი გაეთავისებინა.

— სიკვდილის წინ მინდა დავრწმუნდე, რომ მეც მიწას მომაყრიან, როგორც ყველა ღირსეულ ადამიანს. ამის მიღწევის ერთადერთი საშუალება არსებობს: გავიდე ქუჩაში და ხალხს შევევედრო ცოცხლად დამმარხონ.

— არავის ხვეწნა არ გინდა, — მშვიდად შეაწყვეტინა მოხუცმა ხაკობმა, — მე თვითონ დაგმარხავ.

— მაშინ წავიდეთ, — სთხოვა ქალმა, — თორემ სადაცაა მოვკვდები.

მოხუცი ხაკობი ყურადღებით დააკვირდა ცოლს. ქალს მხოლოდ თვალები შერჩენოდა ახალგაზრდული, სახსრებში გამოჩრილი ძვლები, როგორც ყოველთვის, დაბარვის შემდეგ მოსწორებულ მიწას უგავდა.

— მშვენივრად გამოიყურები, — უთხრა.

— წუხელ, — ამოიოხრა ქალმა, — ვარდების სუნი ვიგრძენი.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა მოხუცმა ხაკობმა, — ეს ლაჩიბებს ხშირად გვემართება.

— არაფერიც, — თქვა ქალმა, — ყოველთვის ვნატრობდი წაწმინდული გრძნო სიკვდილის მოახლოება, რათა ამ ზღვისგან შორს მოვხვედარიყავი. ვარდების სურნელი სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნიშანი.

მოხუცმა ხაკობმა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, საქმეების მოსაგვარებლად ცოლს ცოტა დრო სთხოვა. სადღაც გაეგონა: ადამიანი მაშინ კი არ კვდება, როცა საჭიროა, არამედ მაშინ, როცა სურსო, და ქალის წინათგრძნობით ერთობ შეშფოთებული, იმასაც კი ფიქრობდა, ნეტა თუ მეყოფა გამბედაობა, ცოცხლად დაემარხო.

ცხრა საათზე თავისი გაუქმებული ღუქნის კარი შეაღო. კარში ორი სკამი და პატარა მაგიდა ჩადგა, ზედ მაშის დაფა შემოდო და მთელი დილა გამვლელებს ეთამაშებოდა. ფანჯრიდან დანგრეული სოფლის ერთ დროს სხვადასხვაფერად შეღებილი, ახლა კი მზისგან გახუნებული და ჩამოქცეული სახლების კედლები და ზღვის ნაგლეჯი მოჩანდა.

სადილის წინ, ჩვეულებისამებრ, დონ მაქსიმო გომესს ეთამაშა, კაცს, რომელიც ორ სამოქალაქო ომს უვნებლად გადაურჩა და მხოლოდ მესამეში დატოვა ცალი თვალი. მოხუც ხაკობს მასზე ღირსეული მოწინააღმდეგე ვერც წარმოედგინა. მოხუცმა ძალით წააგო ერთი პარტია და ის იყო მეორე უნდა დაეწყოთ, რომ ჰკითხა:

— მითხარით, დონ მაქსიმო, შეძლებდით ცოლის ცოცხლად დამარხვას?

— რა თქმა უნდა, — უბასუხა დონ მაქსიმო გომესმა, — მერწმუნეთ, ხელიც არ ამიკანკალდებოდა.

გაოცებული მოხუცი ხაკობი ერთხანს დადუმდა. შემდეგ განგებ მოაკვლევინა საუკეთესო ქვები და ამოიოხრა:

— მგონია, პეტრა სიკვდილს აპირებს.

დონ მაქსიმო გომესი არც შეწუხებულა.

— ასეთ შემთხვევაში, — თქვა, — რა საჭიროა ცოცხლად დამარხვა?

კიდევ ორი ქვა მოკლა და ცრემლით დაბინდული ცალი თვალი მიაბყრო მოხუცს.

— რა მოუვიდა? — იკითხა.

— წუხელ, — ამოიოხრა მოხუცმა ხაკობმა, — ვარდების სუნი იგრძნო.

— აბა მთელი სოფელი გამწყდარა და ეს არის, — თქვა დონ მაქსიმო გომესმა, — მთელი დღეა ვარდის სურნელზე ლაპარაკობენ.

მოხუცმა ხაკობმა დიდი გაჭირვებით მოახერხა ისე წაეგო, რომ დონ მაქსიმოს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო. სკამები და მაგიდა ღუქანში შეიტანა, კარი დაკეტა და ისეთი კაცის ძებნას შეუდგა, დონ მაქსიმოს სიტყვებს რომ დაადასტურებდა. მტკიცედ დარწმუნებული მხოლოდ ტობიასი აღმოჩნდა. მოხუცმა ხაკობმა სთხოვა, სახლში წამომყევი. ვითომ შემთხვევით შემხვდი, და ყველაფერი ჩემს ცოლს უამბეო.

ტობიასი დაეთანხმა. საგარეოდ გამოწყობილი, ოთხ საათზე უკვე ღერეფანში იდგა, სადაც მოხუცი ხაკობის ცოლი ქმარს საქვრივო ტანსაცმელს უკერავდა.

ტობიასი ისე უხმაუროდ წამოადგა მას თავზე, რომ ქალი შიშისგან შეხტა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიყვირა მან, — მთავარანგელოზი გაბრიელი მე-
გონე!

— არა, ეს მე ვარ, — უთხრა ტობიასმა, — რაღაც უნდა მოგეცე!

— უკვე ვიცი, რასაც მეტყვი, — თქვა მან.

დედაბერმა სათვალე შეისწორა და მუშაობა განაგრძო.

— მაინც რას?

— რომ წუხელ ვარდების სუნი იგრძენი.

— საიდან მიხვდი? — ჩაეკითხა გაოგნებული ტობიასი.

— ჩემს ასაკში, — აუხსნა ქალმა, — ფიქრისთვის იმდენი დრო გაქვს,
ბოლოს და ბოლოს სხვისი აზრების ამოცნობასაც იწყებ.

კედელზე ყურმილებულ მოხუც ხაკობს შერცხვა და კედელს მოსცილდა.

— ხომ ხედავ, — დაუძახა მეორე ოთახიდან და დერეფანში გამოვიდა, —
სულაც არ ყოფილა ისე, შენ რომ გეგონა.

— ამ ბიჭის ფანტაზიაა, — თავი არც აუღია ქალს, — არაფერიც არ უგრ-
ძენია.

— დაახლოებით თორმეტი საათი იყო, — თქვა ტობიასმა, — კიბორჩხა-
ლებს ვაფრთხობდი.

ქალმა პერანგს საყულო მიაკერა.

— ტყუი, — გაუმეორა, — მთელმა ქვეყანამ იცის, რა მატყუარაც ბრძან-
დები, — ძაფი კბილით მოკვნიტა და სათვალის ზემოდან გახედა ტობიასს, —
ოღონდ ერთი რამ ვერ გამიგია, ნუთუ მხოლოდ იმიტომ გაიბრიალე ფეხსაცმე-
ლი და ქოჩორიც ვაზელინით გადაიგლისე, რომ მოსულიყავი და ტყუილებრა-
ლოდ მოგეცდინე?!

ამის შემდეგ ტობიასი ზღვას დაუდარაჯდა. ჰამაკი ეზოში ჩამოკიდა და
მოთმინებით დაიწყო ლოდინი, თან უკვირდა, თურმე რამდენი რამ ხდება ლა-
მით, ხალხს რომ სძინავსო. ესმოდა, რა ფხაჭაფხუჭით ცდილობდნენ კიბორჩხა-
ლები იმ ხეზე აცოცებას, ჰამაკი რომ ეკიდა და რამდენიმე ლამის შემდეგ როგორ
მობეზრდათ უშედევად ცდა. კლოტილდეს ძილიც შეისწავლა. ნახა, სიცხის მო-
მატებასთან ერთად როგორ უხეშდებოდა მისი ფლეიტის ჰანგებივით ნაზი სუ-
ნთქვა და ხვრინვადქცეული როგორ ერთვოდა ივლისის ხვატს.

თავდაპირველად ტობიასმა, ზღვის კარგი მცოდნესავით, პორიზონტზე
ერთ წერტილს გაუშტერა თვალი. ნახა, როგორ იცვალა ფერი წყალმა, როგორ
გამუქდა, როგორ მოიყენა ქაფი და გაუთავებელი წვიმებით აზვირთებულმა
როგორ გამორიყა ნაპირზე სიბინძურით სავსე ტალღები. ცოტა ხნის შემდეგ
ტობიასი უკვე ზღვის საუკეთესო მცოდნესავით იქცეოდა, ზღვას რომ არც
უყურებენ, მაგრამ ძილშიც მასზე ფიქრობენ.

ავვისტოში მოხუცი ხაკობის ცოლმა სული უფალს მიაბარა. დილით მკვდა-
რი ნახეს საწოლში და სხვა მიცვალებულივით ზღვაში ჩაუშვეს უყვავილებოდ.

ტობიასი მაინც იცდიდა. ეს გაუთავებელი ლოდინი უკვე მისი ცხოვრების
საზრისად იქცა.

ერთ ღამეს, ჰამაკში რომ თვლებდა, ჰაერს რაღაც ცვლილება შეატყო,
ნიავმა უცხო სუნი მოიტანა, როგორც მაშინ, იაპონურმა ხომალდმა ნავსადგუ-
რში დამბალი ხახვი რომ გადმოტვირთა. ცოტა ხანში სუნი მკერივი და უმოძ-
რაო გახდა, ტობიასმა ცოტა კიდევ მოიცადა და, რომ დარწმუნდა, ახლა კი შე-
მიძლია ხელით შევეხოო, ჰამაკიდან გადმოვიდა, კლოტილდეს ოთახში შევიდა
და ცოლი რამდენჯერმე შეანჯღრია.

— აქ არის, — უთხრა.
წამოჯდომა რომ მოეხერხებინა, კლოტილდე იძულებული გახდა სუნი აბრა-
ბუდასავით გაეწია ხელით.

— დასწყევლოს ღმერთმა, — თქვა და მოცახცახე ტილოზე დაეშვა.
ტობიასი კარს ეცა, შუა ქუჩაში გავარდა და ყვირილი მორბოდა. მისი
ძალით ყვიროდა, სულს მოითქვამდა და ისევ აყვირდებოდა. შემდეგ გაჩუმდა
და ღრმად ჩაისუნთქა. სუნი ისევ იდგა ზღვაზე. არავინ გამოხმაურებია. მაშინ
კარდაკარ დაიწყო სირბილი და ბრახუნი, მიტოვებულ სახლებსაც არ უვლიდა
გვერდს. ხმაური ძაღლებმაც აიტაცეს და მალე მთელი სოფელი ფეხზე დადგა.
ბევრმა ვერაფერი იგრძნო, მაგრამ ზოგიერთი, განსაკუთრებით მოხუცები, სუ-
რნელის უკეთ ჩასასუნთქად სანაპიროზე ჩავიდნენ. სუნი ისე შესქელდა, რომ
ყველი სუნებისთვის ქუჭრუტანაც კი არსად დატოვა. ზოგიერთი მოქანცა ახა-
ლმა სუნმა და შინ დაბრუნდა, მაგრამ უმეტესობა გამოსაძინებლად პლაჟზე
დარჩა. დილით სუნი ისე გამჭვირვალე გახდა, რომ ჩასასუნთქად ვერც გაი-
მეტებდი.

ტობიასს მთელი დილა ეძინა. სიესტაზე კლოტილდემ გააღვიძა და და-
ლაშვამდე ხან მუხლუხობივით, ხან კურდღლებივით და ხან კუებივით ბლლა-
რძუნობდნენ, ჭიშკარი არც კი დაუკეტავთ. ვარდების სურნელი ღამეც არ გა-
მქრალა. ხანგამოშვებით ოთახში მუსიკის პანგები იჭრებოდა.

— კატარინოსგან იამის, — თქვა კლოტილდემ, — ვინმე თუ ჩამოვიდა.
სამი კაცი და ერთი ქალი ჩამოსულიყო. კატარინომ იფიქრა: ამათ სხვებიც
ჩამოჰყვებიანო, და პატეფონის მომართვა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა
და დახმარებისთვის პანჩო აპარესიდოს მიმართა, მას ხომ ყველაფერი ეხერხე-
ბოდა, რადგან საქმე არაფერი გააჩნდა, თანაც ხელსაწყოების ყუთი და ოქროს
ხელები ჰქონდა.

კატარინოს დუქანი ზღვისპირა ფიცრულში იყო მოთავსებული. იგი ერთი
დიდი სალონისა და რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა. სალონში მაგიდები
და სავარძლები იდგა. ჩამოსულები ჩუმად სვამდნენ დახლთან, თან პანჩო აპა-
რესიდოს საქმიანობას ადევნებდნენ თვალს და რიგრიგობით ამთქნარებდნენ.
როგორც იქნა, პატეფონი ამუშავდა. შორეული პანგების გაგონებაზე ხალხს
თითქოს ხმა ჩაუვარდა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როგორ დაბერებულიყვნენ
იმ დღის შემდეგ, რაც პირველად მოისმინეს ეს მუსიკა.

იმ დღეს ცხრა საათის შემდეგაც არავის დაუძინია. ისხდნენ თავიანთი სახ-
ლების ზღურბლზე, კატარინოს ძველ ფირფიტებს უსმენდნენ და სახეებზე იმ
ბავშვის გაოცება ეხატათ, რომელმაც პირველად ნახა მზის დაბნელება.

ყოველი ფირფიტა მათ ხან რომელიმე გარდაცვლილს აგონებდა, ხან ხან-
გრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გასინჯული საქმლის გემოს, ხან სახვალიოდ
გადაღებულ ან კარგახნის წინ დაგეგმილ და გულმავიწყობის გამო გაუკეთებელ
საქმეებს.

თორმეტი საათისთვის მუსიკა შეწყდა. უმრავლესობა დაწვა. ისეთი ლე-
გა ღრუბელი ჩამოწვა, ეგონათ, გაწვიმდებო, მაგრამ ღრუბელმა ცოტა ხანი
ზღვის ზედაპირზე ილიცლიცა და ჩაიძირა. ცაზე მხოლოდ ვარსკვლავები დარ-
ჩა. შემდეგ სოფლის ნიაფი შუა ზღვაში შეიჭრა და იქიდან ვარდების სურნელი
გამოიყოლა.

— ხომ გითხარი, ხაკობ, — თქვა დონ მაქსიმო გომესმა, — ისევ დაბრუ-
ნდა. ეჭვიც არ მეპარება, ყოველღამე ვიგრძნობთ.

— ღმერთმა ნუ ქნას, — ამოიოხრა მოხუცმა ხაკობმა, — ეს სუნი ერთადერთი რამაა, რაც ცხოვრებაში დაგვიანებით მეწვია.

მოხუცი ცარიელ დუქანში მასს თამაშობდა, მუსიკას უჭრადღებდასაც არ აქცევდა. მისი მოგონებები კატარინოს ფირფიტაზე ძველქვეყნულ-დუქანშიც არც მელოდია არც აღელვებდა.

— მე ამ ამბების მაინცდამაინც არ მჯერა, — თქვა დონ მაქსიმო გომესმა, — ამდენი მიწის ჭამისა და ყვაფილებიან პატარა ეზოზე ოცნების შემდეგ კაცს შეიძლება ეს ყველაფერი მოეჩვენოს, შემდეგ კი მართლა დაიჭეროს.

— მაგრამ საკუთარი ცხვირით რომ ვგრძნობთ? — თქვა მოხუცმა ხაკობმა.

— ეს არაფერს ნიშნავს, — დაიწყო დონ მაქსიმომ, — ომის დროს, რევოლუციის გადარჩენის ყოველგვარი იმედი რომ დავკარგეთ, ისე ვინატრეთ გენერალი, რომ ბოლოს ხორცშესხმული პერცოგი მარლბორო გამოგვეცხადა, და ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ ვინილე, ხაკობ.

თორმეტი გათავდა. მართო რომ დარჩა, მოხუცმა დუქანი დაკეტა და სანთელი საწოლ ოთახში აიტანა. ფანჯარაში ზღვის შუქი კრთოდა და ის კლდე მოჩანდა, საიდანაც მიცვალებულებს უწვებდნენ წყალში.

— პეტრა! — დაუძახა წყნარად.

პეტრამ ვერ გაიგო, ან კი როგორ გაიგებდა, როცა უკვე ბენგალის ყურეში მიცურავდა, სადაც მცხუნვარე შუადღე იდგა და ცდილობდა წყალში, როგორც ილუმინატორში, ვეება გემი დაენახა, ოკეანეს რომ სერავდა. მოხუცი ხაკობი კი დედამიწის მეორე მხარეს იჯდა და კატარინოს ფირფიტებს უსმენდა.

— ხედავ? — განაგრძობდა მოხუცი, — ექვსიოდე თვის წინ გიყად გთვლიდნენ, ახლა კი თვითონ ზეიმობენ იმ სუნის მოსვლას, შენ რომ გიმსხვერპლა. — შუქი ჩააქრო და დაწვა. ჩუმად, სლუკუნით ატირდა, მაგრამ მალე ჩაეძინა. — რომ შემეძლოს, გადავიხვეწებოდი ამ სოფლიდან, — ჩაიბუტბუტა ძილ-ბურანში. — ნამდვილად წავიდოდი, ოცი პესო მაინც რომ მქონდეს.

კიდევ რამდენიმე კვირას ტრიალებდა სუნი ზღვაზე. სახლის ფიცრები, წყალი და საჭმელიც კი ამ სუნით გაიყვინთა, ზოგი სერიოზულად შეშფოთდა, საკუთარ განავალშიც ვარდების სურნელი რომ იგრძნო.


კატარინოს დუქანში ჩამოსული სამი კაცი და ერთი ქალი ოთხშაბათს წავიდა და შაბათს ისევ დაბრუნდნენ უამრავ ხალხთან ერთად. კვირას კიდევ ჩამოვიდნენ, საჭმლისა და ღამის გასათევის ძიებაში ყოველ კუთხე-კუნჭულს მოედევნენ და მალე ქუჩაში ნემსი არ ჩავარდებოდა.

ხალხის ნაკადი კი არ წყდებოდა. დაბრუნდნენ ქალები, პირველებმა რომ მიატოვეს სოფელი. უფრო გასუქებულიყვნენ და ფერზე მოსულიყვნენ, თან ახალი ფირფიტები მოიტანეს, არავის არავითარ მოგონებებს რომ არ აღუძრავდა. რამდენიმე ძველი მოსახლეს დაბრუნდა, გამდიდრების სურვილს ოდესლაც შორეულ მხარეებში რომ გადაეხვეწა, ისინი გაუთავებლად ლაყბობდნენ თავიანთ უჩვეულო წარმატებებზე, თუმცა რითაც წავიდნენ, იმავე ტანსაცმლით დაბრუნდნენ.

ჩამოვიდნენ მუსიკოსები, მკითხავეები, მკვლელები და სიცოცხლის ელექსირით მოვაკრენი, წელზე გველშემოხვეულები რომ დადიოდნენ. დადგეს ლატარია. კიდევ რამდენიმე კვირა მოედინებოდა ხალხი. პირველი წვიმების დაწყებისთანავე ზღვა აიმღვრა და სუნიც გაქრა, ჩამომსვლელთა რიცხვი კი მაშინაც არ შემცირებულა.

ბოლოს მღვდელი ჩამოვიდა. მხოლოდ რძიან ყავაში ჩამბალ პურს მიირთ-

მეგადა, ყველგან ცხვირს ჰყოფდა და ნელ-ნელა ყველაფერს კრძალავდა: ლატარიას, მოდურ მუსიკას, ახალ ცეკვებს. ასე განსაჯეთ, ახალშემოდებული წესი — პლაჟზე ძილიც კი აკრძალა. ერთ საღამოს მეღჩონის სახლში ზღვის სუნზე იქადაგა კიდევ:



— მადლობა აღავლინეთ ღმერთისა მიმართ, შეიღწო ჩემო, რამეთუ უფლის წყალობაა სურნელი ესე.

ვილაცამ მღვდელს სიტყვა გააწყვეტინა:

— რა იცით, პადრე, თქვენ ხომ არც გიგრძენიათ სუნი.

— წმინდა წერილი არ სტყუის, შეიღწო ჩემო, — თქვა მან, — ჭეშმარიტად ღვთის რჩეულ სოფელში ვართ.

ტობიასი მთვარეულივით დაბორიანებდა. კლოტილდეს ფული აჩვენა. წარმოიდგინეს, თითქოს რულეტს თამაშობდნენ და როცა მოგებული თანხა გადათვალეს, თავი უმდიდრეს ადამიანებად ჩათვალეს. მაგრამ სულ მალე მართო მათ კი არა, ყველა იმ სოფელმა, ოცნებასაც რომ ვერ გაბედავდა, იმდენი ფული ნახა ერთად. ეს ის ღამე იყო, სენიორ ჰერბერტი რომ ჩამოვიდა. მოულოდნელად გამოჩნდა, შუა ქუჩაში მაგიდა გამოათანინა და ზედ ბანკოტებით სავსე ორი უზარმაზარი ჩემოდანი შემოიღო. თავდაპირველად ყურადღება არავის მიუქცევია. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ამდენი ფული მართლა შეიძლებოდა არსებებულიყო. როცა სენიორ ჰერბერტმა ზარს შემოჰკრა, ხალხმა მხოლოდ მაშინ დაიჭერა ეს ამბავი და ჩამოსულს ვარს შემოეხვია.

— მე დედამიწის ზურგზე უმდიდრესი ადამიანი ვარ, — დაიწყო სენიორ ჰერბერტმა, — ფული იმდენი მაქვს არც კი ვიცი, სად წავიღო, და რადგან ისეთი კეთილიც გახლავართ, რომ მკერდში გული ძლივს მეტევა, გადავწყვიტე მსოფლიო შემოვიარო და კაცთა მოდგმის პრობლემები გადავჭრა.

მალალი იყო, წითური, ხმამალლა და შეუსვენებლად ლაპარაკობდა, თან გაძვალტყავებულ ხელებს იქნევდა, იფიქრებდი, ეს-ესაა გაუპარსავსო, თხუთმეტი წუთი ილაპარაკა, შეისვენა, ისევ შემოჰკრა ზარს და განაგრძო. შუა ლაპარაკში რომ იყო, ბრბოში ვილაცის სომბრერო შეინძრა და მოუთმენელი ხმა გაისმა:

— მორჩით, მისტერ, ლაპარაკს და ფულის დარიგებაზე გადადი!

— ასე არა, — უპასუხა სენიორ ჰერბერტმა, — არაფრის გამო ფულის დარიგება გაუმართლებელი და უაზრო საქციელია.

ბრბოში ის კაცი მოძებნა, ვინც სიტყვა გააწყვეტინა, და ხელით ანიშნა — მომიახლოვდიო. ხალხმა გზა დაუთმო.

— ახლა, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — ამ მოუსვენარი მეგობრის დახმარებით აგიხსნით ფულის განაწილების ჩემს უბრალო სისტემას. რა გქვია?

— ჰეითხა და ხელი გაუწოდა.

— პატრისიო.

— ძალიან კარგი, პატრისიო, — უთხრა სენიორ ჰერბერტმა, — შენ, რა თქმა უნდა, შენი გადაუჭრელი პრობლემაც გექნება.

პატრისიომ ქუდი მოიხადა და ეს კარაული თავის დაქნევით დაადასტურა.

— რა გაწუხებს?

— მთელი ჩემი პრობლემა უფულობაა.

— რამდენი გჭირდება?

— ორმოცდარვა პესო.

სენიორ ჰერბერტს გამარჯვების ყივილი აღმოხდა.

— ორმოცდარვა პესო, — გაიმეორა, ხალხმა ტაში დასცბო.
— კეთილი და პატიოსანი, პატრისიო, — განაგრძო სენიორ ჰერბერტმა, —
ახლა ერთი რამ გვითხარი, რისი გაკეთება შეგიძლია?



— ბევრი რამისა.
— აირჩიე, რასაც ყველაზე კარგად ფლობ, — ურჩივს სენიორ ჰერბერტმა.
— ყველაზე კარგად ჩიტებს ვაჭაერებ.

ისევ გაისმა ტაში. სენიორ ჰერბერტი ხალხს მიუბრუნდა.
— მაშ, ასე, ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი მეგობარი პატრისიო ახ-
ლა ჩვენ თვალწინ გამოაჯავრებს ორმოცდარვა სხვადასხვა ჩიტს და ამით
თავისი ცხოვრების პრობლემასაც გადაჭრის.

გაოცებული ხალხი მიჩუმდა. პატრისიომ დაიწყო ჩიტების გამოაჯავრება
ხან უსტვენდა, ხანაც ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემდა. ყველა ნაცნობ და
უცნობ ჩიტს გამოაჯავრა. ბოლოს, სენიორ ჰერბერტმა ტაში დაუკრა და პატ-
რისიოს ორმოცდარვა პესო გაუწოდა.

— ახლა თითო-თითოდ მომიახლოვდით, ხვალ ამ დრომდე აქ ვარ თქვენი
პრობლემების გადასაჭრელად, — თქვა მან.

მოხუცმა ხაკობმა ეს ყველაფერი გამვლელებისგან შეიტყო. ყოველ სია-
ხლეზე გული ისე უხტოდა, ლამის გასკდომოდა.

— რას ფიქრობთ ამ გრინგოზე? — ჰკითხა მან ღონ მაქსიმო გომესს.
ღონ მაქსიმომ მხრები აიჩეჩა:

— ფილანტროპს ჰგავს.
— რამის გაკეთება რომ შემიძლოს, — თქვა მოხუცმა ხაკობმა, — ჩემს
პრობლემასაც გადავწყვეტდი. დიდი კი არაფერია, ოცი პესო.

— თქვენ ხომ ბრწყინვალედ თამაშობთ შაშს, — შეახსენა ღონ მაქსიმო
გომესმა.

მოხუც ხაკობს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მარტო რომ და-
რჩა, დაფა და ქვები გაზეთში გაახვია და სენიორ ჰერბერტის საძებნელად წა-
ვიდა.

შუალამემდე უცადა რიგს. ბოლოს სენიორ ჰერბერტმა ჩემოდნები დახუ-
რა და მეორე დღემდე დაემშვიდობა ხალხს. თუმცა დასაძინებლად არ წასულა,
თავის მტვირთავებთან და ჩემოდნებთან ერთად კატარინოს დუქანში ამოჰყო
თავი. ხალხმა იქაც მიაგნო და პრობლემების გადაჭრა ახლა დუქანში გაგრ-
ძელდა. ნელ-ნელა ყველა პრობლემა გადაიჭრა. მალე დუქანში მხოლოდ ქალე-
ბი და პრობლემაგადაჭრილი კაცები დარჩნენ. სალონის სიღრმეში ვილაც ქალი
განმარტოებით მიმჯდარიყო და ნელა ინიავებდა რეკლამის ფურცლით.

— ეი! — დაუძახა სენიორ ჰერბერტმა, — შენ რაღა პრობლემა გაქვს?
ქალმა მონიაეება შეწყვიტა.

— თავი დამანებეთ, მისტერ, — გადასძახა მთელი სალონის გასაგონად.
— მე შეძავი ვარ და არავითარი პრობლემა არ გამაჩნია!

სენიორ ჰერბერტმა მხრები აიჩეჩა და ახალი პრობლემების მოლოდინში
ჩაცვივებული ლუდის სმა განაგრძო. ოფლი ასხამდა. ცოტა ხნის შემდეგ ხალხის
ჯგუფს ერთი ქალი გამოეყო, სენიორ ჰერბერტს მიუახლოვდა და ჩუმად დაუ-
წყო ლაპარაკი. მისი პრობლემა ხუთასი პესოთი განისაზღვრებოდა.

— რამდენად? — ჰკითხა სენიორ ჰერბერტმა.
— ხუთ პესოდ.

— წარმოიდგინე, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — ასი კაცი იქნება.

— არაფერია, — უპასუხა ქალმა, — თუ ამ თანხას შევაგროვებ, ეს ჩემი ბოლო ასი კაცი იქნება.

სენიორ პერბერტმა ქალი შეათვალიერა. ძალიან ახალგაზრდა ჩანდა, ვალდსუსტი, თვალებში კი მტკიცე გადაწყვეტილება ედგა.

— კარგი, — უთხრა სენიორ პერბერტმა, — შედი ოთახში, ვინც ხუთბესოიან ხალხს.

შემდეგ ქუჩაში გავიდა და ხალხის მოსახმობად წარს შემოჰკრა. დილის შვიდ საათზე ტობიასიც შევიდა კატარინოს დუქანში. სალონში ბნელოდა. ნახევრად მთვლემარე, ლუდით გაბერილი სენიორ პერბერტი ოთახში შემსვლელთა რიგს აწესრიგებდა.

ტობიასიც შევიდა. გოგო მას იცნობდა და, ოთახში შესული რომ დაინახა, გაუკვირდა.

— შენც? — ჰკითხა.

— მითხრეს, შედიო, — თქვა ტობიასმა, — ხუთი პესო მომცეს და დამარიგეს, არ გაჩერდეთ.

ქალმა ოფლით გაქვინტილი ზეწარი აიღო და ტობიასს სთხოვა მეორე ბოლოსთვის მოეკიდა ხელი. ზეწარი მძიმე იყო. მანამდე წურავდნენ, — სანამ თავისი წონა არ დაუბრუნდა. მერე ლეიბი გადმოაბრუნეს. ტობიასმა ყველაფერი გააკეთა, რაც ევალებოდა. გასვლის წინ თავის ხუთი პესო ფულის გორას მიუმატა, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა საწოლის გვერდით.

— რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოგზავნე, — უთხრა სენიორ პერბერტმა, — იქნებ შუალამემდე ამ საქმესაც მოვრჩეთ.

გოგომ ოთახის კარი გამოაღო და ცივი ლუდი ითხოვა. კიდეც რამდენიმე კაცი იცდიდა.

— რამდენი დარჩა? — იკითხა მან.

— სამოცდაცამეტი, — უპასუხა სენიორ პერბერტმა.

მოხუცი ხაკობი დაფით ხელში მთელი დღე კუდში დასდევდა სენიორ პერბერტს. დალამებინას, როგორც იქნა, მოუწია რიგმა. სენიორ პერბერტს თავისი პრობლემა გააცნო და ისიც დათანხმდა. შუა ქუჩაში გამოტანილ დიდ მაგიდაზე პატარა მაგიდა და ორი სკამი შემოდგეს და მოხუცმა ხაკობმა თამაში დაიწყო. წააგო.

— ორმოცი პესო, — თქვა სენიორ პერბერტმა და ორი ქვით ნაკლები დაიტოვა დაფაზე.

ისევ მოიგო. თითებით ოდნავ ეხებოდა ქვებს. დაფას ზედ არ უყურებდა, მოწინააღმდეგის სვლებს წინასწარ ხვდებოდა და სულ იგებდა. ხალხი დაილალა მათი ცქერით. როცა მოხუცი ხაკობი საბოლოოდ დანებდა, სენიორ პერბერტისა ხუთი ათას შევიდას ორმოცდაორი პესო და ოცდასამი სენტავო ემართა.

არ შეკამათებია. რიცხვი ფურცელზე ჩაიწერა და ჯიბეში ჩაიღო, შემდეგ დაფა დახურა, ქვები ყუთში ჩააწყო და ეს ყველაფერი გაზეთში გაახვია.

— რაც გინდათ, ის მიყავით, — თქვა მან, — ოღონდ ესენი დამიტოვეთ პირობას გაძლევთ. დარჩენილ დღეებში სულ ვითამაშებ და ვალს შევაგროვებ.

სენიორ პერბერტმა საათს დახედა.

— ძალიან ვწუხვარ, — თქვა მან, — მაგრამ ვადა ოც წუთში გადის. — შემდეგ ცოტა ხანს იყუჩა, მაგრამ როცა დარწმუნდა, მოწინააღმდეგემ ვერაფერი მოიფიქრაო, ჰკითხა: — სხვა არაფერი გაგაჩნიათ?

— ღირსება.

— ეს ისეთი რამაა. — ახსნა სენიორ ჰერბერტმა. — ფერს რამ იცვლის ქუჩიანი ფუნჯის შეხებისას.

— სახლი, — განაგრძო ხაკობმა, თითქოს თავსატეხს ხსნიყო. — მართალია, დიდი ვერაფერი შეიღია, მაგრამ რაც უნდა იყოს მანქანის სახლი.

მაშინ სენიორ ჰერბერტმა მოხუც ხაკობსაც და იმთავითვე წაგებულის გადახდა არ შეეძლო. შესთავაზა სახლებით გაესტუმრებინათ ვალი. სამაგიეროდ ერთკვირიანი კარნავალი მოაწყო შუშხუნებით, მუსიკით და აკრობატებით. ზეიმს თვითონ ხელმძღვანელობდა.

მართლაც რომ დაუვიწყარი კვირა იყო. სენიორ ჰერბერტმა სოფლის არაჩვეულებრივ ბედზე ილაპარაკა. მომავლის ქალაქიც კი დახატა უამრავი მინის სახლითა და სახურავებზე მოწყობილი საცეკვაო მოედნებით. ხალხი გაოცებული მიჩერებოდა ნახატს. ყველა ცდილობდა საკუთარი თავი ამოეცნო. მაგრამ ნახატზე ისე ლაზათიანად იყვნენ გამოწყობილები, არაფერი გამოუვიდათ, ამ კაცის ზრუნვის შემყურეთ პირდაპირ გული უკვდებოდათ, იცინოდნენ, მაგრამ სიცილის დროს ტირილის ისეთ დაუოკებელ სურვილს გრძნობდნენ, ოქტომბერში რომ მოეძალევა ხოლმე კაცს. სანამ სენიორ ჰერბერტი ლაპარაკობდა, იმედის ბურუსი ეხვიათ გარს. ბოლოს ორატორმა ზარს შემოჰკრა, ხალხს ზეიმის დამთავრება აუწყა და, როგორც იქნა, დაისვენა.

— ასე თუ განაგრძეთ, ნამდვილად მოკვდებით, — უთხრა მოხუცმა ხაკობმა.

— იმდენი ფული მაქვს, დიდი უსინდისობა იქნება ჩემი სიკვდილი, — უპასუხა სენიორ ჰერბერტმა.

საწოლში ჩაესვენა და დაიძინა. ძილში ლომივით ბრდღვინავდა. იმდენ ხანს ეძინა, ხალხი ლოდინით დაიღალა. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, მიწიდან ამოთხრილ კბორჩხალებს ჭამდნენ. კატარინოს ახალი ფირფიტები ისე მოძველდა, უცრემლოდ ველარავინ უსმენდა და იძულებული გახდნენ დუქანი დაეხურათ.

უკვე კარგა ხანი იყო გასული სენიორ ჰერბერტის დაძინებიდან, როცა მოხუცი ხაკობის კარზე მღვდელმა დააკაკუნა.

კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი. რადგან მძინარე თითქმის მთელ ქანგბადს ნთქავდა, ზოგიერთ ნივთს წონა დაეკარგა და ჰაერში დაფრინავდა.

— მასთან ლაპარაკი მსურს, — თქვა მღვდელმა.

— უნდა მოიცადოთ, — უპასუხა მოხუცმა ხაკობმა.

— დრო არა მაქვს!

— დაბრძანდით, პადრე, და დაიცადეთ, — არ თმობდა მოხუცი ხაკობი, — თან პატივი დამდეთ და მელაპარაკეთ: კარგა ხანია აღარ ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე.

— გარბის ხალხი, — თქვა მღვდელმა, — მალე სოფელი ისევ დაცარიელდება, ესაა ერთადერთი სიახლე.

— დაბრუნდებიან, — თქვა მოხუცმა ხაკობმა, — როცა ზღვაზე ვარდების სუნი ჩამოწვება, დაბრუნდებიან.

— მაგრამ, სანამ ეს მოხდება, ხალხს რწმენა უნდა შეევუნარჩუნოთ, — აუხსნა მღვდელმა, — ტაძრის აშენება მოგვიწევს.

— ამიტომ მოხვედით მისტერ ჰერბერტთან? — ჰკითხა ხაკობმა.

— ამიტომ, — დაუდასტურა მღვდელმა, — გრინგოები მოწყალე ხალხია.

— მაშინ, მოიცადეთ, პადრე, — ურჩია მოხუცმა ხაკობმა, — იქნებ გაიღვიძოს.

შაშის თამაში დაიწყო. ეს იყო უგრძესი და უძნელესი, რამდენიმე დღის პარტია, სენიორ ჰერბერტი კი არა და არ იღვიძებდა. პადრე სულ აირჩია მოწყალეების სათხოვნელად სპილენძის თევზით ხელში ყოველგვარ უფლებიან ქული შემოიარა, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეაგროვა. ამდენი ხანის შემდეგ თანდათან გამჭვირვალე გახდა და ძვლებიც აუჩხრიალდა. ერთ კვირა დღეს ორი გოჯით ასცილდა მიწას, მაგრამ ეს ვერაფერ შეიტყო. მაშინ ერთ ჩემოდანში ტანსაცმელი ჩააწყო, მეორეში — შეგროვილი ფული და სამუდამოდ აიკრა გუდა-ნაბადი.

— არ დაბრუნდება სურნელი, — ეუბნებოდა ყველას, ვინც მის შეჩერებას ცდილობდა, — აშკარაა, სოფელს რაღაც მომაკვდინებელი ცოდვა ჩაუდენია.

სენიორ ჰერბერტმა რომ გაიღვიძა, ცხოვრება უკვე ძველ კალაპოტში ჩამდგარიყო. წვიმებს ჩამოსულთა ყოველგვარი კვალი გადაერეცხა და მიწა ისევ აგურივით მაგარი და გამომშრალი იყო.

— დიდხანს შეძინა? — დაამთქნარა სენიორ ჰერბერტმა.

— საუკუნეები, — დაუდასტურა მოხუცმა ხაკობმა.

— ვკვდები შიმშილით!

— მთელი ქვეყანა მაგ დღეშია, — თქვა მოხუცმა ხაკობმა, — ისევ კიბორჩხალების დაქერა მოგვიწევს.

ტობიასი სენიორ ჰერბერტს მაშინ წამოადგა თავს, როცა ეს უკანასკნელი პირზე დუფემორეული ქვიშას ქექავდა, და ძალიანაც გაოცდა, მდიდრების და ღარიბების შიმშილი ერთმანეთს როგორ ჰგვანებიაო.

სენიორ ჰერბერტმა საკმარისი კიბორჩხალები ვერ იპოვა და ტობიასს ზღვის სიღრმეში შესვლა შესთავაზა.

— მხოლოდ მიცვალებულებმა იციან, რა არის იქ, სიღრმეში, — თქვა ტობიასმა.

— მეცნიერებმაც იციან, — აუხსნა სენიორ ჰერბერტმა, — ჩაძირული გემების ზღვის სიღრმეში შესანიშნავი მსუქან-მსუქანი კუები და ცურავენ, გაიხადე და წავიდეთ.

წავიდნენ. ჯერ პირდაპირ მიცურავდნენ, შემდეგ ქვემოთ ჩაუყვნენ, ძალიან ღრმად ჩავიდნენ, სადაც ჯერ მზის შუქი გაქრა, მერე ზღვისა და საგნებს მათივე შუქით თუ გაარჩევდა კაცი. ჩაუარეს ჩაძირულ სოფელს, ქალები და კაცები მუსიკალური ჯიხურის ირგვლივ წრიულად ლივლივებდნენ. მშვენიერი დღე იყო, ტერასებზე ფერად-ფერადი ყვავილები ჩანდა.

— კვირას ჩაძირულა, ასე თერთმეტ საათზე, — თქვა სენიორ ჰერბერტმა.

— წარღვნა ყოფილა.

ტობიასმა სოფლისკენ გადაუხვია, მაგრამ სენიორ ჰერბერტმა ანიშნა, გზა გაეგრძელოთო.

— იქ ვარდებია, — თქვა ტობიასმა, — მინდა კლოტილდეს ვაჩვენო.

— სხვა დროს დაბრუნდი, — უთხრა სენიორ ჰერბერტმა, — ახლა შიმშილით ვკვდები, — და რვაფეხასავით ჩუმად და მარჯვედ გააცურა. ტობიასი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, უკან მისდევდა და ფიქრობდა, ალბათ ყველა მდიდარი ასე ცურავსო. ცოტა ხნის შემდეგ საერთო უბედურებების ზღვა უკან მოიტოვეს და მკვდრების ზღვაში შეცურდნენ.

ტობიასს ამდენი ხალხი დედამიწაზეც არ უნახავს. გაუნძრევლად, პირაღმა

მიცურავდნენ სხვადასხვა სიღრმეში და საბეზე ყველას მივიწყებულ არსებათა დალი აჩნდა.

— ესენი ძალიან ძველი მიცვალებულები არიან, — თქვა სენიორ პერბერტმა, — საუკუნეები დასჭირდათ, ასეთი სიმშვიდისთვის რომ მიეღწიათ.

ცოტა ქვემოთ, ახალი მკვდრების ზღვაში სენიორ პერბერტმა შეჩერდა. ტობიასი რომ წამოეწია, მის წინ ახალგაზრდა ქალი მიცურავდა. მისი იწვა, თვალგახელილი და უკან ყვავილების დინება მიჰყვებოდა. სენიორ პერბერტმა საჩვენებელი თითი პირში ჩაიდო და სანამ მის წინ უკანასკნელი ყვავილი არ გაცურდა, არ განძრეულა.

— ასეთი ლამაზი ქალი ცხოვრებაში არ მინახავს, — თქვა მან.

— მოხუცი ხაკობის ცოლია, — უბასუხა ტობიასმა, — სულ ცოტა, ორმოცდაათი წლით ახალგაზრდა ჩანს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისაა.

— ბევრი უმოგზაურია, — თქვა სენიორ პერბერტმა, — უკან მთელი მსოფლიოს ზღვის ყვავილები მიჰყვებოდა.

ფსკერამდე ჩააღწიეს. სენიორ პერბერტი რამდენჯერმე დახტა გარანდულ დაფასავით პრილა ფსკერზე. ტობიასიც მიჰყვა, როცა წკვარამს თვალი შეაჩვია, კუები დაინახა; ფსკერზე უმოძრაოდ მიკრულნი, კაცს გაქვავებული ეგონებოდა.

— ცოცხლები არიან, — თქვა სენიორ პერბერტმა, — მაგრამ მილიონი წელია სძინავთ.

ერთი ააძრო და ფრთხილად წაიღო ზემოთ. მძინარე კუ ხელიდან გაუსხლტა და დრეიფით განაგრძო გზა. ტობიასს არც უცდია დაჭერა. შემდეგ ზემოთ აიხედა და მთელი ზღვა უკუღმა დაინახა.

— თავი სიზმარში მგონია, — თქვა მან.

— თუ შენი თავისთვის სიკეთე გსურს, რაც ნახე, ნურავის ეტყვი, — ურჩია სენიორ პერბერტმა, — წარმოიდგინე, რა მოხდება, ხალხმა რომ ეს ამბები გაიგოს.

შუალამეს ცოტა აკლდა, სოფელში რომ დაბრუნდნენ. წყლის ასადულებლად კლოტილდე გააღვიძეს. სენიორ პერბერტმა კუს თავი წააგდებინა, მაგრამ იძულებული გახდა გული ცალკე მოეკლა, რადგან იგი სხეულიდან ამოხტა და ეზოში აქეთ-იქით ეხლებოდა. იმდენი ჭამეს, ძლივსლა სუნთქავდნენ.

— ახლა კი, ტობიას, — თქვა სენიორ პერბერტმა, — სიმართლეს თვალეზში შევხედოთ.

— რა თქმა უნდა!

— საქმე ის არის, რომ ეს სუნი აღარასოდეს დაბრუნდება.

— დაბრუნდება.

— არა, — გააწყვეტინა კლოტილდემ, — როგორ დაბრუნდება, როცა არც არასოდეს ყოფილა. ეს შენ ააფორიაქე მთელი ქვეყანა.

— მაგრამ შენ თვითონაც ხომ იგრძენი! — წამოიძახა ტობიასმა.

— იმ ღამეს ნახევრად მეძინა, — თქვა კლოტილდემ, — ახლა ამ ზღვასთან დაკავშირებული არაფერი მწამს.

— მოკლედ, მე მრვდივარ, — თქვა სენიორ პერბერტმა, შემდეგ ორივე შეათვალღერა და ურჩია: თქვენც უნდა წახვიდეთ, იმდენი რამაა ქვეყანაზე გასაკეთებელი, არ ღირს ამ სოფელში შიმშილობაო.

თქვა და წავიდა. ტობიასი ეზოში დარჩა და ვარსკვლავების თვლა დაიწყო.

წინა დეკემბერთან შედარებით სამით მეტი დათვალა. კლოტილდემ ოთახიდან გამოაძახა, მაგრამ ტობიასს ყურიც არ შეუბერტყავს.

— მოდი აქ, სულელი. — გასძახა კლოტილდემ, — საუკუნეა კლოტილდე-ბივით არ გვიქნია.

ტობიასმა შეიცადა. როცა ბოლოს და ბოლოს შევიდა, კლოტილდე შეკვიპდა. ტობიასმა ცოლი გააღვიძა, მაგრამ ისე იყო დაღლილი, ყველაფერი აურია და ბოლოს მუხლუხობივითლა გამოუვიდათ.

— სულ გამოსულელი, — უთხრა გაბრაზებულმა კლოტილდემ. — სხვა რამეზე იფიქრე!

— სხვა რამეზე ვფიქრობ.

კლოტილდე დაინტერესდა, რაზეო, ტობიასი შეჰპირდა მოყოლას, ოღონდ ბირობა ჩამოართვა, არავისთან არაფერი დასცდენოდა.

— ზღვის სიღრმეში, — დაიწყო ტობიასმა, — ერთი სოფელია, თეთრი სახლებითა და ტერასებზე უამრავი ყვავილით.

კლოტილდემ თავში იტაცა ხელები.

— ოი, ტობიას! — დაიყვირა მან, — თუ ღმერთი გწამს, ნუ დაიწყებ ამ სისულელეებს თავიდან.

ტობიასი გაჩუმდა, საწოლის კიდისაკენ მიჩოჩდა და დაძინება სცადა, თუმცა, სანამ განთიადის ნიავმა არ წამოუბერა და კიბორჩხალებმა თავი არ დაანებეს, თვალის ვერ მოხუჭა.





ფრანგულიდან

თარგმნა ნანა თარგამაძე

წელს, ცნობილ ფრანგ პოეტს გიორგი აპოლინერს, გარდაცვალებიდან 70 წელი უარულდება.

ოთხში, 1880 წლის 26 აგვისტოს, დაიბადა ვილჰელმ-ალბერტ-ვლადიმირ-ალექსანდრ-აპოლინარი კოსტროვიცი, შემდგომში ცნობილი აპოლინერი. (მისი ფსევდონიმი შედგენილია „ვილჰელმი“ და „აპოლინარის“ ფრანგული ფორმების ნიხედვით. ამ ფსევდონიმით 1902 წ. გამოაქვეყნა მოთხრობა „პერე-იარქი“). მისმა დედამ, ანჟელიკა კოსტროვიციამ, პოლონელი ემიგრანტის ქალიშვილია, თავი უკანონოდ გაჩენილ შეიქმნა, დაბადებიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ მისივე საკუთარი გვარი და ქვეშევრდომობა, (კოსტროვიცია რუსეთის ქვეშევრდომი იყო).

აპოლინერის შემოქმედება ვითარდებოდა ისეთ რთულ დროს, როცა ფრანგულ ლიტერატურაში მოჰყარბდა სხვადასხვა მოდერნისტული მიმდინარეობები. 1913 წ. მან ხელი მოაწერა ლიტერატურულ მანიფესტს „ფუტურისტული ანტიტრადიციის“, სადაც დაგმობილი იყო „პოეტური კავშირი“. ეგზოტიზმით გატაცება, ისტორია... და ყველაფერი, რაც სტატიკური იყო, ლიტერატურაში უნდა დაწერგლიყო ქალაქური ნომადიზმი, „ნაქანიზმი“, ზონოკონტრასტუა („ჩავლებული ცხოვრება“) და „უმავეთლო წარმოსახვა“. მაგრამ ვინც აპოლინერის შემოქმედებას გაეცნობა, მისთვის ნათელი გახდება, რომ სიმბოლიკური ბერძენის გამოყენება თუ ფუტურისტული ტენდენციები მის პოეზიაში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. „რომ განაახლო შთაგონება... მე ვფიქრობ პოეტმა უნდა მიმართოს ბუნებას, ცხოვრებას“ — წერს აპოლინერი და ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირს ანუ „ახალ რეალიზმს“ სთავაზობს მკითხველს თავის უკანასკნელ სტატიკაში „ახალი დროის სული და პოეტები“. ეს პოეტებიც, ვისაც აპოლინერთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ალფრედ ჟარი, ბლენ პანდრაი, მაქს ჟაკობი და ანდრე სალმონი ებრძოდნენ სალონურ პოეზიას, ბურჟუაზიულ თემატიკას ლიტერატურაში და სატირული, გოტიკური ტენდენციების დაწერვას ცდილობდნენ.

1914 წლის ომი საბედისწერო აღმოჩნდა პოეტისათვის. იგი მობალისედ წავიდა არა მარტო იმიტომ, რომ თავს საფრანგეთის პოეტად და ნაპოლეონის შთამომავლად თვლიდა, არამედ იმიტომაც, რომ ეგონა, ამ პატრიოტული აქტით ლუიზა დე კოლინი-შატიონის გულს მოიგებდა. ლუ ჯერ ალფრთოვანებით შეხვდა პოეტის ამ გადაწყვეტილებას, ჩააკითხა კიდევ ნიმში, სადაც იგი საარტილერიო წვრთნას გადიოდა, მაგრამ პარიზში დაბრუნებისთანავე დაივიწყა. აპოლინერი კი 1915 წ. რიგით მეომრად ფრონტზე გაემგზავრა. ანტიმილიტარიკული და ანტიპატრიოტული განწყობილებები, რომელიც მას 1916—1917 წწ-ების წერილებში და ლექსებში იგრძნობა, ფრონტზე ყოფნის პირველი დღეებიდანვე ეუფლებიან პოეტს. „ბალთაზარის კანიალური ნადიმი“, ასეთი დახასიათება მისცა აპოლინერმა ომს.

ომმა ქველადერი წაართვა აპოლინერს: სიყვარული, მეგობრები (რენე დალიზი 1917 წლის 7 მაისს დაიღუპა) და ბოლოს სიცოცხლეც. 1916 წლის 17 მარტს ნადიმი ნამსხვრევმა პოეტს თავის ქალი დაუზიანა, რამოდენიმე ოპერაცია უშედეგო აღმოჩნდა. 1918 წლის 9 ნოემბერს, კრილობისაგან დაუხსტებული პოეტი გრიპით გარდაიცვალა.

ერთმა ომმა თუ სიცოცხლე მოუსწოაფა პოეტს, მეორე მსოფლიო ომმა მას უკვდავია მოუტანა. ფრანგული „წინააღმდეგობის“ ჯგუფის პოეტებმა „აღმოაჩინეს“ და აღიარეს აპოლინერი. ელუარმა, არაგონმა, დესნოამმა და სხვებმა თავისი თავი აპოლინერის პოეტურ მემკვიდრეებად გამოაცხადეს.

თანამედროვე მკითხველს აპოლინერის შემოქმედებაში უპირველეს ყოვლისა ხიბლავს მისი ვულწრფელი დაპოკიდებულება ცხოვრებასთან, მისი რეალიზმი, ეს უბრალოება, რომელიც ყოველი დროის ადამიანისათვის გასაგებს ხდის პოეტის წუხილსა თუ სიხარულს. აპოლინერის პოეზია ეს ცხოვრების სინამდვილეა, ყოველგვარი პათოსისა და შელამაზების გარეშე. სერაოხუ-

ლისა და კომიკურის სინთეზი, ლექსის აწყობა მოვლენათა მოზაიკით, მრავალთემიანობა, პოეტური თვალსაწიერის ვრცელი გეოგრაფიული არე, პროზაული სურათების მაღალი პოეზიის რანგში აყვანა, ერთი სახაპიანო შტრიხით ფართო პანორამის შექმნა, ზოგადთან საკუთარი „მეს“ ორგანულად დაკავშირება, მაღალი მატერიების „გაადამიანურება“, ფანტაზიის მობილობა, კონტრასტებზე აგებული თანამედროვე პოეტური სახეები, ასოციაციური აზროვნება, ინდივიდუალური და სამყარო დაპირისპირება (ტრაგიზმი ამ დაპირისპირებაში), უნაზესი მიჯნურისა და რაინდის სიყვარული გამტკიცება და რაც მთავარია, მიუხედავად პირადი უიღბლობისა, მკაცრად და სიკეთის რწმენა... ეს ყველაფერი შემოგვთავაზა აპოლინერმა თავის პოეზიაში.

აპოლინერმა პირველმა შემოიტანა ტერმინი „სიურრეალიზმი“.
პირველმა წამოაყენა პროგრამა „ახალი ჰუმანიტური ლირიზმისა“. (თეზისები: 1. ცხოვრებასთან კავშირი, 2. პროზაული მასალით პოეზიის გამდიდრება, 3. ლირიკის სფეროში სააუტბრო და ხალხური ტერმინოლოგიის შეტანა, 4. პოეზიის არა რიტმებისა და რიტმით, არამედ იდეურობითა და ემოციურობით დატვირთვა, 5. ნაციონალური ლირიკის აღორძინება, 6. ლირიკული ეპოსის შექმნის ცდა).

პირველმა შემოიტანა ტერმინი „კუბიზმი“ მხატვრობაში.
პირველმა ფრანგულ ლიტერატურაში, განაახლა ელინელი პოეტების ცდები და შექმნა კალიგრაფები:

- 1. ლექსები — სურათები („პეიზაჟი“, „მოგზაურობა“, „მოკლული მტრედი“ და სხვა).
- 2. ლექსები — ნატურმორტები („ყვლაახვევი და საათი“, „გული, გვირგვინი და სარკე“ და სხვა).
- 3. ლექსები — საუბრები („კრიტიკის ქუჩა“ და სხვა).

ერთ-ერთმა პირველთაბანამ (მალარმეს შემდეგ) უარყო პუნქტუაცია.
პირველმა, ფრანგულ პოეზიაში, ერთი შეხედვით პროზაული ამბები აქცია მაღალი პოეზიის საგნად.

„ჩვენს დროში, აპოლინერის ლიტერატურული მემკვიდრეობა, უკვე კლასიკაა“ (ნ. ბალაზოვი).

„ჩვენ უკვე ვიხილეთ მისი წიგნის კვირტები: მათ დიდებული ყლორტები გამოიღეს, თუქცა კი ამ თაიგულის კოკრებს ჯერ კიდევ სძინავს მებალის გარეშე...“ (მიშელ ბიუტორი).

„დიდი აპოლინერი, უმისოდ ვერ იარსებებდა XX ს. პოეზია, ... უმისოდ მათხოვრად გავუხდებოდით კლასიკოსებს, პარნასელებსა და სიმბოლისტებს...“ (ვ. ნეზვალი).

თავის სიტოცხლეში კი კრიტიკოსთა გაუთავებელ თავდაახმაზე აპოლინერი ასე იმართლებს თავს ანდრე ბიისადში მიწერილ წერილში: „...მისაყვედურებენ, თითქოს ვანგრევდე. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამ ბრალდებისა, რადგან, არა თუ არაფერი დამინგრევია, არამედ პირიქით, ყოველთვის ვცდილობდი მეშენებინა... კლასიკურ ლექსთაწყობას ისე ხშირად ვიშველიებდი, რომ ახალი სიტოცხლე მივანიჭე, მაგალითად, რემარცვლიან ლექსს. ხელოვნების სფეროშიც არაფერი დამინგრევია და თუ ვცდილობდი დავხმარებოდი ახალ მიმდინარეობებს, ეს არ ხდებოდა ძველი სკოლის ხარჯზე...“

„პოეზია უნდა უმადლოდეს აპოლინერის ახალი ლირიზმის წარმოშობას, რომელსაც ისე დიდებულად არავინ ფლობდა, გიგანტი უიტმენიც კი“ (ვ. ნეზვალი).

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოააცემად ამზადებს აპოლინერის კრებულს, რომელშიც შევა გ. ნიშნიანიძის, გ. გეგეჭკორის, თ. ერისთავის, ა. ბუაჩიძის და სხვათა თარგმანები. გთავაზობთ წიგნისთვის მომზადებული მასალის ერთ ნაწილს.

მთარგმნელისაგან

ლრუბლის აჩრდილი

რაკი 14 ივლისი დადგა
ნაშუადღევის ოთხ საათზე გავედი გარეთ
რომ მაწანწალა აკრობატებს სადმე შევეყოდი

სუფთა ჰაერზე ღია ცის ქვეშ ჭიმავენ ყირას
მათ იშვიათად წააწყდებით ახლა პარიზში

მაშინ როდესაც ჩემს სიყრმეში ვხვდებოდით ხშირად
პროვინციებში გადასახლდნენ თითქმის ყველანი

ჩავყევი ნელა სენ-ჟერმენს და ზედ მოედანზე
რომელიც ბულვარს და დანტონის ძეგლს ემიჯნება
წავაწყდი ქუჩის აკრობატებს



გარს ბრბო ეხვია მოლოდინით დამუნჯებული
ძლივს შევარჩიე უკეთესი ჩემთვის ადგილი
უშველებელი შტანგა იდგა

თითქოს ბელგიის ქალაქები ერთად დაეწყო
ლონგველ რუს მუშას დიდი შტანგა ისე ეჭირა

შავ და ფუტურო ორბირთულას გაქვავებული მდინარე ჰქონდა
გაყრილი ღერძად

თხელი თითები ღერ სიგარეტს ნერგულად სრესენ
ცხოვრებასავეით ტყბილსა და მწარეს

მიწას ფარავენ ჭუჭყიანი ფარდაგ-ხალები
არ გასწორდება ფარდაგების ღრმა ნაკეცები

და გაცრეცილებს ერთიანად მტვრის ფერი ადევს
თითქოს ლაქებიც ზოგან მწვანე ზოგან ყვითელი
აკვიატებულ მოტივივით ვერ დაუთმიათ

ხედავთ ამ მაშვრალს გამბღარსა და გაველურებულს —
პაპათა ფერფლი ჩანს მოხუცის ქალარა წვერში
ასე შემორჩა წინაპართა მემკვიდრეობა
და მომავალზე მეოცნებეს მაშინ წააგავს
როცა ნელ-ნელა ატრიალებს არღნის სახელურს

არღანი ჩუმად ქვითინებდა
ხან იხვის ყიყინს ხან წყლის ბუყბუყს ხანაც ყრუ კვნესას
გაიგონებდით ამ ქვითინში

აკრობატები უხმოდ იდგნენ
მათგან ყველაზე მოხუცებულს ტანზე ემოსა
მკრთალი იისფერ-მოვარდისფრო შარვალ-პერანგი
ზუსტად იმ ფერის ლოყებზე რომ შენიშნავთ ხოლმე
ყმაწვილ ქალს უკვე სასიკვდილო სენით შეპყრობილს —
ბაგის გარშემო დაიბუდებს ეს ვარდისფერი
ან ცხვირთან ლოყის ნაოჭებში შეალოდდება
შავი ლალატით საესე არის ასეთი ფერი
ნუთუ ამგვარად ატარებდა ზურგით მოხუცი
თავისი ფილტვის საშინელ ფერს

ყველგან ხელები აღმართულან წესრიგს იცავენ

ხოლო მეორე აკრობატს აგერ
თავისი ჩრდილი წაშოუსხამს სამოსის ნაცვლად
დიდხანს ვუცქერდი
მაგრამ სახე ვერ დავუნახე
ეს იყო კაცი ვისაც ტანზე თავი არ ება



შემდეგ აკრობატს ვიგინდარას იერი ჰქონდა
პარაცველსაც ჰგავდა ერთდროულად კეთილს და ბოროტს
წვივსაკრავებით ფართხუნა და ვეება შარვლით
მოგაგონებდათ ყოყლოჩინა სუტინიორსაც

მუსიკა შეწყდა მორიგება დაიწყო ფასზე
ორ-ნახევარი ფრანკი ხალხმა ხურდა ფულებით
მტვრიან ფარდაზე გადმოყარა თუმცა მოხუცი
ამ წარმოდგენის საფასურად სამ ფრანკს ითხოვდა
ცხადი რომ გახდა მეტს არავინ დაუმატებდა
მოითათბირეს წარმოდგენა მაინც დაეწყოთ

არღნის ქვემოდან ციციქნა ბიჭი გამოსრიალდა
სამოსი ეცვა ფილტვებივით მოვარდისფერო
სამაჯურებზე და კოჭებთან ბეწვის არშიით
მოკლე ძლიერი შეძახილით
მკლავება და ხელის მტევნებს შლიდა თან მოხდენილად
ცალ ფეხზე ოდნავ ჩაჩოქილი ესალმებოდა
ოთხივე მხარეს შემოკრებილ ადამიანებს
ხოლო როდესაც ბურთზე შედგა და წინ გაგორდა
მისი გამხდარი ტანი იქცა სათუთ მუსიკად
და ერთი კაციც კი არ დარჩა ირგვლივ გულგრილი

ეს რომ პატარა სულით უხორცოდ ქმნილი
ასე ფიქრობდა მაშინ ყველა
ხოლო ფორმების ამ მელოდია
მექანიკური არღნის ხმები უცებ ჩაახშო
და თითქოს გაქრა ის მოხუციც ვისაც სახეზე
მამა-პაპათა დალი ედო

ისეთი სალტო გააკეთა პატარა ბიჭმა
ისე სწორად და მოხდენილად რომ იმ მოხუცმა
დაკვრა შეწყვიტა
და ხელებში სახე ჩამალა
თათები გვანდნენ მისი ბუდის შთამომავლებს
გადმოდოლებულ ჩანასახებს თეთრი წვერიდან

ისევ გაისმა შეძახილი ინდიელისა
ანგელოსური მუსიკა ხეთა
და ბავშვიც გაქრა

აკრობატები ორბიტულას მსუბუქად წევდნენ
ათამაშებდნენ თუჯის გირებს
ხოლო ხალხი კი თავის თავში სასწაულმოქმედ
ბავშვს დაეძებდა



ქართული

ო საუკუნევ ო ღრუბლების აჩრდილთა ხანაზიბულითაჲსა

ვარდების რთველი

აყვავილებულ ბაღს ვესტუმრეთ ვკრეთ ჩაის ვარდებს
ხომ იცი ვარდებს — თავზე მათი გვირგვინი გადევს —
სიყვარულისგან ფერმიხდილებს ფურცლები სცვივა
როდესაც ცივა

ქარი ხრის ღეროს და ფურცლებთან გზაზე თამაშობს
მიდი აკრიფე ეს ფურცლები ჩემო ლამაზო
ხვალ დაჰკნებიან ყვავილებიც ჩვენი ოცნების
მათი მოძმენი

ჩადე ლარნაკში და ოთახის კარი ჩარაზე
თუ გავიხსენებთ ჩვენს მკვდარ დღეებს ამ ქვეყანაზე
სასიყვარულო აგონიას სურნელთა ხმაში
შევიგრძნობთ მაშინ

სხვაგან გაფრინდნენ დღის პეპლები ჩემო თავნება
იმის თავდებად რომ სიცოცხლე არ გათავდება
აქ გაჩნდებიან ბაღის სევდის მამებლები
ღამის პეპლები

შერყვნილ ოთახში დამჰკნარ ვარდებს სიკვდილი ელის
და ფურცელ-ფურცელ ნელა სცვივა ტკივილი ძველი
იტირე... რადგან გარდაცვლილი ტრფიალის დარი
ვარდია მკვდარი.

ჯოჯოხეთი

ცხელ უდაბნოში მიდიოდა მწყურვალი კაცი
როცა ზღვის ნაპირს მიაღწია პირქვე დაეცა
მწყურვალს წყურვილი მლაშე ტალღამ გაუათქვეცა
ზღვა არის შენი გამარჯვება და ჩემი შარცხი

სახრჩობელის ქვეშ სადაც მწვანე ჰკიდია მკვდარი
ცისფრად მოსილი სულით შავი ხორცმშვენიერი
ზის ნიღბოსანი სიყვარულის წრფელი იერით
წყეულიმც იყოს ცრუ დიდების ჯიში და კვალი

სათნო ნიღაბი, ჩამომხრჩვალნი და ის მწყურვალი
ჩემ მიერ გათხრილ ჯოჯოხეთში ჩადიან ბოლოს,
სადაც სულ ისმის: „ო ნეტავ მას ვუყვარდე მხოლოდ“

ნუთუ არასდროს არ მაღიროებს ჩემი უფალი
 თუ ტრფობას არა სიკვდილს მაინც მასსავით ლამაზს?
 სულიც მოკვდავი რომ მჭონია რად მიხვდი ამას?



ღამოვიღობება

და სახეები ვნახე გამკრთალი
 და იმსხვრეოდა ცრემლი ცოდვილთა
 როგორც ყვავილზე ფიფქის მაქმანი
 როგორც ხეები შენი — ეოცნიისგან
 ფოთოლცვენაა გარეთ მშვიდი და სევდიანი.

ბაჰაჰეზის საუფლოზი

კუნძულის ნაპირთან ვხედავ
 ცარიელ ნავებს
 ეხლა
 კუნძულის აბლომახლო
 არც კვირა დღეს არც სხვა დროს
 აღარ სერიზობენ ნავით
 აღარც მხატვრები აღარც მოპასანი
 ქერქეტა მკლავებშიშველ და
 მკერდსავსე ქალებთან ერთად

პატარა ნავებო გულს მიკლავს სევდა
 ობლად რომ გბედავთ.

ფანჯრები

წითელ ფერსა და მწვანეს შორის ყვითელი კვდება
 როდესაც გალობს თუთიყუში მშობლიურ ტყეში
 ანდა გუნდები პიიებისა
 უნდა დავწეროთ ლექსი ცალფრთა საოცარ ჩიტზე
 და ამ ფარული ტრამვის შესახებ
 სატელეფონო გზავნილებით ვაუწყოთ ყველას
 აი ქალწული ის ტურიანელ ქალთა შორის უტურფესია
 აგერ საბრალო ყმაწვილი კაცი ცხვირს იხოცავს თეთრი ჰალსტუხით
 ფარდას გადასწევ
 და იღება შენი ფანჯარა
 ნაღმსაწინალო თეთრი ბადით გადაქსელილი
 მაშინ როდესაც ეს ხელები სინათლეს ქსოვენ
 მშვენიერებას სიფერმკრთალეს იისფერ სიღრმეს
 ამაოდ ვცდილობთ დასვენებას

შუალამისას დაიწყებენ
როცა დრო არის მაშინ არის თავისუფლებაც
ლოკოკინები თავდიდები ურიცხვი მზე და დასავლეთის დადი დათვი



ქართული
საბავშვო ბიბლიოთეკა

ძველი ყვითელი ფეხსაცმელი ფანჯრის წინ ყრია
და რკალებია
ეს ქუჩები
ქებია
მრგვალი მოედნები
და ქები არის
ფულუროები ხეებისა მცოცავ კაპერსებს რომ იფარავენ
სასიყვარულო ჰანგებს უმღერენ თავდავიწყებით შაბინები
მუქ-ყავისფერ შაბინელ ქალებს
ჩრდილოეთით კი უა-უას გაპყვირის ბატი
იქ ენოტებზე მონადირენი
ბეწვეულს წმენდენ
შენ ვანკუვერო
მოელეარე ალმასი ხარ
აქ მატარებელს თეთრად ათოვს და ღამის ალი ზამთარს დევნის
ო შენ პარიზო
წითელ ფერსა და მწვანეს შორის ყვითელი კვდება
ო ვანკუვერი და პარიზი კუნძულები ანტილისა იორკი ჰაავა
და მენტონა
ფანჯარა იღება როგორც ფორთოხალი
მზის და სინათლის რჩეული ხილი.

□



თარგმნა ბარანა ბრეზვაძემ

მეოთხე მოქმედება

იმპერიის აღმოსავლეთი საზღვარი. პირქუში მთიანეთი, ღრმა ხევი ერთმანეთისაგან
ტყოფს წინა მხარეს აღმართულ ბეჭობსა და უკანა მხარეს აზიდულ ქარაფებს. საომრად აღ-
კურვილი იმპერატორი იულნიანი ხრამის პირას დგას და სიღრმეს ჩასცქერის. მის მახლობ-
ლად დგანან მთავარსარდალი ნივინა, სპარსელი თავადი ორმიზდი, მხედართმთავარი
იოვნიანი და სხვა სარდლები. ხელმარჯვნივ, ქვებისგან სახელდახელოდ აღმართულ სამახვერ-
პლოსთან წვანან მისანი ნუმა და ორი სხვა მტრუსკელი მისანი, რომლებიც სამსახვერპლო
ზვარაკის შიგანზე მკითხაობენ. წინა მხარეს ლოდზე ჩამომჯდარა მისტიკოსი მამსინგი, რომე-
ლსაც სოფისტები კრისპუსი, კიტრონი და სხვები ახევეიან გარს. ბეჭობის ფერდზე, მარ-
ცხნიდან მარჯვნივ მიემართებიან მსუბუქად შეიარაღებულ მემმართა მცირერიცხოვანი რა-
ზმება.

იულნიანი (ქვემოთ უთითებს). შეხედე, შეხედე, როგორ მიიგრანებიან ხეობაში ლეგიონ-
ნები, გეგონება, უზარმაზარი ქერცილიანი გველეშაპი იკლავებაო.

ნივინა. აი, ესენი, ზუსტად ჩვენ ქვემოთ, ცხვრის ტყაუტები რომ მოუხხამთ, სკვითები
არაან.

იულნიანი. მშიერი მგლებივით არა ყმუიანი!

ნივინა. ეს მათი ხაომარი სიმღერაა, მბრძანებელიო.

იულნიანი. ყმუილი უფროა, ვიდრე სიმღერა.

ნივინა. იქ კი სომხები მიდიან. მათ თვით არშაკი მიუძღვის წინ.

იულნიანი. რომაელთა ლეგიონები აღბათ უკვე ველზე გავიდნენ... ყველა მეზობელი
ტომი დაუყოვნებლივ გვეყმო. (მხედართმთავრებს მიუბრუნდება.) ევფრატზე ათას ორას ხომ-
აღდს მოგუყარეთ თავი, რომლებიც მთელი ჩვენი საომარი საჭურვლითა და სურსათ-სანო-
ვავით დავტვირთეთ. ახლა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ფლოტს შეუძლია ძველი არ-
ხით გავიდეს ტიგროსში. მთელი ლაშქარი ხომალდებზე გადასხდება და შემდეგ ტიგროსის აღ-
მოსავლეთ ნაპირს აუყვება ისეთი სისწრაფით, რის საშუალებასაც საპირისპირო დინება მოგ-
ვცემს.

მითხარი, ორმიზდ, როგორ მოგწონს ეს გეგმა?

ორმიზდი. უძლეველო ბელადო, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენი ძლევაბოხილი წინამძღო-
ლბით კვლავ დავადგამ ფეხს ჩემს მშობლიურ მიწაზე.

იულნიანი. რა ბედნიერებაა იმაზე ფიქრი, რომ ამ სულმოკლე მოქალაქეებთან არავითარი
ურთიერთობა აღარ მოგიწევს. გახსოვთ, რა შიშჩამდგარი თვალეებით მოსდევდნენ ჩემს ეტლს,
როდესაც ქალაქს ვტოვებდი? „მალე დაგვიბრუნდი და მოწყალე იყავ ჩვენ მიმართ!“ — ბლა-
ოდნენ ისინი. აღარასოდეს დავბრუნდები ანტიოქიაში. ქირის დღესავით შემძულდა ეს უმა-
ღური ქალაქი. გამარჯვების შემდეგ ტარსოსის გავლით დავბრუნდები სამშობლოში. (მისნებ-
თან მიდის).

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, № 2.

რაო, ნუმა, შინც რა ამოიკითხე, რითი დამთავრდება ჩვენი ლაშქრობა?

ნუმა. ღმერთები გაფრთხილებენ და გირჩევენ, ნუ გადალაბავ შენი საბრძანებლის საზღვრებს.

იულიანე. ჰმ... როგორ განმარტავ ამას, მაქსიმე?

მაქსიმე. აო, როგორ: ღმერთები გირჩევენ დაიბურო და შემოიხტოცო მთელი ეს მიწა-წყალი, რომელზედაც გაივლი მაშინ საბრძანებლის საზღვრებსაც აღარ გადალაბავ.

იულიანე. ასე, განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა გვმართებს უოუელგვარო მისნობის მიმართ, ვინაიდან მათ ძალზე ხშირად ორმაგი აზრი აქვთ. დიახ, ხანდახან გგონია თითქოს იდუმალ ძალებს სიამოვნებას ანიჭებს ის, რომ შეცდომაში შეიყვანონ ადამიანი, და ეს შეცდომა მით უფრო მძიმეა, რაც უფრო მნიშვნელოვანია საქმე. რამდენი ვინმე ცდილობდა ჩვენდა საზიანოდ განემარტა კარიბჭის ჩამოკვევა ჰიერაპოლისში სწორედ იმ დროს, როცა ქალაქში შევდიოდით, ასე რომ, ნანგრევებმა ქვეშ მოიყოლა და გასრისა ას ორმოცდათი ჯარისკაცი. მე კი ვამტკიცებდი და ახლაც ვამტკიცებ რომ ეს შემთხვევა ორმაგ წარმატებას გვიქადის. ჭერ ერთი, სპარსელთა სამეფოს განადგურებას და, მეორეც, უბადრუკ გალილეველთა დაღუპვას. რადგან, ისიც ვიკითხოთ, ვინ იყვნენ ეს სვედავსილნი? გალილეველნი, დასჯის მიზნით რომ გაამწესეს ჯარისკაცებად და ფეხები უკან რჩებოდით, ისე უზარებოდით ომი, ამიტომაც წინასწარვე განწირულნი იყვნენ საიმისოდ, რომ ესოდენ მოულოდნელად და უსახელოდ დაესრულებინათ თავიანთი სიცოცხლე.

იოვინანე. მოწყალეო ხელმწიფეო, ავერ შეწინავე რაზმთა წინამძღოლი მოდის.

უმცროსი მხედართმთავარი ანინანე (მარჯვენა მხრიდან შემოდის). ხელმწიფეო, შენ მობრძანე მომეხსენებინა ყოველივე უჩვეულო, რაც გზაში შეგვემთხვეოდა, ანდა რასაც შევეუბრებოდით...

იულიანე. დიახ, გობრძანე. მერედა, რა მოხდა დღეს?

ანინანე. ორი უჩვეულო რამ შეგვემთხვა. მობრძანებელო, ორივე შეიძლება მომავლის წინასწარ მაცნე ნიშნებად იქნეს მიჩნეული.

იულიანე. აბა, გვითხარი, ანინანე!

ანინანე. ჭერ ერთი. ჩემო მობრძანებელო, სოფელ კანტუს გავცდით თუ არა, კალიდან გამოვარდა უზარმაზარი ლომი და ჩვენს ჯარისკაცებს შემოუტია, რომლებმაც ისრები დააყარეს და მოკლეს.

იულიანე. ა!

სოფისტობი. რა ბედნიერი ნიშანია!

ორმინდი. მეფე საპორი სამეფოს ლომს უწოდებს თავს.

ნუმა (საკუთრებელის წინ მისნობაში დაბრუნდა). დაბრუნდი, დაბრუნდი, იმპერატორო იულიანე!

მაქსიმე. წარბშეუხრელად გახწიე წინ, ძლევაამოსილო!

იულიანე. დავბრუნდე? ამის შემდეგ? როგორც ეს ლომი დაეცა კანტუსთან, ისე დაეცემა ჩვენი ისრებით სამეფოს ლომიც, ან იქნება არ შემიძლია მაგალითები მოვიხმო წარსულიდან, რომლებიც საშუალებას მომცემენ, ჩვენდა სასიკეთოდ განემარტო ეს ნიშანი? ნუთუ საჭიროა შევახსენო ესოდენ განათლებულ ხალხს, რომ სანამ იმპერატორი მაქსიმელიანე საბოლოოდ დაამარცხებდა სპარსეთის მეფე ნარსესს, მთელი რომაული ლაშქრის თვალწინ მოკლულ იქნა ლომი... და კიდევ ვებებრთელა ტახტი? (ანინანე...)

მეორეზე რაღას იტყვი? თუ არ ვცდები, ორი ნიშანი ახსენე.

ანინანე. მეორე უფრო საეჭვოა, მობრძანებელო. შენი საომარი ცხენი ბაბილონისი შევკაშმეთ და შენი ბრძანებისამებრ წინ გავიგდეთ. რათა მთის გადაღმა ფერდზე დაგლოდებოდა. ამავდროს იქვე მოერეკებოდნენ ჯარისკაცებად გამწესებულ გალილეველებს, უზარმაზარ ტვირთს მოათრევდნენ და ძლივსლა მოლასლასებდნენ, ასე, რომ იძულებულნი შევიქენით მათრახებით შეგვეხურებინა ისინი. მათ კი ცის მიმართ აღაპურეს ხელი და, თითქოს მათრახების რტყამა შევბა მოგვარათ და მოუფონათო, ერთხმად ამღერდნენ თავიანთი ღმერთის სადიდებლად. ამ მოულოდნელ ხმაურზე ბაბილონისი დაფრთხა, უაღრესე შედგა, გადაყირავდა და თავისი ოქროს აკაშმულობით ტალახში ამოისვარა.

ნუმა (სამსხვერპლოს წინ). იმპერატორო იულიანე დაბრუნდი, უკან, დაბრუნდი!

იულიანე. ჩემზე გაბოროტებულმა გალილეველებმა განზრახ ჩაადინეს ეს, მაგრამ თავისდაუნებურად მოგვეცეს ნიშანი, რომელსაც აღტაცებით მივხსალმები. დიახ, როგორც დაეცა



ბაბილონიოსი, ისე დაეცემა ბაბილონიც, სამუდამოდ დაჰკარგავს თავის სიმდიდრესა და დიდებას!

პრისკაუსი. რა ბრძნული განმარტებაა!

პატრონი. ვფიცავ, ღმერთებს, მართლაც ბრძნულია!

სხვა სოფლისტები. რა თქმა უნდა!



იულიანი (ნევიტას). ლაშქრობა დასახული გეგმით გრძელდება. მე კი ვიფიქროვ, დაიშლება ბუღი რომ ვიყო, მინდა კიდევ შევწირო მსხვერპლი და დასტურის მაუწყებელ ნიშნებს დაველოდო.

თქვენ კი, ეტრუსკელო ოინბაზებო, რომელთა ჩამოსაყვანად ამდენი ხარჯი გავიდე, იცოდეთ, ერთ დღესაც აღარ გაგაჩერებთ ჩემს ბანაკში, სადაც ჭარისკაცებს თქვენი წყალობით მხოლოდ მხნეობა ღალატობთ. გეუბნებით, არა გაგეგებათ რა იმ ურთულესი ხელოვნებისა, რომელსაც მიხდევთ, რა წარმოუდგენელი თავხედობაა! კინწისკვრით გაყარეთ ეს უკეთურნი! თვალთ აღარ დამენახონ!

ჭარისკაცები ხელმარცხნივ მიერეკვებიან მისნებს.

ბაბილონიოსი დაეცა. ლომი ჩემმა ჭარისკაცებმა მოკლეს. მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ გვიმუდავნებს ამას. თუ იღუმაღ ძალთა რანაირი შეწევნის იმედი შეიძლება გვქონდეს. ღმერთები რომელთა ბუნებაც კეშმარიტად გონებაშიუწვდომელია, ხანდახან თიოქოს — გავკადნიერდები და ვიტყვი — თვლემენ, ან სულაც თავს იკავებენ ადამიანთა საქმეებში ჩარევისაგან. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სწორედ ასეთი ძნელბედობის დრო გვიდგას ახლა. დიახ, ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, რომ ზოგიერთმა ღვთაებამ ხელი არ შეუწყო იმ სასიკეთო ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც თვით მათვე მოუხვეჭდნენ დიდებასა და პატივს.

მაგრამ ვინ მოგვცა იმისი ნება, რომ უკვდავი განვსაჭოთ? იქნებ საჩუაროს გამრიგენი დროდადრო თავიანთ ძალაუფლებას გადასცემენ ადამიანებს, თუმცა ეს, რაღა თქმა უნდა, სრულიად არ ამცირებს მათ მნიშვნელობას, რადგან ვის, თუ არა ღმერთებს, უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ შეგარდმო ნიჭით ცხებული და ღვთაებრივი ძალმოსილებით მორჭმული კაცი — თუკი საერთოდ წარმოსადგენია ამნაირი კაცის არსებობა, — შეიძლება ათასში ერთბედად მაინც მოგვევლინოს ამქვეყნად?

პრისკაუსი. ო, ჩვენო უებრო მბრძანებელო, განა თვით შენი საკუთარი საქმენი თვალნათლივ არ მოწმობენ ამას?

იულიანი. არ ვიცი, პრისკუს, უფლება მაქვს თუ არა, ესოდენ დიდი მნიშვნელობა მივანიჭო ჩემს საქმეებს. რაც შეეხება იმას, რომ გალილეველები ამნაირ კაცად ოვლიან ებრაელ იესო ნაზარეტელს, პირადად მე ეს ამბავი სასაცილოდაც არ მყოფნის, ვინაიდან გალილეველები სასტიკად სცდებიან, რასაც ექვშეუვალად დავამტკიცებ მათ წინააღმდეგ მიმართულ ჩემს თბუღებაში. ნიმუშად კი დავსახავ პროფეტეს, ამ დიდებულ გმირს, რომელმაც უფრო მეტი სიკეთე მოუტანა ადამიანებს, ვიდრე, როგორც ჩანს, მათთვის იმეტებდნენ უკვდავი, რისთვისაც დიხილი იქნა, ათასგვარი დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა მოუხდა, წარმოუდგენელი ტანჯვა-წამება დაითმინა, სანამ ბოლოს და ბოლოს, შერაცხილ არ იქნა ღმერთების ხომლში, რომე უსაც, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის ეკუთვნოდა. და განა იგივე არ ითქმის მერაკლეს, აქილევსისა და ბოლოს ალექსანდრე მაკედონელის მიმართაც, ვის საგმირო საქმეებსაც ზოგიერთნი ნაწილობრივ უკვე აღარებენ გალიაში ჩემ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს და მით უფრო თამამად შეადარებენ იმ გამარჯვებას, რომელსაც ამ ლაშქრობისას მოვიპოვე.

ნევიტა. ჩემო მბრძანებელო, აი, ჩვენ ქვემოთ უკანასკნელი რაზმები გამოჩნდნენ, — უკვე დროა.

იულიანი. ახლავე, ნევიტა, მაგრამ ჭერ იმას გიამბობთ, რა საოცარი სიზმარი ვნახე წუხელ. მეხიზმრა, ვითომ ჩემ წინაშე იდგა პატარა ბავშვი, რომელსაც ერთი მდიდარი კაცი სდევნიდა. ეს კაცი ურთიკვი საქონლის პატრონი იყო, მაგრამ თავიანთ არ სცემდა ღმერთებს.

ამ შორსტმა კაცმა პატარა ბაღღს მშობლები და ახლობლები ამოუწყვიტა. მაგრამ ზევსს შეებრაღა ობოლი და მტარვალის დევნიხაგან დაიცვა.

ათენასა და აპოლონის მფარველობით წამოიზარდა ეს ჩვენი ობოლი და საუცხოო ქაბუ-
კი დაღვა.

შერე მესიზმრა, ვითომ ქაბუკმა ქვაზე მიდო თავი და ღია ცის ქვეშ ჩაეძინა.

მაშინ უმაწვილი კაცის სახით ჩამოეშვა ციდან ჰერმესი, მძინარეს თავზე დააღვა და უთ-
ხრა: „წამოდი და გიჩვენებ უზენაესი ღმერთის სავანეს“.



ფრიალო კლდის ძირას მიიყვანა ქაბუკი და იქ დატოვა. შეეშინდა მისი ცოცხლების
ფრქვევითა და ხმამაღალი დაღადისით შეწევნა შესთხოვა ზევსს, და, აბა, ციდან ჩამოეშვენენ
ათენა და ჰელიოსი, მიწის გამრიგე, მაღალი მთის მწვერვალზე იყვანეს ქაბუკი და უჩვენეს
მისი სამკვიდრო.

ეს სამკვიდრო კი მთელი დედამიწის ზურგი აღმოჩნდა, ზღვიდან ზღვამდე და მათ იქითაც.

მაშინ მათ უთხრეს ქაბუკს, ყოველივე ეს შენი იქნებაო, და სამი რჩევა მისცეს მას: ნუ
იძინებ, როგორც ეძინათ შენს ნათესაეებს; ნუ ისმენ პირმოთნეთა რჩევას, და ბოლოს ღმერ-
თების დარად თაყვანი ეცი მათ, ვინც ღმერთებსა აგვანან. „გახსოვდეს — უთხრეს გამოთხ-
ოვებისას, — რომ შენა გაქვს უკვდავი სული, რომელიც ნეტარი ღმერთების სავანისგან იღ-
ებს დასაბამს. მისდევ ჩვენს რჩევას და შენ იხილავ უკვდავთა მამას და ჩვენსავით ღმერთად
იქცევი“.

პრინციპსი. რა არის ამასთან შედარებით ან მიხნობა ან მკითხაობა?

პიტრონენი. არა მგონია გადავაჭარბო თუ იმედს გამოვთქვამ, რომ ბედანწერის ქალღმერ-
თი ორჭერ მაინც ჩაუიქრდება, ვიდრე იმნაირ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, რომელიც შენს
ზრახვებს არ ეთანხმება.

იულიანე. ჩვენ ვერ გავბედავთ დაბეჭითებით ვამტკიცოთ, რომ ესოდენ უჩვეულო პა-
ტივის ღირსად გვცნობენ ღმერთები მეორე მხრივ, ეს სიზმარი მაინც წინასწარმეტყველურ
ხილვად მიმაჩნია, თუმცაღა ჩემი ძმა გაქსიმე — ყოველგვარი მოლოდინის საპირისპიროდ —
თავისი დუმილით უსიტყვოდ გვეუბნება, რომ არც ჩემი სიზმარი მოსწონს და არც ჩემს მიერ
მის გადმოსაცემად მოძებნილი ფორმა. რა გაეწუბა, ამასაც უნდა შევურიგდე. (გრაგნილს
ამოიღება).

აი, იოვინე, დღეს დილაუთენია, ჭერ კიდეც სარტყელზე მწოლარემ ჩაწერე ეს ჩემი სი-
ზმარი. აიღე, გამრავლე და ქარისკაცებს ჩამოურიგე. ძალიან დაღ მნიშვნელობას ვანიჭებ
იმას, რომ ესოდენ სახიფათო ლაშქრობის დროს ქარისკაცები მშვიდად იყვნენ თავიანთი ბედ-
იბლის გამო, რომელიც მათი ბელადის ხელთაა და ამიტომ უყოყმანოდ უნდა ემორჩილებო-
დნენ ყველაფერში, რამაც შეიძლება გადაწყვიტოს ბრძოლის შედეგი.

იოვინე გვედრები, ჩემო მბრძანებელო, მე ნუ დამავალებ მაგას.

იულიანე, ვითომ რატომ?

იოვინე. იმით, რომ ხელს ვერ შეგიწუბ იმ საქმეში, რომელიც ქეშმარიტებას არ
შეესაბამება... მომისმინე, ჩემო უებრო მბრძანებელო! ვანა შენს მეომრებს შორის მოიძებნე-
ბა თუნდაც ერთი კაცი, უყოყმანოდ რომ არ მოგანდოს თავისი ბედი? ვანა გალიის საზღვარ-
ზე, მტრის ძალების სიჭარბისა და რიცხოზობრივი უპირატესობის, ისევე როგორც ათასგვარი
დაბრკოლების მიუხედავად, უფრო ბრწყინვალე გამარჯვებები არ მოიპოვე, ვიდრე შეიძლე-
ბა დაიქაღოს ჩვენმა ნებისმიერმა მხედართმთავარმა?

იულიანე, როდინდელ ამბავს იხსენებ?

იოვინე. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ გწყალობდა და გიღიმოდა ბედი მთელი
ამ ხნის განმავლობაში. განსწავლულობით ყველა მოკვდავს აღემატები და მკვერმეტყულების
ხელოვნებაშიც ერთ-ერთი პირველთაგანი ხარ.

იულიანე, შერედა, მიუხედავად ამისა...

იოვინე. მიუხედავად ამისა, შენ მხოლოდ ადამიანი ხარ, ჩემო მბრძანებელო; ხოლო
შენს სიზმარს რომ აცნობ ლაშქარს, იმ აზრის გავრცელება გსურს, თითქოს ღმერთი იყო, და
სწორედ ამ საქმეში არ შემიძლია შეგიწუბ ხელი.

იულიანე, რას იტყვი, ჩემო მეგობრებო, როგორ მოგწონთ ამ კაცის სიტყვები?

კიტრონი, იმდენადვე თავბედური სიტუებია, რამდენადაც უგუნური.

იულიანი. ხომ არ დაგავიწყდა, ჩემო სიმართლისმოყვარე იოვიანე, რომ იმპერატორ ანტონინუსს, მეტსახელად „ღვთისმოსავს“, საგანგებო ტაძარში და რომის ფორუმზე უცდელი ღმერთების დარად აღიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ. და არა მარტო მას, არამედ მის მრუდულს ფაუსტინასაც. ისევე როგორც სხვა იმპერატორებს ანტონინუსამდეც და მის შემდეგაც.

იოვიანი. ვიცი, მბრძანებელო, მაგრამ ჩვენს წინაპრებს არ ღირსებია კეტსმარტუნის ნათელი.

იულიანი (დიდხანს აკვირდება ბასრი და გამჭოლი მხეროთ). აჰ, აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი, იოვიანე!

ერთი ეს მითხარი. გუშინ, შეღამებისას, მსხვერპლს რომ ვწირავდი, შენ ხომ პატაკით შემოხვედი სწორედ იმ დროს, როცა წმინდა წყალს ვისხამდი ხელზე, რათა ზვარაკის სისხლი ჩამომერცხა.

იოვიანი. დიახ, მბრძანებელო...

იულიანი. ძალიან ვჩქარობდი და ამ ფაციფუცში ჩემდა უნებურად რამდენიმე წვეთი შემოგაშენე. შენ კი გველნაკბენივით იხკუპე უკან, თითქოს მხეფებმა ტანისამოსი წაგიბილწესო.

იოვიანი. ჩემო მბრძანებელო... მაშასადამე, ეხეც შენიშნე?

იულიანი. შენ კი გინდოდა, რომ არ შემენიშნა?

იოვიანი. დიახ, ხელმწიფეო. ვინაიდან ეს მხოლოდ მე მეხება და კიდევ ერთ კეშმარიტ ღმერთს.

იულიანი. შენ გალილეელი ხარ?

იოვიანი. ხელმწიფეო, შენ თვითონ გამგზავნე იერუსალიმში, და მე ჩემი თვლით ვიხილე უველაფერი, რაც იქ მოხდა. მას მერე ბევრს ვფიქრობდი, ქრისტიანების წიგნებს ვკითხულობდი, სასაუბროდ ვიწვევდი მრავალ მათგანს და ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ სწორედ მათი მოძღვრება გვიმუდავებს ღვთაებრივ კეშმარიტებას.

იულიანი. ეს რა მესმის? გამაგებინეთ, რა ხდება? აი, რარიგ გადამდებია და სადამდის უწევს სიშლეგე! ჩემი ახლობლები... ჩემი საკუთარი მხედართმთავრები უნდა გამიდგნენ?

იოვიანი. პირისპირ დამაყენე შენი მტრების წინაშე, მბრძანებელო და დაინახავ, რა ხარულით მივაგებ კეისარს კეისრისას.

იულიანი. მაინც რას?..

იოვიანი. სისხლს და სიცოცხლეს.

იულიანი. სისხლი და სიცოცხლე არ კმარა! თუ მბრძანებელი ხარ, ადამიანის სულსა და ნებაზე უნდა მბრძანებლობდე. და აი, იესო ნაზარეველი სწორედ აქ მედობება გზაზე, ძალაუფლებას მეცხილება.

ხომ არ გგონია, რომ შენს დასჯას ვაპირებ, იოვიანე? ისინი, ვისაც ახლა მიემხრე, უდიდეს ბედნიერებად მიიჩნევენ ამას. რადგანაც სიკვდილით დასჯის შემდეგ წმიდა მოწამეთა შორის შეირაცხებით; ასეა, არა? განა ამნაირად არ განადიდეს ყველა, ვინც მათი სიშლეგისათვის დავსაჭე, უფრო სწორად, იძულებული ვიყავი, დამესაჯა?

შეწინავეთა რაწმში გიკრავ თავს! ამას იქით შენი დანახვაც აღარ მინდა. შეიძლება ასე მიღალატო და შენი ორგულობა ორმაგ მოვალეობასა და ორ სამეფოზე ფუჭი ლაქლაქით შენიღბო? სპარსეთის მეფის გარდა ბევრი სხვა მეფეც იწვნევს კისერზე ჩემს ყულფს.

შეწინავეთა რაწმშია შენი ადგილი, იოვიანე!

იოვიანი. ჩემს ვალს ყველგან მოვიხდი, მბრძანებელო! (ხელმარჯვნივ გადის.)

იულიანი. არავის ავამღვრევიანებთ ამ ნათელ დილას, რომელიც ესოდენ სასიკეთო ნიშნით დაიწყო. უდრტინველად ავიტანთ ამასაც და ბევრ სხვა რამესაც... ლაშქარს მაინც გააცნან ჩემი სიწმარე. ჩემო პრისკუს, შენც, კიტრონი, და თქვენც, ჩემო მეგობრებო, ეცადეთ ღირსეულად აღასრულოთ ეს საპატოო ვალი.

სიფრისტები ამაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნება? (გრაგნილს ჩამოართმევს იულიანს და ხელმარჯვნივ გადის.)

იულიანი. ერთსა გთხოვ, ორმიზდ, ეჭვი ნუ შეგეპარება ჩემს ძლიერებაში, თუმცა ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს აქ ყველა დამთხვეულს თავისი გააქვს. წადი შენც წადი, ნევიტა, და თქვენც, მეგობრებო, ყველამ თქვენ-თქვენს საქმეს მიხედეთ. მე ცოტა მოგვიანებით მოვალ, როცა მთელი ლაშქარი დაბლობზე მოიყრის თავს.

იმპერატორია და მაქსიმუს გარდა ყველანი ხელმარჯვნივ გადის.

მაძსიმი (ცოტა ხნის შემდეგ წამოდგება ქვიდან, რომელზედაც აქედან იქცა და იბპერატორთან მიდის). ჩემო ავადმყოფო ძმაო!

იულიანო, დაჭრილი უფრო ვარ, ვიდრე ავადმყოფი; მონადირის ისრით დაჭრილი ირემი უსიერ ტივრში ეძებს თავშესაფარს, სადაც ვერც კაცი და ვერც ნადირი ვერ დაინახავს. მე აღარ შემეძლო ანტიოქიის ქუჩებში გამოჩენა; ახლა კი მგონია, ალატრუკუსტრუსქუნაში გამოჩენა შემიძლია.

მაძსიმი, ვერავინ ვერ გხედავს, ჩემო ძმაო და მეგობარო, ვინაიდან ყველანი ხელის ფათურით, ალაბედზე დაებეტებიან ბნელში. მაგრამ შენ განკურნავ მათ სნეულ თვალებს და მაშინდა გიბილავენ მთელი შენი დიდებით და ძალმოსილებით.

იულიანო (დაეინებოთ ჩასტკერის სიღრმეს). რა უძირო სიღრმეა ჩვენ ქვემოთ რარვ უბადრუკნი და უმწეონი ჩანან მოლაშქრენი, ხოტოებივით რომ მილოდავენ მდინარის პირას, ბუჩქებს შორის.

ამ ხეობას რომ მივადექით, მხედართმთავრებმა ერთხმად გადაწყვიტეს კლდეკარის საცალფებო ბილიკებს გამოვეყოლოდით, რათა ერთი საათი მაინც მოგვეგო და, ამრიგად, შეგვეშუბუქებინა სიძნელე გზისა, რომელიც სიკვდილისაკენ მიდის.

და ბრბოც უსიტყვოდ დაემორჩილა თავის ბელადებს, კაციშვილს აზრად არ მოსვლია, რომ თხემითაც შეიძლებოდა გადასვლა, არავის გამოუწია გულმა ამ მწვერვალისკენ, სადაც თავისუფლად დანავარდობს ქარი და ასე ღაღად შეგიძლია ისუნთქო კაცმა. და აი, ახლა უფსკრულის ძირას მილოდავენ ისინი, მილოდავენ და ვერც კი ამჩნევენ, ცილ რა ვიწრო ზოლი გადაკეცილულია მათ თავზე; თითქოს წარმოდგენაც არა აქვთ მათს მწვერვალელებზე, საიდანაც იშლება მთელი უსასრულო ცა!.. რას იტყვი, მაქსიმე, იქნებ კაცთა სიცოცხლის ერთადერთი მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა სიკვდილი? ასეთია გალილეველის სულისკვეთება, თუ მართალია, რომ მამამისმა შექმნა სამყარო-მაშინ ძე თითქოს იმისათვის მოვიდა, რომ შეიზღუდოს მამის ქმნილება. და სწორედ ამ სიშლევის გამო აღიღებენ და თაყვანს ხცემენ მას!

რამდენად უფრო მაღლა იდგა მასზე სოკრატე! განა ათენელი ბრძენი მთელი არსებით არ ეტრფოდა ტუბობას, ბედნიერებას, მშვენიერებას? და მაინც თვითგანდგომით დაასრულა თავისი დიდი სიცოცხლე. ერთხს საერთოდ არ სურდა, მეორეს კი, პირიქით, სურდა და მაინც უარყო... რა უსასრულო უფსკრული ძევს ამ ორ კაცს შორის!

აი, სწორედ სიბრძნის ეს დაკარგული საუნჯე მინდოდა დამებრუნებინა ადამიანებისათვის. ძველი დიონისესი არ იყოს, მეც სიხარულით და ჭაბუკური იმედებით სავსე მივდიოდი მათთან შესახვედრად; შუბლს მწვანე ფოთლებისა და ყვავილების გვირგვინი მიმკობდა, ხელები მაწყდებოდა ჯაგნების სიმძიმისაგან... მაგრამ ისინი ხელისკერით მიშორებენ და უარყოფენ ჩემს ძღვენსაც... მტრებსაც და მეგობრებსაც თანაბრად ეძულვარ და ვეზიზღები, ერთნიცა და მეორენიც მხოლოდ მგმობენ და დამცინიან.

მაძსიმი, რატომ? გინდა გითხრა, რატომ.

ოდესღაც ერთ ქალაქში ვცხოვრობდი. ქალაქგარეთ ვენახი იყო. არსად ვაზი არ ისხამდა უფრო ტუბილ მტევნებს, როდესაც მოქალაქეებს პირის ჩატკბარუნება მოუნდებოდათ, სწორედ იმ ვენახში გზავნიდნენ თავიანთ მსახურებს.

დიდი ხნის შემდეგ კვლავ ჩავიდი იმ ქალაქში. მაგრამ იქ უკვე აღარავინ ახსენებდა უწინ ესოდენ სახელგანთქმულ ვენახს. მევენახე მოვძებნე და ვკითხვი: „მითხარი, მეგობარო, იქნებ ვაზი გადაგიგვარდა და ამიტომაც აღარავინ ახსენდება შენი უურძენი?“ „არა, — მომიგო მევენახემ, — იცი, რას გეტყვი? ახალი ვაზის უურძენი კარგია, მაგრამ ღვინოა ცუდი. ამიტომაც, უცხოელო, — დასძინა მან, — შე კვლავინდებურად ვატკბობ და ვახარებ მეზობლების გულებს ჩემი ვენახით, მაგრამ ამჯერად უკვე სხვანაირად, — ღვინით და არა უურძენით.“

იულიანო (ჩაფიქრებით). დიახ, დიახ!

მაძსიმი, აი, სწორედ ეს ვერ შენიშნე, სამყაროული ვაზი დაბერდა, შენ კი კვლავინდებურად უურძენს სთავაზობ მათ, ვისაც მხოლოდ ღვინო სწყურია.

იულიანო, ებ, მაქსიმე, კი მაგრამ, სადაა ეს მწყურვალი? დამისახელე თუნდაც ერთი კაცი, ჩვენი ძვირფასი ძმების გარდა, ვის არსებაშიც ჩამკვდარი არ იყოს სული!.. რაღა მაინც-დამაინც ამ რკინის საუკუნეში დავიბადე მე უბედური?

მაძსიმი, ნუ ძუვედრი საუკუნეს, საუკუნე რომ უფრო დიდი იყოს, შენ უფრო პატარა იქნებოდი, სამყაროს სული მდიდარ კაცსა მგავს, ურიცხვი ვაჟის მამას. თავისი სიმდიდრე ყველას თანაბრად რომ გაუნაწილოს, თვითრეულ მათგანს შეძლებული კაცი ერქმევა, მაგრამ არც ერთი არ იქნება მდიდარი, და პირიქით, ყველანათვის რომ წაერთმია მემკვიდრეობა, გარდა

ერთისა და მისთვის დაეტოვებინა უველაფერი, სწორედ ის იქნებოდა ერთადერთი მდიდარი და-
ტაკთა შორის.

იულიანე. ამაზე უარეს შედეგებს ვერც იპოვიდი. სიმდიდრე ვინ მომავსება? განა სათი-
თაოდ არ დაიტაცეს და მიისაკუთრეს უველაფერი, რისი მფლობელიც უნდა უოფილიერო სამ-
უაროს მბრძანებელი და რაც სხვებივით ცალ-ცალკე კი არა, მთლიანად და განუყოფლად
მხოლოდ მას უნდა რგებოდა წილად? ო, რარიღ დანაწევრებულია უოველგვარი ქონება!
რა დაქუცმაცებულია უველა სულიერი ძალა! განა ლიბანიოსს მკვერმეტუველებს ქვეშევრდობა
უებრო უნარი არ მიბმადლა განგებამ, რის გამოც მას ერთსულოვნად აღიარებენ რიტორთა
შეფედ? განა შენ, ჩემო მაქსიმე, სრულად არა ფლობ იდუმალი სიბრძნისმეტუველების არა-
ნაკლებ იდუმალ ძალას? ანდა ავიღოთ, თუნდაც ის დამთხვეული აბოლინარიოს ანტიოქიელი,
ვისი ზეშთაგონებისა და პოეტური ნიჭის ძალა იმდენად უჩვეულოა, რომ მე მისდამი შურის
მეტი სხვა აღარა დამჩენია რა, ახლა გრიგოლ ნაზიანზელს აღარ იკითხავ, ვისი მძლეთამძლე
ნებისყოფაც იმდენად უდრეკია, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე მეტსახელად უწოდებს
„დიდს“, რაც აქარად არ შებფერის იმპერატორის ქვეშევრდომს, და რაც კიდევ უფრო უც-
ნაურია, ამავე მეტსახელით იხსენიებენ გრიგოლის მეგობარს ბახილ კესარიელსაც, კაცს, რო-
მელსაც ბაღლივით ჩვილი გული და ქალწულივით ნაზი სახის ნაკვთები აქვს, თანაც ცხოვ-
რების ასპარეზზეც კი არ გამოდის, კარჩაკეტილად ცხოვრობს მთელი სამუაროსაგან მოწყვე-
ტილ თავის პაწაწინა მამულში, განდევნილი კუნძული დაუხურავს და სულ რამდენიმე კაც-
თან თუ აქვს ურთიერთობა, აგრეთვე თავის დასთან და სხვა ქალებთან, რომლებსაც ღვთის-
მოსავეებად და წმინდანებად თვლიან. მაგრამ ვისი გავლენა შეედრება ამ გალილეელი და-ძმი-
სას, იმ წერილების წყალობით, რომლებსაც იბინი დროდადრო უგზავნიან თავიანთ თანამო-
რწმუნეთს უველაფერი, თვით განდევნილობაცა და განმარტობაც ჩემი ძალაუფლების საპი-
რისპირო ძალად იქცევა! მაგრამ უველაზე საშიში ჩემთვის მაინც ის ჭვარცმული იუდეველია.

მაქსიმე შენც ადექი და განუდექ ამ დაქუცმაცებულსა და დანაწევრებულ ძალმოსილე-
ბას, მაგრამ ნუ გექნება იმისი იმედი, რომ დათრგუნავ მემამბოხეებს, ოუკი მათთვის უცნობი
მბრძანებლის დესპანად ან მხედართმთავრად წარსდგები იმათ წინაშე. მოვედ და იმოქმედე
მხოლოდ შენი სახელით, იულიანე! განა იესო ნაზარეველი სხვის მოცაქულად მოგველინა? განა
სახალხოოდ არ განაცხადა, მე ვარ ის, ვინც წარმომგზავნაო? ქვეშარიტად, შენშია უამთა და-
სასრული, შენ კი ამას ვერ ხედავ. განა თავის შეუმცთარ თითს შენ არ მოგაპრობს უველა
მისანი, მოგვი, ქურუმი? განა შენვე არ გასახელებს მისნობის უველა ნიშანი? დედაშენის
სიწმარო ხომ არ გაგახსენო?

იულიანე რომელი? ვითომ აქილევსი რომ შვა?

მაქსიმე. ან იქნებ იმის შეხსენება გვირდება, რომ ბედნიერება თითქოს არწივის ურთე-
ბით მიგაქროლებდა ცხოვრების მღელვარე, ათასგვარი ხიფათით სავსე და ბობოქარი ზღვის
თავზე? ვინა ხარ შენ, ხელმწიფეო? იქნებ მკვდრეთით აღმდგარი აღექიანდრე, აღრე ქერ კი-
დეც უნდელი და უმწიფარი, ახლა კი უკვე მოწიფული და თხემით ტერფამდე აღქურვილა,
რათა დაასრულოს დიადი საქმე?

იულიანე მაქსიმე!

მაქსიმე. კაცობრიობის ცხოვრებაში, დროის განსაზღვრულ შუალედების შემდეგ, ვიდ-
რაც მკვდრეთით აღმდგარი გამუდმებით ევლინება ქვეყნიერებას, ისა ჰგავს მხედარს, წრეში
რომ დააქენებს გაუხედნავ ცხენს, თავს ვერ იმაგრებს და ძირს ვარდება, გადის დრო და მხე-
დარი კვლავ ზურგზე ექცევა ცხენს, უფრო თამამი, გამოცდილი და გამობრძმედილი. მაგრამ
ბედაურის დაურვება შეუძლებელია და, ვინ იცის, მერამდენედ, კვლავ მეორდება იგივე სუ-
რათი — სულ სხვადასხვა სახით მოდის მხედარი, შედეგი კი უოველთვის ერთი და იგივეა:
მხედარი ძირს აგდია, ცხენი კი თავაწყვეტილი მიგელავს თავისი გზით, და ასე გრძელდება
დღევანდელ დღემდე. ასეთია განგების ნება: ის უნდა ჩამოვარდნილიყო ღვთისდარი კაცის
სახით — ედემის ბაღში, მსოფლიო სახელმწიფოს დამარსებლის სახითაც და იგივე ბედი
სწეოდა უფლის სასუფეველის მთავრად მოვლენილს, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოგვევლინე-
ბა, კიდევ რამდენჯერ გამოჩნდება ჩვენ შორის, ვერავისგან ვერ შეცნობალი.

რა იცი, იულიანე, შენ თვითონ იუავი თუ არა მასში? მე ვგულისხმობ იმას, ვისაც დღეს
ხდენი.

იულიანე (ჩაფიქრებით გახედავს სივრცეს). ვინ ამოხსნის ამ გამოცანას?

მაქსიმე. ის ძველი წინასწარმეტუველებაც ხომ არ გაგახსენო, რომელსაც დღეს ხელახლა
იმეორებენ? მაშინ ითქვა, გალილეელის მეუფება იმდენ წელს გასტანს, რამდენი დღეც არის

წელიწადში. ორი წლის შემდეგ ხამას სამოცდახუთი წელი შესრულდება იმ დროიდან, როცა ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე.

იულიანე. შენ გწამს ეს წინასწარმეტყველება?

მაქსიმე, მე გწამს მომავალი.

იულიანე. ისევ გამოცანა!

მაქსიმე. მე გწამს თავისუფალი აუცალებლობა!

იულიანე. ეს გამოცანა კიდევ უფრო ბნელია და ბუნდოვანი!

მაქსიმე. იცი, იულიანე? როცა სამყაროელი ხაერცის სიყაროელეში იგრაგნებოდა ქაოსი და იაქვე ერთადერთი იყო, — იმ დღეს, როცა მან. იუდეველთა ხალხით წერილის თანახმად, ხელის აქნევით ბნელისაგან გამოიყო ნათელი, ხოლო წყლისაგან — ხმელი, დიახ, იმ დღეს დიადი შემოქმედის ძალმოსილება უფრო უსაზღვრო და უსასრულო იყო, ვიდრე ოდესმე.

მაგრამ დედამიწაზე ადამიანის მოვლინებასთან ერთად ქვეყნიერებას მოევლინა ურიცხვი სხვადასხვა ნებაც, ადამიანებმაც, ცხოველებმაც და მცენარეებმაც, წარადიული კანონების თანახმად, დაიწყეს თავიანთ მსგავსთა შექმნა. წარადიული კანონებითვე დასაზღვრული მნათობთა წრებრუნვა ცის უსასრულო თაღზე...

სინანულმა ხომ არ შეიბურო იაქვე? უველა ძველი თქმულება გვიხატავს მონანულ შემოქმედს.

მან თვითონვე ჩახლო თავის ქმნილებაში თვითშენახვის უცვლელი კანონი, ქმნილებას თავისი თავის შენახვა სურს და კიდევ ინახავს.

მაგრამ ორი განკერძოებული სამეფო გამოუღმებით ეომება ერთიმეორეს. სადაა სამყაროს მბრძანებელი, სადაა ო რ ა დ ი, რომელიც შეარიგებს მათ?

იულიანე (წინ იყურება). ორი წლის შემდეგ... უველა ღმერთი უქნადაა... და მათ უკან არა დგას არავითარი ძალა, რომელიც თუნდაც ჭიბრით წინ აღუდგებოდა ჩემს ზრახვებს.

ორი წლის შემდეგ? ორ წელიწადში მთელ დედამიწას დავიმორჩილებ.

მაქსიმე, რას ამბობ, იულიანე?

იულიანე. მე ახალგაზრდა ვარ, ძლიერი, ჯანდონით სავსე. მე მინდა დიდხანს ვიცოცხლო, მაქსიმე. (ხელმარჯვნივ გადას).

მაქსიმე უკან მიჰყვება.

მთაგორიანი, ტყით დაფარული ადგილი, ხეებს შორის მდინარე მიედინება. მალეობზე პატარა სახლი დგას მზის ჩასვლის დროა. ბორცვება შორის, მარცხნიდან მარჯვნივ, რაზმები მიდიან. განდგეგლის სამოსლით მოსილი ბასილი კამარნილი და მისი და მბარნიშ გზის პირას დგანან და ჯარისკაცებს, რომლებმაც წყურვილისაგან პირი უშრებათ, წყალსა და ხილს აწვდიან.

მბარნიშ. შეხედე, ბასილი, ამ საცოდავებს: ვერ იტყვი, რომელი უფრო ფერმკრთალია, გამხდარი და გამოფიტული.

ბასილი. მერედა, რამდენი ჩვენი ქრისტიანი ძმაა მათ შორის! ვაი შენ, იმპერატორო იულიანე! ეს მისი ახალი ჩანაფიქრი უოველგვარ წამებასა და სატანჯველზეც უარესია. ვის წინააღმდეგ მიჰყავს თავისი ურდოები? უმალ ქრისტიანების ვინემ სპარსთა მეფის წინააღმდეგ.

მბარნიშ. ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ამ საშინელების ჩადენა შეუძლია?

ბასილი. დიახ, მაკრინე, სულ უფრო ცხადად ვხედავ, რომ დარტყმა ჩვენ წინააღმდეგაა მომართული. მას განზრახული აქვს ხალხს დაავიწუოს უველა მარცხი, რაც ანტიოქიაში განიცადა, შეუშოვარი წინააღმდეგობა და დამცირება თუ შეურაცხუფა, რაც თავისი უკეთური საქმის სანაცვლოდ იწვნია. განზრახული აქვს და კიდევაც განახორციელებს ამას. მისი გამარჯვება უველაფერს ამოშლის ადამიანთა მეხსიერებიდან. ასეთია კაცის ბუნება: მის თვალში ბედნიერება უველაფერს ამართლებს და უმრავლესობა უოველთვის ქედს იტრის ძალის წინაშე.

მბარნიშ (მარცხნივ ახედება). ახალ-ახალი ურდოები უანგარიშო, ურიცხვი...

გზანუ ახალი რაზმები მოაბიჯებენ. დაღლილობისაგან გამოფიტული ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი გზის პირას ეცემა.

ანისტავენი (ქობს ურტყამს). ადექი! ადექი-მეთქი ძაღლო!

მბარნიშ (მათკენ მიეშურება). ნუ ურტყამ, ნუ!

ჯარისკაცი. მირტყას, მირტყას. წამება ნეტარებაა!

მხედართმთავარი ამიანე (უახლოვდება). რატომ შევჩერდით? აა, ისევ ისაა?.. ვითომ მართლა აღარ შეუძლია?

ანისტავენი. აბა რა ვიცო, ბატონო, უოველი ფეხის ნაბიჯზე კი ეცემა და...



მამაკრინე, მოწყალება მოიღეთ ვინაა ეს უბედური?.. აი, ხილის წვენი; მიირთვი, ძალას მოგცემს... ვინაა, ბატონო ჩემო?

ამინანი, კაპადოკიელია, ერთი იმ შეცთომილთაგანი, ანტიოქიაში აფროდიტის ტაძარი რომ იდგარბიეს.



მამაკრინე, აა, ერთ-ერთი წამებუღი?

ამინანი, იქნებ წამოდგი, აგათონი.. შეცოდება ეს უბედური, ისე საშინლად წამებუღი რომ ვერ აიტანა და მას შემდეგ თავის ჰკუაზე აღარაა.

აბათონი (დგება). არაფერია, გაუძლებ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ჰკუაზე ვარ.. მირტყით, მირტყით, მირტყით. — წამება ნეტარებაა!

ამინანი (ასისთავს). წინს დროის დაკარგვა არ შეიძლება!

ანისთავსი (გარისკაცებს). წინ, წინ!

აბათონი, ბაბილონისი დაეცა... მალე დაეცემა ბაბილონელი მემრუშეც, კანტუს ლომი მოკლეს... მალე მოკლავენ გვირგვინოსან ლომსაც!

ქრისტეან ქარისკაცებს ხელმარცხნივ მიერეკებიან.

ამინანი (ბასილს და მაკრინეს). უცნაური ხალხი ხართ: სცდებით და მაინც სიკეთეს თუ ხავთ. მადლობელი ვარ წყალი რომ მიწოდებთ მწყურვალთ. იმპერატორის ხამსახური რომ არ მიკრძალავდეს, თავადაც მოხარული ვიქნებოდი. უკეთ მოვკცეოდი თქვენს მოყვასთ (ხელმარცხნივ გადას).

ბასილი, ღმერთმა გაკურთხოს, კეთილშობილო წარმართო!

მამაკრინე, ნეტა ვინაა ეს კაცი?

ბასილი არ ვიცი! (მარცხნივ ახედებს.) შეხედე, შეხედე! თვითონ იმპერატორი!

მამაკრინე, ისაა!

მარცხენა მხრიდან გამოჩნდება მხმდარქმისმამარი იულიანე; უკან სხიშლის მცველნი მოჰყვებიან ანატოლიოსის წინამძღოლობით.

იულიანე (თავის მხლებლებს). რა? დავიღალე? განა ცხენის წაქცევა შემაჩერებს? ან იქნებ ფეხით სიარული ნაკლებ შემფერის. ვიდრე უჩიშო ცხენზე ამხედრება? დავიღალე? ჩემს წინაპარს უთქვამს, იმპერატორი თვით სიკვდილსაც კი ფეხზე მდგომი უნდა შეხვდესო. მე კი ვამბობ, რომ იმპერატორი არა მარტო სიკვდილის წამს, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზეც უველასათვის მისაბამ სიმტკიცეს უნდა იჩენდეს. დიახ, მე ვამბობ, რომ... აა, მზას შუქსა ვფიცავ, თუ ეს ბასილი კესარიელი არ იყოს!

ბასილი (მღაბლად იხრება). შენი მონა-მორჩილი, ძღვევამოსილო მზრძანებელო!

იულიანე, რაც მართალია, მართალია, უკეთესი მონა-მორჩილი აღარ იქნება. (უახლოვდება.)

აი, თურმე როგორია ეს შენი ქოხი, ესოდენ სახელგანთქმული აქედან დაგზავნილი წერილებით! მთელ ქვეყანაში ამ ქოხზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე სიბრძნისმეტყველების კათედრებზე, თუმცა მათ აღსადგენად არც თავი დამიწოგავს და არც სახსარი, რომ ძველი დიდება დამებრუნებინა მათთვის... ეს ქალი აღბათ შენი დაა, მაკრინე! ასეა, არა?

ბასილი, დიახ, ხელმწიფეო.

იულიანე, ლაშაში ქალი ხარ და თანაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ გავიგე, რომ ზურგი გიჭკვრია ცხოვრებისათვის.

მამაკრინე, ხელმწიფეო, მე ამ სოფელს ვაქცევე ზურგი, რათა შემეძინა საუკუნო სიცოცხლე.

იულიანე, ვიცნობ, ძალიან კარგად ვიცნობ თქვენს ცთომილებას. ერთვად იმაზე ობიდავთ, რაც ამქვეყნიური ცხოვრების მიღმაა და რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ. ხორცს რომ აკვდინებთ. ამით თქვენ კვლავთ უველა ადამიანურ ვნებას. და მაინც, მე გეუბნებით, რომ თქვენს საქციელში არანაკლები პატივმოყვარეობა გამოსჭვივის, ვიდრე რაშიაც გნებავთ.

ბასილი, ნუ გგონია, ხელმწიფეო, თითქოს ბრმა ვიყო და ვერ ვამჩნევდე იმ საფრთხეს, რაიც თან ახლავს ამ ქვეყნისაგან განდგომას. ვიცი, რარიგ მართალია ჩემი მეგობარი გრიგოლი, როდესაც წერს, მე ვგრძნობ, რომ სუფლით განდევილი ვარ, თუმცა ხორციელად განდევილი არა მჭვიაო. ისიც ვიცი, რომ ეს უბეში ხამოსი ბევრს ვერაფერს არგებს ჩემს სულს თუკი ჩემს დამსახურებად მივითვლი ამას.

მაგრამ მე სხვა თვალთ ვუყურებ საქმეს. განმარტოებით ცხოვრება ენით უთქმელ ნეტარებას მანიჭებს. — ესაა და ეს. მთელი ქვეყანა საზარელი ვნებების აღშია გახვეული, მაგრამ ჩემს მყუდრო სავანემდე ვერც მათი სიბილწე აღწევს და ვერც სიმახინჯე. აქ ჩემი ხორცი მალდდება ლოცვით, სული კი იწმინდება კრძალვითა და თავშეკავებით.

იულიანო. ა, ჩემო მცირედის მკმარო ბასილი, მე კი მგონია, რომ შენ რაღაც უფრო მეტისავე იხრადი თუ მოთქმა-მოთქმას ვენდობით, შენს დას მაკრინეს უმარტივო ქალები შემოუტრებიან თავის გარშემო, რომლებიც ცდილობენ ყველაფერში მიჰბადონ მას, და თვით შენაც, ისევე როგორც შენს გალილეველ მასწავლებელს, თორმეტი კაცი დაგიმარტავს, რას უპირებ მათ?

ბასილი. ქვეყნის მოთხავე მხარეს დავგზავნი, რათა საბრძოლველად აღსდგონ და განამტკიცონ ჩვენი მოყვასნი.

იულიანო. ამაქვს ესე იგი, ჩემ წინააღმდეგ აგზავნი მათ, მქვერმეტყველების ბასრი იარაღით აღჭურვილთ, კი მაგრამ, სად დაეუფლეთ მქვერმეტყველებას, ამ დიდებულ ბერძნულ ხელოვნებას? სად და ჩვენს სკოლებში მსტოვარივით შემოიპარე ჩვენს ბანაკში, კარგად დაწვერე ყველაფერი და ახლა ბოროტად იუენებ შენს ცოდნას, რათა მზაკვრულად ჩაგვეცე ზურგში დანა.

იგი რას გეტყვი, ბასილი? მე შეტეს ველარ მოვიტყენ ამ უკეთურებას მტკიცედ გადაწყვიტა, ხელიდან გაგადებინათ იარაღი, იუთხეთ თქვენი მათე, თქვენი ლეკა და სხვა უცივი მქაბნელები, მაგრამ ამიერიდან გეკრძალებათ ჩვენი ძველი პოეტებისა და ფილოსოფოსების კითხვა და განმარტება, დიდ უსამართლობად მიმაჩნია ის, რომ კვლავინდებურად ეწაფებოდეთ ცოდნის იმ წყაროს, რომლის სიწმინდესაც თქვენი ბაგეებით ბლაღავთ და ამღვრევთ. ამიერიდან ჩვენს სკოლებში სიარულს ასევე ვუკრძალავ გალილეველ უმარტივკაცებსაც, რადგან რა ესაქმებათ იქ? მხოლოდ ის, რომ გაგვძარცვონ და ჩვენი საკუთრება მიითვიხონ, რათა შემდეგ ჩვენ წინააღმდეგ მომართონ ჩვენივე იარაღი!

ბასილი. ბელმწიფეო, ჩემს ყურამდე უკვე მოაღწია ხმებმა ამ უცნაური განკარგულების შესახებ, და მე სავსებით ვეთანხმები გრიგოლს, რომელიც წერს, რომ არავითარი განსაკუთრებული უფლება არა გაქვს, შენს საკუთრებად აცხადებდე ბერძნულ მქვერმეტყველებას და ბერძნულ სიბრძნეს, იმაშიც ვეთანხმები მას, რომ შენ იუენებ ანბანს, რომელიც, სხვათა შორის, იგვიპტელებმა გამოიგონეს, და ატარებ პორფირს, თუმცა მისი ხმარების წესი პირველად ტიროსელებმა შემოიღეს...

ესეც ცოტაა, შენ დაიპყრე ქალაქები და დაიმონე ხალხები, რომელთა ენაც არ გესმის და რომელთა ადათ-წესებისაც არა გაგეგება რა, და შენ ოული, რომ ამის სრული უფლება გაქვს, მაგრამ იმავე უფლებებით, რომლებითაც შენ სარგებლობ ამ ხილულ სამყაროში, უხილავ სამყაროში სარგებლობს ის, ვისაც შენ გალილეველს უწოდებ.

იულიანო. კმარა! ამის გაგონებაც არ მინდა ისე ლაპარაკობთ, თითქოს სამყაროს ორი მბრძანებელი მართავდეს, და თქვენი სიკერპით ცდილობთ გზაზე გადამდობით, ო, თქვე ტაკიმასხარებო! მკვდარს როგორ უპირისპირებთ ცოცხალს? მაგრამ მალე ყველაფერს გაიგებთ, ხომ არ გგონიათ, რომ საომრად სამზადისმა და ათასმა დავიდარბან ხელი ამადებინა იმ თხზულებაზე, რომელსაც თქვენ წინააღმდეგ ვწერ და რომელზედაც ამდენი ხანია ვმუშაობ? თქვენი აზრით, დამეებს ძილში ვატარებ? სკდებით! „წვერთმოდულის“ სანაცვლოდ მხოლოდ დაცინვა დავიმსახურე თვით იმათი მხრიდანაც კი, ვისაც, თავისდა სასიკეთოდ, არ აწყენდა კარგად დაეწეპირებინა ზოგიერთი ქეშმარიტება, მაგრამ ეს ნაკლებად მაძარდებს, შევარცხვინე ის კაცი, ხელში რომ კომბალი უჭირავს და ძაღლების ბროვას კი გაურბის... რა გაცინებს, ქალო? სასაცილოს რას ხედავ?

ბასილი. რატომ ცხარობ, ბელმწიფეო, ან რატომ ესხმი თავს იმას, ვინც შენი აზრით, დიდი ხანია მოკვდა?

იულიანო. აა, მუხმის, მუხმის! ესე იგი, შენ ამტკიცებ რომ ის ცოცხალია?

ბასილი. მე მხოლოდ ერთ რამეს ვამტკიცებ, მბრძანებელო: შენ თვითონვე გრძნობ, რომ ის ცოცხალია!

იულიანო. მე?.. უფურც შენ... მე ვგრძნობ?

ბასილი. მამ, რატომ სდევნი ასეთი გააფთრებით? არა, მას კი არა, მისდამი შენს რწმენას ბდევნი! განა შენს სიძულვილში, შენს დევნაში ისევე არ ცოცხლობს, როგორც ჩვენს სიყვარულში?

იულიანო. ვიცი მე ეს თქვენი მზაკვრული ხრიკები! თქვენ, გალილეველები, ერთს ამბობთ და სულ სხვას გულისხმობთ, და ამას ეძახით მქვერმეტყველების ხელოვნებას, უბადრუტონ! ნამდვილი მღვდლები ხართ! ესე იგი, მე ვგრძნობ, რომ გვარცმული იუდეველი ცოცხალია?! როგორ უნდა დაცემულყო ეს ჩვენი საუბრე, რომ ხალხს ამნაირი ბოდვა დაეჭვრებინა? მაგრამ ვაი რომ სიკერაო! სიკერათ კი არა და, ამ ბოდვას სიბრძნედ სთვლიან! რამდენი უნდა თეთრად გამოთენებია იმაზე უიკრნი, რომ არსებობის ქეშმარიტა სა-

ფუფქველი მომეძებნა! მაგრამ სად არიან ჩემი მიმღევრები? რამდენი აქებს ჩემს სიტყვებს, მაგრამ ძალზე ცოტას, ან, უფრო სწორად, სულაც არავის არ სჯერა შაოი.

მაგრამ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. მოვა დარ და გაანათებს მაგ თქვენს ბნელ სულებს, და მაშინ გაიგებთ, საით მიილტვის ყოველივე გათიშული, რათა კვლავ ერთარსად იქცეს. დიახ, გაიგებთ, რომ ყოველივე ის, რაც ახლა თქვენს წიწღს იწვევს, მშვენიერი ყოფილა; ხოლო ჯვარს, რომელსაც თქვენ ესავთ, კიბნდ განცხადებენ თებ მისთვის, ვისაც არ იცნობთ.

მაპარინე. მე კი გეუბნები, ხელმწიფეო, რომ შენ მხოლოდ მათრახი ხარ უფლის ხელში, მათრახი, რომლითაც ის გვსჯის ჩვენი ცოდვებისათვის. ვაი ჩვენ, რომ ასე განვარისხეთ იგი ვაი ჩვენ, გულხენეშთ და უკეთურთ, რომლებმაც გადავუხვიეთ ჭეშმარიტ გზას!

ისრაელს აღარ პავდა მეფენი, და, აი, მიტომ მიგზადა უფალმა გონი, რომ დაგესაჯეთ.

შერედა, რა გონებას მოჰფინა ბინდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დაგვრეოდი რა დიდებულ ხეს ჩამოამტვრია ტოტები, რათა წყებლებით მოსდგომოდი ცოდვებით დამძიმებულ ჩვენს მხრებს და ბეჭებს!

შენ მოგცა ნიშნები და ვერ დაინახე! შენ ვიხმობდა ხმა და უური არ უგდე! უხილავ ხელს ცეცხლოვანი ასოები გამოჰყავდა შენ წინ აღმართულ კედელზე და ისე წაშალე, რომ არც კი გიკდია ჩასწვდომოდი მათ ფარულ აზრს!

იულიანე. ბასილი... რა სამწუხაროა, რომ დღემდე არ ვიცნობდი ამ ქალს!

ბასილი. წავიდეთ, მაკრინე!

მაპარინე. ვაი მე, რომ ვიხილე ეს ცეცხლოვანი მზერა, სადაც ერთმანეთს ეწვენი (ანგელოზი და გველი, განდგომილის სიმწარე და მაცთური ცბიერება! რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ჩვენ დებს და ძმებს ამ ცის რჩეულის წინაშე? მისი სახელით მოქმედებს ვიღაც მძლეთამძღვე! ნუთუ ვერ ხედავ, ბასილი, თვით უფალ ღმერთს აურჩევია, რათა მუსრი გაგვაგლოს ვეღვას!

იულიანე. ჭეშმარიტებას დადადებენ შენი ბაგენი!

მაპარინე. და არა მე!

იულიანე. აი, პირველი სული, რომელიც მე დავიმორჩილე!

მაპარინე. განველ!

ბასილი. წავიდეთ... წავიდეთ-მეთქი!

იულიანე. დარჩით! ანატოლიოს, ორივენი შეიპყარით! გიბრძანებთ, უკან მოსდიოთ ჩემს ლაშქარს, თქვენცა და თქვენმა მოწაფეებმაც, ქალებმა და უმაწვილკაცებმაც.

ბასილი. ხელმწიფეო, ნუთუ მართლა ბრძანებ მაგას?

იულიანე. რომელი ჭკუათამყოფელი დატოვებს თავის ზურგში მტრის ციხე-სიმაგრეს? ხომ ხედავ, ხელის ერთი აქნევით შევწყვიტე ისრების ის წვიმა, ამ ქოხიდან წარღვნით რომ ემუქრებოდა მთელ ქვეყანას.

ბასილი. არა, არა, ხელმწიფეო... ასეთი ძალადობა...

მაპარინე. ეჰ, ბასილი, განა სულერთი არ არის აქ თუ იქ?.. ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი!

იულიანე. ხომ ითქვა: „შიაგეთ კეისარს კეისარისა?“ ამ ლაშქრობისას მე მჭირდება უკლებლივ ყველა ხელი, თქვენ შეგიძლიათ ავადმყოფებსა და დაჭრილებს მოუაროთ. ამით სახსურს გაუწევთ გალილეელებსაც; და თუ ეს კვლავ თქვენ მოვალეობად მიგჩნიათ, გირჩევთ, დროს ნუღარ დაჰკარგავთ. — მისი მეთუფება დიდხანს როდილა გასტანს!

რამდენიმე ჯარისკაცი გარს შემოერტყმება ბასილსა და მაკრინეს; დანარჩენები ტყის გავლით მიემუხრებიან კორტობზე წამომდგარი პატარა სახლისკენ.

მაპარინე. ჩაესვენა მზე ჩვენი სახლისა, ჩაესვენა ჩვენი სასოების მზე, სამყაროს მნათიო, ბასილი, ნუთუ ამასაც უნდა მოვსწრებოდით? ჩვენი თვალთ გვეხილა უსინათლო ღამის დადგობა?!

ბასილი. სინათლე არის!

იულიანე. სინათლე იქნება! ზურგი აქციეთ დაისს, გალილეელებო! აღმოსავლეთს მიაბურეთ მზერა, აღმოსავლეთს, სადაც თვლებს შელიოსი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ იხილავთ მიწის მბრძანებელს — მეუფე-მზეს! (ხელმარჯვნივ გადია).

ყველანი უკან მისდევენ.

გვფრატისა და ტიგროსისა გადაღმა, ვრცელი ტრამალი, რომელზედაც იმპერატორის ლაშქარს ნაწილობრივ ეკვე გაუშლია კაცები. ხელმარცხნივ, სიღრმეში დაბალი ბუჩქნარია, რომ

მელიც ფარავს ტიგროსის კლავნილ კალაპოტს. ბუჩქებს ზემოთ ხომალდთა ანძებთა მწკრივი მოჩანს. ეს მოლტობლულია. საღამოედება. ჯარისკაცები და ლაშქრის მანარქონი მონაწი-
ლინი) კარგვბსა შლიან და ხომალდებიდან საომარი საქურველი და სურსათ-საინფორმაციო გად-
მოაქვთ. შორს მეთვალყურეთა კოცონები ანთია მდინარის ნაპირიდან ბრუნდებიან მთავარ
სარდალი ნივითა, მხედარნიმთავარი იოვიანი და ლაშქრის სხვა მოსამართლენი

ნივითა. შეუძლებელია არ ვალიროთ, რომ იმპერატორი მაინც წარსულიყო მართ-
ლაცდა ისე დავადგოთ ფები მტრის მიწა-წყალს, რომ ხმალიც კი არ გვიშიშვლებია. მდინარე
ისე გადავლახეთ რომ არავინ აღგვდგომია წინ; ერთა სპარსელი მხედარიც კი არსადა ჩანს.
იოვიანი. დიახ, როგორც ჩანს, მტერი ამ მხრიდან არ მოგველოდა.

ნივითა. ისე დაპარაკობ, თითქოს კვლავ იმავე აზრზე იდგე, რომ შეცდომა იყო ამ გზის
არჩევა.

იოვიანი. დიახ, კვლავ იმ აზრზე ვდგავარ, რომ უმჯობესი აქნებოდა ჩრდილოეთისაკენ
ავველო გეზი. მაშინ მარცხენა ფრთით უფრო მჭიდროდ მოვივებჩინებოდით ჩვენდამი შეგობ-
რულად განწყობილ სომხეთს და ამ უხვსა და ნაყოფიერ ქვეყანაში შევივსებდით ჩვენს სამ-
ხედრო მარაგსაც აქ კი? ჩვენს წინსვლას ხელს უშლიან და გვაფერბებენ მძიმედ დატვირთუ-
ლი ხომალდები, ჩვენ გარშემო კი მოტიტვლებული ტრამალია, თითქმის უდაბნო... ა! იმპე-
რატორი მობრძანდება! მე წავალ. — ამ ბოლო ხანს აღარა მწყალობს (ხელნარჩენივ გადის).

იმპერატორი იულიანი რამდენიმე დახლოებული პირთა თანხლებით ბრუნდება მდი-
ნარის ნაპირიდან. მის შესახვედრად ბანაკიდან მოემართებიან პიტრი მრიბასიოსი, პროფის-
ტები პრისკუსი და კიტრონი, აგრეთვე რამდენიმე ჯარისკაცი.

იულიანი. როგორ იზრდება ჩვენ თვალწინ კეისრის საბრძანებელი, აღმოსავლეთით გა-
დადგმული ყოველი ჩემი ნაბიჯით ვაფართოვებ სახელმწიფოს საზღვრებს. (ფებს დაქრავს მი-
წას). ეს ჩემი მიწაწყალია! მე ჩემს სამეფოში ვარ და არა მის გარეთ... აბა პრისკუსი...

პრისკუსი. ჩვენო უფრო იმპერატორო, შენი ბრძანება შესრულებულია: ლაშქრის ყვე-
ლა ნაწილში წაერთხულ იქნა შენი საოცარო სიზმარი.

იულიანი. კეთილი და პატიოსანი, რა შთაბეჭდილება მოახდინა ქარისკაცებზე ჩემმა
სიზმარმა?

კიტრონი. ვინ აღტაცებით გადიდებდა და ღვთაებრივს გიწოდებდა, ვინ კიდევ — პი-
რიქით...

პრისკუსი. ეს უკანასკნელი გალილეელები იყვნენ, კიტრონი!

კიტრონი. დიახ, დიახ, მათ უმრავლესობას გალილეელები შეადგენდნენ; ისინი მკერდ-
ში იცემდნენ მჯიღს და მწარედ ამინავდნენ.

იულიანი. ამასაც არ დავჭერდები. ჩემმა ქანდაკებებმა უნდა შეამკოს ყველა ქალაქი,
რომლებსაც მე დავიმორჩილებ. ამ ქანდაკებებს დახლების გასწვრივ ჩამწყრივებენ, რომელ-
თა მიღმაც ჩამდგარნი ხაზინადარნი ქამაგირს ურიგებენ ქარისკაცებს. ქანდაკებების ორსავე
მხარეს ანთებულ კანდელებს დადგამენ. ხალხო თვითრული ქანდაკების წინ — ხასკმევებს.
რომლებშიაც ქამაგირის ასაღებად მოსული ყველა ქარისკაცი საკმევლას ჩამდენიმე მარცვალს
ჩააგლებს.

ორიბასიოსი. მოწყალეო იმპერატორო, მომიტევე, მაგრამ კეთილგონივრული იქნება ეს?
იულიანი. რატომაც არა? მე შენ მაკვირვებ, ორიბასიოს!

პრისკუსი. ებ, ჩემო მბრძანებელო, მოდი და ნუ გაგიკვირდება! კეთილგონივრული არ
იქნებაო?!

კიტრონი. თანაც ვისთვის. — ბულიანესათვის? მაშინ როდესაც მასზე გაცილებით უფ-
რო მდაბალთაც არაკეთილგონივრულ საქციელად არავინ უთვლიდა ამას!

იულიანი. მეც მგონია, ყველაზე არაკეთილგონივრული ამ შექიხვევაში ის იქნებოდა,
რომ დაგვემალა იდუმალ ძალთა ნება-სურვილი. თუკა საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვდავმა
ღმერთებმა თავიანთი ძალაუფლება მოკვდავს გადასცეს, — აშკარა უმადურობა იქნებოდა
ამის დამალვა. ესოდენ სახიფათო ვითარებაში, რომელშიაც ამჟამად ვიმყოფებით, ჩვენთვის
აღბათ არ უნდა იყოს სულერთი თუკი, ქარისკაცები იმას როდი სცემენ თავვანს, ვისი თა-
ყვანისცემაც მართებთ.

გუუბნები, ორიბასიოსს, და ამასვე ვუუბნები დანარჩენებსაც, თუკი ვინმეს სურს ამ გზით
შეზღუდოს ჩენი საიმპერატორო ძალაუფლება. ეს აშკარა მკრებელობაა, და მე არ შემიძ-
ლია წინ არ აღვუდგე ამას.

განა ჭერ კიდევ პლატონმა არ გვაუწყა ის კემპარიტება, რომ მხოლოდ ღმერთს თუ შე-
უძლია ადამიანების მართვა? რასი თქმა სურდა ამით? მე ვერ გავბედავ იმის მტკიცებას.

თითქმის პლატონი, ეს უებრო ბრძენი, ამ წინახწარმეტყველური სიტუაციით რომელიდაც კერძო, თუნდაც უველაზე დიდებულ კაცს გულისხმობდა, მაგრამ ვფიქრობ, უველანი ვიყავით იმ არეულ-დარეულობის მოწმენი, რასაც გარდუვალად იწვევს უზენაესი ძალა-უფლებების დაქუცმაცება.

მაგრამ მოვეშვათ ამას. მე უკვე გავეცე განკარგულება, რომ იმპერატორის გამოსახულებანი მთელ ბანაკში გამოფინონ.



ქრისტეშული
გინგლირთუკა

აა, ეფფერიონს! საით გაგიწევია?

სახლთუფრცვისი მფფარნიონსი მალეფსობრლოს ტანსაცმელში გამოწყობალი ბაცის თანხლებით ხომალდების მხრიდან მოეპარებება.

მფფარნიონსი მბრძანებელი, ეს ანტიოქიელი კაცი პრეფექტ ალექსანდრეს გამოუგზავნია, როგორც თვითონვე მითხრა, საგანგებო წერილი აქვს შენთვის ვადმოსაცემი.

იულიანო, აა, მითიქა! მომინათეთ!

მოაქვთ ჩიბაღდანი, რომლის შეუქნედაც იმპერატორი ხსნი და კახულობს წერილს. ამას კი ველარ ვიფიქრებდი. უფრო ახლოს მომინათეთ! დიახ, სწორედ ასე სწერია... აქაც... აი, აქაც... რა არის ეს? ღმერთმანი, ეს უფრო მეტია, ვიდრე მე შევეძლო წარმომედგინა!

ნემიბა. დახვედეთის პროვინციებში ცუდად ხომ არაა საქმე, მბრძანებელო?

იულიანო. ერთი ეს მითხარი, ნევიტა, რამდენი დღე დაგვირდება იმისთვის, რომ კტიხიფონს მივაღწიოთ?

ნემიბა. სულ ცოტა, ოცდაათი დღე მაინც.

იულიანო. ბევრია! ოცდაათი დღე მთელი თვია და ვიდრე ჩვენ ასე კუსავით მივლოდავთ, ეს დამთხვეული...

ნემიბა. თავად მოგენსენება, მბრძანებელო, რომ ფლოტი გვაიძულებს მდინარის კალაპოტს მივსდიოთ. ალაგ ბობოქარი დინება გვიშლის ხელს, ალაგ — შეჩეჩები და კორომები. ჩემი აზრით უფრო ჩქარი სვლა შეუძლებელია.

იულიანო. ოცდაათი დღე! მერე ქალაქიც ხომ უნდა ავიღოთ... მტერი უკუვაქციოთ და ზავი დავდოთ. რამდენი დრო დასჭირდება ყოველივე ამას? ხოლო ჩვენ შორის ზოგიერთი უფუნური იმასაც კი გვთხოვდა, რომ შორიდან მოგვევლო. მა-მა-მა! ჩემი დაღუპვა უნდათ!

ნემიბა. ნუ ღელავ, მბრძანებელო, რამდენადაც შესაძლებელი იქნება წინსვლას დავაჩქარებთ...

იულიანო. უთუოდ უნდა დავაჩქაროთ... იცი, რას მწერს ალექსანდრე? ჩემი წამოსვლის შემდეგ ამ დამთხვეულ გალილეველებს სულ მთლად აუშვიათ თავი. მათი სიშლეგე თურმე დღითი დღე უფრო და უფრო იზრდება. გალილეველებმა იციან, რომ ამ ომში ჩემი გამარჯვება მათ საბოლოო განადგურებას მოასწავებს, და ისინი, ამ უტიფარი გრიგოლის მეთაურობით, მტრის დაშქარივით ირაზმებიან ჩემს ზურგში. ფრიგიის ზოგიერთ კუთხეში საიდუმლო სამზადისია, მაგრამ მაინც რა მზადებაა, კაცმა არ იცის დაბეჭითებით.

ნემიბა. მაინც როგორ გგონია, მბრძანებელო? რას აპირებენ?

იულიანო. რას აპირებენ?.. ჭერჭერობით ლოცულობენ, ქადაგებენ, გალობენ და ქვეყნის აღსასრულს აუწყებენ ხალხს. მართო ამას რომ სჯერდებოდნენ?! არა, ისინი აცთუნებენ და თავიანთ მეთამბოხურ წრეში ითრევენ ჩვენს მომხრეებსაც. კესარიაში გალილეველთა ძმობამ ეპისკოპოსად აირჩია მსაჯული ევსევი... ეს მოუნათლავი კაცი, და ამ შეცთომილმაც თანხმობა განაცხადა არჩევაზე. რომელიც, მათივე საეკლესიო წესდების თანახმად, უკანონოდ უნდა ჩითვალოს! მაგრამ ეს უველაზე უარესი როდია. ათასჯერ უფრო უარესია ის, რომ ათანასე ალექსანდრიაში დაბრუნდა!

ნემიბა. ათანასე?

პრისკუსი. ეს იდუმალებით მოცული ეპისკოპოსი, რომელიც ამ ექვსი წლის წინათ უდაბნოში გაუჩინარდა?

იულიანო. საეკლესიო კრებამ შეაჩვენა და ეკლესიის საქმეებში ყოველად გაუმართლებელი ჩარევის გამო განდევნა იგი, ჩემი წინამორბედის მმართველობისას გალილეველები გაცილებით უფრო მორჩილნი და მომყოლნი იყვნენ.

ახლა კი წარმოგიდგენიათ? ეს დამთხვეული მეოცნებე კვლავ ალექსანდრიაში დაბრუნდა, ხადაც მეფეთა საკადრისი შეხვედრა მოუწყვეს; მთელი გზა ხალიჩებითა და პალმის რტოებით იყო მოფენილი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა მოხდა შემდეგ? იმავე დამეს გალილეველები ამბობდნენ და კანონიერი ეპისკოპოსი გიორგი, ეს კეთილგონიერი და კეთილმოსურნე კაცი, რომელსაც რწმენისადმი გულგრილობა დასწამეს ცილად, — მოკლეს, ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯეს და ნაფლეთები ქალაქის ქუჩებში მიყარ-მოყარეს!

ნევიტა, კი მაგრამ, ასე რამ გააგიჟათ? სად იყო პრეფექტი არტემიოსი?

იულიანო. დიახ, საკითხავიც სწორედ ეს არის, სად იყო არტემიოსი? მოგახსენებთ: არტემიოსი გალილეველებს მიეუიდა შეიარაღებული შეიქრა სერაპეიოსში, მსოფლიოს ამ უველაზე დიდებულ ტაძარში, შემუსრა ქანდაკებები, გაძარცვა სამსხვერპლოები და დაარბია ის უზარმაზარი წიგნთსაცავი, რომელიც ასე ძალიან გვიკვირდებოდა ამ მშფოთვარე და უმეცრებით აღსავსე დროში და რომელსაც ნაადრევად დაკარგული მეგობარივით დავიტარებდით. მინწარეს და მრისხანებას რომ არ ამოეშრო ცრემლი ჩემს თვალში.

კიტონი კეშმარიტად ეს ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება!

იულიანო. რა მწარეა იმის შეგნება, რომ არ შეგიძლია მისწვდე დაკისერი მოუგრიხო ამ არამზადებს, შიშუმიტებს, როდესაც იცი, რომ მათი უკეთურობა დღითი დღე სულ უფრო და უფრო იზრდება... შენ ამბობ, ოცდაათი დღეო! რაღას ვაყოვნებთ? რა დროს ბანაკის გაშლაა? რატომა გძინავს? ნუთუ ჩემმა ხარღლებმა არ იციან რა დევს სასწორზე ამ თამაშში? თათბირი უნდა მოვიწვიოთ, როცა დავფიქრდები იმაზე, თუ რა შექლო აღექსანდრე მაკედონელმა ოცდაათ დღეში...

ბანაკიდან მოდის მხადართმთავარი იოვინანო, სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილი უიარაღო ტაცის თანხლებით.

იოვინანო. ნუ შემრისხავ, მბრძანებელო, რომ შენ წინაშე გამოჩენა გავბედე; მაგრამ ეს კაცი...

იულიანო. სპარსელი მეომარი!

სპარსელი (მიწაზე ემხობა მის წინაშე). არა, მეომარი არა ვარ, მბრძანებელო!

იოვინანო. უიარაღო მოატენა ცხენი და მეთვალყურეებს უბო...

იულიანო. ესე იგი, შენი თანამემამულენი ახლოს არიან?

სპარსელი. არა, არა!

იულიანო. მაშ, აქ საიდან გაჩნდი?

სპარსელი (ტანსაცმელს შემოიძარცვავს). დახედე ამ ხელებს, სამყაროს მბრძანებელო. უანგიანმა ჩაჭვმა დამისისხლიანა... ხელი შეაბე ჩემს დაწყულულეებულ ზურგს... ზურგი კი არა. ვეებერთელა პირგახსნილი კრილობაა! პირდაპირ ქალათებს დავუსხლტი ხელიდან, მბრძანებელო!

იულიანო. აა, შენს მეუფეს გამოეჭეცი?

სპარსელი. დიახ, ყოვლისმცოდნეე და მძლეთამძლეო! მეფე საპორის წყალობა არ მაკლდა, ხანამ, შენი მოახლოებით შეძრწუნებულმა, არ ვუწინასწარმეტყველე, ეს ომი დაღუპვას გიქადის-მეთქი იცი, რითი დამაჭილდოვა, მბრძანებელო? ჩემი ცოლი თავის მოისართ მიუგდო სათრევად! ჩემი შვილები მონებად დაჭყიდა, მთელი ჩემი ავლადება თავის მსახურებს დაუნაწილა, ხოლო ქალათებს უბრძანა ცბრა დღე ვენამებინეთ, შემდეგ კი ცხენზე შევესვით და უდაბნოში გავეგდეთ, რათა იქ დაჭრილი ნადირივით ამომბდომოდა სული.

იულიანო. ჩემგან რაღას მოითხოვ?

სპარსელი. რაღას მოგიოთხოვ ყოველივე ამის შემდეგ? მინდა დაგეხმარო იმაში, რომ ბოლო მოუღო ჩემს მტარვალს.

იულიანო. კი მაგრამ, რა დახმარება შეგიძლია, შე საცოდავო?

სპარსელი. მე შენს მეომრებს ქუსლებზე ფრთებს მივამაგრებ.

იულიანო. რას გულისხმობ? ადეკი და ისე მომახსენე.

სპარსელი (დგება). კტესიფონში კაციშვილს არ მოხვლია აზრად, რომ ამ გზას აირჩევდო...

იულიანო. ვატი.

სპარსელი. მაგრამ ახლა ეს უკვე აღარავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას.

იულიანო. სტყუო! სპარსელებს ვინ გააგებინებდა ჩემს განზრახვას?

სპარსელი. მბრძანებელო, ვისი სიბრძნეე მზისა და ცეცხლისაგან იღებს დასაბამს, უნდა მოგახსენო, რომ ჩემმა თანამემამულეებმა ალლო აუღეს შენს ჩანაფიქრს. მთელი შენი ლაშქარი ხომალდებით გადმოსხი მდინარეზე, საომარი საჭურვლითა და სურსათ-სანოვავით დატვირთული ათასზე მეტი ხომალდი ტიგროსს უნდა აუყვებს აღმა, ლაშქარმა კი ნაპირ-ნაპირ უნდა მისდიოს ფლოტს.

იულიანო. ესეც შენი საიდუმლო!

სპარსელი. როდესაც ხომალდები ასე ორი დღის სავალზე მიუახლოვდებიან კტესიფონს, შენი ლაშქრით თავს დაესხმი ქალაქს, აღუყას შემოარტყამ და აიძულებ მეფე საპორს, დაგნებდეს.



ნულიანო (ქეთ-იქით იყურება). ვინ გაგვცა?
სპარსელი. ახლა ეს ყოველად შეუძლებელია. ჩემმა თანამემამულეებმა მდინარეზე სახელ-
დახელოდ აღმართეს ქვის ჭებირები. ასე რომ, შენი ხომალდები შეეჭახებიან და ზღვა შეეშ-
ხვრევინათ მათ.

ნულიანო. მომისმინე! იცი, რა გეღის; თუ ტყუილს ამბობ?
სპარსელი. შენს ხელთ არა ვარ, მძღვეთამძღვეო? თუ ტყუილს ვამბობ, რა გეღის?
ხლად დამწვან!

ნულიანო (ნევიტა). მდინარე ჩახერგილია! ალბათ რამდენიმე კვირას მაინც მოვუნდებით
გასუფთავებას...

ნემიბა. თუკი საერთოდ შევძელით მისი გაწმენდა, მბრძანებელი საამისო იარაღები არ
გაგვარჩნია...

ნულიანო. რაღა მაინცდამაინც ახლა უნდა შევფერხებულეყავით, როცა საჭიროა, რაც
ძალი და ღონე გვაქვს, ვიჩქაროთ?..

სპარსელი. სამყაროს მბრძანებელი, აკი გითხარი, მე შემიძლია შენს მემორებს ფრთები
შეგასხამეთქი!

ნულიანო. თქვი, იქნებ მოკლე გზა იცი?
სპარსელი. თუ აღმიტქვამ, რომ გამარჯვების შემდეგ დამიბრუნებ, მთელ ჩემს ავლადი-
ლებას და წარჩინებულნი გვარის ქალს შემრთავ ცოლად, მაშინ...

ნულიანო. უველაფერს აღგიტქვამ, ოღონდაც გზა გვასწავლე...

სპარსელი. პირდაპირ ამ ტრამალს თუ დაადგები, სამ დღეში მიადწევ კტესიფონს.

ნულიანო. მთაგრეხილი ხომ არ გავიწყდება ტრამალს გაღმა?
სპარსელი. მბრძანებელი, ნუთუ არასოდეს გაგიგონია მთებს შორის მოქცეული უცნაური
კლდეკარის სახელი?

ნულიანო. ზო, ამბობენ, ხეობააო, რომელსაც სპარსელები არიშანის კლდეკარს უწოდებ-
ენ; მართალია?

სპარსელი. ამ ორი დღის წინათ სწორედ არიშანის კლდეკარი გამოვიარე.
ნულიანო. ნევიტა!

ნემიბა. თუ ასეა, მბრძანებელი, მაშინ...
ნულიანო. ამ გასაჭირში უკეთესს რას ინატრებს კაცი?..

სპარსელი. მაგრამ თუ ამ გზას აირჩევ, მბრძანებელი, მაშინ ერთ წუთსაც ნულარ დაძ-
ვარგავ. სპარსელთა ლაშქარი, რომელსაც ჩრდილოეთში მოუყარეს თავი, სასწრაფოდ გაი-
წვიეს, რათა ჩაეეტონ უველა კლდეკარი.

ნულიანო. დარწმუნებული ხარ?
სპარსელი. თუ დააუფნებ, თვითონვე დარწმუნდები ამაში.

ნულიანო. რამდენ დღეში შეძლებენ შენი თანამემამულენი ამ გზის გამოვლას?
სპარსელი. ოთხ დღეში, მბრძანებელი!

ნულიანო. ნევიტა, სამ დღეში უთუოდ უკან უნდა მოვიტოვოთ მთაგრეხილი!

ნემიბა (სპარსელს). თუ შეიძლება სამ დღეში მივადწიოთ ხეობას?
სპარსელი. შეიძლება, დიდო ხარდალო, თუკი ამ ღამეს არ დაკარგავთ

ნულიანო. აუარეთ ბანაკი! რა დროს ძილი და დასვენებაა?... ოთხი თუ არა, ხუთი დღის
შემდეგ მაინც კტესიფონის გალავანთან უნდა ვიყო... რაზე ჩაფიქრდი? თუმცა ვიცი, ვიცი...

ნემიბა. ფლოტი, მბრძანებელი!
ნულიანო. ფლოტი, დიახ, დიახ.

ნემიბა. თუ სპარსელები ერთი დღით გვიან მოადგებიან ხეობას, მაშინ, რაკი სხვას ვი-
ღარაფერს გავნებენ, დახავლეთისაკენ აიღებენ გეზს და თავს დაესხმიან შენს ხომალდებს...

ნულიანო. ...და აურაცხელ ნადავლსაც ჩაიგდებენ ხელში, რაც მათ ბრძოლის გაგრძელებ-
ის საშუალებას მიხცემს...

ნემიბა. ოცი ათასი ქარისკაცის დატოვება რომ შეგვეძლოს, ხომალდებს საფრთხე აღარ
დაემუქრებოდა...

ნულიანო. რაღას არ გამოიგონებ! ოცი ათასიო? თითქმის მთელი ლაშქრის მესამედი?
ხადლა იქნება მაშინ ის მრისხანე ძალია, რომელმაც გამარჯვება უნდა მომამოგვებინოს? დავყო
და დავაქუცმაცო ლაშქარი?... არა, არა, ერთ ქარისკაცსაც ვერ დავტოვებ ფლოტის დასაცავად.

არა და არა, ნევიტა! მაგრამ იქნებ მესამე გზაც არსებობს?..

ნემიბა (უკან იხევს). მბრძანებელი!

იულიანო, ვერც იმას დავუშვებ, რომ ფლოტი მტერს ჩაუფარდეს ხელში, და ვერც ჩემს ლაშქარს გავყოფ. მაგრამ აქი გითხარი, მეხამე გზაც არსებობს-მეთქი. რას ვაჩვენებულხარ, რატომ არაფერს იტყვი?

ნევიტა (სპარსულს), ხომ არ იცო, პურიხა და ზეთის მარაგი თუ აქვთ კტეზიფონში? სპარსული კტეზიფონი სავსეა სურსათ-ხანოვავით.

იულიანო, და როცა ხელში ჩავიგდებთ ქალაქს, მთელი ეს მდიდარე მხარე ჩვენს საკუთარ ბელად იქცევა.

სპარსული, მოქალაქეები კარს გაგიღებენ! მარტო მე როდი მძულს სპარსი! ყველანი ერთხულად აღდგებიან მის წინააღმდეგ და უყოყმანოდ მოგეპხრობიან, თუკი მთელი შენი თავზარდამცემი ძალმოხილებით მოულოდნელად თავს დაატყდები ქალაქს.

იულიანო, დიახ, დიახ!

სპარსული დაწვი ხომალდები, მბრძანებელო..

ნევიტა, ა..

იულიანო, მისი სიძულვილი სწორ გზასა ხედავს, მაშინ როდესაც შენი ერთგულება აღდებულზე დაბორილობს, ნევიტა!

ნევიტა, ჩემმა ერთგულებამაც დაინახა ეს გზა, მბრძანებელო, მაგრამ ძრწოლით უკუიქცა იმის წინაშე, რაც დაინახა.

იულიანო, ეს ხომალდები პირდაპირ ფეხებზე დადებულ ბოქკილებად გვექცა. სურსათ-ხანოვავე, რომელიც ბანაქში მოვიმარაგეთ, ოთხ დღეს გვეყოფა. არც ისაა ურიგო, რომ ქარისკაცებს მძიმე ტვირთი აღარ ექნებათ სათრევი. ეგვიც არ იყო, რაღად გვინდა ხომალდები? მდინარის გადალახვა ხომ აღარ მოგვიწევს?..

ნევიტა, მბრძანებელო, თუკი მართლაც ასეთია შენი ნება...

იულიანო, ჩემი ნება... ჩემი ნება!.. ხომ ხედავ, რა სადამოა... საფდროდ მოქუფრული. რატომაც არ უნდა იქუბოს და...

მაქსიმე (სწრაფად შემობრბის მარჯვნიდან) მომისმინე, მომისმინე... მზის რჩეული შვილო!

იულიანო, ახლა მაგის დრო არა მაქვს, მაქსიმე!

მაქსიმე ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია: ამიტომაც უნდა მომისმინო!

იულიანო, მაშ, მიტხარი, მიტხარი, ძმავო ჩემო, ზედნიერებისა და სიბრძნის სახელით!

მაქსიმე (განზე ვაძუავს და უბრუნდება), ხომ იცო, რამდენს ვეჭვბდი და მისნობის გზით ვჩხრეკდი წიგნებში ამ ომის შედეგს.

იულიანო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ვერაფერი მიწინასწარმეტყველე.

მაქსიმე, ცა ნიშანს მაძლევდა და დაწერილის აზრიც ეთანხმებოდა მას; მაგრამ პასუხი იმდენად უჩვეულო გამოდიოდა, რომ სულ ვფიქრობდი, ხომ არ მეშლება-მეთქი.

იულიანო, ახლა?

მაქსიმე, ხანამ ანტიოქიიდან წამოვიდოდით, წერილი გავგზავნე რომში; ვითხოვდი, სიბილების წიგნებში ჩაეხედათ...

იულიანო, დიახ, დიახ...

მაქსიმე, ახლახან მივიდრ პასუხი; ანტიოქიის პრეფექტის მიერ შენთან გამოგზავნილმა მაცნემ ჩამომიტანა...

იულიანო, მერედა, რას გვამცნობს პასუხი მაქსიმე?

მაქსიმე, რასაც გვამცნობდა აქამდე ყველა ნიში და წერილი; ახლა კი შემოძლია თამამად განვმარტო ეს პასუხი. გიხაროდეს, ძმავო ჩემო! არავითარი საფრთხე არ გემუქრება ამ ომში!

იულიანო, მაგრამ პასუხი, პასუხი?..

მაქსიმე, სიბილები გვამცნობენ: „იულიანე უფრთხილდეს ფრიგიელთა მხარეს!“

იულიანო (უკან იხეკს), ფრიგიელთა მხარეს?.. აჰ, მაქსიმე!

მაქსიმე, რატომ გაფითრდი, ძმავო ჩემო?

იულიანო, მიტხარი, ძვირფასო მოძღვარო, როგორ განმარტავ ამ პასუხს?

მაქსიმე, განა შესაძლებელია სხვა განმარტება? ფრიგიელთა მხარესაო! რა გესაქმება ფრიგიაში? ფრიგია განზე გრჩება, შორს — ზურგში... ფეხსაც არ დაადგამ მის მიწა-წყალს. ამიტომაც არავითარი საფრთხე არ გემუქრება, ბედის რჩეულო, — აი, ახეთია პასუხის აზრი.

იულიანო, ეს იდუმალი პასუხი ორმაგი აზრის შემცველია. არავითარი საფრთხე არ გემუქრება ამ ომში.. მაგრამ განსაცდელი სხვა მხრიდან, შორეული ფრიგიიდანაა მოსალოდნელი.. ნევიტა, ნევიტა!

ნევიტა, გისმენ, მბრძანებელო..

იულიანო ესე იგი, ფრივიდან? ალექსანდრე მწერს, ფრივიში რაღაც საიდუმლო სამზადისიაო... აქი იწინასწარმეტყველეს. გალილეველი დაბრუნდებაო? ხომალდები დაწვი, ნევიტა!



ნემიბა. მბრძანებელი, ასეთია შენი მტკიცე და ურყევი ნება?..

იულიანო. დაწვი! ახლავე დაწვი! ზურგიდან იღუმალი საფრთხე გვემუქრება! (კოთ-კოთ უმცროს მხედართმთავარს.)

თვალი ფხიზლად გეჭიროს ამ უცხოელზე, ჩვენი მეფეური იქნება. ასტონიშტანსკი უკრავს დაისვენოს.

იოვინო. გვედრები, ჩემო იმპერატორო, ნუ ენდობი თვისტომთა გამცემის სიტყვას.

იულიანო. აჰა, ამ ამბავმა, როგორც ვატყობ, თავზარი დაგცა, ჩემო გალილეველო მრჩეველო! არ მოგეწონა? შენ ალბათ მეტი იცი, ვიდრე გამხელას აპირებ... წადი, ნევიტა, და დასწვი ხომალდები!

ნემიბა თავს უკრავს და ხელმარცხნივ გადის. მხედართმთავარს ბანაკში მიჰყავს სპარსელი.

იულიანო. მოლაღატეები ჩემს საკუთარ ბანაკში მყვანან! მაცალეთ, ცოტაც მაცალეთ! ძირფესვიანად მოვაშთობ ამ შფოთისთავეებს...

დროა დავიძრათ. წადი, იოვინო და ბრძანება გაეცი, რომ მეწინავე ნაწილები ერთ საათში უკვე შუად იყვნენ. გზა სპარსელმა იცის. წადი!

იოვინო. ვემორჩილები შენს ნებას, ჩემო მბრძანებელო! (ხელმარცხნივ გადის.)

მაქსიმე. ფლოტი უნდა დაწვა? დიდი საქმე განგიზრახავს.

იულიანო. ნეტა ვიცოდე, გაბედავდა თუ არა ამას ალექსანდრე მაკედონელი?

მაქსიმე. კი მაგრამ, იცოდა თუ არა მაკედონელმა, საიდან ემუქრებოდა საფრთხე?

იულიანო. მართალია, მართალია! მე კი ვიცი, ძღვევის მომნიჭებელი ყველა ძალა ჩემს მხარესაა. ნიშნებიცა და სასწაულებიც თავიანთ ფარულ აზრს გვიმჟღავნებენ, ჩემი მიუფობის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ.

აკი გალილეველზე ამბობდნენ, ციურნი სულნი შემოადგნენ და ემსახურებოდნენ მასო? ვის ემსახურებიან ახლა ისინი?...

მას იტყოდა გალილეველი: უჩინრად რომ იყოს ჩვენ შორის?

მაქსიმე. ალბათ იტყოდა: მესამე სამეფო ახლოვდებაო...

იულიანო. მესამე სამეფომ უკვე მოაწია, მაქსიმე. მე ვგრძნობ, რომ სამყაროული მესი: ცოცხლობს ჩემში. სული ხორცად იქცა, ხორცი კი — სულად. უოველივე ის, რაც შეიქმნა, ჩემს ძალაუფლებას ემორჩილება.

შებედე, შეებედე. აჰა, ბაერში ავარდა პირველი ნაბერწყალი. ცეცხლის ენები უკვე ანძებსა და აფრებს ლოკავენ! (ხმამალლა გაჰყვიროს.)

დაწვიო, დაწვიო!

მაქსიმე. ქარი გრძნობს შენს ნებას. სულ უფრო ძლიერდება და გშველის.

იულიანო (მუშტ-უღერებს სივრცეს). დაე, ამოვარდეს გრივალის უფრო დასავლეთით! მე ასე მნებავს!

მხედართმთავარი ფრომენტინუსი (მარჯვნიდან შემოდის). უოვლად მოწყალეო მბრძანებელო, ნება მიბოძე მოგახსენოს ბანაკში საშიში მღელვარებაა!

იულიანო. არავითარი მღელვარება! ლაშქარი გზას უნდა გაუდგეს!

ფრომენტინუსი. დიახ, ჩემო იმპერატორო... მაგრამ ეს დამთხვეული გალილეველები...

იულიანო. გალილეველები? რაო, რა გვინდაო?..

ფრომენტინუსი. ხაზინადარებმა, ჯარისკაცებისათვის ჯამაგირს დარიგებას რომ შეუდგნენ, დახლებთან შენი ღვთაებრივი ქანდაკებები დადგეს...

იულიანო. ამიერიდან უოველთვის ასე იქნება.

ფრომენტინუსი. თვითეულმა ჯარისკაცმა ბრძანება მიიღო, დახლთან რომ მიხვალ, საქმეველის რამდენიმე მარცვალს უნდა ჩააგდო სასაკმეველშიო.

იულიანო. შერე?..

ფრომენტინუსი. ბევრი გალილეველი უყოყმანოდ დაემორჩილა ბრძანებას, მაგრამ ხხვებმა წინააღმდეგობა გაგეწიებს...

იულიანო. როგორ? წინააღმდეგობა?

ფრომენტინუსი. თავდაპირველად, მბრძანებელო; მაგრამ როდესაც ხაზინადარებმა აუხსნეს, ეს მხოლოდ ძველი ჩვეულებაა, რომელიც ახლა განვაახლეთ და ამას ხაერთო არა აქვს რა იმპერატორის გაღმერთებასთანო...

იულიანო აქა მერე, რა მოხდა?

ფრომენტიუსი მაშინ ისინი დაშოშინდნენ და ბრძანებას დაემორჩილნენ!

იულიანო აი, ხომ ხედავთ? დაემორჩილნენ!

ფრომენტიუსი, მაგრამ შემდეგ, მბრძანებელი, ჩვენებმა დატინვა დაუნჯეს; წინდაუხე-
დავად ურჩევდნენ მათ, ბარემ ჭერიხა და თევზის ნიშნებიც წაეშალათ, რომლებიც ჩვეულებ-
რისამებრ ხელზე აქვთ ამოტვიფრული, რადგანაც უკვე დავთავებოთ მკერატორის თაყვანის-
მცემელები გახდით.

იულიანო, დიახ, დიახ! მერე, გალილეველებმა?

ფრომენტიუსი, საშინელი ბლავილი მორთეს, ხომ გესმის, მბრძანებელი? მათი მორჭუ-
ლება შეუძლებელია.

ბანაიდან საზარელი ყვირილი და გმინვა მოისმის.

იულიანო, ო, ეს შლეგები! ბოლომდე არ ურიან ფარ-ხმალს, არც კი იციან, რომ მათ
მოძღვარს არავითარი ძალა აღარა აქვს.

ველზე გამორბიან ძრისტიანი ჯარისკაცები; ზოგი ხმამალს მოოქვამს და მწარე გმი-
ნით მკერდში იცემს მჯილს, ზოგიც ტანსაცმელს იხევს ტანზე.

ერთ-ერთი ჯარისკაცი, ქრისტე ჩემთვის მოკვდა, მე კი უფალი ჩემი გავყიდე!

გამორბი ჯარისკაცი, მამაო ჩვენო ზეციერო, რომელიც სჭი ორგულთ, — გამგმირე —
ცრუ ღმერთს ვეცი თაყვანი!

აბათონი, იმპერატორის სახით მოვლენილმა სატანამ წარწმიდა ჩემი სული ვაიმე,
ვაიმე, ვაიმე!

სხვა ჯარისკაცები (ბალუებს იგლეჯენ) არ გვინდა, არ გვინდა კერპთმსახურება!

დანარჩენები, დვთისაგან განდგომილი ჩვენი მბრძანებელი არ არის! შინ გაგვიშვიტ, შინ!

იულიანო, ფრომენტიუსს, შეიბუარით ეს დამთხვეულნი და ხმლებით აჩეხეთ!

ფრომენტიუსი და მის გვერდით მდგარი მეომრები აპირებენ ქრისტიან ჯარისკაცებს ეპ-
გერონს, მაგრამ ამ დროს მთელი ცა წითლად შეიღებება და ხომალდებიდან ზევით ავარდებს
ხანძრის ალი.

ჯარისკაცები და მათი მშობლები (თავზარტაცებულნი) ფლოტი იწვის!

იულიანო, დიახ, ფლოტი იწვის, მაგრამ მარტო ფლოტს როდი შთანთქავს ცეცხლი, ამ
ბობოქარ ხანძარში დაიფრფლება ჭვარცმული გალილეველიც... გალილეველთან ერთად კი
მიწიერი კეისარიც, მაგრამ ფერფლიდან — ერთი ზღაპრული ფრინველისა არ იყოს, — აღ-
სდგება ღმერთი მიწიერი და მეუფე სულიერი, ორივე ერთი სახით, დიახ, ერთი სახით!

ხმები, შეიშალა!

ნევიტა (მარტხიდან შემოდის), აღსრულდა!

იოვიანო (იქრშინებულ შემობრუნ ბანაიდან მარტიდან), ღალატია, მბრძანებელი! სპარსელი
თაღლითი აღმოჩნდა!..

იულიანო, სტყუის ხად არის?..

აბიანო, გაიქცა!

იოვიანო, თვალ და ხელშუა გაქრა..

იულიანო, გაიქცა?

იოვიანო, ქარისკაცები, რომლებიც მეტვალუურებად მიეუჩინეთ, ამბობენ: ვერც კი
გავიგეთ, როგორ გაგვისხლტა ხელიდან და გაუჩინარდაო.

აბიანო, აღარც მისი ცხენი ჩანს თავლაში, აღბათ ამ ტრამალს მისცა თავი.

იულიანო, ხანძარი ჩააქრეთ, ნევიტა!

ნევიტა, შეუძლებელია, ჩემო იმპერატორო!

იულიანო, ჩააქრეთ, ჩააქრეთ! იქნებ ჭერ კიდევ შეიძლება ჩაქრობა?!

ნევიტა, მეტი არაა ჩემი მტერი! ყველა საბული გადავჭერით და მთელი დანარჩენი ფლო-
ტი აღმოღებული ხომალდებისკენ მიექანება.

ორმინი (ბანაიდან გამობრუნ), წყულებიც იყვნენ ჩემი თანამემამულენი! მბრძანებელი,
როგორ ენდო მაგ მზაკვარს?

ქვემოთ ბანაიდან ფლოტი იწვის! შინ დასაბრუნებელი ვხა მოგვეჭრა! წინ სიკ-
ვდილია!


აბათონი, ცრუღმერთო, ცრუღმერთო! უბრძანე გრიგალს — ჩადგეს! უბრძანე ცაცხლს
— დაცბრეს!

იოვიანო, ქარი ძლიერდება... ხანძარი ისე მძვინვარებს, აბობოქრებული ზღვა გეგონება..

მამსინი (სტრჩულაზე) უფროხილდი ფრიგიელთა მხარეს!

იულიანო (ლაშქარს უყვირის). დაიწვას, დაიწვას! შვიდი ღმერთი არ გაივლის რომ თქვენ დასწავთ კტესიფონს!

მეხუთე მოქმედება



ქართული ენის ინსტიტუტი

ქვალარლიანი უდაბნო: მცენარეულობის ნახატი არსადა ჩანს. აელმარეულობის ნახატი არსადა ჩანს. სამხრეთის დროა.

დალლილ-დაქანცული ჯარისკაცები ველზე მიუჩილან. დროდადრო, მარცხნიდან მარჯვნივ, ცოცხელი რაზმები ჩაივლიან. ბანაკის წინ საშინლად აღფლავლებული მიდი-მოდიან სოფლის-ბები პრისკუსი და კიტრონი, აგრეთვე იმპერატორის აბრისპაცები. ბანაკის შესასვლელს მბუღის მცველი დარაჯობენ, თავიანთი წინამძღოლის ანატოლიოსის შეთაურობით.

კიტრონი. მაინც რამდენ ხანს გაგრძელდა სამხედრო თათბირი? პრისკუსი. არადა, კაცმა რომ თქვას, აქ მხოლოდ ორი, ორად-ორი გადაწყვეტილების მიღება თუ შეიძლება: ან წინ უნდა ვიაროთ ანდა დავბრუნდეთ.

კიტრონი. რას გაიგებთ. ერთი ეს მითხარი, ჩემო ძვირფასო ანატოლიოს, ღმერთების შეწყვენით, რატომ წინ არ მივდივართ?

ანატოლიოსი. შეხედეთ, როგორ ლივლივებს გავარგარებული მამრი თვალსაწიერზე, — ჩრდილოეთითაც, აღმოსავლეთითაც, სამხრეთითაც.

კიტრონი. ეს საცხის ბრალია... ანატოლიოსი. ტრამალი იწვის.

პრისკუსი. რას ამბობ? ტრამალი იწვის? კიტრონი. რა ხუმრობაა? ღმერთმა დაგვიფაროს, ანატოლიოს! არა, მართლა, სერიოზულად, რაშაა საქმე?

ანატოლიოსი. აკი ვითხარით, ტრამალი იწვის-მეთქი. შორს, უდაბნოს დასალიერს, სპარსელებმა ცეცხლი წაუკიდეს ბალახს. ასე რომ, აქედან ფეხს ვერ მოვიცვლით, სანამ მიწა არ გაყვდება.

კიტრონი. რა საშინელებაა! ბარბაროსების მეტი ვინ იზამდა ამას? პრისკუსი. ესე იგი, არჩევანიც აღარ გვქონია... აღარც საქმელი დაგვრჩა და აღარც სასაქმელი. უკან მაინც რად არ ვბრუნდებით?

ანატოლიოსი. უკან ტაროსი და ევფრათია! კიტრონი. ჰო, მართლა. ფლოტი ხომ დავწყით! ასე ვინ ამბობს? იმპერატორს ცოტა მეტი უნდა ეფიქრა თავის მეგობრებზე! როგორღა დავბრუნდები სამშობლოში?

ანატოლიოსი. ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით, ჩემო ძვირფასო. კიტრონი. ყველანი? რას ჰქვია ყველანი? თქვენ რა გიჭირთ? თქვენ მეგობრები ხართ!

თქვენი მოწოდება ისაა, რომ გაუძლოთ ყოველგვარ განსაცდელს და გაქირვებას, რაც ჩემთვის სრულიად აუტანელია. განა იმისთვის გამოვყვე იმპერატორს, რომ შავ ღლეში ჩავვარდნილიყავი?.. ამ კოლოებმა და კრაზანებმა ხომ პირდაპირ სული ამომხადეს... აბა შეხედეთ, რას მიგავს ხელების!

პრისკუსი. რა თქმა უნდა, ამისთვის როდი წამოვსულვართ. ჩვენ მხოლოდ იმიტომ დავთანხმდით გამოცემალოდით ლაშქარს, რომ გვედიდებინა გამარჯვებები, რომელთა მოპოვებასაც იმპერატორი აპირებდა. მაგრამ სადაა ეს გამარჯვებები? რა დიდი გამირობა ჩვენ ჩავიდინეთ ამ ეტვის უმძიმესი კვირის მანძილზე. რაც ფლოტის დაწვის შემდეგ გავიდა? მიწასთან გავსწორეთ მცხოვრებლებისაგან მიტოვებული რამდენიმე უბადრუკი სოფელი; ესაა და ეს. და კიდევ ბანაკში მოიყვანეს რამდენიმე ტყვე. რომლებიც ვითომ ჩვენმა მწვერავებმა შეიპყრეს. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს საცოდავები მოულოდნელი თავდასხმით შეშინსაგან მუცელში ენაჩავარდნილ მწყემსებსა და მშვიდობიან მხვრელ-მთესველთ უფრო ჰგვანან, ვიდრე...

კიტრონი. და ყოველივე ამას აგვირგვინებს ფლოტის დაწვა! აკი მაშინვე ვთქვი, აი, ნახავთ, თუ ეს წარმოუდგენელ უბედურებას არ დაგვატეხს-მეთქი თავზე.

ანატოლიოსი. მართალი ვითხრა, არ გამიგონია. კიტრონი. როგორ? ასე არა ვთქვი? არც შენ გამიგონია, პრისკუს?

პრისკუსი. ვერაფერს გეტყვი, ჩემო ძვირფასო. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ იმთავითვე ამოღდ ვცდილობდი წინ აღვდგომოდი ამ უგუნურებას. დიახ, ისიც შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ მე საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი, წლის ამ დროს დაგვიწყო ლაშქრობა. რა დაუდევრობაა? სად ჰქონდა თვალები იმპერატორს? ნუთუ ეს იგივე გმირია, ასე სვიანად რომ

იბრძოდა რენუხის პირას? ძალაუნებურად იფიქრებ კაცი, რომ ან დაბრმავდა, ანდა სულია უცნაურმა სნეულებამ დარია ხელი

ანატოლიოსი. სსუ... სსუ! ეს რა სათქმელია?

კიტრონი. მართლაც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მეგობრის კრისტუსის სიტყვებში მაინც დამაინც დიდი მოწიწება გამოსკვირდეს, მაგრამ ვერც მე უარყოფ იმას, რომ, სამწუხაროდ, სიბრძნის ნატამალსაც ვერ ვამჩნევ გვირგვინოსანი ფილოსოფოსის კრისტუსის მიხედვლ საქმეს თუ ქცევას. რა წინდაუხედავი სიჩქარეა! რა უგუნურება იუტრისტუსის სიტყვებით ქანდაკებების გამოფენა იმ მიზნით, რომ მათთვის დთვის დარად იცათ თავუანის რა გაუმართლებელი საქციელია უებრო ნაზარეველი ბრძენ-მოძღვრის ასე საჩაროდ გამობ! თუმცა, გვინდა თუ არა, იძულებულნი ვართ ვალიაროთ მისი უჩვეულო ძალმოსილება, რომელიც, თუკი მისდამი სხვანაირ დაშოკიდებულებას გამოვიჩენდით, ესოდენ რთულ ვითარებაში, ვინ იცის, იქნებ სიკეთოდაც გამოგვდგომოდა.

აჰ თვით ნევიტა მოდის! იქნებ ახლა მაინც გავიგოთ...

იმპერატორის კარვიდან გამოდის მისამარსარდალი ნევიტა; გამოსვლისას შებრუნდება და ვილას ნაშანს აძლევს. მის კვალდაკვალ ბანაკიდან გამოდის იმპერატორის ექიმი ორიბასიოსი.

ნევიტა (უქიმს გახზე გაიხმობს). თუ ღმერთი გწამს, მითხარო, ორიბასიოს, ცოტას ხომ არ ურევს იმპერატორი?

ორიბასიოსი. ეს რამ გაფიქრებინა, ბატონო ჩემო?

ნევიტა. აბა რასა შგავს მისი საქციელი?

ორიბასიოსი. ო, ჩემი ძვირფასი იმპერატორა!..

ნევიტა. ნურაფერს დამიზალავ, ორიბასიოს.

კიტრონი (უახლოვდება). ო, ძლევაშოსილო მთავარსარდალო, რუ თავს არ შეგაწუენ...

ნევიტა. შერე, შერე!

ორიბასიოსი (ნევიტას). ნუ ღელავ, ბატონო ჩემო. არავითარი უბედურება არ მოხდება.

შე და ევფერიოსმა სიტყვა მიფეცით ერთმანეთს, რომ თვალყური ვადევნოთ.

ნევიტა. რას ამბობ? ხომ არ...

ორიბასიოსი. წუხელი კინაღამ თავი მოიკლა, საბედნიეროდ, ევფერიოსმა მიუსწრო... მხოლოდ არავისთან წამოგცდეს, კარგი?

ნევიტა. თვალი არ მოაშორა!..

პრისკუსი (უახლოვდება). ჩვენთვის დიდი ნუგეში იქნებოდა გავგეგო, რა გადაწყვიტა სამხედრო თათბირმა...

ნევიტა. მომიტევე უფრო მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. (გაღის)

იმავდროულად კარვიდან გამოდის მხედართმთავარი იოვიანო.

იოვიანო (კარვიდან გამოსვლისას). ნება შენა, ჩემო მოწყალეო მბრძანებელო!

კიტრონი. აა, ღრმად პატივცემულო იოვიანე! რას გვეტყვი, უკან დახევა გადაწყვიტეთ?

იოვიანო. არავის ვურჩევ, უკანდახევა უწოდოს ამას. (გაღის).

კიტრონი. ო, ეს მეომრების ფილოსოფოსის სულიერი სიმშვიდე ჩირადაც არ უღირთ. ა კარვიდან გამოდის ინპერატორი იულიანო, ფერმიხდილია და გამხდარი. უკან მოპყვე-

ბიან სხლთუხუცესი ევფერიოსი და რამდენიმე მხედართმთავარი. ეს უკანასკნელნი და უსოვნებლივ გაუტყვევენ-მარჯნივ.

იულიანო (-ოფისტებს). გაჩაროდეთ, ჩემო მეგობრებო! ძალე უველაფერი კარვად იქნება!

კიტრონი. აჰ, ჩემო კურთხეულო იმპერატორო, რაიმე გამოსავალს მიაგენი?

იულიანო. გამოსავალი რამდენიც გნებავს, იმდენი გვაქვს. კიტრონი; საქმე მხოლოდ ისაა, რომ უკეთესი ავირჩიოთ. ჩვენ გადაწყვიტეთ. გარკვეული თვალსაზრისით შევცვალოთ შე-

ტვის გეგმა...

პრისკუსი. ბრძნული გადაწყვეტილებაა!

იულიანო. ეს ლაშქრობა აღმოსავლეთით არაფერს არ მოგვცემს.

კიტრონი. რა თქმა უნდა.

იულიანო. ამიტომაც ჩრდილოეთისაკენ ავიღებთ გეზს.

კიტრონი. როგორ, მბრძანებელო... ჩრდილოეთისაკენ?

პრისკუსი. იქნებ დასავლეთი გვერჩია?

იულიანო. არა, არა, დასავლეთით რა გვინდა? იქ გადაულახავ დაბრკოლებად გადაგვე-

ლობება მდინარეები. კტეხიფონს ჭერჯერობით გვერდს ავუქცევთ. უნომალდებოდ ქალაქის

ადებაზე ფიქრიც კი შედგებოდა. სულ გალილეველების ბრალია, ფლოტი რომ დაგვიწვა. დიახ, დაბეჭითებით ვიცო, მათი ხელი ურევია ამ საქმეში.

ვინ გაბედავს უკან დახევა უწოდოს ამას, თუკი ჩრდილოეთისაკენ დავიძვრები? რას ვაპირებ? სპარსელთა ლაშქარი სადღაც ჩრდილოეთითა დგას; თითქმის დარწმუნებული ვარ ამასში. საკმარისია საპორი დავამარცხო და... მაგრამ ეს უნდა მოხდეს ერთბაშად, ერთდარტყვით, პირველხვე შეტაკებაში. — და მტრის სურსათ-სანოვანის მთელი მარაგი ჩვენი დაგვრჩება.

ხოლო როდესაც სპარსთა მეფეს დატყვევებულს ჩავიყვან ანტიოქიასა და სხვა ქალაქებში, ვნახოთ, რას იზამენ მოქალაქენი. მიწაზე დაემხოებიან თუ არა ჩემ წინაშე! ქრისტიანი ჯარისკაცები (სამღვრით მოდიან ველზე).

მა, ცული უკვე ხის ფესვთან დევს, დღე არის რისხვის, მოსკრიან კედარს, რომ დანაცროს ის ცეცხლის აღმა, მაგრამ გოლგოთის წიაღიდან იზრდება პალმა, მორწყული ჩვენი მაცხოვრის სისხლით.

იულიანს (თვალს აყოლებს მიმავალთ). გალილეველები სულ მუდამ მღვრიან, მღვრიან სიკვდილზე, წუურვილზე, წამებაზე. ქალებმა, რომლებიც მომვლელებად მივუჩინე დაქრილებს და ავადმყოფებს, ნაცვლად იმისა, რომ რაიმე ერგოთ, მხოლოდ ზიანი მოგვცეს. რაღაც უცნაური სიმღერები ასწავლეს ჩარისკაცებს; მათი მსგავსი ჩემს დღეში არაფერი გამოიგონია.

მაგრამ ამიერიდან აღარ დავსჯი მათ. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ცთომილებას. იცი, პრისკუსს, როგორ მოიქცნენ ის დამთხვეულნი, რომლებმაც ამას წინათ უარი განაცხადეს იმაზე, რომ თავვანი ეცათ იმპერატორის ქანდაკებებისათვის?

პრისკუსსი. ამას წინათ, მბრძანებელი?

იულიანს. როცა მე, იმ მიზნით, რომ დამეშინებინა მათი თანამორწმუნენი, ზოგიერთი მათგანის სიკვდილით დასჯა ვბრძანე, განწირულთა შორის ყველაზე უხუცესი წამოდგა და დანარჩენთა საზეიმო უფინში გულმხურვალედ შეევედრა ქალათებს. მოწყალება მოიღეთ და პირველი მე დამსაჯეთო. გუშინ, ეს რომ გავიგე, პრისკუსს...

პრისკუსსი. გუშინ? სცდები, მბრძანებელი! მას შემდეგ კაი ორმოცი დღე გავიდა!

იულიანს. მართლა? თუმცა მო... დიახ, დიახ... ებრაელები ორმოცი დღე დაეხეტებოდნენ უდაბნოში. ხანდაზმულთაგან ერთიც ვეღარ გადარჩა. უნდა წამოზრდილიყო ახალი თაობა, და სწორედ მან — კარგად დაუფიქრდით — დიახ, სწორედ მან მიაღწია აღთქმულ მხარეს.

ევფრატიოსსი. შუა დღე კაი ხანა გადავიდა, დროა სამხარზეც ვიფიქროთ!

იულიანს. არა, ჭერ აღრეა, ჩემო ევფერიოსსი ხორცის მოკვლინება სასარგებლოა უოველი ჩვენგანისათვის.

დიახ, მე გრუბნებით, ახალ მოდგმად უნდა ვიქცეთ-მეთქი, თქვენაირი ხალხით შორს ვერ წავალ. თუ გინდათ თავი დავადწიოთ უდაბნოს, ამიერიდან წმინდა და უბიწო სიცოცხლით უნდა იცოცხლოთ. შეხედეთ გალილეველებს, ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ მათგან. მათ შორის არ არიან უსუსურნი და უმწეონი, და-ძმებივით უვლიან ერთმანეთს... მით უმეტეს ახლა, როცა მათი დამთხვეულობის გამოს იძულებლი ვარ დავსაჯო ისინი ამ გალილეველებს რაღაც ისეთი აქვთ სულში, რომ ნეტა თქვენშიაც მენახა. ეცადეთ ჩახვდეთ ამას. თქვენ სოკრატეს, პლატონისა და დიოგენეს მიმდევრებს უწოდებთ თავს, მაგრამ თუ მოიძებნება თქვენ შორის თუნდაც ერთი კაცი, სიხარულით რომ მომკვდარიყო პლატონისათვის? მითხარით, მოიკვდეთ თუ არა მაცხენა ხელს ჩვენი პრისკუსის სოკრატესათვის? მოიქრიდა თუ არა კიტრონი უურს დიოგენესათვის? მეტი არაა ჩემი მტერი! გიცნობთ, კარგად გიცნობთ, შეფრთქილო გუბოებს! მომწყდით, თვალთ არ დამენაროთ!

თავდაჯერებული სიფრისტები ზღაპრით გ-დიან: დანარჩენებოც ვან მოსდევნ და თან გაოგნებულნი რაღაცას ვჩუჩებულბან ერთიმეორებს, იულიანსთან მხოლოდ მრინბასნიოსსი და ევფრატიოსსი ჩებიათ. ახელის მცველნიც. ანატოლიოსსის მეთაურობით, კვლავ თავთან მოსულზე დგამან.

იულიანს. უცნაურია! კვებარითად გონებაში უწევდომელია მისი ფარული არსი, ორი ბასიოს, შეგძლია ამიხსნა ეს გამოცანა?

მრინბასნიოსსი. რა გამოცანა, ჩემო იმპერატორო?

იულიანს. მან მხოლოდ თორმეტი გლახაკი და უმეცარი მეთევზის მეშვეობით დააფუძნა თავისი სამეფო.

ორიბასნიოსი. ამაზე უაქარი გამოგფიტავს და არაქათს გამოგაცლის. მბრძანებელი იულიანე. მერედა, ვისი წყალობით დგას ეს სამეფო დღევანდელ დღემდე? უმეტესწილად ქალებისა და უბრალო და უმეცარი ხალხის წყალობით.

ორიბასნიოსი. დიახ, მბრძანებელი, მაგრამ მალე ბედი გაგიღმებს და იულიანე. მართალი ხარ, ორიბასნიოსი როგორც კი ღმერთი წყალობის თვალთაგან გამოგვხედავს, ყველაფერს ეშველება. ხუროს ძის სამეფო მალე უნდა დაუბრუნდეს შინა ვიციოთ, გალიციელი იმდენ წელს იმეფებს, რამდენი დღეცაა წელიწადში, ახლა კი...

ევფერიოსი. ჩემო ძვირფასო მბრძანებელი, აბაზანას ხომ არ მიიღებ? იულიანე. აბაზანას?.. წადი, ევფერიოსი! წადი, წადი ორიბასნიოსთან პატარა საქმე ნაქვს

ევფერიოსი მიდის, იულიანეს კი ორიბასნიოსი სხვა მხარეს გაჰყავს. ევფერიოსს დღეს დილით ხომ არაფერი უთქვამს შენთვის?

ორიბასნიოსი. არა, მბრძანებელი იულიანე. სულ არაფერი იმის თაობაზე, რაც წუხელ მოხდა?..

ორიბასნიოსი. არა, მბრძანებელი, არაფერი. ევფერიოსს ასე ჰაიპარად ვერაფერს ათქმევინებ.

იულიანე. კიდევ რომ გითხრას, იცოდე, არ დაუბრუნო. ყველაფერი სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე ის ამბობს. მგონი, ჩემი დაღუპვა სურს.

ორიბასნიოსი. ვის?.. შენს ძველსა და ერთგულ მსახურს? იულიანე. თვალი ფხიზლად უნდა შექიროს მასზე.

ორიბასნიოსი. მეც იულიანე. დიახ, ორივემ თვალუური უნდა ვადვენოთ.

ორიბასნიოსი. მბრძანებელი, აღბათ ცოტა გეძინა წუხელ. იულიანე. დიახ.

ორიბასნიოსს რიდაცის თქმა უნდა, მაგრამ ბოლოს თავს იკავებს. იცი, რატომ ვერ დავიძინე?

ორიბასნიოსი. არ ვიცი, ჩემო მბრძანებელი. იულიანე. მუღვის ხიდზე გამარჯვებული გამომეცხადა.

ორიბასნიოსი. დიდი კონსტანტინე? იულიანე. დიახ, მისი ლანდი მოსვენებას არ მძღღევს. ამ უკანასკნელ ხანს ნაშუაღამევს გამომეცხადება და გათენებამდე აღარა მტოვებს.

ორიბასნიოსი. ყოველივე ეს მთვარის მოვანების ბრალია, მბრძანებელი; ხაცხე მთვარე ყოველთვის უჩვეულო შემოქმედებას ახდენდა შენს სულზე.

იულიანე. ჩვენი წინაპრების აზრით, ამნაირი ხილვა ჩვეულებრივი ამბავია... სად დაიკარგა მაქსიმე?.. მაგრამ მათ აზრს ვერ დაეყრდნობი. დღეს ყველამ ვიციოთ, რომ ისინი ბევრ რამეში სცდებოდნენ. იმასაც კი ვერ ვენდობით უყოყმანოდ, რასაც ღმერთებზე გვეუბნებიან; ისევე როგორც ვერ ვერწმუნებით იმას, რასაც მოჩვენებებსა თუ ზებუნებრივ ძალებზე მოგვითხრობენ, რომლებიც თითქოს განაგებენ კაცთა ბედ-იღბალს. რა ვიციოთ ჩვენ ამ ძალებზე? არაფერიც არ ვიციოთ, ორიბასნიოს, თუ არ ჩავთვლით მათ დაუსრულებელ მერყეობასა და უნიანობას, ერთი სიტყვით. ამ თვისებებს, რომლებზედაც არა ერთი და ორი საქმოდ სარწმუნო მოწმობა მოგვეპოვება.

მაქსიმე მაინც მოვიდოდეს... (თითქოს თავის თავს ელაპარაკება).

აქ? კი მაგრამ, აქ ხომ არ უნდა გავარდეს მეხი? აქი ფრიგიის მბრძანაა მოსალოდნელი?.. ორიბასნიოსი. რომელი მბრძანა, მბრძანებელი... რა მეხი?

იულიანე. არა, არა, ისე... არაფერი... ნევიტა (მარჯვნიდან შემოდის). ლაშქარი უკვე მზადაა. ჩემო იმპერატორო!

იულიანე. ჩრდილოეთით უნდა დავიძრაოთ? ნევიტა (განცვიფრებით). რა თქმა უნდა, მბრძანებელი.

იულიანე. მაქსიმეს მაინც დავლოდებოდით... ნევიტა. რას ამბობ, ჩემო იმპერატორო? რაღა ღროს ლოდინია? სურსათის მთელი მარაგი გამოგველია. ხოლო მტრის ცხენოსანი რაზმები ხან აღმოსავლეთით გამოჩნდებიან და ხან ხაშხრეთით...

იულიანე. დიახ, დიახ, ჩრდილოეთისაკენ უნდა გავწიოთ. მაქსიმე ახლავე მოვა. ზურგში გავგზავნე, ეტრუხკელ მისნებთან. დაე, ერთხელაც სცადონ... რამდენიმე მოგვიც გამოგვი-

ბნე, რომლებიც ამტკიცებენ, ქალდეველთა იდუმალ ხელოვნებაში გაწაფულნი ვართო, თვით
წვენი ქურუმები ცხრა სხვადასხვა ადგილას ასრულებენ მისნობის წესს.

წვენიბა რა შედეგით უნდა გამოიღოს მისნობამ, მე გეუბნები, წინ უნდა გავწიოთ-მეთოქ
ქი ამას იქით ჭარისკაცებზე დაურდნობა არ შეიძლება. ყველას მშვენივრად ესმის, რომ ჩვენ
ერთადერთი ხსნა ესაა, როგორმე მივაღწიოთ სომხეთის შიგნს.

იულიანო, ჩვენც იქით გავწივთ, ნევიტა, მიუხედავად იმისა, თუ რას გვანტყობენ-მეთოქ
მისნები. მაგრამ რატომღაც უფრო მშვიდად ხარ, როდესაც იცი, რომ თითქოს მის უღმრთესობას
ძაღვების რჩევით მოქმედებ, რომლებიც — თუკი მოეპრიანათ — ესოდენ მძლავრ ზენოქმედ-
ბას ახდენენ ადანიანის ბედზე.

წვენიბა (საველეზე და მკვეთრად, ბრძანებით კილოთი). ანატოლიოს, აშალე იმპერატორის
ბანაკის (რამდენიმე სათხევას წაუჭურჭულედა სვედლის მკველთა მეთოქრ და ხელმარჭენიც
გაღის).

იულიანო, ამ ორმოცი დღის მანძილზე მომავლის წინასწარ მაცნე არც ერთი ნიშანი სახი-
კეთოს არას გვიქადა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვენდობოდეთ მათ, ვინაიდან მთელი ამ
ხნის განმავლობაში აშკარად არ გვწყალობდა ბედი. მაგრამ იცი, რას გეტყვი, ჩემო ორიბასი-
ოს, ახლა, როცა სულ სხვა მიზანი მამოძრავებს...

აა, მაქსიმე!
მამსინე (ტრამალიდან მოღის). ლაშქარი უკვე დაიძრა, მბრძანებელო, ცხენზე შეჩქეი.
იულიანო, კი მაგრამ, მისნობაზე არაფერს მეთყვი?
მამსინე, ებ, ეს თუ მისნობაა?.. ნურაფერს მკითხავ.
იულიანო, მითხარის მინდა ვიცოდე, მაინც როგორია პასუხი.
მამსინე, თუკი პასუხი ეთქმის სამარისებურ ღუმილს.

იულიანო, ღუმილს?
მამსინე ქურუმებთან ვიყავი; სამსხვერპლო ზვარაკის შიგანზე ვერაფრის ამოკითხვა ვერ
შესძლეს არც ის ეტრუსკელი ოინბაზები დამვიწყნია: ვერც მათ მითხრეს რაიმე ურინველთა
ურენის მიხედვით. მოგვებთანაც გახლდი: არც მათი წერილი იძლევა პასუხს და თვით მეც...

იულიანო თვით შენც, მაქსიმე?
მამსინე ახლა შემიძლია ყველაფერი გითხრა, წუხელის ციურ მნათობთა უროიერთგანლა-
გებას ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერც მათ მამცნეს რაიმე.

იულიანო ასე რომ, არავითარი ნიშანი... მხოლოდ ღუმილი... სამარისებური ღუმილი...
თითქოს მზეც ჩაქრობას აპირებს! სულ მარტო დავრჩი, ჩაინგრა ხიდი ჩემსა და სულდების
სამყაროს შორის.

სადა ხართ ახლა, ჩემო თეთრო, ჩემო ფრთამალო, იალქნებმოედვარე ხომალდებო, მზის
სხივებით წაღვეილ უსასრულო სივრცეში რომ დაცურავდით და ცნობები მიმოგქონდათ მიწა-
სა და ცაშ შორის?

სამართა ხომალდებიც დაიწვა და სულის ხომალდებიც! ო, ჩემო თეთრო, სხივცისკროვანო
ხომალდებო!

აა, მაქსიმე, ამაზე რაღას იტყვი?
მამსინე, მე შენი მჭერა.
იულიანო, მართალი ხარ, უნდა გჯეროდეს!

მამსინე, სამყაროულმა ნებამ შენ მოგანდო თავისი ძალმოსილება; მიტომაყ ღუმს.
იულიანო დიახ, ასე განვმარტოთ ეს და ამ განმარტების მიხედვით ვიმოქმედოთ... თუ-
ცა უშჯობესი იქნებოდა... ო, ეს ღუმილი! რა საშინელია მარტო დარჩენა?!

თუცა არიან სხვებიც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ჩემსავით მარტონი არიან, გალი-
დეველები მათ ერთი ღმერთის მეტი არაუინა მყავთ, ერთი ღმერთი კი გინდ გუოლია და
გინდ არა.

მაგრამ რითი შეიძლება იმისი ახსნა, რომ ისინი დღითი დღე?..
ანატოლიოსი (ესე ზედამხედველობითაც სვედლის მკველებში ამსობაში იმპერატორის
კარავი დახადეს). დროა ცხენზე ამხედრდე მბრძანებელო, აქ ვერ დაგტოვებ.

იულიანო, ახლავე! სადაა ჩემი კეთილქმობილი ბაბილონიოსი? აი, ასე, ხმლით ხელში...
მომყევით, ძვირფასო მეგობრებო!

ყველანი ხელმარჭენიც გაღიან
კაიბასანი, ტვით დაფარული ადგილი, ავებს მოთავს შევი ტბა მოჩანს, შორ, მეთოქრ
რთა უცხოვნება ანთა... მთვარიანი ღამეა; ცაზე სწრაღად მოცუროვენ ღოუბლები წიხ რამ
დენივე ჯარისკაციც დას, აფარაფლიოდ

მეგობრებო და სხვა ქალბავშვები (ჩვენს ამოფარებულნი მღეროან).

წყრომით მობრუნდა ბორბალი ცისა,
უამბა დარეკა ცათა რისხვისა,
მალე წამოვა დელგმა სისხლისა,
რათა წარეცხოს ჩვენი ცოდვანი!



ერთ-ერთი ჯარისკაცი (უფრო უცლებს), სსუ... არ გესმით? გალილეველი ქალები მღეროან.

მეორე ჯარისკაცი. გეგონება, კოტები კივიან. ან უვავები ურანტალებენო.

მესამე ჯარისკაცი. მე კი ნეტა მათ მიმაკედლა. უფრო უშიშრად ვიგრძნობდი თავს. გალილეველთა ღმერთი უფრო ძლიერია ჩვენს ღმერთებზე.

პირველი ჯარისკაცი. საქმე ისაა, რომ იმპერატორმა განარისხა ღმერთები: რამ მოაუქრა ღმერთების ადგილას დაეყენებინა თავი?

მესამე ჯარისკაცი. მეტიც, მან განარისხა გალილეველთა ღმერთი. არ გაგიგიათ? ამ ბოზენ, ამ რამდენიმე ხნის წინათ, ღამით, თავის ქაღალქებთან ერთად მუცელი გაუქო ფეხმძივ ქალს, რათა მის შიგანზე ემკითხავო.

პირველი ჯარისკაცი. გაგებით კი გავიგე, მაგრამ არ მჯერა. უოველ შემთხვევაში, ის ქალი ბერძენი კი არა, რომელიმე ბარბაროსის ცოლი იქნებოდა.

მესამე ჯარისკაცი. ამბობენ, გალილეველთა ღმერთი ბარბაროსებსაც მფარველობსო და თუ მართლა ასეა, მაშინ ვაი ჩვენი ბრალი.

მეორე ჯარისკაცი. ნუ გეშინიათ, იმპერატორი დიდი მეომარია.

პირველი ჯარისკაცი. აღბათ არც საპორია ნაკლები.

მეორე ჯარისკაცი. როგორ გვონია, სპარსელების მთელი ღაშქარი ჩვენ წინააღმდეგ მოდის?

პირველი ჯარისკაცი. ზოგი ამტკიცებს, ეს მხოლოდ მეწინავე რაზმებიაო, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცის.

მესამე ჯარისკაცი. ნეტავი გალილეველების მხარეს ვიყო.

პირველი ჯარისკაცი. განდგომას ხომ არ აპირებ?

მესამე ჯარისკაცი. განა ცოტა ქარისკაცი განდგა... ამ ბოლო ხანს?

პირველი ჯარისკაცი (სიბნელეში გაჰყვიროს). სდექი ვინ მოდის?

ხმბ. მეგობრები ვართ.

ჩვენს შორის გამოჩნდებიან ჯარისკაცები, რომლებმაც კაპალაქელი აბათონი მოკლავთ.

მეორე ჯარისკაცი. ოჰო-ჰო! გაქცევა უნდოდა?

ერთ-ერთი ჯარისკაცი მოსულთა შორის. არა, ჭკუაზე შეიშალა.

აბათონი. ვინ მოგახსენა? თუ ღმერთი გწამთ, გამიშვით!

იგივე ჯარისკაცი ახალმოსულთა შორის. იძახის, შეიდთავიანი მხეცი უნდა მოვკლაო.

აბათონი. დიახ, დიახ, დიახ! უნდა მოვკლა! ხომ ხედავთ ამ შუბს? იცით, ეს რა შუბია? ამ შუბით მოვკლავ შეიდთავა მხეცს და კვლავ დავიბრუნებ ჩემს სულს! ასე აღმიტყვა ქრისტემ. ნუჩელ გამომეცხადა....

პირველი ჯარისკაცი. როგორც ჩანს, შიმშილმა და დაღლილობამ გონება აურია.

მეორე ჯარისკაცი ახალმოსულთა შორის. ბანაკში წაიყვანეთ. გამოიძინოს.

აბათონი. გამიშვით! რომ იცოდეთ, ეს რა შუბია!

ჯარისკაცებს ხელმარჯვენე გაჰყავთ.

მესამე ჯარისკაცი. რაო, შეიდთავა მხეციო?

პირველი ჯარისკაცი. რას გაუგებ ამ გალილეველებს. რამდენი სიტყვააა, იმდენი საიდუმლო აქვთ.

მარჯვნიდან შემოდის მსაჯულთუხუცესი ევფერიოსი და იმპერატორის ექიმი ორიბასნიოსი.

ევფერიოსი. არსადა ჩანს?

ორიბასნიოსი. არა... აა, ქარისკაცები? მეთხარით, მეგობრებო, აქეთ ხომ არავის გამოუვლია?

პირველი ჯარისკაცი. რამდენიმე შუბოსანმა ჩაიარა.

ორიბასნიოსი. კეთილი, სხვა ხომ არავინ შეგინიშნავთ? რომელიმე დიდებული?... ან მხედართმთავარი?

ჯარისკაცები არა, არაფერ.

ორიბასიოსი მაშასადამე აქ არ არის. ეს როგორ მოგივიდა, ევფერიოს?..

ევფერიოსი. რა მექნა?... სამი ღამეა თვალი არ მომიხუჭავს...

ორიბასიოსი. ძებნაში უნდა დაგვეხმაროთ. მთავარსარდლის სახელით გიბრძანებთ, რა?

შე შედით და თუ რომელიმე დიდებულს მოჰკრავთ თვალს, დაუყოვნებლივ აცნობეთ მცვე-
ლებს, აი, იქ!



ჯარისკაცები. შენი ბრძანება შესრულებული იქნება, ბატონო ჩვენო!

ტყეში მიმოიფანტებიან. ძალე ხეებს შორის გამოჩნდება იმპერატორი იულიანო, რაღა-
ცას აყურადებს და აქვთ-იქვით აცეცებს თვალებს. მერე შებრუნდება და ვილაცას ნიშანს აძ-
ლებს.

იულიანო სსუი აქეთ, აქეთ, მაქსიმე! ვერ დაგვიანებ.

მაქსიმე (იწვევს მხრიდან გამოდის). ერთი მათგანი ორიბასიოსი იყო.

იულიანო. დიახ, ის და ევფერიოსი ჩემს უკველ ნაბიჯს უთვალთვალებენ. მათ მგონიათ
რომ მე... შენთვის ხომ არაფერი უთქვამთ?

მაქსიმე. არა, ჩემო იულიანე! კი მაგრამ, რატომ გამაღვიძე? რა საქმე გაქვს ამ შუალა-
მისას?

იულიანო. მინდა უკანასკნელად გესაუბრო პირისპირ, ჩემო ძვირფასო მოძღვარო.

მაქსიმე. არა, რატომ უკანასკნელად, იულიანე?

იულიანო. შეხედე ამ შავ წყალს. რას იტყვი, უკვალოდ რომ გავქრე და ჩემი ასავალ-
დასავალი ვერვინ გაიგოს, როგორ გგონია. შეთხზავენ თუ არა ლეგენდას, თითქოს პერმენი
ჩამოვიდა და ცაში ამიტაცა, რათა ღმერთების ხომალში დავესვი?

მაქსიმე. შორს აღარაა ის დრო, როცა ადამიანებს აღარ დასჭირდებათ სიკვდილი.
რათა ღმერთებისგან იცხოვრონ დედამიწაზე.

იულიანო. მე სამშობლო მენატრება და მიტომაც ვკმუნავ, მაქსიმე... სინათლე, მზე, ვარ-
სკვლავები მენატრება.

მაქსიმე. ოო, გაფიცებ, ნუ მიეცემი მაგ მკნუნვარე ფიქრებს! შენ წინაშე სპარსელთა
ლაშქარია. ხვალ დიდი ომი იქნება. შენ გაიმარჯვები...

იულიანო. მერე... იცი, ვინ გამომეცხადა ამ ერთი საათის წინ?

მაქსიმე. ვინ?

იულიანო. ჩემს კარავში ტახტზე მივწევი და ჩამეძინა. უეცრად აღიხფერმა შუქმა იფეთ-
ქა; მიუხედავად იმისა, რომ ქუთუთოები დახუჭული მქონდა, თვალები მომჭრა და გამომე-
ღვიძა თვალი გავახილე და გარკვევით დავინახე, რომ კარავში ვილაცა იდგა. თავზე გრძელი
მონახსნაში წამოეხურა, რომელიც ნაოკებად კეცილი ჩამოჰფენოდა ორსავე მხარეს, სახე კი
ღია მქონდა.

მაქსიმე. იცანი?

იულიანო. დიახ, ეს იყო იგივე სახე, რომელიც დიდი ხნის წინათ ვიხილე სინათლის წრე-
ში... ის ღამეს, როცა მე და შენ ორ წვეულებთან ერთად ეუსხედით სუფრას ეფესში.

მაქსიმე. სამეფოს სული!

იულიანო. მას შემდეგ ერთხელ კიდევ გამომეცხადა გალიაში... გამომეცხადა იმნაირ ვი-
თარებაში, რომლის გახსენებაც არა მსურს.

მაქსიმე. თუ გითხრა რამე?

იულიანო. არა. თითქოს გამოლაპარაკება კი უნდოდა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.
უძრავად იდგა და თვალს არ მაშორებდა. ფერმკრთალი სახე მქონდა. ზედ უჩვეულო მწუხა-
რება აღბეჭდვოდა. უცებ ორივე ხელით ჩამოიწია თავსაბურავი, სახეზე ჩამოიფარა, ფეხაკრე-
ფით გაიარა კარავი და გაუჩინარდა.

მაქსიმე. გადამწყვეტი ბრძოლის დრო დადგა.

იულიანო. დიახ, როგორც ჩანს, დადგა.

მაქსიმე. მხნედ იყავი, იულიანე! გაიმარჯვებს ის, ვისი ნებაც ურევია.

იულიანო. კი მაგრამ, რას მოიხვეჭს გამარჯვებული? რა მოიგო ალექსანდრე მაკედონე-
ლმა? ან იულიუს კეისარმა? ბერძნები და რომაელები გულგრილი განცვიფრებით იგონე-
ბენ მათ საგმირო საქმეებს, მაშინ როდესაც გალილეელი, უბრალო ხუროს ძე, სათაყვანებე-
ლი მეთუფნსავით სუფევს და წარუვალი სიცოცხლით ცოცხლობს ადამიანთა მხურვალე, რწმე-
ნით ანთებულ გულელებში.

ნეტა სადაა ახლა? კვლავინდებურად თუ აგრძელებს თავის საქმეს მას შემდეგ, რაც გო-
დგოთაზე მოხდა?

ამას წინათ სიზმარში ვნახე. მესიზმრა, ვითომ მთელი დედამიწა დავიმორჩილე. ვბრძანე, მიწის პირისაგან წარებოცათ თვით გალილეველის ხსოვნა, და ჩემი ბრძანება შესრულებული იქნა. მაშინ მოვიდნენ სულელები და მემსახურებოდნენ მე; ფრთები მიამაგრეს ჩემს მხრებს და მე დაჯქროდი უსასრულო სიერცეში. სანამ სხვა მიწას არ დავაღვი ფეხი.

არა, ეს არ იყო ჩემი მიწა. არამედ გაცილებით უფრო დიდი იყო მის შემოთ ლივლივე-ბდა უფრო ნათელი. მოცვითალო შექვი, მის ირგვლივ კი ბრუნავდა არაფერი, არამედ რამდენიმე მთვარე.

სიზმარი

შე გადმოვხედე იქიდან ჩემს ხაყუთარ მიწას, კეისრის მიწას, რომელიც გალილეველისაგან გავწმინდე, და დავრწმუნდი, რომ კარგზე კარგი იყო ყველაფერი, რაც გავაკეთე.

მაგრამ, მაქსიმე, ჩემ გვერდით ამ უცხო მიწაზე ჩაიარა უცნაურმა ხალხმა. წინ მეომრები, მსაჯულები და ქალათები მიდიოდნენ. ბოლოში კი — მოზარე ქალები. ხოლო ნელი ნაბიჯით მომავალი ბრბოს შუაში მიდიოდა თვით გალილეველი; ცოცხალი იყო; ჭვარი მიჰქონდა მხრებით. მე შევძახე: „საით, გალილეველო?“ ხოლო მან თავისი სახე შემოაბრუნა ჩემკენ, გამიღიმა, ნელა დახარა თავი და თქვა: „ოხების აღვილისავენ.“

სად არის ახლა? ვინ იცის, იქნებ რაც მაშინ იერუსალიმში, გოდგოთაზე მოხდა, მხოლოდ პატარა, უმნიშვნელო პროვინციული ამბავი იყო, თითქმის შეუმჩნეველი შემთხვევა, მოცლილობისას გზაზე მომხდარი, დიადი სამყაროული შემოვლის დროს? იქნებ ის კვლავინ დებურად მიდის და მიდის, გამუდმებით გადადის ერთი მიწიდან მეორეზე, კვლავინდებურად ევნება და, ჭვარცმული, კვლავაც იმარჯვებს? ო, რომ შემეძლოს დავარბიო და იავარჯყო მთელი სამყარო! მაქსიმე, ნუთუ არ არსებობს იმნაირი საწამლავი, ანდა ყოვლის შთანმთქმელი ცეცხლი, ერთბაშად რომ გაავლოს მუსრი ყველა ქმნილებას და კვლავ იმად აქციოს მთელი სამყარო, რაც იყო იმ დღეს, როცა ეული სული იქცეოდა წყალთა ზედა?

მაძსინემ მეთვალყურეთა მხრიდან უვირილი ისმის. წავიდეთ, იულიანე...

იულიანე, წარმოვიდგენია? საუკუნეებს მოჰყვებიან საუკუნენი, და მთელი ამ უსასრულო დროს მანძილზე იცხოვრებენ ადამიანები, რომლებსაც ეცოდინებათ, რომ მე ქედი მოვიხარე მან კი იმძღავრა!

არ მინდა ქედის მოხრა! მე ახალგაზრდა ვარ... მოუწყველელი... შესამე სამეფო ახლოა... (წამოიძვინება).

აი, აქ დგას!

მაძსინემ, ვინ? სად?

იულიანე, ვერ ხედავ? აგერ იქ, ხეებს შორის, ეულის ვირგვანით, სისხლიანი კვართით...

მაძსინემ, ეს მხოლოდ მთვარე არეკლება წყალში. წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო იულიანე!

იულიანემ (უტყარით უტყვე მოჩვენებას), განვედ ჩემგან! მკვდარი ხარ, მკვდარი დასრულდა შენი სუფევა. ძირს ტაკიშასხარის ტალავარი! შენ გეუბნები, ხუროს ძვე!

მანდ რას აკეთებ? რასა კრავ? რას უკაკუნებ?... ა!...

ეფფერიოსი (მარცხნიდან), მადლობა უკვდავ ღმერთებს! ორიბახიოს... აქეთ, აქეთ!

იულიანე, სად წავიდა?

ორიბახიოსი (მარცხნიდან), მანდ არის?

ეფფერიოსი, დიახ... ო, ჩემო სათაყვანებელო იმპერატორო!

იულიანე, ვინა თქვა, კეისრის კუბოსა ვკრავო?

ორიბახიოსი, რას ამბობ, მბრძანებელო?

იულიანე, ვინა თქვა-მეთქი? მე გეკითხებით... ვინა თქვა, კეისრის კუბოსა ვკრავო?

ორიბახიოსი, გვედრები, ბანაკში დაბრუნდი, მბრძანებელო!

შორიდან საზარელი ყვირილი ისმის.

მაძსინემ, მეომრები ყვირიან! სპარსელები თავს დაგვესხნენ!

ეფფერიოსი, შეწინავე რაშმები უკვე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ!

ორიბახიოსი, მტერი უკვე ბანაკს მოადგა. შენ კი უიარაღო ხარ, მბრძანებელო!

იულიანე, მე მინდა მსხვერპლი შევწირო ღმერთებს.

მაძსინემ, რომელ ღმერთებს, უფუნურო? სად არიან ისინი, ან რანი არიან?

იულიანე, მე მინდა მსხვერპლი შევწირო ერთთაც და მეორეთაც! მე მინდა მსხვერპლი შევწირო ყველას! ერთი მაინც შეისმენს ჩემს ვედრებას. მე მინდა ეუბნო მას, ვინც ჩემს გარეთაა და ჩემზე მადლთა...

ორიბახიოსი, ახლა ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება!

იულიანე, აი, დაინახეთ?, ანთებული ჩირაღდანი თუ დაინახეთ ღრუბლებს მიღმა? ანა-

ზღუდად ანთო და ჩაქრა კიდევ. სულელების სამყარო ნიშანს მადლევს სხივოსანი ხომალდ კვლავ გზას ადგას ცასა და მიწას შუა... ჩემი ფარ-ხმალი!

იულიანო აწრავი ნაბიჯით გადის ხელმარჯვნივ: ივანე იოსელიანი და ორიბალიოსი შუა მისდევენ.



ნატალია (მოსაზრება) იმპერატორო, იმპერატორო, ამაღამ ერთდ ბრძოლას (ხელმარ-ქრქუნული)

გრცული ტრამალი. შორს სოფელი ჩანს. მოღრუბლული დილაა. ტრამალი ბრძოლის ველად გვეუღა. ისმის ყვირი და ხმლები ჩახაჩუბი. წინა მხარეს ერთმანეთს ებრძვიან სპარსული მომსარნი და რომაელი შუბოსნები ამიანეს მეთაურობით.

ანიანო. ახე! დაპკათი წინ! სროლის საშუალება არ მისცეთ!
მთავარსარდალი ნიმიტა (მარჯვენა მხრიდან გამოჩნდება ამაღამ თანხლებით). როგო-რაა საქმე, ამიანე?

ანიანო. ცხენოსანთა მავშელი რაზმები არსად ჩანან, ბატონო ჩემო!
ნიმიტა. რა ექნათ? სპარსელებმა სპილოები წაიძვდვარეს წინ. მართო მათი დანახვაც კი თავზარს სცემს და აფეთებს ცხენებს... მიდით, მისცხეთი აძგერეთ, სამკერდულს ქვემოთ აძგერეთ, მეგობრებო!

სოფისტი კიტრონი (ალამური სამოსის ამარა, წიგნებითა და გრაგნილებით დატვირ-თული შენობის მარჯვნიდან). ვაი ჩემი ბრალი, რა მინდოდა ამ ჯოჯობეთში?

ნიმიტა (თავის მხლებლებს). მგონი შედრკენენ ახლა ფაროსნები მიუშვით!
კიტრონი. არ მისმენ, ბატონო ჩემო? მე რომ რამე მიმივიდეს, ვინ აგებს პასუხს? ჩემი თხზულება - „სულის სიმშვიდისათვის რთულ ვითარებაში“ ჯერ კიდევ არ დამისრულებია...

ნიმიტა (ფწინდებურად). სპარსელებს მარჯვენა ფრთაზე მავშელმა მოუსწროთ ისევ გვიტყვენ!

კიტრონი. გვიტყვენ? ო, ეს სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლეტის შმაგი წყურვილი. ისა-რმა ზედ ყურთან გამიზუზუნა! რა საზიზღრად ისვრია? ვინ დაგიდევს სხვის სიცოცხლეს და სიმატლეს? (ხელმარჯვნივ გარბის).

ნიმიტა. ბრძოლის სასწორი არც იქით იხრება და არც აქეთ! (ფრომენტინუსს, რომელიც მავშელი რაზმით შემოღდა მარჯვენა მხრიდან). ებეო, იმპერატორისათვის ხომ არსად მოგიკ-რავს თვალი?

ფრომენტინუსი. დიახ, ბატონო ჩემო, თეთრი მხედრების რაზმით იხრძვის!

ნიმიტა. ხომ არ დაჭრილა?
ფრომენტინუსი. მოუწყვლელი ეგონება კაცს. სადაც უნდა გამოჩნდეს, ისრები და შუ-ბები თითქოს გზას იმრუდებენ.

ანიანო (მებრძოლთა რიგებიდან ყვირის). სად არის მავშელი, სად? დიდხანს ვეღარ გა-ვუძლებთ!

ნიმიტა. წინ, ჩემო მამაცო ფრომენტინუს!
ფრომენტინუსი (ჯარისკაცებს). შევიკრათ, ძმანო ბერძნებო, და დედა ვუტიროთ მტერს! (ამიანეს რაზმის საშველად მიუშურება; ბრძოლა კოტა შორს გადაინაცვლებს).

ანატოლიოსი (რამდენიმე სხეულია მცველის თანხლებით შემოღდა მარჯვენა მხრიდან). იმპერატორი აქ ხომ არ არის?

ნიმიტა. იმპერატორი? განა შენ არ გაბარია მისი სიცოცხლე?
ანატოლიოსი. ცხენი მოუყლეს... ისეთი საშინელი ზედახორა დადგა, რომ... ვერასდიდე-ბით ახლოს მისვლა ვერ შევძელი.

ნიმიტა. აა!... შენი აზრით... ხომ არ დაშავებულა?
ანატოლიოსი. არა მგონია, ყვიროდნენ. ცოცხალიაო, მაგრამ...

მთავარსარდალის ამაღლის შუბრები. აი, ისიც! აი, ისიც!
მარჯვნიდან უაბჯროდ და უმუზარადოდ, მარტოოდნ ხმლისა და ფარის ამარა შემოღდა იმპერატორი იულიანო, საიმპერატორო გვარდიის რაზმის თანხლებით.

იულიანო. კიდევ კარგი, რომ გნახე, ნევიტა!
ნიმიტა. აჰ, ჩემო მბრძანებელო... უაბჯროდ?!... ასეთი გაუფრთხილებლობა გაგონილა?

იულიანო. აქ, ამ ადგილას, ვერავითარი იარაღი ვერას დამაკლებს, მაგრამ წინამძღოლო-ბა შენთვის გადმომიბარებია, ნევიტა. წადი! მე ცხენი მომიკლეს!

ნიმიტა ჩემო იმპერატორო, ესე იგი, მაინც დაშავდი?
იულიანო. არა, მხოლოდ თავით დავასკდი მიწას... კოტა არ იყოს, თავბრუ მეხვევა-წადი, წადი... ამას რა ვხედავ? ეს რა უცნაური ბრბოები შემოიჭრნენ ჩვენს რიგებში?..

ნომიტა (ხმადაბლა): ანატოლიოს, იმპერატორის სიცოცხლისათვის შენ აგებ პასუხს! ანატოლიოსი. დამშვიდებული ბრძანდებოდ, ბატონო ჩემო!

ნომიტა თავისი ამალითურად ხელმარჯვენოვ გადის. ბრძოლა სულ ვფრო და ვფრო მეტად შორდება წინა ნაწილს.

იულიანო, როგორ გგონია ანატოლიოს, ბევრი ხალხი დაეცარა?

ანატოლიოსი, როგორც ჩანს, მბრძანებელი მაგრამ დარწმუნებული სპარსელებს კიდევ უფრო მეტი დაეღუპათ.

იულიანო, ღია, ღია, მაგრამ მაინც ბევრი ბერძენი და რომაელი დაეცა ბრძოლის ველზე. რას იტყვი, ანატოლიოს?

ანატოლიოსი, ცუდად ხომ არა ხარ, მბრძანებელო?.. ისეთი ფერი გადევს სახეზე...

იულიანო, ხომ ხედავ იმ უბედურებს, აი, იქ რომ წვანან, ვინ გულაღმა, ვინ კიდევ პირკვევ?.. ყველა მკვდარია, არა?

ანატოლიოსი, ღია, მბრძანებელო.

იულიანო, ყველა მკვდარია!.. მაშასადამე, აღარც იერუსალიმში მომხდარი მარცხი ახსოვთ და აღარც სხვა რამ უბედურება... როგორ გგონია, კიდევ ბევრი ბერძენი დაეცემა ამ ბრძოლაში, ანატოლიოს?

ანატოლიოსი, იმედი უნდა ვიქონიოთ, მბრძანებელო, რომ ყველაზე სასტიკი შეტევა უკვე მოვიგერიეთ.

იულიანო, ბევრი დაეცემა-მეთქი, ძალიან ბევრი! მაგრამ ესტე ცოტაა, რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბევრი დაეცემა? შთამომავლობა მაინც გაიგებს.

მითხარი, ანატოლიოს, შენი აზრით, როგორ წარმოედგინა იმპერატორ კალიგულას ის ხმალი?..

ანატოლიოსი, რომელი ხმალი, მბრძანებელო?

იულიანო, ვითომ არ იცი?.. მას სურდა აქონოდა ისეთი ხმალი, რომ ერთი მოქნევით...

ანატოლიოსი, გესმის? საომარი უიჭინა თუ გესმის მბრძანებელო? ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ სპარსელები უკან იხევენ.

იულიანო (აყურადღებ): ეს რა სიმღერაა?

ანატოლიოსი, მბრძანებელო, ნება მიბოძე ორიბასიოსს ვუხმო... ანდა უმჯობესია, წავიდეთ აქედან, შენ ავადა ხარ.

იულიანო, მე გეუბნები, სიმღერა გესმის-მეთქი! შენ კი არ გესმის?

ანატოლიოსი, თუ ასეა, მაშინ ნამდვილად გალილეველები...

იულიანო, ღია, რა თქმა უნდა, გალილეველები მღერიან... ჰა-ჰა-ჰა! ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან და ვერ ხედავენ, ვინა დგას მოპირისპირე მხარეს. ო, თქვე შედეგებო! სადაა ნევიტა? თუ სპარსელებს ებრძვის, რად ებრძვის? ნუთუ ვერ ხედავს, რომ სპარსელები როდი არიან ჩვენი მოსიასხლე მტრები? ყველანი მყიდით, მლაღატობთ!..

ანატოლიოსი (ჩუმად, ერთ-ერთ ქარისკაცს), ბანაკში გავარდი იმპერატორის ექიმს დაუძახე.

ჯარისკაცი, ხელმარჯვენოვ გადის.

იულიანო, ეს რა ურიცხვი ურდოებია?.. როგორ გგონია, ანატოლიოს, ვითომ დაგვიანებს?

ანატოლიოსი, ვინ, მბრძანებელო? სად?

იულიანო, ნუთუ ვერ ხედავ?.. იქ, შორს, ჩვენ ზემოთ! სტყუი! მშვენივრად ხედავ!


ანატოლიოსი, უკვდავ ღმერთებსა ვფიცავ ეს მხოლოდ დილის ნისლია; უკვე თენდება...

იულიანო, მე კი გეუბნები, გალილეველთა ურდოებია-მეთქი! შეხედე, აგერ ისინი, მოწით მონიერებული სამოსი რომ მოსავთ, მოწამენი არიან, ასე უწოდებენ მათ. გარს მომღერალი ქალები შემოხვევიან, თავიანთი ხელით დაგლეჯილ თმას ღამბებად რომ აბამენ მშვილდზე. მათ მოსდევენ ბავშვები, თავიანთი გადმოყრილი ნაწლავებისგან რომ წნავენ შურდულებს... ანთებული ჩირაღდნები!.. მაინც რამდენნი არიან... უთვალავი, უანგარიშო, ურიცხვი! პირდაპირ ჩვენკენ დაიძრნენ! ყველანი მე მიუუბრუნებენ, ჩემკენ მოჰქრიათ!..

ანატოლიოსი, ესენი სპარსელები არიან, მბრძანებელო! გვაფიწროებენ! ჩვენები უკან იხევენ...

იულიანო, არ შეიძლება, ფეხი არ მოიცვალოთ!.. გამაგრდით, ბერძენებო! გასალკდევდით, რომაელებო! დღეს ჩვენ გავათავისუფლებთ სამყაროს!

ბრძოლა კვლავ ახლოვდება. იულიანო ხმაღს იშისვლება და აელჩართულ ბრძოლაში გადაწყვეტა ყველაფი საბჭად რჩებიან.



ანატოლიოსი (ხელმძღვანელებს გააძახის). მომეშველეთ! იმპერატორი საფრთხეშია!
 იულიანე (მებრძოლთა შორის). მე ვხედავ, ვხედავ აი, ისიც უფრო გრძელი ხმალი
 მომეცით, უფრო გრძელი ხმალი
 მარჯვენა მხრიდან შემოჭრილი რაჭმის ჯარისკაცები (მტერს ეკვეთებიან). ქრის-
 ტეს სახელით, კეისარისათვის!

ანატოლი (ახალმოსულთა შორის). ქრისტეს სახელით, ქრისტესათვის! (მტერს ეკვეთებიან)
 სტეფანოსის შუბს, რომელიც მკლავს გაუფლეთა და ფერდში ეათა იმპერატორის
 იულიანე. აა... (შუბის წვერს ჩაიფრინდება და ფერდიდან ამოგლეჯას ცდილობს, მაგრამ
 ხელს გადაისერავს, ხმამაღლა შეჰყვირებს და ეცხმება).

ანატოლი (ხმამაღლა გაჰყვირებს ბრბოში). რომაული შუბი, გოლეოთიდან ჩამოტანილი
 (უიარაღო შეიჭრება ხელჩართულ ბრძოლაში და იქვე ეცხმება, სპარსელებს შერ განგმირული!
 არეულ-დარეულობა, სასოწარკვეთილი ყვირილი იმპერატორის ლაშქარში: იმპერატორი
 იმპერატორი დაჭრეს!)
 იულიანე (ფეხზე წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ხელახლა ეცხმება და ყვირის). შენ გაი-
 მარჯვე, გალილეველი!

ხმები. იმპერატორი დაეცა!
 ანატოლიოსი. იმპერატორი დაჭრილია! დაიფარეთ, მკერდით დაიფარეთ, უკვდავი ღმე-
 რთების სახელით! (თავგანწირული გადაეშვება ბრძოლაში და ცდილობს გზა გადაუღობოს სა-
 ფრისოდ დაძრულ სპარსელებს.)
 გონებაშიხდილი იმპერატორი განზე გაჰყავთ. იმედროულად ბრძოლის ველზე გამოჩნდე-
 ბა იოვიანე. რომელიც თავის რაზმებს მოუძღვის წინ.

იოვიანე. წინ, წინ, ჩემო მორწმუნე ძმებო! მივაგოთ კეისარს კეისარისა!
 უკვდავი ჯარისკაცები (ყვირალით გაბზან მისკენ). კეისარი დაეცა! მოკლეს!.. კეისარი
 მოკლეს!
 იოვიანე. მოკლეს?! ო, ყოვლისმძლე უფალო ჩვენო, რომელიც დასჯი ორგულთი.. წინ!
 უფალო ნებავს, რომ ცოცხლობდეს მისი ერთი ვხედავ, განიხვინე ცანი და ცეცხლისმფრქვე-
 ველი ხმლების დაბლაპით გადმოვიდნენ ანგელოსები..

მკრისტიანე ჯარისკაცები (გაშმაგებით ეკვეთებიან მტერს). ჩვენთან არს ქრისტე!
 ავიანეს რაჭმის ჯარისკაცები. ჩვენთან არს გალილეველია ღმერთი! შემოკრებით მის
 გარშემო წინ გვიძღვის მძლეობაშლე და უძლეველი!
 გაფთრებული ბრძოლა. იოვიანე თანდათანობით აფიჭრებს მტერს რიგებს. სპარსელები
 ბი უთავბოლად გარბიან. მზე ამოდის.
 იმპერატორის კარავი. კარავს კალთა ჩამოშვებულია. მზიანი დღეა. იმპერატორი იული-
 ანე უფონოდ ააფენია სარეცელზე. მარჯვენა ფერდი, მკლავი და მხარი ნებვეული აქვს. სარე-
 ცელთან დგანან ქონი ორიბასიოსი, მატრინე და ივფერინოსი; ცოტა მოშორებით — ბასნი-
 ლი კეისარიველი და სოფინსტი პრისპუსნი; სარეცლის ფერდით — მატრინე.
 მატრინე. სისხლმა კვლავ გამოჟონა. უფრო მაგრად შევუხვავ-
 ორიბასიოსი. მადლობელი ვარ, კეთილო ქალო. შენი ნაზი, მზრუნველი ხელები ძალიან
 გამოგვადგა.

ივფერინოსი. ცოცხალი თუა მაინც?
 ორიბასიოსი. ცოცხალია. ცოცხალი.
 ივფერინოსი. რომ აღარ სუნთქავს?
 ორიბასიოსი. როგორ არა, სუნთქავს.
 კარავში შეშოლია ანიანე; თან იმპერატორის ფარ-ხმალი მოაქვს; ხმალს დადებს და თვი-
 თონ კარავს კართან ჩერდება.
 პრისპუსნი. ებ, ჩემო ძვირფასო ამიანე, როგორაა ხაქნე იქ, ბრძოლის ველზე?
 ანიანე. უფრო უკეთ, ვიდრე აქ... ხომ არ?
 პრისპუსნი. არა, არა, ჭერ არა... მართალია, სპარსელები უკუვაქციეთო?
 ანიანე. დიახ. მხედართმთავარმა იოვიანემ თხებივით დაიფრინა ბარბაროსები. ეს-ესაა
 მანაკში სამი ელჩი გვეახლა; ხაპორი ზავს ითხოვს.
 პრისპუსნი როგორ გგონია, ნევიტა დათანხმდება?
 ანიანე. ნევიტამ მთავარსარდლობა იოვიანეს გადასცა. კველანი იოვიანეს გარშემო ირა-
 ზმებიან. მასში ხედავენ ერთადერთ მხსნელს...
 ორიბასიოსი. ცოტა ჩუმად; მგონი, შეირხა...
 ანიანე. შეირხა? იქნებ გონსაც მოვიდეს!.. ნუთუ იმასაც უნდა მოესწროს, რომ...
 189

ავფარიოსი. რას, ამიანე?

ამიანე. ქარისკაცებიცა და სარდლებიც ახალი იმპერატორის არჩევას აპირებენ.

პინკა. რას ამბობ?

ავფარიოსი. რა სამარცხვინო სულსწრაფობაა!

ამიანე. ლაშქრობის საშისი ბასილი თითქოს ერთგვარად ამართლებს ამას მაგრამ მაინც...

მაქსიმე. გონს მოდის... თვალი გაახილა...

იულიანე ერთხანს ჩუპად წვეს; ალურბანად მოსჩერებოდა თავს მუცელისკენ.

ორიბასიოსი. მიცანი, მბრძანებელო?

იულიანე. დიახ, ჩემო ორიბასიოს!

ორიბასიოსი. მხოლოდ იცოდე, მშვიდად წოლაა საჭირო.

იულიანე. მშვიდად წოლაო?... ა... კიდევ კარგი, რომ გამახსენე! - ხლავე უნდა ავდგე!

ორიბასიოსი. არ შეიძლება, მბრძანებელო გემუდარები...

იულიანე. ახლავე უნდა ავდგე-მეთქი! რა დროს მშვიდად წოლაა? საპორს კუდიო ქვა უნდა ვასროლინო.

ავფარიოსი. საპორი უკვე დავამარცხეთ, მბრძანებელო. ელჩები გამოგწავნა ბანაკში; ზავს ითხოვს.

იულიანე. მართლა? მადლობა ღმერთს... ის მაინც დავამარცხე!

მაგრამ არავითარი ზავი! მინდა მთლიანად გავსრისო და გავანადგურო! კო, მართლა, სადაა ჩემი ფარი? ნუთუ დავკარგე?

ამიანე. არა, ჩემო იმპერატორო... აი, აგერ შენი ფარ-ხმალი...

იულიანე. აა, ჩემი მრავალნაცადი ფარი! მადლობა ღმერთს, რომ ბარბაროსებს არ ჩაუვარდა ხელში. მომეცით, მკლავზე მოვირგო...

მაქსიმე. ო, მბრძანებელო, ახლა ის მეტიხმეტად მიმივა შენთვის.

იულიანე. ა, ეს შენა ხარ? მართალს ამბობ, ჩემო ღვთისმოსავო, ცოტა არ იყოს, მართლა მიმივა... გვერდით დამიდგე. მინდა თვალი შევავლო... ამას ვის ვხედავ? ამიანე!.. ახლა შენა ხარ ჩემი სხეულის მცველი? კი მაგრამ, ანატოლიოსი რა იქნა?

ამიანე. ანატოლიოსი აწ უკვე ნეტართა კუნძულების მკვიდრია, მბრძანებელო.

იულიანე. მოკლეს? ჩემი გულისთვის დაეცა ბრძოლის ველზე?.. მაშ, უკვე ნეტართა კუნძულის მკვიდრია? კმ...

კიდევ ერთი შეგობარი დავკარგე. ემ, ჩემო მაქსიმე... არა, დღეს სპარსეთის მეფის ელჩებს არ მივიღებ. მათ მხოლოდ დროის მოგება სურთ. არც ზავს დავიანხმდები. მინდა ბოლომდე ვისარგებლო გამარჯვებით. დაშქარი კვლავ კტესიფონისაკენ აიღებს გეზს.

ორიბასიოსი. ახლა ეს შეუძლებელია, მბრძანებელო! შენი ქრილობები ხომ არ დაგავაწყდა?

იულიანე. ჩემი ქრილობები მალე შეიკრავს პირს. თქვი, ხომ შპირდები, ორიბასიოს?

ორიბასიოსი. უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეა საჭირო.

იულიანე. რა სამწუხაროა. რალა მაინცდამაინც ახლა, როცა ამდენი მნიშვნელოვანი საქმეა მოსაგვარებელი? ნევიტას ხომ ვერ მივანდობ? ამ შემთხვევაში ვერც მას ვენდობი და ვერც სხვა ვინმეს, ყველაფერი მე თვითონ უნდა გადავწყვიტო... არადა, მართლა ცუდადა ვარ ბედი არ გინდა? მითხარი, ამიანე, რა ბჭვია იმ დაწყვეტილ ადგალს?

ამიანე. რა ადგალს ჩემო მოწყალეო იმპერატორო?

იულიანე. სადაც მე სპარსელებმა შუბით დამჭრეს?

ამიანე. გალმა მდებარე სოფლის — ფრიგიის სახელი ბჭვია...

მაქსიმე. აი...

იულიანე. რაო?... რა თქვი?..

ამიანე. ფრიგია ბჭვია, მბრძანებელო, ისევე, როგორც მის მახლობლად მდებარე სოფელს...

იულიანე. ემ, მაქსიმე... მაქსიმე!

მაქსიმე. მომატყუებს! (მოსასხამს აიფარებს სახეზე და სარეცლის ფერხით მიწაზე ეშვება.)

ორიბასიოსი. რამ შეგაკრთო, ჩემო ძვირფასო იმპერატორო?

იულიანე. არაფერია... ისე... ფრიგია? ახლა კი მესმის.. ნევიტას აღბათ მაინც მოუწევს საქმის ხელში აღება. წადი და უთხარი მასაც და სხვებსაც...

ამიანე. მბრძანებელო, ისინი უკვე შენი სახელით...

იულიანო. უყვე?.. თუმცა პო. რა თქმა უნდა კეთილი და პატიოსანი. სამყაროულმა ნე-
ბან მზაკვრულად მაცოუნა, მაქსიმე!

ნაპრინო. მბრძანებელი, ჭრილობამ პირი გაიხსნა.

იულიანო. რად მიმაღავდი, ორიბასიოს?

ორიბასიოსი. რას გიმაღავდი, ჩემო ძვირფასო მბრძანებელი?

იულიანო. იმას, რომ მალე უნდა დაგტოვოთ. რატომ აღრევე არ მითხარი?

ორიბასიოსი. ო, ჩემო იმპერატორო!

ბასილი. ანსაბინელი. იულიანო... იულიანე! (კეთილი ჩაიკეცებ სარეველთა).

იულიანო. ბასილი, ჩემო ძმავო და მეგობარო... რა ბედნიერი დღეები გვიტარებია ერთად.

ნუ სტირით, ასე ახალგაზრდა რომ გტოვებთ. როდესაც ღმერთები ნაადრევად გაიხმობენ
კაცს ამ სოფლიდან, ეს უოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ მტრულად არაა
განწყობილნი. რა არის სიკვდილი? სხვა არაფერი, თუ არა ხარკის გაღება მტრის მარად წა-
რმავალი სამეფოსათვის. ფუჭია დრტვინვა. განა თვითველი ჩვენგანი არ ეტრფის სიბრძნეს?
ხოლო სიბრძნე გვასწავლის ჩვენ, რომ უზენაესი ნეტარება ხორცის კი არა, სულის სიცოცხ-
ლესთანაა წილნაყარი? ამ მხრივ გალილეველები მართალი არიან, თუმცა... მაგრამ, მოდიო-
მოვეშვათ ამას. სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგე ძალებს რომ ცოტა მეტი გულუხვობა გამოეჩი-
ნათ და ერთი პატარა ოხულებების დამოავრების საშუალება მოეცათ ჩემთვის, ექვი არ მე-
პარება, რომ ბოლოს და ბოლოს შევძლებდი...

ორიბასიოსი. ო, ჩემო მბრძანებელი, ამდენი ლაპარაკი ხომ არ დაგლღის?

იულიანო. არა, არა... ისე კარგად ვგრძნობ თავს...

ბასილი. იულიანე, ჩემო ძვირფასო ძმავო. მითხარი, არაფრის დაბრუნებას არ ისურვებდი?

იულიანო. ჭეშმარიტად, არაფერი ამგვარი არ მახსენდება.

ბასილი. მაშ, არაფერს ნანობ, იულიანე?

იულიანო. არაფერს... მე ვიცი, რომ, ჩემი შეგნებისა და შეძლებისამებრ, გონივრულად
ვიყენებდი იმ ძალას, რომელიც განგებამ თუ გარემოებამ მომანდო და რომელსაც ღვთიური
ძალმოსილების ანარეკლად უნდა ვთვლიდეთ. მე არა მსურდა, არც არასდროს მისურვია რა-
მე ბოროტი, არც ვისიმე უბედურება. ამ ლაშქრობას თავისი გონივრული და გასამართლებე-
ლი საბაბიც მოეძებნება, ხოლო თუ ვინმეს მაინც მგონია, რომ ვერ გავანართლე ეველა იმედი,
რასაც ამყარებდნენ ჩემზე, დაე, ნუ დაივიწყებს იმ იდუმალ ძალებსაც, რომლებზედაც უმე-
ტესწილად დამოკიდებულია ადამიანური მცდელობისა და ძალისხმევის ეველა შედეგი.

ნაპრინო (ორიბასიოსს). გესმის, რა მძიმედ სუნთქავს?

ორიბასიოსი. მალე ხმაც უდალატებს.

იულიანო. ჩემი მენკვიდრის არჩევაზე ვერაფერს ვიტყვი... ჩემი ქონება ევფერიოსმა გაე-
ნაწილოს იმათ, ვინც ეველაზე ახლო იყო ჩემთან... ბევრი არაფერი მრჩება, ვინაიდან უოველ-
თვის იმ აზრისა ვიყავი, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსი... რა ბდება? მზე უკვე ჩადის?

ორიბასიოსი. არა, ჩემო იმპერატორო, დაღამებამდე ჯერ დიდი დროა.

იულიანო. საკვირველია მომჩვენა, თოქოს უცებ დაბნელდა...

ო, სიბრძნე... სიბრძნე! არასოდეს განუდგე სიბრძნეს, ჩემო კეთილო პრისკუს! მაგრამ
უოველთვის ფრთხილად იყავ იმ რაღაც აუხსნელი მიმართ, რომელიც ჩვენ გარეთაა...

მაქსიმე წავიდა?

ნაპრინო. არა, ძმავო ჩემო!

იულიანო. ენლი ნიშრება, რა იქნება, რომ...

ნაპრინო. წყალი? მხოლოდ ორიოდ 'ყლუბი, მბრძანებელი! (ბაგეებთან მიუტანს თასს).

ორიბასიოსი (ჩველხლით, მაკრინეს). სისხლი ჩაექცა.

იულიანო. ნუ სტირით! ნურც ერთი ბერძენი ნუ დამიტირებს... ვარსკვლავებს შევფერ-
ოლები.

მშვენიერი ტაძრები... ქანდაკებები... მაგრამ რა შორსაა.

ნაპრინო. რას ამბობს.

ორიბასიოსი. არ ვიცი: მე მგონი, ბოდავს.

იულიანო (თვალებდაბჯკული). აღექსანდრემ შეძლო ტრიუმფით შესულიყო ბაბილონ-
ში... იქნებ მეც... მონხიბლავი, ფოთლებისა და ევაილების გვირგინით უბღმეშეყული ქაბუ-
კები... მოცმეკვავე ქალიშვილები... მაგრამ რა შორსაა, შორს...

მშვენიერი მიწა... მშვენიერი სიცოცხლე, მიწიერი, ამქვეყნიური! (ფართოდ გაიხეღს
რვალებს).

ო, მზეო, მზეო, რატომ მომატყუე მე?.. (ეღება).





ორიბასიოსი (მცირე ხმას დუმილის შემდეგ) გათავდა.
პარავსი მყოფნი მოკვდა... მოკვდა
ორიბასიოსი დიახ, მოკვდა.
ბასილი და მაკრინე მუხლს მოიყრიან და ლოცულობენ. ევფროსის გლოვის ნიშნად მო-
სახსნის კალთას წამოიფარებს თავზე. შორიდან ბუკნაღარისა

ქრისტეშვიდი
ბინდოქიძე

უვირილი ბანაკიდან. გაუმარჯოს იმპერატორ იოვიანეს!
ორიბასიოსი გესმით, გესმით?
ამინი. მხედართმთავარი იოვიანე იმპერატორად გამოაცხადეს!
მატსიმე (იციანის). გალილეველი იოვიანე! დიახ, დიახ... დიახ!
ორიბასიოსი. რა სამარცხვინო სულსწრაფობაა! ისიც კი არ იციან, რომ...
პრისაუსი იოვიანე... ეს ძღვევამოხილი გმირი, ჩვენი მხსნელი? იმპერატორი იოვიანე
ქრესმარტად ხოტბის ღირსია! იმედია, ამ ცბიერმა კიტრონმა ვერ მოასწრო და... (სასწრაფოდ
გაღიხ.)
ბასილი. ვერ კიდევ არ გაცხადებულა შენი სხეული, რომ უკვე დაგივიწყეს. და ამ უხანო
დიდებაზე გაცვალე სულის უკვდავება?
მატსიმე (ღგება). იულიანეს სულიხათვის პახუხს აგებს სამყაროს ნება!
მაკრინე. ღმერთს ნუ სცოდავ; თუმცა მართლა გაუვარდა მიცვალებული...
მატსიმე (ცხედარს უაღლოვდება). მოუვარდა და ვაცოუნე... არა, მე არა...
ის ცოუნებულ იქნა, როგორც კენი. ცოუნებულ იქნა, როგორც იუდა... თქვენი ღმერთი
მფლანგველი ღმერთია, გალილეველნი! რამდენ სულს ხარჯავს?
მაშ, ამქერადაც არ იყავი ქრესმარტი, აუცილებლობის მსხვერპლი?
ღირს კია მაშინ სიციცბლე? ევლაფერი ფუჭი თამაშია მხოლოდ და მხოლოდ. ბინდოქ.
დეს — ნიშნავს ძალაუნებურად ბინდოქდეს...
ო, ჩემო ძვირფასო, ყველა ნიშანმა მომატეუა; ყველაფერი ორქოფული ენით ლაპარაკო-
ბდა, და მე მომეჩვენა, რომ სწორედ შენ უნდა უოფილიყავი ორი სამყაროს შემრიგებელი!
მესამე სამეფო მოვა! ადამიანის სული კვლავ დაიბრუნებს თავის სამკვიდროს! და მა-
შინ მსხვერპლს შესწირავენ შენი და შენს ნალიმზე წვეული ორი სტუმრის ცოდვების გამო-
სახსიდად! (ნიღბს.)
მაკრინე (ღგება, გაფიქრებული). ბასილი. ჩახვდი ამ წარმართის სიტყვებს?
ბასილი. ვერა. მაგრამ უფერად მომეფინა დიდი ნათელი, და მე ცხადად, თვალნათლივ
ვხედავ, რომ ჩვენ წინაშეა მშვენიერი, დამსხვრეული საჭურველი უფლისა.
მაკრინე. დიახ, ქრესმარტად ძვირფასი, მშვენიერი საჭურველი!
ბასილი. კრისტე, კრისტე, სად იყო შენი ხალხი, რომ ვერ ხედავდა აშკარა ნიშანს შე-
ნას? კეისარი იულიანე საჭურველი იყო შენი რისხვისა, საჭურველი, რომელსაც სიკვდილი
კი არ მოჰქონდა ჩვენთვის, არამედ აღდგომა.
მაკრინე. საშინელია ღვთიური არჩევანის საიდუმლო! რა ვიცით ჩვენ?...
ბასილი. ხომ ითქვა: „ზოგ ქურტულს ზელენ სირცხვილისათვის, ზოგსაც — დიდებისა-
თვის!“
მაკრინე. ო, ძმაო, ნუ ჩავუღრმავდებით აზრით ღვთაებრივი სიბრძნის ამ უფსკრულს
(ცხედარს თავზე ატრება და თვალუბს უხუტავს.)
სულთ ცთომილთ ადამის ძისა, თუკი ზეგარდმო გეწერა ცთომა, ეს უცილობლად შეგე-
რაცხება შენ იმ დიად ღღეს, როცა მძღვეთამძღვე მსაჭული მოვა თვიაი დიდების ღრუბლით.
რათა განიკითხოს ცოცხალი მკვდრები და მკვდარი ცოცხლები..



თარგმნა ვახტანგ ხარჩილაძემ

უნგრელი პოეტი ქალი — ჰაინა ლკა ბაბირაძე —
სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, —
ეუფლება ქართულ ენას. მისი დისერტაციის თემა იქ-
ნება: „უნგრული და ქართული ლიტერატურების ურ-
თიერთობათა საკითხები“.

საქართველოში წავიდოდი...

საქართველოში წავიდოდი, საქართველოში,
ველურ მთებზე რომ გადამეფრინა.
მახსოვს თვალები: შიგ გიზგიზა ცეცხლი
გეფინა,
მე იმ თვალების შესახებდად,
იმ ველურ მთებთან შესახვედრად,
საქართველოში წავიდოდი, საქართველოში.

ვესტუმრებოდი კვლავაც თელავს
და შენს ტალავერს,
ვაზის ფოთლებში დასამალავად.
გავუსინჯავდი გემოს შენს ყურძენს,
დაგილოცავდი კერას და ფუძეს.
საქართველოში წავიდოდი, საქართველოში,
შენი ჭიდან წყლის ამოსაღებად,
ლოქიდან ჩამოსასხმელად,
მცხუნვარე მზის ქვეშ დასადგომად,
„მრავალუამიერის“ გასაგონად,
საქართველოში წავიდოდი, საქართველოში.

ჩემს კოცნას სიტყბო რომ ჰქონოდა
იქაურ ლედვის,
ჩემს ტანს მიმოხვრა რომ ჰქონოდა
ლერწმის და ვერხვის.
ცის ხელისგულზე,
სადაც თეთრი დგას ალავერდი,
მეთქვა, რაც მქონდა შესახვეწი და შესავედრი.

საქართველოში წავიდოდი, საქართველოში,
რომ მიმეტანა თმისღერივით წვრილი სანთელი
წმინდა გიორგის საკურთხეველთან.



საქართველოში წავიდოდი,
სადაც რეკს გრემის
ზარი, რომელიც ბოხბშიანი ძმა არის ჩემი.
ის შემისრულებს ყველა თხოვნას და ყველა
სურვილს:
თავის შენს მხარზე დაყრდნობას,
შენი ცხელი ხელის ხელში იღებას,
შენთან ერთად სიმღერას.
ჭირშიც და ღვინშიც ერთად ყოფნას, ერთად წვალებას,
ერთად სიცოცხლეს, მერე ერთად გარდაცვალებას.

საქართველოში წავიდოდი, საქართველოში,
მოვილოცავდი ქართლის მთა-ველს, ნათლით შემოსილს.
შენი გიტარის ასაულერებლად,
შენი გიტარის ასალეღვებლად
და შენი ზამთრის გასაფურჩქნად
საქართველოში წავიდოდი, საქართველოში.

ანთია გულში თმისღერივით წვრილი სანთლების
ალი, გვიღიმის წმინდა გიორგი.
შენ ხარ საუნჯე, ჩემი ვანძი მანდ შენახული,
შენ ხარ ტაძარი, მე შორჩილი შენი მსახური:
მე ყველა წმინდანს შევთხოვ, ყველა ლექსსა და სტრიქონს,
მიშველეთ რამე, წამიყვანეთ საქართველოში
და დამეხმარეთ, სიყვარული ვიწამო დმერთად,
მე ვიყო მასში, სამუდამოდ ის იყოს ზემთან.

საქართველოში წავიდოდი, საქართველოში,
ველურ მთებზე რომ გადამეფრინა.
მახსოვს თვალები: შიგ გიზგიზა ცეცხლი გეფინა,
მე იმ თვალების შესახედად,
იმ ველურ მთებთან შესახვედრად
საქართველოში წავიდოდი, საქართველოში...

რაონის მონასტერი

ისმის ბლავილი შესაწირ კრავის
და ჩირაღდანთა გიზგიზებს ალი.
ტაძრის კედლებზე სანთლების ცრემლი —
წმინდანთა სახის ფარდა თუ რიდე.
მე მინდა ვიყო მხევალი შენი,
დილა-საღამოს შენს ეზოს ვგვიდე.

ქვევით თეძამი მოჩუხჩუხებს,
 თითქოსდა ჩემსკენ
 იჩქარის, რათა დავანდეს ჩემში
 და სისხლის ნაცვლად ძარღვებში ჩადგეს.
 ხმელი ბალახის სურნელება დამათრობელი
 და შემოდგომის ყრუ გუგუნო,
 უძალო სითბო.
 შორს, ფერდობებზე მიტოვებულ სახლების
 ჩონჩხი.



რა ბრწყინვალეა ეს მარტოობა!
 ან ეს სიჩუმე როგორ ხმაურობს!
 ან როგორ მთოშავს ეს სითბო, ღმერთო,
 ასე ნაცნობი და ასე უცხო.
 თითქოს იქ ვიყო, ჩემს ქვეყანაში
 და ბარდები მუჭში მიყრიდნენ
 თაფლივით ეოლოს,
 შვინდსა და ასკილს.

მეძახის, მიხმობს ქვევით მდინარე,
 რომ შემიტყუოს თავის გრილ და შმაგ საპეცელში.
 მეძახის, მიხმობს თრიალეთის მთების სიჩუმე,
 მისი ბორცვები — დედაჩემის მკერდის ბორცვები,
 ისეთი რბილი და მახლობელი.
 როგორ მაყრეოლებს სიხარული,
 რომ ცოცხალი ვარ,
 თეძმის ბრჭყვიალა, ცელქ ტალღებში შევდგაფუნდები
 და მიკრავს გულში ეს ბუნება — ჩემი მამული,
 შევდივარ მასში,
 თითქოს მშობელ სახლში ვბრუნდები.

კახეთის დილა

გამაბრუებელ სიზმრებში მხვევს კახეთის ღამე,
 შეფერება და მესალბუნება.
 მერე კი გაჭკვეთს სივრცეს მჭახე ყვირილი მამლის
 და გაიღვიძებს ირგვლივ ბუნება.

დროს ხომ თავისი წესრიგი აქვს, ჩვენ ვერას შევცვლით:
 — უნდა გათენდეს და გაირღვეს მთვარის ლებანი.
 ო, მოიცადე ჯერ, ამირან, მოიცდის ცეცხლი,
 გზას გიღობავენ წყალი, ქვა და მოჩვენებანი.

ჩემს ხელისგულზე თრთის გამხმარი ვარდის ფურცელი,
 ვით გარდასული სიყვარულის მკრთალი ნიშანი.
 ბედნიერება რატომ არის ასე უმწეო
 და იმავე დროს უძლეველიც და უშიშარიც.

იენდება. აქრობს ჩემს დღეს დილა და მე ლატაკი
და განძარცული ვიმოსები შავი წისლებით.
შენ ნუ დამინდობ: დამაბრმავე, დამწვი, დამდავე,
მაგრამ გახსოვდეს: უკვდავია ჩემი სიზმრები.



გრემის ზარი

წამომეწია მისი ხმა გზაში,
თითქოს ვიღაცამ ჩამკიდა ხელი.
ისე მჩატე ვარ და გამჭვირვალე,
როგორც ნალველში ნაქსოვი ცრემლი.

ელერს იგი ჩემში, ბორგავს და კვნესის,
ვით გარდასული დღეების ეჭო.
მე ვარ სამრეკლო, რომ გრემის ზარმა
ამ სამრეკლოში რეკოს და რეკოს.

გადმოდის ველებს, ტყეებს და ქედებს,
მიახლოვდება თანდათან იგი
და მეც რეკვა ვარ და ღრუბელ-ღრუბელ
ჩემს მონატრებულ ჯუფთისკენ მივჭრი

კვლავ თელავი

ნაირ-ნაირი საზეიმო ფერით მოსილი
შორით კახეთის ჩანან ბორცვები.
და ალავერდის ფრესკებიდან ძირს ჩამოსული
ჩვენსკენ მოფრენენ ანგელოსები.

ბრწყინავს გომბორი შემოდგომის დაღალულ შზეზე
და გახვეულა უჩვეულო აღში დაისი.
ჩემს ხილაბანდსაც ჩამოვკიდებ ამ ნატკრის ხეზე,
ამ ქრელ ჩიტებში ელურტულვებდეს ისიც ხალისით.

თაფლივით ღვინო. კერიიდან ამდგარი ბოლი
ცრემლებს დაგტყუებს, შეგეცვლება უცებ გუნება.
ჩრდილი გადირბენს შენს სახეზე შორეულ ხსოვნის,
თელავს იგონებ ალბათ, დამეს და იმ ცოფრებას...

ეს სიხარული რატომ მტკივა, სულისდგმავ ჩემო,
რატომ მახარებს შემოდგომის ქელეხი ნეტავ?
ალბათ იმიტომ, რომ ვუსინჯავთ, ძვირფასო, გემოს
უკანასკნელად მომავლის ნექტარს.



ყრანგულიანი

თარგმნა შალვა პოპონია

„ოჰ, ძვირფასო ქალბატონო,
ამ ტანჯვაში არ დამტოვო“, —
რა ხანია ქერუბინო მღერის —
ოჰ, ძვირფასო ქალბატონო,
ამ ტანჯვაში არ დამტოვო“...
ჩემს გონებაში მთელი ღამე გაჰქონდა ჟღერა
ნაცნობ მოტივს და ვით ვეწამე — ნეტავ იცოდეთ...
დამნაშავე ვარ, თუმც იმედი არ მტოვებს ჯერაც —
— შემეშველება ხელი — თქვენ რომ გამომიწოდეთ.
მე, უსაქმური, ბოჭემას და ღამაზ თქმას ვეძმე
და ხშირად ლექსი არის ჩემი არსობის პური.
მრავალთაგანის მოტყუებულს არვინ მყავს შემწე,
ღაბბერებულვარ ნაადრევად ცხოვრების მდგმური.
იაფფასიან მეგაზეთეს, ლატაკს, ეჭვიანს,
შვება წიგნებში მიპოვია, მოყვასთან — ვერა...
ამქვეყნად იმედგაცრუება მომიხვეჭია...
თქვენს მოწყალეებადარ ვღირვარ, — არც წყალობის მჯერა...
ო, მეპატიოს, რაც ყოფილა ჩვენს შორის წყენა...
— თუმცა მე თქვენი წერილების გავიგე ენა,
თქვენი ღრმა ჭკუა პირდაპირ და მოკლე გზით მიდის —
თქვენ ვალს მოითხოვთ! — ახირება ამაზე დიდი
არ გაუგია ჯერჯერობით მოკვდავის სმენას...
მაგრამ რას იზამ — თუ ვალია — გადავიხდიდი.
წერილები და ქალღმერთები თქვენ გერგოთ წილად,
ამიერიდან აქ ყველაფერს ჯვარი ესმება...
გათოშილ ვალამს ცივ ზამთარში არ ელექსება,
კერაში — ცეცხლი აღარ არის, სარკმელში — შინა...
ვაკიდურწები — ჯოჯობეთში თუ ცათა შინა...
იმქვეყნად — სადაც ცოცხალთაგანს არ შეესვლება.
და კიდევ — სანამ ხელს კალამი ემორჩილება,
— თქვენ გიძღვნით ჩემს ამ უკანასკნელ, საწყალ ქმნილებას —

სონეტს — ჩაფერფლილ შთაგონებას რომ დავესესხე,
მაგრამ გუგულმა სტვენა სუსხში აღარ იწება...
და სილატაკე მიმახინჯებს აზრსა და ლექსებს.



ვაკიტაფია

ხან სიხარული, ხან ნალველი ბედმა არგუნა
ვნებებს და უქმად ხეტიალსაც იყო ნაჩვევი,
ხან არვის ჰგავდა, ხან სხვებისგან ვერ გაარჩევდი,
ბოლოს სიკვდილმა მასაც კარზე მიუკაკუნა.

სკამი მიართვა სიკვდილს — თავად კი გახელებით
და ნაჩქარევად ჩაამთავრა სონეტის ბოლო,
როს გაუსწორა ანგარიში კეთალს და ბორბოტს —
მან დაიკრიფა ჯვარედინად გულზე ხელები.

ეჰ, სული მისი სიზარმაცით სცოდავდა ხშირად,
ხშირად მელანიც სამელნეში ჩაანახშირა,
შეიცნო ცოტა, იტაცებდა თუმცა მრავალი...

და ზამთრის იმ დღეს — როს ძახილი მალლით ჩაესმა,
როს ამქვეყნიდან გამოიხმო უზენაესმა,
„რისთვის მოვედი?“ — ჩურჩულებდა ცად მიმავალი...



რომანი. ინგლისურიდან თარგმნა,

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

წინასიტყვაობა

„უღიანეს“ მეტორმეტე ეპიზოდის კომეროსისეული ანალოგია „ოდისეა“ მეცხრე წიგნა, სადაც მოთხრობილია ოდისეესის „სტუმრობა“ ცალთვალა ციკლოპებთან, როგორც თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ჯოისისათვის მეტად პირობითი მნიშვნელობა გააჩნია ამ რემინისცენციას. თუმცა უნდა ითქვას, რომ პაროდირებული პარალელები აშკარად საცნაურია: ირლანდიელი ნაციონალისტი „მოქალაქისა“ და ბლუმის ურთიერთდამოკიდებულებაში. არის ისეთი ცალკეული ეპიზოდები, როგორიცაა ღუმელების მწმენდავის მიერ თავისი ჯაგრისის უხერხულად ტარება ქუჩაში, რაც ადამიანებს თვალის გამოთხრობით ემუქრება (ოდისეესი თავს დაადგევს კაციკამია ციკლოპს იმიტომ, რომ ერთადერთ თვალს გამოსთხროს). და, რაღა თქმა უნდა, „ოდისეას“ აშკარა პაროდიაა „მოქალაქის“ მიერ ანტისემიტური აღტკინების მომენტში გატყორცნილი თუნუქის კოლოფი, რომლითაც ბლუმის მოკვლას აპირებს (თვალგამოთხრობილი ციკლოპის მიერ ლოდის გატყორცნა ოდისეესის გენის დასამსხვრევად).

როგორც ჯოისის ერთ-ერთი უახლესი მკვლევარი პოლ ვან კასპელი აღნიშნავს, მეტორმეტე ეპიზოდი თავის საკუთარ თავსატეხ პრობლემებს უქმნის მთარგმნელს. პირადად მე ორ ძირითადს დავასახელებდი:

ჯერ ერთი, ეპიზოდში შემოყვანილია ახალი „ანონიმური“ მოთხრობელი, რომლის ვინაობა სრულიად გაურკვეველია. მისი რეპლიკების რემარკაა „ამბობს მე“. ამ რემარკაში თითქოს შერწყმულია რომელიღაც „ყოველიანცოდნე“ ტიპური დუბლინელის მიერ მოვლენათა ხედვის კუთხე და მისადმი ავტორის დისტანციური, ობიექტური, „ცივი“, კლასიკური ლიტერატურისაგან პრინციპულად განსხვავებული მიმართება (ამბობს მე).

მეორე „თავსატეხი პრობლემა“ იმ სტილისტური კლიშეების პაროდირება, რასაც ასე შეჩვეული იყო მაშინდელი მკითხველი. ეს პაროდირები ძირითადად ლიტერატურის, ფოლკლორის, საგების, სასამართლო პროცესის, საზეიმო შეკრებილობის, სპორტული სანახაობის კომენტარების ენის, სტილური გარემოს ვიქტორიანულ ირლანდიაში გაბატონებული მანერის ხშირად კომიკურ-სატირული ფორმით წარმოდგენაში გამოიხატება.

ასეა თუ ისე, „ციკლოპებს“ „დამოუკიდებელი სიცოცხლე“ გააჩნია, ისევე როგორც „უღიანეს“ ყველა თერამეტ ეპიზოდს.

მეთორმეტე ეპიზოდი

ზიდექი ჩემთვის არბორ ჰილის კუთხეში და დუბლინის პოლიციის მთავარი სამმართველოს ბებერ ტროის ვემუსაიფებოდი იმ დაწყველილმა ბუხრის მწმენდავმა რომ ჩამოიარა და კინალამ თვალში მატაკა თავისი მოწყობილობა. მივუბრუნდი ორიოდე მაგარი სიტყვა რომ მიმეყოლებინა და როგორ ფიქრობთ ვინ დავინახე სტოუნი ბეტერზე მოყიალე თუ არა ჯოუ ჰაინზი.

— უყურე შენ, ჯოუ, ამბობს მე. რასა იქ, როგორ ხარ? ის ოხერი საკვამურების მწმენდავი დაინახე, თვალი კინალამ რომ გამომთხარა თავისი ჯაგრისით?

— ბედი არ გინდა, თქვა ჯოუმ. ვინ იყო ის გამოქლიავებული, შენ რომ ელაპარაკებოდი?

— ბებერი ტროი, ამბობს მე, პოლიციაში მოუშაობდა. ძლიერ ვიყავი თავს არ ვუჩივლო მაგ ვაჟბატონს თავისი ცოცხები და კიბეები რომ გაასრობა ქუჩაზე.

— ამ ადგილებში რას აკეთებ, ამბობს ჯოუ.

ქართულში
გინგულითქვა

— ბევრ რალაცებს, ამბობს მე. ერთი გაიძვერა ოხერი ქურდბაცაცაა გარნიზონის ეკლესიის უკან ჩიკენ ლეინის კუთხეში — ბებრუხანა ტროი სწორედ ახლა მიკაკლავდა რალაცებს მასზე — ღმერთმა უწყის რამდენი ჩაი და შაქარი აუწაპნავს კვირაში სამი შილინგით დააჯარიმეს თქვა მიწა აქვს სოფელ ადგილის დაუნში ერთი ციციქნა სახელად მოუზის პერზოგი იქვე პეიტსბერის ქუჩაზე.

— წინდაცვეთილი! ამბობს ჯოუ.

— მაშ, ამბობს მე. თანაც მაგარი ვინმე, ბებერი ქოფაკი გვარად ჯერაგტი. ეს ორი კვირაა ამოსუნთქვის საშუალებას არ ვაძლევ და მაინც ერთი პენიცვერ გამიგდებინებია.

— მაგ ვაივაგლახში ხარ ახლა? ამბობს ჯოუ.

— მაშ, ამბობს მე. ვითარ დაეცნეს ძლიერი იგი ბრძოლასა! საექვო ვალების ამკრეფი. ყველაზე ცნობილი გათახსირებული ყაჩაღია რომელსაც კი დღისით მზისით გადაეყრები და ისეთი ღრმა ნაყვავილარი სახე აქვს კოკისპირულ წვიმას დაიგუბებს. გადაეცით, ამბობს ის, ერთი არაფერი მინდა გაბედოს, ამბობს ის, აიღოს და გაბედოს რომ კიდევ გამოგზავნოს და თუ გაბედა, ამბობს ის, მე მას სასამართლოში ვუჩივლებ, ღმერთმანი ვუჩივლებ, უნებართვოდ ვაჭრობისათვის. და ეს მას შემდეგ, რაც გასკდომამდე ამოიხორა ფაში. ღმერთო დიდებულო, მე კი მეცინებოდა პატარა ურიკუნა სიბრაზისაგან რომ იფხრიწებოდა. ჩემ ჩაის სვამს, დაგენაცვლე, ჩემ შაქარს თოხლავს და მაყუთის გადახდაზე უარს რაღად ამბობს, დაგენაცვლე?

არალპობადი საქონლისათვის, რომელიც შეძენილ იქნა მოუზის პერზოგისაგან, მცხოვრები სეინტ კევინ პარეიდ 13-ში, ვუდის სანაპიროზე, ვაჭრისაგან, რომელიც ამას იქით მოიხსენიება როგორც გამყიდველი, და მიჰყიდა და მიუტანა მაიკლ ე. ჯერაქტის, ესკუაირს, მცხოვრები არბოურ პილის 29-ში, ქალაქ დუბლინში, ერანის სანაპიროზე, ჯენტლმენს, რომელიც ამას იქით მოიხსენიება როგორც მყიდველი, სახელდობრ, ხუთი გირვანქა ევერდიუპოიზ² პირველი ხარისხის ჩაი გირვანქა სამ შილინგად ზუსტად და სამი სტოუნი ევერდიუპოიზ შაქარი, ნატეხი, გირვანქა ევერდიუპოიზ სამ პენად, ზემოხსენებულ მყიდველს მართებს ზემოხსენებული გამყიდველისა ერთი გირვანქა სტერლინგი ხუთი შილინგი და ექვსი პენი, რომელიც ზემოხსენებულმა მყიდველმა უნდა გადაუხადოს ზემოხსენებულ გამყიდველს კვირაში ერთხელ ყოველ კალენდარულ დღეს ზუსტად სამი შილინგი სტერლინგი: და ზემოხსენებული არალპობადი საქონელი არ შეიძლება დაგირავდეს ან გაიყიდოს ან რამენაირად განადგურდეს ზემოხსენებული მყიდველის მიერ არამედ უნდა დარჩეს ერთადერთ და ერთპიროვნულ საკუთრებად ზემოხსენებული მყიდველისა, რომელიც მას შეუძლია მოიშოროს როცა კი მოესურვება სანამ ზემოხსენებული თანხა სათანადოდ არ ჩაბარდება ზემოხსენებულ გამყიდველს ზემოხსენებული მყიდველისაგან ისე როგორც ეს დღეს აქ დადგინდა ერთის მხრივ ზემოხსენებულ გამყიდველსა, მის მემკვიდრეთა, საქმის გამგრძელებელთა, ნდობით აღჭურვილ პირთა და უფლებაგადაცემულთა და მეორეს მხრივ ზემოხსენებულ მყიდველს, მის მემ-

უღიბ სახეს კალათები, ისპანახის გოგროხები, ანანასის ჭინები, გრძელ-გრძელი
ნესვები, გოდრობით პომიდორი, ლელვის ზიმბილები, დიდრონი რაღოგამები,
მრგვალ-მრგვალი კარტოფილი და ბლომა მოღალანე კომბოსტო, ლიბანა და კა-
ლნაბი, ხაზვის ფალები, მიწას მარგალიტები, სოკოთი გავსებული გოგროხები და
ავოკადოები და მსხვილი ცერცველა და ქერი და რაფსი და წიფელი და სხვა-
თელი ყვეისფერი ყვავილი ტკბილი დიდი მწარე მწიფე გრეიპფრუტისხელა ვაშლე-
ბი და ხენდროს ბოყვები და ხურტკმელის ხოკერები, ცვრიანი და ხაოიანი, და
მარწყვი უფლისწულთა საკადრისი და ყუნწსახლადმოწყვეტილი ყოლოები.

აილოს და გაბედოს, ამბობს ის, და თუ გაბედა, გამობრძანდი, ჟერაგტი,
შე, ოხერო მთა-ბარის ყაჩაღო!

და გზითა ამათა ვიდოდნენ ურიცხვი ნახირი და ფარა და რემა და გუნდი
ყოჩთა და უყოლო ცხვართა და ტარიგთა და გარეულ ბატთა და მოხვერთა მძა-
მედ მფშვინავ ტარტთა და დოლა ძროხათა და გრძელმატყლიან ცხვართა და და-
სუქებულ საკლავთა და ბატონ კაფის დეკეულთა დაწუნებულ საქონელთა და
დაკოდელ ტახთა და ქოსმენტთა და მრავალ დიდად ღირსგამორჩეულ ღორთა და
ანგურის უშობელთა და უზადო შთამომავლობის ურქებო სახარე ხბოთა, პრიზი-
ორ ფურებთან და რქოსან საქონელთან ერთად: და იქ მუდამყამს ისმის თქარათ-
ქური, კრიახი, ბლავილი, სისინი, ყმუყუნი, ზმუილი, ღრენა, ჭყვიტინი, წკლაპუნი,
ცოხვნა, ლეჭვა ცხვრების და ღორების და მსხვილფეხა საქონლისა ლასკის და
ლაშის და კარიკმაინის საძოვრებიდან და ტომონდის ცვრიან მდელოებიდან, მაკ-
გილიკადის მიუწვდომელი მთებიდან და უძირო ზვიად მდინარე შენონიდან, და
კაიარის მხარის დამრეცი ფერდობებიდან, მოძალებული რძით გატიკნილი მათი
ჩიქნები და ერბოიანი კასრები და ყველის საკვეთები და ფერმერთა ტაგანები
და ბატკნის ბეჭები და მარცვლეულის ბათმანები და მოგრძო კვერცხები, ათა-
სობით, სხვადასხვა ზომისა, თაგვისფერი აქატი.

ასე და ამრიგად ჩვენ კირნანის ბარში შევუხვით და იქ, რაღა თქმა უნდა,
დაგვხვდა მოქალაქე თავის წყვეულ ქოფაკ გერიოუნთან ერთად, კუთხეში მიმ-
ჯდარს დიდი მეგობრული ბაასი რომ გაება საკუთარ თავთან და ზეცას შეჰყუ-
რებდა იქნებ რამე საწრუპავი ჩამოწვეთოსო.

— აგერ ისიც, ამბობს მე, თავის სახარახუროში, თავისი მათარათი და ქა-
ლადების გროვით, სარჩელის საბაბის ქექვაში.

წყვეულმა ქოფაკმა ისეთი ღრენა ამოუშვა რომ დაგზარავდა. ერთი ღვთის
წყალობა იქნებოდა ვინმეს ეს წყვეული ძაღლი რომ მოეკლა. ნამდვილ ამბად
მომიყვანენ თითქმის მთლიანად რომ შეუსანსლა შარვალი სენტრის უბნის პო-
ლიციის წარმომადგენელს, რომელმაც ერთხელ სასამართლო უწყება მიიტანა
ლიცენზიასთან დაკავშირებით.

- შეჩერდი, პაროლი, ამბობს ის.
- ყველაფერი რიგზეა, მოქალაქევ, ამბობს ჯოუ, მეგობრები ვართ.
- გამოიარეთ, მეგობრებო, ამბობს ის.
- შემდეგ თვალს მოისრესს ხელით და ამბობს:
- რა აზრისა ხართ ჩვენს დროებაზე?

ყაჩაღი მემამულეებისა და მთიელი გლეხის საკითხი, მაგრამ ღმერთია მო-
წამე ჯოუ თავის სიმაღლეზე იყო.

- მე მგონი ბაზრები გაძვირდა, ამბობს ის და ჩანგალს ჭელს დაუსვამს.
- მოქალაქე მუხლზე თათს დაირტყამს და იტყვის:
- სხვათა ომებია ამის მიზეზი.

და ამბობს ჯოუ, თან ცერს ჯიბეში იჩრის:

— ეს რუსებია მსოფლიოში რომ სურთ გაბატონდნენ.

— არა, მოდი შენს ანგლობას მოეშვი ჯოუ, ამბობს მე, წყურვილი მკაფავს

ნახევარ კრაუნად რომ არ მივყიდი არავის.

— რას ინებებთ, მოქალაქევ, ამბობს ჯოუ.

— ჩვენებურ ღვინოს, ამბობს ის.

— შენი არჩევანი? ამბობს ჯოუ.

— მეც წინა გამომსვლელს ვეთანხმები, ამბობს მე.

— სამი პინტა, ტერი, ამბობს ჯოუ. იმედია, ძველი გული ძველებურად

ძგერს, მოქალაქევ? ამბობს ის.

— ფეთქავს როგორც არასოდეს, მეგობარო, გერი როგორღაა? მოგებას

ვაპირებთ თუ არა? ჰა?

და ამის თქმაზე იმ წყეულ ბებერ ქოფაკს კისერში ხელი ჩაავლო და, ღმერ-
თმანი, ლამისარია მიაღრჩო.

მრგვალი კოშკის ძირას ლოდზე მჯდარი ფიგურა⁸ ეკუთვნოდა მხარბეჭიან
მკერდგაშლილ მსხვილკიდურა შებლლია ელალთმიან ჭარბად დაჭორფლილ
წვერულვაშმოშეებულ განიერპირიან დიდცხვირა წოწოლათავიან ბოხხმიან
მუხლტიტველა კუნთმაგარ წვივბანჯგვლიან წითურსახიან ჯანიან გმირს. მხრი-
დაფარული იყო, ისევე როგორც სხეულის დანარჩენი ხილული ნაწილები, მოყ-
ღალო-მოყავისფრო მაგარი ბალნის ხშირი ფენით შეფერილობითა და სიუხე-
შით მთის ჯაგს (*Ulex Europeus*) რომ მიაგავდა. ფართო ნესტოები, საიდანაც
ისეთივე მოყღალო-მოყავისფრო ბალანი იყო გამოჩრილი, იმხელა იყო, რომ
მათ მღვიმისებულ ბნელეთში ტოროლა ადვილად დაიბუდებდა. კაი მოზრდილ
კალნაბისხელა თვალეში ცრემლი და ღიმი გამუდმებით ეცილებოდნენ ერთ-
მანეთს. ცხელი სუნთქვის ძალუმი ნაკადი თანაბარი ინტერვალებით მოხეთქდა
მისი პირის უძირო ღრმულიდან იმ დროს როდესაც მისი უზარმაზარი გულის
ჯანიანი ფეთქვა რიტმული რეზონანსით გრუხუნებდა და დედამიწას, მაღალი
კოშკის წვერს და გამოქვაბულის კიდევ უფრო მაღალ კედლებს ათრთოლებდა
და აზანზარებდა.

ახლად გამოქნილი ხარის ტყავის გრძელი უსახელო ქურთუკი ეცვა ფარ-
თო კილტით დაფარულ მუხლებამდე რომ სწვდებოდა ხოლო წელზე თივისა
და ლერწმის სარტყელი ჰქონდა შემორტყმული. ამის ქვემოთ ირმის ტყავის
კუბოკრული შარვალი ეცვა წელის ძაფით უხეშად დაკემსილი. მისი ქვედა კი-
დურები ლიქენისფერ-მეწამულ ბელბრიგანულ თასმებიან კრაგებში იყო მომწყ-
ვდეული, ფეხთ ეცვა მარლში გამოყვანილი ხარის ტყავის უხეში ფეხსაცმელი
იმავე საქონლის ყანყრატოს თასმით შეკრული. სარტყელზე ეკიდა ზღვის კენ-
ჭების კრიალოსანი, რომლის მარცვლები მისი გაფხორილი სხეულის ყოველ შე-
რევაზე ქანაობდნენ და რომლებზეც უხეში თუმც კი ვასაოცარი ხელოვნებით
იყო ამოტვიფრული ძველი დროის მრავალ ირლანდიელ გმირ ვაჟკაცთა და
მანდილოსანთა ტომობრივი გამოსახულებანი, კუხულინი, ასი ბრძოლის კონი,
ცხრა მძევალის ნაიალი, კინკორაელი ბრაიანი, ენდრი მალაქაი, არტ მაკმარა,
შონ ო' ნილი, მამა ჯონ მერფი, იუინ როუ, პეტრიკ სარსფილდი, რედ ჰიუ ო'
დონელი, რედ ჯიმ მაკდერმოტი, სოგართ იოგან ო' გროუნი, მაიკლ
დუაიერი, ფრანსი ჰიგინსი; ჰენრი ჯოი მაკკრეკენი, გოლიათი, ჰო-
რას უიტლი, ტომას კონეფი, პეგ უოფინგტონი, სოფლის მჭედელი, კაპიტანი მუ-



ნლაიტი, კაპიტანი ბოიკოტი, დანტე ალიგიერი, ქრისტეფორ კოლუმბი, ს. ფერნა, ს. ბრენდანი, მარშალი მაკმაჰუნი, კარლოს დიდი, თიობალდ ვულფ ტოუნი, მაკაბელეების დედა, უკანასკნელი მოპიკანი, კასტილიის ვარდი, კარლ გელო-უეიდან, კაცი რომელმაც მონტე კარლოს ბანკი გაძარცვა, კაცი საფარჯოზე, ქალი რომელმაც ვერ მოახერხა, ბენჯამინ ფრანკლინი, ნაპოლეონ ბონაპარტი, ჯონ ლ. სალივანი, კლეოპატრა, სავურნან დილიში, იულიუს კეზარი, ვილჰელმ-სუსი, სერ ტომას ლიპტონი, ვილჰელმ ტელი, მაიკელანჯელო პეისი, მუჰამედი, ლამერმურელი საპატარძლო, პიტერ განდევილი, პიტერ პეკერი, შავგვრემანი როზალინი, პეტრიკ უ. შექსპირი, ბრაიან კონფუციუსი, მერტაგ გუტენბერგი, პატრიცია ველასკეზი, კაპიტანი ნემო, ტრისტან და იზოლდა, უელსის პირველი პრინცი, ტომას კუკი და შვილი, მამაცი ყმაწვილი ჯარისკაცი, არაპ ნა პოგიუ, დიკ ტერპინი, ლუდვიგ ბეთჰოვენი, კოლინ ბონი, უედლერ პილი, ენგუს კულდი, დოლი მაუნტი, სიდნი პარეიდი, ბენ ჰოუთი, ვალენტინ გრეიტრეისკი, ადამ და ევა, ართურ უელზლი, ბოს კროუკერი, პეროდოტე, ჯეკ დევისმკვლელი, გაუტამა ბუდა, ლუდი ვოდაივა, კილარნის შროშანა, ბეილორი ავი თვალი, საბაის დედოფალი, ეკი ნებლი, ჯოუ ნეგლი, ალესანდრო ვოლტა, ჯერემია თ' დონოვან როსა, დონ ფილიპ თ' სალივან ბეარი, წაწვეტილი გრანიტის შუბი ესვენა მის მკლავზე ხოლო მის ფეხთით გაწოლილიყო ძაღლთა მოდგმის ავსული მხეცა. რომლის მძიმე დაბნული სუნთქვა იუწყებოდა, რომ მოუსვენარ თვლებს მისცემოდა, ვარაუდი, რომელსაც ადასტურებდა ხრინწიანი ღრენა და სპაზმური მოძრაობანი, რომელთაც მისი პატრონი დროდადრო აოკებდა პალეოლითური ლოდისაგან უბეშად გამოთლილი გვარიანი კეტის დამაყუჩებელი დარტყმებით.

ამასობაში ტერიმ ჯოუს შეკვეთილი სამი პინტა მოგვიტანა და დმერთმანი ლამის თვალთ დამიბნელდა როცა დავინახე როგორ დაადრო გირვანქა სტერლინგი. ცხადად, ნამდვილად. კოპწია სოვერინი.

- და კიდევ ბევრი მაქვს ამისთანები, ამბობს ის.
- შენ რა, სამოწყალო ქისა გაძარცვე, ჯოუ? ამბობს მე.
- ჩემო თვალის სინათლევ, ამბობს ჯოუ, კეთილგონიერმა წევრმა¹⁰ მომიწოდა ეს გაცვეთილი ოხუნჯობა.

— ვნახე სანამ შეგხვდებოდი, ამბობს მე, პილ ლეინსა და გრიკ სტრიტზე დაშლაპუნობდა, თვალებს გაფაციცებით სულელურად აცეცებდა, იმას ანგარიშობდა რასაც წყალი არ გაუვიდოდა

ვინ მიალაჯებს მიყანის მიწაზე, თაღს აბჯარ-იარალასხმული? თ' ბლუმს, როჯერის ძე: ის არის, ის. შიში არ იცის როჯერის ძემ: კეთილგონიერმა სულმა.

— პრინსეს სტრიტის ბებრუნანა, ამბობს მოქალაქე, სუბსიდირებული ორგანო¹¹, პირობადათქმული პარტია პარლამენტში. ერთი შეხედეთ იმ უაზრო ხვარს. შეხედეთ, ამბობს ის. აირიშ ინდებენდენტ, ასე განსაჯეთ, პარსელის მიერ დაარსებული როგორც მუშაკაცის მეგობარი. უსმინეთ დაბადებისა და გარდაცვალების განცხადებებს ყველაფერი ირლანდიური დამოუკიდებელი ირლანდიისათვის, და მადლობას მოგახსენებთ და ქორწინებებს.

- და იწყებს მათ კითხვას:
- გორდონი, ბარნფილდ კრესენტი, ექსეტერი, რედმეინი იფლიდან, სენტ ენს თნ სიი: ცოლი უილიამ ტ. რედმეინისა, შვილი, ეს როგორადაა? რიტი და ფლინტი, ვინსენტი და გილეტიროთა მეტიონს როზა და აწგანსვენებული

ჯორჯ ელფრიდ გილეტის ქალიშვილი, 179 ჩეპქემ როუდი, სტოკეველი, პლეივუ-
დი და რიდსდეილი სენტ ჯიუდისას, კენზინგტონზე ლირსი დოქტორ ფორესტის
მეურ., ვუსტერის დეკანის. ჰა? გარდაცვალებანი. ბრისტოლ. უაიტჰოლმ ლეინ-
ზე, ლონდონში: კარი, სტოუკ ნიუინგტონი გასტრიტისა და გულის მანკისაგან:
კოკბერნი, მოატ ჰაუზში, ჩეპსტოუ... უაიტჰოლმ ლეინ

— ვიცი ეგ ცუდი სენი, ამბობს ჯოუ, მწარე გამოცდილებებზე...

— კოკბერნი, დიმზი, დევიდ დიმზის ცოლი, ერთდროს ადმირალიტეტ-
თან დაახლოვებული პირი: მილერი, ტოტენჰამი, ოთხმოცდახუთი წლის ასაკში:
უელში, 12 ივნისი, 35 კენინგ სტრიტი, ლივერპული. იზაბელა ჰელინი, ეკად-
რება ეს ეროვნულ პრესას, ჰა, ჩემო ქიანთარო! ეკადრება ეს მარტინ მერფის,
ბენტრელ ჩალიჩას?

— ერთი მაგათი, ამბობს ის და დასალევს ჩამოარიგებს. ჩამოასხი, ერთიც
უნდა დავლით. ერთი დაგვილიე, მოქალაქეე.

— გეახლებით, ამბობს ის, ღრმად პატივცემულო ბატონო.

— გაგიმარჯოს, ჯოუ, ამბობს მე. ყველას გაგვიმარჯოს.

აჰ! ოჰ! ნუ ლაპარაკობთ! მთლად დავობდი მაგ პინტის მოლოდინში. ერთი
სული მაქვს გავიგონო როგორ მიუჭახუნებს კუჭის კუნჭულებს.

და უცებ, სიხარულის აზარფეშას რომ ცლიდნენ, სწრაფად შემოიჭრა
ღვთისდარა მაცნე, ცის თვალისით გაბრწყინებული, მზეჭაბუკი და მის უკან
დარბაისლური ნაბიჯითა და იერით ჩაიარა უფრო ხანიერმა. ილიაში სამართლის
წმიდათაწმიდა გრაგნილებამოჩრილმა და მასთან ერთად მისმა მეუღლემ,
ბრწყინვალე შთამომავლობის ბანოვანმა თავისი მოდგმის უმშვენიერესმა წარ-
მომადგენელმა.

პატარა ელფ ბერგანი უეცრად შემოიჭრა და ბარნის კუნჭულს შეაფარა
თავი, თან სიცილისაგან ჩაბეირდა. იმ კუთხეში ვილა იჯდა მთვრალი და ხვრი-
ნავდა მე რომ ვერ შევამჩნიე, გათიშული, სხვა არავინ თუ არა ბობ დორანი. არ
შესმოდი რა ხდებოდა და რას გვანიშნებდა გარეთ ელფი. და ღმერთო დიდებულო,
ეს ხომ ისევ ოხერი მასხარა დენის ბრინი იყო საშინაო ფოსტლებში ფებგაყ-
რილი, ილიაში ამოჩრილი ორი საოხრო უზარმაზარი წიგნით და მისი ცოლი,
უბედური ბეჩავი ქალი. პუდელივით ძუნძულით ფებდაფებ რომ მისდევდა. მე-
გონა ელფი შუაზე გაიფხრიწებოდა.

— ერთი შეხედეთ, ამბობს ის. ბრინი, მთელ დუბლინში დატანტალებს და
საფოსტო ბარათს დაატარებს. ვილაცამ რომ გამოუგზავნა წარწერით ჰ. ჰ. ჰო-
ქი. და ამაზე სარჩე...

და ამაზე კიდევ უფრო გადაფიჩინდა

— და ამაზე რაო? ამბობა მე.

— სარჩელს, ათი ათასი გირვანქა სტერლინგის სარჩელს თხოულობს.

— ბოქოს! ამბობს მე.

წყველმა ქოფაკმა ისე დაიღრინა ღვთის რისხვა იგეგონებოდა, მაგრამ მოქა-
ლ აქვე ფესი წაპკრა თესში.

— Bi idho husht.¹² ამბობს ის.

— ეინა? ამბობს ჯოუ.

— ბრინი, ამბობს ელფი, ჯონ ჰენრი მენტონთან იყო, მერე კოლის და
უორდთან შეიარა, მერე ტომ როჩფორდი შეხვდა და გააშაყირა — შერიფის
თანამშემწესთან გაგზავნა. ღმერთო, სიცილისაგან ფერდები ჩამასკდა. ჰ. ჰ. ჰო-
ქი. იმ აყლაყუდამ შესანიშნავი მეთვალყურე უშოვა და ახლი ეგ ჩემი ცოდვით

სავსე ბებერი გიჟი გრინ სტრიტზე წავიდა გადაცმული პოლიციელის მოსა-
ნახად.

— როდის აბირებს წოპე ჯონი იმ ყმაწვილის ჩამოხრჩობას მაუნტჯორიში?
ამბობს ჯოუ.

— ბერგანი, ამბობს გამოფხიზლებული ბობ დორანი. *ეგ რომეღოც ეღოფ
გინგლიქოთეკა*

— დიახ, ამბობს ელფი. ჩამოხრჩობას? მაცალეთ გაჩვენოთ. ტერი, ერთი
ეგ ჭიქა მოგვაწოდეთ, გეთაყვა. ეგ ოხერი ბებერი სულელი! ათი ათასი გორვანქა.
უნდა გენახათ წოპე ჯონის სიფათი. ჭ. ჭ...

და სიცილი წასკდა.

— ვისზე იცინი? ამბობს ბობ დორანი. ბერგანზე?

— დროზე, ბიჭო ტერი, ამბობს ელფი.

ტერენს ო' რაიანმა შეისმინა და მაშინვე მიართვა ბროლის სასმისი ისეთი
აქაფებული მუქი ლუდით სავსე რომელიც კი კეთილშობილ ტყუპ ძმა ბანგი-
ვიგს და ბარგანდილუნს ოდესმე მოეხარშათ თავიანთ ღვთაებრივ ლუდსახარშ
ქვაბში, უკვდავი ლედას ვაჟიშვილებივით ხელმარჯვეთ. რადგან ისინი სვიის
მაძღარ ნაყოფს აგროვებდნენ, აქუჩებდნენ და ცრიდნენ და ფშხვნიდნენ და
ხარშავდნენ და მერე შიგ ურევდნენ დამჟავებულ წვენებს და მიჰქონდათ ეს
ნაეური წმინდა ცეცხლთან და დღე და ღამეს ასწორებდნენ ჯაფაში, ხელმარჯვე
ძმანი, კასრის მეუფენი.

და მერე შენ, რაინდო ტერენს, განა არ გაუწოდე, ვით ეკადრება მაგ წეს-
თან შეზრდილს¹³ ეგ სანუკვარი სასმელი და შესთავაზე ბროლის სასმისი მას
ვისაც სწყუროდა, თვით რაინდობის სულთა სულო, სილამაზით უკვდავთ
სადარო.

მაგრამ იგი ო' ბერგანთა ჭაბუკი ბელადი, ადვილად ვერ მოითმენდა ვინ-
მესაგან დაჯაბნას სულგრძელობაში და გაიღო ამიტომ მოწყალე ყესტით უძ-
ვირფასესი ბრინჯაოს გროში, რომელზედაც ბრწყინვალე ჰედური ხელოვნებით
იყო ამოტვიფრული მეფური გარეგნობის მქონე დედოფლის სახება. ბრაუნ-
შვაიგების საგვარეულოს ნაშიერი, სახელი მისი ვიქტორია, მისი უბრწყინვალე-
სი უდიდებულესობა, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამე-
ფოს და ზღვის გადაღმა გადაჭიმულ ბრიტანულ სამფლობელოთა მფარველი,
ღვთივკურთხეული დედოფალი, დამცველი სარწმუნოებისა, ინდოეთის იმპერა-
ტორი, თუმც თვითმპყრობელი, ურიცხვ ხალხთა დამმარცხებელი, მაინც დიდად
საყვარელი, რადგან იცნობდნენ და უყვარდათ იგი აღმოსავალითგან მზისათ
ვიდრე დასავალამდე,¹⁴ ფერმიხდილთ, შავგვრემანთ, ლაყლაყებსა და ეთიო-
პელთ.

— რას აკეთებს ეს ოხერი ფრანკმასონი, ამბობს მოქალაქე, აღმა-დაღმა
რომ დაწანწალებს გარეთ?

— რაო? ამბობს ჯოუ.

— ინებეთ, ამბობს ელფი და ფულს დააძრობს. ჩამოხრჩობას რაც შეეხება,
ისეთ რამეს გაჩვენებთ არასოდეს რომ არ გინახავთ. ჯალათის წერილები. აი
ნახეთ.

ჯიბიდან წერილებისა და კონვერტების მთელი დასტა ამოაძრო.

— ანგლობ? ამბობს მე.

— კაცი არ ვიყო, ამბობს ელფი. წაიკითხეთ.

და ჯოუმ აიღო წერილები.

— ვიზე იცინით? ამბობს ბობ დორანი.

ჰოდა ვიგრძენი შფოთის სუნი ტრიალებდა. ბობი შარზე დგება ხელზე პორტერით რომ ამოივსება; ჰოდა მეც ვამბობ უბრალოდ რამე რომ ვთქვა

— რასა იქმს უილი მარი, ელფ?

— არ ვიცი, ამბობს ელფი. სწორედ ახლა ვნახე კეიბელს სტრუტჩე პედი დიგნამთან ერთად. სწორედ მივდევი იმ...

— რაო? ამბობს ჯოუ და წერილებს დაყრის. ვისთან ერთად?

— დიგნამთან ერთად, ამბობს ელფი.

— პედისთან? ამბობს ჯოუ.

— ეი, ამბობს ელფი, რა იყო რა?

— პედი დიგნამი მოკვდა! ამბობს ელფი.

— მაშ, ამბობს ჯოუ.

— ნამდვილად სულ ხუთი წუთის წინ ვნახე, ამბობს ელფი, როგორც ახლა თქვენ გხედავთ.

— ვინ მოკვდა? ამბობს ბობ დორანი.

— იმის მოჩვენება გინახავს და ეგ არი, ამბობს ჯოუ, ღმერთო შენ გვიხსენ ავი სულეებისაგან.

— რაო? ამბობს ელფი. ღმერთო შენი სახელის ჰირიმე, სულ ხუთი წუთის... რაო?... უილი მარიც მასთან იყო, ორივე იქ იყვნენ აირაქვიამას... რაო? დიგნამი მკვდარია?

— რაო დიგნამი? ამბობს ბობ დორანი. ვინ ამბობს...?

— მკვდარია! ამბობს ელფი. ის ისეთივე მკვდარია როგორც თქვენ.

— შესაძლოა, ამბობს ჯოუ. მათ კი გაბედეს და მაინც დაასაფლავეს ამ დილას.¹⁵

— პედი? ამბობს ელფი.

— მაშ, ამბობს ჯოუ. ბუნებას ვალი გადაუხადა. ღმერთმა აცხონოს.

— ღმერთო დიდებულო! ამბობს ელფი.

ღმერთმანი, გაოგნებულიაო, სწორედ იმაზე იტყოდით.

სიბნელეში სულის ხელების თრთოლვა იგრძნობოდა¹⁶ და როცა ტანტრას ლოცვა სათანადო სფეროსაკენ მიმართეს ლალისფერი სინათლის ჯერ სუსტი მაგრამ შემდეგ გაძლიერებული გამოსხივება თანდათან გამოჩნდა, თან ეთეროვანი ორეული ზედმიწევნით ცხოვრებისეული იყო თავისა და სახის გვირგვინიდან გამოტყორცნილ ჭივას სხივთა გამო. კავშირი მყარდებოდა ტვინის ჭირკვალით და აგრეთვე ნარინჯისფერ-მეწამულ სხივთა მეშვეობით გავის არედან და მზის წნულიდან რომ გამოკრთოდნენ. თავის მიწიერსახელის კითხვაზე განაცხადა მისი ადგილსამყოფელის შესახებ ზეციერ სამყაროში რომ იგი აბლა პრაღაიასა¹⁷ თუ აქეთობის ბილიკს ადგა თუმცა ჯერაც სამსჯავროს ელოდა მავან სისხლისმწყურვალ არსებათა წინაშე უფრო დაბალ ასტრალურ დონეებზე. როცა მისი პირველი დიადი მიღმური გაორების შეგრძნებათა შესახებ ჰკითხეს, მან განაცხადა რომ ადრეც ენახა ვითარცა სარკითა და საბითა¹⁸ ხოლო მათ ვინაც გარდავიდნენ ატმიური განვითარების¹⁹ უმაღლესი შესაძლებლობანი გადაეხსნათ. როცა ჰკითხეს მიაგავდა თუ არა იქაური ცხოვრება ჩვენს ხორციელ ყოფას, მან განაცხადა რომ მას უფრო მაღალ სულიერ საფეხურზე მყოფთაგან გაეგონა — მათი სამყოფლები აღჭურვილი იყო თანამედროვე საცხოვრებლის ყოველნაირი კომფორტით როგორცაა ტალაფანა, ალავატარ, ვა-

ტაკლაზატ²⁰ და რომ უმაღლესი ადვოკატები უწმინდესი საბის ავტორიტეტის ტალღებში ბანაობდნენ. კვარტი და რომ მოითხოვა მოართვეს და აშკარად შეება აგრძნობინა. როცა ჰკითხეს რამეს ხომ არ დაიბარებ ცოცხლებსათვის დაი-მოდგრა ყველა ვინც კი მაიას უკეთურ მხარეს იმყოფებოდნენ ქეშმარიტი გზა ელიარებინათ რამეთუ ატმას მიღწეულთა წრეებში ცნობილი იყო, რამეთუ და იუპიტერი აღმოსავლეთ კუთხეში ავისმომასწავებლად იდგნენ სად-მანსავე ვერძის ხელთ იყო. რომ შეეკითხნენ თუ რა შეადგენდა გარდასულის განსაკუთრებულ ნებას, პასუხი იყო: ჩვენ მოგესალმებით თქვენ, მეგობარნო მიწისანო, რომელნიც ჯერ კიდევ სხეულში იმყოფებით. ყურადღება მიაქციეთ რომ კ. კ.-მ. არ გადაამლაშოს. პირდაპირ ითქვა რომ ეს ეხებოდა კორნელიუს კელეპერს, მესიე ჰ. ჯ. ო' ნილის ცნობილი დამკრძალავი ბიუროს მმართველს, გარდაცვლილის პირად მეგობარს, რომელსაც დასაფლავების საქმეები ეკისრებოდა. სანამ აღესრულა მოითხოვა მისი საყვარელი ვაჟიშვილისათვის პეტრისათვის ეთქვათ რომ მეორე ფეხსაცმელი მაშინ რომ ეძებდა აშკამად კომოდის ქვეშ არის საკუჭნაოში და რომ ორივე კალენთან უნდა მიიტანონ მარტო ლანჩის გამოსაკერებლად რადგან ქუსლები ჯერ კიდევ კარგად იყო შენახული. მან განაცხადა რომ ამან დიდად შეუშფოთა სულის მშვიდობა იმ მეორე სამყოფელში და გულით ითხოვდა მისი ეს სურვილი გაცხადებული ყოფილიყო. გარანტია მისცეს რომ ამ საქმეს მიხედავდნენ რამაც კმაყოფილება გამოიწვია.

იგი განშორდა მოკვდავთა სამყოფელს: ო' დიგნამი მზე ჩვენი აისისა მსწრაფლ მიცურავდა ფეხი მისი გვიმრებსა ზედა: შუბლგანიერი პეტრიკი. ილმუვლე, ბანბა, შენი ქარაშოტით: და იგრგვინე, შენ ოკეანო შენი გრიალით.

- აგერ ისევ ის, ამბობს მოქალაქე და გარეთ იყურება.
- ვინ? ამბობს მე.
- ბლუმბი, ამბობს ის. უკანასკნელი ათი წუთია გუშაგვიან აქეთ-იქით და-

და, ღმერთმანი, დავინახე მისი სიფატი, როგორ შემოიქვრიტა და ისევ გაქრა.

პატარა ელფი გონს ვერ მოდიოდა. ვერაფრით.

— ღმერთო მოწყალეო! ამბობს ის. შემეძლო დამეფიცა რომ ნამდვილად ის იყო.

და თქვა ბობ დორანი, კეფაზე ქუდგადაგდებულმა. უკანასკნელმა მაწანწალამ მთელ დუბლინში, როცა გადაკრულშია.

- ვინ თქვა ქრისტე მოწყალეაო?
- უკაცრავად მომიხდია, ამბობს ელფი.
- ეს არის მოწყალე ქრისტე, ამბობს ბობ დორანი, საწყალი პატარა უილი დიგნამი რომ წაიყვანა?
- ეჰ, ამბობს ელფი და ცდილობს სიტყვა ბანზე ააგდოს. ყველა გაჭირვებისაგან მოისვენა.
- მაგრამ ბობ დორანი ამოიყვირებს.
- დიდი არამზადა ვინმეა-მეთქი საწყალი პატარა უილი დიგნამი რომ წაიყვანა.

ტერი მიუახლოვდა და თვალი ჩაუბაქუნა იყუჩეო, რაში გვჭირდება ასეთი ლაპარაკიო სოლიდურ ადგილას. და ბობ დორანი ვაი-ვიშს მოჰყვა პედი დიგნამის გამო, დამიჯერეთ.

— შესანიშნავი ადამიანი, ქმენით ამბობს ის, შესანიშნავი უწმინდესი პიროვნება.

თვალზე მოადგა წყვეული ცრემლი. თავის საოხრო ქუდიდან ლაპარაკობდა შინ წასვლა ერჩია პატარა მთვარეულ ძუკნასთან, ცოლად რომ ჰყავდა, მუნი, სასამართლოს ბოქაულის ქალიშვილი, დედა პანსიონის პატრონი იქნა მისი და კის ქუჩაზე და სართულებზე უქმად დატანტალებდა, ბენტამ ლაიონისა რომელიც იქ ჩერდებოდა, ღამის ორ საათზე დედიშობილა ყველა მომსვლელს რომ შეეძლო დაენახა.

— უკეთილშობილესი, ყველაზე მართალი კაცი, ამბობს ის. წავიდა, საბრალო პატარა უილი, საბრალო პატარა პედი დიგნამი.

და მწუხარემ დამძიმებული გულით გამოიგლოვა ამ ციური სხივის ჩაქრობა.

ბებერმა გერიოუნმა კვლავ დაუღრინა ბლუმს რომელიც გარედან იჭყიტებოდა.

— შემოდი, მოდი, არ შეგჭამს, ამბობს მოქალაქე.

ბლუმიც შემოიკაკვა, თან ძაღლს თვალს არ აშორებს და ტერის ეკითხება მარტინ კანინგამი აქ თუ იყო.

— დალახვროს იესო მაკკიოუნმა²¹, ამბობს ჯოუ, თან ერთ-ერთ წერილს კითხულობს. ერთი ძალიან გთხოვთ, ამას მოუსმინეთ. და იწყებს კითხვას.

7. ჰანტერ სტრიტ,
ლივერპული.
დუბლინის მთავარ შერიფს,
დუბლინი.

პატივცემულო სერ მორჩილად გთავაზობთ ჩემ სამსახურს შემონახვებ უსიამოვნო საქმეში მე ჩამოვახრჩე ჯოუ გენი²² ბუტლის ციხეში 1900 წლის 12 თებერვალს და მე ჩამოვახრჩე...

— ერთი გვაჩვენე, ჯოუ, ამბობს მე.

— ...ვინმე ართურ ჩეისი ჯესი ტილსიტის საშინელ მკვლელობისათვის ბენტონვილის ციხეში და მე ვეხმარებოდი როცა...

— ღმერთო, ამბობს მე.

— ... ბილინგტონმა ჩამოახრჩო საშინელი მკვლეელი ტოად სმითი...

მოქალაქემ ხელი დასტაცა წერილს.

— მაგრად გეჭიროს, ამბობს ჯოუ, მე დამუშავებული მაქვს მარყუჟის წამოცმის ისეთი იდეით. ერთხელ თავს რომ გაპყოფს პატიების იმედით ვეღარ დაძვრება, თქვენი მონამორჩილი, პატივცემულო სერ, ჩემი გასამრჯელო ხუთი გინეა გახლავთ.

3. რამბოლდი²³

ოსტატი დალაქი.

— დიდი დალაქავეებული სინდისის მქონე ლაქიაა ეგ ბარბაროსი დალაქი, ამბობს მოქალაქე.

— არამზადას ბინძური ნაჯღაბნი, ამბობს ჯოუ. წაიღე, მომაშორე, ამბობს ის, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ელფ. ბლუმს გაუმარჯოს, ამბობს ის, რას ინებებთ?

ისე რომ, დაიწყეს კამათი ამ საკითხზე, ბლუმს ამბობდა არ უნდა და არ შეუძლია და ბოდიშს იხდის საწყენი რაა და მისთანები და მერე თქვა კარგი ერთ სიგარას ავიღებო. ეჭვი არ არის წუწურაქი მასონია.

— ერთი თქვენი საუკეთესო ამყრალბული გვიბოძეთ, ტერი, ამბობს ჯოუ.

და ელფი გვიყვებოდა ერთი ყმაწვილი შავარშიაშემოღებული სამგლო-
ვიარო ეტლით როგორ გაამგზავრეს.

— ისინი ყველანი დალაქები არიან, ამბობს ის, შავი ქვეყნიდან სჯუთარ
მამებს რომ ჩამოახრჩობენ ხუთ გირვანქა სტერლინგად და გზის ხარჯებსაც
რომ მოითხოვენ.

და გვიყვებოდა როგორ ელოდება ორი ყაზახი ქვემოდან ფეხებით რომ
დაქაჩონ როცა ფიცარს გამოაცლიან და გვარიანად მოახრჩონ და მერე თოკი
დაკუწონ და ნაჭერ-ნაჭერ დაყიდონ და ორიოდე შილინგი შეაგროვონ თითო
ჩამოხრჩობილიდან.

ბნულ ქვეყნებში ბანადრობენ ისინი, სამართებლის შურისმაძიებელი
რაინდები, ჩაუბლუჯავთ თავიანთი მომაცვდინებელი მარყუჟი: ჰე, და ერებოსი-
საქენ მიუძღვებიან მავან პირუტყვს ხელები სისხლში რომ აქვს ამოსვრილი
რადგან მე არამც და არამც არ მოვიტმენ ამასო ესრეთ იტყვის უფალი ღმერ-
თი.

ასე მოჰყვნენ სიკვდილით დასჯაზე მუსაიფს და რალა თქმა უნდა ბლუმში
იწყებს სიტყვებით რატომ და რისთვის და ამით და იმით და ბებერი ძალი კი
წამდაუწუმ ყნოსავს მე მითხრეს ამ ურიებს რალაც უცნაური სუნი უდით ძალ-
ლებს რომ ესმითო არ ვიცე რა რალაც შემაკავებელი ეფექტი და სხვა და სხვა.

— ერთი რამ არის რაზეც არ ახდენს შემკავებელ ეფექტს, ამბობს ელფი.

— რაზე? ამბობს ჯოუ.

— საბრალო ჩამოხრჩობილის კუთუზე, ამბობს ელფი.

— არა, მართლა? ამბობს ჯოუ.

— ღმერთმანი, ამბობს ელფი. მთავარი მეთვალყურესაგან გავიგე, რომე-
ლიც კილმეინჰამის ციხეში იყო, როცა ჯოუ ბრეიდი, უძღვეველი, ჩამოახრჩეს.
მითხრა თოკიდან რომ ჩამოხსნეს ის საოხრო მათ თვალწინ პალოსავით აღმარ-
თულიყო.

— სიკვდილში გამაგრებული ყოვლისმძლე ვნება, ამბობს ჯოუ, როგორც
მავანს უთქვამს.

— ეს შეიძლება მეცნიერულად აიხსნას, ამბობს ბლუმი, ეს ბუნებრივი
ფენომენია, გესმით, რადგან იმის გამო რომ...

და იწყებს ენისმოსატეხი გამოთქმების ტრიალს ფენომენისა და მეცნიერე-
ბის შესახებ და ამ ფენომენისა და იმ ფენომენის შესახებ.

გამოჩენილმა მეცნიერმა ჰერ პროფესორ ლუიტპოლდ ბლუმენდუფტმა²⁴
წამოაყენა სამედიცინო არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ კისრის მა-
ლების განცალკევება და ამის შედეგად ხერხემლის ტვინის დაშლა სამედიცი-
ნო დარგის არაერთგზის სანდოდ დამოწმებული მონაცემების თანახმად, უცი-
ლობლად უნდა იწვევდეს ადამიანის გვამში ნერვული ცენტრების უეცარ ძლი-
ერ გაღიზიანებას რასაც corpora cavernosa-ს²⁵ ფორების სწრაფი შევსება მოჰყ-
ვება და რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სისხლის დაუყოვნებლივ მიწოლას
ადამიანის სხეულის იმ ნაწილში რომელიც პენისის ან მამაკაცის ასოს სახელით
არის ცნობილი. და რაც საბოლოოდ ელინდება იმ ფენომენის სახით, რომელიც
გამოიხატება პათოლოგიური გამანაყოფიერებელი ვერტიკალურ-პორიზონტა-
ლური ერექციის უნარში in articulo mortis per diminutionem capitis²⁶.

მოქალაქე რალა თქმა უნდა მართო ამას ელოდა რომ ლაქლაქი დაეწყო

უძლეველებზე და ძველ გვარდიაზე და სამოცდაშვიდიანელებზე და მათზე ვი-
საც ოთხმოცდარვაზე ლაპარაკის ეშინია და ჯოუსაც აძყვა ყველა საველე სასა-
მართლოს მიერ ჩამოხრჩობილ, დამხრჩვალ თუ პატრიოტული მოღვაწეობისათ-
ვის გადასახლებულ ბიჭებზე და ახალ ირლანდიაზე და ახალ ამაზე და იმაზე.
ახალი ირლანდიის ხსენებაზე, უნდა წავიდეს და ახალი ძალი იმოქმედებდეს
ლებლად. გაქუცული ხარბი მხეცი დასრუტუნებს დაფრუტუნებს და
და ქეციან კანს იფხანს. ბობ დორანთან მიდის რომელიც ელფს პატივებს და
ისიც წრუპავს რაც იშოვა. და რა თქმა უნდა ბობ დორანი სულელურად გა-
მოეთამაშება:

— მოგვეცი თათი! თათი, ცუგრიავ! შე ძველო კარგო ცუგრიავ. თათი-
მეთქი! მოგვეცი თათი!

არაჰ!²⁷ ტიალი ტორით იმის ტორს ტორავს და ელფი კი ცდილობს დააკა-
ვოს რომ ამ ოხერ სკამიდან ამ მუდრეგ ძალს ზურგზე არ დაეცეს და თან
რალაც სისულელეებს ჩმახავს ალერსით გაწრთვნის, სუფთა ჯიშისა და გონიე-
რი ძალის შესახებ: ლაქლაქით ვუღს ავირევს. მერე იწყებს ქილის ძირიდან
გამხმარი ნამცხვრის ნამცეცების მოფხეკას ტერის რომ მოატანინა. ჰობ,
მთლიანად გადასანსლა და ადღზე გრძელი ენა გამოშვერდა. ლამის ქილიანა
შესანსლა, დამშეული მაწანწალა ძალი.

და მოქალაქე და ბლუმი კამათობდნენ ამ საკითხზე და ძმებ შეარზებსა და
ვოლფ ტოუნზე აქვე არბორ ჰილთან და რობერტ ემეტისა და შენი სამშობლო-
სათვის თავის განწირვაზე, ტომი მურის გულისამაჩუყებელ სიტყვებზე სარა-
კარანის შესახებ შორს რომაა თავის მიწიდან. და ბლუმი რაღა თქმა უნდა
თავისი გასაყეყეჩებელი სიგარით ჩაბუტკუნებულ სახეს განსაკუთრებულ იერს
რომ აძლევდა. ფენომენი! ქონის გროვა რომ შეირთო შესანიშნავი ფენომე-
ნია კეგელბანდიანი გავით. პისერ ბერკმა მითხრა სიტყვი არმზ ოტელში როცა
ჩერდებოდნენ იქ ერთი მოხუცი ქალი იყო²⁸ დარტყმული ძმისწულით და
ბლუმი ცდილობდა ამ მოხუცი ქალის გული მოეგო იმით რომ ქალადს ეთამა-
შებოდა და ცოტ-ცოტას ჩამოდიოდნენ რამდენიც მას მოესურვებოდა და პა-
რასკევობით ხორცს არ ჭამდა მოხუცი ქალი რომ მოეთაფლა და ხიზო სასე-
ირნოდ გაჰყავდა ხოლმე. და ერთ მშვენიერ დღეს აკი დუბლინის სანახაობათა
დასათვალიერებლადაც შემოატარა. წყეული ხიზო, ამოოხვრის დროც არ ჰქონ-
და სანამ შინ არ მიიყვანა გაღეშილი მთვრალი და თან დასძენდა რომ ამას იმა-
სთვის სჩადიოდა ალკოჰოლის საშინელება რომ ეჩვენებინა მისთვის. და იმ
ოხერმა სამმა ქალმა ლამის იყო აკუწა, ძალიან სასაცილო ამბავია. მოხუცი ქალი
ბლუმის ცოლი და ქ-ნი დაუდი ოტელის პატრონი. ღმერთო, ფერდები დამასკ-
და სიცილით როცა პისერ ბერკი მაიმუნივით ბაძავდა ერთი და იგივე ამბავს
ათასჯერ რომ ლეჭავდნენ და ბლუმიც თავისი განა არ გესმით? და მაგრამ მეო-
რეს მხრივ, ნამდვილად მითხრეს, რომ ხიზო მას შემდეგ პაუერთან დადიოდა
ღვინითა და ალკოჰოლური სასმელებით მოვაჰრესთან კიბ სტრიტზე, რომ ეტ-
ლით ბრუნდებოდა ფეხებწართმეული კვირაში ხუთჯერ, მას შემდეგ რაც იმ
ოხერი დაწესებულების ყველა საჭაშნიკეს გასინჯავდა.

— ეს დაღუპულთა ხსოვნისა იყოს, ამბობს მოქალაქე და ხელში იღებს
ჭიქას და ბლუმს დაუბღვერს.

— გაუმარჯოს, ამბობს ჯოუ.

— თქვენ ვერ გამიგეთ, ამბობს ბლუმი. მე იმის თქმა მინდოდა...

— Sinn Fein! ამბობს მოქალაქე. Sinn fein amhain!²⁹ საყვარელი მეგობრები ჩვენს გვერდით არიან და საძულველი მტრები კი ჩვენს წინ.

უკანასკნელი გამოთხოვება უაღრესად გულდასაწყვეტი იყო. შორეული და ახლომდებარე სამრეკლოებიდან განუწყვეტლივ რეკდნენ სამგლოვიარო ზარები იმ დროს როდესაც გარშემო ყველგან მკმუნვარე შეჭრის ხმა იმდენად ასობით დაყუჩებული დოლის ავბედითი გაფრთხილება ხრის. ხრის დადრო ზარბაზნის ყრუ ბათქი შეწყვეტდა ხოლმე. ქვე-ქუხილის დამაყრუებელი გრუხუნი და ელვის დამაბრმავებელი გაელვება რომელიც შემზარავ სურათს ანათებდა იმის დასტური იყო რომ ზეციური არტილერია ისედაც საზარელ სანახაობას თავის ზებუნებრივ ბრწყინვალეებას უმატებდა. გააგებული ზეცის რაბებიდან ღვართქაფად დაატყდა წვიმა ქუდმოშვლებილ შეკრებილობას რომელიც ყველაზე უხეში გამოთვლით ხუთასი ათასი კაცისაგან შედგებოდა. ქალაქ დუბლინის პოლიციის რაზმი რომელსაც თავად მთავარი კომისარი ჩელმძღვანელობდა წესრიგს იცავდა დიდძალ თავყრილობაში რომელსაც შიგადაშიგ იორკის ქუჩის სპილენძისა და ტუჩისმიერ საკრავთა ორკესტრი დროს იმით ატარებინებდა რომ თაღნი არშიაშემოვლებული ინსტრუმენტებით გამოსცემდა უბადლო ჰანგს სპერანზას³⁰ სეველიანმა მუხამ აკვანშივე რომ შეგვაყვარა. საგანგებო ჩქარი საექსკურსიო მატარებლები და რბილი შარაბნები იქნა გამოყოფილი სოფლიდან ჩამოსული ჩვენი დიდძალი ნათესავებისათვის. დიდად შეუწყვს ხელი თავის შექცევას დუბლინის საყვარელმა ქუჩის მომღერლებმა ლ-ნ-პ-ნმა და მ-ლ-გ-ნმა რომლებიც მღეროდნენ სანამ ლერის გაასწორებდნენ მათთვის ჩვეული უმაღ გამამხიარულებელი მანერით. ჩვენმა ორმა შეუდარებელმა ქუჩის ოინბაზმა დიდი საქმეები დაატრიალა თავისი აფიშებით კომიკური ყანრის მოყვარულთა შორის და არავინ ვისაც გულში პაწაწინა კუნჭული მაინც მოეძებნება ვულგარულობისაგან დაცლილი ირლანდიური იუმორისათვის არ დააყვედრებს მათ ოფლით შენაძენ გროშებს. უპატრონო ბიჭებისა და გოგონების თავშესაფარის ბინადარნი ამ სანახაობის გადამყრე ფანჯრებს აწყდებოდნენ, იმ დღეს მათთვის განკუთვნილი გასართობის ამ მოულოდნელი დამატებით მეტად კმაყოფილნი იყვნენ და ჭეშმარიტად ქების ღირსია „ლარიბ-ლ-ტაკთა პატარა დების“ საქველმოქმედო სახლი მისი ბრწყინვალე იდეის გამო რომ საბრალო უდემამო ბავშვებს ასეთ ნამდვილად სასარგებლო გართობას სთავაზობდნენ. მეფის ნაცვლის წვეულება რომელსაც ბევრი ცნობილი ბანოვანი ესწრებოდა მათი ბრწყინვალეებების წყალობითა და მფარველობით უმაღლესი რანგის წვეულებად იქცა იმ დროს როდესაც ზურმუხტის კუნძულის მეგობრად წოდებული კოლორიტული უცხოური დელეგაცია მოპირდაპირე ტრიბუნაზე მოათავსეს. დელეგაციაში რომელიც მთელი თავისი ბრწყინვალეებით იყო წარმოდგენილი შედიოდნენ კომენდატორე ბაციბაცი ბენინობენონე (წვეულების ნახევრად პარალიზებული დუაიენი რომელსაც სავარძელში ჩასაჯდომად ორთქლის ამწის დახმარება ესაჭიროებოდა), მესიე პიერპოლ პეტიტეპატანი, გრანდჯოკერ ვლადინმაირ პოკეტქენკერშეფი, არქი-ქოკერ ლეოპოლდ რუდოლფ ფონ შვანცენბად-პოდენთალერი, გრაფინია მარ-ტა ვირაგა კისასზონი პუტრაპესთი, ჰაირამ ი. ბომბუსტი, გრაფი ათანატოს კარამელაპულისი, ალი ბაბა ბახშიშ რაჰათ ლუხუმ ეფენდი, სენიორ ჰიდალგო კაპალერო დონ პეკადილო ი პალაბრას ი პატერნოსტერ დე ლა მალორა დე ლა მალარია, პოკოპოკო პარაკირი, ზო ხუნგ ჩანგი, ოლაფ კობერკედელსენ, მაინპერ ტრე ვან ტრამპსი, პან პრლიექს პადარისკი, გოსპოდან პრჩკლსტრ

კრატჩინაბრიტიზიჩი, ბორუს ჰუპინკოვ, პერ ბორდელდირექტორპრეზიდენტი
 პანს ჩუეჩლი-სტეუერლი. ნაციონალგიმნაზიუმმუზეუმსანატორიუმსუსპენზი-
 რიუმზორდინარიპრივატდოცენტგენერალისტორიკოსპროფესორდოქტორ
 ზავფრიდ იუბერალგემაინი. უკლებლივ ყველა დელეგატი ყველაზე ძლიერ პე-
 ტეროგენული გამოთქმით გამოხატავდა თავის აზრს უმაგალითო ბაუერუნიუ-
 ზე, რომლის მოწვედაც იყვნენ მოხმობილნი. ცხარე კამათი (რომელშიც მონაწილე
 მიიღო მონაწილეობა) გაიმართა ზ. კ. მ-ს³¹ შორის იმის თაობაზე რვა თუ ცხრა
 მარტი იყო ბრლანდიის მფარველი წმინდანის დაბადების სწორი თარიღი. კამა-
 თის მსჯელობის დროს მიმართეს ზარბაზნის ყუმბარებს, ოსმალურ ხმლებს.
 ბუმერანგებს, განიერლულიან თოფებს, მოწამლულ მახვილებს, ხორცის საკე-
 პებს, ქოლგებს, კატაპულტებს, კასტეტებს, ქვიშის ტოპრაკებს, თუჯის ყა-
 ლიბის ნატეხებს და მოურიდებლად უმასპინძლებოდნენ ერთმანეთს ქისტის-
 კვრით. ბაღლისსახიანმა პოლიციელმა, კონსტებლმა მაკფედენმა, რომელიც
 საგანგებო კურიერის დახმარებით ბუტერსტაუნიდან მოიხმეს, მსწრაფლ აღ-
 დგინა წესრიგი და შესაშური სიმარჯვით წამოაყენა თვის ჩვიდმეტი რიცხვი
 როგორც მოპაექრე მხარეთათვის თანაბრად მისაღები გადაწყვეტილება. საზრი-
 ანი ახმახის გადაწყვეტილება ყველას მოეწონა და ერთხმად იქნა მიღებული.
 კონსტებლ მაკფედენს გულიანად მიულოცა ყველა ზ. კ. მ-მა, რომელთა შორ-
 ის ზოგიერთი სისხლისაგან იცლებოდა. კომენდატორე ბენინობენონე თავმჯდო-
 მარის სავარძლის ქვემოდან გამოაძვრინეს და მისმა იურისკონსულტმა ავოკატო
 პავამიმიმ განმარტა. რომ მის ოცდათორმეტ ჯიბეში ჩამალული სხვადასხვა ნივ-
 თი მის მიერ აყალმაყალის დროს უმცროს კოლეგების ჯიბეებიდან იყო ამოც-
 ლილი მათი პატრონების გონზე მოყვანის იმედით. ნივთები (რომელთა შორის
 რამდენიმე ასეული ქალისა და მამაკაცის ოქროს და ვერცხლის საათი იყო)
 მსწრაფლ დაუბრუნდა მათ კანონიერ მფლობელებს და კვლავ საყოველთაო და
 უზენაესი ჰარმონია დამყარდა.

წყნარად, თავმდაბლურად ავიდა რამბოლდი ეშაფოტზე უმწიკვლო ნაცრის-
 ფერ ფრაკში გამოწყობილი საყვარელი ყვავილით *Gladiolus Cruentus*³²-ით
 ხელში. თავისი იქ ყოფნა ყველას იმ ოდნავი რამბოლდური ჩახტვლებით აუწყა
 რომლისთვისაც ბევრს უცდია (წარუმატებლად) მიეზაძა — მოკლე, დაძაბული
 და იმავე დროს მისთვის ესოდენ დამახასიათებელი. მსოფლიოში სახელგანთქმუ-
 ლი ქალათის გამოჩენას დიდძალი ხალხის შეკრებილობა ოვაციით მიეგება. მე-
 თის ნაცვლის ამალის ალტკინებული ქალბატონები ხელსახოცებს უქნევდნენ.
 იმ დროს როდესაც კიდევ უფრო ალტკინებული უცხოელი დელეგატები აღფრ-
 თოვანებით ესალმებოდნენ ერთმანეთში აღრეული შეძახილებით, ჰოხ, ზანზაი,
 ელიენ, უივიო, ჩინჩინ, პოლა ქრონია, ჰიპპიპ, ვივ, ალაპ, რომელთა შორის გა-
 ლობის ქვეყნის დელეგატის მეღერი ევივა (მაღალი ორმაგი ფა რომელიც იმ
 კულისგამგშირავ მშვენიერ ნოტებს გვაგონებს რომლითაც საჭურისმა კატალო-
 ნიმ³³ თვალები დაუბრმავა ჩვენს დიდბებიისბებიისბებიას) ადვილად გამოირ-
 ჩეოდა. ზუსტად ჩვიდმეტი საათი იყო. მეგაფონის მეშვეობით დროულად მისცეს
 ლოცვისათვის ნიშანი და იმწამსვე ყველამ ქუდები მოიშვლია, ხოლო კომენდა-
 ტორეს პატრიარქალური სომბრერო, რომელიც რიენცის რევოლუციის დროთ-
 დან მოყოლებული მისი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, მისმა პირადმა ექიმ-
 მა კონსულტანტმა დოქტორმა პიპიმ მოხადა. სწავლულმა პრელატმა რომელმაც
 წმინდა ეკლესიის უკანასკნელი ნუგეში სცა გმირ მარტვილს, როცა იგი ის-ის
 იყო საკვდილით უნდა დაესაჯათ, ჰალარა თავზე სუდარამოხვეულმა, წვიმის

გუბეში ჭეშმარიტად ქრისტიანული სულისკვეთებით დაიჩოქა და მოწყალების
 ტაბტს მიტვევების მხურვალე ლოცვა შეჰღაღადა. ეშაფოტთან მტკიცედ იდგა
 ჯალათის პირქუში ფიგურა, მისი სახე დაფარული იყო აფგალისიანი ქოთნით
 რომლის ორი მრგვალი ნასვრეტიდან გაეცხლებული უგვარებელ წინსებდნენ.
 საბედისწერო ნიშნის მოლოდინში თავისი საზარელი იარაღის შიშის მისხრება იმით
 რომ დაკუნთულ მკლავზე გაისვა ანდა ერთმანეთზე მიყოლებით სწრაფად წააცა-
 ლა თავები ცხვრის ფარას რომელიც მისი უღმობელი მაგრამ საჭირო სამსა-
 ჭურის თაყვანისმცემლებმა მოჰგვარეს. ლამაზი წითელი ხის მაგიდაზე მის გვერ-
 დით კობტად ეწყო ხელ-ფეხისა და თავის მოსაკვეთი დანა, სხვადასხვა ნატიფად
 მოპირული გამოსაშიგნი ხელსაწყო (სპეციალურად მომარაგებული მსოფლიო-
 ში სახელგანთქმულ დანების მწარმოებელი ფირმის, ჯონ რაუნდისა და შვილე-
 ბის მიერ, შეფილდი), კერამიკული ჭურჭელი წარმატებით ამოკვეთილი თორ-
 ნეტგოჯა ნაწლავის, მსხვილი ნაწლავის, ბრმა ნაწლავისა და აპენდიქსის და ა. შ.
 მოსათავსებლად და ორი მოზრდილი რძის ქილა უძვირფასესი მსხვერპლის
 უძვირფასესი სისხლის შესაგროვებლად. კატებისა და ძაღლების გაერთიანებუ-
 ლი თავშესაფრის მმართველი მზად იყო ეს ჭურჭლები როცა შეივსებოდნენ,
 ამ საქველმოქმედო დაწესებულებისათვის გადაეცა. შესანიშნავი სასმელ-საჭმე-
 ლი, ბეკონის თხელი ნაჭრები და კვერცხი, სათუთი ზომიერებით შემწვარი სტეი-
 კი და ხახვი, უგემრიელესი ცხელი ფუნთუშები და მასტიმულირებელი ჩაი,
 ხელმძღვანელობის მიერ დიდის მზრუნველობით იქნა მორთმეული ტრაგედიის
 ცენტრალური ფიგურის დასაბურებლად, რომელიც შესანიშნავ გუნებაზე გახლ-
 დათ სიკვდილისათვის შემზადებული და უდიდეს ინტერესს ამჟღავნებდა მთელ
 ამ ცერემონიალისადმი თავიდან ბოლომდე. მაგრამ მან მაინც ამ ჩვენს დროში
 ასეთ ცდუნებათაგან თავშეკავების იშვიათი ნებისყოფა გამოიჩინა. კეთილშო-
 ბილურად წარსდგა ამ დიადი მოვლენის წინაშე და თავისი უკანასკნელი ნება
 გამოხატა (რომელსაც მაშინვე დაეთანხმნენ) რომ საქმელი თანაბარ ულუფებად
 დაეყოთ დავრდომილთა და გაჭირვებულთა სახლის მეპატრონეთა ასოციაციის
 წევრებს შორის მისი მათდამი პატივისცემისა და მოკრძობის ნიშნად. გრძნო-
 ბათა nec და non plus ultra³⁴ იქნა მიღწეული როცა სახელეწილმა რჩეულმა
 პატარძალმა გზა გაიკვლია გარშემომდგართა მტკიცედ შეკრულ რიგებს შორის
 და იმის ვაჟკაცურ მკერდს ჩაეკონა რომელიც ის-ის იყო მარადისობას უნდა
 ზიარებოდა მისი გულისათვის. გმირმა მისი ტანკენარი სხეული სიყვარულის
 ხვეწნაში მოკვცა და თან ნაზად ეჩურჩულებოდა შილა, გენაცვალე.³⁵ თავისი
 სახელის გაგონებით წახალისებულმა ხარბად დაუკოცნა მას ყველა შესაფერი
 ადგილი რომელსაც კი მისი ვნებათაღელვა მისწვდებოდა პატიმრის სამოსის
 კდემამოსილების პირობებში. და იმ დროს როდესაც მათი ცრემლების მლაშე
 ნაკადულნი ერთერთს შეერია ქალმა შეჰფიცა გმირს რომ იგი მარადეამს ეხ-
 სომება, რომ არასოდეს დაივიწყებს თავის გმირ ვაჟკაცს რომელიც სიკვდილს
 ბაგემღიმარი შეეგება თითქოს უბრალოდ ჰერლინგის მატჩის³⁶ საყურებლად
 მიდიოდა კლონტურკის პარკში. მან გმირის მეხსიერებაში აღადგინა ანა ლიფის
 ნაპირებზე გატარებული ნეტარი ბავშვობის დღენი როცა ისინი უმაწვილობის
 უმწიკვლო დროსტარებას ეძლეოდნენ, დავიწყებას მიეცა საზარი აწმყო და
 ორივემ გულიანად გაიცინა და ყველა იქ მყოფი, თვით ღირსი პასტორის ჩათვ-
 ლით, შეუერთდა საერთო ლხენას. ეს ურჩხული ბრბო პირდაპირ მზიარულებამ
 ააზანზარა. მაგრამ მალევე მწუხარებამ მოიცვა ისინი და უკანასკნელად ჩამო-
 ართვეს ხელი. ცრემლთა ახალი ნიაღვარი წასკდა მათ საცრემლე ჯირკვლებს და

ხალხის შეკრებილობა, გულის სიღრმემდე შეძრული, გულშემზარავად აქვი-
 თინდა, თავად ხანდაზმული მღვდელთმსახურის ჩათვლით. ზორბა ჯანიანი და
 მაკაცები, მშვიდობის დამცველნი და ირლანდიის სამეფო საიდუმლო პოლიციის
 კეთილი დევკაცები, დაუფარავად მიმართავდნენ თავის ცხვირსახოცებს და
 გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ამ დიდძალ თავყრდნულში
 არც ერთი თვალი მშრალი არ დარჩენილა. მეტად რომანტიკულ სურათებს
 ჰქონდა ადგილი, როცა ოქსფორდის მოხდენილმა კურსდამთავრებულმა, რომე-
 ლიც მშვენიერი სქესის მიმართ რაინდული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.
 ბიჯი წარსდგა წინ და, წარმოადგინა რა თავისი სავიზიტო ბარათი, საბანკო
 წიგნაკი და გენეალოგიური შტო, ხელი სთხოვა უბედურ ახალგაზრდა ქალს,
 მოითხოვა მისგან ზუსტი დღის დათქმა და იქვე ადგილობრივ თანხმობაც მიი-
 ლო. ყველა ქალს დამსწრე საზოგადოებაში მიართვეს გემოვნებით შესრულე-
 ბული სუვენირი თავისქალიანი და გადაჯვარედინებულძვლებიანი გულსაბნე-
 ვის სახით, დროული და კეთილშობილური აქცია რომელმაც ვრძნობათა ახალი
 აფეთქება გამოიწვია: და როცა ზრდილმა ახალგაზრდა ოქსფორდელმა (რომე-
 ლიც, სხვათა შორის, ალბიონის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი, საუ-
 კუნეებგამოვლილი გვარის მატარებელი იყო) თავის დაწვებშეფაკლულ
 fiancée³⁷-ს თითზე ძვირადღირებული ზურმუხტის თვლებით მოჭედილ
 ოთხყურა მკაველას ფორმის ნიშნობის ბეჭედი წამოაცვა, აღფრთოვანებას საზ-
 ღვარი აღარ ჰქონდა. და თვით სამხედრო პოლიციის პირქუში უფროსი, პოლ-
 კოვნიკი ტომპკინ-მაქსუელ ფრენჩმულან ტომლინსონი, რომელიც ამ სევდიან
 შეკრებაზე თავმჯდომარეობდა, კაცი რომელსაც კარგა ბლომა სიპოები გაესრო-
 ლა ზარბაზნის ლულიდან³⁸ წარბშეუხრელად, ბუნებრივ ემოციას ვერ მოერი-
 რკინის ხელჯაგით ფარული ცრემლი მოიწმინდა და მის უშუალო ანტურაჟში
 მყოფმა პრივილეგირებულმა ბიურგერებმა ყური მოჰკრეს ათრთოლებული
 ხმით როგორ ჩაიჩურჩულა:

— მიწა გამისკდეს ეს ქალი ერთი კეკელა ვინმე თუ არ იყოს, ეგ ოხერი
 კახბა. ღმერთო ნუ მიწყენ და მაგის დანახვაზე გვარიანად ამოვიგმინებ ხოლმე,
 რადგან ჩემი ძველი დიდი ლუდსახარში გამახსენდება ხოლმე ლაიმპაუზზე რომ
 მელიოდება.

და მერე მოქალაქე იწყებს ლაპარაკს ირლანდიური ენისა და კორპორაციის
 შეკრებაზე და მისთანებზე, ვითომქენტლმენების შესახებ, რომელთაც მშობ-
 ლიურ ენაზე ლაპარაკი არ ეკერკებათ და ჯოუც ჩამოერევა საუბარში რადგან
 მას მავანისათვის ვირვანქა სტერლინგი დაუცინცლავს და ბლუმიც ჩაურთავს
 თავის ძველ გულისამაჩუყებელ ამბავს სიგარეტის ორბენიანი ნამწვის შესახებ.
 რომელიც ჯოუს დაცინცლა და სიტყვას ჩამოავდებს გელური ლიგის და ანტი-
 დაპატიუების ლიგის და სმის, ირლანდიის ამ ჰეშმარიტი უბედურების, შესახებ
 ანტიდაპატიუების ლიგაც ჰა-ჰა და იმხელავეა. ღმერთო დიდებულო, ისე შეუბე-
 რავს შენ ნაყიდ ლუდს სანამ არ გამოიბრუყება რომ ერთხელაც ვერ დაინახავ
 მისი შემოთავაზებული პინტის ქაფს. და ერთხელ საღამოს ერთ ძმაკაცთან ერთ-
 ად მაგათ მუსიკალურ საღამოზე მოვხვდი, ისეთი ცეკვა-თამაში და სამღერ-
 იყო გამართული, რომ ჩემს მორიინ ლეის თივის ზვინზე წააწვენდა და იქ ერთ
 ყმაწვილს ბოლიჰულის ირლანდიურწარწერიანი ცისფერი სამკერდე ნიშნით
 მოჰქონდა თავი და მრავლად ქერათმიანები უაღკოპოლო სასმელებით მიდი-
 მოდიოდნენ და მედალიონებს ფორთოხალს ლიმონათს ძველ შემხმარ ნამც-
 ხვრებს ყიდდნენ. ღმერთო დიდებულო, ბარაქიანი დროსტარება იყო, ნუ

იტყვი. ფხიზელი ირლანდია თავისუფალი ირლანდიაა. შემდეგ ბეროკაცი სტვი-
რის ჩაბერვას იწყებს და ყველა ძალდი და მამაძალდი ფებს ააყოლებს ჰანგს,
ძროხას სული რომ გააფრთხოებინა. და თრიოდე მღვდელუკახ თველი ფხიზლად
ეჭირა მანდილოსნები წელს ქვემოთ ჩქმეტით არავის შეეწუხებინა.

მაშასადამე, ასედაამრიგად, როგორც ვიტყვოდი, ბებერუკადღმე დაინახა
რა რომ ჯამი დაუცარიელდა ჯოუსა და ჩემს გარშემო დასწრის ხალხი. მე
ალერსით გავწვრთნიდი, დიახაც, ჩემი ძალდი რომ იყოს. დროდადრო კარგი
გემრიელი პანლური მაგას ისეთ ადგილას რომ არ დაბრმავდეს.

— გეშინია არ გიკბინოს? დაცინვით ამბობს მოქალაქე.

— არა, ამბობს მე. მაგრამ ჩემი ფეხი ბოძი რომ ეგონოს.

და ბებერ ძალდს უხმობს.

— რა ამბავში ხარ, გერი? ამბობს ის.

შემდეგ უწყებს წეწას და გლეჯას და ირლანდიურად ლაპარაკს და ბებე-
რი ქოფაკი იღრინება, ვითომ პასუხობს, საოპერო დუეტით. ასეთი ღრენა
არც არასოდეს გექნებათ გაგონილი, ერთმანეთში რომ აქვთ გამართული, ვინ-
მემ ვისაც სხვა საქმე არა აქვს ერთი წერილი უნდა გამოაცხოს pro bono
publico³⁹ გაზეთისათვის იმის თაობაზე თუ როგორ უნდა აეკრას პირი ასეთ
ძალდს. იღრინება და ბურღლუნებს და გამომშრალი თვალი ჩასისხლიანებული
აქვს და ლაშებიდან დორბლი გადმოსდის.

ყველამ ვისაც აინტერესებს ადამიანური კულტურის გავრცელება უფრო
დაბალი განვითარების ცხოველებში (და სახელი მათი ლეგიონ) არავითარ
შემთხვევაში არ უნდა გაუშვას ხელიდან შესაძლებლობა გაეცნოს კინანთრო-
პიის⁴⁰ გასაოცარ გამოვლინებას ცნობილ ირლანდიურ წითელ ნაგაზ სეტერში
რომელიც ადრე ცნობილი იყო გკრიოუინის მეტსახელით და რომელიც არც ისე
დიდი ხნის წინ მისი მეგობრებისა და ნაცნობების ფართო წრემ ხელმეორედ
მონათლა სახელით ოუინ გერი⁴¹. ეს გამოვლინება რაც ალერსითა და სათუთად
გააზრებული დიეტური სისტემით წრთენის შედეგია, სხვა მიღწევათა გვერდით
ლექსის კითხვასაც შეიცავს. ჩვენს უდიდეს ცოცხალ ფონეტიკოსს (ვერა ძა-
ლებს ვერ ძალუძთ მისი ჩვენგან მოწყვეტა!) ამოუტრიალებელი ქვა არ დარჩე-
ნია რათა ნათელი მოეფინა და შეეჯერებინა წაკითხული ლექსი და აღმოეჩინა
რომ მას განსაცვიფრებელი (ხაზი ჩვენია) მსგავსება გააჩნია უძველესი კელტი
ბარდების რენებთან⁴². ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა იმდენად ის შესანიშნავი
სატრფიალო სიმღერები რომლებიც წიგნის მოყვარულ სამყაროს გააცნო მწე-
რალმა მოხდენილი ფსევდონიმით — პატარა ლამაზი შტო, რამდენადაც (როგ-
ორც ე. თ. კ. ბ.⁴³ აღნიშნავს თანამედროვე საღამოს გაზეთის საინტერესო ცნო-
ბაში) ის უკმეხი და პირადული კილო რომელიც ცნობილ რეფტერის სატირი-
კულ სიტყვათა ნაკადში და დონალდ მაკკონსიდაინთან გვხვდება, რომ არაფე-
რი ვთქვათ თანამედროვე ლირიკოსზე რომელიც ამჟამად საზოგადოების ყუ-
რადლების ცენტრში იმყოფება. ჩვენ ვურთავთ ინგლისური თარგმანის ნიმუშს
შესრულებულს გამოჩენილი მკვლევარის მიერ რომლის სახელის გამჟღავნების
უფლებაც ამჟამად არა გვაქვს მაგრამ ვიმედოვნებთ ჩვენი მკითხველი მასში
უმალ საჭირბოროტო ქარაგმას დაინახავს ვიდრე უბრალო მინიშნებას. ძალდის
წარმოშობის მეტრიკული სისტემა, რომელიც გვაგონებს უელსური ენგლინის
ჩახლართულ ალიტერაციულ და იზოსილაბურ წესებს, გაცილებით უფრო
რთულია მაგრამ ვიმედოვნებთ ჩვენი მკითხველი დაგვეთანხმება რომ დედნი-
სეული სული კარგად არის დაქვრილი. ალბათ ისიც უნდა ითქვას რომ ეფექ-

ტი უთუოდ დიდად გაიზრდება თუ ოუინის ლექსს ცოტა ნელა და არამკაფიოდ წავიკითხავთ, ისეთი ტონით რომელიც გულჩათხრობილ გაბოროტებას გამოიღწენს.



წყევლა და კრულვა
 კვირაში შვიდ დღეს,
 შვიდ მშრალ ხუთშაბათს
 შენ, ბარნი კირნან,
 ყლუბს არ მომაწვდი
 გულის მალამოს,
 რომ არ ვულრენდე
 ლოურის სცენას¹⁴.

ისე რომ მან უთხრა ტერის წყალი მოეტანა ძალღისთვის და, ღმერთო დიდებულო, კაცი ერთი მილის სიშორიდან გაიგონებდა როგორ სვლებდა და ჯოუმ ჰკითხა კიდევ ხომ არ ინებებდა.

— კი, ამბობს ის, a chara¹⁵, იმის ნიშნად გულში ბოღმა არ ჩამიდვიაო.

დასწყევლოს ღმერთმა, არც ისე ჭორფაა კიტრივით რომ გამოიყურება. დაშლაბუნობს ლუდხანიდან ლუდხანამდე. შენს ნამუსზე მიგდებული ბერიკაც გილტრაპის ძალღთან ერთად, კისერში ამოუვიდა გადასახადის გადამხდელები და კოოპერაციის წევრები. კაცისა და ცხოველის დროსტარება და ამბობს ჯოუ.

— კიდევ ერთ პინტს ხომ არ გამოუჩენდი ძირს?

— იხვი წყალში ხომ არ შეცურდებოდა?

— იგივე, ტერი, ამბობს ჯოუ. ნამდვილად არაფრით გაისველებდით პირს?

ამბობს ის.

— გმადლობთ, არა, ამბობს ბლუმი. კაცმა რომ თქვას მე მხოლოდ მარტინ კანინგამის ნახვა მიწოდდა, გამიგეთ, საბრალო დიგნამის დაზღვევის საქმესთან დაკავშირებით. მარტინმა მთხოვა სახლში მივსულიყავი. დიგნამს, იცით, თავის დროზე წერილობით არ მიუმართავს კომპანიისათვის და ნომინალურად, არსებული წესის თანახმად ვალის მიმცემს არ შეუძლია დაზღვევის პოლისის გამოყენება.

— ჰოი, ბრძოლანო უფლისანო, სიცილით ამბობს ჯოუ, მაგას რა ჯობია თუ ბებერი შაილოკი საკუთარ მახეში გააბეს. გამოდის რომ ცოლია მთავარი ფიგურა, არა?

— ნამდვილად ასეა, ამბობს ბლუმი, ცოლის თაყვანისმცემლებისათვის.

— ვისი თაყვანისმცემლებისათვის?

— ცოლის პატივისმცემლებისათვის, მრჩევლებისათვის-მეთქი, უნდა მეთქვა.

ქვა.

შემდეგ იწყებს აბდაუბდა ლაპარაკს დამგირავებლის მდგომარეობაზე და რომ არსებული კანონის ფარგლებში თითქოს ლორდ კანცლერი წარმოსთქვამდა სიტყვას პარლამენტში ცოლის უფლების დაცვის თაობაზე და რომ დაარსებულია სამეურვეო ტრესტი, რომ მეორეს მხრივ დიგნამს ბრიჯმანის ფული მართებდა და რომ ახლა ცოლი ან ქვრივი უფლებებში ეცილებოდა კრედიტორს, სანამ ტვინი არ ამოძილო თავისი დამგირავებლითა და კანონით. ძალღის ბედი სწყალობდა რომ მაშინ კანონი თვითონ მასზე არ გავრცელდა როგორც მაწანწალასა და არამზადაზე მაგრამ სასამართლოში მეგობარი ჰყავდა.

საბაზრო ბილეთებს რომ ჰყიდდა თუ რა ჰქვია იმას უნგრეთის სამეფო გარანტირებული ლატარია. ნამდვილად ასე იყო, აი როგორც შენ გეყურებ. ოო, შევედრებ თავსა ჩემსა ისრაილს! პრივილეგირებული სამეფო უნგრული ძარცვა-გლეჯა.

და ბობ დორანი ბარბაციტ მიდის ბლუმთან და სთხოვს, რომ ქალბატონ დიგნამს რომ იზიარებს მის მწუხარებას და ბოდბეში ჩაიხადოს, რომ ვერ დაესწრო და უთხრას რომ ის ამბობს და ყველა ვინც მას იცნობდა ამბობს რომ არასოდეს დაბადებულა განსვენებულ საბრალო უილიზე უფრო ალალი, უკეთესი ადამიანი. უსათუოდ უთხრას. მატრაბაზობდა. ხელს მაგრად ართმევდა ბლუმს ტრაგიკული გამომეტყველებით, გადაეციო. მომეცი შენი ხელი, ძმობილო. შენც არამზადა და მეც არამზადა.

— ნება მიბოძეთ, თქვა მან, ჩვენი ნაცნობობის საფუძველზე, რომელიც რაოდენ ზერელეც არ უნდა ჩანდეს მხოლოდ და მხოლოდ დროის ხანგრძლივობის მიხედვით თუ განვსჯით, სინამდვილეში, ვიმედოვნებ და მჯერა, ურთიერთპატივისცემის გრძნობას ემყარება, გთხოვთ დამდოთ ეს პატივი. მაგრამ თუ ჩემს თავს უფლება მივეცი ზედმეტი რამ მეთქვა, დე ჩემ გრძნობათა გულწრფელობამ ვაამართლოს ჩემი სითამამე.

არა, შემოუერთდა მეორე, მე დიდად ვაფასებ იმ მოტივებს რომლებიც თქვენ გამოძრავებთ და მე აღვასრულებ მისიას რომელიც თქვენ დამაკისრეთ იმით დანუგეშებული რომ თუმცა დანაბარები მწუხარებისაა, თქვენი ნდობის ეს დასტური ერთგვარად არბილებს ჩემი ხვედრის სიმწარეს.

— მაშინ ნება მიბოძეთ ხელი ჩამოგართვათ, თქვა მან, თქვენი კეთილი გული, დარწმუნებული ვარ, უკეთ გიკარნახებთ ვიდრე ჩემი უბადრუკი სიტყვები იმ გამოთქმებს რომლებიც ყველაზე შესაფერისია იმ განწყობის გადმოსაცემად რომლის აუტანელი სიმძაფრე, ჩემი გრძნობებისათვის გზა რომ გამეხსნა, უთუოდ დამამუნჯებდა.

და ერთად გავიდნენ. ცდილობდა ფეხი არ არეოდა. ხუთ საათზე გამომთვრალი. იმ საღამოს კინალამ რომ არ აიყვანეს მაგრამ პედი ლიონარდი პოლიციელს იცნობდა. 14 ა. გამტყვრალი ბრაიდ სტრიტის სამიკიტნოს დაკეტვის შემდეგ, ორ კახპასთან მრუშობაში გართული, ოღრაში ზექსზე იდგა, პორტერს ჩაის ჰიქებით რომ სვამდა. თავს ფრანგად უსაღებდა კახპებს, ჟოზეფ მანუ, კათოლიკური რელიგიის წინააღმდეგ გამოდიოდა, ახალგაზრდობაში კი ადამ და ევაში უწირვია, თვალდახუჭულს, ვინ დაწერა ახალი აღთქმა და ძველი აღთქმა და თან კურკური და ტმასნა. და სიცილისაგან ჩაბჭირებული ორი კახპა გამოყეყეჩებულს ჯიბეებს უცარიელებს და ის ოხერი კი საწოლზე პორტერს ანთხევს და ბოზები ერთმანეთს ეხითხითებიან. როგორია შენი აღთქმა? ხომ არ დაგიძველდა? და ამ დროს პედიმ ჩაიარა, მაშ. ახლა კი კვირაობით ეკლესიაში დაიარება თავის პაწია სატრფო-ცოლთან ერთად, კუდს რომ მიაქნევს ხოლმე ეკვდერში, არც მეტი არც ნაკლები, ლაკის გაკრიალებული ტუფლებით, და თავისი იებით, ულამაზესი იებით, ასე რომ ამშვენებს პაწია ლედის. ჯეკ მუნის და. და ბებერი დედა ბოზი ოთახს რომ მიაქირავებს ქუჩის წყვილებს. ღმერთო ძლიერო, ჯეკმა წესიერებისაკენ მოუწოდა. უთხრა, თუ არ შეირთე, ღმერთმანი, ჯიგარს გამოვიბერტყავო.

ჰოდა ტერიმ სამი პინტი მოიტანა.

— გაგვიმარჯოს, ამბობს ჯოუ და ჰიქას უჭახუნებს. გაგვიმარჯოს, მოქალაქევ.

— Slan leat¹⁶, ამბობს ის.

— დღეგრძელობას გისურვებ ჯოუ, ამბობს მე. მთავარია ჯანმრთელობა.

მოქალაქევე-

ღმერთო ძლიერო, თავი უკვე ჭიქაზე აქვს ჩამოქინდრული. ცოტა დღეგრძელობა სჭირდება სმაში რომ წაადგეს.

— ის წოპე ყმაწვილი ვინ არის ქალაქის მრჩევლის თანამდებობაზე უმიზნებს, ელფ? ამბობს ჯოუ.

— შენი მეგობარი, ამბობს ელფი.

— ნანანი? ამბობს ჯოუ. დებუტატი?

— არავითარ გვარებს არ დავასახელებ, ამბობს ელფი.

— ასეც ვიფიქრე, ამბობს ჯოუ. იმ შეკრებაზე ვნახე უილიამ ფილდთან, პარლამენტის წევრთან, საქონლით მოვაჭრეთა შეკრებაზე.

— თმააქოჩრილი იოპასი¹⁷, ამბობს მოქალაქე, ამოხეთქილი ვულკანი, ყველა ქვეყნის საყვარელი არსება და საკუთარი თავის კერპი.

ჰოდა ჯოუ მოქალაქეს უწყებს ლაპარაკს თურქულის დაავადებაზე და საქონლით მოვაჭრეთა და ამ საქმეში ზომების მიღების შესახებ და მოქალაქე ყველაფერ ამას ფეხებზე იკიდებს და ბლუმი ქეცის საწინააღმდეგოდ ცხვრის-ბანის და ხბორების პარაზიტული ბრონქიტის წამლობის და აქტინომიფოზის უებარი განკურვნის საკითხს წამოჭრის. რადგან ერთდროს ჩამოწერილ ცხენებს საკლავად ყიდულობდა. დავთრითა და ფანქრით აქეთ-იქით დადიოდა, აგერ ჩემი თავი და ქუსლებიც უკან მოყვებო, სანამ ჯოუ კაფმა არ დაითხოვა მესაქონლესთან უხეში შელაპარაკებისათვის, ბატონი ყოვლისმცოდნე, შვილი მამას ასწავლიდაო. პისერ ბერკი სასტუმროში მიყვებოდა ცოლს ცრემლი ნიადვარივით ჩამოსდიოდა ხოლმე რვა გოჯის სისქის ქონით დაფარულ ქალბატონ დაუდთან ერთად. ჩაკუებულ კორსეტს ვერ ამოშებდა მაგრამ ბებერი ქაშაყი ვალსის ცეკვით გარს უვლიდა და აჩვენებდა როგორ უნდა ექნა ეს. რა გაქვთ დღეს პროგრამაში? ჰოო. ჰუმანური მეთოდები. რადგან საბრალო ცხოველები წვალობენ და ექსპერტები კი ამბობენ საუკეთესო საშუალება რომელიც ტკივილს არ აყენებს ცხოველებს ჭრილობის სათუთი მობანვაა. ღმერთმანი დედალს ისე ფაქიზად ამოაცლის კვერცხს კრიახს არ დააწყებინებს.

გა გა გარა. კლუკ კლუკ კლუკ. ლიზი ჩვენი შავი დედალია. ის ჩვენთვის კვერცხებს დებს. კვერცხს რომ დადებს ძალიან უხარია. გარა. კლუკ კლუკ კლუკ. შემდეგ მოდის კეთილი ბიძია ლეო. ხელს შეუყოფს შავ ლიზს და ახლად დადებულ კვერცხს გამოაცლის. გა გა გა გა გარა. კლუკ კლუკ კლუკ.

ასეა თუ ისე, ამბობს ჯოუ, ფილდი და ნანეტი ამ სალამოს ლონდონს მიემკვარებიან რათა ეპიდემიის შესახებ თემთა პალატაში შეკითხვა დასვან.

— დარწმუნებული ხართ, ამბობს ბლუმი, რომ მრჩეველი მიდის? სხვათა შორის, ნახვა მინდოდა.

— დიახ, საფოსტო გემით მიდის, ამბობს ჯოუ, სალამოთი.

— ძალიან ცუდია, ამბობს ბლუმი. მე კი სწორედ მინდოდა. იქნებ მარტო ბატონი ფილდი მიდის. ეგებ დამერეკა. არა. დარწმუნებული ხართ?

— ნანანიც მიდის, ამბობს ჯოუ. ლიგამ დაავალა ხვალ შეკითხვა დაესვა პოლიციის კომისრის მიერ პარკში ირლანდიური თამაშობების აკრძალვის შესახებ. ამაზე რას ფიქრობთ, მოქალაქევე? Sluagh na h-Eireann¹⁸ ბატონი კაუკონაკრი (მალტიფარნკამი. ნაც.): ჩემი პატივცემული მეგობრის, შილელას დებუტატის, შეკითხვასთან დაკავშირებით, თავს უფლებას მივცემ გავიგო დი-

დად პატივცემულ ჯენტლმენისაგან მიიღო თუ არა მთავრობამ დადგენილებანი იმის თაობაზე რომ ეს საქონელი დაიკლას მიუხედავად იმისა რომ არავითარი სამედისინო დასკვნა არ გაგვაჩნია მათი პათოლოგიური მდგომარეობის შესახებ?



ბატონი ოლფოურზი (ტამოშანტი. კონ): პატივცემული წევრებო, გაეცხენ დასკვნას რომელიც პარლამენტის კომიტეტს წარუდგინეს ჯორჯიანური მაქეს დასამატებელი. პატივცემული წევრის შეკითხვაზე პასუხი დადებულია.

ბატონი ორელი (მონტენოტი. ნაც): ანალოგიური დადგენილებანი თუ იქნა გამოტანილი იმ ადამიანი ცხოველების დაკვლის შესახებ, რომელთაც გაბედვით ირლანდიური თამაშობების გამართვა ფენიქსის პარკში?

ბ-ნი ოლფოურზი: პასუხი უარყოფითია.

ბ-ნი კაუ კონარი: ხაზინის წარმომადგენელთა ასეთი მოქმედება ხომ არ არის ინსპირირებული დიდად პატივცემული ჯენტლმენის ცნობილი მიჩენსტაუნის დებუებით?

(ოპ! ოპ!).

ბ-ნი ოლფოურზი: ამ საკითხის შესახებ წინასწარ უნდა მოგესვენებინათ ჩემთვის.

ბ-ნი სტილუაიტი (ბანკომბი. ინდ): წარბშეუბრელად ისროლეთ. (ოპოზიციის ირთნიული შეძახილები.)

სპიკერი: სიწყნარე! სიწყნარე! (მთელი დარბაზი ფეხზე დგება. შეძახილები.)

— არის კაცი, ამბობს ჯოუ, რომელმაც გელური სპორტი ააღორძინა! აგერ იქ ზის. კაცი რომელმაც ჯეიმზ სტივენზი გააპარა. სრულად ირლანდიის ჩემპიონი რომელმაც თექვსმეტგირვანქიანი სტყორცნა. რა იყო თქვენი საუკეთესო ტყორცნა, მოქალაქე?

— Na bacleis⁴⁹, ამბობს მოქალაქე, აძლევს რა თავს უფლებას იყოს თავმდაბალი. ისე კი, იყო დრო ტოლს არავის დაუდებდი.

— კარგი გეყო, მოქალაქე, ამბობს ჯოუ. გაცილებით უკეთესი კი არ იყავი?

— მართლა ასე იყო? ამბობს ელფი.

— დიახ, ამბობს ბლუმბი. ეს ყველამ იცის. თქვენ რა, არ იცოდით?

ჰოდა მოჰყვენენ მასლაათს ირლანდიური სპორტისა და ვაი-ჯენტლმენების თამაშობებზე, როგორცაა ტენისი და ჰერლი და სხვადასხვა წონის ქვების ტყორცნა და სხვა ეროვნული თამაშობები, და კვლავ ერის შექმნასა და სხვა მისთანებზე. და რა თქმა უნდა ბლუმს უნდა ეთქვა თავისი სათქმელი იმაზე რომ ყმაწვილ კაცს თუნდაც ნიჩბოსნის გული ჰქონდეს ზომას გადასული ვარჯიში მაინც მავნებელია. ბებიაჩემის სიქალწულეს ვფიცავარ ამ ვერანი იატაკიდან ჩალის ღერი თუ აიღო და ბლუმს უთხრა: შეხე, ბლუმ, ხედავ ამ ჩალს? ეს ჩალაა. მამიდაჩემს გეფიცებით ერთი საათი ილაპარაკებს ამაზე, ღმერთმანი, და თანაც გულდაჩერებით.

შეტად საინტერესო დისკუსია მოეწყო Brian O' Ciarnain-ის დარბაზში Sraid na Bretagne Bheag-ზე⁵⁰, Sluagh na h-Eireann-ის თაოსნობით, უძველეს გელურ სპორტულ თამაშობათა აღორძინების და ფიზიკური კულტურის როგორც ერის განვითარების აუცილებელი პირობის შესახებ, როგორც ეს უძველეს საბერძნეთში და უძველეს რომში და უძველეს ირლანდიაში ესმოდათ. თავმჯდომარეობდა ამ ღრმად პატივსაცემი ორდენის პრეზიდენტი და საზოგადოებაც ბლომად ესწრებოდა. თავმჯდომარის დიდებული, ენაწყლიანი და ტემპერამენტიანი გამოსვლის შემდეგ უაღრესად საინტერესო და სასარგებლო დის-

ესია გაიმართა ჩვეულ ბრწყინვალე დონეზე ჩვენი პანკელტური წინაპრების უძველეს სპორტულ თამაშობათა აღდგენა-აღორძინების სარგებლიანობის შესახებ. ჩვენი ძველი ენის შენარჩუნებისათვის საქვეყნოდ ცნობილმა და ლაშქარში მსახურს გაწეულმა მეტროპოლიმა ბატონმა ეოზეფ მაკარტი ჰაინზმა მჭევრმეტყველოვნად მოუწოდებდა უძველეს გელურ სპორტულ გართობა-თამაშობათა აღდგენასა და განვითარებას. რომელთაც დილა-სალამოს მისდევს ფონ მაკელი ბატონმა. თანაც, როგორც ვარაუდობენ, უნდა აღორძინონ მამრის ჯანღონის უძველეს საუკუნეებოდან ჩვენამდე მოღწეული საუკეთესო ტრადიციები. ლ. ბლუმმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა და ტაშისა და სტვენის ნარევი დაამსახურა, რის შედეგადაც ხშირმა თავმჯდომარემ, ყოველი მხრიდან დაუინებელი მოთხოვნისა და გულბანი აპლოდისმენტების შედეგად, კამათი შეწყვიტა უკვლავი ტომას ოსბორნ დეივისის უჭკნობი ლექსის „კვლავაც ერია“ (საბუნდოვროდ საკუთარ ცნობილის რათა აქ მისი გახსენება იყოს საჭირო) წაკითხვით, რომლის შესრულებაში, შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე თამამად ითქვას, საკუთარ შესაძლებლობასაც კი გადააჭარბა. ირლანდიელი კარუზო-გარიბალდი აღმატებულ ფორმაში გახლდათ და მისი მჭექა ნოტები გამორჩეულად გაისმოდა დროით ნაცად ჰიმნში, რომელიც შესრულდა ისე როგორც ეს მხოლოდ ჩვენს მოქალაქეს შეეძლო შეესრულებინა. ზედმიწევნით მაღალი კლასის ვოკალურ ხელოვნებას, რომლის ბრწყინვალეობამ დიდად აამაღლა მისი ისედაც მყარი საერთაშორისო ავტორიტეტი, მხურვალე ოვაციებით მიეგება დიდძალი აუდიტორია რომელშიც შენიშნავდით ბევრ გამოჩენილ სამღვდელს პირს, ისევე როგორც პრესის, სამართლისა და სხვა სწავლულ პროფესიათა წარმომადგენლებს. ამის შემდეგ კრებამ მუშაობა შეწყვიტა.

სამღვდლო პირთა შორის იყვნენ დიდად ღირსი უილიამ დელანი, იეზუიტთა საზოგადოება; ღირსი მამა ჯერალდ მოლოი, ირლანდიის კათოლიკური უნივერსიტეტი; ღირსი პ. ჯ. კევანა, მცირე ბერთა ორდენი; ღირსი ტ. ფოტერსი, იოანე ნათლისმკემლის რომაულ კათოლიკური ეკლესია; ღირსი ჟონ მ. აივერსი, მღვდელი; ღირსი პ. ჯ. კლირი, წმ. ფრანსისის ორდენი; ღირსი ლ. ჯ. ჰიკი, ბერ მოძღვართა ორდენი; დიდად ღირსი ფრ. ნიკოლასი, წმ. ფრანსისის კაპუცინის ორდენი; დიდად ღირსი ბ. გორმანი, ფეხშიშველი კარმელიტების ორდენი; ღირსი ტ. მაჰერი, იეზუიტთა საზოგადოება; დიდად ღირსი ჯეიმზ მარფი, იეზუიტთა საზოგადოება; ღირსი ჟონ ლეივერი, მამათა კონგრეგაციის წევრი; დიდად ღირსი უილიამ დოჰერტი, დუბლინის წმ. მარიაშის ტაძარი; ღირსი პიტერ ფეგანი, მარიაშის საზოგადოება; ღირსი ტ. ბრენგანი, წმ. ავგუსტინეს ორდენი; ღირსი ჯ. ფლავინი, დუბლინის წმ. მარიაშის ტაძარი; ღირსი მ. ა. ჰეკეტი, წმ. მარგარეტის რომაულ კათოლიკური ეკლესია; ღირსი უ. ჰერლი, წმ. იაკობის რომაულ კათოლიკური ეკლესია; ღირსი მამა მ. მენუსი, წმ. კეთრიანის რომაულ კათოლიკური ეკლესია; ღირსი ბ. რ. სლეტერი, ქალწული მარიაშის ორდენი; დიდად ღირსი მ. დ. სკელი, წმ. ნიკოლასის რომაულ კათოლიკური ეკლესია; ღირსი ფ. ტ. პარსელი, ბერ მოძღვართა ორდენი; დიდად ღირსი ტამარი კანონიკუს გორმანი, მღვდელი, ღირსი ჯ. ფლენაგანი, დუბლინის უმანკო ჩასახვის ტაძარი; საერო პირთა შორის იყვნენ პ. ფეი, ტ. ქუირკე და სხვ. და სხვ.

— რაც შეეხება გადაჭარბებულ ვარჯიშს, ამბობს ელფი, კეოგ-ბენეტი მატჩს თუ დაესწარით?
 — არა, ამბობს ჟოუ.

— მაგანმა და მაგანმაო მითხრეს სუფთა ასი გირვანქა გააკეთა ამ მატჩზეო, ამბობს ელფი.

— ვინ? ბლეიზისმა? ამბობს ჯოუ.

და ამბობს ბლუმი:

— ტენისზე რომ ვლაპარაკობდით, მაგალითად, ^{სისწრაფუნა და თვების} ~~სისწრაფუნა~~ ^{გონიერებისა} ~~გონიერებისა~~ გავარჯიშებას ვგულისხმობდი.

— ჰო, ბლეიზისმა, ამბობს ელფი, ხმა დააგდო თითქოს მაილერი ნასვამი იყო, ნიძლავზე გავლენა რომ მოეხდინა. ის უბედური კი ვარჯიშისაგან ოფ-ლში იხვითქებოდა.

— ჩვენ მას ვიცნობთ, ამბობს მოქალაქე. მოლაღატის ვაჟი. ჩვენ ვიცით როგორ ჩაიჩხრიალა ინგლისური ოქრო ჯიბეში.

— ზუსტი ხარ, ამბობს ჯოუ.

ბლუმი კვლავ ეჩხირება თავისი ტენისითა და სისხლის მიმოქცევით და ელფს ეკითხება:

— არ შეთანხმებით, ბერგან?

— მაილერმა იატაკზე ახოხიალა, ამბობს ელფი. ჰინანი და სეირზი ამათთან მიქარვა იყო. გულ-ღვიძლი გამოუბერტყა. წრიბა ჰიპამდე ძლივს სწვდებოდა და ის მოსული ყაზახი კი უბათქუნებდა და უბათქუნებდა. ღმერთო დიდებულო, უკანასკნელი ქარები გამოუბერტყა. ქუინსბერის წესები⁵¹ და მისთანები, რაც არ ეჭამა ისიც არწყევინა...

ნამდვილად უდიდესი ისტორიული ბრძოლა იყო როცა მაილერმა და პერსიმ გადაწყვიტეს ორმოცდაათი სოვერინის საფასურად ხელთათმანები ჩაეცვათ. მართალია ნაკლები წონის გამო თანაბარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, მაგრამ დუბლინის ფავორიტმა ეს მისთვის არახელსაყრელი განსხვავება უმაღლესი საკრივო ოსტატობით გადაფარა. უკანასკნელი რაუნდის ფოიერვერკი ორივე ფალავნისათვის დამქანცველი აღმოჩნდა. ზორზობა უფროსმა სერჟანტმა ბორდოს ღვინო დაადინა ცხვირიდან წინა ცემა-ტყეპის დროს როცა კეოვი ქერაფრით ვერ ირიდებდა მარჯვენებსა და მარცხენებს, არტილერისტმა კი ფავორიტს ცხვირზე კოხტად მოსდო და მაილერი მთვრალივით აბარბაცდა. ჯარისკაცმა იმით დაიწყო რომ მარცხენათი მაგარი პირდაპირი დააკერა კორპუსში რაზეც ირლანდიელმა გლადიატორმა იმით უპასუხა რომ ერთი მაგარი უთავაზა პირდაპირ ყბაში. ინგლისელმა ჯარისკაცმა სცადა არიდება მაგრამ დუბლინელმა მარცხენა კოხტა ჰუკი მიაგება ტანზე. ბოლოს ერთმანეთი ჩაბლუჯეს. მაილერი უცბად გააქტიურდა და მეტოქეს ქვევიდან ამოარტყა, ხოლო რაუნდი იმით დაამთავრა რომ მასზე უფრო ზორბა კაცი ბაგირზე მიჭყუნა. ინგლისელმა, რომელსაც მარჯვენა თვალი თითქმის დახუჭული ჰქონდა, თავისი კუთხე დაიკავა სადაც მას უხვად დააბკურეს წყალი და როცა გაისმა გონგი ცქვიტად წამობტა მამაცი და გულმაგარი, დაჯერებული იმაში რომ სულ ცეკვა-ცეკვით ჩააგდებდა ნოკაუტში ჰიბერნიელ მოკრივეს. ეს უძლიერესთა შეუპოვარი ბრძოლა იყო. ვეფხვებივით იბრძოდნენ და ავიოტაჟი მატულობდა და მატულობდა. რეფერიმ ორჯერ გააფრთხილა პაკინგ პერსი მეტოქის შეკავებისათვის, მაგრამ ფავორიტი გამოცდილი იყო და ერთ სიამოვნებად ღირდა იმის ყურება თუ როგორ მოძრაობდა. თავაზიანობის სწრაფი გაცვლის შემდეგ რომლის დროსაც სამხედრო კაცის მოხდენილმა აპერკოტმა მოწინააღმდეგეს უხვად დაადინა პირიდან სისხლი, ფავორიტი უცებ ეძგერა თავის მეტოქეს, საზარელი ძალით დასცნო მარცხენა ბეტლი ბენეტს მუცელში და იატაკზე გაჭიმა. სუფთა

წყლის ნოკაუტი გახლდათ. დაძაბულ მოლოდინში პორტობელოს მუშტი-კრივის ოსტატს ათი დაუთვალეს და ბენეტის სეკუნდანტმა ოლე პფოტს უეტმტაინმა პირსახოცი გადმოაგდო და სანტრიელ ჭაბუკს გამარჯვება მიანიჭეს, რამაც მაყურებლის ბობოქარი შედახილები გამოიწვია, ხალხმა რინგის ბაგირები გადათელა და გახარებული გარს შემოერთყა მოკრივეებს.

უკრუნუნსული

— იცის ბიჭმა პირის გემო, ამბობს ელფი. გავიგე საკონცერტო ტურნეები რთავს ჩრდილოეთშიო.

— ნამდვილად, ამბობს ჯოუ. ხომ კი?

— ვინ? ამბობს ბლუმი. აჰ, ხო, მართალია. დიახ, იცით, საზაფხულო ტურნეს მაგვარი რალაც. დასვენებასავითაა.

— ქ-ნი ბ. საოცნებო კაშკაშა ვარსკვლავია, არა?

— ჩემი ცოლი? ამბობს ბლუმი. დიახ, მღერის. მე მგონი წარმატებაც ექნებათ. ბრწყინვალე ორგანიზატორია. ბრწყინვალე.

ღმერთო დიდებულო, ამბობს მე ჩემთვის.

ოპოპო. ახლა გასაგებია როგორ დებენ კამფეტში ხილფაფას. ბლეიზისი სალამურს აჭიკჭიკებს. საკონცერტო ტურნე. ბინძური დენი სიმულიანტი აილენდ ბრიჯიდან ერთსა და იმავე ცხენს ორჯერ რომ მიყიდდა ხოლმე მთავრობას ბურების ომში. ბებერი რაორაო. ლატაკებისა და წყლის გადასახადის თაობაზე გეახელით, ბატონო ბოილან. რაო? წყლის გადასახადზე, ბატონო ბოილან. რაორაო? ეს ბაქია აშაღლარი ნამდვილად გაუკეთებს ორგანიზაციას, შეგიძლიათ მენდოთ. მხოლოდ ჩვენ შორის რომ დარჩეს.

გიბრალტარის კლდის სიამაყე, ტუიდის ყორნისფერთმიანი ქალიშვილი. იქ გაიზარდა უმაგალითო მზეთუნახავი სად ჰაერი იაპონური მუშმულისა და ნუშის სურნელით არის გაქვნილი. აღმედას პარკი ცნობდა მის ნაბიჯს: ზეთისხილის ბალი ცნობდა და თავს უხრიდა მდაბლად. ლეოპოლდის უმანკო მეუღლეა იგი: მკერდსავსე მერიონი.

და აი, შემობრძანდა ო' მოლოის კლანის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ლამაზი გმირი სახეთეთრი თუმც ოდნავ შეფაკლული, მისი უდიდებულესობის მრჩეველი, სამართლის საქმეში განსწავლული, და მასთან ერთად უფლისწული და გამგრძელებელი ლემბერტთა კეთილშობილი გვარისა.

— ნედს გაუმარჯოს.

— გამარჯობა, ელფ.

— გაგიმარჯოს, ჯექ.

— გამარჯობა, ჯოუ.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ამბობს მოქალაქე.

— იცოცხლე, ამბობს ჯ. ჯ. რას ვსვამთ, ნედ?

— მხოლოდ ნახევარი, ამბობს ნედი.

ჰოდა ჯ. ჯ.-იმ სასმელი შეუკვეთა.

— სასამართლოში ხომ არ იყავით? ამბობს ჯოუ.

— დიახ, ამბობს ჯ. ჯ. თვითონ მოაგვარებს ამ საქმეს, ნედ, ამბობს ის.

— იმედია, ამბობს ნედი.

არა, მაინც რა უნდოდათ ამ ორს? ჯ. ჯ. ცდილობს დიდი ეიურის სიიდან ამოაგდოს და მეორე კი ეხმარება წარმატებას რომ მიადწიოს. მისი სახელი სტამბის კვირეულ გაზეთში ფიგურირებდა. ბანქოს თამაში, მოჩვენებითი მანერებით მოკველუცე მოდურ მონოკლიან ჯენტლმენებთან ჭიქების მიჯახუნება, შამპანურის წრუპვა და თან ლამისარია სასამართლო უწყისებში და მოვალის ყა-

დალადადებულ ფულში ჩაიხრჩოს. ოქროს საათს რომ ავირავებდა ფრანსისის ქუჩაზე კამინთან სადაც ვერავინ იცნობდა სანდოდ მოყუჩებულ კონტორაში, როცა პისერს ფეხსაცმლის გამოსასყიდად მიეყევი. რა გვარი მოძინებდით, სერ? დანი, ამბობს ის. ეჰ, დანა მიუბჭენიათ ყელში, ამბობს მე, ღმერთო, ერთხელაც იქნება და გულში მუშტის ცემით დაბრუნდება შინ.

— იმ ჩემი ცოდვით სავსე ვიყ-გადარეულ ბრინს ზუსტ მოძინებში სპდმე თვალი? ამბობს ელფი. კ. კ.: ჭოჭი.

— კი, ამბობს ჯ.ჯ. კერძო დეტექტივს ეძებდა.

— მაშ, ამბობს ნედი, და რაც არ უნდა მომხდარიყო, უნდოდა პირდაპირ სასამართლოსთვის მიემართა. კორნი კელეჭერი უტრიალებდა არწმუნებდა ჯერ ხელწერა უნდა შემოწმდესო.

— ათი ათასი გირვანქა, სიცილით ამბობს ელფი. ღმერთო, რას არ მივცემდი მაგისი გამოსვლა რომ მომესმინა მოსამართლისა და მსაჯულების წინაშე.

— ეს თქვენი ნახევარია, ელფი? ამბობს ჯოუ. სიმართლე, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, და ჯიმი ჯონსონი იყოს თქვენი მფარველი.

— მე? ამბობს ელფი. ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალი.

— ყველაფერი რასაც განახცადებთ, ამბობს ჯოუ, თქვენს საწინააღმდეგო ჩვენებად იქნება გამოყენებული.

— რა თქმა უნდა, სარჩელი სწორი არ იქნება, ამბობს ჯ.ჯ. ის გულისხმობს, რომ არის *compos mentis*.²² კ. კ.: ჭოჭი.

— შენი თვალი *compos* სიცილით ამბობს ელფი, არ იცით რომ შერევილია, ერთ მშვენიერ დილას აიღებს და ქუდს კაწაპის დახმარებით დაიხურავს.

— კი, ამბობს ჯ.ჯ., მაგრამ მართლმსაჯულების თვალში ცილისწამების სიმართლე ბრალდების წინასწარი გამოქვეყნების გასამართლებლად ვერ გამოიყენება.

— ჰა, ჰა, ელფი, ამბობს ჯოუ.

— მაინც, ამბობს ბლუმი, საბრალო ქალის მდგომარეობას თუ წარმოვიდგენთ, მის ცოლს ვგულისხმობ.

— შეააცოდია, ამბობს მოქალაქე. ნებისმიერი სხვა ქალიც, ისეთ კაცს რომ გაპყვება არც ის რომ არის და არც ეს.

— როგორ თუ არც ის არის და არც ეს? ამბობს ბლუმი. თქვენ გულისხმობთ რომ ის...

— სწორედ არც ის რომ არის და არც ეს იმას ვგულისხმობ, ამბობს მოქალაქე. არც წყალია და არც ღვინო.

— არც რიგიანი ლუდი, ამბობს ჯოუ.

— მეც მაგას ვგულისხმობ, ამბობს მოქალაქე. ჩეარო, რომ იტყვიან, სწორედ ის არის.

ღმერთმანი ვხედავდი რომ რაღაც უსიამოვნება დატრიალდებოდა. და ბლუმმა დაიწყო იმის ახსნა რომ ცოლის უღმობელი ბედია დღედაღამ იმენა-ბლუ ბებერი ყეყეჩის დევნა. სწორედ ცხოველების მიმართ სისასტიკეა ის რომ მაგ სილატაკეში სულამოსულ ბრინს ალაღბედზე მიუშვებენ უბედურად წვერ-გაბურჭნილს, ზეცას ცრემლები რომ ჩამოსცვივა მისი ცოდვით. და ის კი კასრის საცობივით ცხვირბზეკილი მას შემდეგ რაც ბრინს გაპყვა აქაოდა მამამისის ბიძაშვილი რომის პაპის სამსახურში იყო. მისი სურათი კედელზე აპრეზალი უღვაშებით. სენიორ ბრინი სამერპილიდან, მაკარელონი, პაპის ზუავი წმინდა მამასთან, სანაპირო მიატოვა და მოს სტრიტზე ვადასახლდა. ის კი ვინ ოხ-

ერი ბრძანდებოდა, ერთი გვიტხარით? არაეინ, ორი უკანა ოთახი ეზოში გასას-
ვლელებით, კვირაში შვიდ შილინგად, ყოველნაირი სამკერდე ნიშნებით დაფა-
რული მკერდი და შთელი ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია.

— და უფრო მეტიც, ამბობს ჯ. ჯ., საფოსტო ბარათი პუბლიკაციაა. იგი
ბოროტი განზრახვის საკმაო სამხილად მიიჩნის სედგროუფ-კარტონის
განხილვისას. ჩემის აზრით სარჩელი შეიძლება ტყუოდეს.

ექვსი და რვა პენი, გეთაყვათ. ვის რაში აინტერესებს შენი აზრი? მოდით
უხმოდ შევსვათ ჩვენი პინტები. ღმერთო, ამასაც კი ჩვენს გემოზე არ გაგვაკე-
თებინებენ.

— მაშ გაგიმარჯოს, ჯეკ. ამბობს ნედი.

— გაგიმარჯოს, ნედ, ამბობს ჯ. ჯ.

— აგერ ისევ მოდის, ამბობს ჯოუ.

— აბა სად? ამბობს ელფი.

და ღმერთმანი კარს ჩაუარა ილლიაში წიგნებამოჩრილმა და ცოლიც მის
გვერდით და კორნი კელეპერი, თვალუბდაჭყეტილმა რომ შემოიხედა როცა ჩა-
იარეს, მამაშვილურად რომ ელაპარაკებოდა, გამონაცვალი კუბოს მიყიდვას
რომ ლამობდა.

— იმ კანადური აფერისტობის საქმემ როგორ ჩაიარა? ამბობს ჯოუ.

— დამატებითი ძიებისათვის დააბრუნეს, ამბობს ნედი.

ერთ-ერთი ყვევერული ძმობა იყო, რომელიც ჯემს ოუტ იგივე საფირო იგ-
ივე სპარკ და სპიროს სახელით იყო ცნობილი, განცხადება რომ მოათავსა გაზეთ-
ში კანადაში სამგზავრო ბილეთს ოც გირვანქად ვიძლევიო. რაო? ასეთი გუ-
ლუბრყვილო გგონივართ? თქმა არ უნდა ბინძური თაღლითობა იყო. რაო? ყვე-
ლას აჭამეს. მოახლეებსა და ხიხოებს მითის საგრაფოდან, ეი, საკუთარ ქეციან
თავსაც. ჯ. ჯ. გვიყვებოდა ერთი გადაბრიკინებული ებრაელი ზარეცკი თუ რაღაც
ამგვარი იყო, სასამართლოში მოწმის ადგილას მდგარი აქვითინდა ქუდმოუხდე-
ლი, წმინდა მოსეს ფიცულობდა ორი გირვანქა დაუსვეს.

— მოსამართლე ვინ იყო? ამბობს ჯოუ.

— სერ ფრედერიკი, ამბობს ნედი.

— საბრალო ბებერი ფოლკინერი, ამბობს ელფი, თვალსა და ხელს შუა
გააცურებს კაცი.

— ლომის ხელა გული აქვს, ამბობს ნედი. საშინელი ამბავი მოვუყევი ვა-
ლებისა და გადასახადების, ავადმყოფი ცოლისა და ჯგრო ბავშვების შესახებ
და, ბე და ჩემმა ღმერთმა, ცრემლად დაიღვარა თავის სავარძელში.

— მაშ, ამბობს ელფი. რუბენ ჯ.-ს ძაღლის ბედი ჰქონია, ამას წინათ საბრა-
ლდებულო სკამზე რომ არ დასვა საბრალო წრიბა გამლის ჩივილისათვის, რო-
მელიც ბატ ბრიჯთან კორპორაციის ქვებს დარაჯობს.

და იწყებს ბებერი მოსამართლის ხმით ყვირილს:

— საშინელი სკანდალური ამბავი! ეს საცოდავი მშრომელი ადამიანი! რა-
მდენი შვილი გყავთ? ათიო, ამბობთ?

— დიახ, თქვენო მოწყალებავ. ჩემს ცოლს კი მუცლის ტიფი ჰქონს.

— და ცოლი მუცლის ტიფით არის ავად! სკანდალური ამბავი ახლავე
დასტოვეთ სასამართლო დარბაზი, სერ. არა, სერ, მე გადასახადის ორდერს არ
გამოვწერ. როგორ ბედავთ, სერ, ჩემს წინაშე რომ გამოცხადდით და ორდერის
გამოწერას მთხოვთ! საცოდავი ბეჯითი მშრომელი ადამიანი! მე უარს გეუბნე-
ბით სარჩელზე.

და იმ დროს როდესაც ხარისთვალა ღვთაების თვის მეთექვსმეტე დღეს და წმინდა და განუყოფელი სამების დღესასწაულის მესამე კვირის თავზე, როს ზეცის ასული, ქალწული მთვარე თავის პირველ მეოთხედში იმყოფებოდა, მოხდა ისე, რომ განსწავლულმა მოსამართლეებმა ისინი სასამართლო დარბაზებში წარავლინეს. უფალი კოურტნი საკუთარ კონტორაში დასჯდა და უფალი მოსამართლე ენდრუსი სამემკვიდრეო და საანდერძო საქმეებში სასამართლოში, მსაჯულთა გარეშე, ჯეროვნად აწონ-დაწონიდა და მოიაზრებდა პირველი მოსარჩელეს მიერ წაყენებულ პრეტენზიებს ქონების დასამტკიცებლად წარდგენილ ანდერძთან დაკავშირებით და საბოლოო საანდერძო დადგენილებას აწ განსვენებული, დატირებული ღვინით მოვაჭრე ჯეკობ პოლიდეისა და სულით ავადმყოფი ბაღის, ლივინგსტონის საქმეში. და გრინ სტრიტის პირქუშ სასამართლოში მობრძანდა სერ ფრედერიკ ფოლკინერი და მან დასვა იგი იქ დაახლოებით ხუთ საათზე რათა მიეყენებინა ბრეჰონთა სჯული ყველა იმ მხარისათვის რომელიც კი ქალაქ დუბლინის საგრაფოს იურისდიქციაში შედიოდა. და მასთან ერთად სხდომაში მონაწილეობდა დასავლეთის თორმეტი ტომი, თითო ტომი წარმოდგენილი იყო თითო კაცით, ტომი პეტრიკისა და ტომი ჰიუსისა და ტომი იუინისა და ტომი კონისა და ტომი ოსკარისა და ტომი ფერგუსისა და ტომი ფინისა და ტომი დერმოტისა და ტომი კორმაკისა და ტომი კევინისა და ტომი კეელტისა და ტომი ოსიანისა, სულ თორმეტნი იყვნენ, კეთილი და პატიოსანი ადამიანები. და მან დააფიცა სახელი მისი ჯვარზე რომ ისინი ჯეროვნად და სამართლიანად გამოიძიებენ და სამართლიანად განსჯიან იმ კამათს რომელიც მათ უმაღლეს მბრძანებელ მეფესა და პატიმარს შორის წარმოიშვა და სამართლიან განაჩენს გამოიტანენ ჩვენების საფუძველზე დაე ფარვიდეს მათ ღმერთი და ემთხვეთ ბიბლიას. და ისინი წამოიმართნენ თავიანთი სავარძლებიდან, თორმეტნი დასავლელნი და შეჰფიცეს სახელს მისას რომელ არს ამიერიდან და უკუნისამდე რომ ისინი აღასრულებენ მის მართლსიბრძნეს. და იმავე წამს სამართლის წარგზავნილებმა გაანთავისუფლეს ისინი მიწისქვეშა საპყრობილედან და დაიტოვეს ერთი რომელიც მართლმსაჯულების მეძებრებმა შემოსული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. და ბორჯილი დაადეს ხელფეხზე არც თავდებობა არც თავმდები, მხოლოდ ბრალდება წაუყენეს რადგან სამართალდამრღვევი იყო.

— კაი ვინმეები არიან, ამბობს მოქალაქე, ირლანდიაში რომ მობრძანდებიან და ქვეყანას ბაღლინჯოებით ავსებენ.

და ბლუმმა ვითომ ვერაფერი გაიგონა და ჯოუს გაუბამს საუბარს და ეუბნება რომ არ უნდა წუხდეს იმ პატარა რამეზე თვის პირველ რიცხვამდე მაგრამ რომ შეეძლოს სიტყვას ჩაუკრავს ბატონ კროფორდს. და ჯოუმ ყველა და ყველაფერი დაიფიცა რომ ყოველ ღონეს იხმარდა.

— რადგან, იცით, ამბობს ბლუმი, რეკლამისათვის საჭიროა გამეორება. მთელს საიდუმლო ამაშია.

— მომენდეთ, ამბობს ჯოუ.

— გლეხების გარბიყვება, ამბობს მოქალაქე, და ირლანდიის ლატაკებისა. აღარ გვინდა უცხოელები ჩვენს სახლში.

— ოო, დარწმუნებული ვარ ყველაფერი რიგზე იქნება, ჰაინზ, ამბობს ბლუმი. მხოლოდ ის კლიტი, გესმით?

— ჩათვალეთ რომ საქმე გაკეთებულია, ამბობს ჯოუ.

— დიდად დამავალბეთ, ამბობს ბლუმი.

— უცხოელები, ამბობს მოქალაქე. ჩვენზე ბრალია, ჩვენ შემოვუშვიტ. ჩვენ მოვიყვანეთ. მოლალატე ქალმა და მისმა კურომ მოიყვანა საქსონელი ყაჩაღები.



— Decree nisi, ამბობს ჯ. ჯ.

და ბლუმს ვითომდა მეტისმეტად აინტერესებს არაფერი, კასტრუქციუნი ვუთხეში ობობას ქსელი, და მოქალაქე უბღვერს და მის ფეხთით მტკიცედ დაჭრის აქეთ-იქით იყურება ვის ვუკბინო და როდისო.

— უღირსი ცოლი, ამბობს მოქალაქე, აი ეს არის ყველა ჩვენი უბედურების თავი და თავი.

— აგერ ისიც, ამბობს ელფი, დახლთან ტერისთან ერთად პოლიციის გაზეთს დახითხითებდა.

— ცალი თვალით შეგვახედეთ, ამბობს მე.

და რა აღმოჩნდა, იანკების გაზეთის ერთი გაქონილი სურათი ტერი რომ თხოულობს კორნი კელეპერისაგან. საიდუმლოებანი შენი სამალის გასასიებლად, საზოგადოების ლამაზმანის უზნეო საქციელი. ნორმან უ. ტაპერი, შეძლებული ჩიკაგოები მენარდე, ლამაზ მოლალატე ცოლს ოფიცერ ტეილორის მკლავებში მიუსწრებს. ლამაზ საცვლებიანი ლამაზმანი უზნეოდ იქცევა და თავის გულის მურაზი მგრძნობიარე ადგილებში უთათუნებს ზელს და ნორმან უ. ტაპერი სულის ჩასაბერი სათამაშო თოფით სწორედ მაშინ შემოხტება როცა უკვე დაგვიანებულია და ლამაზმანი უკვე სერსოს ჯოხზე რგოლის ჩამოცმას ეთამაშება ოფიცერ ტეილორს.

ამასობაში შემოვიდა ჯონ უაიზ ნოლანი და მას მოქამული სახით ლენეჰანი მოჰყვა.

— აბა, ამბობს მოქალაქე, რა ხდება ბრძოლის ველზე? ირლანდიური ენისა რა გადაწყვიტეს იმ უქნარა მაწანწალებმა თავიანთ ფრაქციულ შეკრებაზე სიტუბოლში?

ო' ნოლანი, ბრჭყვიალა აბჯარ-მუზარადასმული მდაბლად, მორჩილად უხრიდა თავს მორჭმულ და უზენაეს და უაღვეველ ბელადს ყოველად ერინისა და აუწყებდა თუ რა მოხდა, როგორ იყო რომ პირქუში უხუცესნი სამეფოს მეორე ქალაქისა შეხვდნენ მათ თოლსელში, და იქ, ჯეროვან ლოცვათა შემდგომ ღმერთთა მიმართ, რომელნიც ზენაარ ეთერში სუფევენ, საზეიმოდ ეთათბირათ, რისი მეშვეობითაც მათ შეეძლოთ, თუკი შესაძლოა, კვლავაც ღირსების საქმედ ექციათ მოკვდავთა შორის ზღვითგაყოფილი გელეთის ფრთოსანი სიტყვა.

— იგი მტკაცედ და ურყევად მიაბიჯებს წინ, ამბობს მოქალაქე. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ იმ ოხერ ველურ საქსონელებს და მათ ადგილობრივ კილოკავს.

ჰოდა ჯ. ჯ. სიტყვას ჩართავს, ფრანტის იერით, ერთი ამბავი კარგი იყო სანამ მეორეს გაიგონებდი და ფაქტების იგნორირება და ნელსონის ეშმაკობა უსინათლო თვალზე ჰოგრის მიღება და საგანგებოდ მძიმე ბრალდების წაყენება ერისადმი, და ბლუმს ცდილობს მხარი აუბას მყუდროება და მყუდროება და მათი კოლონიები და მათი ცივილიზაცია.

— თქვენ გინდათ თქვათ, მათი სიფილიზაცია, ამბობს მოქალაქე. ჯანდაბას მაგათი თავი! არაფრისმაქნისი ღმრთის წყევლა მაგ ოხერტიალ სქელყურა კახისშვილთა ნაბუშართ! მუსიკა მაგათ არა აქვთ და მხატვრობა და რაიმე მნიშ-

ვნელობის ლიტერატურა. თუკი რაიმე ცივილიზაცია გააჩნიათ ჩვენგან აქვთ ნათაქი. ნაბიჭვართა აჩრდილების ენაბრგვნილი ნაშიერნი.

— ევროპული ოჯახი, ამბობს ჯ. ჯ...

— ევროპელები არ არიან, ამბობს მოქალაქე. მე ევროპაში ვმეცნიერე იგან პარიზელთან ერთად ვიყავი. ვერსად ნახავთ ევროპაში მათს, ან მოკლეთ მათს ნაკვალევს თუ არა cabinet d'aisance-ში.⁵⁴

ჰოდა ამბობს ჯონ უაიზი:

— ბევრი ყვაველი გაჩენილა იმისათვის რათა სხვის უნახავად გაიფურჩქნოს.

და ამბობს ლენეჰანი ვისაც ცოტაოდენი გაეგება უცხო ენისა:

— **Conspuer les anglais! Perfide Albion!**⁵⁵

თქვა მან და შემდგომ თავისი უბეში დიდრონი დაკუნთული ძალუმი ბელებით მაგარი ქაფიანი ლუდის ხის კათხა ასწია და თავისი ტომობრივი შედანილით **Lamh Dearg Abu**,⁵⁶ თავისი მტრების მოდგმის, ტალღების მეუფეთა სადღეგრძელო შესვა, რომელნი სხედან ალუბასტრის ტახტებსა ზედა მდუმარენი ვითარცა უკვდავნი ღვთაებანი.

— რა მოგივიდა, ეუბნება მე ლენეჰანს. იმ ყმაწვილს გავხარ შილინგი რომ დაკარგა და ექვსპენიანი იპოვა.

— ოქროს თასი, ამბობს ის.

— ვინ მოიგო, ბატონო ლენეჰან? ამბობს ტერი.

— მოწოდებამ, ამბობს ის, ოცმა ერთზე. ნაღდი აუტსაიდერი. და დანარჩენებმა არაფერი.

— ბესის ფაშატმა რა ქნა? ამბობს ტერი.

— ჯერ კიდევ დარბის, ამბობს ის. ყველანი ერთ ღლეში ვართ. ბოილანმა ჩემი რჩევით ორი გირვანქა დადო სკიპტრაზე თავისთვის და მეგობარი ქალისთვის.

— თვითონ მე, ამბობს ტერი, ნახევარი კრაუნი, ბატონმა ფლინმა რომ მომცა, ლორდ ჰაუარდ დე უოლდენის ზინფანდელზე დავდე.

— ოცი ერთზე, ამბობს ლენეჰანი. ასეთია ცხოვრება ჩემმაში. მოწოდებამ, ამბობს ის. გალეტს მიირთმევს და სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. არა-რაობავ, სკიპტრა უნდა გერქვას შენ.

ჰოდა გალეტის კოლოფისაკენ წავიდა ბობ დორმანმა რომ დასტოვა იქნება და მუქთად გამოვრჩე რამესო, ბებერი ქოფაკი აწეული ქეციანი ღინგიით. ბებერი დედიკო ჰაბარდი ბუფეტს მიადგა.

— მანდ არაფერია, შვილიკო, ამბობს ის.

— გულს ნუ გაიტეხ, ამბობს ჯოუ, სხვა ჯაგლაგზე თუ მოიგებდა ფულს, და ჯ. ჯ. და მოქალაქე სამართლისა და ისტორიის შესახებ კამათობენ, იმ დროს როდესაც ბლუმი უადგილო სიტყვას თუ ჩააგდებს.

— ზოგი ადამიანი, ამბობს ბლუმი, სხვის თვალში მტერის ნამცეცს ამჩნევს და საკუთარში კი დვირსაც ვერ გრძნობს.

— **Raimeis**⁵⁷ ამბობს მოქალაქე. ყველაზე ბრმა ის არის ვისაც დანახვა არ სურს, თუ გესმით რას ნიშნავს ეს. სად არის ჩვენი დაკარგული ოცი მილიონი ირლანდიელი დღესაც რომ აქ უნდა იყოს ოთხის ნაცვლად, ჩვენი გამჭრალი ტომები? და ჩვენი სამეთუნეო და საფეიქრო წარმოება, მთელს მსოფლიოში საუკეთესო! და ჩვენი მატყლუელი რომში რომ იყიდებოდა იუვენალი-სის დროს და ჩვენი სელი და ქამხა ანტრიმის საქსოვი ფაბრიკებიდან და ჩვე-

ნი ლიმერიკული მაქმანი. ჩვენებური დურა ტყავი და ჩვენი თეთრი ბროლი ბალიზაუსიდან და ჩვენი ჰუგონეტური პოპლინი ქაკარ დე ლიონიდან მოყოლებული და ჩვენი აბრეშუმის ნაქსოვი და ჩვენი ფოქსფორდული ტვიდები და ნიუ როსის კარმელიტების დედათა მონასტრის სპილოსძვლისფერი მაქმანი, ვერაფერს ამასდაგვარს ვერ იხილავთ მთელს დედამიწის ზურგზე! ესადა, კიდევ ბერძენი ვაჭრები პერკულესის ბურჯებს, გიბრალტარს რომ გამოივლიდნენ, რომელიც ახლა კაცობრიობის დაუძინებელი მტრის ხელშია, ოქროსა და ტიროსული პორფირის გასაყიდად უექსფორდში კარმენის ბაზრობაზე? წაიკითხეთ ტაციტუსი და პტოლემე, თუნდა გირალდუს კამბრენსისი. ღვინო, ბევწვეული, კონემარას მარმარილო, ვერცხლი ტიპერარიდან, შეუდარებელი, ჩვენი ცხენები, დღესაც რომ სახელი აქვთ განთქმული, ირლანდიური ბედაურები, ესპანეთის მეფე ფილიპე საბაეო გადასახადს იხდიდა ჩვენს წყლებში თევზაობის უფლებებისათვის. რამდენი მართებთ ანგლიის დამპალჯონებს ჩვენი დაქცეული ვაჭრობისა და დანგრეული კერების გამო? და ბეროუსა და შენონის კალაპოტები რომელთა გაღრმავება არ იწებეს რათა რამდენიმე მილიონ აკრ ჰაობსა და ჭყანტობს ჭლექით გავეწყვიტეთ?

— მალე პორტუგალიასავით მოვშიშვლდებით, ამბობს ჯონ უაიზი, ან პელგოლანდივით ერთადერთი ხის ამარა დავრჩებით თუ არაფერი გაკეთდა ტყეების ახალი განაშენიანებისათვის. რბილწიწვიანა, სოჭი, წიწვოვანთა ოჯახის ყველა ხე მალე იზრდება, ლორდ კასლტონის მოხსენებას ვკითხულობდი...

— გადაარჩინეთ ისინი, ამბობს მოქალაქე, გელოუეის გოლიათი იფანი და კილდერიის ბელადი თელა ორმოცფუტიანი ტანითა და ერთ აკრიანი ფოთლეულით. გადაარჩინეთ ირლანდიის ხეები ერინის ტურფა გორაკებზე ირლანდიის მომავალი ადამიანებისათვის, ოჰ.

— ევროპის თვალი შენ შემოგცქერის, ამბობს ლენეჰანი.

ფეშენებელური საერთაშორისო საზოგადოება ესწრებოდა en masse⁵⁸ ამ საღამოს ირლანდიელ მეტყვევთა დიდ მაღალ მთავარ მეტყვევის რაინდ ეან უაიზ დე ნოლანისა და ფიჭვისველელი მისს სოჭი წიწვნაპილის ქორწილს. ლედი სალვესტერ თელისჩერო, ქალბატონი ბარბარა არყისხელენდი, ქალბატონი დაკაფულა იფანი, ქალბატონი ბადგია თხილნარი, მისს ბუჩქა დაფნასონი, მისს დოროთი ლერწმანი, ქალბატონი კლაიდ ასფურცელკროფტი, ქალბატონი ცირცველა დიოსპიროსი, ქალბატონი ჰელენ წალამი, მისს ვირჯინია სურო, მისს გლედის წიფელბერი, მისს ოლივ ხილნარბორო, მისს ბლანშ ქორაფი, ქალბატონი მოდ მაპავონი, მისს მაირა მურტი, მისს პრისცილა ანწლისყვავილტონი, მისს ფუტკარ ჭიქაუაიტი, მისს გრაცია ალვა, მისს ო მიმოზა სან, მისს რეიჩელ კედარფორდი, მისს ლილიან და მისს ია იასამანსონები, მისს ნაზი ვერხვდეილი, ქალბატონი კიტი ნამ-ლიქენი. მისს მეი კუნელი, ქალბატონი გლორიანა პალმა, ქალბატონი ლიანა ტყიური, ქალბატონი არაბელა აბანოზი და მუხაწმიდა რეგისელი ქალბატონი ნორმა მუხნარი თავისი იქ ყოფნით ცერემონიალს ამშვენებდნენ. პატარაალი, რომელსაც მამამისი რკოელი მაკწიწვანაპილი ათხოვებდა, განსაკუთრებით მომხიბლავად გამოიყურებოდა დაბინდულ ნაცრისფერ პირანგზე შემოტკეცილ მერსერიზირებული აბრეშუმისაგან შეთხზულ მწვანე კაბაში, რომელიც ფართე ზურმუხტის ბაფთიანი საყელოთი და უფრო მუქი ფერის ფოჩიანი სამჭაგი ფურჩალათი იყო გაწყობილი, და მთელი მისი გარეგნობა ხაზგასმით იყო გამოკვეთილი ბრეტელებით და ხის ფაქტურით ფაქიზად მოვარაყებულ ბრინჯაოს ხიშტიკებით. მეჯვარეები, მისს ლარიქს წიწვოვანი და

ნახვ წიწვოვანი, პატარძლის დები, იმავე დონის მეტად კოპწია კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილნი, წვრილ ზოლად ჰქონდათ დატანებული ფუმფულა ვარდის მოტივი, რომელიც ფერმკრთალი მარჯნისაგან გაკეთებული ფლამინგოს ბუმბულის ფორმით თავისებურად მეორდებოდა ნეფრიტისფერ შლაპაზე. სენიორ ენრიკო ფლორი ორგანზე უკრავდა თავისი საყოველთაოდ განსტატობით და, საქორწინო მესის დადგენილი ნორმების გარდა, წიროვის ბოლოს შესრულა პოპულარული ამერიკული სიმღერის „მეტყევევ, დაინდე ხე“ ახალი და გასაოცარი არანეირება. პაპის კურთხევის შემდეგ წმინდა ფიაკრის ეკლესია რომ დასტოვეს, ბედნიერი წყვილი კაკლის, წიფლის შტოების, დაფნის ფოთლების, ტირიფის ციცას, დაბურულ სუროს, ჭყორის ნაყოფის, ფითრისა და ცირცველის ყლორტების გიჟმაჟ ჯვარედინ ცეცხლს წააწყდა. ბატონი და ქალბატონი უაიზ წიწვნაპილ ნოლანი მშვიდ თაფლობის თვეს გააფარებენ შავ ტყეში.

— და ჩვენი მზერა ევროპასაა მიპყრობილი, ამბობს მოქალაქე. ჩვენ ვაჭრობა გვქონდა გაჩაღებული ესპანეთთან და ფრანგებთან და ფლამანდიელებთან სანამ ეს უჭიშოები ლეკვებს დაყრიდნენ, ესპანური ლუდი გელუეში, ღვინით დატვირთული ხომალდები ღვინომუქ ზღვაზე.

— და კვლავაც გვექნება, ამბობს ჯოუ.

— და წმინდა ღვთისმშობლის შეწევნით კვლავაც გვექნება, ამბობს მოქალაქე, თან ბარძაყზე ხელს იტყაპუნებს. ჩვენი ნავსადგურები ახლა რომ გამოცარიელებულია, კვლავაც გაივსებიან. ქუინსტაუნი, კენსეილი, გელუეი, ბლეკსოდბეი, ვენტრი კერის სამეფოში, კილიბეგზი, მთელს მსოფლიოში მესამე უდიდესი ნავსაყუდელი გელუეი ლინჩების და კევან ო რილების და დუბლინელი ო კენედების ანძებით, როცა დესმონდის გრაფს შეეძლო ხელშეკრულება დაედო თვით იმპერატორ შარლ მეხუთესთან. და კვლავაც გვექნება, ამბობს ის, როცა პირველი ირლანდიური საომარი ხომალდი გამოჩნდება რომელიც ჩვენი საკუთარი დროშით გააპობს ტალღებს და არაფითარი თქვენი პენრი ტიუდორის ჩანგი, არა, უძველესი დროშა წყლებზე, დესმონდისა და თომონდის პროვინციათა დროშა, სამი გვირგვინი ცისფერ ფონზე, მილესიუსის სამი ვაჟი.

და მან უკანასკნელი ყლუპი მოსვა. Moya.⁵⁹ მჩხავანა კატა თავის დამქერი არ არი. კონაქტელი ვირები დიდყურები არიან. დიდ ბიფათში ჩაიდებდა ქეციან სიცოცხლეს ქვევით რომ ჩასულიყო და თავისი მალაღმარდოვანი სიტყვით მიემართა შინაგოლდენში შეგროვილი თავყრილობისათვის, სადაც ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდა იმის შიშით ტერორისტები დაცხრილავდნენ რადგან გასახლებული მოიჯარის ქონებას დაეპატრონა.

— უსმინეთ, უსმინეთ ამას, ამბობს ჯონ უაიზი. რას დალევთ?

— საიმპერიო იომენობას რომ ათრობდა, ამბობს ლენეჰანი. დღესასწაულის აღსანიშნავად.

— ნახევარი, ტერი, ამბობს ჯონ უაიზი, და ხელები მაღლა. ტერი! დაგვიძინა?

— დიახ, სერ, ამბობს ტერი. პატარა ვისკი და ერთი ბოთლი ელსოპი. ახლავე, სერ.

იმ ოხერ გაზეთზე წახრილი ელფი უმაღ პიკანტურ ამბებს ეძებდა ვიდრე საზოგადოებრივს. სურათზე ერთმანეთს შუბლით ეჯახებიან, ტიალი თავის ქალების გახეთქვას ლამობენ, ერთი ყაზახი მეორის წინააღმდეგ თავდახრილი მიდის ჭიშკარს მიბჯენილი ხარივით. და მეორე: შავი მხეცის დაწვა ომაჰაში, ჯორჯია. ბლომად დედვეუდ დიკები ფართოფარფლიან ფეტრის შლაპებში ხეზე

მიბმულ ენაგადმოვდებულ ზანგს ესვრიან, ქვევიდან ცეცხლი რომ აქვს შენთებული. ღმერთო დიდებულო, ბარემ მერე ზღვაშიც დაეხრჩოთ და ელექტრონის სკამზე დაესვათ და ჯვარზე გაეკრათ რათა დარწმუნებულიყვნენ რომ საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

— მაგრამ რას იტყვით იმ უძლეველ ფლოტზე, ამბობს ნედრე ჩვენს მტერს ყურესთან რომ აჩერებს?

— მე ვეტყვით ამის შესახებ, ამბობს მოქალაქე. ნამდვილი ჯოჯოხეთია. წაიკითხეთ ის მხილებანი, რომელთაც უხვად ნახავთ გაზეთებში გაროზგვის შესახებ საწვრთნელ ხომალდებზე პორტსმუთში. ახალგაზრდა კაცი აღზფოთებული სახელით წერს.

ჰოდა გვიწყებს მოყოლას ფიზიკური დასჯის შესახებ და გვერდზე მოგდებული ქუდებით ჩამწკრივებული რიგითი მეზღვაურების და ოფიცრების და კონტრადმირალების შესახებ და პასტორის შესახებ პროტესტანტული ბიბლიით ხელში დასჯის მოწმე რომ უნდა გახდეს და ყმაწვილი კაცის შესახებ რომელიც გამოათრეეს და რომელიც ვაიმე დედას ყვირის და რომელსაც ზარბაზნის კინტზე მითოკავენ.

— სანაძლეოს წაგება უნდა ზღოს, ამბობს მოქალაქე, ასე დაარქვა ამას ბებერმა არამზადა სერ ჯონ ბირსფორდმა, მაგრამ დღევანდელი ღვთის რჩეული ინგლისელი დუნდულების გაროზგვას ეძახის.

და ამბობს ჯონ უაიზო:

— ამ წესის დაცვას მისი მივიწყება ემჯობინება.

შემდეგ გვიყვებოდა თუ როგორ მოდის მეთაური გრძელი როზგით და მოუქნევს და საბრალთ ყმაწვილს იმ ოხერ ზურგზე ურტყამს სანამ არ იღრიალებს მკლავენო.

— ესეც თქვენი სახელოვანი ბრიტანული ფლოტი, ამბობს მოქალაქე. მსოფლიოს რომ განაგებს. ბიჭები, მონები რომ არასოდეს იქნებიან ღვთის მიერ გაჩენილ დედამიწაზე ერთადერთი შთამომავლობითი პალატით და მამულებით, ათეულ ყოყლოჩინა და კუდაბზიკა ბარონებს რომ უბყრიათ ხელში. ეს ის დიდი იმპერიაა, რომლითაც ისინი ტრაბახობენ, ვირის მუშებისა და გაწყებული მონების იმპერია.

— რომელშიც მზე არასოდეს ჩადის, ამბობს ჯოუ.

— და მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, ამბობს მოქალაქე, რომ მათ ეს სწამთ. იმ უბედურ იაპუებს ეს სწამთ.

მათ სწამთ ერთი როზგი, მამა ყოვლისა ჯალათისა, დედამიწაზე ჯოჯოხეთის შემქმნელი და იარაღის მპყრობელის დამბადებელი, რაიც უწმინდურ ბაქიაობისაგან ჩაისახა, მებრძოლ ფლოტისაგან იშვა, ივნო პალატისა ბრძანებითა, ჯვარს ეცვა, ჯოჯოხეთურად გმინავდა, მესამესა დღესა კვლავ აღსდგა ლოგინიდან, ზეცას ამაღლდა, ზის მის მარჯენითა სანამ შემდგომი ბრძანებანი მოვა მასზედ თუ როდის უნდა დაიწყოს ლუქმის საშოვნელად დენა ოფლისა.

— კი მაგრამ, ამბობს ბლუმი, განა დისციპლინა ყველგან ერთნაირი არ არის. იმის თქმა მინდა, განა აქაც იგივე არ იქნებოდა თუ ძალას ძალას დაუპირისპირებთ?

მე რას გეუბნებოდით? როგორც ახლა ამ ლუდს გვახლებით, ასევე ცხადია, სულს რომ დაფავდეს მაინც შეგეწინააღმდეგებოდათ სიკვდილი სიცოცხლეათ.

— ჩვენ ძალას ძალას დავუპირისპირებთ. ამბობს მოქალაქე. უფრო დიდი

ირლანდია ოკეანის გადაღმა გვაქვს. ისინი სახლიდან და სამშობლოდან შავ-
ბნელ 47-ში გახვეწეს. მათი ალიზის ქოხმახები გზის პირებში დახდათან ტარ-
ანებით დაანგრეს და ტაიმსმა ხელების ფშვნებით აუწყა სულმოვლე საქსონე-
ლებს რომ მალე ისევე ცოტა ირლანდიელი დარჩება ირლანდიაში როგორც
წითელკანიანი ამერიკაში. თვით თურქეთის დიდმა მთავრობამ გამოგზავნა
თავისი პიასტრები, მაგრამ საქსონელი ცდილობდა დაეძვინა ერი იმ დროს
როდესაც მისი მიწა სავსე იყო პურეულით ბრიტანელი აფთრები რომ ყიდუ-
ლობდნენ და რიო-დე-ჟანეიროში. ყიდდნენ. ეჰ, გლეხების მთელი ურდოები გა-
დახვეწეს. ოცი ათასი დაიღუბა კუბოგემებზე მაგრამ ვინც თავისუფლების
ქვეყანას მიაღწია მონობის სახლი თვისი არ დავიწყნია, და ისინი კვლავ დაბ-
რუნდებიან შურისგების გრძნობით აღვისილნი, არა ლაჩარნი, გრანუელის ნაში-
ერნი, კეთლინ ნი ჰულიჰანის⁶⁰ რაინდნი.

— სავსებით სწორია, ამბობს ბლუმი. მაგრამ მე ვგულისხმობდი...

— ჩვენ დიდი ხანია ველით იმ დღეს, მოქალაქევ, ამბობს ნედი. მას შემ-
დეგ რაც საბრალო ბებრუხანამ გვითხრა რომ ფრანგები ზღვაში იყვნენ და კი-
ლალაში გადმოსხდნენ.

— მაშ, ამბობს ჯონ უაიზი. ჩვენ სტიუარტების მხარეზე ვიბრძოდით მათ
კი გვიღალატეს და უილიამის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მიგვატოვეს. გაიხ-
სენეთ ლიმერიკი და გატეხილი ხელშეკრულების ქვა. საუკეთესო სისხლი მი-
ვეციოთ საფრანგეთსა და ესპანეთს, გარეული ბატები. ფონტენოი, ჰა? და სარ-
სფილდი და ო'დონელი, ტეტუანის მთავარი ესპანეთში, დე კემუსელი ული-
სე ბრაუნი რომელიც მარია ტერეზას ფელდმარშალი იყო. მაგრამ როდის რა
მივიღეთ საზღაური?

— ფრანგები! ამბობს მოქალაქე. ცეკვის მასწავლებელთა დასტა! იცით ეს
რას ნიშნავს? შოხრაკული კუილის ღირებულებაც კი არ გააჩნდათ ირლანდი-
ისათვის. განა ისინი არ ცდილობენ ახლა ტეი პეის სადილზე ვერაგ ალბიონთან
მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ? მუდამ ევროპის შფოთისთავეები იყვნენ.

— *Conspuez les français!*⁶¹ ამბობს ლენეჰანი და ლუდის კათხას უჭერს ხელს.

— ხოლო რაც შეეხება პრუსიელებსა და ჰანოვერელებს, ამბობს ჯოუ, გა-
ნა საკმარისი რაოდენობით არ გვყავდა ტახტზე ეგ ძეხვისმჭამელა ნაბიჭვრები
ჯორჯ კურფიურსტიდან მოყოლებული გერმანელ ვაჟბატონამდე. და გაფარფა-
შებულ ბებერ ძუქნა ძალღამდე, ცოცხალი რომ აღარ არის?

ღმერთო, სიცილს ვერ ვიკავებდი ბებრუხანაზე რომ ყვებოდა, ცხენის
თვალსაფრიალი, ბრმა მთვრალი თავის სასახლეში ყოველღამ, ოლდ ვიკი,⁶² შო-
ტლანდიური ვისკის კათხით ხელში და მისი მეეტლე ძვალ-რბილიანად რომ
მიაგორებდა ეტლით დასაძინებლად და ის კი ბაკენბარდებს უწიწკნიდა და
ძველებურ ჰანგს უმღეროდა ტურფა რაინის ერენში და მობრძანდით სადაც
სმავ იაფი.

— ეჰ! ამბობს ჯ.ჯ. ახლა ჩვენ ედუარდ მშვიდობისმოყვარე გვყავს.

— უთხარი ეგ ვინმე სულელს, ამბობს მოქალაქე. მაგ ვაჟბატონს მშვიდო-
ბის მოყვარე კი არა, ათაშანგი შემყარე უნდა ერქვას. ედუარდ გელფ-უეიტინი!

— და მაინც რას ფიქრობთ, ამბობს ჯოუ, წმინდა ბიჭებზე, ირლანდიის ბე-
რებზე და ეპისკოპოსებზე მისი სატანური უდიდებულესობის ფერებით რომ გა-
უწყეს ოთახი მეინუთში და ყველა იმ ცხენის სურათი რომ ააყრეს კედლებზე
რომელზედაც მისი უოკეები ისხდნენ. დუბლინის მთავარი, არც შეტი არც ნაყ-
ლები.

— მათ ყველა ის ქალი უნდა აეკრათ რომელიც თავად ყავდა გახედნილი, ამბობს პატარა ელფი.

და ამბობს ჯ. ჯ.:

— გასაკრავი ადგილის გათვალისწინებამ გარკვეული გავლენა მოახდინა მათი ბრწყინვალეების გადაწყვეტილებაზე.

— კიდევ ხომ არ ინებებთ, მოქალაქევე? ამბობს ჯოუ.

— დიახ, სერ, ამბობს ის.

— თქვენ? ამბობს ჯოუ.

— დიდად დავალებული ვარ თქვენგან, ჯოუ, ამბობს მე. დე. თქვენი ჩრდილი არასოდეს დაპატარავებულყოს.

— კიდევ ჩამოგვისხით, ამბობს ჯოუ.

ბლუმი ელაპარაკებოდა ჯონ უაიზს და დიდი აღელვება ემჩნეოდა მის რუხწაბლისფერნადვლიან სიფათსა და ქლიავთვალეების ბრიალს.

— დევნა-შევიწროვება, ამბობს ის, მთელი მსოფლიო ისტორია სავსეა ამით. ერთა შორის სიძულვილს რომ აღრმავებს.

— იცით კია რა არის ერი? ამბობს ჯონ უაიზი.

— დიახ, ამბობს ბლუმი.

— აბა რა არის? ამბობს ჯონ უაიზი.

— ერი? ამბობს ბლუმი. ერი არის ერთი და იგივე ადგილას მცხოვრები ერთი და იგივე ხალხი.

— ღმერთო ჩემო, მაშინ. ამბობს ნედი სიცილით, თუ ეს ასეა, მე ერი ვყოფილვარ რადგან აგერ უკვე ხუთი წელია ერთსა და იმავე ადგილას ვცხოვრობ.

რა თქმა უნდა, ყველას გაეცინა ბლუმზე და იმანაც მდგომარეობის გამოსასწორებლად თქვა:

— ანდა აგრეთვე სხვადასხვა ადგილას მცხოვრები.

— ეს ითვისწინებს ჩემს შემთხვევას, ამბობს ჯოუ.

— რა ეროვნებისა ბრძანდებით, თუ შეიძლება რომ შეგეკითხოთ, ამბობს

მოქალაქე.

— ირლანდიელი, ამბობს ბლუმი. აქ დავიბადე. ირლანდიელი.

მოქალაქემ არაფერი არ თქვა, მხოლოდ ყანყრატო გაინთავისუფლა ნახველისაგან და, ღმერთო, დიდებულო, რედ ბენკის კიბორჩხალა პირდაპირ კუთხეში გადმოაფურთხა.

— სადაც ყველა მეც იქ. ჯოუ, ამბობს ის და ცხვირსახოცს ამოიღებს გასამშრალეებლად.

— ა, ბატონო მოქალაქევე. ამბობს ჯოუ. აიღეთ ეს მარჯვენა ხელში და გაიგეორეთ რასაც ვიტყვი.

დიდადფასეული და ნატიფად ნაჭარგი უძველესი ირლანდიური სუდარა. რომელსაც დრომელ სოლომონს და მაკდონოგელ მანუს ტომალტაქს, ბელიმოუტის წიგნის ავტორთ მიაკუთვნებენ. სათუთად იქნა წარმოდგენილი და ხანგრძლივი აღტაცებაც გამოიწვია. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მისი კუთხეების მოქარგულობის ხელოვნებისეულ შედეგების ზღაპრულ სილამაზეზე შეჩერება, რომლებზედაც შეიძლება თვალნათლივ გამოვარჩიოთ თითოეული ოთხ მოციქულთაგანი, რომელიც თავის მხრივ თითოეულ ოთხ ოსტატთაგანს სთავაზობს სამოციქულო სიმბოლოს კალასის კვერთხს, ჩრდილო ამერიკულ პუმას (ცხოველთა გაცილებით უფრო კეთილშობილ მეფეს, ვიდრე, სხვა

თა შორის, ბრიტანული ლომი), კერის კუროს და ოქროს არწივს კარანტუოპი-
ლიდან. ცხვირსახოცზე გამოსახული ჩვენი უძველესი ციხე-კოშკები და გა-
ლანების და დოლმენების და სასახლის მზიანი ოთახების და განათლების კე-
რების და რიტუალური ლოდების სურათები ისეთივე გადასჯილი და მშვენიე-
რია და საღებავები ისეთივე ნატიფი როგორც მაშინ როცა ჭრუჭრუჭრუჭრუჭრუჭ-
ტრატორებმა სადავე მიუშვეს თავიანთ მხატვრულ ფანტაზიას დიდი ხნის წი-
ნათ ბარმაქიანთა ეპოქაში. გლენდალოხი. კილარნის ლამაზი ტბები, კლონმაკ-
ნოსის ნანგრევები, კონგის სააბატო, გლენ ინაგის ზეგანი და თორმეტი პიკი,
ირლანდიის თვალი, ტალაგტის მწვანე გორაკები, კროაგ პეტრიკის შთა, ართურ
გინესის ლუდსახარში, შვილი და კომპანია (ლიმიტიდ), ლონ ნიის ნაპირები,
ოვოკას ველი, იზოლდას კოშკი, მეპასის ობელისკი, სერ პეტრიკ დანის ლაზარე-
თი, კლიარის კონცხი, ეჭერლოუს ტყიანი ველი, ლინჩის ციხე-დარბაზი, შოტლან-
დიური ლუდხანა, რეთდაუნის კავშირის დატაკთა თავშესაფარი ლაფლინსტაუნ-
ში, ტულამორის საპყრობილე, კეტლკონის ჭორომები, კილბალიმაკშონაკილი,
მონასტერ ბოისის ჯვარი, ჯიურის ოტელი, წმ. პეტრიკის სალხინებელი, სელ-
მონ ლიპის ჩანჩქერი, მეინუთის კოლეჯის სატრაპეზო, კერლის საბანაო აუზი,
უელინგტონის პირველი მთავრის დაბადების სამი ადგილი, კემელის კლდე,
ალენის ჭაობი, პენრი სტრიტის საბითუმო მაღაზია, ფინგალის გამოქვაბული —
ყველა ეს გულისამაჩუყებელი სურათი კვლავაც ცოცხალია ჩვენთვის და კიდევ
უფრო ლამაზად წარმოგვიდგება მწუხარების ცრემლით განბანილი და დროის
მიერ მდიდრულად ინკრუსტირებული.

— თითო ჭიქაც დავლიოთ, ამბობს მე, რომელი რომლისაა?

— ეს ჩემია, ამბობს ჯოუ, როგორც თქვა ეშმაკმა მკედარ პოლიციელზე.

— და მეც ვეკუთვნი ერს, ამბობს ბლუმი, რომელიც ეჯავრებათ და რო-
მელსაც დევნიან. ახლაც, სწორედ ახლა, სწორედ ამ წამს.

ლმერთო, კინალამ თითები დაიწვა სიგარის ნამწვავით.

— გაძარცვულები, ამბობს ის, გაქურდულები, შეურაცხყოფილები, დევნი-
ლები, გვართმევენ რაც კანონით ჩვენ გვეკუთვნის. სწორედ ამ წამს, ამბობს ის
და მუშტს იღერებს, აუქციონზე გვეყიდიან მაროკოში როგორც მონებსა და
საქონელს.

— თქვენ რა, ახალ იერუსალიმზე ლაპარაკობთ? ამბობს მოქალაქე.

— მე უსამართლობაზე ვლაპარაკობ, ამბობს ბლუმი.

— კეთილი და პატიოსანი, ამბობს ჯონ უაიზი, თქვენც ძალა დაუპირისპი-
რეთ კაცურად.

ეს პირდაპირ კალენდარში უკვდავსაყოფი სურათია, რბილთავიანი ტყვიის
სამიზნე. ზედ თოფის ლულის წინ მდგარი სახეპუტკუნა ბერიკაცი, ლმერთმანი,
მტვრის გადასაწმენდ ჯაგრისს დაამშვენებდა, ნამდვილად, მოახლის წინსაფარი
რომ ეკეთოს, და უცებ მთლიანად შემოტრიალდება და გულშელონებული ეცე-
მა დამბალი ჩვარივით მოდუნებული.

— მაგრამ რა აზრი აქვს, ამბობს ის, ძალა, სიძულვილი, მისთანები, ეს რა
სიცოცხლეა ადამიანებისათვის, შეურაცხყოფა და სიძულვილი, და ყველა
იცის რომ ეს სწორედ ნამდვილი ცხოვრების საწინააღმდეგო რამაა.

— რა? ამბობს ელფი.

— სიყვარული, ამბობს ბლუმი, უნდა მეთქვა სიძულვილის საწინააღმდეგო
რამ-მეთქი. ახლა უნდა წავიდვ, ეუბნება ის ჯონ უაიზს, აქვე ახლოს სასამარ-

თლოში ერთი წუთით, ვნახო მარტინი თუა იქ. თუ გამოჩნდა უთხარით ამ წამს დავბრუნდები. ერთი წუთით.

ვინ გაჩერებს? და უცებ გაქრა ელვისებურად.

— წარმართთა ახალი მოციქული, ამბობს მოქალაქე, საყოველთაო სიყვარული.

— კეთილი მაგრამ, ამბობს ჯონ უაიზი, განა ამას არ გეუბნებოდათ უკვე? დეს მოყვასნი შენნი.

— ეგ ჩველი? ამბობს მოქალაქე. გავატყავო მოყვასი ჩემი აი მისი დევიზი. სიყვარული, *moyal*⁵⁶ რომეო და ჯულიეტას შესანიშნავი ნიმუში.

სიყვარულს უყვარს სიყვარულის სიყვარული. გადიას უყვარს ახალი პროვიზორი. პოლიციელ 14 ა-ს უყვარს მერი კელი. გერტი მაკდაუელს უყვარს ბიჭი რომელსაც ველოსიპედი აქვს. მ. ბ.-ს უყვარს ქერა ჩენტლმენი. ლი ჩი ჰანს უყვარს ჩა პუ ჩოუ. სპილო ჯამბოს უყვარს სპილო ელისი. ყურში ჩადგმულ მოსასმენ ძაბრიან ბებერ ბატონ ვერჩოილს უყვარს ჭიქის თვალისანი ბებერი ქალბატონი ვერჩოილი. ყავისფერ მაკინტოშიან კაცს უყვარს ქალი რომელიც ნკვდარია. მის უდიდებულესობა მეფეს უყვარს მისი უდიდებულესობა დედოფალი. ქალბატონ ეორმან უ. ტაპერს უყვარს ოფიცერი ტეილორი. შენ გიყვარს ვილაც. და ამ ვილაცას უყვარს მეორე ვილაც რადგან ყველას უყვარს ვინმე მაგრამ ღმერთს უყვარს ყველა.

— კეთილი, ჯოუ, ამბობს მე, თქვენ გაგიმარჯოთ. კიდევ ლუდი, მოქალაქე.

— ვაშა, გაუმარჯოს, ამბობს ჯოუ.

— შეგეწიოს ღმერთი და მარიამი და პეტრიკი, ამბობს მოქალაქე. და ასწევს კათხას ყელის ჩასაკოკლოზინებლად.

— ჩვენ ვიცნობთ მაგ პურიტანებს, ამბობს ის, თან ქადაგებენ და თან ჯიბეში ხელს ვიფათურებენ. და რას იტყოდით ღვთისმოსავი კრომველისა და მისი ფანატიკოსი პროტესტანების შესახებ, რომელთაც დროგჭედას ქალები და ბავშვები ამოყლიტეს და რომელთაც ზარბაზნის ლულაზე ბიბლიური გამოთქმა რამეთუ ღმერთი სიყვარული არს ჰქონდათ აკრული? ბიბლია! წაიკითხეთ შენიშვნა დღევანდელ იუნაიტედ აირიშმენში იმ ზულუს ბელადის შესახებ ინგლისში რომ ჩამოდის?

— რაო? არ ვიცი, ამბობს ჯოუ.

ჰოდა მოქალაქე იღებს ერთ-ერთ თავის პირად საკუთრებაში მქონე გაზეთს და იწყებს კითხვას:

— მანჩესტერის ბამბის მთავარი მაგნატების დელეგაცია გუშინ მის უდიდებულესობას აბეაკუტელ ალაკის წარუდგინა ცერებზე შემდგარმა ცერემონმაისტერმა, რათა მისი უდიდებულესობისათვის ბრიტანელი ვაჭრების გულითადი მადლობა გამოეხატათ იმ ხელსაყრელი პირობებისათვის რასაც მათ მის სამფლობელოში უქმნიდნენ. დელეგაცია მიიპატიყეს სადილზე რომელზეც შავგრემანმა ხელისუფალმა შესანიშნავი სიტყვის წარმოთქმის დროს, რომელსაც ასე ლაღად თარგმნიდა ბრიტანელი კაპელანი, ღირსი ანანიას პრეიზგოდ ჰეარბოუნზი, გულთბილი მადლობა გადაუხადა ცერებზე შემდგარ ცერემონმაისტერს და ხაზგასმით აღნიშნა ის გულითადი ურთიერთობა, რომელიც არსებობს აბეაკუტასა და ბრიტანეთის იმპერიას შორის და განაცხადა რომ იგი თავის სანუკვარ საკუთრებად მიიჩნევს ძვირფასად გაფორმებულ ბიბლიას, ღმრთის სიტყვისა და ინგლისის სიდიადის საიდუმლოების შემცველ წიგნს, რო-

შელიც თავაზიანად უწყალობა თეთრმა ბელადმა ქალმა, დიდმა სკვომ ვიქტორიამ, მძლეუთა მძლე მბოძებლის მეფური ბელით წარწერილი პირველი მიძღვნიით. შემდეგ ალაკიმ ირლანდიური ვისკით შესვა თეთრისა და შავის სადღეგრძელო. ისი უშუალო წინამორბედის, კაკაჩაკაჩაკას დინასტიის წარმომადგენლის, ბეტსახელად ორმოც მეჭევეს რომ ეძახდნენ, თავის ქალბინასთან შემდეგაც მან მოინახულა ბამბაპოლისის მთავარი ფაბრიკა და ჯგერბინა დაუესვა მანახველთა წიგნში, ხოლო დასასრულს შეასრულა მომხიბლავი საომარი ცეკვა, რომლის დროსაც გადაყლაპა რამდენიმე დანა-ჩანგალი ალტაცებულ გოგონათა აპლოდისმენტების თანხლებით.

— ქვრივი ქალი, ამბობს ნედი, ასეც მოიქცეოდა. საინტერესოა მაგანაც ჩემსავით თუ გამოიყენა ბიბლია.

— დიახ, და უფრო მეტადაც, ამბობს ლენეჰანი. და მას აქეთ იმ ნაყოფიერ მიწაზე გასაოცრად გაიფურჩქნა ფართეფოთლიანი მანგოს პლანტაციები.

— გრიფითსისაა? ამბობს ჯონ უაიზი.

— არა, ამბობს მოქალაქე. შანგანაგის ხელმოწერილი არ არის. მხოლოდ ინიციალი პ აქვს მიწერილი.

— და უნდა მოგახსენოთ რომ ეგ შესანიშნავი ინიციალია, ამბობს ჯოუ.

— ასე კეთდება საქმე, ამბობს მოქალაქე. ვაჭრობა დროშას მიჰყვება.

— ეჰ, ამბობს ჯ. ჯ., თუ ისინი ისეთი ბედოვლათები არიან როგორც კონგოს თავისუფალი მიწის ბელგიელები, საშველი აღარ ყოფილა. იმ ქაცის წერილი თუ წაიკითხეთ, რა გვარია?

— კეიზმენდი, ამბობს მოქალაქე. ირლანდიელია.

— დიახ, სწორედ მაგაზე მოგახსენებთ, ამბობს ჯ. ჯ. ქალებსა და გოგონებს რომ აუპატიურებდა და ადგილობრივ მოსახლეობას იქამდე ურტყამდა მუცლებზე, სანამ მთელ წითელ გუმფისს არ გამოუჰყვლავდა.

— მე ვიცი სადაც წავიდა, თითების ტაცატკუცით ამბობს ლენეჰანი.

— ვინ? ამბობს მე.

— ბლუმი, ამბობს ის. სასამართლო უბრალოდ შირმაა. ორიოდე შილინგი აქვს დადებული მოწოდებაზე და ახლა წავიდა ფარას ასაკრეფად.

— ეგ ის ლოქორა ეთიოპელია, ამბობს მოქალაქე, რომელსაც თავის დღეში ცხენზე გროშიც კი არ დაუდია?

— ნამდვილად იქ წავიდა, ამბობს ლენეჰანი. ბენტამ ლაიონში შემხვდა. მაგ ცხენზე სათამაშოდ მიდიოდა, ერთი კი გავიფიქრე გადავათქმევიანებ-მეთქი, მითხრა ბლუმს მიუნიშნებია. რაზეც გინდათ დავნაძლევდეთ კარგი მოგება შეხვდა. ბნელი ცხენი.

— თვითონ ეგ ოხერია ბნელი ცხენი, კაცმა რომ არ იცის რას იზამს, ამბობს ჯოუ.

— ჯოუ, ამბობს მე, ერთი გარეთ გასასვლელი შემოსასვლელი გვაჩვენეთ.

— აგერ, ამბობს ტერი.

მშვიდობით ირლანდიაგ გორტში მივდივარ. პოდა ეზოს ბოლოში გავედი გამოსატუმბად და ღმერთო (ასი შილინგი ხუთზე) სანამ დავცლიდი ჩემს (მოწოდებაზე ოცი) სანამ დავცლიდი ჩემს ტვირთს, ღმერთო, ეუბნება მე ჩემს თავს, ვიცი უჭირდა (ორი პინტა ჯოუსი და ერთი ც სლეტერიში) უჭირდა დაწყება (ასი შილინგი ხუთი გირვანქაა) და როცა ისინი იქ (ბნელი ცხენი) ქვეშაფსია ბერკი მეუბნებოდა ბანქოს თამაშობდნენ და თან აღიარებდნენ ბავშვი ავად არისო (ღმერთო, ერთ გალონამდე გავუშვი) ცოლს დონდლო სწორი ნაწ-

ლავი აქვს შიდა ტელეფონით ატყობინებს უკეთ არის ანდა ის უკვე (ოი!) ყველაფერი გათვლილია ისე რომ მოგების შემთხვევაში შეეძლო აფახულიყო მთელი ფულით ან (ღმერთო უდიდებულო, გასკდომაზე ვყოფილვარ) ვაჭრობა უნდა ბართვოდ (ოი!) ირლანდია ჩემი სამშობლო ამბობს ის (პუჰ! ფთო!) არასოდეს არ უნდა ენდო მაგ (ეს უკანასკნელია) იერუსალიმელ (უჰ!) გუგულებს.

ასეა თუ ისე, როცა მივბრუნდი იმაზე ყაყანებდნენ, ჯონ უაიზი. შინ ფეინის იდეა სწორედ ბლუმმა მისცა გრიფითს, რომელიც თავის გაზეთში ყოველწლიურ ფალსიფიკაციებს აქვეყნებდა, თავის ხალხს სვამდა ნაფიც მსაჯულებად და მთავრობას გადასახადებში აცურებდა და საკუთარ წარმომადგენლებს აგზავნიდა მთელ მსოფლიოში ირლანდიური ნაწარმის გასასაღებლად. პეტრეს ძარცვავს ივანეს რომ გადაუხადოს. ღმერთო, ყველაფერს ეხაზება მაგისი უაზრო თვალების წყალობით. მოგვეცით ეგ ოხერი შანსი. ღმერთო შენ დაიფარე ირლანდია ასეთი მუდრეგი მსტოვრებისაგან. ბატონი ბლუმი თავისი მიდებ-მოდებით. და მისი ბერიკაცი მასზე ადრე რომ თაღლითობდა, ბებერი მეთუსალემი ბლუმი, ყაჩაღი მოგზაური ვაჭარი, რომელმაც თავი მოიწამლა ციანიდმჟავით მას შემდეგ რაც ქვეყანა მოლექა თავისი ხრიკით სამშვენიისებითა და გროშიანი ალმასებით. შეღავათიანი სესხი ფოსტით. ნებისმიერი თანხა სესხად ხელწერილით. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. თავდებობის გარეშე. ღმერთმანი მაკჰეილის თხასავითაა ყველა გამვლელს რომ გაყვება-გამოყვება.

— მართლაც ასეა, ამბობს ჯონ უაიზი. არის ერთი ადამიანი რომელიც ყველაფერს გეტყვით ამის შესახებ, მარტინ კანინგამი.

ღიახაც, ეკიპაჟი ჩამოდგა და შიგ მარტინი იჯდა. მასთან ერთად აგრეთვე ჯექ პაუერი და ყმაწვილი კაცი სახელად კროფტერი თუ კროფტონი, პენსიონერი მთავარი საბაჟოდან, ახლა ორანჯმენ ბლეკბერნთან რომ მუშაობს რეგისტრატორად თუ კროფტორდი ყველგან მეფის ხარჯზე რომ დაშტრილებდა.

ჩვენმა მოგზაურებმა უხეში ქვისაგან ნაგებ სასტუმროს მიაწიეს და ჩამოიქვეითეს.

— ჰეი, საჭურველმზიდავო! დაიძახა მან, რომელიც როგორც ჩანს ჯგუფის მეთაური იყო. ბრიყვო ყურუმსალო! ჩვენსკენ!

ეს თქვა და ხმლის ვადით ღია ცხატრაზე ხმამაღლა დააკაკუნა. ჩემი მასპინძელი ძახილზე გამობრძანდა რაინდის ლაბადამოსხმული.

— სალამო მშვიდობისა, ვეჟო! დაიძახა იმან რომელმაც დააკაკუნა. ბედაურებს მიგვიხედე. და ჩვენ კი მოგვართვი რაც კი საუკეთესო გაგაჩნია, რადგან ღმერთმანი, მომაგრება გვჭირდება.

— ვაჰმე, ტკბილო ბატონებო, თქვა მასპინძელმა, ჩემი ლატაკი სახლის საკუჭნაო ცარიელია. არ ვიცი რა შევთავაზო თქვენს ბრწყინვალეებს.

— რაო, ვეჟო? იყვირა მეორემ, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცმა, ასე ემსახურები მეფის შათირებს, ბატონო ტებტუნ?

სახლისპატრონს ერთბაშად შეეცვალა გამომეტყველება.

— შეწყნარება მომითხოვია, ჯენტლმენებო, თქვა მან მორჩილად. და თქვენ როგორც მეფის შათირებს (ღმერთი ფარვიდეს მის უდიდებულესობას!) არაფერი მოგაკლდებათ. მეფის მეგობრები (ღმერთმა შეიწყალოს მისი უდიდებულესობა!) გარწმუნებთ არ იშიშვნილებენ ჩემს სახლში.

— მაშ დატრიალდი! დაიძახა მოგზაურმა რომელსაც ჯერ ხმა არ ამოედო, შესახედად კარგა მაგარმა მუჭთამჭამელმა. რას მოგვართმევ?

მასპინძელმა კვლავ თავი დაუკრა და ისე მიუგო:

— რას იტყვით, კეთილო ბატონებო, ვარიკელა მტრედის ღვეზელზე, თხლად დაჭრილ ირმის სუკზე, ხბოს ბეჭზე, გარეულ იხვზე კნაწუნა ბეკონით, ტანის თავზე ფსტით, კვერცხის კაი საწებელზე, მუშალოზე და ერთ/დოქ ძველ რაინულზე?

— ჰოი, ზეცაო! წამოიძახა უკანასკნელმა ხმის ამბობმა მესმის. ფსტა!

— აჰა! დაიძახა სასიამოვნო გარეგნობისამ. ლატაკი სახლი და ცარიელი საკუჭნაო, ჰა! დიდი მატრაბაზი სალახანაა.

შემოდის მარტინი და კითხულობს სად არის ბლუმის.

— სად არის? ამბობს ლენეჰანი. ქვრივ-ობლებს ღლეტავს.

— თორე არა, ამბობს ჯონ უაიზი, რას ვეუბნებოდი მოქალაქეს ბლუმისა და შინ ფეინის შესახებ?

— ჭეშმარიტად. ამბობს მარტინი. ყოველ შემთხვევაში გააფთრებით ლაპარაკობენ ამაზე.

— ვინ გააფთრდა ასე? ამბობს ელფი.

— მე, ამბობს ჯოუ. მე ვარ აფთარი.

— არა, ბოლოს და ბოლოს, ამბობს ჯონ უაიზი, რატომ არ შეუძლია ურიას ისევე უყვარდეს თავისი ქვეყანა როგორც სხვა ვინმეს?

— რატომაც არა? ამბობს ჯ. ჯ., როცა სავსებით დარწმუნებულია თუ რომელი ქვეყანაა იგი.

— ებრაელია თუ ქრისტიანი თუ წმინდა კათოლიკე თუ პროტესტანტი თუ რა ჯანდაბაცაა? ამბობს ნედი, ანდა ვინც უნდა იყოს, დანაშაულს ვერ ვხედავ, კროფტონ.

— ვინ არის კუნიუსი? ამბობს ჯ. ჯ.

— ჩვენ არ გვჭირდება, ამბობს კროფტონ ორანჯმენი თუ პრესბიტერიანელი.

— მოქცეული ებრაელია, ამბობს მარტინი, უნგრეთიდან. ეს მაგან შეადგინა გეგმები უნგრული სისტემით. მთავრობაში ვიცით ამის შესახებ.

— დანტისტ ბლუმის ბიძაშვილი ხომ არ არის? ამბობს ჯეკ პაუერი.

— არავითარი, ამბობს მარტინი. მხოლოდ მოგვარეები. ამისი გვარი იყო ვირაგი, მამის გვარი, თავი რომ მოიწამლა. ოფიციალურად გააფორმა გამოცვლა, მამამისმა.

— ახალი მესიაა ირლანდიისათვის! ამბობს მოქალაქე. წმინდანთა და ბრძენთა კუნძული!

— და ისინიც კვლავაც თავის მხსნელს ელიან, ამბობს მარტინი. ფაქტიურად ჩვენც.

— დიახ, ამბობს ჯ. ჯ., და ყოველი ახლად დაბადებული ვაჟი იქნებ ჩვენი მესია იყოსო. და ყოველი ურია საშინლად დელავს სანამ გაიგებს მამაა თუ დედა.

— და სულ ელის შემდეგი აღმოჩნდებაო, ამბობს ლენეჰანი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ამბობს ნედი, ერთი უნდა გენახათ ბლუმი იქამდე სანამ ის ბიჭი ეყოლებოდა რომ მოუკვდა. ერთ დღეს შემხვდა სამხრეთ ბაზარში ბავშვის კონსერვს ყიდულობდა ექვსი კვირით ადრე ვიდრე ცოლი მოილოგინებდა.

— En ventre sa mère.⁶³ ამბობს ჯ. ჯ.

— და თქვენ მაგას კაცს ეძახით? ამბობს მოქალაქე.

— ნეტა საერთოდ ოდესმე თუ მოხვედრია შაგისი, ამბობს ჯოუ.

— რა კიცი, ორი შვილი კი გაუჩნდა, ამბობს ჯექ პაუერი.

— და ვისზე აქვს ეჭვი? ამბობს მოქალაქე.

ლმერთო, რამდენ ხუმრობით ნათქვამ მართალ სიტყვას გაიგონებ კიცი/ გაურკვეველი სქესისაა. ქვეშაფსია პისერმა მიამბო თვეში ერთხელ რატომღაც რომში წამოგორებულს თავი როგორ წამოსტკივდებოდა ხოლმე თვის წინამძღვრის კოტივით. გამიგეთ რას ვამბობ? ღვთის განგება იქნებოდა ამისთანა ვაჟბატონს კაცმა ხელი დაავლოს და იმ ოხერ ზღვაში გადაუძახოს. გამართლებული კაცისკვლა, ნამდვილად. მერე ისე დაითესა თავისი ხუთი გირვანქით ერთი პინტაც რომ არ ჩამოასხმევინა როგორც კაცმა. დაგვლოცეთ. მხოლოდ არა იმდენად რომ თვალი დაგვესოს.

— ქველმოქმედება მეზობლის მიმართ, ამბობს მარტინი. მაინც სად არის? ვერ დავიცდით.

— მგელი სამოსლითა ცხოვართათა, ამბობს მოქალაქე. ეგ არის. ვირაგი უნგრეთიდან! მარადიულ ურჩიას ვეძახი. ღმრთისგან დაწყველილი.

— ერთი პატარა ზედაშეს შეწირვის დრო თუ გაქვთ, მარტინ? ამბობს ნედი.

— მარტო ერთი, ამბობს მარტინი. უნდა ვიჩქაროთ. ჯ. ჯ. და ს.

— თქვენ, ჯექ? კროფტონ? სამი ნახევარ-ნახევარი, ტერი.

— წმინდა პეტრიკი კვლავ ბელიკინლარის ნაპირს მოადგება და მოგვაქცევს, ამბობს მოქალაქე, მას შემდეგ რაც ჩვენი სანაპიროების ასეთი შებილწვა დაუშვა.

— კეთილი და პატიოსანი, ამბობს მარტინი და კათხას წაატანს ხელს. ღმერთი ნუ მოგვაკლებს წყალობას ყველა აქ მყოფს.

— ამინ, ამბობს მოქალაქე.

— დარწმუნებული ვარ რომ არ მოგვაკლებს, ამბობს ჯოუ.

და შესაწირავთა მიღების მაუწყებელ ზარის ხმაზე, ჯვრის მზიდავი მსახურების, საცეცხლურის მატარებლების, მედავითნეების, მეკარეების, დიაკვნებისა და დიაკვნის ბიჭების თანხლებით, კურთხეული დასი მიუახლოვდა მიტრიან აბატებს და პრიორებს და წინამძღვრებს და ბერებს და მწირებს: სპოლეტოს ბენედიქტელი ბერები, შარტრეზიანელები და კამალდოლელი, სისტერზიანელები და ოლივეტანელები, ორატორელები და ვალომბროზელები, მარიამის მსახურნი, სამეზისანი, და შვილნი პეტერ ნოლასკოსი: და მათთან ერთად კარმელის მთიდან შვილნი ელია წინასწარმეტყველისა ალბერტ ეპისკოპოსისა და ავილელ ტერეზას წინამძღოლობით, ფეხშემოსილნი და სხვანი; და დომინიკანელი და ფრანცისკანელი ბერები, ძენი წმ. ფრანცის ასიზელის ორდენისა. კაპუცინები, კორდელიერები, მინიმელები და ობზერვანტები და ასულნი კლარასი: და ძენი დომინიკესი, ბერ-მოძღვარნი, და ძენი ვინსენტისანი: და მწირნი წმ. უოლსტანისა: და იგნაციუს შვილნი მისნი: და ქრისტიან ძმათა კავშირი ღირსი ძმის ედმუნდ იგნაციუს რაისის წინამძღოლობით. და მათ მოჰყვებოდნენ ყველა წმინდანნი და მარტვილნი, ქალწულნი და აღმსარებელნი: წმ. კვირიკე და წმ. ისიდორე არატორი და წმ. იაკობ ძმაი უფლისაი და წმ. ფოკას სინოპელი და წმ. იულიანე მასპინძელი და წმ. ფელიქს კანდალისი და წმ. სიმონ სვეტისა და წმ. სტეფანე პროტომარტირი და წმ. იოანე ღმრთისა და წმ. ფეროლი და წმ. ლოგარდი და წმ. თეოდოტუსი და წმ. ვულმარი და წმ. რიჩარდი და წმ. ვინსენტ დე პოლი და წმ. მარტინ ტოდელი და წმ. მარტინ ტურელი და წმ. ელფრიდი და წმ. იოსები და წმ. დენისი და წმ. კორნელიუსი და წმ. ლეობოლ-

დი და წმ. ბერნარდი და წმ. ტერენსი და წმ. ედუარდი და წმ. ოუენ კანიკულ-
სი და წმ. ანონიმუსი და წმ. ეპონიმუსი და წმ. ფსევდონიმუსი და წმ. პრონომი-
სი და წმ. პარონიმუსი და წმ. სინონიმუსი და წმ. ლორენს ო' ტულე და წმ. ჯეიმზ
დინგლელი და კომპოსტელა და წმ. კოლუმბინი და წმ. კოლუმბუსი და წმ. კელეს-
ტინი და წმ. კოლმანი და წმ. კევინი და წმ. ბრენდანი და წმ. კერბორნე და წმ.
სენანი და წმ. ფახტნა და წმ. კოლამბანუსი და წმ. გელი და წმ. ფურსი და წმ.
ფინტანი და წმ. ფიაკრი და წმ. იოანე ნეპომუკი და წმ. თომა აქვინელი და წმ.
აივზ ბრიტანელი და წმ. მიჩანი და წმ. ჰერმან-იოზეფ და წმინდა ყრმათა სამი
მფარველი წმინდანი წმ. ალოსიუს გონზაგა და წმ. სტანისლავს კოსტკა და წმ.
იოანე ბერჩმანი და წმინდანები გერვაციუსი, სერვაციუსი და ბონიფაციუსი და
წმ. ბრაიდი და წმ. კირანი და წმ. კენის კოლკენელი და წმ. ჯარლათ ტუამელი და
წმ. ფინბარი და წმ. პაპინ ბალიმუნელი და ძმაი ალოიზუს პაციფიკუ-
სი და წმ. ლუის ბელიკოზუსი და წმინდანები როზა ლიმელი და ვიტერბოელი
და წმ. მართა ბეთანელი და წმ. მარიამ ეგვიპტელი და წმ. ლუჩია და წმ. ბრიგი-
დი და წმ. ატრაქტა და წმ. დიმპნა და წმ. იტა და წმ. მარიონ კალპენსისი და
კურთხეული დაი ტერეზა ყრმა იესოსი და წმ. ბარბარა და წმ. სქოლასტიკა და
წმ. ურსულა თერთმეტი ათასი ქალწულითურთ. და ყველა მოვიდა სხივმოსი-
ლი, შარავანდითა და ბაკმით, ხელთ პალმის შტოები და ქნარები და მახვილები
და ზეთის ხილის გვირგვინები ეპყრათ, ტანთ კაბები ემოსათ, რომლებზედაც
ამოქარგული იყო კურთხეული სიმბოლოები მათი ძალისა, რქის სამელნე, ის-
რები, ფოთლები, ჭურჭელი, ბორკილები, ცულები, ხეები, ხიდები, ყრმანი გა-
საბანებელ ნავში, ნიჟარები, მწირის ჩანთები, შაშები, გასაღებები, გველეშაპები,
შროშანები, მსხვილი საფანტი, წვერები, ღორები, ლამპრები, საბერველები,
სკები, ჩვილის პირთან მიტანილი კოვზები, ვარსკვლავები, გველები, გრდემ-
ლები, ნელსაცხებლის კოლოფები, ზარები, ყავარჯნები, პინცეტები, ირმის
რქები, წყალგაუმტარი ჩექმები, შევარდნები, დოლაბები, წმ. ლუსის თვლები
ლანგარზე, სანთლები, აიაზმის სასხურებლები, მარტორქა რაშები და გზად რომ
ჩაუარეს ნელსონის სვეტს, ჰენრი სტრიტს, მერი სტრიტს, კეიპელ სტრიტს,
ლიტლ ბრიტენ სტრიტს და თან გალობდნენ in Epiphania Domini-ის შესავალს,
რომელიც იწყება სიტყვებით Surge, illuminare და მერე ტკბილხმოვან საგა-
ლობელს Omnes სადაც ნათქვამია de Saba venient⁶⁶ მოახდინეს სასწაულმოქ-
მედებანი როგორცაა ეშმაკთა გამოდევნა, მკვდრეთით აღდგენა, თევზთა გან-
ტეხვა, კოჭლისა და ბრმის განკურნვა და სხვადასხვა დაკარგულ ნივთთა აღმო-
ჩენა, საღვთო წერილთა განმარტება და შევსება, კურთხევა და წინასწარმეტ-
ყველება. და ბოლოს, ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილის ბალდახინის ქვეშ გა-
მოჩნდა ღირსი მამა ო' ფლინი მალაქიასა და პეტრიკის თანხლებით. და როს
სახიერმა და მართალმა მამებმა დანიშნულ ადგილს მიაწიეს, ბერნარდ კირნა-
ნისა და კომპანიის სავაჭროს 8, 9 და 10 ნომერი, ლიტლ ბრიტენ სტრიტი, სა-
ბაყლო საქონლით ნარდად მოვაჭრენი, ღვინისა და ბრენდის ექსპორტიორები,
ლუდით, ღვინითა და არყით ვაჭრობის უფლებით აღჭურვილნი, მღვდელმსა-
ხურმა აკურთხა სავაჭრო და გუდრუკი აქმია სქელჩარჩოიან ფანჯრებს და თა-
ლებს და კუთხეებს და კაპიტელებს და ფრონტონებს და ლავგარდანებს და დაკ-
ბილულ კამარებს და შპილებს და გუმბათებს და შემდეგ ნაკურთხი წყალი
აქურთხა ზღუდარებს და ილოცა რათა ღმერთს ეკურთხა სახლი ესე ვითარცა აკუ-
რთხა მან სახლი აბრაამისა და ისააკისა და იაკობისა და შეასაბლა შიგ ანგელოს-

ნი ნათელისა მისისა. და შესვლისას აკურთხა მან საკმელი და სასმელი და მთელმა ნაკურთხმა საკრებულომ მის ლოცვას უპასუხა.

- შემწე და მხსნელი ჩემი ხარ შენ უფალო.
- ღმერთო ჩემო აცხოველე მონანი შენნი.
- რომელნი მყოფ არიან სასოებასა შინა შენსა.
- უფალო შეისმინე ლოცვისა ჩემისა.



და მან დაადო ხელნი ნაკურთხთ და აღავლინა მადლობა და ილოცა და ყველამ ილოცა მასთან ერთად:

ყოველის მპყრობელო და სამარადისო ღმერთო, რომელი შემწყალებელ ხარ ყოველთა მორწმუნეთა შენთა და უფლებ ცხოველთა და მკვდართა, სიმდაბლით გევედრებით რათა შეუნდო ცოდვანი მათნი, რომელთათვის მლოცავნი ვართ შენდა მიმართ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელი შენთანა და სულისა წმინდისათანა ცხოველ არს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე.

- და ამასვე ვიტყვით ჩვენ ყველანი, ამბობს ჭეკი.
- სიმდიდრე და ბედნიერება, ლემბერტ, ამბობს კროფტონი თუ კროფორდი.

— ავრე იყოს, ამბობს ნედი, და სვამს თავის ჭონ უეიმზონს. კარგად ვიყოთ და გაგვიმარჯოს.

ის იყო მივიხედ-მოვიხედუ ვის დაებადება თავში ბედნიერი აზრი-მეთქი რომ ის ოხერი ისევ ფორიაქით შემობრუნდა.

- ამ წუთას სასამართლოში ვიყავი, ამბობს ის, იქ გეძებდით. იმედია არ...
- არა, ამბობს მარტინი, ჩვენ მზად ვართ.

სასამართლო არა — ჩემი ფეხები. ჭიბუები ოქროთი და ვერცხლით გაიტენია. წუწურაქი არარაობა. ერთიც არ დაგვაღვევინა. ესეც შენი ურია! ფეხსადგილის ვირთხასავით გაქნილი, ასი ხუთზე.

- არავის უთხრათ, ამბობს მოქალაქე.
- ბოდიში, რაო?
- მოდით ბიჭებო, ამბობს მარტინი, ხედავს რა რომ მდგომარეობა მწვავე-

დება, წავიდეთ.

- არავის უთხრათ, ამბობს მოქალაქე, და ამოიგმინებს. საიღუმლოა.
- და წყეული ძალლი ადგა. ერთი შაგრა დაიბრდღვინა.

— კარგად მეყოლეთ, ამბობს მარტინი.

და სწრაფად გაიყოლია თან იმ ოხერ ოთხადგილიან ორთვალასაკენ ჭეკ პაუერი და კროფტონია თუ რაც ჰქვია და მათ შორის ჩამდგარი ისიც, ბრინჯივით დაბნეული.

— წავედით, ეუბნება მარტინი მეეტლეს.

1987 წელს იგი თბილისის სახ. უნივერსიტეტში ეუფლებოდა ქართულ და სხვა ქართველურ ენებს, მანამდე კი, ევროპაში ყოფნისას, შეისწავლა ძირითადი თანამედროვე ევროპული ენები, აგრეთვე, ძველბერძნული, რუსული, ჩინური, ესპერანტო. გავლილი აქვს ზოგადი ენათმეცნიერებისა და ინდოევროპეისტიკის კურსებიც. აპირებს სწავლის გაგრძელებას გეტებორგის უნივერსიტეტის აპირანტურაში.

მაგრამ ახალგაზრდა ენათმეცნიერის ინტერესები მხოლოდ წმინდა ლინგვისტიკით არ შემოიფარგლება: ფართო ფილოლოგიური განათლება მას საშუალებას აძლევს უნარიანად იკვლიოს ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებიც. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა წინამდებარე წერილი, რომელიც დაკონტროლია მიხეილ ბულგაკოვის უკვდავი რომანით „ოსტატა და მარგარიტა“ და რომელიც წამოადგენს ი. ენვალის სადიპლომო შრომის შეკვეცილ ვარიანტს.

ქართულ მკითხველს შეაძლებლობა ეძლევა გაეცნოს ამ ნაშრომის ავტორიზებულ თარგმანს, ქართული კიტატები მოყვანილია გ. კვიციანიშვილის თარგმანის მიხედვით. ვუსურვოთ ავტორს წარმატებული დებიუტი ქართული თარგმანების „საუნჯეში“.

ზუჰია აფრიდონიძე

ბულგაკოვის ენები, ანუ უცხო ენები მ. ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტაში“

წინათქმა

ეს იყო მოსკოვში, ნაადდგომეც. ღამით ჩვენ მიერბოდიტ მაღაია-ბრონიაზე და ბოლოს მივაღწიეთ კიდეც იმ ადგილს: მოვარე ირეკლებოდა ტბორის წყალში.

— Это Пионерские пруды? — ვკითხე ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, რომლებიც გადახვეულნი მიუყვებოდნენ ცაცხვების ხეივანს.

— Нет, Патриаршие. — მიპასუხა ქალი-წვილმა.

წინამდებარე წერილში მე შევეცადე გამეჩვენებოდა თუ როგორ იყენებს უცხო ენებს ბულგაკოვი თავის „ოსტატსა და მარგარიტაში“. ეს საინტერესო საკითხი ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში თითქმის შეუხსნავლელია. მასში მხოლოდ ზოგიერთი ასპექტია გაშუქებული, თვით ენათა გამოყენებაზე კი არაფერია ნათქვა-

მი. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია ერთი ფარინახ სტატია „Язык в языке“, მაგრამ იქაც ეს საკითხი უფრო სხვა თვალსაზრისითაა განხილული, ვიდრე ჩემს სტატიაში.

სათანადო ლიტერატურის უქონლობის გამო ვიფარგლები შედაპირული აღწერით: უფრო ღრმა ანალიზი ჩემს კომპეტენციას სცილდება.

ცნებაში „უცხო ენები“ იგულისხმება:

1ა. ყველა იმ ენის გამოყენება, გარდა რუსულისა, რომელთაც ავტორი ასახელებს, მაგრამ ტექსტში რეალიზებული არ არის. დიალოგების ორიგინალურ ენას ვარკვევთ უშუალოდ ავტორისეული დასახელებით ან რომელიმე სპეციალური სიტყვით.

1ბ. რუსული ენის გამოყენება არარუსთა მიერ. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მითითებულია, თუ როგორ ფლობენ პერსონაჟები რუსულ ენას.

2. ცალკეული არარუსული სიტყვებისა და გამოთქმების ბმარება დიალოგში, რომლის ძირითადი ტექსტი რუსულია (უცხო სიტყვები იწერება მთლიანად კირილიცის ტრანსკრიფციით).

3. საკუთარ სახელთა არატრადიციული ფორმები. ამ სახელურ ფორმებს ვებეძა მხოლოდ მაშინ, როცა რუსულში მათ უპირისპირდება ტრადიციული ფორმები.

4. არატრადიციული სახელწოდებები კონკრეტული ისტორიული მოვლენებისა, აქ ვიყარებები არაკანონიერი წყაროების გამოყენებით რომაელთა ქარისა და საზოგადოებრივი სტრუქტურის აღსაწერად.



ჩემი აზრით, ბულგაკოვი უცხო ენებს ოთხგვარად იყენებს და ამით ოთხ ძირითად მიზანს ისახავს, რომელთაგან არც ერთი უშუალოდ არ უკავშირდება ამ ენათა გამოყენებას მხოლოდ ერთი რომელიმე გზით.

ეს მიზნები შემდეგია:

1. დროისა და ადგილის კოლორიტის შექმნა, ანუ უცხო ენათა იმგვარი გამოყენება, როგორც დამახასიათებელია გარკვეული დროისა ან ადგილისათვის: მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიერ სხვადასხვა ენის გამოყენება.

2. გაუცხოება (რუსულში იგი ცნობილია როგორც „прнем остраниения“): მომხდარი ამბის ადრე განუზილველი ასპექტის ბაზგასმა იმ მიზნით, რომ ეს ამბავი ახლებურად იქნეს გააზრებული.

3. სატირა — კრიტიკული დისტანციიდან საზოგადოების ღია კრიტიკამდე.

4. მისტიფიკაცია: უმნიშვნელო ან ოთქოსდა უმნიშვნელო დეტალების ემფაზა, აგრეთვე საკუთვლთაოდ მიღებული მისტიკური ქცევები და საქმიანობა.

1. ადგილისა და დროის კოლორიტის შექმნა.

ა. დიალოგების ორიგინალური ენა უშუალოდაა დასახელებული.

კოლორიტის შექმნის ფუნქცია წარმოდგენილია იერუსალიმის ამსახველ თავებში (2, 18, 28 და 29). ბიბლიის მწირო ცნობების საპირისპიროდ, ბულგაკოვი იერუსალიმს აღწერს უადრესად შედმიწევნით — როგორც ცოცხალ ქალაქს.

ბიბლიურ გადმოცემაში ავტორმა ისეთი მოვლენების შეურთა, რომლებიც იშვიათად თუ უკავშირდება იესოსდროინდელ იერუსალიმს. მხედველობაში არა ვვაქვს ის შემთხვევა, როცა

იმავე ხანის იერუსალიმს სხვა თვალსაზრისით ვიკვლევთ.

ბულგაკოვი, როგორც წყაროებისა და ტექსტების მწირო ცნობებს კარგად იყენება, არამედ ამდიდრებს მას უაღრესად მდიდარი ფლავიოსისა და სხვ. მხედველობით მომხმობილი ფაქტებით. მხედველობით ერთ შემთხვევაში სცილდება ავტორი ბიბლიას: იუდეველთა მიერ გამოყენებული ენის სახელწოდება ბულგაკოვთან არამეულია, ნაცვლად ებრაულია. რომელიც ჩერ კიდევ მაშინ იყო წმინდა დამწერლობის ენა.

რომის აღმინისტრაცია ლათინურს იყენებს, ბოლო ბერძნულით ნაწილობრივ ბერძნული მოსახლეობა ხარგებლობს, ნაწილობრივ კი იგი „ხალხთაშორის“ ენად გამოიყენება. ბერძნული — ეს არის ენა, რომელზედაც მეტწველზე პილატე და იეშუა. მას შემდეგ, რაც პილატემ იეშუას არამეულად დაუწყო დაკითხვა, პროკურატორმა მას მკითხა, იცოდა თუ არა რომელიმე სხვა ენა, გარდა არამეულისა. ბოლო, როცა იეშუამ უპასუხა, რომ იცის ბერძნულიც, ორივენი ამ ენაზე გადადიან. ცოცხლის შემდეგ პილატეს მოაფიქრდა, რომ არ მკონდა ნაკითხი იეშუასათვის, იცოდა თუ არა მან ლათინური დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ერთი კითხვა ლათინურად მისცა, შემდეგ კი ისევ ბერძნულს დაუბრუნდა. ვინაიდან დაკითხვის დაწყებისას პილატე არამეულს იყენებს, შეიძლება დავახვეწათ, რომ პილატე კარგად ფლობს ამ ენას, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას რომაელ ქარისკაცებზე, რახაც ადასტურებს მურაბეღლუმის უზირო არამეული მეტწველება (პილატემ რომ კარგად იცის არამეული, ამაში ბენარის ელბაუმს ეჭვი ეპარება¹). როცა პილატე ამის შემდეგ შეხვდება კაიფას, საუბარი ბერძნულ ენაზე მიმდინარეობს. — აღმათ იმითომ, რომ ბერძნული უნდა ყოფილიყო ყველაზე ნეიტრალური ენა რომაელ ხელისუფლებასა და იუდეველთა ტაძრის წარმომადგენელთა შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაში.

იმ ხანისათვის დამახასიათებელია ბერძნულის გამოყენება ქვემო ქალაქში; ბერძნებს შეეძლოთ ეცხოვრათ ქალაქის მხოლოდ ამ ნაწილში, ამიტომაც იგი ნამდვილი ბერძნული სტილის ქალაქი იყო². ყველა საუბარი ქალაქის ამ ნაწილში ბერძნულად მიმდინარეობს.

¹ Эльбаум, Генрих, Анализ иудейских глав «Мастера и Маргариты» М. Булгакова, 1981, გვ. 110.

² Эльбаум, გვ. 109.

³ Эльбаум, გვ. 116.

ბ. დიალოგების მრინინალური ენა ირიგადან მინიშნებული

როცა იეშუას დასჯის შემდეგ აფრანიუსი ღამით პილატეს ეწვევა, საუბარი მიმდინარეობს როგორც ლათინურ, ისე ბერძნულ ენაზე — ტექსტში ეს ირიბადაა მინიშნებული. იმ დროს ბერძნული ფართოდ გავრცელებული ენა იყო რომაელთა შორისაც.

საუბარი იწვება ლათინურით, რაც პირდაპირ არის კიდევ აღნიშნული:

«— Прокуратору здравствовать и радоваться — пришедший говорил по-латыни».

მისაღმების სიტყვები პირდაპირი თარგმანია ლათინური ფრაზისა: «Procuratorum salvere et gaudere (jubeo).»

თავდაპირველად მიმართვის ფორმად აფრანიუსი იყენებს პრინციპატორს, მერე გადადის ვიბამონსზე, შემდეგ კი კვლავ პრინციპატორს უბრუნდება.

მიმართვის ფორმათა აფრანიუსისეულ გამოყენებას სხვანაირად ვერ გავიაზრებთ, თუ არა ისე, რომ აფრანიუსი და პილატე შუა საუბარში ბერძნულზე გადადიან.

საუბრის ბოლოს ლათინურს შეერევა რამდენიმე ბერძნული წინადადება, როცა აფრანიუსი მოიხმენს პილატეს ბრძანებას და აღუთქვამს მის შესრულებას.

კვლევით, ბერძნული მაშინ გამოიყენება, როცა მნიშვნელობა ენიჭება ნაბულისხმევს, და არა პირდაპირ ნათქვამს. ლათინური კი უფრო ფორმალური მიზნით იხმარება.

სხვადასხვა ენის გამოყენება

ენები, რომლებიც იხმარება იერუსალიმში, ეხაა უწინარეს უცვლია, არამეული და ბერძნული (გამონაკლისია რომაელ ხელისუფალთა ენა). ეს ვლინდება რამდენიმე ადგილას, მაგალითად:

1. როცა პილატე აცხადებს სიკვდილის განაჩენს, ამისათვის იგი არამეულს იყენებს, ხოლო მის ნათქვამს მაცნეები იმეორებენ არამეულად და ბერძნულად.

2. როცა იეშუა და ორი სხვა სიკვდილმისჯილი ახყავთ გოლგოთაზე, მათ უელზე ჰკიდიათ წარწერა არამეულზე და ბერძნულ ენებზე: „ავაჯაკი და მუამბოხე“.

სააუთარ სახელთა არატრადიციული ფორმები

ეს მოვლენა დასტურდება მხოლოდ იმ თავებში, რომლებშიც იერუსალიმზეა ლაპარაკი. ჩემი

აზრით, აქ იგი ავლენს უფრო დიდ სიახლოვეს სათანადო დროსა და ადგილთან და, ამრიგად, უფრო ავთენტიკურად წარმოგვიდგება კიდრე თვის ბიბლიური თქმულება.

და მაინც, ბულგაკოვი იფარგლება ორი სრულიად არატრადიციული ფორმის გამოყენებით: ლიასთან მიმართებით: სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა ისტორიული წყაროებიდან). ეს ფორმებია: იეშუა პრინციპალი და მარბალიში. პირველი მათგანი თანამედროველია (სანგედრინი და ავოდა ზარა), ხოლო მეორე ის ფორმად იყოს, რომელიც „ჩიპირა“ თვის ბულგაკოვმა ებრაელთა მეტყველებაში. მაგრამ ავტორისეულ ფორმაში დაიკარგა მეორე ხმოვანი: თანამედროვე ებრაულში ამ ქალაქს ჰქვია „იერუსალიმი“.

ავტორის მიზანია, ხახელთა ამგვარი ვარიანტებით გადმოგვცეს ნაწილობრივ სწორი ისტორიული ფორმა. ნაწილობრივ კი — გაუცხობებული.

სხვა არატრადიციული სახელები

ახეთი ფორმები იხმარება, უწინარეს უცვლილსა, რომაულ თანამედრობათა და ქარის ერთეულთათვის. ეს იძლევა იერუსალიმის ორი სახეობის ერთგვარ ნაშავს: ერთი მხრივ, ბიბლიურისა — მისთვის დამახასიათებელი კანონიწებული სახელებით, რომლებიც განუყოფელია ბიბლიური ისტორიისაგან თავისი ასოციაციურობის გამო, მეორე მხრივ, რომაულისა, რომელშიც იერუსალიმი ჩვეულებრივი პროვინციული ქალაქია, ოღონდ — ზოგიერთი ავტონომიური ნიშან-თვისების მქონე. ეს ასოციაციები, რომლებსაც ქმნიან რომაული სახელები, სრულიად განსხვავებულია ბიბლიურისაგან, გაცილებით უფრო კონკრეტულია და დროსთან მიქაჭვული.

მაგალითად, ბულგაკოვი იყენებს კონსტანტინის ტრიბუნს ბიბლიური ათასისთავის ნაცვლად, ხოლო კენტურიონს — ანისთავის ნაცვლად. ასევე ქარის ერთეულები, მაგალითად — ლეგიონი, კენტური, ალა. ეს სახელები ბევრობრივად კლასიკური ლათინურის მიხედვით გადმოიცემა, რაც მათ განახსვავებს არა მარტო ბიბლიური ტრადიციისაგან, არამედ — ნაწილობრივ — ისტორიულისაგანაც (თავკიდური ლათინური C გადმოიცემა K ასოთი, თუმცა, ჩვეულებრივ, გადმოიცემა L ასოთი „რბილი“ ხმოვნების წინ).

5 Эльбаум, 83 11.
6 Эльбаум, 83 93.
7 Эльбаум, 83 112.

4 Эльбаум, 83 114.

2. ბავუცხობა

ამ ცნებაში იგულისხმება ხერხი, რომელსაც მწერალი იყენებს იმ მიზნით, რომ მკითხველის ყურადღება მიაპროს მეთხველებას როგორც ასეთს, და არა იმდენად შინაარსს. რომელიც მას უკვე შთანერგილი აქვს, როცა იწყებს ფიქრს იმაზე, თუ სინამდვილეში რა იმედა.

ეს ხერხი გამოყენებულია, უწინარეს ყოვლინა, რომანის პირველ თავში — ვოლანდის მეთხველებაში, აგრეთვე იერუსალიმის აშბების შემცველ თავებში.

ვოლანდი სხვადასხვა აქცენტით მეთხველებს, ხან კარგად, ხან უარესად, რაც ერთი ფარინოს აზრით, იძლევა შემდეგ ეფექტს:

«Во-первых, он задерживает внимание слушателя на самой речи, отвлекает от содержания, делает ее менее прозрачной для содержания. Во-вторых, на первый план он выдвигает конкретную этническую языковую систему. ...с акцентом нельзя «говорить вообще...»».

იერუსალიმის თავების დასაწყისში პილატესა და იეშუას საუბარში ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა მრავალგზის აღინიშნება ტექსტში და „ეს გადასვლები აღწერილია მეტიმეტა სიზუსტითაც კი, თუმცა სპეციალური მოტივაციის გარეშე“. ბულგაკოვი რომ ტრადიციული იქნეს ნაცვლად ირჩევს სახელ იეშუას, ესეც ანალოგიურ ეფექტს იძლევა, ანუ, ა. აღტშულერი რომ მოვიხმოს:

„ჩვენს წინაშე... წარმოდგება არა მითოლოგიზებული, არა ლეგენდარული ქრისტე, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის სახელიც ჯერ სიმბოლოდ არ ქცეულა“.

არატრადიციული სახელები გამოიყენება მხოლოდ ყველაზე არსებითისათვის, რათა გაწონასწორდეს ძველი და ახალი.

ბულგაკოვს არ უნდა შედგებოდეს გადატვირთოს მოთხრობა სახელწოდებებითა და სპეციალური ტერმინებით: იგი იყარგლება მხოლოდ არსებითით, ძირითადით.

3. სატირა

უცხო ენათა გამოყენება

სატირის ცნებაში შე ვაულისხმობს საზოგადოებრივ შეუსაბამობათა გაკიდვას. მწერალი

⁸ Faguno, Jerzy, Язык в языке (Несколько наблюдений над полиглотизмом в «Мастере и Маргарите»), Wiener Slawistischer Almanach, Band 14, 1984.

⁹ Альтшулер, А. М., Булгаков — прозаик, «Литературная газета», 7/II, 1968.

მათ გაწვიადებულიად აღწერს — ისე, რომ მაშინი ნათელი იყოს, თუმცა კრიტიკა უშუალოდ მაინც არ გამოიხატება, თუ არ ჩაითვათ კოროვიევის პათეტიკურ ტირადას სავალუტო მაღაზიაში.

სატირას მწერალი იყენებს ლეგენდარული მანძილზე (გარდა იერუსალიმის თავებისა, სადაც იგი უფრო შეზღუდულია).

რომანი სატირულად იწყება, როცა ბერლიოზმა და ბეზდომნიმ უცხოელთან (ვოლანდთან) პირველი შეხვედრისას იგი ქაშუშად მიიჩნიეს მისი ენობრივი ქცევის გამო.

მაგრამ აქ შე მაინც ვიფარგლები სამი, ჩემი აზრით, უფრო ტიპობრივი და დამაბახიათებელი ეპიზოდით, რომლებშიც სატირაც და ენის მთავარი როლიც ემფატირებულია.

პირველი ასეთი ეპიზოდია ექიმების შემოვლა ფსიქიატრიულ კლინიკაში: როცა ექიმი ხტრავინსკი შემოდის ოთახში, ივანე (ბეზდომნი) მას პილატეს ამსგავსებს, და როცა ექიმი სხვებთან ერთად ლაპარაკობს, გაიფიქრებს: „ლათინურადაც პილატესავით ლაპარაკობს...“

შემდეგი შემთხვევაა ვოლანდის სპექტაკლი ვარიეტეში. როცა ტანსაცმლის გამოცვლა იწყება, წითური ქალიშვილი ფრანგულ ენაზე გადადის. „...ახლა მხოლოდ ფრანგულადლა ქაქანებდა. მაგრამ ხაკვირველი ისაა, რომ მისი ლაპარაკი მშვენიერად ეხმოდა ყველა ქალს, იმათაც კი, ვინც არც ერთი ფრანგული სიტყვა არ იცოდა“.

აქ სატირის საგანია რუსულ საზოგადოებაში ფრანგულის ადგილი, რომელიც მას ექიმა რეკოლუციის შემდეგაც.

მესამე შემთხვევა, როცა ენის გამოყენება ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა სატირიხათვის, ესაა კოროვიევისა და ბეჭემოთის შეხველა სავალუტო მაღაზიაში. იქ ისინი ხედავენ ერთ იასამნისფერპალტოიან კაცს, რომელიც ორაგულს უიდულობს. ბეჭემოთი აღნიშნავს, რომ მის სახეს რაღაც აქლია, რის შემდეგაც ეს კაცი ანაზლად შეტოკდება.

„იასამნისფერი შურგი შეირხა, მაგრამ აღბათ შემთხვევით, რადგან უცხოელი ხომ ვერ გაიგებდა. კოროვიევი და მისი თანამგზავრი რას ლაპარაკობდნენ“.

ამ კაცმა უცხოელად გაახალა თავი და გამუიღველიც მას აძევა.

ამ სცენის ფინალი ნამდვილ კულმინაციას აღწევს. კოროვიევი წარმოთქვამს სიტყვას ბეჭემოთის გამოსახარჩლებლად, რომელმაც მანდარინი მოიპარა, და თავს ესხმის „უცხოელს“, რომელიც ვალუტით უიდულობს რუსულ ორაგულს. მის სიტყვაზე ერთი მოხუცი აენთება და „უცხოელს“ ლანგარს დაარტყამს ისე, რომ იგი ქაშაყის გეჯაში ჩავარდება: „ამ დროს მეორე სასწაული მოხდა — ქაშაყის გეჯაში ჩავარდნილ-“

მა იასამნისფერმა უცხოელმა ყოველგვარი აქცენტის გარეშე შესძახა:

— მკლავენი მილიცია! ბანდიტები მკლავენი — როგორც ჩანს, შეშის წარმა ისე იმოქმედა, აქამდე სრულიად უცხო ენას უცაბედად დაეუფლა“.

ამ სცენაში, ჩემი აზრით, უველაზე მწვავედ არის მხილებული ხაზოგადობა და ეს კრიტიკა მიმართულია საყოველთაოდ ცნობილი შეუსაბამობისაკენ, როგორცაა, მაგალითად, მმართველი ელიტის მიერ იმ მაღაზიებით ხარგებლობა, რომლებიც მიუწვდომელია დანარჩენი მოსახლეობისათვის.

ამ სცენასთან დაკავშირებით ვოლკერ ლევინი წერს: „სარკასტული ირონიითაა ნაჩვენები ამ კაცის როგორც საბჭოთა მოქალაქის მხილება, რაც ხასწაულად არის მიჩნეული, რამდენადაც ეს კაცი წარმოგვიდგება გათიშულ მატერიალისტ ფუნქციონერთა კლასის წევრად“¹⁰.

ცალკეული უცხოური სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება

საბჭოთა მოქალაქეების ბურჟუაზიული ხასიათის ხაზგასახმელად ბულგაკოვი იყენებს ფრანგულს: პირველი შემთხვევაა, როცა ვინმე ფოკა ესაუბრება მწერალ ამბროსის. ეს უკანასკნელი ასე ამთავრებს საუბარს: „...წარმოვიდგენია, შენი ცოლი სახლის ხაერთო სამზარეულოში როგორ ჯახრობს, ცდილობს, პატარა ქვაბში პორციული ფარგა პ ნატურალნი შეითიხნოს! ბე-ბე-ბე!.. მრევესარ, ფოკა!“

შემდგომ უცხოური სიტყვები სხვაგანაც გამოიყენება, მაგალითად, როცა შეფგვრემანი ქალი აღის ვარიეტეს სცენაზე ტანსაცმლის გამოსაცვლელად — აქ ის ამბობს: „... ამ წუვილს ავიღებ, მოსიპ...“ და შერე მადლობას იხდის:

„— მერსი, — მედიდურად უთხრა შეფგვრემანმა ქალმა...“

შემდეგი შემთხვევაა, როცა მარგარიტას ეკარგება ბრილიანტისთვლიანი ოქროს ნალი, რომელიც ვოლანდისაგან მიიღო. ანუშკა პოულობს მას და მაღავეს. აწაწელო მიდის, რათა აიღოს იგი, შემდეგ ემუქრება ანუშკას, ართმევს მას ნაღს და აძლევს ორას მანეთს. ანუშკა მიუგებს:

„...უმორჩილებად გმადლობთ! მერსი!“
მაშინაც კი, როცა აწაწელო ქვემოდან ასძახის — „კუდიანო დედაბერო“, ანუშკა აგრძელებს: „მერსი! მერსი! მერსი!“

4. მისტიფიკაცია

უცხო ენების გამოყენება

მისტიფიკაცია ბულგაკოვთან ერთ-ერთი უველაზე უფრო მეტად დამახასიათებელი ნიშანთაგანია¹¹. მისტიფიკაციაში მე ვგულისხმობ მწერლის დგენილი ან ისეთი უჩვეულო დეკორაციას, რომელიც შეტანას თბრობაში, რომლებსაც აქვთ (ან შეიძლება აქონდეთ) ზოგადმისტიკური კონოტაცია. ეს განსაკუთრებით აშკარად ვლინდება პირველ თავში, როცა პატრიარქის ტბორებთან ბერლიოზი და ბეზდომნი ხვდებიან ვოლანდს. ყოველ წუთს იცვლება ვოლანდის მიერ რუსული ენის ფლოზის ხარისხი. თავიდან იგი უფრო დაბალია:

„— გთხოვთ, მომიტევოთ, — თქვა მოსულმა უცხოური აქცენტით, მაგრამ სიტყვები არ დაუმახინჯებია“.

მაგრამ შემდეგ ვოლანდი ამცებს ბერლიოზს: „...რუსულად ასე კარგად რატომ ლაპარაკობსო?“

ვოლანდის მონათბრობის (ე. ი. მეორე თავის) შემდეგ ცვლილებები მის გამოთქმაში ასეა კონსტირებული:

„...ენის ბორძიკით... თქვა პროფესორმა...“

„...ახლა ენა ოდნავადაც აღარ ებმოდა. ეშმაკმა უწყის რატომ, აქცენტი ხან გაუქრებოდა, ხან იხევ გაუჩნდებოდა ხოლმე“.

ბერლიოზის ხიკვდილის შემდეგ ვოლანდს ენის ცოდნა სრულიად უქრება. როდესაც ბეზდომნი მიდის მასთან, იგი ამბობს:

„— მე რუსული არ ლაპარაკობს...“

ამის პარალელური შემთხვევა გვაქვს ზემოხსენებულ აწაწელოსა და ანუშკას ეპიზოდში. როცა ანუშკა უკან უბრუნებს ნაღს აწაწელოს, იგი მადლობას უხდის „ძლიერი უცხოური აქცენტით“. მაგრამ სადარბაზოში ეს აქცენტი მაინც ქრება:

„...ქვემოდან დაიყვირა სრულიად უაქცენტოდ: — კუდიანო დედაბერო...“

უცხო ენის გამოყენება აღინიშნება აგრეთვე უკვე უკიდურესად მისტიკურ — მარგარიტას ფრენის ამსახველ თავში. მდინარესთან მოდის ერთი სქელი კაცი და მარგარიტას უწყებს ლაპარაკს, „...თანაც ლაპარაკში ფრანგულ ფრაზებს ურევდა“.

ბევრი ენის ფლოზა არის ის საერთო ნიშანი, რომელიც ახასიათებს რომანის ხამ მთავარ პერსონაჟს: იეშუას, ვოლანდსა და ოსტატს. იეშუას შესახებ ადრე უკვე ითქვა, ამიტომ აქ მხოლოდ ვოლანდსა და ოსტატს შევხებით. როცა ბეზდომნი ვოლანდს ენის კარგ ცოდნას შენიშნავს, ეს უკანასკნელი მიუგებს:

¹⁰ Levin, Volker, Das Grotteske in Michail Bulgakovs Prosa, 1975.

¹¹ Wright, A. Colin, Mikhail Bulgakov, Life and Interpretations, 1978.

„— რა, მე პოლიგლოტი ვარ და ძალზე ბევრი ენა ვიცი...“

პარალელური შემთხვევა გვაქვს ფსიქიატრიულ კლინიკაშიც, ოსტატთან ბენდომნის საუბრის დასაწყისში:

„...თარგმნიდა კიდევ...“

— რომელი ენიდან? — ჰკითხა ივანემ (ბენდომნიმ).

— მშობლიური ენის გარდა კიდევ ხუთი ენა ვიცი. — უკახუბა სტუმარმა (ოსტატმა), — ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ლათინური და ბერძნული“.

უცხო სიტყვებით მიმართვა

ვოლანდთან მიხტიკური მომენტის გახაძლიერებლად მისი კომპანიონები მას ამ სიტყვებით მიმართავენ: „Мой мэр“ ანდა „мессир“. არც ერთი ამათგანი სხვაგან რუსულში არ გამოიყენება.

დასკვნა

ჩემი აზრით, ეს რომანი შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი ისეთი ნაწილისაგან შემდგარი ნაწარმოები, რომლებიც არა მარტო უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ, ამასთანავე, აშკარად იმიჯნებიან კიდევ. მართალია იერუსალიმის თავებში ენა ავთენტურობის მიმნიჭებელ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს გაუცხოებასაც. ბულგაკოვს სურს იერუსალიმში მომხდარი ამბები სხვა თვალთ დაგვანახვოს, ამისათვის მწერალმა მანამდე უნდა გამოხატოს თავისი ხატქმული, სანამ ჩვენ შევამჩნევდეთ.

მაია კაგანსკაია და ზეევ ბარ-სელა წერენ: „...ჩვენს თვალწინ წარმოიშვა ახალი საბარება მიხეილისა — მიხეილ ათანასეს მე ბულგაკოვისა, ერობაში — რომანი „ოსტატი და მარგარიტა“¹².

მოსკოვის თავებში დღემდე რჩება ნატირა და მიხტიფიკაცია. ატმოსფერო სხვაგვარია: ხან კარნავალისებური, ხან კი — ისტერიკული; და ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენს ენათა გამოყენებაზე: იმის ნაცვლად, რომ ერთი ენიდან მეორეზე გადაინაცვლოს, ავტორი მცირე დოზებით ურთავს რუსულში უცხოენოვან სიტყვებს, რის გამოც რუსულ მეთყველბაში ისინი „იჩხვლიტებიან“.

მე შევეცადე ჩემს ნაშრომში გამომერკვია ენობრივი პრობლემატიკის ძირითადი ხასიათი ბულგაკოვთან, რაც, შეგველია, გამოიწვევდა მრავალ უნებლიე გაუბრალოებას.

აქ საერთოდ არ შევხებივარ რამდენიმე საკითხს, კერძოდ, ენობრივ ურთიერთობას ცალკეულ ინდივიდებთან (რასაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ერთი ფარინოსთან). იმედი მაქვს, რომ წინამდებარე ნაშრომი მასტიმულირებელი იქნება მომავალი გამოკვლევებისათვის ისეთ მომხიბლავ დარგში, როგორცაა „ბულგაკოვის ენები“.

¹² Каганская, Майя и Бар-Селла, Зеев. Мастер Гамбс и Маргарита, 1984.

თამარ აფციაური

მწერალი, რომელიც ზღვაში ხეებს რბავდა

სელოვნების ქმნილებანი ძნელად ექვემდებარებიან მკაცრ მეცნიერულ ანალიზს, რომელიც იუენებს კვლევის ამა თუ იმ კონკრეტულ მეთოდს, რადგან ხელოვნების ისეთი დარგები როგორცაა მუსიკა, მხატვრობა, პოეზია, ხშირად გამოხატავენ არა ინტელექტუალურის, არა გონიერის საწყისს, არამედ გამოხატავენ და ქმნიან შეგრძნებათა და ასოციაციების სამყაროს. ამიტომაც ძნელი აღმოჩნდება ხოლმე მხატვრული ნაწარმოების გაგება, უფრო კონკრეტულად კი იმ პროზაული ნაწარმოების გაგება, სადაც გრძობათა და აზრთა ასოციაციური სამყარო წარმოიშობა.

ცოცხლობს და სუნთქავს გონიერ და რეალურად არსებულ სამყაროში, სადაც პოეზიის სამყარო აღმოცენებულია პროზის სამყაროდან, სადაც სიტყვა წარმოადგენს უნივერსალურ ფენომენს.

ხელოვნების ახალი ქმნილების აღქმის სიძნელეს განაპირობებს რიგი ფაქტორებისა, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მკითხველი როგორღაც მოუშაადებელი ხვდება მხატვრის სრულიად ახალ, ნოვატორულ მიდგომას რეალობისადმი.

და პირიქით, ეს მოულოდნელობა და სიძნე-

ლენ, რომელიც ხვდება მკითხველს, ამტკიცებს, თუ რამდენად ორიგინალური და თვითმყოფადია შემოქმედითა თვისი საკუთარი მხატვრული სამყაროს მოდელის შექმნისას.

სწორედ ასეთი ბედი ხვდათ წილად ომის შემდგომი პერიოდის ფრანგი პროზაიკოსის, ბორის ვიანის რომანულ ქმნილებებს, მის კალამს ეკუთვნის ათი რომანი, იხინი დაწერილი არიან საქმოდ მოკლე დროის მანძილზე — 1948 წლიდან 1952 წლამდე. ბორის ვიანი იყო ინჟინერი, გამომგონებელი, მხატვარი, მხახიობი, მთარგმნელი, ქრონიკების ავტორი, კონფერანსიუ. ამავე დროს იგი პიესების, საოპერო ლიბრეტოების, პოემებისა და სიმღერების ავტორია; გვევლინება საფრანგეთში ქაზური მუსიკის განვითარების ხულისჩამდგმელად.

ბორის ვიანი ავტორია უაღრესად თვითმყოფადი რომანებისა, რომელთა შორის რომანი „დღეთა ქაფი“ გვევლინება მისი შემოქმედების კულმინაციურ წერტილად. რომანმა აღიარება მოიპოვა მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდგომ. ეს აღიარება თანდათან ხულ უფრო და უფრო იზრდება ახლაც. გამორჩენილი ფრანგი პოეტი და მწერალი რეიმონ კენო წერდა: „ბორის ვიანი ავტორია ამაღლვებელი და უცნაური წიგნებისა. რომელთა შორის „დღეთა ქაფი“ უველაზე უფრო ამაღლვებელია თანამედროვე რომანებში სიყვარულის შესახებ“.

და ფაქტიურად რომან „დღეთა ქაფის“ ბედი განსაზღვრა ბორის ვიანის მთელი რომანული შემოქმედების ბედიც, გამოხატა ის ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა სიმრავლე, რომლითაც სავსე იყო ომის შემდგომი ლიტერატურა საფრანგეთში.

ვიანი 40-იანი წლების მცირერიცხოვან მწერალთა შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც ფილოსოფიურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს მხატვრის პოზიციიდან უდგებოდა, რადგან ლიტერატურაში უპირველეს უფლისა, სიმბოლოების და აღეგორების ხელოვნებას მიიჩნევდა ძირითადად.

„სერიოზული“ ლიტერატურის საპირისპიროდ, „დღეთა ქაფის“ მკითხველთა დიდ ნაწილს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა ავტორის შესახებ, თითქოს იგი: „კომიკი და ექსცენტრიკია, რომელიც თავის მკითხველს ართობს; ოინბაზი, რომელიც ამასხარავეს უველაფერს, რაც ხელთ მოხვდება.“ თვით სპეციალისტები, ლიტერატურათმცოდნეები ისეთ „ეპითეტებს ხმარობდნენ, როგორცაა „შერუეული“, „ახირებული“.

იმ დროს ძალიან ცოტამ თუ შესძლო განესაზღვრა და ამოეხსნა ის ხილრმე, სითბო, რაც არსებობდა ვიანისეული ხუმრობის, ღიმილის, გარეგნული სიმსუბუქის მიღმა. სიმონ დე ბოვუარი თავის წიგნში „საგანთა ძალა“, მართალია,

წერდა: რომ ეს რომანი („დღეთა ქაფი“) უაღრესად თავშეხაქცევია... მაგრამ ამასთან დახმენდა, რომ ვიანმა შექმნა თავისი საკუთარი სამყარო; „რაც იშვიათი მოვლენა და უოცნოების ამაღლვებელია, რაც მე ამ რომანში მაოცებს, ესაა მისი სიმართლე და უტყუარობა“... სრულიადაც არაა შემთხვევითი „ქაფის“ უფრო ვიწლის შემდეგ გაუჩნდა ახალგაზრდა თაობას ვიანისადმი ინტერესი, მან სრულიად ახლებურად წაიკითხა „დღეთა ქაფი“: „ჩვენი გრძობა, — წერდა ეს კლუზე, — შეიცვალა ოცი წლის განმავლობაში და ვიანისათვის დამახასიათებელი მანერა, გადალახოს ლოგიკურობის უველა ზღვარი, „დარგოს ხეები ზღვაში“, ბევრად უფრო გასაგები, მისაღები გახდა ჩვენთვის“.

ვიან-რომანისტში უვე ნოვატორი დაინახეს, რომელიც ახლებურად აღიქვამდა და შეიგრძნობდა გარე სამყაროს, მასში მცხოვრებ ადამიანებს, უოველდღიურად წარმოთქმულ სიტუებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიანის რომანების ბედი ძალზე მავს იმ მუსიკის ბედს, რომელიც ასე უვეარდა და რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე პროპაგანდას უწევდა თვით ვიანი, ესაა ქაზი, რომელმაც დაიპყრო 20—30-იანი წლების საფრანგეთის კლასიკური მუსიკის მრავალი მოტრფიალე. ომის შემდეგ ქაზის ცენტრმა პარიზის ერთ უბანში სენ-ჟერმენ-დე-პრეში გადაინაცვლა, სადაც ვიანი მთელ დამეებს თავის საყვირთან ერთად ათენებდა. იგი მუსიკოსად იყო მიჩნეული; მრავალი ღონისძიების ხულისჩამდგმელად და ხელმძღვანელად აღიარეს. იგი იქცა სენ-ჟერმენ-დე-პრეს „პრინციად“. მაგრამ ნამდვილი ქაზი ნაკლებად იყო ცნობილი 40-იანი წლების საფრანგეთის საზოგადოებისათვის. უფრო ზუსტად, ქაზი სრულდებოდა დანსინგებზე, შეფასებულ იყო როგორც მსუბუქი საცეკვაო მუსიკა, რომელიც არ იმსახურებდა სერიოზულ უურადლებას. აი, რას წერს ფრანგი მუსიკათმცოდნე პანასიე იმის შესახებ, თუ როგორ ინერგებოდა ქაზური მუსიკა: „ქაზი? — ეს ხომ მხოლოდ საცეკვაო მუსიკაა! — „რამდენჯერ წარმოუთქვამი ეს აგდებული სიტუვა მაოვის დაინტერესებასაც ქაზური მუსიკით ცდილობდნენ“.

იქნებ ამიტომაც ვერ გაუგეს ვიან-რომანისტს, რომლისთვისაც ქაზი იყო არა მხოლოდ მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, არამედ ორგანული ნაწილიც მისი მხატვრული ლიტერატურისა. „დღეთა ქაფის“ წინახიტუვაობაში ვიანი მკითხველებს აუწუებს, რომ მას ამ ქვეყნად ორი რამ უველაფერს ურჩევნია: „ესაა უოველგვარი სიყვარული, ლამაზი ქალიშვილების სიყვარული, და მუსიკა, ახალი ორლეანისა თუ დიუკ ელინგტონის მუსიკა“. კითხვაზე: „რატომ დაწერეთ „დღეთა ქაფი?“ — ვიანმა უპასუხა, რომ სურ-

და „დაეწერა რომანი, რომლის სიუჟეტი დაე-
 ურდნობოდა ერთ ხაზს“. მართლაც, გარეგნულად
 სიუჟეტური ქარგა სადა და ნათელია: ესაა კო-
 ლენისა და ქლოეს სიყვარული, და ამ ძირითად
 თემას ექვემდებარება უველაფერი, რაც რომან-
 ში ხდება. ჯაზისა და რომანის „დღეთა ქაფის“
 შედარებისას შეიძლება მათ კომპოზიციურ აგე-
 ბულებაში აღმოვაჩინოთ გარკვეული მსგავსე-
 ბა, როგორც ჯაზში, აგრეთვე რომანშიც ძირი-
 თადი თემა ღებულობს სხვადასხვა ინტერპრე-
 ტაციას, უღერს სხვადასხვა ტონალობით, იძენს
 სულ ახალ-ახალ ხასიათებსა და ნიუანსებს, ივსე-
 ბა ახალი თემებით, ახალი პერსონაჟებით. გა-
 საოცარია, მაგალითად, ადამიანთა ხასიათების
 იდენტურობა. რომანში ექვსი მთავარი პერსო-
 ნაჟია: სამი ქალი და სამი მამაკაცი. ისინი უვე-
 ლანი ერთმანეთს ჰგვანან: არიან ახალგაზრდები,
 გულუბრყვილონი. უყვარო ერთმანეთი და ეს-
 მით ერთმანეთისა. ვიანისეულ პერსონაჟთა ორი-
 გინალობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ
 ისინი არ არიან განსაზღვრულნი. ვიანმა შეძლო
 შესანიშნავ იმპროვიზაციულ მანერაში გამოე-
 ბატა თითოეული პერსონაჟის თვისება, ჩაეუენე-
 ბინა ისინი სრულიად განსხვავებულ სიტუაცია-
 ში, სხვადასხვა ტონალობაში, უღერს ერთ-ერთი
 თემა — თემა სიყვარულისა, მაგრამ მისი ინ-
 ტერპრეტაცია წარმოშობს რაღაც მრავალწან-
 ნაგოვანს, მრავალმნიშვნელოვანს, გარეგნულად
 უბრალო და ნათელი სიუჟეტური ხაზის შექმ-
 ნისას სწორედ ეს იმპროვიზაციური სულისკვე-
 თება ამუღავნებს რომანის მეორე სახეხ. ეს სა-
 ხე მრავალმნიშვნელოვანია და იგი ფაქტიურად
 მკითხველს უტოვებს საშუალებას თავისუფლად
 განმარტოს, ინდივიდუალურად მიიყვანოს ბო-
 ლომდე ვიანის დაწყებული ოცნება. „დღეთა
 ქაფი“ გზას უბნის ნებისმიერ მიმართულებას. უფ-
 რო მუტიც, თამაშის მიღმა, გარეგნული ძალ-
 დაუტანებლობისა და სიმსუბუქის მიღმა ჩანს
 ვიანის მისწრაფება აძულოს მკითხველი იფიქ-
 როს, ისმინოს, დაინახოს, იაზროვნოს და იგრძ-
 ნოს: დასაწყისში ავტორის ნათელი და უბრალო
 მიზანი თანდათან გადადის სურვილში ააღელვოს
 უოველი მკითხველი, უოველი ინდივიდუმი. ამას-
 თან იგი არ ცდილობს რაიმე კონკრეტული პა-
 სუხი გასცეს დასმულ კითხვებზე.

ვიანის რომანების თავისებურება გარკვეულ
 წილად გამოიხატება იმაში, რომ შეუძლებელია
 ერთნაირი პასუხის გაცემა, შეუძლებელია ერთ-
 ნაირად აიხსნას ერთი და იგივე კითხვა, თუ
 მოვლენა, რადგან ვიანმა თავისი შემეცნების
 საფუძვლად აქცია სიმბოლოებისა და აღეგო-
 რების სმყარო, უნივერსალური კითხვის სამ-
 ყარო.

ლიტერატურისა და მუსიკის სამყარო, პრო-
 ზისა და პოეზიის სამყარო — ერთი მთლიანია

ვიანის გაგებაში. მთელი რომანის მანძილზე
 უღერს მუსიკა: მხოლოდ მკითხველს უნდა შე-
 ეძლოს მისი მოხმენა. ქლოე — ეს ორმაგი სა-
 ხეა: იგი ნაზი ქალიშვილიცაა და მუსიკალური
 პიესაც — ორივე ძვირფასი უმარვილ კოლე-
 ნისათვის. ქალიშვილს უღერს მუსიკალური
 პიესას „ქლოეს“, ჯაზს „დღეთა ქაფის“,
 ელინგტონი — ვიანს...

რომანი „დღეთა ქაფი“ ჯაზის მსგავსი კმნი-
 ლებაა, სადაც ერთის (მუსიკოსების, მწერლე-
 ბის) შთაგონება დამოკიდებულია მეორეს (მსმე-
 ნელის, მკითხველის) აღქმაზე. სადაც ერთის
 სილაღე და ძალდაუტანებლობა გადაეცემა მეო-
 რეს, ე. ი. უნდა გვექონდეს უოველმხრივი ათვის-
 სების უნარი, როგორც ინტელექტუალურად,
 ისევე გრძნობიერად, რომ ხრულად და მარმო-
 ნიულად შეძლო აენთო, აღფრთოვანდღე და სა-
 ბოლოოდ, გაიზიარო და შეიგრძნო მთელი ის
 პოტენციალი, რომელსაც გთავაზობს შემო-
 ქმედი.

რა მოსწონდა ვიანს ჯაზურ მუსიკაში? ამ
 კითხვაზე პასუხის გაცემას თუ ვეცდებით, ჩვენ
 აღბათ უკეთ გავიგებთ, თუ რა უღერს საფუძვ-
 ლად ვიანის რომანებს...

სიმონ დე ბოვუარი იგონებს: — „მე შევხვდი
 ვიანს, რომელმაც მოიტანა თავისი რომანი
 („დღეთა ქაფი“) და ამერიკული წიგნი ჯაზის
 შესახებ. ვიანი ჯაზე ლაპარაკობდა ვნებით. მან
 მითხრა, რომ ამერიკაში არსებობს ძალიან კარ-
 ვი რადიოფონური პიესები, ცოტა გულუბრყვი-
 ლო, მაგრამ მომხიბლავი, როგორცაა, მაგალი-
 თად, პიესა პატარა ბიჭზე. იგი ვარსკვლავებში
 დაეძებს თავის ძალღს, რომელიც ავტობუსმა
 გასრისა და, მხოლოდ უკანასკნელ წუთს ამჩნე-
 ვენ, რომ თვითონ ბიჭუნაა გასრესილი“.

„ის, ვინც მღერის თავის ნაღველზე, ამომი-
 ლერებს მას“. ეს გამოთქმა, რომელშიც შეიძ-
 ლება შეამჩნიო და მერე დაინახო ცხოვრები-
 სეული ქეშმარიტების ირეალობა, როგორღაც
 განსაზღვრავს იმ საფუძველს, რომელსაც ეყრ-
 დნობა როგორც ჯაზური მუსიკა, ასევე ვიანის
 რომანების პოეზია. დრამატული ელფერის მქო-
 ნე მუსიკაზე ხშირად იმღერება კომიკური სტრო-
 ფები, ხოლო გულწრფელი, ამაღელვებელი დრა-
 მატული სიტყვები შეიძლება შევეუბამოთ ხაღი-
 სიან მუსიკას. ასევეა რომანშიც: მეორეხარის-
 სხოვანი შერწყმულია მთავართან, სახაცილო —
 სერიოზულთან, სიტყვა — დუმილთან. თან
 კლუზე შენიშნავს: „მხოლოდ ვიანის წყალობი-
 თაა, რომ სიტყვა „ტრაგიკომედია“ ბოლოს და
 ბოლოს მიიღო თავისი ნამდვილი მნიშვნელობა“.

და თუ ღრმად ჩავიხედავთ ვიანის ტრაგიკო-
 მედიურობაში, აღმოჩნდება, რომ ფაქტიურად
 სწორედ ეს სიტყვა ხსნის ვიანის პოეტიკის
 თავისებურებებს. ძირითად პრინციპად, რომ-

ლითაც ხელმძღვანელობდა ვიანი, მაგ. „დღეთა ქაფის“ შექმნისას, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ავტორი თავისი მხატვრული ჩანაფიქრის ერთიანობას უქვემდებარებს ელემენტების კონტრასტულ, პოლარულად შეუსაბამო დამოკიდებულების პრინციპს. ვიანის რომანული სტრუქტურის უოველი ელემენტი ღრმად თავისებურია, უოველი მათგანი განისაზღვრება ახალი მხატვრული კრედიოთი, რომელიც ვიანმა საფუძვლად დაუდო რომანს „დღეთა ქაფი“.

„მე მსურს, — წერს ვიანი, — შევქმნა შემოქმედებითი ეთიკის რომელიმე სახე, ანუ „პო-ეთიკა“. სწორედ ეს პო-ეთიკა უდევს საფუძვლად ვიანის მთელ რომანულ შემოქმედებას, რაც ნათლად ვლინდება რომანში „დღეთა ქაფი“. თვით სიტყვას „პო-ეთიკა“, თითქოს ორმაგი ძირი გააჩნია, ორხშიანია: ესაა ეთიკა — მხატვარ-ფილოსოფოსის გარკვეული შეხედულება სამყაროზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე და სიცოცხლის არსზე; ამავე დროს ესაა პოეზია, რომლითაც იკვებება მხატვარი და რომელიც სცილდება ზნეობისა და მორალის გაგების აზრობრივ ჩარჩოებს.

ჩვენი აზრით ეს „პო-ეთიკა“ ახასიათებს სწორედ ბორის ვიანის სულიერ განწყობილებას; უფრო ზუსტად, ესაა მხატვრული თავისებურებისა და მხატვრული დამოკიდებულებების ძიება, რასაც ექვემდებარება „დღეთა ქაფის“ რომანული სტრუქტურის უველი ელემენტი. ვიანის მსოფლმხედველობის პრინციპი იკვება სამყაროს მხატვრული ხედვისა და რომანის სიტყვიერ-სიუჟეტური აღნაგობის პრინციპად. და მხოლოდ მხატვრული დავალების ძირითადი ფორმულირების ფონზე შეიძლება გახდეს გასაგები ვიანის პო-ეთიკის ღრმა ორგანულობა, თანმიმდევრობა და მთლიანობა.

ვიანის სამყარო — ესაა სულიერი მრავალფეროვნების მხატვრულად ორგანიზებული თანაარსებობა და ურთიერთქმედება, იგი გამობატულდება პოულობს „დღეთა ქაფის“ სიტყვიერ აგებულებაში და ლიტერატურულ კომპოზიციის, საფუძვლად უდევს ამ რომანის მთელ მხატვრულ სტრუქტურას.

1979 წელს საფრანგეთში გამოვიდა წიგნი „დღეთა ქაფის“ მრავალმხრივი კითხვა“. ექვსი მკვლევარი კითხულობს და აანალიზებს რომანს. უოველი მათგანი ანალიზის საკუთარ შეთოდებს იყენებს, იქნება ეს პოეტური, ფსიქოლოგიური, სემიო-კრიტიკული ან სოციო-კრიტიკული ანალიზი; ამასთან, უოველი მათგანი რომანში აღმოაჩენს იმ ერთადერთსა და განუმეორებელს, რაც მხოლოდ მისთვისაა არსებითი. ამ წიგნიდან თვითეულ მკვლევარს გამოაქვს მხოლოდ მისთვის გასაგები და ახლობელი აზრი.

ვიანის რომანი შეკრულია არა მარტო სიუ-

ჟეტით, არამედ უმარტივესი შემადგენელი ერთეულებით — სიტყვების ორგანული ერთიანობით.

ბევრი ვიანოფილი მიუთითებს, რომ ვიანის რომანების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს სიტყვა, ნებისმიერი ლიტერატურული ქმნილების პირველწყარო. სწორედ სიტყვის უმარტივესი ერთეულის უმარტივესი ხეობს ვიანი გვიჩვენოს, რომ სამყარო იტევს გრძნობათა და იდეათა მთელ კომპლექსს, რომ ისინი აისახება არა მარტო ადამიანების სულსა და გონებაში, ცხოველებშიც და თვით უსულს საგნებშიც კი. ვიანისეული სიტყვა საფუძველია, რომელზედაც შენდება რომან „დღეთა ქაფის“ მთელი მხატვრული შენობა. აქ სამყარო შექმნილია სიტყვებისაგან, ხოლო თითოეული სიტყვა — გრძნობათა და იდეების სამყაროდან და ისინი იმდენად ბუნებრივად და ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს „დღეთა ქაფში“, რომ ზოგჯერ განსაზღვრავს კი ძნელია, სადაა ვიანის მსოფლმხედველობის საწყისი — სიტყვაში თუ იდეაში.

წარმოიდგინეთ სამყარო, სადაც ჩვეულებრივი, უოველდღიური საბეტყველო გამოთქმები, ცალკეული სიტყვები, სხვადასხვა ტერმინები იძენს „ინდივიდუალობას“, უფრო ზუსტად, ხელახლა წარმოიშობა ვიანის სულიერი ცხოვრების წყალობით. სიტყვები ცოცხლდებიან და გარდაიქცევიან „დღეთა ქაფის“ სრულუფლებიან „გმირებად“. ვიანი აცოცხლებს უველასაგან დიდი ხნის წინათ მივიწყებული სიტყვების საწყის მნიშვნელობას, განმარტავს სიტყვების აზრობრივ და გრძნობით მნიშვნელობას, უცვლის ფრაზეოლოგიურ აგებულებას, აძლევს ნათ განსაკუთრებულ კოლორიტს, განსაკუთრებულ წყობას, მაგალითად: „სიცივემ ხალხი სახლებს მიაქაჭვა, ხოლო ისინი, ვინც შესძლებდნენ მისი ბოროტებიდან გამოსხლტომას, სახლის კედლებზე ტოვებდნენ მიყინული ტანსაცმლის ნაფლეთებს და ანგინით იხოცებოდნენ“ ან „ბრძანებას სისრულეში მოიყვანენ კანტორული გილიოტინის დახმარებით“ და სხვ.

„დღეთა ქაფში“ ჩნდება მთელი რიგი სრულიად ახალი სიტყვები, ავტორს შემოაქვს მაგ. დეპუტოდრომი (დეპუტატი ბერძნული სიტყვაა დრომი — სირბილი), პინოკტილი (პიანინო — კოკტილი), თეფშგამცხელებელი და სხვ.

იქაც კი, სადაც სიტყვა ინარჩუნებს თავისი ჩვეულებრივი, „არაცოცხალი“ მასალის გარსს, არ შეიძლება მკითხველმა არ აღიქვას იგი როგორც ცოცხალი, აზრიანი ერთეული. მაგ. კოლენი სიყვარულის მოლოდინში იწყებს ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ფრაზის უღლებას: „შეგვარების სურვილი“: „მე მსურს, რომ შეგვევარებოდა, შენ ვსურს, რომ შეგვევარებოდა, მას სურს, რომ შეგვევარებოდა, ჩვენ, თქვენ, ვსურს, ვსურს, რომ შეგვევარებოდა, შეგვევარ-

რეზოლუციით. კაცებსაც სურთ, რომ შეუვარდობდეთ. ქალებსაც სურთ, რომ შეუვარდობდეთ.

სიტყვა იცნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იქცევა უველაფერო იმის სიმბოლოდ, რომელიც ვარშემორტყმულნი არიან რომანის გმირები ზენის აღნაშენად: „სიტყვა იქცევა ღმერთად“. და მართლაც სიტყვა ქმნის იმ ატმოსფეროს, იმ განწყობილობას, რომელშიც ცოცხლობენ, იბრძვიან ადამიანები, ნივთები, ცხოველები.

ერთის მხრივ, სიტყვა დამოკიდებული ერთეულია, იგი დამოკიდებულია უველაფერზე. რაც ზღვრს: სიტყვა შინაარსს იცვლის ამა თუ იმ პერსონაჟის განწყობილებასთან დაკავშირებით, ამა თუ იმ სიუჟეტური შემოხრუნებით: შეორებს მხრივ, სიტყვას ვაჩინია სრული თავისუფლება, ესაა უნივერსალური, მრავალწახნაგოვანი ერთეული, რომლის ინტერპრეტაცია იხვევს უსაზღვროდ, როგორც თვით რომანისა.

„დღეთა ქაფის“ შექმნისას ვიანის მიერ გამოყენებული მიროდი — კონტრასტულობა — გამოხატულებას პოულობს უსულო საგნების გამოყენების დროსაც. თვით შეუმჩნეველი საგნებიც კი უცებ რომანში იწეებს გაცოცხლებას. უსულო სამყარო ერთბაშად იწყებს მოძრაობას, ფერს იცვლის, პატარავდება, ინგრევა: რეაგირებს ადამიანთა სიცოცხლესა და ხიკვდილზე, შთა ხიხარულებსა და ნაღველზე, კოლენის ოთახი ნათელი და ფართოა, სანამ თვით კოლენი და შინა შეჭობრები ბედნიერნი და უღარდელნი არიან. ნაღველიანი მუსიკა კი დაანრგვალებს ოთახს, მაგრამ სავარელი ქალიშვილის, ქლოეს ადამიანობის გამწვავებასთან ერთად ოთახი გაფართოვდება, ბნელდება: ხოლო ქალიშვილის ხიკვდილის გავლენით იგი ინგრევა. — „ვეღარ გამოვრება“. — შენიშნავს შავულვაშებიანი თავი.

თვით თავი „დღეთა ქაფის“ ერთ-ერთი პერ-

სონაჟია. მას არ ძალუძს, უცქიროს კოლენის ტანჯვას და იგი ხომოვს კატის გადამყლაპვით, ცხოველები, იხვევს რეაგირებად ადამიანები, სიტყვები, საგნები — იღუპებიან და გრძნობების მატარებელნი არიან უველა ერთად ქმნიან ერთ შთქლს, ერთ სამყაროს — „ქაფური და ირეალური, კომიკური და ტრაგიკული, მატერიალური და იდეალური — არა მარტო განუყოფელი არიან, არამედ ცოცხლობენ ერთმანეთში, დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე.

ერთის კონტრასტებში მარშონია და ილოგიზმში აზრი, — აი, რა არის დამახახიათებელი ვიანის მთელი შემოქმედებისათვის. „შავი ფერი ღია უვითელ ფონზე ქმნის მაქსიმალურ კონტრასტს, მე დავუმატებ, — წერს ვიანი „დღეთა ქაფში“, — რომ ამით თვალი არ იღლებს“.

საკუთარი ენის, სტილის, მხატვრული სამყაროს შექმნისას ვიანმა შეძლო ეპოვა ის შემოქმედებითი ეტიკა, რომელსაც მან უწოდა „ეტიკა“. პროზაული ნაწარმოებების შექმნით ვიანმა შექმნა შალალოცტური სტილი, ახსნა პროზაული სიტყვის, პროზაული ნახატის და ბოლოს, პროზაული ნაწარმოების უსაზღვრობა და უნივერსალურობა. ბორის ვიანმა შეძლო რომანის ამადლება საუკეთესო პოეტური შემოქმედების მწვერვალებამდე, სადაც სიტყვა, აზრი და გრძნობა ერთიანია და სრულ მარშონიას ქმნის, სადაც ვიანის ოცნება — გადაელახა ლოგიკურობის უველა ზღვარი და „ხეობი დაერგო ზღვაში“ — ასრულდა.

ბორის ვიანმა პროზის ხელოვნებაში შემოიტანა ახალი მხატვრული ხედვა, რითაც შეძლო გადმოეცა ადამიანის აზროვნების და ადამიანური გრძნობების ახალი მიჯნები. ბორის ვიანის მიერ არჩეულმა მხატვრულმა პროზაულმა საშუალება მისცა მას გაეფართოებინა ცნება ადამიანის სამყაროს, ხელოვნების შესახებ, რაც ახალი მხატვრული აზროვნების ნიშნად იქცა თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში.

ბუსტავ გლუკი

გერმანულიდან თარგმნა ალა დადიანმა

ბრეიგელის ფარწარული ნამუშევრები

ღღებს ზვენიციის ნათელია, რომ უფროსი პიტერ ბრეიგელის ნამუშევრების ბრეიგელად წოდებული, განუკუთვნიან ხელოვანთა რიგს, რომელთაც დახა. ბრეიგელის არჩეულთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ. საკითხავია მხოლოდ, ვწვდებით თუ არა მიიღეს მის ხიღრმებს, და თუ ასეა —

როგორ, იმდენად ძლიერია მისი ხელოვნება, ისე თავისებური და მრავალფეროვანი, რომ მხოლოდ რამდენიმე რთული პრობლემის განხილვა თუ დაგვაახლოვებს მასთან. ბრეიგელის ხელოვნება არქაულია და რადგან ფორმის თვალსაზრისით იმ დროისათვის სრულიად ახალია, ჯერ გაუგონარს შეიცავს, თანამედროვედ აღიქმება და

სამოღებოთ მოვიხსენიებთ ხოლმე თანამედრო-
ვე ქმნილებათა გვერდით.

შუა საუკუნეებში ფერწერა ძირითადად რე-
ლიგიური დანიშნულებისა იყო. ხელოვნების ეს
დარგი გამოიყენებოდა თითქმის მხოლოდ ხა-
ტებისა და საკურთხევლისათვის. ხელოვანი შე-
კვეთებს ღებულობდა ხოლმე ეკლესიების ან სა-
ხულიერო კორპორაციებისაგან. აქა-იქ კი ღვთის-
მოსავი მონასტრის დამაარსებლებიც მიმარ-
თავდნენ ხოლმე მას. შეკვეთის შესრულებისას
ყოველთვის იგულისხმებოდა მრევლი, ფართო
საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი. ხე-
ლოვნების ნიმუში თავისთავად როგორც ფერ-
წერული ტილო. რომელიც გამიზნული იყო
ხელოვნების მოყვარული კერძო პირის, ბინის
ანდა კოლექციისათვის. რაც ჩვენს დროში ასე
ნიღებულა. ახალი ერის დასაწყისში ქერ კი-
დეც ფეხის მოკიდების პროცესში იყო. ბრეი-
გელი ერთ-ერთი პირველთაგანია ამ დიდ ხე-
ლოვანთა შორის, რომლებიც კერძო პირთათ-
ვის განკუთვნილ სწორედ ასეთ მხატვრულ ტი-
ლოებს ქმნიდნენ. მასალას ის თვითონ ირჩევ-
და და მასალის დამუშავებაშიც იჩენდა ისეთ
დამოუკიდებლობას, როგორც იმ დროს ძნე-
ლად თუ იქნებოდა ცნობილი.

მისი წარმოსახვა სწვდებოდა უველაფერს.
რაც კი მაშინ თვალსა და გონებას გაეკარებო-
და — ზეცას, ქოქობეთს, სამყაროს, მიხთვის
უცხო არაა რწმენა უზენაესისა. უფრო მეტიც
— ის, როგორც უმეტესობა მისი თანამედრო-
ვეებისა, დაუფარავად აღიარებს კავშირს ღმერ-
თთან. ღვთის რწმენა მნიშვნელოვან როლს ახ-
რულებს მთელ მის შემოქმედებაში და კერძოდ
ფერწერაში. რელიგიური შეხედულებების სა-
პირისპიროდ. რომლებიც გაბატონებული იყო
ქერ კიდეც XV საუკუნიდან თითქმის XVI საუ-
კუნის ბოლომდე. თანდათან ვრცელდება მხატვ-
რულ ხამუშევართა სეკულარიზაცია და პერ-
სონიფიკირება, ბიბლიური სიუჟეტები ბრეი-
გელთან აბსოლუტური რეალობის სახეს იღებს,
ბიბლიაში აღწერილი მოვლენები კი მრავალ-
ფეროვან სახალხო სცენებად გვევლინება. დის-
რულეზულ თხრობას ბრეიგელი ცალკეულ ეპი-
ზოდს ამჯობინებს: ამ უკანახკნელში მეტ შეხად-
ლებლობას ხედავს მასობრივი სცენებისა და
ერომანეთისაგან განსხვავებული მოძრაობების
წარმოსადგენად მხოლოდ წმინდანებს ხატავს
იდეალურ სამოსელში. სხვანი კი თანამედრო-
ვედ. ძველებურად ანდა ფანტასტიკურად არიან
ჩაცმულნი. ბიბლიურ სურათებს უპირისპირ-
დება ისეთი სურათები განჭვრეტისა, როგორი-
ცაა: ეშმაკი და სიკვდილი; დევნა ქოქობეთის
სულებისა, რომელთა გამოსახულებები ცხო-
ველისა და ადამიანის ნარევს წარმოადგენს; ამ-
გვარადვეა გამოსახული განდევნილი ანგელოზე-

ბას გუნდი; სიკვდილის შიშისმოშვებელი უი-
კურა ჩონჩხის საბითაა წარმოდგენილი. მხატვ-
რი შედარებით იშვიათად იუენებს მასალის ქლო-
სიკური მითოლოგიიდან მას ასევე ხელოვნო-
ბა აღეგორია, რომელიც ყოველთვის გარკვე-
ულია სცენა-განმარტებებით, განსაკუთრებულ
ლი გატაცებით გადააქვს ბრეიგელს ტილოებ
ანდაზები, ანდაზური ნათქვამები და იგავები.
ყოველივე ეს საფუძვლად უდევს სამყაროს,
რომელსაც მხატვრის თვალს უკულმა პირით ხე-
დავს, რაც რელიგიური შეხედულების შესაბა-
მისად ნამოქმედარია ეშმაკისა. მხატვარი მთლია-
ნად ცხოვრებისეულ სინამდვილეს მიმართავს და
პატივს მიაგებს ბუნების ხილიადესაც. ქმნის
ტილოებს წელიწადის დროებსა და დღის სხვა-
დასხვა მონაკვეთზე.

საგანგებო განმარტება ესაჭიროება შემოქმე-
დის ასეთ ენრობრივ მრავალმხრივობასა და
თემატურ მრავალფეროვნებას, რაც ბრეიგე-
ლამდე არაა ცნობილი და რასაც უნდა გა-
მოეწვიო ენრობრივი დაყოფა XVI საუკუნის
პოლანდიურ ფერწერაში. ოღონდ პ. ბრეიგელის
მხატვრული ღირებულება არ ექვიმდებარება
აბსოლუტურ განმარტებას, რადგან ის გენიის
კუთვნილებაა. ხელოვანის ცხოვრებიდან ჩვენი
თვის ცნობილია მხოლოდ რამდენიმე თითქმის
უტყვი შტრიხი. პ. ბრეიგელის გვარი მისი
დაბადების ადგილის მარჯვენებელია — Brueghel.
დარწმუნებით ვერ ვიტყვით, სად უნდა
მდებარეობდეს ის, რადგან ხუთ ცოტა არი
სოფელია ამგვარად წოდებული. სახელწოდე-
ბები მხოლოდ ორთოგრაფიულად განსხვავდება
ერთმანეთისაგან. ცხოვრების ადრეულ პერიოდ
ში (1553 წლამდე) მხატვარი თავის გვარსაც ასე-
ვე წერდა.

აღბათ სხვადასხვა მიზეზის გამო უპირატე-
სობა ეძლევა ბრეიგელს მდებარე ხოფელს ლიმ-
ბურგიაში. რა თქმა უნდა, ლუდოვიკო გვირარდა-
ნი მხატვრის გვარს წარმოშობის მარჯვენებელ di
უმატებს წინ, di Breda მის მიერ მხატვრი-
სავე სიცოცხლეში გამოცემულ წიგნში ნიდერ-
ლანდის შესახებ. ეს ფაქტი უწრადღებას იმ.
სახურებს იმდენად, რომ ხელოვანის ოჯახი
სოფელ ბრეიგელიდან იყო წარმოშობით და
ცხოვრობდა ბრედაში. ყოველ შემთხვევაში
პიტერ ბრეიგელი, დაბადებული, აღბათ, 1530
წლამდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე. იმდენ-
ვანდელი ბელგიისა და პოლანდიის სასაზღვრო
ზონიდან უნდა იყოს წარმოშობით.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩ-
ნიოთ ზუსტ ფაქტად, რომ ბრეიგელი გლეხის
შვილია და სიუმაწვილე გლეხებთან გაატარა.
ერთი შეიძლება ვიწმუნოთ, რომ ქერ კიდეც
ადრეულ ბავშვობაში ის ქალაქში გადასახლდა

და მისი ხუთიერი გამოყვანილება მონდა აღბათ სადღაც ახლომდებარე პეტროგრადში. მისი შემოქმედებისათვის ხტოვნი უნდა პე- ცა ფადი წინამორბედის — პეტრობაშვილ ხაბხის ნაწუშევრებს ადგილობრივ ტელესიაში. გასა- კვირი არ უნდა იყოს, რომ იქვე აღმოჩინეს ბრეიგელის მიდრეკილება ხატვისა და ფერწე- რისადმი და მშობლები, ნათესავები და მფარ- ველები აპირებდნენ მის მიბარებას რომელიმე ამ დროს ცნობილ მხატვართან. თუ შეიძლება ვენდოთ კიდევ უფრო ხანდო წყაროს, არჩევა- ნი შეჩერდა ოფიციალური ხელოვნების საყო- ველთაოდ ცნობილ წარმომადგენელზე — პიტერ კუპ ალხტზე, რომელმაც განათლება მიიღო იტალიაში და განათლებულ პირთა წრეში ტრიალებდა. ის იყო მწერალი, მხატვარი, არქი- ტექტორი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი სადღესასწაულო დეკორაციები, გობელენები და მინაზე შესრულებული ნამუშევრები. დადგენი- ლი არაა, სწავლობდა თუ არა მასთან პ. ბრეი- გელი ანტვერპენში ან ბრიუსელში, რადგან ჩვენ- ღვის უცნობია, გაატარა თუ არა კუპმა სიცოც- ხლის უკანასკნელი წლები ბრიუსელში, სადაც 1550 წელს გარდაიცვალა.

1551 წელს პ. ბრეიგელი ხდება ანტვერპე- ნის მხატვართა გილდიის თავისუფალი წევრი. ცოტა ხანში მიემგზავრება საფრანგეთსა და იტ- ალიაში, როგორც ჩანახატებიდან და არსებული ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, 1552 წ. გა- იარა ხაშბრეთ საფრანგეთი (როგორც მტკიც- დება ლიონისა და ვენის გავლით), შემო იტა- ლია და 1553 წ. ჩავიდა რომში. რომიდან გაე- შართა ნეაპოლისკენ და სიცილიამდეც კი მივი- და (ზღვის სრუტე შესინასთან — ჩვენამდე მოაღწია ჩანახატის მიხედვით შესრულებულმა გრავიურამ). გაურკვეველია უკან დაბრუნების მარშრუტი, რომში ბრეიგელი ჩავიდა (არსებობს ჩანახატი ერთ-ერთ კერძო კოლექციაში, ამერი- კაში) და ვინა ამიიდან ბრუნდება უკან, საფრან- გეთზე გავლით, ნიდერლანდისაკენ. (მარტინის კედლის ჩანახატი ინსბურკთან), შემდეგ პ. ბრეი- გელი მიუძვება გერმანიისაკენ მიშავალ გზას.

ცოდნის შექმნის მიზნით სხვაგან გამგზავრე- ბა მაშინ ჩვეულებრივი ამბავი, თითქმის ტრა- დიცია იყო. ეს ტრადიცია დაამკვიდრა დიუ- რერმა, რომელიც ჩრდილოეთ ხელოვანთაგან პირველი გამგზავრა იტალიაში სასწავლებლად. ბრეიგელის სურვილი უნდა ყოფილიყო, მიეზა- და თავისი მასწავლებლის — კუპისათვის. რა- თქმა უნდა, მის მიზანს არ წარმოადგენდა ან- ტიკური ხელოვნების შემკვიდრების შესწავ- ლა ანდა იტალიური რენესანსის წაბადვით ფერ- წერაში ახალი მასალისა და ფორმების ძებნა. ხაშობლოში დაბრუნებული პ. ბრეიგელი ნა- წილობრივ დიურერს მოგვაგონებს — მოგზაუ-

რობიდან თან ჩამოაქვს დიდი მონაპოვარი — კუპმარტი ბე- ოვანისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობა და დინამიკა მის ვარდა აღ- კენას ხილვამ გახსნა ახალი რამ მის ხედვაში — ბუნების აღქმის უბადლო უნარი, რამაც მის ერთ-ერთ ბიოგრაფს ატყვევებდა: „მოგზაურობის დროს ბრეიგელმა მოიხილა მთელი მთიანეთი „შთან- თქა“ და ხაზლში რჩებ დაბრუნდა. ტილოზე „ამოაფრქვიაო“. ხანშობლოში ბრეიგელი შეხვდა კაცს, რომელმაც ყველაზე უკეთ შეძლო მისი ჩანახატებისა და კომპოზიციებისაგან სპილენძის გრავიურების გაკეთება. ეს გაბლდათ პეტრო- ნიმუს კოკი, ნიდერლანდის გრაფიკის პირველი დიდი გამომცემელი. მისი საგამომცემლო მარკა „მსოფლიოს ყველა კუთხისაკენ“ — მიუთითებს ავტორის განზრახვის ხერხთაშორისო დანიშნუ- ლებაზე. კოკი თვითონ იყო იტალიაში და იტა- ლიელ და ნიდერლანდელ ხელოვანთა ორიგი- ნალების ასლები შეასრულებინა სხვადასხვა წარ- მოშობის ოსტატთა დიდ ქგუფს, რომელიც სპი- ლენძის გრავიურაზე მუშაობდა. ბრეიგელი სი- ცოცხლის ბოლომდე აწვდიდა კოკს კალმით შესრულებულ სურათებს გრავიურებისათვის. სავსებით შესაძლებელია და ბუნებრივია, რომ მან კოკისაგან მიიღო მოგზაურობამდე შეკვე- რა — უცხო და შორეული ქვეყნებიდან ჩამოე- ტანა ვედუტები, კოკს განზრახული მქონდა გა- მოეყენებინა ისინი ტოპოგრაფიული ხასიათის სპილენძის გრავიურების დასამზადებლად. მათ- გან უმნიშვნელო რაოდენობაა შემორჩენილი და გრავიურებისათვის მხოლოდ მცირედი იქნა გამოყენებული.

პ. ბრეიგელი ამ დროს უკვე ქმნიდა ფერწე- რულ სურათებს. მან ამ სფეროშიც ნაბა საქმეში ჩახედული მფარველი — ნიუნბერგელი ვაჭარი ჰანს ფრანკერტი. იგი დაქვევებოდა პ. ბრეიგელს სოფლებში მოგზაურობის დროს. ამ დროს ორი- ვე გლებურად იყო ჩაცმული და მონაწილეობას იღებდნენ ბაზრობებსა და ქორწილებში.

ჩვენთვის არაა ცნობილი ფრანკერტის როლი ბრეიგელის ცხოვრებაში — როგორც ხელოვ- ნების მოყვარული. მისი მეცენატი იყო, თუ როგორც ვაჭარი, ასრულებდა შუამავლის როლს ხელოვანსა და მყიდველს შორის.

1553 წ. ბრეიგელი გადასახლდა ბრიუსელში, სადაც იმავე წელს ცოლად თავისი მასწავლებ- ლის პიტერ კუპის ქალიშვილი შეირთო, რომ- ელსაც აღბათ მოსწავლეების დროს ქერ კი- დევ პატარა ბავშვს ხელში აყვანილს დაატა- რებდა. ბრიუსელში ბრეიგელი დებულობს შე- კვეთას მუნიციპალური მრჩევლისაგან — რამ- დენიმე ხურათზე უნდა აღნიშნოს ბრიუსელ- ანტვერპენის შესაერთებელი არხას აღდგენითი სამუშაოები. ხე უნაწერთა ერთ-ერთი ხანდო მკვლევარის ცნობით, რომლის შემოწმება დღეს

შეუძლებელია. ბრეიგელი 1684 წლის 5 სექტემბერს გარდაცვლილა და მისი ნეშტი მიუბარებიათ მიწას ბრიუსელის ეკლესიაში — Notre-Dame de la Chapelle. ბრეიგელს დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი. რომელთაც შემდგომში სახელი გაითქვეს როგორც ხელოვანებმა: პიტერ ბრეიგელ-უმცროსი, ჯოჯოხეთის ბრეიგელად წოდებული, მასალის მიხედვით მამის გზას აგრძელებს. ის ამზადებდა როგორც ასლებს მამის სურათებიდან, ასევე შექმნა მამისსავე სტილში საკუთარი და თავისებური მრავალი კომპოზიცია. უფროსი ვაჟი — ეან ბრეიგელი, ხავერდის ბრეიგელად წოდებული, მეტად გონებამაზვლი და დახვეწილი მხატვარი გახლდათ. მას ეკუთვნის მცირე ზომის ფიგურები ცხოველებისა, აგრეთვე უვადილები, პერსაჟები. ის იყო ნეგობარი და თანამოდგაწერუბუნისა, რომელსაც შეამკობინა მამის საფლავი მშვენიერი სურათით „გახადების გადაცემა წმ. პეტრესათვის“.

ჩვენს ცნობისმოყვარეობას ვერ აკმაყოფილებს ბრეიგელის ცხოვრების მოკლე ისტორიაროგორც გავიგია, ის წუნარი, დიჭი კაცი ყოფილა, სიტყვაძუნწი, უკვარდა ზუმრობა და მეგობრისა თუ შეგირდის შესაშინებლად ათასგვარ ხრიკს გამოიგონებდა ხოლმე. შეხედულება, რომ ის გლეხობიდანაა გამოსული, საფუძველს მოკლებულია, რადგან მას არაფერი არ ახასიათებს გლეხური — არც სიტლანქე, არც მიხრა-მოხრა. სურათების მიხედვით ის ნამდვილი ქალაქელია — მოდურად ჩაცმული, გრძელი, კარგად მოვლილი წვერით, კეთილშობილური, ჩაფიქრებული და უფრო მეტად მელანქოლიური ნაკეთებით, რომელთაგან მაღალი სულიერი კულტურა გამოსჰვივის. კარგად იცნობდა ცხოვრებას, ადამიანს და იცნობდა იმ დროის უველა სულიერ ან სასულიერო მიმდინარეობას. ამას კარგად მოწმობს მისი ბიოგრაფია, მეტადრე ეს შემოქმედება — უველაზე ხაიშედო წყარო მისი პიროვნების ამოხატვობად.

ბრეიგელი, ისევე როგორც მისი წინამორბედნი — დიურერი და შოლბაინი, ახალი პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელოვანია, ვინც დიდ, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში ცხოვრობდა და მოგზაურობის საშუალებით ეცნობოდა სამყაროს. მათი ხელოვნების სათავე იწყება არა მასწავლებლის და სკოლის უბრალო მითითებით, მათი შემოქმედება არც უბრალო შექამებაა წინა პერიოდების სულიერი ცხოვრებისა და ხელოვნებისა. ბრეიგელის სტილის გაგებას ვერ გავიადვილებს იმის ცოდნა, რომ ის პიტერ კუკის მოხწავლეა, მისი სტილი ჩანს მისივე სურათებიდან, ხელით ნახატებიდან ან გრაფიურებისათვის შესრულებული ორიგინალებიდან. პიტერ კუკის გაცნობისას გაცვბთ

შემოქმედის მრავალფეროვნება. განსაკუთრებით კი ხეზე შესრულებული გრაფიურები თერქული ცხოვრების სცენებით, იგივე ითქმის მის ფერწერულ და ხელით შესრულებულ სურათებზე, დიდაქტიკური თემებით გატაცებულ მხოლოდ გამოსახვის ფორმალური მხარეებისა და მის მასწავლებელ ბარენტ ვან როლდენისა, არის სტილის ზოგადი, იტალიური განვითარებისა და ნიდერლანდური ფერწერის განვითარების მომდევნო საფეხური, რომელთადაც ბრეიგელი არ უნდა იყოს დაკავშირებული. სათანადოდ უნდა შეფასდეს ის დიდი ინიციატივა, რომელსაც იჩენს ხელოვნების ნამუშთა მიმართ პიერონიმუს კუკის გამომცემლობა. აქვე აქონდა ბრეიგელს საშუალება, განეცადა ვენეციური ლანდშაფტების ჩანახატების გავლენა. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გაძლიერდა იტალიაში მოგზაურობის შემდეგ.

პიერონიმუს კუკთან სხვა შემოქმედებითი ინტერესებიც აკავშირებდა ბრეიგელს — პიერონიმუს ბოსხის ნამუშევრებით გატაცება. ბოსხი, ეჭვს გარეშეა, ბრეიგელის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი წინამორბედი. თუმცა ამ ორი ხელოვანის სულიერი ხწრაფვანი არსებითად განსხვავებულია. თემათა უმეტესობა ბოსხის შემოქმედებიდან შეორდება უმცროსი ხელოვანის ნამუშევრებში. მათ შორისაა დიდაქტიკური შინაარსის სურათები, ანდაზები, ჯოჯოხეთის მოჩვენებების გამოსახულებანი, ეშმაკი და სიკვდილი. ბოსხი და ბრეიგელი ზოგჯერ იმდენად ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ პიერონიმუს კუკის მიერ გამოცემული სპილენძის გრაფიურა ბრეიგელის ავტოგრაფით კუკს მიაჩნდა ბოსხის ნამუშევრის აღმოჩენად.

გრაფიურებისათვის დამზადებულ ორიგინალებში, რომელთაც ბრეიგელი პიერონიმუს კუკისთვის ასრულებდა იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, ბრეიგელი უბრუნდება პიერონიმუს ბოსხის ძველებურ მანერას, და განსაკუთრებულ სიახლოვეს ამყდევნებს ფანტომებისა და ჯოჯოხეთის მოჩვენებების ფანტასტიკურ გამოსახვაში. ამავე დროს მას სიახლევც შეაქვს ან სურათებში, რომელთაგან დავახებლებთ მხოლოდ წმ. ანტონის ცთუნებას, განკითხვის დღეს, კრისტე ჯოჯოხეთის შესახველეთან. ორივე შედეგი შეიღთა ცოდვითა და შვიდთა მოწყალეობათა საქმეთა სულიერთა. ეს ფურცლები არ იყო გამიზნული ფართო მასისათვის, ეს გახლდათ ღრმაზროვანი შედევრება, რომლებიც თავისი გონებამაზვილური იუმორითა და სამყაროს უკულმართობის წინააღმდეგ მიმართული სატირით გამიზნული იყო განათლების მქონეთა ვიწრო წრისათვის. რელიგიური შეხედულების თვალსაზრისით, რომელიც შენარჩუნებულია ბრეიგელთან, ისევე როგორც მის თანამედრო-

ვეებთან და რომლის გავლენითაც მას სწამს
ეშმაკისა და ქოჩონეთის არსებობა, შეუძლე-
ბელია შეშლილი ხაშყაროს მიმართ მთელი იმ
სიძულვილის გამოხატვა და მისი ისე გაკილვა,
რახაც ის იმხანურებს. სწორად აღნიშნავს კარლ
ფონ ტლნაი: „ბრეიგელს ჰქონდა სრული უფ-
ლება, ხაშყაროს დამახასიათებელი ტყუასუნ-
ტობა გადაენერგა გონებით აღვსილი ბუნების
წიალში და ამგვარად განემსჭვალა ის გრძნო-
ბით: ცხოვრების ახლებური შეფასება, ახლებუ-
რი ხედვა ბუნებისა და აღქმა ღვთისა, ბრეიგელ-
თან გაერთიანებულია ხაშყაროს ერთ ხურათში“.

რა თქმა უნდა, ბრეიგელი არ შეიძლება მივი-
ჩნიოთ ურყევ ნოვატორად, სულიერი თუ სა-
სულიერო შეხედულებანი და წარმოდგენები,
რაც მისი სულის ბუნებრივი ნაწილია, დაფუძ-
ნებულია შუასაუკუნეობრივ მრწამსზე, რომე-
ლიც სცნობს იუმორისა და სერიოზულობის ბუ-
ნებრივ თანაარსებობას და ბიბლიური თემების
შემოფარგვლის დიდაქტიკური შტრიხებით ჭერ-
კიდევ მიხტრებდა და საეკლესიო სანახაობებში,
რაც თეატრის საწყისებზე მიგვანიშნებს. ბრეი-
გელის ზოგიერთი თემა გვხვდება უკვე პანტო-
მიმებში, ბალეტებში, პროცესიებში, რომლებიც
სცენაზე ხორციელდებოდა ბურგუნდიის სამეფო
კარზე. ბრეიგელში, როგორც შექსპირში, არის
რადაც ისეთი, რაც წარსულში მეფის მახარათა
სიბრძნის ახასიათებდა. ბრეიგელისა და ბოსხის
პოპულარობის ახსნის საშუალებას ქაბხურგის
სამეფო კარზე იძლევა ის ფაქტი, რომ რაიმე
წარმატული ან ხარწმუნოებისადმი მტრულად
განწყობილი შეხედულება ორივე შემოქმედი-
ხათვის მიუღებელია.

აქამდე ჩვენ ვილაპარაკეთ მხოლოდ ბრეიგე-
ლის სულიერ ხაშყაროზე სპილენძის გრავიუ-
რებისათვის შესრულებული ორიგინალების მი-
ხედვით, რომლებიც იქმნებოდა უშუალოდ
იტალიიდან დაბრუნების შემდეგ. შემოქმედების
დასაწყისში ბრეიგელს ვიცნობთ ფანქრით შეს-
რულებული ხურათების ავტორად, ფერწერული
ხურათები კი, რომელთაც მას ხაბელი გაუთქვეს,
შესრულებული უნდა იყოს მისი საკმაოდ ხან-
მოკლე სიცოცხლის ბოლო ათწლეულში. ფერ-
წერით გატაცების პირველ პერიოდშია შესრუ-
ლებული მისი ორი დიდი ხურათი მრავალრიც-
ხოვანი გამოსახულებებით. ისინიც, ისევე რო-
გორც გრავიურებისათვის შესრულებული ხუ-
რათები, თავისი ფორმებითა და საზრისით მიე-
რონიშებს ბოსხის გავლენაზე მიგვანიშნებენ. ერთ
მათგანზე გამოსახულია მოგვთა თაყვანისცემა.
ის შესრულებულია ძალიან ნაზ ტილოზე ტე-
პერით ან წებოს ხალებავით. ხურათი მოთავსე-
ბულია ბრიუსელის მუზეუმში. არსებობს ამ ნა-
წარმოების ძალიან კარგად შესრულებული
ახლებიც. ბრეიგელის ხელი შეიცნობა კომპო-

ზიციაში, რომელიც ჭერ ისევე ძველებურის შთა-
ბეჭდილება სტოვებს, მეორე ნაწარმოები გახ-
ლავთ (შეიძლება მოგვთა თაყვანისცემაზე უფ-
რო ადრეც შექმნილი) — მეწვრილმანეთა გან-
დევნა ტაძრიდან, შემოქმედებულია ბუნ-
ნებში. ეს მეტად უჩვეულოდ დახატული
ხურათია. ხელოვანის რეალისტურად ჩამოყა-
ლიბებული აღქმის უნარს აქ საშუალება მიეცა
გამოესახა და აბსოლუტურ სრულყოფილებამდე
მიეყვანა მოგვიანო ქმნილებებში მრავალი დი-
დაქტიკური შინაარსის სცენა. ტაძრის უცნაური
არქიტექტურა, საიდანაც ქრისტე მეწვრილმანე-
ებს განდევნის, ქმნის ფანტასტიკური მომხიბვ-
ლელობის მქონე ერთ მთელს ქალაქის მცირე-
ფიგურებიან, შედარებით უფრო რეალისტურ
ხურათთან ერთად, სადაც გამოსახულია ქრის-
ტეს მიერ ჭვრის ტვირთვა. აღსანიშნავია, რომ
ორივე ტილოს ფართე ფორმატი აქვს, რაც
ძველ ნიდერლანდურ ფერწერაში არც ისე
ხშირია. იგივე ითქმის ჩვენამდე მოღწეული ხუ-
რათების თითქმის ნახევარზე. ბრეიგელის გატა-
ცება ამ ზომის ფორმატით იმდენად იყო ცნო-
ბილი, რომ XVII ს. დასაწყისში ხშირად გაი-
გონებდით გამოთქმას „ბრეიგელის ფორმატი“.
როგორც ჩანს, საქმე უნდა ეხებოდეს ჩვეულებ-
რივ ფორმატს, რომელსაც იყენებდნენ ხოლმე
პროფესიონალი მხატვრები აკვარელისათვის. ბე-
ლოვნების ამ დარგიდან მხოლოდ რამდენიმე
ნიმუშიდაა ჩვენამდე მოღწეული, მიუხედავად
იმიხა, რომ როგორც დგინდება, ნიდერლანდუ-
რი ფერწერის ხათავეებიდან XVI საუკუნემდე
იყენებდნენ აკვარელს. ნიდერლანდიის გარდა
მას მიმართავდა იტალიელი მანტენია, და გერ-
მანელი — დიურერი, რომელიც ასეთ ხურა-
თებს მონატულ ტილოებს უწოდებდა. ხატვის
ეს სახეობა უნდა გაჩენილიყო შედარებით უფ-
რო პოპულარული კედლის მოხარათვის — სამე-
ფო კარის ნახეების წარმომოხაზთან ერთად და
მისი იაფფასიანი შემცველი იქნებოდა.

ბრეიგელის დროს პროფესიონალი მხატვრე-
ბი უკვე იყენებდნენ აკვარელს შეხელში, კერ-
ტრებისა და ანტივერპენში, რომლის ნიმუშები
მხოლოდ მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი.
ბრეიგელის ხურათების თემატიკა მხატვრის აღ-
მოჩენა არ გახლავთ — ის ბრეიგელის შემოქმედე-
ბით ახპარეზე გამოხვლის დროისათვის უკვე
არსებობდა. ეს ფაქტი სრულიადაც არ ამცირებს
ბრეიგელის როლს ბელოვნებაში, რადგან საქმე
ის კი არაა, რას ხატავს კაცი, არამედ ის, თუ
როგორაა ამ საგნის სული აღქმული, ჩამოყა-
ლიბებული და გამოსახული. ღვთისმომადლე-
ბულმა გენიამ ბრეიგელი სულ სხვაგვარად გამოჰ-
ყო მის თანამედროვეთა ფონზე. ვფიქრობთ,
ბრეიგელი გამოსული იყო ჩვენს მიერ ზემოთ-
ხსენებული აკვარელით მხატვრების წრიდან.

თუ... და გამომსახველობითი მანერით
ბრეიგელის შემოქმედება სწორედ მათგან იღებს
ნათესავს. თემატიკის გარდა მათ უნდა აკავში-
რებდეს ფრთო ფორმატიც, რის შესახებაც უკვე
მოგახსენეთ და რაც მისი უველა ნამუშევრის
დამახასიათებელი ნიშანია თვით შემოქმედები-
თი სიმწიფის პერიოდშიც კი და თავისი უკვდავი
ხელოვნების წყალობით აქამდე არნახულ სტი-
ლისტურ ღირებულებას ანიჭებს. ბრეიგელის
ფიგურები სიმბრტყივია და არა პლასტიკურად
ჩაფიქრებული. პერსპექტივა ძირითადად ემუა-
რება სწორბაზობრივ ნახატს და არა კუბურ გა-
მოსახულებას. იმ დროს, როცა ბრეიგელი არ
ხატავდა, მთელ ევროპულ ფერწერაში გაბატონე-
ბული იყო შუქ-ჩრდილი და დახვეწილი ფიგუ-
რები. ბრეიგელი ნებით თუ უნებურად უკავ-
შირდება ძველ სტილს და ხანდახან ძველ ჩა-
ცმულობასაც იუენებს. მისი სიმბრტყივი სტილი
ძირითადად ემუარება კედლის ნახატებსა და მა-
თი სურათების — ტილოზე აკვარელით შეს-
რულებული სურათების სტილს.

ბრეიგელი თავისი შემოქმედების პირველ
წლებში ძირითადად ამ ძველ ტექნიკას იუენებ-
და და გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრეც
ამავე ტექნიკით შექმნა კიდევ ორი შედევრი.
ძველის გვერდით გვხვდება თანამედროვე ტექ-
ნიკა, რომელსაც ძმები ეიკებიდან მოყოლებული
„ზეთით ფერწერას“ ვუწოდებთ (ის განსხვავდება
ადრეანდელი ზეთის ხალებავებით ფერწერისა-
გან). რა თქმა უნდა, 1550 წლამდე, ვიდრე
ბრეიგელი რეგულარულად დაიწყო ნამუშე-
ვარზე თარღის აღნიშვნას, მან შექმნა მომცრო
ზომის რამდენიმე ფერწერული ტილო — ერ-
თმანეთისაგან თემატურად და გამომსახველო-
ბით პლანში მკვეთრად განსხვავებული. ამ ტი-
ლოებს აქვს საერთო ნიშანი — შემოქმედების
ორიგინალობა, უველა სურათი თავისებურადაა
დაკავშირებული იტალიაში მოგზაურობასთან, ჭერ
კიდევ იტალიაში შეასრულა ბრეიგელმა სპილოს
ძვალზე ბაბილონის კოშკის გამოსახულება. ეს
ნამუშევარი დღეს დაკარგულად ითვლება და
მასზე შთაბეჭდილებას გვიქმნის შესანიშნავი
პატარა სურათი როტრდამში ვან ბოინინგენის
კოლექციიდან. ამ სურათზე უნდა შექმნილიყო
1568 წ. ბაბილონის კოშკის შემოხსენებული მი-
ნიატურული ვარიანტი. ნამდვილ ნიდერლანდე-
ლად წარმოგვიდგება ბრეიგელი ასევე ბოლო-
ხანებში აღმოჩენილი ლანდშაფტის მიხედვით,
რომლის ფონზეც ანტონის ცთუნებაა მოცემუ-
ლი. თემა უკვე ძველ ნიდერლანდურ ფერწერა-
შია ცნობილი და ბრეიგელამდე არცთუ ისე დი-
დი ხნით ადრე უველაზე სრულყოფილადაა და-
მუშავებული ბოსხის ხაკურთხევლის მონატუ-
ლობაში. ეს ნამუშევარი ამჟამად ლინახონის მუ-
ზეუმში ინახება. ამ თემის სხვაგვარ დამუშავე-

ბას ვხედავთ ბრეიგელთან გრავიურისთვის გამ-
ზადებულ ორიგინალში. ბუნების მშვენიერებას,
რომელსაც ქმნის ტყის, კლდეებისა და ზღვის
ხედი, უპირისპირდება ტანჯვა, რაც უნდა მი-
წიერ ცხოვრებაში, მართლმორწმუნე წმინ-
დანსაც. ლანდშაფტის ფონზე ნახატებულია მრავ-
ვალი ფანტასტიკური სცენა და შემოსილია პარ-
ჭერაა გამოსახული — მწიროს გამოქვაბულში და
ზეცად — დემონური არსებების მიერ ნაწამები.

შემოქმედებითი გზის იმ პერიოდის შემდეგ,
რომელიც რვა წელიწადს მოიცავს (1551-1558),
დგება შედევრების ბანა — 1558 წლიდან ხე-
ლოვანის გარდაცვალებამდე, ე. ი. მთელი ათ-
წლეული. ამ პერიოდში შექმნილი სურათები ხა-
სიათდება საოცარი სრულყოფილებითა და მიმ-
ზიდველობით. თითქმის თანაბარია მათი მხატვ-
რული ღირებულებაც. მათში შეიმჩნევა წინ-
სვლა, მაგრამ ეს პროგრესი არაა. პალიტრა
მოიცავს მძიმე, მუქ ფერებს, სურათის შეფე-
რილობა კრელია, შედარებით მკვეთრი, თან-
დათანობით ნათდება და წმინდა ფერების გვერ-
დით უპირატესობა ეძლევა ნაწ შერეულ ტო-
ნებს. კომპოზიცია სათავეს იღებს მოგვიანო პე-
რიოდის მოტივიდან, თანდათანობით მარტივ-
დება და ბოლოს თხრობისა და ბუნების სურა-
თის აბსოლუტური ერთიანობა იქმნება. პერს-
პექტივა თავიდანვე სრულყოფილი და ნათე-
ლია, მოგვიანებით — ნაკლებად გამოკვეთილი
და ბოლოს კი შეუმჩნეველი საშუალებებით აღ-
წევს ბუნებრივობას. ადრეული ნამუშევრებისა-
გან განსხვავებით, სადაც გამოსახულებითი პლა-
ნი ნაკლებად გააზრებული და ზედაპირულია,
ბოლო პერიოდის ნამუშევრები უნდა ემუარე-
ბოდეს ბუნების საფუძვლიან შესწავლას. მკვეთ-
რი განსხვავებაა ჩვეულებრივ მოუქნელ ფიგუ-
რებსა და წმინდანების სწორედაც რომ ტანწერ-
წეტა, დახვეწილ გამოსახულებებს შორის. რაც
შეეხება ტექნიკას, უპირატესობა ენიჭება ჩვენს
მიერ ზევით აღნიშნულ ზეთით მხატვრობას,
თუმცა მოგვიანებით გვხვდება ტემპერით ტი-
ლოზე შესრულებული სურათებიც. ამ უკანას-
კნელთაგან, საბედნიეროდ, ორი მთავარი ნამუ-
შევარია შემორჩენილი, რომლებიც ნეაპოლის
მუზეუმში იმყოფება.

თუ თვალს მივადევნებთ თხრობის მანერას,
ბრეიგელის მთელ რიგ სურათებში მხატვრის
შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდიდან უპირვე-
ლესად შეიმჩნევა განსხვავება. მათი წინარე ნი-
დერლანდური ფერწერისაგან. ბრეიგელის თხრო-
ბის მანერა სრულიად განსხვავდება გარდასულ
დიდ ხელოვანთაგან. ის ერთნაირადაა დასორე-
ბული როგორც წინამორბედ დიდ ხელოვანთა
ზიარებისა და სიმშვიდისაგან უზენაესისადმი
ღრმა მოწიწებით. ასევე შემდეგი თაობების შე-
მოქმედებისაგან, რომელნიც ისწრაფვოდნენ

„ტალიური“ ფორმების გარეგნული და სხარტი მოძრაობისაკენ.

და მაინც რაღაც ხაერთო აქვს მათთან ბრეიგელს — პირველთან ბუნების სიუვარული და ერთგულდება, მეორესთან — სურათის კომპოზიციის შედარებით მდიდარი დინამიურობა. ბრეიგელი ერთმანეთს უთავებს რეალისტურსა და იდეალისტურ სტილებს. მის იდეალურ პერსონაჟებს ემჩნევა იტალიური ხელოვნების შედეგების გავლენა. თბრობაში გაერთიანებულია არა მარტო ის, რამაც წინა ხაუკუნიდან მოაღწია გადმოცემით, არამედ მხატვარმა შეიტვისა თავისი დროის სულიერი მიმდინარეობებიც. მისი შემოქმედების საშუალებით თვალწინ წარმოგიდგებათ მთელი სამყარო — არა ისეთი, როგორც ის ხასურველია იყოს, არამედ იმ ხაზით — როგორც ის სინამდვილეშია. ბრეიგელი უფრო მეტს გამოხატავს, ვიდრე გვიამბობს. ის ახდენს მხოლოდ ფაქტის კონსტატირებას და განაჩენი არ გამოაქვს. ის კრიტიკის გარეშე ახაზავს მხატვრის შეუდარებელი თვალით დაინახულ რეალობას უოველგვარი გადახვევის გარეშე, არასოდეს იძლევა დარიგებებს და სიტყვა „დიდაქტიკურიც“ სრულიად არ შეესაბამება მის ნაწარმოებებს. ბრეიგელს არ ახასიათებს ვინმეს გაკილვა — ის მხოლოდ დემკირვებლის ქოლშია და გვერდს არ უვლის ცხოვრებისეული გრძობების გამოვლენას — ტკივილს, კამათს, სიხაზარულს, მზიარულებას. თვითონ ის არც ტირის, არც კამათობს, არც იცინის, მხოლოდ ჩუმი, ნაღვლიანი ღიმილი თუ გაუვლის ტუჩებზე. ალბათ არ სცდებოდა ს. ვ. სომერსეტ მოემი, როცა ერთ-ერთ რომანში ბრეიგელის შესახებ ამბობს: „ის თავის თანამედროვეებს გროტესკულად უყურებდა და ბრაზობდა მათზე, გროტესკულნი რომ იყვნენ. ცხოვრება ქაოსია, სადაც სასაცილო, უმნიშვნელო მოვლენების კორიანტელია, რაც სიცოცხლის ნამდვილ მიზეზს წარმოადგენს. ბრეიგელს ისიც ადარდებდა, რომ უნდა გაეღიმა“. თუ მის სურათებზე რელიგიური სიუჟეტებია ახაზული. ეს იმიტომ, რომ ბრეიგელი ჩვენთვის ცხოვრების სურათებს ქმნის და ეს ცხოვრება მისი თანამედროვეობაა. მისი თანამედროვეები, ჩვეულებრივ სამოსელში გამოწყობილნი, თუ მოქმედი პირებისა არა, მაყურებლის როლში მაინც გამოდიან. სურათზე ბევრი ნაღვი უნდა იყოს გამოსახული, რადგან ეს მხატვარს უუვარს. ამ გატაცებასაც თავისი წინამორბედი აყავს — ვან ეიკების დროინდელი ძველნიდერლანდური ხელოვნებისთვის ნიშნულია მრავალფეროვანი გამოსახულებები ქრისტეს მიერ ჭვრის ტვირთვისას. ბრეიგელის შემოქმედებით ახარეზზე გამოსვლამდე ცოტახნით ადრე ხალხის თავურილობისა და გროვის გამოყენებით რამდენიმე სცენას ქმნიან უფლის

ვნებანის შესახებ ისეთი მხატვრები, როგორც ვან იან ანსტელი — მოლანდელი ფოლტბული, რომელიც, ვფიქრობთ, შევიცინით, ბრაუნშვაიგელ მონოგრამისტებს შორის იან ვან ბემესენი, პ. მ. დებლესი, პიტერ ელსტენი, რომლებმაც სურათებზე გამოსახულებების რეალისტრობას ასუსტებს რომანტიკული ან იტალიური ხელოვნების გავლენის ქვეშ მყოფი გამოსახვის ფორმალური მხარე ცალკეულ პერსონაჟში, ბრეიგელს ბიბლიური მოვლენები სრული რეალობის დონეზე აყავს და ანიჭებს მათ შეუდარებელ სიცოცხლეს. რაც მხოლოდ მის სრულ დამსახურებას წარმოადგენს. ბრეიგელის ხელოვნების შემდეგი ნიშანი გაბლავთ ძირითადი სათქმელის გადატანა და მიმალვა ხედვის ცენტრიდან, რათაც ამ უკანასკნელის აქცენტირება ხდება. ეს დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა გამოგამოსახულებითი მხარე თბრობაზე დომინირებს, ვნახეთ ბრეიგელის ადრეულ, მითოლოგიური შინაარხის მქონე სურათში „იკაროსის ჩამოვარდნა“.

ბრეიგელის ჩვევა — სურათის ძირითადი თემა მისი გარემომცველი ხალხის გროვაში მიმალვს, შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგს: სამყაროს, რომელიც მას უკუღმა პირიდან აქვს წარმოდგენილი, არ შეუძლია უვლავზე მნიშვნელოვანის მნიშვნელოვნად აღქმაც კი. ეს ცალმხრივი პოზიცია, რა თქნა უნდა, უვლავს არ დომინირებს. ზოგი თემის დამუშავების დროს მხატვარი სულ ახალ-ახალ პრობლემებს წამოჭრის ხოლმე. მოგვთა თავიანისცემა, რომელიც ბრეიგელმა ადრეულ, ტემპერით შესრულებულ სურათზე უამრავი ფიგურით მოაჩარჩოვა როგორც ზოგადი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენა, მეორე შემთხვევაში უფრო მარტივად და მრავლისმეტყველად დამუშავა მაღალი ფორმატის ტილოზე. სურათზე ცენტრალური ფიგურების ჩგუფი — თავიანისმცემელი აღმოსავლელი ბრძენები, ისევე როგორც მარიაში, წინა პლანზეა გამოკვეთილი მეტად მოხდენილი აგებულების საშუალებით, რომლებიც იდეალური ფიგურები, გამოსახულების არსი სინამდვილეში სულ სხვა რამეშია მოცემული — დამსწრეთა გონებანაღვნილობითა და მიუხვედრელობით აღბეჭდილ გოცებაში, რომელთაგან ერთ-ერთი წმინდა იოსებს ცაოცებული ჩასჩურჩულებს უურში მისთვის გაურკვეველ სიტყვებს, გაგონილს თავიანისცემის დროს. ნებისე შემთხვევაში სულ სხვაგვარადაა წარმოდგენილი იგივე სიუჟეტი. მოქმედება ხდება თოვლში. ის, რასაც დღეს ანაქრონიზმს უწოდებდნენ, ბრეიგელს არა მარტო არ უშლის ხელს ბიბლიური მოვლენების გამოსახვაში, არამედ წარმოადგენს მხატვრული გამოსახვის მის ხაკუთარ, ბუნებრივ ხერხს. ბრეი-

გელი წარმოგვიდგენს ქრისტეს მიერ ჯვრის ტვირთს — როგორც სიკვდილით დასჯას, მადლეს მოქცევას — როგორც სამხედრო ლაშქრობას აღპებზე ისე, როგორც ეს ბრევიგელის დროს იყო მიღებული. ბრევიგელმა კიდევ ერთი პროგრესული ნაბიჯი გადადგა სხვა ბიბლიური სცენების გათანამედროვეებითა და მათთვის სულის შთაბერებით — შობამდე ან მის შემდეგ მომხდარი მოვლენები გამოსახა მშობლიური ზამთრის პერიოდის ფონზე ამას მხატვარი აკეთებს ბუნებრივად და დამაჯერებლად. ასევე გადააქვს ბრევიგელს სურათზე ნაღის აღწერა ბეთლემში და ჩვილთა გაწყვეტა ბეთლემში ნიდერლანდური სოფლის ლანდშაფტზე ზამთრის პერიოდში — თოვლისა და უინვაში, ბოლო თაყვანისცემის შემოსაღნიშნულ სურათზე ვხვდებით სიახლეს — სიხარულის მომგვრელ ქარბუქს. წმინდა იოანის გაქცევის თემიდან ბრევიგელი ქმნის მომხიბვლელ ვრცელ ლანდშაფტს, რამაც უნდა განახლებდეს ნანატრი ეგვიპტე, საითაც წინა პლანზე გამოსახული იოსები მიიქარის სახედარზე მჯდომი მარიაშისა და ჩვილის თანლებით. თუ ბრევიგელის თხრობის მანერაში, რომელსაც არ ახასიათებს ფორმის ერთფეროვნება, თითქმის ყველა რელიგიურ და ისტორიულ სურათზე ქარბობს აღწერილობითი, განვრცობითი და დიდაქტიკური ელემენტები. აქა-იქ ვხვდებით შეკრული ფორმის კომპოზიციას, შემოთხენებული სურათის — მოგვთა თაყვანისცემის გვერდით, რომელიც მაღალ ფორმატზეა შესრულებული, უნდა დავასახელოთ პატარა ზომის ნაკრისფერებში შესრულებული სურათი — მარიანის მიცვალება. სადაც გამოსახულების არსი — მომავლადი მარადქალწულის სარტყელი განუთავსებული, თუმცა აქამდე არნახული ბინდებუნდის საშუალებით იმდენად თვალში საცემია, რომ მის გვერდით ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა დიდაქტიკურ ელემენტებს, როგორცაა კირისუფალთა დიდი რაოდენობა — თორმეტი მოციქულის ტრადიციულ რიცხვზე ბევრად მეტი და ბუნხართან წამინებული იოანე. ბრევიგელს, ჩანს, ასეთი რამდენიმე გრაზილიური სურათი უნდა აქონდეს შექმნილი, რამდენიც სააღმშენებლის გრავიურებისთვის იყო გამოიწეული.

ბრევიგელის პერიოდის ხულიერ შეხედულებებს მიეკუთვნება წარმოდგენები ქოქობებზე, ეშმაკსა და სიკვდილზე — ერთგვარი კომპოზიცია ან ქვეყნის უკუღმა პირზე წარმოდგენა. ამ თვალსაზრისით ბრევიგელის წინამორბედი გახლავთ მიერონიმუს ბოხბი, რომლის მიხედვითაც ეს ობიექტები, რა თქმა უნდა, უფრო ფანტასტიკური, დიდაქტიკური და არარეალურია. ვიდრე ბრევიგელთან. ბრევიგელი მათ ისე ასახავს როგორც ისინი არიან ან შესაძლებელია იყვნენ და არა ისე, როგორც უნდა იყვნენ. სურათი

„სიკვდილის ტრიუმფი“ ბედისწერის უღმობელ ძალაზე მოგვითხრობს, რომელიც თანაბრად ეუფლება დიდთა და მცირეთ. ის სახანავად შემზარავია, მაგრამ თავისთავად უსუსო და გამოსახულია მრავალრიცხოვანი ჩონჩხის საშუალებით, რომლებიც გაფანტულანდშია და ლანდშაფტზე და სიკვდილით უკვე მოქცეულნი არიან.

ანდაზებისა და ბიბლიური გამონათქვამების გამოსახვისადმი მიდრეკილებითაც ბრევიგელი ბოხბს აგავს მიუხედავად იმისა, რომ ბრევიგელისათვის უცხოა მორალის წაქოხვის ტენდენცია, რადგან ყველაფერს აღიქვამს იმ სახით, როგორც ის მოცემულია: სურათის თემის ძიებისას ბრევიგელი მაინც უპირატესობას ანიჭებს ანდაზურ გამონათქვამებს, რომელთა ძირითადი ნიშანი ბენიმიზმია.

ასე ერთიანებს ბრევიგელი ანდაზურ სიუჟეტზე შექმნილ სურათში, ერთგვარი შილდბიურგერული სოფლის ჩარჩოებში ასეულ დანაწევრებულ, დაფანტულ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სცენას. ისინი შედმიწევნით ზუსტად გადმოსცემენ ათასგვარ ანდაზურ ნათქვამს და მთლიანობაში იძლევიან სამყაროს ნამდვილ სურათს უკუღმა პირიდან, როგორადაც მას მხატვარი აღიქვამდა — ღიბილის მომგვრელს, მხიარულს, ერთის მხრივ, და საწყენსა და ნაღვლიანს მეორეს მხრივ. ვიღაცემ ცრებნერმა ერთგან ლიტერატურული პარალელი გააყოლო რაბლეს პანტაგრუელსა და ბრევიგელის სურათს ზორის — დედოფალ კვინტე ესენცეს სასახლის კარზე წარმოდგენის სახით უჩვენებს ანდაზური ნათქვამები. მიუხედავად ამ გამონათქვამებისა და თითოეული ლანდშაფტისა, მათი საზრისი საკმაოდ განსხვავებულადაა გაგებული ამ ორ შემთხვევაში — ავტორი ზუსტად არ მიხუვება გამონათქვამის ტექსტს (ზოგ მათგანს, სხვათაშორის — პირდაპირი მნიშვნელობით და ზუსტად იყენებს გარჯანტიუაში). რასაკვირველია, აქვე გვხვდება ავტორისეული გამონათქვამებიც და ადამიანური უოფის აზაოება ხაზგახმითაა ნაჩვენები. ბრევიგელთან შენარჩუნებულა ამ გამონათქვამების სიზუსტე ისე, რომ ადგილი არა აქვს რაიმე ავტორისეულ დამატებას და მათ მიხედვით იქმნება სამყაროს შესილილი, შებრუნებული სურათი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზებით გატაცებას ვხედავთ არა მარტო ხალხურ ეპიგრამებსა და სიტყვიერებაში საერთოდ, არამედ XVI ს. თითქმის ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებში. ეს გატაცება იმდენად დიდია, რომ სერვანტესთან დონ კიხოტი კაცხავს სანჩო პანსას ბევრი ანდაზის გამოყენების გამო, რადგან გადამეტებით ხმარება აუბრალოებს და ღირებულებას უკარგავს მათ. ბრევიგელს კი ეს გატაცება სიცოცხლის ბოლომდე

მიმდინარეობის წარმომადგენელს.

თუ პატერ ერსტენი თავის სურათებზე გლუ-
ხების ფიგურებს ისე განალაგებს, რომ მათ სურ-
ათების დამთვალეობებელს უფრო უკავში-
რებს ვიდრე ერთმანეთს. ბრეიგელი განაგრ-
ძობს კედლის ნახების შედარებით ძველი ხე-
ლოვნების ტრადიციას — გარდა ფორმების
სიმბოლური ჩამოყალიბებისა, რაც უკვე აღვნიშ-
ნეთ. ბრეიგელის სურათებზე ისეა გამოხატული
გლუხები, თითქოს ვერც ვრძობენ, ვინმე თუ
უყურებს. ისინი ერთმანეთთან ერთად და ერთმა-
ნეთში ცხოვრების საფიქრალს მიხედავენ. ბრეი-
გელი, როგორც ჩანს, ემყარება ამ შემთხვევაში
კედლის ნახების ძველ ხელოვნებას და მათ სურ-
ათებს, ტილოზე აკვარელის საღებავებით ხა-
ტვას. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ
გლუხური ცხოვრების უველაზე ადრეულ გამო-
ხატულებებს შორის გვხვდება ტემბერით შეს-
რულებული. ბრეიგელის უველაზე ადრეულ მრავ-
ალფიგურული სურათებზე, სადაც გლუხების
ქორწილია გამოხატული, მხატვარი ჯერ კიდევ
ვერ აღწევს ცხოვრების ან ბუნების გამოსახვის
ნამდვილ რეალურობას, რაც მის მიერ მოგვი-
აჩვენებს შექმნილი გლუხების სახეებშია გადმო-
ცემული. ცალკეული სახე და ფიგურა, გამო-
მეტყველებანი და შესტები ჯერ კიდევ არ უჩვენ-
ებენ იმ ინდივიდუალობასა და რეალიზმს,
როგორც ეს მისი შემოქმედებითი სიმწიფის ხა-
ნაში გვხვდება. ფერწერაში ხელოვნების პირვე-
ლი ნიმუშების შექმნის თანადროულად, დაახ-
ლოებით 1550 წ., ბრეიგელი იწყებს ნატურიდან
ხატვაში ზედმეწივნით ღრმა და დაბეჭითებით
მუშაობას. ის კალმით იხატავს გლუხი ქალებისა
და კაცების სხვადასხვა ტიპს. იმავე ფურცელზე
ხუხტადაა მინიშნებული ფერები, ტანსაცმელი
და მონაცემები, რომლებიც მხოლოდ ავტორი-
ბაჟის იჭნებოდა მნიშვნელოვანი. უმეტეს შემ-
თხვევაში სურათზე აღნიშნულია, რომ ის შეს-
რულებულია ნატურიდან. ძნელია თქმა, ბრეი-
გელი სოფლად სვდებოდა თავის მოდელებს თუ
სახელოსნოში ხატავდა მათ. პირველი ვარაუ-
დი, ვფიქრობთ, უფრო ახლოს უნდა იყოს სი-
ნამდვილეობას. უკვე შემთხვევაში ეს სურათ-
ები, რომელთაც სრულიად სამართლიანად მოი-
პოვებს დიდება, არ წარმოადგენენ შემთხვევით,
ზედაპირულ ჩანაბატებს, არამედ საქმე გვაქვს
ძირფესვიანად, მეთოდურად შესრულებულ ნა-
მუშევრებთან, სადაც ნატურისადმი ერთგულებას
და მოწიწებას თითქმის მხოლოდ ეთნოგრაფის
პეცნიერული სიზუსტე შეედრება, მონაცემები
ფერების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ხელით
შესრულებულ ნახატებზე გვხვდება, მეტწილად
იმავე მიუთითებენ, რომ მათი გამოყენებით უნ-
და შეიქმნას სურათი. ისინი გვაგონებენ იან ვან
ციკისა და მოლბაინის ჩანაბატებს ქორტრეტები-

ხათვის, ბრეიგელს ამ შემთხვევაში სრულიად სხვა
განზრახვა აქვს — მას სურს გლუხური ბუნების
გამოვლინებიდან უველაზე განსაკუთრებით —
მათ შორის ეროვნული ტანსაცმლის ფერები და
მოცემული სახით მათი გამოყენება თავის სურათ-
ებში არ აქვს დაგეგმვა და დაგეგმვა, თუ
მხედველობაში არ მივხვდებით ქორტრეტს და უმ-
ნიშვნელო გამოჩენის, ბრეიგელის ჩვენამდე
შემორჩენილი სურათებიდან ვერცერთში ვერ
ვხვებით, ასეთ ჩანაბატს. მხატვრის სურვილი ამ
შემთხვევაში სრულიად უჩვეულოა, მაგრამ არა
მიუწვდომელი ასახსნელად: აღნიშნულ ესკიზებს
თავისი სამსახური უნდა გაეწია მხატვრისათვის
სოფლის მცხოვრებთა, მათი ტიპების, ტანსაცმ-
ლის, მიხრა-მოხვრის, ყოფის ცოდნასა და წვდო-
მაში.

გლუხთა სურათების შედევრების შექმნა ბრეი-
გელმა შეძლო მხოლოდ სოფლის მცხოვრებთა
ზუსტი ცოდნისა და ღრმა წვდომის საშუალებ-
ებით, რომელიც მან ესკიზების წყალობით მიიღო
და გამოიყენა ისე თავისუფლად, რომ კონკრეტ-
ულად რომელიმე მათგანზე არ ყოფილა მიჯა-
ჭვული. ამავე დროს ბრეიგელმა იცოდა, ნანახი-
დან გამომდინარე, ფიგურების ხელსაყრელი კომ-
ბინაციებისა და მოძრაობების შერჩევა წარმო-
სახვის საშუალებით.

საკორწილო ცეკვის მდიდარი, ათასგვარი მოძ-
რაობების გამომხატველი კომბინაცია, ალბათ,
შესრულებულია წარსულში მოხამწადებელი სა-
ფეხურების გავლის შემდეგ, რაც ჩანს ამ დროს
ტემბერით ტილოზე შექმნილი ამჟამად არსებუ-
ლი ასლებიდან. მათში ცალკეული მოტივი გა-
მოსახვის ერთიან დასრულებულ ეფექტს ვერ
აღწევს. აღნიშნულ სურათზე დიდი ოხტატობი-
თაა გადმოცემული პირამიდულად შეკრული და
უკანა პლანის ცენტრისაკენ მიმავალი ხალების
ჩვეულების გადაადგილება, მოცუვაზე წვეილებსა
და მათ ირგვლივ შემოკრებილ მოლაუბეთა და
მოაღერსეთა მიმოსვლა, რაც ამგვარ დღესას-
წაულს სჩვევია. არანაკლებ მიმზიდველია სოფ-
ლის ქორწილის პროცენია — ლამაზი, მომხი-
ბველ ფერთა გამის სურათი, რომლის ბევრი
ასლიც არსებობს. სურათზე ნეფედელოფლის
მხლებელთა ორი პროცენიაა. ისინი ერთმანეთის
გვერდით ვრცელი ლანდშაფტის ფონზე მიემარ-
თებიან ბუების ჩრდილს შეფარებული სოფლის
პატარა ეკლესიისაკენ. უფრო ძლიერად და მარ-
თლაც მომაჯადოებლად წარმოგვიდგება გლუხუ-
რი ცხოვრების აღწერა სურათში, რომელიც ხე-
ლოვანის ერთ-ერთ გვიან და სრულყოფილ ქმნი-
ლებათაგანია. სურათზე „გლუხური ცეკვა“ შე-
დარებით ნაკლები რაოდენობითაა ფიგურები.
წინა პლანზე მოცემული გამოხატულებები სო-
მით მოდიდოა და მოძრაობები, მიუხედავად
სიტუაციისა, მსუბუქი და თავისუფალია. ტი-

გაქვია. მისი გავლენით შექმნილია ბევრი პატარა სურათი.

ჩიტის ბუდეზე ნათქვამი ანდაზაა გამოსახული სურათზე. ხადაც გვაოცებს უკანა პლანი — ხოფლის პეიზაჟი. სურათზე უგუნური, რომელიც გვაჩვენებს ჩაუფლის კვერცხებიან ჩიტის ბუდეს ისე, რომ კვერცხებს ხელს არ ახლებს. სხვა, შეტად მიმზიდველ სურათზე მოცემულ ბუნებას მზე დამნათის და ხიზარულს მფენს-საბრჩობელისკენ მიმავალ გზას, სადაამდე მისვლა ცეკვა-თამაშითაც შეუძლებელია. მეოთხე სურათზე გამზავებული ზღვაა, შესრულებული უჩვეულოდ ფართე ფუნჯითა და ზედ ბლომად წახმული ხალებავით. სურათზე ვეშაპი ეთამაშება კასრს ნაცვლად იმისა, რომ გემს გაედევნოს. ვეშაპი უნდა განასახიერებდეს ადამიანს, რომელიც უმნიშვნელო საქმეთა გამო თავის ქვეშაობა კეთილდღეობას უვლის გვერდს. სამყაროსთან დაკავშირებულ თემათა წრეს ეკუთვნის ერთადერთი გამოსახულება, რომელიც ბრეიგელმა ხალხური ზღაპრის თემაზე შექმნა — „ნეტარების ქვეყანა“. მრგვალი მაგიდის ცენტრის გარშემო საგანთა არაბუნებრივი დაჯგუფებით შექმნილი კომპოზიცია მიანიშნებს სიწარმაცისა და სიამისადმი ლტოლვის ერთიანობაზე და ზღაპრული პოეზიის საბურველში მოსავს მათ. შეტი დიდება მოუტანა მხატვარს ბიბლიური ნათქვამების გამოსახულებებში. ამ შემთხვევაშიც ბრეიგელისა და ბოსხის თემატურ ნათესაობასთან გვაქვს საქმე. ასეთ გამონათქვამებზეა აგებული ორი ცნობილი სურათი, — რომელიც ბრეიგელმა მოღვაწეობის ბოლო ხანებში შექმნა. ორივე შემთხვევაში ფიგურები დიაგონალურად გამოიკვეთებიან სურათზე და იწვევენ უდიდეს გაოცებას. ერთ სურათზეა ორგულე მწყემსი, რომელმაც, მგლის თავდასხმით შეშინებულმა, მისთვის მინდობილი ცხვრის ფარა ბედის ანაბარად მიატოვა. ის მირბის გრძელ, გვალვით დახეთქილ გზაზე. სურათის მნახველისაკენ. მეორე სურათზეა ანდაზური ნათქვამის სიუჟეტი ბრმების შესახებ. ექვსი ბრმა ქოხებით ქაჭვივით გადაბმია ერთმანეთს. სურათი ნაწი, შერეული ფერებითაა შესრულებული. ბრმები, რომელთა სახეზე გულგრილობაა აღბეჭდილი, ხედისწერასაულოლნი, მიიწვევენ თხრილში ჩახაცვენად. მათგან რიგით პირველი უკვე ემსხვერპლა ბედისწერას. ამ შემთხვევაში ძირითადად ალფგორიები გვაქვს, რომელთა აზრი სახარებაშია მოცემული. სურათზე კი ეს გამონათქვამი ისეთ სიმძაფრეს იძენს, რაც სახვით ხელოვნებაში არც მანამდე და არც შემდეგ არ გვხვდება. ალფგორიის არსებითად განსხვავებულ, საერო და არასაეკლესიო ფორმას ამუშავებს ბრეიგელი ბევრად უფრო ადრე შექმნილ სურათში — „კარნავალისა და მარხვის კიდილი“. აქ ავტორი მხატვრული თვალსაზრისით

სრულიად თავისებურად ამუშავებს ამავე თემაზე შექმნილ უფრო ადრეულ გამოსახულებებს და გვევლინება როგორც იმ დროისა და ადგილის მიმდევარი ძველ ფრანგულ უარსებში. სურათზე რაღაც აგებული მთავარ სცენაზე, ნავალინა და ცარიელ ქუჩებზე მარხვის კიდილს გარს აქვს შემოვლებული ათასგვარი სახალხო ხეცა, რაც არაერთგვარს გვხვდება თითქმის იმავე დროს ანდაზებზე შექმნილ სურათებში. რომელთა თემაც არაბოდეხ ასე დაწვრილებით და ზუსტად არ ეოფილა დამუშავებული აქამდე. სურათზე „ნათქვამთამაშობანი“ — გამოსახულია ანაღაზრდობის წლები. ის მიანიშნებს მხატვრის ხიუვარულზე ბავშვებისადმი.

ბრეიგელი თავის სურათებზე იძლევა ადამიანის ფიგურას — როგორც იდეალურს, ასევე ხეიბრებსა და უსინათლოებს. მისი შემოკმედეგება ამახ გარდა სხვა — მხატვრის საკუთარ ხფერობაც მოიცავს, რომელიც თავისი დანიშნულებით პირველს ვერ უტოლდება — ის გამოიღონარეობს ბრეიგელის მეტახედიდან „გლეხების ბრეიგელი“. მასთანაა დაკავშირებული ბრეიგელის რამდენიმე საუკეთესო ნამუშევარი. დიდაქტიკური ტილო და გლეხური სცენები. აქ ბრეიგელი აღარაა მთხრობელის როლში, იგი მხოლოდ აღმწერად წარმოგვიდგება. გლეხების ხატვა იმდროინდელ ფერწერაში სიამლე აღარ იყო. გლეხი გამოსახული იყო დიურერიისა და ლუკას ვან ლაიდენის გრავიურებზე. ნამდვილი სოფლური ცხოვრების გამოსახვა უფრო განსხვავებულად ხდება, ვიდრე ცალკეული ფიგურისა. დაინტერესება გლეხით ქალაქელის. ამ შემთხვევაში ბრეიგელისა, უნდა გამოეწვიოს სასახლის კარზე ფიურსტების ნამბობს სოფლად გატარებულ დროზე. XV საუკუნეში მხატვრულ და ლიტერატურულ წრეებში ადგილი ეკონდა გლეხური ყოფით დაინტერესებას.

XV ს. შუაზანებიდან მოკლე დროში იქმნება მთელი რიგი მხატვრული ნაწარმოებები ხახხლის კარისათვის, რომლებიც უფრო ჰგავს ბრეიგელის ნამუშევრებს, ვიდრე მისი თანამედროვეობისას. მხედველობაში გვაქვს ნიდერლანდური ბურგუნდიის სასახლის კარზე შექმნილი ადელის ნოხები, რომლებზეც შეშისმჭრელი გლეხებია გამოსახული. მათზე გამოსახულია გლეხის დახშულ ინსტინქტებზე აგებული არსებობა და შრომა: მხატვარი მათ ასახავს ისე უშუალოდ, რომ სურათის დამთვალიერებელს აღარ ეწყის ანგარიშს. ბრეიგელის შემოკმედეგა უფრო ანლონაა ამ რეალისტურ მხატვრობასთან. ვიდრე მის თანამედროვეთა ნამუშევრებთან. მათგან დავასახელებთ პიტერ ერსტენს, რომელიც ჯერ კიდევ ბრეიგელის გამოჩენამდე ხატავდა გლეხებს. და თვით ფრანც ფლორისს — სრულიად სხვა

ბეზი და ეესტიკულაცია უმეტესად სახასიათოა, ფიგურების დაჯგუფება, უმნიშვნელო პერსპექტივის მიუხედავად იმდენად ნათელია, რომ ცხოვრების, სიცოცხლის სრული შთაბეჭდილება იქმნება.

როგორც ჩანს, ცხოვრების ბოლო წლებში ბრეიგელმა სოფლური უოფის მხიარულებას დაუპირისპირა ტანჯვის გამოსახვა. ამ დახკვნის ვაკეთების უფლებას გვაძლევს მისი რამდენიმე კომპოზიცია, ჩვენამდე მოღწეული მხატვრის ვაჟების ხელით შესრულებული ასლების სახით. აქაც ისევ როგორც ბრემბთან დაკავშირებულ ანდაზურ ნათქვამზე შექმნილ სურათზე, ბრეიგელი აღარ გვევლინება მშვიდი, ფიქრით მოცული დამკვირვებლის როლში. მას დრამატული სიმბინევე დაუფლებია, რაც მისი მიმღევრისა და შემდეგი პერიოდის წარმომადგენლამდე, — რუბენსამდე, თითქმის უცნობია ხელოვნებაში და ვხვდებით ისეთ სურათზე, როგორცაა „გაცხარებული კამათი“ — წამოჭრილი კარტის მოთამაშე გლეხებს შორის. მეორე სურათზე მოცემულია სახლისაკენ წელა მიმავალ გლეხებზე ქარისკაცების თავდასხმა. აქ მხატვარი გადმოსცემს ძლიერ სულიერ განცდებს მძვინვარებისა და შიშის დროს ისე, როგორც ეს მანამდე არც ერთ მხატვართან არ გვხვდება. ბრეიგელი არც ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეებისადმი გულგრილი ხეიბრებს, რომლებიც მის ზოგიერთ სურათზე გვხვდებიან, ეძღვნებათ რამდენიმე განსაკუთრებით მაღალი დონის ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ ბრეიგელი ნატურას აბსოლუტურად ამოწურავს, ის არაა ბუნების გადამხატი და „ნატურალისტი“ — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ის თავისი სურათების მოდლებს გარესამყაროში კი არ ეძებს, ისინი მხატვარშივე არიან. ბრეიგელმა ზეპირად იცის მათი სახის გამომეტყველება, ეესტები და მოძრაობები, იგი მოღბერტის წინ არასოდეს არ აუენებს ბუნების ცოცხალ ნიმუშს. ის რომ მხოლოდ და მხოლოდ პორტრეტებზე მუშაობს, მისი შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია და არა შემთხვევითი მოვლენა. ბრეიგელის დიდი სურათებიდან მხოლოდ ორზე გვაქვს აშკარა პორტრეტი, ერთი გახლავთ „იოანეს ქადაგება“ — ქალაქელის სურათი, რომელიც ხელისგულზე ამკითხავებინებს ბოშას, და მეორე „გლეხური ქორწილი“ — მამასახლისის ან მოსამართლის პორტრეტი, რომელიც სტუმრებს შორის მოსჩანს. ამ სურათებზე დაკვირვება ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბრეიგელი, როგორც პორტრეტისტი თავისი მანერით უახლოვდება თავისი თანამედროვე ხელოვანის ანტონ შორის ხელოვნებას.

ერთნაირია მხატვრის დამოკიდებულება როგორც ადამიანების, ასევე ცხოველების გამოსახვისადმი. გარდა ცხოველების ერთადერთი მიმ-

წიდველი პორტრეტისა, სადაც ორი მაიმუნია გამოსახული, მის სურათებზე არიან ცხენები, ჯორები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ვირები, ძაღლები, დორები, ცხვრები, კატები, ფრინველები — ქათმები და კაქაუები. უველაფერი ეს მხოლოდ მხატვრის მენტერტული შექმნილი სურათებია, ამ გამოსახულებების შესრულებაში მათი ბუნება და მოძრაობები. ბრეიგელის სურათებზე მოცემულია ჩვეულებრივი, საერთოდ გარკველებული ჯიშის ცხოველები, რომელთაც სოფლის ცხოვრებაში ვხვდებით: ცხენი — ნამდვილი მუშა ცხენია და არა იდეალისტურ-პეროიკული საბრძოლო რაში, რაც შემდგომში რუბენსთან გვხვდება, ძაღლებიდან უფრო ხშირად საცოდავი ეზოს ძაღლებს ვხვდებით და არა კარგ ჯიშებს, როგორცაც XVII საუკუნის ანიმალისტიკა წარმოგვიდგენდა.

და ბოლოს გადავხედოთ ბრეიგელისეულ ლანდშაფტებს — რა შეიძლება ითქვას მის მიერ გამოსახულ უხულო ბუნებაზე? რა გადმოსცემს მათ სიღიადეს. თუ ბრეიგელმა თავის მრავალფიგურიან სურათებში გამოსახულებების აბსოლუტურ ერთიანობას მიადწია, მის ბუნებაზე შეიძლება ითქვას შემდეგი: პეიზაჟის ხატვა ბრეიგელის თანდაყოლილი ნიჭია. ის მოწოდებით პეიზაჟისტია. შემოქმედებითი გზის დასაწყისში ბრეიგელი მართლაც ხატავდა ლანდშაფტებს როგორც ფანქრით, ასევე საღებავებით. მათ შორისაა სხვადასხვა მხარისა და ადგილის ხედი, რომელთაც ჩვენს დროში ვედუტეს უწოდებენ, უფრო ხშირია ლანდშაფტების კომპოზიციები, რომელთაც ემჩნევა, რომ ისინი ბუნების ვრცელი სურათის გავლენით შექმნილი ავტორისეული გამონაგონია და არა სურათების შექმნამდე შედგენილი ეტაულები. არცთუ ისე იშვიათია სურათები სტაფაჟის ვარეზე — ეს უკანასკნელი არასოდეს ასრულებს გადმწვეტ როლს. მხოლოდ და მხოლოდ ლანდშაფტი, რაც ჩვენთვის სრულიადაც არაა უცხო, ბრეიგელის დროს აბსოლუტურ სიახლეს წარმოადგენდა. არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებდა მაშინ აკვარელით მხატვრობა ტილოზე, რადგან ამ ტექნიკით შესრულებული ბევრი ნამუშევარი დაკარგულია. დიდი გერმანელი მხატვარი — დიურერი, რომელმაც აკვარელით შესრულებული ლანდშაფტებით თავის დროს გაუხწრო, ხეზე შესრულებულ სურათებში პირველობას ანიჭებდა იოახიმ პატინიერს — პეიზაჟისტს, რომლის სურათების აბსოლუტურ უმეტესობაში არის სტაფაჟი. მისი „სამყაროს პეიზაჟი“ შიშველი კლდეებისა და შორეული მდინარეების კალაპოტების გამოსახულებებით დაიხვეწა მისი მიმღევრების მიერ, რომლებიც ხშირად უარს ამბობდნენ სტაფაჟის გამოყენებაზე. მათ შორისაა აგრეთვე ბრეიგე-

ლის გამომცემლის პიერონიმუს კოკის ძმა — ძველ წყაროებში ქებული პეიზაჟისტი — მატის კოკი. ის ქმნიდა პეიზაჟებს ტილოზე აკვარელით და ხეზე ზეთით, რომელთაგან მხოლოდ ძალიან ცოტა ნამუშევარმა მოაღწია ჩვენამდე. ამ სურათების ავტორი უველაზე ახლოს უნდა იდგეს ბრევიგელის შემოქმედებასთან. სწორედ მატის კოკის შესახებ ამბობდა მხატვარი და მწერალი კარელ ვან მანდელი დაახლოებით 1800 წელს: ის პირველია, ვინც უველაზე მეტად გაამდიდრა და დახვეწა ლანდშაფტების ხატვის მანერა და დაიწყო ხატვა ანტიკური ან იტალიური ხელოვნების მიხედვით. ფანქრით ჩანახატებს ამ უანრში, რომელთაც მატისს ან მის ძმას მიაწერენ, ემჩნევთ ვენეციური და ვანსაკუთრებით ტიტის ლანდშაფტების ხტილის უეჭველი გავლენა.

უველაზე მნიშვნელოვანს, რაც თავისი პეიზაჟების სრულყოფისათვის სჭირდებოდა, მხატვარი სამშობლოშივე პოულობდა. იტალიაში მოგზაურობის დროს ის დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ვენეციაში ნანახ ამავე უანრის ნაწარმოებებს. ამას თან დაერთო საოცრად მშვენიერი ბუნებაც, რომელიც ბრევიგელს ალბებზე გავლის დროს უნდა ეხილა. პეიზაჟებშიც, როგორც ეს საერთოდ შეიძლება ითქვას მის შესახებ, ბრევიგელი არაა აბსოლუტურად დამოუკიდებელი ნოვატორი, რაც ერთი შეხედვით შეიძლება აფიქრებინოს კაცს მისი შემოქმედების ხილიადემ და მომაჯადოებელმა ძალამ, მისი შემოქმედების ხილიადეს მივაწერთ ჩვენ ბუნების უსაზღვრო სიყვარულსაც, ლანდშაფტებიდან რომ გამოსჭვივის და თითქმის უოველთვისაა მრავალფეროვანი სურათებზე, რომლებიც თითქოს ერთმანეთთან შეზრდილანო. შემოქმედების ადრეულ პერიოდში შექმნილ სურათებზე — „შთავარანგელოზი მიქაელი, ბაბილონის „პატარა“ კოშკი, „კარობის ჩამოვარდნა“ და „წმინდა ანტონის ცთუნება“ — ეფექტი იქმნება ძირითადად ლანდშაფტის გავლენით — ერთგან ტბის ირგვლივ განლაგებულ ტყეს, მთებსა და კლდეებს ვხედავთ (აღბათ, ეს იტალიის გახსენება თუა), მეორე სურათზეა ქალაქი — კოშკის ორი მზრიდან ნავსადგურის ხედი. მესამეზეა — მდინარის ხედი კლდეებით, პატარა კუნძულებით, გემებით, სურათის უკანა პლანზე ჩანს მზე. სხვა სურათზეა ეფექტური კონტრასტი — ჩაბნელებული უდრანი ტყე და ნაწ ფერებში გადმოცემული ნავსადგურის ხედი. შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში შექმნილ სურათებშიც არსებით როლს ასრულებს პეიზაჟი, რომლის საფუძველზეც ხდება ავტორის ჩანაფიქრის ჩამოყალიბება.

როგორც უკვე ვნახეთ, ბრევიგელის უველა სურათზე სცენა სრულიად სხვადასხვანირია: ან-

დაზურ ნათქვამებზე შექმნილ სურათებში გაშლილია სოფელი ხეებით, მდინარით და ზღვით, „სიკვდილის ტრიუმფში“ — კლდეანი უკაცრიელი ზღვისპირეთი, შორს ჩამდევნილი ადგილას მოხჩანს ნანძარი. სურათზე — „საულის თვითმკვლელობა“ — ვხედავთ ვენეციურ ქალაქში, კლდეებს, წიწვოვან ხეებს და მთებს. შორს მოხჩანს ქალაქი. ცხოვრების ხოლო პერიოდში შექმნილ ზოგიერთ სურათზე მოქმედების ადგილია ვრცელი ტაფობები შორსმდებარე კარმიდამოებით. ეკლესიებითა და ქარის წიხტვილებით ან ნახირით გამოსული მწვემსებით.

უოველ ნამუშევარზე გამოსახულების ფორმალურ მხარეს სულს შთაბერავს განწყობილების ძალა და ამის თქმა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როცა სურათზე ერთი ციციკნა ლანდშაფტი მაისცაა, თუნდაც ხაღლაც უკანა პლანზე.

მთელი თავისი ოსტატობით ბრევიგელი წარმოგვიდგება ექვს პეიზაჟში, რომელთაგან ერთი, სამწუხაროდ, დაკარგულია. ამ პეიზაჟების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ბრევიგელმა ურთულესი ამოცანა დაისახა — ექვს სურათზე ფერწერის საშუალებით უნდა გადმოცემულიყო წელიწადის დროები. უოველი მათგანი ორ თვეს ეძღვნება. ჩვენამდე მოღწეულ ხუთ ნამუშევარს უდიდესი მხატვრული ღირებულება გააჩნია და ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს. განსაზღვრული წყაროებიდან ცნობილია მათი შექმნის ისტორია. აქამდე არასოდეს შექმნილა სურათზე ატმოსფეროს ასეთი დამაჭერბელი, მომხიბვლელი და მომაჯადოვებელი შეგრძნება. ერთ ნაწარმოებში არასოდეს შეკრულა ბუნების სურათი ასე სრულყოფილად, არც სტაფაჟი ყოფილა ასე ერთსულად ლანდშაფტთან. ამის საფუძველი შეიძლება მომზადებულიყო ილუმინირებულ ხელნაწერებში არსებული კალენდრის დასურათებებით.

აღნიშნული სურათებიდან რიგით პირველია ადრეული გაზაფხული — ნიდერლანდების ესპანურ ნაწილში გავრცელებული წელთაღრიცხვის მიხედვით ხომ აღდგომის დღეხასწაულით იწყება წელიწადი. ამ კალენდრის მომხრე იყო ბრევიგელიც, წელიწადის აღნიშნული პერიოდი მოიცავს მარტსა და აპრილს, რომლის მძიმე განწყობილებას კიდევ უფრო აღრმავებს მძიმე ღრუბლები და ქარბუქები. ეს განწყობილებაა გადმოცემული სურათში „პირქუში დღე“. შემდეგ სურათში, თუ არ ვცდებით, გვიანი გაზაფხული ან ზაფხულის დასაწყისი ახლოვდება — მაისის ან ივლისის თვეები — რომელთაგან გამოწვეული სიმხნევე, მხიარული განწყობილება და ოპტიმიზმი ლამაზად გაფორმებული მოხაველის ადების სცენაშია გადმოცემული. სურათში „ხორბლის აღება“ უკუყმანოდ შეიცნო-

ბა პაპანაქება ზაფხული — ივლის-აგვისტოს თვეები თავისი მომთენთავი სიცხეებით. ნახირის დაბრუნების სცენაშია ადრეული შემოდგომა — სექტემბერ-ოქტომბერი, როცა ცივი, გამკოლი ქარი ქრის უველგან და აქა-იქ თუ გაკრთება მზის ძალადაქარგული სხივი. ერთ-ერთ ძველ წყაროში მოხსენიებული სურათი, L' Idee de l' Automne, სადაც გვიანი შემოდგომაა გადმოცემული — ნოემბერ-დეკემბერი, დაქარგულია ან ჭერჭერობით არ შეგვხვედრია არსად. საბედნიეროდ ჩვენამდე მოაღწია ბოლო სურათმა — „ზამთარი“ (იანვარ-თებერვალი).

სურათზე ვხედავთ მონადირეებს თოვლში. დიდთოვლობა, მოქუფრული ცა, მუქ ნაცრისფერ თოვლში მოციგურავეები სრიალებენ. ამას გარდა სურათზე მოჩანს მუქ ფერებში შესრულებული ხეების სილუეტები, მონადირეები და ძაღლები. ეს უველაფერი მთლიანობაში იძლევა ზამთრის ხაზინელი სიცივის შეგრძნებას.


შინაგანი განწყობის გადმოშვებ ამ დიდებულ სურათებს, რომელთაც ხელოვნების ისტორიაში ბადალი არ მყავთ, ემატება ზღვის პატარა პეიზაჟი, აგებული ერთ-ერთი ანდაზური ნათქვამის შინაარსზე, ის ნიდერლანდური მარინისტიკის პირველ სრულქმნილ სურათად ითვლება. რაოდენ გრძელია გზა ბრეიგელის პეიზაჟის ხელოვნებიდან, რომელიც ნეაპოლის ნავსადგურში ტალღების მინიატურისმაგვარი, მოხდენილი გადმოცემით იწვება და მივეყვართ გვიანი პერიოდის ნამუშევრამდე — შტორმის დროს აზვირთებული ზღვის ტალღების ვრცელი, გაბედული და გაწაფული ხელით შესრულებულ გამოსახულებამდე. თვით XVII საუკუნეშიც კი აზვირთებული ზღვა სხვას არავის გამოუხატავს უფრო ძლიერად.

სწორედ ხელოვნების იმ სახეებმა, სადაც ნაწარმოების თემაზე დომინირებს წმინდა ფერწერული ელემენტი — პეიზაჟი და დიდაქტი-

კური შინაარსის მქონე სურათმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფერწერის შემდგომ განვითარებაზე. XVII საუკუნეში ბრეიგელის შემოქმედების სახით წარმოშვა ფერწერის განსაკუთრებული ენები ისე, რომ ბრეიგელს მხატვრული თვალსაზრისით ვერ გაუხსნო, ძნელი წარმოსადგენია ბრეიგელის სურათზე ადრიან ბრუვერსის გლეხურ თემაზე შექმნილი სურათი. ბრეიგელსავე უნდა უმადლოდეს ბევრ რამეს თვით ისეთი გაქანების მრავალნაირი მხატვარი, როგორცაა, რუბენსი. პირველად სწორედ მან შეაფასა სრულყოფილად ბრეიგელის შემოქმედება, მანვე გაამდიდრა სურათების პირადი კოლექცია ბრეიგელის ბევრი ნაწარმოებით და საკუთარი ხელით შეამკო მისი საფლავის ქვა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნამუშევრით. სხვა მრავალ მხატვართა შორის ბრეიგელის სახელი და ხელოვნებაც მიეცა დავიწყებას XVII-XIX სს. მიმდინარეობების მიერ, რომელნიც დიდად განსხვავდებიან ბრეიგელის ნაწარმოებებისაგან. მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გაბდა შესაძლებელი შემეცნება ბრეიგელის უბრალო მიდგომის რეალობისადმი, მის მიერ თანამედროვეებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯისა სამყაროსა და ადამიანის ხედვაში, მისი იშვიათი ფერწერული ნიჭისა და გემოვნებისა ფერთა შეხამებაში, ფორმების სიმრტყივი გადმოცემის გამარტივებული მანერისა და მისი განსაცვიფრებელი ემოციური ძალისა. ჯერ კიდევ ბრეიგელის თანამედროვე და მეგობარი, ცნობილი გეოგრაფი აბრაამ ორტელიუსი მის შესახებ იმასვე ამბობდა, რაც პლინიუსმა ხოქვა აპელესის შესახებ — მან უველაფერი დაბატა, რაც ვერ იხატება. მის შთამომავალთ ის იმდენად მიუწვდომლად და შეუდარებლად წარმოგვიდგება, რომ ბშირად ვფიქრობთ — ბრეიგელი შორს გასცდა საკუთარი ენრის შესაძლებლობებსა და საზღვრებს.




«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1988 № 3
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



აკიმერ ბრეიბელი. მთავარანგელოზი მიქაელი.

6 254/130.



საქართველოს
მემორიალი

მთაბრ ბრეიგელი. კარხვალისა და დიდმარხვის კიდელო.